ვალერიან ელანიძე

თუშეთის ისტორიის საკითხები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1988

63.3(2Г)
Ე 517

მონოგრაფიაში განხილულია გვიანფეოდალური ხანის თუშეთის განსახლებისა და მისი ეთნიკური შემადგენლობის, თუშეთის გვაროვნულ-თემური მმართველობის სისტემის, ცენტრალურ ხელისუფლებასთან თუშეთის დამოკიდებულების, 1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის, თუშებისა და იმიერკავკასიელი მთიელების ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის, მეზობელ ხალხებთან თუშების დამაკავშირებელი გზებისა და თურქი დამპყრობლებისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ომებში თუშთა ასეულების მონაწილეობის საკითხები; შესწავლილია კახეთის ბარში თუშების მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები.

წიგნი გათვალისწინებულია როგორც ისტორიკოსების, ასევე საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი პროფ. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე

რეცენზენტები: პროფ. შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე
პროფ. თ. ბ ო ც ვ ა ძ ე
დოც. ე. ბ ო რ ჩ ა შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ტ უ ხ ა შ ვ ი ლ ი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

0503020906
Е ———
м 608(06) 88
ISBN 5—511—001,13-97

„ნაუჯნი ემანიც მეფისა, თუშები მოულალავნი
სდეკნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მკელნი, ცხვართა მლალავნი!
თქვენი ჭირიმე, თუშებო, ბიჭობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღესტნელთ ქედზედ ლესულა“.
(ნ. ბარათაშვილი)

შესავალი

საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი საინტერესო მხარის — თუშეთის შესახებ რევოლუციამდელ ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში გვხვდება ცნობები, წერილები, სტატიები და ნარკვევები, სადაც საუბარია თუშების საბრძოლო საქმიანობაზე, მესაქონლეობა-მიწათმოქმედებაზე, სარწმუნოებაზე, ადათობრივი სამართლის ამა თუ იმ თავისებურებებზე, ჩაცმა-დახურვასა და სხვა საკითხებზე. მაშინდელი ისტორიკოსები, გეოგრაფები, ფილოლოგი-ფოლკლორისტები თუშეთის ცხოვრებისა და მისი ისტორიის მხოლოდ ცალკეულ მხარეებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ამ კუთხის სრულყოფილად შესწავლა არავის უცდია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის ისტორიის შესწავლა-წარმოჩენისათვის. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ განახორციელა „ეროვნული უმცირესობის უფლებათა უხრუხველყოფა“[1].

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 1931 წლის ზაფხულში მოაწყო თუშეთის შემსწავლელი ექსპედიცია ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით, რასაც სულ მალე მოჰყვა ს. მაკალათიას საინტერესო მონოგრაფია — „თუშეთი“. როგორც ს. მაკალათია შენიშნავს, „ამ წიგნის სახით... საზოგადოებას საშუალება ეძლევა ზოგადად გაეცნოს თუშების ყოფა-ცხოვრებას“[2]. წიგნში, რომელიც ძირითადად ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ავტორი ზოგადად ეხება თუშების ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა მხარეს და საგულისხმო შენიშვნებს გვაცნობს. ავტორს არც დაუსახავს მიზნად ისტორიული რიგის მოვლენათა სისრულით შესწავლა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 10.
[2] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 3.

პროფ. ს. მაკალათიას ხსენებულმა წიგნმა დასაბამი მისცა თუშეთის მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის საქმეს[3].

თუშეთის ისტორიისადმი დიდ ინტერესს ისიც იწვევს, რომ ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დიდ მზრუნველობას იჩენს საქართველოს მთიანეთის აღორძინება-განახლებისათვის, რასაც მოჰყვა კიდეც არნახული წარმატებები: 1978 წელს თუშეთში ავიდა პირველი ავტომანქანა, 1981 წელს დაარსდა თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, მიყვანილ იქნა მაღალი ძაბვის ელექტროხაზი, თუშეთს აუშენდა საკუთარი სატელევიზიო სადგური და სოფ. ომალოში აკიაფდა ცისფერი ეკრანი, აჭოქმედდა 50-ნომრიანი სატელეფონო სადგური და სხვა.

გვიანფეოდალური თუშეთის ისტორიაზე გამოკვლევის დაწერა იმანაც განაპირობა, რომ თუშეთის ირგვლივ გამოქვეყნებულ ზოგიერთ წერილსა თუ სხვა სახის შრომაში საქმე გვაქვს მრავალ უზუსტობასთან, სერიოზულ შეცდომასთან.

არც ჩვენი შრომა იქნება დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისაგან. ყველა საქმიან შენიშვნას მადლობით მიიღებს ავტორი და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

---

[3] გრ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მთათუშეთი (ეკონომ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის, სადისერტაციო შრ., ხელნაწერი), 1964; ვ. ლ ა გ ა ზ ი ძ ე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან (საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი), 1965; ვ. ე ლ ა ნ ი ძ ე, თუშეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ფეოდალიზმის ხანაში (საკ. დისერტაცია, ხელნაწერი), 1968; თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. გ. ჯალაბაძის რედაქციით, თბ., 1967; ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI—XIX სს. I ნახევარში), თბ., 1977.

თ ა ვ ი I

თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშის“ ისტორიისათვის

თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშის“ საკითხს ჩვენ ადრეც შევეხეთ[1]. იმხანად ხსენებულ საკითხზე ჩვენი მსჯელობა ემყარებოდა ჯერ კიდევ არსებულ თეორიას ქართველთა წინაპარი ტომების წინა აზიიდან მოსულობის შესახებ. აკად. ივ. ჯავახიშვილისეული დასკვნები იყო ჩვენი სახელმძღვანელო დებულებები. აღვნიშნავდით, რომ „თუშეთი თუში ტომის თავდაპირველი ადგილსამყოფელი არ არის. თუშმა ტომმა ისეთივე მიგრაცია განიცადა, როგორც დანარჩენმა ქართველმა ტომებმა“[2]. ჩვენი ასეთი მსჯელობა ეყრდნობოდა მეცნიერის ცნობილ კონცეფციას ქართველთა მოსულობის შესახებ: „კავკასიაში პირველად ის ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილს დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. მაშასადამე, ჯერ აფხაზები, აფშილები, სვანები, თუშები და სხვა მთიულები, შემდეგ კოლხები, კასხები“[3].

თუშეთში გავრცელებული ზოგიერთი მესხური წარმოშობის ტოპონიმების საფუძველზე თუშების წარმომავლობა დავუკავშირეთ უძველეს ქართულ ტომს „მუშქს“. ჩვენ ვემყარებოდით ისეთ ტოპონიმებს, როგორიცაა: ტ ა ო, ჯ ა ვ ა ხ ე, ს ა მ ც ი ხ ე, ო რ ე თ ი, ო რ ე-

---

1 ვ. ე ლ ა ნ ი ძ ე. შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 53—63; ჩვენივე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1968, გვ. 15—64.

2 ი ქ ვ ე.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 435.

თ ი ს მ თ ა, თუშეთში არსებულ წარმართულ სალოცავ — „ჯ ა ვ ა-ხ ო ბ ა“-ზე („ჯ ა ვ ა ხ ო ბ ა“, „ჯ ა ვ ა ხ ე“, „ჯ ა ვ ა ხ ე თ ო ბ ა“ — სხვადასხვა მთქმელი ასე ასახელებს ამ სალოცავის სახელწოდებას). ვითვალისწინებდით აგრეთვე ეთნონიმ „მ ო ს ო ქ ს“, რადგან „ლეკეპი თუშებს ეხლაც „მოსოქებს“, ესე იგი „მოსოხებს“ ეძახიან“[4].

„მუშქების“, „მოსხების“, „მესხების“ განსახლების საზღვრები, როგორც აკად. გ. მელიქიშვილმა გაარკვია, საქართველოს დიდ ტერიტორიას მოიცავდა და მისმა აშკარა ნაკვალევმა მრავალგან იჩინა თავი, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. „მესხური სამოსახლოები, — წერს მეცნიერი, — სამხრეთ და აღმოსავლეთ ბევრ ადგილას გაჩნდა“[5]. არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, რომ მესხურ მოსახლეობას თუშეთშიც შეეღწია და კვალიც სწორედ ასეთი გზით დაეტოვებინა. „ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, — შენიშნავს პროფ. თ. პაპუაშვილი, — რომ მუშკ-მესხების ერთ-ერთმა ტალღამ კიდევ უფრო ჩრდილოეთით გაიწია და ერთ-ერთი თავისი სამოსახლო კახეთის მთიანეთშიც შექმნა. სწორედ აქედან უნდა გავრცელებულიყო მთის კავკასიელ ხალხებში, კერძოდ ხუნძებში, თუშების აღსანიშნავად ეთნიკური ტერმინი „მოსოხ“ — „მოსოქი“[6]. მაგრამ ეს მესხური მოსახლეობა არ უნდა ჩავთვალოთ თუშეთის თავდაპირველ მკვიდრებად, როგორც ეს საკანდიდატო შრომაში, გამოქვეყნებულ წერილში და ავტორეფერატში გვაქვს[7], რადგან მათი მიგრაციის პროცესი ქართლის მთიანეთის დასახლებიდან დიდი ხნით გვიან მომხდარი ვითარებაა.

გიორგი მელიქიშვილის მიერვე აღინიშნება, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში საქართველოს მთიანეთი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, „იმ დროს (ე. ი. ენეოლითის ხანაში, ვ. ე.) საქართველოს

---

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 410.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი-შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1953, გვ. 51.

[6] თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 67, 1982.

[7] В. А. Э л а н и д з е, Социально-политическое развитие Тушетии в эпоху феодализма, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1968, стр. 5.

თითქმის ყველა კუთხე და მათ შორის მთიანეთიც უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს"[8].

„მოსხების", „მესხების" განსახლება-მიგრაციის პროცესი კი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა[9]. ამდენად, თუშეთის თავდაპირველ მოსახლეობად მესხები არ ჩაითვლებიან და თუშებთან მათი შერწყმა სხვა დროის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

თუშეთის თავდაპირველ თემებში: გომეწარში, პირიქითში და ჩაღმაში დღემდე არსებული მესხური წარმოშობის ტოპონიმები, წარმართული ხატი — „ჯავახობა" და ეთნონიმი „მოსოქი", ჩვენი აზრით, იმ გარემოების მანიშნებელი უნდა იყოს, რომ თუშეთში მესხური მოსახლეობა ერთეული პიროვნებების ან რამდენიმე ოჯახის სახით კი არ გახიზნულა, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობით. ჩვენს ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ხსენებული ეთნომიმ-ტოპონიმებისა და სალოცავ „ჯავახეს" — „ჯავახობის" შინაარსი და მათი გავრცელების არე.

ზემოაღნიშნული ტოპონიმებიდან „ს ა მ ც ი ხ ი" ეწოდება თუშეთის პირიქითის თემის იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს შემდეგ სოფლებს: ჩიღოს, დართლოს, კვავლოს, დანოს და ჭეშოს. პირიქითის საზოგადოების დასახელებული სოფლების მცხოვრებლები, თუშებისაგან განსხვავებით, საკუთარ თავს სამციხელებს უწოდებდნენ და ახლაც ასე ეძახიან. აღნიშნულმა ფაქტმა, მართალია ისტორიოგრაფიაში ასახვა ვერ პოვა და სამციხის სოფლების თუშებიც პირიქითის ან ფარსმის საზოგადოების სახელწოდებით იხსენიებიან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუშურ ზეპირსიტყვიერებაში, ზოგ შემთხვევაში, ზემოხსენებული სოფლების მოსახლეობა, პირიქითის თემის სხვა მცხოვრებლებისაგან განსხვავებით, სამციხელებად იწოდებიან. მაგალითად, ჰელოს ტრაგედიასთან დაკავშირებით სამციხელი მეომრები ხალხურ მთქმელს ცალკე ჰყავს გამოყვანილი:

---

[8] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 12; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის, ჟურნ. „მნათობი", № 3, 1972, გვ. 134; მისივე, ქართველ ტომთა საკითხისათვის, 1976, გვ. 6, 11, 290—293.

[9] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ურარტუ, 1951, გვ. 139.

„ჰეღოს ატირდეს ედანი: ბტერმ მარკედ შაგვაშინნაო,
შაყრილნი მშაველ-ჯვესტონი ჰეღოსამც შამოხვიენაო...
სამციხელების თოფებმა ჰეღოს ჩდილ შამოხვიენლაო“[10].

დღეს ცნობილია, რომ სამცხე, სამციხე, მესხეთი, მცხეთა ნაწარმოებია ქართულ ეთნიკურ ტერმინ — „მესხიდან“ და უარყოფილია სამცხეს (სამციხის) თითქოსდა სამი ციხიდან გაჩენის შესაძლებლობა. თუშეთში დღემდე არსებული გეოგრაფიული სახელის — სამციხის გაჩენა არ უნდა მომდინარეობდეს ე. წ. სამი ციხიდან. თუშეთის სამციხის ტერიტორიაზე გაშენებული სოფლები ერთიმეორესთან დაშორებული არიან 3—15 კმ-ით და მათი განლაგების მიხედვით ყოველმხრივ გამორიცხულია, რომ მათ სამი საერთო ციხე ჰქონოდათ. თუშეთის ყველა სოფელს, მათ შორის სამციხის ტერიტორიაზე გაშენებულ სოფლებსაც, საკუთარი ციხეები ჰქონდა და მათი საშუალებით იცავდა თავს მტრის შემოსევის დროს.

ტ ა ო სამციხის აღმოსავლეთით მდებარეობს და ეწოდება სოფ. ჩიღოს ხაადან (საძოვარი ადგილია) მომდინარე მდინარის მარცხენა მხარეზე (ჩიღოს წისქვილების სიახლოვეს, წყლის ნაპირიდან სოფ. დიკლოს გადასახედამდე) აზიდულ ვეებერთელა ტერიტორიას. ტაოს ტერიტორიაზე შეიმჩნევა რამდენიმე ძველისძველი ნამოსახლარი. ტაოდ წოდებულ ადგილ-მდებარეობას სახნავ-სათიბად და საძოვრებად იყენებდა სოფ. ჩიღოს მოსახლეობა.

ჯ ა ვ ა ხ ე გომეწრის საზოგადოების სოფლების კოკლათისა და ვეძისხევის სიახლოვეს მდებარე კარგა მოზრდილ ადგილს ეწოდება. თუშები დღეს კვლავ მიუთითებენ, რომ ჯავახეს სიახლოვეს გაშენებულ სოფლებში მცხოვრებ თუშებსაც კი ხშირად ჯავახელებს უწოდებენ. როცა თუშები ზამთარ-ზაფხულობით მთაში ცხოვრობდნენ, მაშინ ჩვეულებრივ მკრთალად ესმებოდა ხაზი მათ სადაურობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამიტომ საყურადღებოა, რომ თუშეთის სხვა კუთხეებში გამართულ ლხინ-დღეობებში ჯავახეთის გარშემო მდებარე სოფლის ქალებს თურმე ასე მიმართავდნენ: „ტაში ქალო, ჯავახელო!“ ან „ტაში ჯავახური!“ და სხვ.

წარმართული სალოცავი „ჯავახე“ მდებარეობს იმავე ტერიტორიაზე, რომელსაც ჯავახე (ზოგიერთების თქმით — ჯავახეთი) ეწოდება.

---

[10] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931, გვ. 114.

ჯავახეთობა, ჯავახობა, ჯავახეობა (თუშების მიერ ასე აღინიშნება) იმართება ათენგენობის მეორე დღეს. ჯავახეობა დიდი დღეობაა და თუშეთის ყველა კუთხის მცხოვრებნი ღებულობენ მონაწილეობას. „ეს მეტად საინტერესო შინაარსის სალოცავია. ჯავახეობაში ინტერესს ისიც იწვევს, რომ მასში ხევსურებიც ღებულობენ მონაწილეობას. თუშების სალოცავის ახლოს მდებარეობს ხევსურების ორი ხატი — ხახმატი და კარატე. ხევსურები თუშეთის ყველა სოფელში მათი სალოცავებისათვის წესის დაყენების შემდგომ იკრიბებოდნენ ჯავახეს, პირველ დღეს ესწრებოდნენ ჯავახობას, პარალელურად ლოცულობდნენ საკუთარ ხატებს — ხახმატს და კარატეს, ხოლო მეორე დღეს ემშვიდობებოდნენ თუშებს და ალაზნისთავ-ბორბალოს გავლით უკან ბრუნდებოდნენ.

„ო რ ე თ ი“ ჩაღმის საზოგადოების სოფ. ომალოს ტერიტორიაზე მდებარეობს და მოიცავს საკმაოდ დიდ ფართობს, რამდენიმე ჰექტარს, სადაც გაშენებულია ხსენებული სოფლის წისქვილები. ორეთის გაგრძელებას წარმოადგენს „ორეთის მთა“ და ისიც იმავე სოფლის მცხოვრებთა კუთვნილებაა. „ორეთის მთაში“ სოფ. ომალოს მთელ რიგ ოჯახებს საზაფხულო ბინები ჰქონდათ, სადაც მეწველი ძროხებით ადიოდნენ ხოლმე და მთელი ზაფხული იქ რჩებოდნენ.

დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ ლეკები თუშებს „მოსოქებს“ უწოდებდნენ. ეს ვითარება მეცნიერთა მიერ ახსნილია და შენიშნავენ, „რომ ერთ-ერთი ქართული ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში „ქართველების“ აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი“[11] იყო და იგი თუშებზეც გაავრცელეს, როგორც ქართულ ტომზე[12], მაგრამ თუ ყურად ვიღებთ თუშეთში არსებულ მესხური წარმოშობის ტოპონიმებს, სალოცავ „ჯავახეს“ („ჯავახობას“) და იმას, რომ პირიქითის თემის ნახევარს „სამციხს“ და მოსახლეობას „სამციხელებს“ უწოდებენ, იქნებ აღნიშნულთან ერთად ისიც ვივარაუდოთ, რომ დიდო-ლეკები თუშებს „მოსოქებს“ იმიტომ ეძახდნენ, რომ თუშეთში მესხური მოსახლეობა ერთ დროს საკმაოდ რიცხვმრავალი და მეზობელთათვის თვალში მოსახვედრი იყო. „ასე რომ ხუნ-

---

[11] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XV, № 2, 1954, გვ. 117.

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, 1950, გვ. 51.

ძებმა თუშებს იმიტომ კი არ უწოდეს „მოსოხ“ — „მოსოქი“, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში „ქართველების“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელი თუშებზეც გაავრცელეს, როგორც ქართულ ტომზე, როგორც ამას პ. უსლარი და კ. წერეთელი ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ აქ ხუნძების ჰეზობლად დასახლებულ თუშებს, როგორც მუშკ-მესხების ტომის ერთ-ერთ ნაწილს, შემონახული ექნებოდათ თავიანთი წინაპრების — „მესხების“ ეთნიკური სახელწოდება „მოსოხ“ — „მოსოქ“-ის ვარიანტით“[13].

სამციხის ზოგიერთმა უხუცესმა წინაპართა გადმოცემით იცის, რომ ისინი მესხები არიან და გარკვეული მიზეზების გამო შემოეხიზნენ თუშეთს. ამ მხრივ საინტერესოა ივანე ბასილის ძე აბალოიძის მონათხრობი, რომელიც ჩავიწერეთ 1968 წლის 1 დეკემბერს. იგი მაშინ 82 წლისა იყო, „ჩვენ, აბალოანები, — შენიშნავს ივანე, — ვართ მესხები თრიალეთიდან. ჩვენი თავდაპირველი გვარი კანთოშვილი ყოფილა და ამ გვარით დასახლებულან ჩემი წინაპრები თუშეთში. თუშეთში მათი მოსვლის მიზეზი შემდეგი ყოფილა: მესხებს თათრები შემოსევიან, დაუპყრიათ ეს მხარე და მოსახლეობის გამაჰმადიანება დაუწყიათ. შეწუხებული მოსახლეობა აყრილა და დამპყრობლებს გამორიდებულა. ჩემი წინაპრები ქიზიყში, მირზაანში დასახლებულან. იქ მათ მოურავი მოუკლავთ და თუშეთში შემოუფარებიათ თავი, სოფ. ჭეშოში დასახლებულან. ისინი დიდხანს კანთოშვილების გვარით ცხოვრობდნენ. მაგრამ შემდგომში მათი შთამომავლობა აბალოიძეების გვარით გაგრძელებულა, შემდეგი გარემოების გამო: კანთოშვილებს სოფ. ჭეშოს თავზე — ჩრდილოეთით, ჰქონიათ საზაფხულო ბინები, სადაც მარიამობა ღამით მთელ საგვარეულოს ერთად უჭამია პური, ხინკალი მოუხარშავს და დაუძინია. დილისათვის უფროს-უმცროსებიდან ყველა დახოცილა, დარჩენილა მხოლოდ ერთი ბავშვი — აბალო, რომლიდანაც გავმრავლებულვართ და აბალოანთ და აბალოიძეებსაც იმიტომ გვეძახიან“.

დაღესტნელები რომ თუშებს „მოსოქებს“ ეძახდნენ, ეს აკად. ნ. მარსაც აქვს აღნიშნული. ნ. მარი შენიშნავს, რომ ქართულად მოსაუბრე თუშებს დაღესტნელები უწოდებენ „მოსოქებს“ და არა „მეს-

---

[13] თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 67—68.

ქებს“ ან „მასქებსო“. იგი წერს: «He masg и не mesg a mosog: так зовут этих тушин знающие их дагестанцы»[14].

როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, თუშების მოხსენიება „მოსოქებად“ იმდენად გახმაურებული ყოფილა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ ტერმინში ფშავ-ხევსურებსაც კი გულისხმობდა.

XIX საუკუნის გამოჩენილი მკვლევარი პ. უსლარი მოსოქ-მოსოხთან დაკავშირებით შენიშნავს: «Под этим названием горцы подразумевают вообще жителей нынешнего Туше-Пшаво-Хевсурского округа т. е. пшавов и хевсур»[15]. კ. წერეთელი, ემყარებარა აკად. ა. ჩიქობავას შენიშვნას, წერს, რომ „მოსოქებში“ ხუნძები ხევსურებს უნდა გულისხმობდნენ“[16].

ე. გ. ვაინდენბაუმიც პირდაპირ მიუთითებს — «Тушины называются лезгинами (мосох/мосок)»[17]. ად. დირის მიხედვითაც «У лезгин (дагестанцев) тушины называются также мосок, мусек»[18].

ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერება, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, არ აღნიშნავს არც ერთ შემთხვევას, რომ ისინი ლეკების მიერ მოსოქებად იწოდებოდნენ. თუშურ გადმოცემებში კი თუშთა „მოსოქობა“ დადასტურებულია. აი, ერთი ლექსიც:

„ყური დამიგდეთ, მსმენელნო, ლექსად გეტყვით ყველაფერსა,
უწინ ჩვენ მამა-პაპანი სისხლით წყავდეს მთის კალთებსა,
მტერსა მტრულად უხვდებოდეს, ხმლით იცავდნენ ჩვენს
საზღვრებსა.

---

[14] Н. Марр, К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, Пет., 1916, стр. 1400—1401.

[15] П. Услар, Этнография Кавказа, языкознание, III, аварский язык, 1889, стр. 26.

[16] კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, 1954, გვ. 114).

[17] ე. გ. ვაინდენბაუმის არქივი, № 45, 11 განუყოფ. ფურც. 4 (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

[18] А. М. Дирр, Современные названия Кавказских племен, СМОМПК, т. 40, отдел III, 1909, стр. 4.

დაღისტნის იმამს უთვლიდეს: მოდით, გელოდებით ჩვენცა;
თუ მოხვალთ, კი გიმასპინძლებთ, სისხლსა გასმევთ თქვენვე
თქვენსა,
თქვენ მოსოქელებს გვეძახით, ქართველები ჩვენ თუშებსა"...[19]

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმასაც, რომ პ. უსლარის შენიშვნა სწორი იყოს, რადგან კვლევა-ძიებას იქით მივყავართ და თანდათან მტკიცდება, რომ ისტორიულ ფხოვს და ფხოველებს (ფშავ-ხევსურთა წინაპრებს) თუშების მსგავსი ნათესაობა აკავშირებთ ერთ-ერთ ქართველურ ტომთან—მოსხებთან, ანუ მესხებთან. ამ საკითხის ნათელყოფისათვის პირველ რიგში „აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტები ხევსურებს დღესაც „ფხია"-ს ან „ფხჲ"-ს უწოდებენ, რაიც იგივე ფხოელს ნიშნავს"[20]. „ფხოვის" წარმომავლობის ისტორიას მეცნიერები უკავშირებენ ფახუვის ქვეყანას. „ამ ქვეყნის სახელი თითქმის ზუსტად იმეორებს კავკასიონის მთიელ ტომთა შორის დასახელებულ „ფხოვ"-ტომის სახელს. ძველ ქართულ წყაროებში „ფხოვ" — სახელის ქვეშ ფშავ-ხევსურნი იგულისხმებიან"[21]. ხოლო იგივე ქისტ-ჩეჩნები ფშავლებს უწოდებენ შუა-ს, ხევსურები კი ფშავლებს „მშაველს" ეძახიან და არა ფშაველს.

თუშ-ფშავ-ხევსურების უტყუარი ნათესაობა და სიახლოვე თავისი წარმომავლობით მოსხებთან, მესხებთან, ჩვენი აზრით, საეჭვოს აღარ ხდის იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ქართულსა თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში ამ სამივე კუთხეს „ფხოვს" და აქ მცხოვრებთ — „ფხოველებს" უწოდებენ[22]. მართალია, მომდევნო საუკუნეებში უმე-

---

[19] ტექსტი ჩაგვაწერინა 1964 წელს სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებმა ალექსი მიხეილის ძე მოზაიძემ (80 წ.) და სოფ. ქვემო ალვანში მცხოვრებმა სამსონ ღვთისოს ძე ბეყოიძემ (შაადე) 70 წ.; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 37.

[20] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1984 წ. გვ. 21. Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Петроград, 1922, стр. 4—5.

[21] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეკონომიკის შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების „მოამბე", № 3, 1961, გვ. 117—118, იხ. აგრეთვე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 100.

[22] Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на Кавказе, том I, кн. II, СПБ, 1871, стр. 281.

ტესწილად „ფხოვი“ ისტორიულ ფშავ-ხევსურეთს ეწოდებოდა[23], მაგრამ ეს ვითარება, როგორც ეტყობა, არ გამორიცხავს იმ ჭეშმარიტებას, რომ ისინი თავდაპირველად მოსოქ-მოსხებიც იყვნენ და ფხოველებიც, იქნებ ამ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ქრისტიანობით შევიწროებულ ფშავ-ხევსურთა წინაპრების გარკვეული ნაწილის (ფხოველების) თუშეთში გადასვლას ერთი მიზეზი ჰქონდა: ისინი თუშებში ხედავდნენ ყველაზე ახლო მდგომ თანამოძმეებს — მოსხებს, მესხებს, ფხოველებს.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დიდოები თუშებს ამჟამად „აჯ“-ს ეძახიან (აჯ—თუში, ბააჯუ — თუშები, აჯ-იოშ—თუშეთი). დიდოები რომ თუშებს აჯ-ს ეძახდნენ, ცნობილი ყოფილა ზოგიერთი მკელევრისთვისაც, აღნიშნულის თაობაზე პროფ. ა. დირი წერს: «Дидойцы называют тушинов ак, множ, акибак»[24]. დღეისათვის დიდოების მიერ თუშებისათვის აჯ-ის დაძახება და მოსოქის დავიწყება, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ქართველის აღმნიშვნელი სახელის ჯაზაჯ-ის გავლენით. დიდოები ქართველს ჯაზაჯ ეძახიან (ჯაზაჯ — ქართველი).

აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ „დაბადების“ სახელი „მეთუშალა“ ანუ „მათუსალა“ შეიძლება თუშების სატომო სახელს უდრიდეს“[25].

დასმული საკითხის შესახებ შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რომ ბერძნული მართლწერის „მათუსალა“-ს ძირი „თუსა“ უდრის ამ ტომის თუშების სახელს, როგორც მათ ბერძნები ეძახდნენ. პტოლემაიოსი, მაგ. თუშების სახელს „ტუსკოჲ“-დ წერს“[26].

ქართულ ისტორიოგრაფიაში აქა-იქ გვხვდება ტერმინი თოშეთიც[27].

---

[23] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 93, 523, 534 და სხვ., Путеводитель по Кавказу, составил Е. Вейденбаум, Тиф., 1888 г., стр. 82; А. Б е р ж е, Краткий обзор горских племен на Кавказе, Кавказ Календарь, Тиф., 1858, стр. 302.

[24] А. М. Д и р р, Современные названия кавказских племен, СМОМПК, т. 40, 1909 г. стр, 4, отдел 3.

[25] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 410.

[26] ი ქ ვ ე.

[27] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание 11, 716—717 („ხოლო ყუარელთა რა ესმა ესე, შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“).

თვით თუშებში დღესაც არის შემორჩენილი ორი გადმოცემა, რომელთაგან, პირველი მიუთითებს, რომ „თუში“ მათ ლეკებმა უწოდეს და წარმომდგარა სიტყვა „დუშთ“-იდან, რაც დუშმანს ნიშნავს[28]. მეორე გადმოცემით, მთიელებისათვის „თუშის“ დარქმევა თათრებს მიეწერება.

თუშური გადმოცემის მიხედვით, უძველეს დროს თუშები კახეთის ბარში შემოსულ „თათართა“ წინააღმდეგ საბრძოლველად მთიდან ჩამოსულან და ახლანდელი სიღნაღის რაიონის სოფ. ხირსის ტერიტორიაზე (მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე) ცხარე ბრძოლა გაუმართავთ ბარელ თანამემამულეებთან ერთად. მთიელებს ხსენებულ შეტაკებაში განსაცვიფრებელი გმირობით უსახელებიათ თავი და მტერი განადგურების პირამდე მიუყვანიათ. მტრის მხრიდან დარჩენილა მცირე ნაწილი და მათი ბელადი, რომელსაც, მთიელთა ვაჟკაცობით გაოცებულს, თითქოს უთქვამს, რომ მათი სახელი „თუში“ (აზერბაიჯანულ ენაში ეს სიტყვა ხშირად მამაცი და იშვიათი მსროლელის მნიშვნელობითაც იხმარება) უნდა იყოსო. ასეთია ერთ-ერთი ვერსია, რომელიც, რა თქმა უნდა, სატომო სახელის წარმოშობის დასადგენად ვერ გამოდგება, რადგან იგი (თუში) გაცილებით ადრეულ ეპოქებშია დადასტურებული, ვიდრე აზერბაიჯანულ ტომთა შემოსევები კახეთის ბარში.

ს. მაკალათია, ეხება რა სატომო სახელ „თუშის“ წარმომავლობის საკითხს, შენიშნავს, რომ: „შესაძლებელია ამ სახელს კავშირი ჰქონდეს ქისტურ წარმართულ ღვთაება „თუშოლ“-თან, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა და მას ქისტ-ჩაჩნეთის თემები თაყვანსა სცემდნენ“[29].

სატომო სახელის „თუშის“ გაჩენისა და წარმომავლობის ზუსტი დადგენა ამჟამად არ ხერხდება, რადგან მისი ისტორია წინაქრისტიანულ ხანაში იწყება და ბურუსითაა მოცული.

პირველად თუშეთი, როგორც გეოგრაფიული სახელი, ნახსენებია ფარნაოზის ქართლში მეფობის პერიოდთან დაკავშირებით. ძვ. წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში გამეფებულ ქართლის მეფე ფარნაოზს

---

[28] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 15; Б. К. Д а л г а т, Первобытная религия чеченцев, Влад., 1893, стр. 61.

[29] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 15.

სამეფო საერისთაოებად დაუყვია და ერთ-ერთ მათგანში თუშეთიც გაუერთიანებია. აღნიშნულის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „მეფემან ფარნაოზ დასვა კაიეთის და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასვეს ჰერეთისა ერისთავი სხვა და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხვა“[30].

თუშეთში აღმოჩენილი პრეისტორიული ხანის ნივთები: ბრინჯაოს ორი ირმის ქანდაკება, რომელიც დათარიღებულია დაახლოებით ძვ. წ. XII — IX საუკ., ბრინჯაოს ბალთა, რომელიც V—I საუკ. თარიღდება, ამავე საუკუნეებით დათარიღებული მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება ხელში კომბლით, საყურეები, სამაჯურები და სხვა, რომლებიც ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ამტკიცებენ, რომ „თუშეთის ტერიტორიაზე ადამიანს პრეისტორიულ ხანიდან უცხოვრია და კულტურულადაც უმოღვაწია“[31].

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ იბერიის სახელმწიფოს აღწერისას განასხვავებს მთაში მოსახლე ტომებს ბარის მოსახლეობისაგან და წერს: „უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან: თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც, და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი (ე. ი. სკვითებისა და სარმატების) სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი მებრძოლი“[32].

მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ დადასტურებულია, რომ სტრაბონის მიერ დახასიათებულ იბერიის „მთიანი მხარის“ მოსახლეობაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტომები.

როგორც ცნობილია, სტრაბონი ცხოვრობდა ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და ახ. წ. I ს-ის პირველ მეოთხედში, მაგრამ იგი „თავისი „გეოგრაფიის“ შედგენისას, კერძოდ, საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემისას, იყენებდა როგორც თავისი თანამედროვე, ისე უფრო ადრეული ავტორების თხზულებებს, ამდენად, მისი ცნობა საქართველოს მთიელების შესახებ შეიძლება პირველ საუკუ-

---

30 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 146.

31 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 14.

32 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 128.

ნეზე უფრო ადრეულ (დაახლოებით ძვ. წ. III—II სს.) პერიოდს განეკუთვნებოდეს"[33].

მეორე საუკუნის ბერძენი გეოგრაფი კლ. პტოლემაიოსი კავკასიის ტომების აღწერისას თუშებსაც იხსენიებს. იგი თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" წერდა: „კავკასიის მთას და კერვანის მთებს შორის (ცხოვრობენ) ტუსკები და დიდურები"[34]. პტოლემაიოსის ცნობა, გარდა იმისა, რომ თუში ტომით თუშეთის დასახლებაზე მიუთითებს, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი თუშებს დიდოელებთან, დიდურებთან ერთად ასახელებს, როგორც კავკასიისა და კერვანის მთებს შორის მოსახლე მთის ტომს. ამ აზრს ეთანხმება ვახუშტის ცნობა, რომ ფარნაოზის დროს თუშეთი, დიდოეთთან და ხუნზახთან ერთად ერთ საერისთავოში ყოფილა გაერთიანებული. ცნობის სისწორეს თუშეთისა და დიდოეთის გეოგრაფიული მდებარეობაც ადასტურებს.

ქართულ წყაროებში თუშეთი ახ. წ. მეოთხე საუკუნის ამბებთან დაკავშირებითაც იხსენიება. ამ დროისათვის თუშეთი თავისი მოსახლეობისა და მდებარეობის მიხედვით იმდენად ცნობილი და საიმედო ყოფილა მეზობელი ქართველი ტომებისათვის, ამ შემთხვევაში — ფხოველთათვის, რომ გაქრისტიანების პოლიტიკით შეწუხებულ ფხოველებს თავისი ქვეყანა დაუტოვებიათ და თუშეთში გადასულან. აღნიშნულის შესახებ ლეონტი მროველთან ვკითხულობთ: „ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთსა"[35].

ლეონტი მროველის ცნობა თუშეთში ფხოველთა (ფშავლებისა და ხევსურების) გადასვლის შესახებ სინამდვლეს შეეფერება და დღევანდელი მონაცემებითაც დასტურდება. თუშ-ფშავ-ხევსურეთში დღემდე არსებობს ერთი და იმავე სახელწოდების მქონე სოფლები და ნასოფლარები, რომელნიც უდავოდ მიუთითებენ აღნიშნული ფაქტის ჭეშმარიტებაზე. მაგალითად, თუშეთში არის სოფლები და ნასოფ-

---

[33] ნ. ასათიანი, ფშავი (ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 24).

[34] ნ. ლომოური, კლ. პტოლემაიოსი — „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 44.

[35] ცხოვრება ქართველთა მეფეთა, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 126.

ლარები: ხახაბო, ჩირდილი, ბასო, გოგრეულთა, ბოჭორმა, ალოტი და სხვანი, რომელნიც ანალოგს ფშავ-ხევსურეთშიც პოვებენ.

გარდა აღნიშნულისა, თუშეთში ფშავ-ხევსურების მასობრივ გადმოსახლებასა და თანდათანობით მათ გათუშებაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ თუშური კილო ქართული ენის სხვა რომელიმე კილოს ისე არ ეგესგავსება, როგორც ხევსურულს. თუშებისა და ხევსურების ენობრივ-დიალექტური მსგავსება კარგად შეუნიშნავს თუშეთში ყოფნის დროს ისტ. მეცნ. დოქტორს თ. ოჩიაურს, რომელიც წერს: „ინტერესი ხსენებული საკითხისადმი (თუშეთში ხევსურული წარმოშობის ხატების გაჩენის საკითხი, ვ. ე.) განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც თუშეთში ყოფნის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით ქალების მეტყველება გავიგონეთ და ხშირად გვეგონა, რომ ხევსური დიაცების საუბარს ვისმენდით. გასაოცარი დიალექტური მსგავსება ლექსიკისა თუ ინტონაციის მხრივ თავისთავად აღძრავდა საკითხს: რა აკავშირებს ასე ძლიერად აღმოსავლეთ მთიანეთის ამ ორ კუთხეს“[36].

IV საუკუნეში ფხოველთა საკმაოდ დიდი ნაწილის თუშეთში საცხოვრებლად გადასვლაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ დრომდე, XX საუკუნის 50-იან წლებამდე, ხევსურეთიდან ზაფხულობით მოდიოდნენ თუშეთში მლოცველები (ჯვარიონნი) — ჭაკმატიონნი და კარატიონნი და ლოცულობდნენ თავიანთ ჯვარ-ხატებზე, რომელთაც სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ, თუშები კი მათ ხშირად „ხევსურების ჯვარს“ უწოდებენ. ხევსურებს თუშეთის სამი თემის: ფომეწრის, პირიქითისა და ჩაღმის თითქმის ყველა სოფელში ჰქონდათ ხატები. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ წარმართ ფხოველებს, რომელნიც ქრისტიანულ სარწმუნოებას გამოექცნენ და თუშეთს შეაფარეს თავი, სათუთად შეუნახავთ თავისი სარწმუნოება და თუშეთშიც დაუწესებიათ წარმართული ჯვარ-ხატები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით სინამდვილედ არის მიჩნეული ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში შემორჩენილი მოტივი — შუბნურის, ხახმატისა და კოპალას მიერ თუშეთის დაპყრობის, თუშებისათვის ხა-

---

[36] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967, გვ. 60.

რკის დადებისა და იქ ხევსურული ხატების ამ გზით დაარსების შესახებ[37]. აღნიშნულ უზუსტობებზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით. რადგან ამ საკითხზე დაწვრილებით აქვს მსჯელობა თ. ოჩიაურს. იგი, ეხება რა ხსენებულ მოსაზრებას, შენიშნავს, რომ: „შეუძლებელია დამორჩილებულ მხარეს მოწინააღმდეგის ხატები ისეთ პატივში ბოლომდე ჰყოლოდა. დროთა ვითარებაში ისინი უნდა აღმოფხვრილიყვნენ და მათდამი ხალხს მოკრძალება და რიდი უნდა დაჰკარგოდა. ჯერ თვით ხევსურეთშივე, როდესაც ადგილობრივ სხვა ხეობებზე ლაშქრობდნენ, ერთმანეთის ხატებს ძალზე აგდებით ეკიდებოდნენ“[38].

თ. ოჩიაურის ვარაუდით, „ხევსურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე, თუშეთში ხევსურთა მასობრივი და ერთდროული ჩამოსახლების შედეგი უნდა იყოს“[39]. სხვაგვარი ვარაუდის დაშვება შეუძლებელიც არის, რადგან თუშებსა და ხევსურებს შორის არასდროს მომხდარა დიდი კონფლიქტები. მათ შორის უმეტესწილად ჭირისა და ლხინის გაზიარება, ძმობა და მეგობრობა სუფევდა. და თუ მათ ოდესმე მოსვლიათ უსიამოვნება, ეს იყო პიროვნული ხასიათისა და არა ტომობრივი შუღლი და მტრობა. თუშებისა და ხევსურების ამ მრავალსაუკუნოვანმა მეგობრულმა თანაარსებობამ განაპირობა ის, რომ ხევსურები და თუშები ადრეც და ახლაც ერთიმეორეს ბიძაშვილობით მოიხსენიებენ. დ. ალბანელი შენიშნავს ხევსურებისა და თუშების ურთიერთდამოკიდებულებაზე: „თუშ-ფშავ-ხევსურნი ხან მტრობდნენ ერთმანეთს და ხან ძმობდნენ. ხოლო ის კი აშკარაა ჩვენთვის, რომ ხევსურები და თუშები მომეტებულ წილად მეგობრულად ცხოვრობდნენ ერთმანეთში; ხევსურებს და თუშებს ფშავლებთან უფრო შუღლი ჰქონდათ“[40].

ხევსურთა ჯვარიონის მოგზაურობა თუშეთში „...დამპყრობლების მიერ ბეგარის ასაღებად სიარულს კი არ ნიშნავს, არამედ თავის განა-

---

[37] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1958, стр. 9.

[38] თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[39] იქვე, გვ. 64.

[40] დ. ალბანელი, წინასიტყვაობა „თუშური სიმღერებისა“, „კვალი“, 1897, № 13.

ყარ მოძმე მოსახლეობასთან კონტაქტს და ამდენად მონათესავე ხატებში მოგზაურობას უდრის"[41].

როგორც ირკვევა, ხევსურები თუშებთან ერთად დიდოეთში ლაშქრობდნენ და არა თუშეთში. დიდოეთი თუშეთს ესაზღვრება აღმოსავლეთის მხრიდან. მათ შორის ადგილების თაობაზე დავა XVIII — XIX საუკუნეებში რამდენჯერმე აღინიშნება. დიდოთა და თუშთა შორის ტერიტორიის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო თავდასხმები ალბათ ადრეც იქნებოდა. მეზობელ დიდოებთან ბრძოლაში ჩაბმულ თუშებს ხევსურები მარტო არ დატოვებდნენ და შეერთებული ძალით დაიწყებდნენ მათ წინააღმდეგ ლაშქრობას. ასეთი ვარაუდის დაშვება ზოგიერთი ხალხური გადმოცემის მიხედვითაც ხდება შესაძლებელი. 1954 წელს თ. ოჩიაურს ჩაუწერია გადმოცემა თუშეთის სოფ. შტროლთის მცხოვრებ გიო წვერაიძისაგან, რომელიც ადასტურებს თუშ-ხევსურების ბრძოლებს დაღესტნელების წინააღმდეგ. გიო წვერაიძის თქმით, „ერთმანეთში ფშავლებს და ხევსურებს კინკლაობა ჰქონიათ, თუშებთან კი დიდი კავშირი. დაღესტნის პოსტზე საყარაულოდ ხევსურები ჩამოდენილან. დიკლოს იქით ფიჭეხს ეძახიან, იქ არის საყარაულო კოშკი"[42].

ზემომოტანილი ყველა ცნობა თუ მასალა იმაზე მიგვითითებს, რომ თუშეთისა და თუშების ისტორია ძველთაგანვე იწყება, რომ უკვე ახ. წ. III—IV საუკუნეებისათვის თუშები დახმარების ხელსაც კი უწვდიან სამშობლოდან დევნილ ფხოველებს.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, მომდევნო საუკუნეებში, სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუშეთზე და თუშების შესახებ ქართულსა და უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურაში გვხვდება საინტერესო ცნობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება (რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად) წარმოდგენა ვიქონიოთ თუშეთის ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე.

თუშეთის თავდაპირველი დასახლების თაობაზე კი, ვფიქრობთ, არსებითს ველარაფერს დავამატებთ, რადგან ამ მხრივ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ამ თავისებურებათა გამო იყო, რომ რ. ერისთავი შენიშნავდა: «Трудно определить, не имея никаких фактов, ни-

---

[41] თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[42] იქვე, გვ. 60.

каких данных, когда... Тушины населили настоящие места и жительства»[43].

მისივე აზრით, თუშეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ თურქეთისა და ირანის თავდასხმების შედეგად მშობლიური კუთხეებიდან გადახვეწილი და მთისათვის თავშეფარებული ქართველები[44]. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრებაც, რომ თუშეთში გარეშე მტერთაგან ლტოლვილთა გარდა, თავს აფარებდნენ სოციალური უსამართლობისა და კლასობრივი ბრძოლის შედეგად დევნილი მშრომელები. ცნობილია ისიც, რომ თუშეთში იმალებოდნენ საქართველოს მეზობელ კუთხეებში თუ მოსაზღვრე ჩეჩნ-ინგუშეთსა და დიდოეთ-დაღესტანში დამნაშავეებად შერაცხული პირებიც[45]. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თუში ტომი თითქოს ძველთაგანვე ასეთი ნაკრები ადამიანებისაგან იყოს ჩამოყალიბებული და მას არ გააჩნდეს საკუთარი ტომობრივი სახე და ეთნიკური ინდივიდუალობა.

ტომო სახელ „თუშთან" დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხელოვნურად არის შექმნილი ტერმინი — მთა-თუშეთი. თუშეთის გარშემო არსებული ისტორია არ იცნობს, რომ თუშეთს მთა-თუშეთი რქმეოდეს. არ არსებობს ბარის თუშეთი და მთის თუშეთი. არის ერთი თუშეთი და უნდა ვთქვათ თუშეთი და არა მთა-თუშეთი"[46].

მართალია, აღნიშნულ დამახინჯებათა შესახებ მრავალჯერ ითქვა, მაგრამ იგი ჯერაც არ არის აღმოფხვრილი, ამის გამო ცნობილმა მწერალმა ლ. მრელაშვილმა სამართლიანად განაცხადა: „მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ამ დიდი ტრიბუნიდან ვუსაყვედურო ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, რომ თუშეთს ხშირად მთა-თუშეთად წერენ და იხსენიებენ. არავითარი მთა-თუშეთი არ არსებობს, არის მხოლოდ თუშეთი და გაოცებული ვარ, ეს „მთა-თუშეთი" ვინ და როდის „აღმოაჩინა", რა თქმა უნდა, კახეთის ბარშიც სახლობენ თუშები

---

[43] Р. Эристов. Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе, газета «Кавказ», № 43, 1854.

[44] იქვე.

[45] გრ. ზარდალიშვილი, მთათუშეთის (ეკონ-გეოგრაფიული, დახასიათებისათვის) საკანდ. შრომა, ხელნაწერი, 1946, გვ. 68.

[46] ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის, თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 62.

მაგრამ იქ ასევე სახლობენ ხევსურები, ფშავლები, მთიულები, მოხეველები, სვანები და გუდამაყრელები. მაგრამ ჯერ არსად გამიგია და არც წამიკითხავს — მთასვანეთი, მთახევსურეთი, მთახევი, მთამთიულეთი, მთაფშავი და მთაგუდამაყარი. ასე რომ დროა ჩვენმა პრესამაც და რადიო-ტელევიზიამაც სწორად იმეტყველოს და სწორად წეროს თუშთა საცხოვრისი ადგილის სახელი"[47].

„თუშთან" დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ერთი ეთნიკური ტერმინის — „მოსოხის" შესახებ მოცემული განმარტება: „რაკი წოვა-თუშნი (ტუსკოდ) ჩაჩნების ანუ ნახჭოუს ტომია, ლეკები კი მათ „მოსოხ"-ს უწოდებენ, ამიტომ ეს სახელი — „მოსოხ"-ი ნახჭოუს ტომის სახელადაც გამოდის და ჩვეულებრივ კი ქართველთა ტომის, მესხების სახელად იხმარებოდა"[48].

მეტად საინტერესოა, რატომ გაუკეთა ივ. ჯავახიშვილმა სატომო სახელ „მოსოხს" სქოლიოში ასეთი განმარტება, როცა იქვე, ამ საკითხზე მსჯელობისას პირდაპირ შენიშნავდა, რომ „ლეკები ქართველ თუშებს მოსოხს უწოდებენ"[49]. თანაც თავისი აზრის ნათელსაყოფად პ.უსლარის შეხედულებასაც იშველიებდა ამ საკითხის შესახებ: „უსლარს სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ ეს გარემოება იმ შორეული წარსულის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც მოსოხი ქართველთა ზოგადი სახელი იყო"[50].

ამრიგად, თუშეთის ახლანდელი ტერიტორია უძველესი ხანიდანვე თუშეთად იწოდებოდა და იქ მცხოვრებ ხალხს თუშებად (მოსოქებად), თუშ ტომად იცნობდნენ. ასე გრძელდებოდა თუშეთის ისტორია საუკუნეების მანძილზე, რადგან საქართველოს ბარიდან შემოხიზნული თანამემამულენი თუ იმიერკავკასიიდან თუშეთში საცხოვრებლად გადმოსული ოჯახები თვითონ თუშდებოდნენ და თუშზე, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომზე, არსებით ზემოქმედებას ვერ ახ-

---

[47] ლ. მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, სოფლის სატკივარი, „ლიტერატურული საქართველო", № 1, 1974.

[48] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. 51.

[49] ი ქ ვ ე.

[50] ი ქ ვ ე.

დენდნენ. მაგრამ თუშეთში წოვების[51] საკმაოდ მასობრივმა დასახლებამ თუშეთის ეთნიკურ შემადგენლობაში სიახლე შეიტანა, რადგან მათ სრულიად ახალი, დამოუკიდებელი თემი — წოვათა თემი შექმნეს და ამ მოვლენამ თანდათანობით სატომო სახელ „თუშზეც“ იმოქმედა. წოვების ხანგრძლივად თუშეთში ცხოვრებამ გამოიწვია მათი სატომო სახელის — „წოვის“ „წოვა-თუშად“, ხოლო სატომო სახელ „თუშის“ „ჩაღმა-თუშად“ გარდაქმნა-გადაკეთება.

ტერმინი — „ჩაღმა“ თუშეთის ერთი თემის, ერთი კუთხის სახელია და სატომო სახელად ვერ გამოდგება.

ის ქართველი ტომი, რომელსაც ახლანდელი თუშეთის ტერიტორია დაუსახლებია, თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო თავიდანვე დანაწევრებულა და დასახლების სამი უბანი შეუქმნია: ჩ ა ღ მ ა. გ ო მ ე წ ა რ ი და პ ი რ ი ქ ი თ ი. დროთა ვითარებაში დასახლების ეს გეოგრაფიული სახელები თემის სახელებადაც იქცა და მივიღეთ სამი თემი, სამი საზოგადოება: ჩ ა ღ მ ი ს, გ ო მ ე წ რ ი ს ა და პ ი რ ი ქ ი თ ი ს ა. ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ „ჩაღმა“ თუშეთის ერთი თემისა და კუთხის სახელია და არა მთელი თუშეთისა და თუში ხალხისა. რადგან „ჩაღმა-თუში“, თუ საკითხს ობიექტურად მივუდგებით, ყველა თუშს არ ნიშნავს, მხოლოდ პირობითი ტერმინია, ისტორიული თვალსაზრისით უფრო სწორი იქნება ვთქვათ — „თუში“ და არა „ჩაღმა-თუში“. თუშები რომ სამ თემად ცხოვრობდნენ და მათ თუშები ერქვათ და არა ჩაღმები, ეს ვითარება კარგად არის ასახული ერთ რუსულ საარქივო დოკუმენტშიც, რომელიც შედგენილია 1657 წლის იანვარში. მოსკოვში ჩასული თუში ელჩები სამეფო კარს განუმარტავენ, თუ ვინ არიან თუშები და სად ცხოვრობენ: «...живем мы в крепких местах, в горах, в трех станах»[52].

თუშეთის ხსენებულ სამ უბანში, რა თქმა უნდა, ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის თემები უნდა ვიგულისხმოთ, რადგან თუშები ოდითგანვე აღნიშნულ თემებად იყვნენ გაყოფილნი (ისინი ამ ტრა-

---

[51] ელ. ბორჩაშვილი, გ. ალდამოვი, რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, ო. გაბიძაშვილის რედაქტორობით, თბ., 1973, გვ. 171.

[52] С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI (том 11—12), М., 1961, стр. 555—556.

დიციას ახლაც აგრძელებენ), დღევანდელი წოვათა კი თუშების სამოსახლოდ არ ყოფილა გამოყენებული.

აღნიშნული საარქივო მასალა იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ იქ არაფერია ნათქვამი თუშეთში წოვების ცხოვრების თაობაზე. წოვები რომ მაშინ უკვე თუშეთის მკვიდრნი ყოფილიყვნენ, მოსკოვში, სამი თუში კი არ ჩავიდოდა, არამედ ოთხი, როგორც ოთხი თემის: ჩაღმის, გომეწრის, პირიქითისა და წოვათის წარმომადგენლები. ქართული საარქივო მასალებითა[53] და გამოქვეყნებული ლიტერატურითაც[54] წოვების თუშეთში ცხოვრება მხოლოდ XVII ს-ის მეორე ნახევრიდან აღინიშნება. ამასვე ადასტურებს ქართული ზეპირსიტყვიერებაც, კერძოდ, ბახტრიონის აჯანყების თაობაზე შექმნილი ლექსები და გადმოცემები.

თუშეთში წოვების დასახლებიდან დღემდე მიმდინარეობს კვლევა-ძიება თუშებისა და წოვა-თუშების იგივეობა-განსხვავებულობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხმა თავიდანვე როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებში ძირითადად სწორი ასახვა პოვა და გაირკვა ამ ორი ტომის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული წარმომავლობა, დღეს აქა-იქ მაინც ვხვდებით იმის ცდას, რომ თუშები და წოვა-თუშები ერთი წარმოშობის ხალხად გამოაცხადონ[55,56].

თუშეთის ეთნიკური შემადგენლობისადმი აღნიშნული მიდგომა დამაჯერებლობას მოკლებულია და ეწინააღმდეგება იმ მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას, რაც ხსენებული საკითხის ირგვლივ დაგროვდა XVII—XX საუკუნეებში. აღნიშნული საკითხის შესახებ სუბიექტური და დაუსაბუთებელი მსჯელობა სათანადოდ იქნა გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, მკვლევარ ჯ. სტეფნაძის მიერ ა. შავხელიშვილის დასახელებული ნაშრომის თაობაზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში, სადაც ვკითხულობთ, რომ: „თუ წოვები და-

---

[53] ეკვთიმე თაყაიშვილი, ორი ქვაზე დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1362.

[54] არჩილიანი (თხზულებათა სრული კრებული), ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1936, გვ. 205.

[55] ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1970.

[56] ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI—XIX სს. I ნახევარში), 1977.

ნარჩენი თუშების მსგავსად იმთავითვე ქართველი ხალხის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც ეს ავტორს მიაჩნია, რატომ აქვთ მათ ქართულისაგან განსხვავებული ენა?"[57], აქვე ჯ. სტეფნაძე დასძენს, რომ „ავტორს გადასაჭრელი რჩება წოვათა ენის პრობლემა. ცნობილია, რომ ეს ენა სიახლოვეს ავლენს ჩეჩნურ-ვეინახურ ენებთან"[58].

რეცენზენტი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ სამართლიანი შენიშვნის მიცემით და იქვე, იმავე წერილში, შეეცადა მოეცა ახსნა-განმარტება იმ ენობრივ თავისებურებათა შესახებ, რაც წოვებს გააჩნიათ, როგორც ორენოვან ხალხს. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია განაცხადოს, რომ წოვები, რომელთაც „ქართულისაგან განსხვავებული ენა აქვთ, ნაყოფი უნდა იყოს იმ მოვლენისა, რომელიც ე. წ. „მთის ჩამოწოლით" არის ცნობილი"[59]. იგი ამ პროცესს საკმაოდ ფართოდ იხილავს და დასძენს, რომ: „ვფიქრობთ, ამ მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი თუშეთში, როცა მის ზოგიერთ მხარეში ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ერთეულები ჩამოსხდნენ"[60].

თუშეთში წოვების დასახლების შესახებ თავის დროზე ვრცლად ვილაპარაკეთ[61], რის გამოც ამ საკითხზე აღარაფერს ვამბობთ, მაგრამ ის კი უნდა შევნიშნოთ რომ თუშეთში წოვების დასახლება გამოწვეული უნდა იყოს იმ მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობით, რაც თუშებს და მის მეზობელ იმიერკავკასიელ მთიელებს ჰქონდათ, რადგან როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ"[62].

---

[57] ჯ. სტეფანაძე, ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, ჟურნალი „მაცნე", № 1, 1978, გვ. 197.

[58] იქვე.

[59] იქვე.

[60] იქვე.

[61] ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი, 1968, გვ. 15—65.

[62] ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 95.

ივანე ჯავახიშვილის ხსენებულ დასკვნას მხარს უჭერს მის შემდგომ წარმოებული მდიდარი საენათმეცნიერო-არქეოლოგიურ-ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალები, რომელთა საფუძველზეც აღინიშნება, რომ: „...არქეოლოგები, როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიაში ხშირად პოულობენ ისეთ ძეგლებს, რომელნიც აშკარად ღაღადებენ კავკასიის უძველესი მოსახლეობის საერთო კულტურის არსებობაზე. ზოგჯერ ეს მაჩვენებლები იმდენად ნიშანდობლივია კავკასიის დიდი ნაწილისათვის, რომ მკვლევართ ვერც კი მოუხერხებიათ ამა თუ იმ კულტურის კუთვნილების კონკრეტულად დადგენა-განსაზღვრა“[63].

კავკასიის უძველესი მოსახლეობის საერთო კულტურისა და უტყუარი ნათესაობის თანამედროვე კვლევა-ძიების შედეგები ნათელს ჰფენს და თანდათან უფრო დამაჯერებელს ხდის XI საუკუნის მეორე ნახევრის დიდი საეკლესიო მოღვაწის ლეონტი მროველის თეორიას, რომლითაც ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ერთი მამიდან, ერთი ფუძიდან მომდინარეობენ.

ქართველი ხალხისა და იმიერკავკასიელი ხალხების თავდაპირველი წარმომავლობის მიხედვით ერთ ისტორიულ ჭრილში განხილვის თანამედროვე მიღწევები საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ თუშეთის მეზობლად მცხოვრები ღალღები (წოვები) ალბათ დანარჩენი ღლიღვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად ავლენდნენ თავდაპირველ ბუნება-ნათესაობას ქართულ ენასა და კულტურასთან, ქრისტიანობასთან, როგორც მშობლიურ რელიგიასთან, ისტორიულ სამშობლოსთან, რამაც თუშ ტომს მისცა საფუძველი, რათა სათუშო ყრილობის გადაწყვეტილებით (ასე მსჯელობს თუშური გადმოცემა) დაეკმაყოფილებინა თანამოძმეთა თხოვნა და მათთვის თუშეთში დასახლების უფლება მიეცათ[64]. ასეთია ჩვენი ვარაუდი ამ ურთულეს საკითხზე, რაც, რა თქმა უნდა, მომავალში უფრო გაირკვევა, დაიხვეწება და ნათელი გახდება მისი ნამდვილი ისტორია.

---

[63] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, 1971, გვ. 84.

[64] სხვათაშორის, წოვა-თუშების ჩამოსახლების შესახებ ანალოგიური აზრია გატარებული ა. ი. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ადრინდელ ნაშრომშიც: „ქართველი და ჩეჩენ-ინგუში ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, გროზნო, 1963, გვ. 75 (რუსულ ენაზე). იგივე აზრია გამოთქმული ვ. ლ ა გ ა ზ ი ძ ი ს ნაშრომში „თუშეთის ისტორიიდან (XVII—XVIII ს.ს.)“, ჟურნ. „მაცნე“, 1965 წ., № 4, გვ. 67—84.

თავი II

თუშეთის გვაროვნულ-თემური მმართველობა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება

§ 1. თუშური თემის ევოლუცია

მეცნიერებაში გაურკვეველი რჩება, თუ როგორი იყო თუშეთის დასახლების პირვანდელი სტრუქტურა, ე. ი. თუშეთის მთელი ტერიტორია, ყველა კუთხე და ხეობა თავიდანვე იქნა ათვისებული, თუ შემდგომში მიმდინარეობდა მისი თანდათანობითი შევსება?

დღემდე გამოვლენილი ქართული და უცხოური მასალებიდან უძველესად ითვლება XVII საუკუნის 50-იანი წლების რუსული საარქივო დოკუმენტი, სადაც პირველად ვხვდებით ცნობას თუშეთის მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების შესახებ[1].

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფო კარზე გამოცხადებულმა სამმა თუშმა, რომლებიც რუსეთის მფარველობაში თუშეთის აყვანას თხოულობენ, საელჩოს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას განაცხადეს: «Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах»[1].

თუში ელჩების მიერ აღნიშნული სამი უბანი (ბანაკი) უნდა გულისხმობდეს თუშეთის ფარსმის ჯევს (მერმინდელი პირიქითის თემი), ჩაღმისა და გომეწრის თემებს, რადგან მომდევნო საუკუნეებში ვახუშტი თუშეთის განსახლებას ამ სახელწოდებების მიხედვით წარმოგვიდგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასთან თუშეთის სხვა თემების გვერდით წოვათა თემიცაა დასახელებული. ეს გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ 1657 წლისათვის წოვები ჯერ კიდევ თუშეთში არ ცხოვრობდნენ, ვახუშტის დროს კი წოვათა ჩამოსახლე-

---

[1] С. М. Соловьев. История России с древнейших времен, кн. VI (тома 11—12), М., 1961, стр. 555—556.

ბის პროცესი დამთავრებული ჩანს, რადგან იგი მათი მოსულობის შესახებ არაფერს ამბობს და მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით ასხვავებს ერთიმეორისაგან. ჩაღმისა და გომეწრის თემებზე შენიშნავს, რომ „სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა“. „ფარსმანის ჯევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“, „ხოლო რომელნი არიან მჯარეთა ქისტთა და ღლიღუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი“[2]. ეს ბოლო განმარტება ეხება წოვათა თემს და მის მოსახლეობას.

ვახუშტის მიხედვით, XVIII საუკუნის თუშეთის ოთხივე თემში 73 სოფელი ყოფილა[3].

იოანე გიორგის ძე ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის ბოლოს, კერძოდ 1797 და 1799 წლებში შედგენილ დავთარშიც, რომელიც შეეხება ქართლისა და კახეთის „შენნი და უშენნი სოფლების“ აღწერას, თუშეთის ოთხი თემია აღნიშნული. იგი წერს: „თუშეთის ხეობა — ჩაღმა, პირიქითი (ვახუშტი ფარსმანის ჯევს ხმარობს პირიქითის ნაცვლად, ვ. ვ.), წოა, გომეწარი“[4].

XIX საუკუნის საარქივო[5] თუ გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვითაც თუშეთში ოთხი თემი ყოფილა[6]. სერგი მაკალათიაც თუშეთს ოთხი თემის მიხედვით მიმოიხილავს[7].

ვახუშტი ბაგრატიონთან თუშეთის 73 სოფელი ცალკეული თემების მიხედვით არაა განაწილებული. იგი 37 სოფელს მიაწერს წოვა-

---

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554—555.

[3] იქვე.

[4] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 5, საქმე 3729, ფ. 139.

[5] საქ.ცენტ. სს, ფონდი 254, ანაწ. 2, საქ. 399; იქვე, ფონდი 254, ანაწ. I, საქ. 2042; იქვე, ფონდი 26, ანაწ. 6, საქ. 421.

[6] И. Цискаров, Записки о Тушети, газ. «Кавказ», 7, 1849; А. Берже, Краткий обзор горских племен на Кавказе, Тиф., 1858, стр. 37; Эристов Р. Д. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, Записки кавказского отдела ИРГО, кн. 3, Тиф.,1855, стр. 88—89; Д. Г. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, «Русский вестник», т. II, стр. 521; Н. Дубровин, История войны и владычества на Кавказе, т. I, кн. II, С-ПБ, 1871, стр. 281 и др.

[7] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 10 და სხვ.

თის, გომეწრისა და ჩაღმის თემებს, ხოლო 36-ს — „ფარსმანის თუშეთს". მეცნიერი სოფლებს არ ასახელებს.

XIX საუკუნის საარქივო თუ გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი შევსებულია და თითოეული თემი სოფლებისა, კომლთა რაოდენობისა და სხვა მრავალი მონაცემის მიხედვითაა წარმოდგენილი.

ქვემოთ დასახელებული საარქივო დოკუმენტებისა და ლიტერატურის მონაცემებით XIX საუკუნის პირველი ნახევრის თუშეთში 47 სოფელი ყოფილა. ამ 47 სოფლიდან 35 წოვათის, გომეწრისა და ჩაღმის საზოგადოებებზე მოდის, 12 კი — პირიქითის თემზე.

XVIII საუკუნის თუშეთის 73 სოფლიდან 2 სოფელი აკლია წოვათა-გომეწარ-ჩაღმის თემებს, ხოლო 24 სოფელი — ფარსმა-პირიქითის თემებს. თუშეთის სოფლების ასეთი შემცირება სრულიად ბუნებრივია, რადგან XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან დიდად გაუარესდა თუშეთის ცხოვრება, რაც გამოწვეული იყო იმიერკავკასიელი ტომების გამუდმებული თავდასხმებით.

1831 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, თუშეთის 47 სოფელი თემებზე შემდეგნაირად არის განაწილებული: პირიქითის თემში არის 12 სოფელი: ჩიღო — 24 კომლი, დართლო — 35, კვავლო — 14, დანო — 19, ფარსმა — 38, ბასო — 4, ჭეშო — 6, გირევი — 22, ნაკუდურთა — 3, დაქიურთა — 9, ჭონთიო — 39, ჭეღო — 8; გომეწრის საზოგადოებაში გაერთიანებულია 18 სოფელი: ჯვარბოსელი — 23 კომლი, ვერხოვანი — 19, დადიკურთა — 11, ვეძისხევი — 8, ალისგორი — 4, კოკლათა — 2, ვაკის ძირი — 8, ციხე — 4, გუდანთა — 9, ბეღელა — 17, ბიქიურთა — 11, იდიურთა — 25, ბუხურთა — 8, ვესტომთა —7, ვესტმო — 11, გოგრულთა — 13, საჩიღოლო — 8, დოჭუ — 36; წოვათა საზოგადოებას შეადგენდა 4 სოფელი: საგირთა — 71 კომლი, ეთელთა — 48, ინდურთა — 127, წარო — 30; ჩაღმის საზოგადოებაში შედიოდა 13 სოფელი: ბოჭორმა — 32 კომლი, ომალო — 36, ქუმელაურთა — 16, ცოკალთა — 9, ქველურთა — 8; ხახაბო — 25, ჩიგლაურთა — 16, ნაციხვარი — 3, შტროლთა — 7, ხისო — 27, შენაქო — 41, აგეურთა — 12, დიკლო — 36[8].

---

[8] საქ. ცსსა, ფონდი — 254, ანაწ. 2, საქ. 399, ფურც. 1—217.

დ. ზუბარევის მიერ თუშეთის შესახებ დატოვებულ მდიდარ და საინტერესო ცნობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ კუთხის კამერალური აღწერის მასალებს, რაც XIX საუკუნის 30-იან წლებს განეკუთვნება. აქ ყურადსაღები ის არის, რომ მკვლევარი სოფლებისა და კომლთა რაოდენობის დასახელებასთან ერთად თუშეთის მოსახლეობას წარმოგვიდგენს მკვიდრთა და არამკვიდრთა (ე. ი. მოსულთა) აღნიშვნით, მდედრობითი და მამრობითი სქესის მიხედვით.

დ. ზუბარევი აღნიშნავს, რომ პირიქითის საზოგადოებაში, რომელიც 12 სოფელს აერთიანებს, არის თუშების 209 კომლი, სადაც აღრიცხება 464 მამრობითი და 463 მდედრობითი სქესის ადამიანი. ამავე თემში ცხოვრობს ქისტების 9 კომლი — 35 მამრობითი და 28 მდედრობითი; გომეწრის საზოგადოებაში ყოფილა 18 სოფელი — 224 კომლი, მამრობითი — 556, მდედრობითი — 557. აქ მხოლოდ თუშები ცხოვრობენ; წოვათა საზოგადოებაში ოთხ სოფელს ასახელებს, სადაც აღრიცხულია თუშების 273 კომლი, მამრობითი — 740, მდედრობითი — 770, ქისტების სამი ოჯახი, მამრობითი — 7, მდედრობითი — 4. ხევსურების 2 კომლი, მამრობითი — 4, მდედრობითი — 6; ჩაღმის თემში აღწერს 13 სოფელს, სადაც უცხოვრია თუშების 261 კომლს, მამაკაცს — 587, ქალს — 590; ქისტების 2 კომლს, მამაკაცს — 4, ქალს — 6; ხევსურების 3 კომლს, მაააკაცს — 5, ქალს — 4. ხსენებული მსჯელობის დასკვნით ნაწილში მკვლევარი შენიშნავს: «Тушин 967 домов, душ мужского пола 2,347, женского 2,380, Кистин четырнадцать домов, душ мужского пола 46, женского 38 и Хевсуров пять домов, душ мужского пола 9 и женского 10»[9].

საარქივო დოკუმენტებისა და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ თუშეთის მოსახლეობა ჯერ ცხოვრობს სამ უბნად, ე. ი. სამ თემად, ესენია: ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის (ფარსმის) თემები, ხოლო შემდგომში, XVII ს-ის 60-იანი წლებიდან, მათ დაემატათ წოვათა თემიც.

თუშეთის თავდაპირველი განსახლების თაობაზე ძნელია მსჯელობა თვით თუშეთის მასალების მიხედვით, რადგან იქ ამ თვალსაზრისით მცირე მონაცემებია შემორჩენილი. სამაგიეროდ, თუშეთის მეზობელ ფშავსა და ხევსურეთში განსახლების თავდაპირველი სურათი ბოლო

---

[9] Д. Зубарев, დასახელებული შრომა, გვ. 521—522.

დრომდე კარგად იქნა შემონახული, რაც თუშური თემის შესწავლისა-თვის შეიძლება გამოვიყენოთ.

ვახუშტი ბაგრატიონთან ფშავი და ხევსურეთი თემების მიხედვით არაა დახასიათებული. იქ საუბარია ფშავსა და ხევსურეთზე ზოგადად[10], მისი „საქართველოს ისტორია“ 1813 წელს გადაუწერია დავით რექტორს და ბევრი რამ თვითონაც დაუმატებია, აღნიშნულ ხელნაწერებში ფშავისა და ხევსურეთის სოფლები პირველადაა აღნუსხული[11]. ეს სია ეკუთვნის დავით რექტორს.

სიის მიხედვით ფშავში 1790 წლისათვის 11 სოფელი ყოფილა, ესენია: „უკანა ფშავი, ახადი, წითელაურთა, ხოშარა, ჭიჩო, მათურა, მუქუ, გოგოლაურთა, ცაბაურთა, უძილაურთა, შუაფხო“[12]. დავით რექტორი იქვე შემდეგსაც შენიშნავს: „აგრეთვე ფშავსა და ხევსურეთს შუა არის სოფელი, ფშავნი და ჯევსურნი ორნივ ცილობენ არა ჩვენია, არა ჩვენიო. სახელად ეწოდების აკუშო“[13]. ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფლის, ქართლ-კახეთის კათალიკოსისა და ბატონიშვილების ხელმოწერით ფშაველთათვის 1795 წელს მიცემულ განაჩენშიც ნათქვამია, რომ: „ფშაველნი თერთმეტნი თემნი არიან“, რაც ფშავში წარსულში თერთმეტი სოფლის არსებობას ადასტურებს[14]. XIX საუკუნის დასაწყისისთვისაც პ. გ. ბუტკოვისა და ნ. დუბროვინის მიხედვით, ფშავში თერთმეტი გვარი ყოფილა: «Пшави живут к востоку от хевсур, в вершинах рек Арагви и Иори, разделяются на одиннадцать фамилий и имеют до I т. дымов населения»[15].

როგორც აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ფშავის თითოეული სოფელი შეადგენდა ერთ ცალკე თემს, ე. ი. XVIII საუკუნეში ყოფილა 11 თემი. XIX საუკუნის მკვლევართა მიხედვით კი, ფშავში 12 თემია დასახელებული: ვაჟა-ფშაველა პირდაპირ წერს, რომ „ფშავლები შეადგენენ თორმეტს თემს: გოგოჭური, გაბიდოური, უძილაუ-

---

10 ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 532—534.

11 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი — H, საქ. 934.

12 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი — H, საქ. 934, გვ. 767.

13 ი ქ ვ ე.

14 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, 1934, გვ. 80.

15 Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1871, стр. 284.

რი, გოგოლაური, ჭიჩოელი, ახადელი. უკვენა ფშაველი, წითელაური, ქისტაური, წოწკოლაური, ტურანი და მისრიანი"[16].

ფშავში XIX საუკუნიდან 12 თემის არსებობის შესახებ ს. მაკალათია შენიშნავს: „შემდეგში ამ 11 თემს მიმატებია ფშავის ხევიდან გადასახლებული ჩარგლელების თემი და მთელს ფშავში ითვლებოდა 12 თემი"[17].

XIX საუკუნის 30-იან და 40—50-იან წლებში ფშავში 11 სოფლის ნაცვლად 12—13 სოფელი გვხვდება. რ. ერისთავი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ ფშავში XIX ს-ის 50-იან წლებში 12 თემი ყოფილა[18].

ვაჟა-ფშაველასთან ჩარგალი ცალკე თემად არ გვხვდება, სამაგიეროდ იგი ასახელებს თემს — გოგოჭურს, რასაც XIX საუკუნის მკვლევართაგან თითქმის არავინ იმეორებს. დავით ხიზანიშვილიც, რომელიც ფშავს ზედმიწევნით იცნობდა და მის შესახებ საინტერესო წერილები აქვს გამოქვეყნებული, ჩამოთვლის ფშავის 12 თემს და მათ შორის ჩარგლის თემსაც[19]. რ. ერისთავთანაც ფშავის 12 თემიდან ერთ-ერთი ჩარგლის თემია[20]. ვ. ბარდაველიძეც ფშავში 12 თემს ასახელებს, ხოლო მასთან, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ერთ-ერთ თემად გოგოჭურია დასახელებული, ჩარგლელები კი — არა. ვ. ბარდაველიძე საკითხს უფრო აკონკრეტებს და განმარტავს, რომ „ძირითადი ფშავი, რომელიც ფშავის არაგვის ხეობაშია, შედგება 12 თემისაგან, ამათგან, საკუთრივ ფშავლების გარდა, მეთორმეტე თემს შეადგენდნენ პირიქითელი ხევსურები — ფშავის ლაშარის ჯვარში ყმად გაფიცული ხახაბოელნი"[21].

ფშავში რომ ნამდვილად 12 თემი ყოფილა, იქიდანაც ჩანს, რომ ფშავის ლაშარის ჯვარისკარის ირგვლივ განლაგებული ყოფილა თო-

---

16 ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 25.

17 ს. მაკალათია. ფშავი, 1934, გვ. 68.

18 Р. Эристов, Зап. Кавказ. отдела ИРГО, кн. III. Тиф. 1855. стр. 78: Д. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, ж. «Рус. вестник», т. 2, № 6, 1841, стр. 324

19 დავით ხიზანიშვილი, ფშაველი და ფშაველები, „ივერია", № 139, 1889.

20 Р. Эристов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 78.

21 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 11—12.

რმეტი ღია საჯარე ადგილი „ლაშარის ჯვარის თორმეტი თემის შესაბამისად“[22].

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ დავით რექტორის მიერ გადაწერილ ვარიანტში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფშავის სოფლებთან ერთად ჩამოთვლილია ხევსურეთის სოფლებიც, მათი რიცხვია — 32. თუ ფშავის 11 სოფლის დასახელება ემთხვევა ფშავის თემების სახელწოდებას და ვიგებთ, რომ მაშინ ფშავში 11 თემი ყოფილა, ამ ხელნაწერის მიხედვით არ ჩანს, თუ ხევსურეთში რამდენი თემი იყო XVIII საუკუნის ბოლოსათვის. ერთი კია, რომ სოფლების ჩამოთვლა გარკვეული პრინციპის მიხედვით ხდება: ხევსურეთის 32 სოფელი შვიდ ერთეულად, ე. ი. ერთიმეორისაგან საგრძნობლად დაცილებულ ჯგუფებად არიან განლაგებული. ასე, მაგალითად, სოფლები: უკანხადე, წინხადე, ზაისტეჩო, ხიტალე — პირველ ჯგუფს შეადგენენ; უკანახო, წინახო, გველეთი, დათვისი, მოწმოო — მეორე ჯგუფს; ბაცალიგო, ატაბე, ბლო, ხორნაულთა — მესამე ჯგუფს; კისტანი, გურო, შატილი, ხახაბო, არდოტი, მიცუ — მეოთხე ჯგუფს („სადედოფლო სოფლები“ — ასეთი სათაური აქვს ამ ექვს სოფელს); როშკა, ქმოსტი, გუდანი, ჭორმეშიონი — მეხუთე ჯგუფს; ხახმატი, ღული, ლიქოკი, ოხერხევი — მეექვსე ჯგუფს; ამღა, ახიელი, ჭიმღა — მეშვიდე ჯგუფს („არხოტიონის სოფლები“ — ასეთი სათაური აქვს ამ ბოლო ჯგუფს)[23]. ხევსურთა 32 სოფლის შვიდ ჯგუფად დაყოფა, შესაძლებელია, თემობრივი საფუძვლებიდანაც მომდინარეობდეს. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან იქ თემების შესახებ არაფერია ნათქვამი.

იოანე ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთარში მთელი ხევსურეთი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ქვემო ხევსურეთი, სოფელი ექვსი და დიდი ხევსურეთი, არხოტით, რიცხვი მცხოვრებთა ამა ორსა ხეობასა შინა ითვლებოდა კომლი 2000“[24].

ნ. დუბროვინი კი, რომელიც პეტერბურგის მთავარი შტაბის არქივში დაცულ ბუტკოვის ხელნაწერ ფასალას ეყრდნობა, შენიშნავს:

---

[22] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

[23] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქ. 934, გვ. 768.

[24] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი — S, საქმე — 3729, ფურც. 130.

«В 1800 году, считалось тринадцать хевсурских фамилий, составлявших пять обществ, и все население их не превышало 400 дымов. Несколько хевсуров, сверх того, жили вместе с грузинами в селении Тианетии»[25]. რ. ერისთავიც ხევსურეთში 5 თემს ასახელებს: «У хевсур 5 обществ: Арабули, Чинчараули, Архотиони, Шатилиони, Пирикительское, к которому, впрочем, принадлежат и Шатилиони»[26].

XIX საუკუნის ზოგიერთი ეთნოგრაფ-ისტორიკოსის ნაწერებში პირდაპირ მითითებულია, რომ ხევსურეთში არსებული სოფლები ოთხ თემად არიან გაერთიანებული. ეს თემებია: არაბული, ჭინჭარაული, არხოტიონი და შატილიონი[27]. გუსტავ რადესთან კი ხევსურეთში რვა საზოგადოებაა, ეს, რა თქმა უნდა, რუსული მმართველობის შემოღების შედეგად იყო გაზრდილი. ასე იყო ფშავსა და თუშეთშიც[28]. ს. მაკალათიას „ხევსურეთში" კი კვლავ ოთხი თემია დასახელებული: ბარისახოს თემი, ბაცალიგოს თემი (პირაქეთ ხევსურეთში), შატილის თემი, არხოტის თემი (პირიქით ხევსურეთში)[29].

თუშ-ფშავ-ხევსურეთში, როგორც საერთოდ ძველ საქართველოში, თავდაპირველად თითოეულ სოფელში ერთი გვარის მეკოპურები ცხოვრობდნენ და შეადგენდნენ საგვარეულო თემს[30]. თუშ-ფშავ-ხევსურეთში XIX—XX საუკუნეებშიც კი იქნა შემორჩენილი რამდენიმე სოფელი (ალისგორი, კოკლათა, ვეძისხევი, საბუე, ბუქურთა, გურო, საბერწე, ხიტალე, ჭიე, მუქო, ქუთხი, ჭიჩო, არახიჯა და სხვა),

---

[25] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 2, 1871, стр. 282

[26] Р. Эристов, დასახელებული ნაშრომი... გვ. 78.

[27] А. Н. Берже, Краткий обзор горских племен на Кавказе, Тиф. 1858, стр. 37.

[28] Г. Радде, Хевсурия и Хевсуры (ЗКОИГО, кн. XI, выпуск второй, Тифлис, 1881, стр. 43—46); М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государст. крестьян закавказского края, т. V, Тиф., 1887, стр. 337.

[29] ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 18—19.

[30] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1961, გვ. 167; ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, 1945, გვ. 11—12.

სადაც მხოლოდ ერთი გვარის მეკომურები ცხოვრობენ[31]. „შემდგომ-ში, საგვარეულო წეს-წყობილების დარღვევისა და პატარა ოჯახების გაჩენისდა მიუხედავად, ერთსა და იმავე სოფელში ერთი და იგივე მეკომურები ცხოვრობდნენ; ეს გარემოება უფრო პეტი სიცხადით წარმოგვიდგება ხალხის აღწერის დავთრებში რომ თანდათან საგვარეულო სახელების მაგიერ მამიშვილობის სახელების ჩაწერა არ დაეწყოთ და ამით ჩვენთვის მეკომურთა ნამდვილი გვარის გაგების საშუალება არ მოესპო“[32]. ეს პროცესი ჩვენს მთიანეთში, ძირითადად, XVII—XIX საუკუნეებში მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო იმ გმირობა-ვაჟკაცობითა და განუწყვეტელი ომიანობით, რითაც საყოველთაოდ ცნობილი გახდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი. შთამომავლობა თანდათან ივიწყებს წინაპართა გვარს და გვარში ყველაზე სახელმოხვეჭილი გმირი წინაპრის საკუთარი სახელიდან იქმნის ახალ გვარს. ეს ვითარება ყველაზე მკვეთრად ვლინდება თუშეთის მაგალითზე: ლუხუმი — ლუხუმაიძე, ბაკური — ბაკურიძე, ელანი — ელანიძე, ქავთარი — ქავთარიძე, მარხვა — მარხვაიძე, აქიმი — აქიმიძე, ელიზბარი — ელიზბარიძე, შეთე — შეთიძე და სხვ. არანაკლებ საინტერესო მაგალითებს იძლევა ფშავიც ადრინდელი გვარების ახალი გვარებით შეცვლის თვალსაზრისით. ზემოხსენებულ საკითხს ს. მაკალათიამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება და აღნიშნა კიდეც, რომ: „ფშაური გვარები წარმოშობილია მეკომურთა უფროსის სახელებიდან. მაგალითად, სახელ ჯაბანიდან წარმომდგარია გვარი ჯაბანიშვილი, ელიზბარიდან — ელიზბარაშვილი, გოგნელა — გოგნელაშვილი, ბადრი — ბადრიშვილი, მგელა—მგელაშვილი, ბერო — ბეროშვილი. ჭრელა — ჭრელაშვილი, ხაზინა — ხაზინაშვილი, ბეკურა — ბეკურიშვილი და სხვა“[33].

ს. მაკალათია აღნიშნული პროცესის შესახებ თუშეთის მაგალითზე წერს, რომ: „მთათუშეთის მოსახლეობა დაყოფილი იყო და არის გვარებად, თითოეულ სოფელში წინათ სახლებულა ერთი გვარი, რომელსაც თავისი საგვარეულო კოშკი ჰქონია, სადაც შიშიანობის დროს ის თავს აფარებდა. დროთა ვითარებაში გვარი იზრდებოდა და კომ-

---

[31] საქ. ცსსა, ფონდი 254, ანაწ. 2, საქ. 399; იქვე, ფონდი 254, ანაწ. 1. საქმე 2042; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი; მისივე, ფშავი; მისივე ხევსურეთი.

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. 1, 1928. გვ. 151.

[33] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 70.

ლებად იშლებოდა. ამასთანავე დიდი გვარი ქვეგვარებად იყოფოდა და ქვეგვარი ირქმევდა კომლის უხუცესის სახელიდან წარმოშობილ საკუთარ გვარს"[34].

XIX საუკუნის თუშეთის კამერალური აღწერებიდან და სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მრავალი ოჯახია თუშეთის სოფლებში, სადაც ძმები და მათი შვილები ცოლ-შვილით მშობლებთან ცხოვრობენ, ოჯახები გაყოფილი არაა და მრავალი წევრისაგან შეღგება[35].

ეს ვითარება კარგად ჩანს სოფ. ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიის 1852 წლით დათარიღებულ აღსარების მთქმელთა სიაში. დოკუმენტში გვარები ჩამოთვლილია შემდეგი სოფლების მიხედვით: ბოჭორმა, დიკლო, შენაქო, ომალო.

აღნიშნული საბუთით წარმოდგენილი გვარების სახით საქმე გვაქვს თუშეთის უმსხვილეს ოჯახებთან, რომლებიც 18—20—25 და მეტი წევრისაგან შედგება. ძმები და მათი შვილები ცოლებითა და ბავშვებით ერთად ცხოვრობენ, ერთად საქმიანობენ, ჭერი და კერაც ერთი აქვთ და მათ შორის საკუთრების გაყოფა არ ხდება. ასეთი საოჯახო თემები თუშეთში დიდხანს არსებობდა.

ხსენებული ძეგლის საფუძველზე თუშეთში ბოლო დრომდე არსებული საოჯახო თემების საკითხი გულდასმით შეისწავლა რ. ხარაძემ და აღნიშნა, რომ „საოჯახო თემი გვაროვნული და ტერიტორიალური თემის მიჯნაზე იყო გაჩენილი, ხოლო გადმონაშთის სახით ის ჩახგრძლივად შემოინახა"[36].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევარი, მთიელთა ცხოვრების საუკეთესო მცოდნე — დავით ხიზანიშვილი პირდაპირ შენიშნავს, რომ ფშავში „ძველ დროში თითოეული თემი შეადგენდა თითო სოფელს, შემდეგ გამრავლდნენ და ყველა თემმა რამდენიმე სოფელი გააშენა. შემდეგ საერთო სოფლიდან გადასახლებისას თემს იმავე სოფლის სახელი დაერქვა და შერჩა დღეს აქამომდე. მაგალითად: გოგოლაურების თემი, სოფელ გოგოლაურთიდან გამრავლებულა, ახადელებისა სოფ. ახადიდან, ჭიჩოელებისა სოფელ ჭიჩოდან და

---

34 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 90.

35 საქ. ცსსა, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 2042.

36 რ. ხ ა რ ა ძ ე. საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, 1959, გვ. 196.

სხვა... სულ ორი თუ სამი თემია, რომელსაც ძველი სათემო სოფლის სახელი არ შერჩენია დღემდე"[37].

აღნიშნული პროცესი ხევსურეთშიც თითქმის ფშავის მსგავსად წარიმართებოდა, რადგან აქაც თემები გვარებისა (არაბული, ჭინჭარაული) და სოფლების (არხოტი, შატილი, ბარისახო, ბაცალიგო) სახელწოდებებიდან მომდინარეობენ. თუშეთი მათგან ამ მხრივ საგრძნობლად განსხვავდება. თუშეთის თემების: ჩაღმის, გომეწრის, პირიქითისა და წოვათის სახელები თუშეთის გეოგრაფიულ-ეთნიკური სახელებიდან მომდინარეობს. თუშეთის სასოფლო-საგვარეულო თემების ასე გამსხვილება-გაფართოება, რა თქმა უნდა, გვიანდელი შედეგია და ადრეულ საუკუნეებში იქაც ფშავისა და ხევსურეთის მსგავსი ვითარება იქნებოდა. თუშეთში ბოლო დრომდე შემორჩენილი ერთგვარიანი სოფლები ამის უტყუარი დასტურია. თუშ-ფშავ-ხევსურული თემების დიდმა მსგავსება-სიახლოვემ განაპირობა ის გარემოება, რომ როგორც რევოლუციამდე, ისე მის შემდგომაც მკვლევრები ხშირად სამივე კუთხეს ერთად სწავლობენ და მათში მრავალ მსგავსება-ერთიანობას ნასულობენ. ამიტომ თუშური თემის მმართველობის სისტემაც, თუ გვინდა მისი ნამდვილი სახე წარმოვადგინოთ, ფშავისა და ხევსურეთის თემებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ.

§ 2. თუშური თემის მმართველობაში მთის სალოცავებისა და ე. წ. „ეთავური ხატის" ღვნიშნულება-გაფვალეობის საკითხისათვის

თუშ-ფშავ-ხევსურთა გვაროვნულ-თემურ წყობილებაში წამყვანი ადგილი ეჭირა სატომო ყრილობას, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში მთიელთა ყოფა-ცხოვრებას დარაჯობდა და ხელმძღვანელობდა თემის თავკაცთა საკრებულო-საბჭეო ანუ იგივე თემის ყრილობა. ასეთი თემები მთაში ბრავალი იყო: საგვარეულო, სასოფლო და სახევო. საგვარეულო და სასოფლო თემები თავდაპირველი ფორმაა. ხოლო სახევო ანუ სათემთაშორისო ერთიანობა მთიელთა გვაროვნულ-თემური წყობილების განვითარებისა და წინსვლის შედეგია.

---

[37] დავით ხიზანიშვილი, ფშაველი და ფშაველები, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, გაზ. „ივერია", 1889, № 139.

გადმოცემები და წერილობითი მასალა სწორედ ასეთ თემებს და მათ მმართველობას ეხება. ჩვენი კვლევა-ძიებაც ამ თემების ირგვლივ წარმოებს.

თუშური თემურ-გვაროვნული წყობილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუშეთში მსხვილი თემების შექმნის შედეგად საკმაოდ შეიზღუდა საგვარეულო-სასოფლო თემების ავტორიტეტი. მაგრამ მათ ბოლო დრომდე მაინც შერჩათ საკუთარი უფლება-მოვალეობა, რომელიც არც სათემო და არც სათემთაშორისო ყრილობათა მსჯელობის საგანი არა ხდებოდა, ეს მათი საკუთარი საქმიანობა იყო: მთის ყველა სოფელს ჰქონდა ერთი ან რამდენიმე ჯვარი. მათგან ერთ-ერთი უმთავრესად სოფლის ცენტრში მდებარეობდა. ეს ადგილი იყო სოფლის მამაკაცთა შესაკრები, რომელსაც „საანჯმო" ეწოდებოდა. „წინათ საანჯმო, — წერს ს. მაკალათია, — თუშეთის ყველა სოფელში იყო გამართული"[38].

აღნიშნულ ადგილზე მდედრობითი სქესიდან მისვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მცირეწლოვნებს და მოხუცებს. დანარჩენნი, თუკი მათ აინტერესებდათ ამა თუ იმ საკითხის მოსმენა, მათთვის მიჩენილ, ე. წ. სადიაცო-საქალო ტერიტორიაზე განლაგდებოდნენ ხოლმე. სოფლის მამაკაცები იხილავდნენ და წყვეტდნენ შემდეგ საკითხებს: როდის უნდა დაწყებულიყო ხვნა-თესვა; ვინ შეერჩიათ სოფლის მენახირედ და გასამრჯელოდ ფულად და ნატურით რამდენი გადაეხადათ; ვინ გამოეყოთ სოფლის მეველედ და რა მიეცათ შრომის საფასურად; რომელი ადგილები გამოეყოთ საქონლის საძოვრებად და რა ადგილები განესაზღვრათ ბალახის გასათიბად; სოფლის ჯვარ-ხატებისათვის რომელი ყანები გამოეყოთ და რა მოცულობით; როდის მოეხნათ, მოემკათ და გაეთიბათ უკაცო ქვრივ-ობოლთა ოჯახისათვის, თუ ასეთი ვინმე იყო სოფელში; კომლთა გაზრდის შემთხვევაში ხელახლა გადაენაწილებინათ სოფლის მიწები; ემსჯელათ სოფლის ჯვარ-ხატების შეკეთებაზე და მათთვის განკუთვნილი სალუდე ქვაბების შესყიდვასა თუ გარემონტებაზე; ყოველწლიურად წილისყრით აერჩიათ სასოფლო ხატების წესისა და რიგის შემსრულებელი ე. წ. შულტა-მნათეები და სხვა მრავალი ასეთი საკითხი ირჩეოდა ხოლმე მამაკაცთა თავყრილობაზე. სოფლის ასეთ შეკრებებზე ყველა მამაკაცი ღებულობდა

---

[38] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 101; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, С—Пб, 1871, стр. 300.

მონაწილეობას, ყველას ერთნაირი უფლება ჰქონდა და განსაკუთრებული უპირატესობით არავინ სარგებლობდა. თუშეთის მმართველობის წესის დასასიათებისას მრავალ შეცდომასა და უზუსტობას ვხვდებით ადრეულ თუ თანამედროვე მკვლევართა გამოკვლევებში. ეს უფრო მაშინ იგრძნობა, როდესაც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ: „ჩვეულებითი სამართლის საფუძვლების შემუშავება ხდებოდა მთავარ სალოცავში (სრულიად ხევსურეთისა — გუდანის ჯვარში, ფშავისა—ლაშარის ხატში, მთათუშეთისა — ლაშარის ჯვარში) და შემდგომ, აქ მიღებული გადაწყვეტილება გადაჰქონდათ სათემთაშორისო და სათემო სალოცავებში. ჯვარ-ხატებში მიღებული გადაწყვეტილება იყო ურყევი და სავალდებულო“[39].

XIX და XX საუკუნის პირველი მესამედის მკვლევართა ნაწერებში, რომელთაც ჰქონდათ საშუალება პირადად გაეცნობოდნენ მთიელთა ჯერ კიდევ არსებულ მმართველობის სისტემას და ადათ-წესებს, გვხვდება საინტერესო მასალა და ცნობები — სატომო, სათემო და სათემთაშორისო სამოსამართლო ადათ-წესებსა და მათ ჯვარ-ხატთა თაობაზე. ხსენებულ მასალას ემატება ხალხში შემორჩენილი საგულისხმო მონაცემები, რომელთა ბიხედვითაც აღძრული საკითხის შინაარსი სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგება და სხვაგვარი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

სოფელი და მისი ჯვარ-ხატი იმ საკითხთა გადაწყვეტისას, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, დამოუკიდებელი და შეუზღუდველი იყო. „შატილელთ აქვთ საკვირაო, თავისუფალ დროს გასართობი ადგილი, — წერს გ. თედორაძე, — რომელსაც საფიხნო ჰქვია და სადაც მოხუცი და ახალგაზრდა თავს იყრის ყოველ საღამოს, ყოველ კვირას.... აქ სხვათა შორის წყდება მრავალი სასოფლო საკითხებიც, როგორც სადაო ხასიათისა, ისე სათემო“[40]. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყველა სოფელში იყო საბჭეო-სამოსამართლო თავყრილობა — გასართობი ადგილი, რომელთაც აუცილებლად რაღაც სახელი ერქვათ: მაგალითად, თუშეთში: ჯვარისყანა (სოფ. ჩიღო), საფრინდაო (სოფ. დართლო), ბეხვნე (სოფ. შენაქო), ყანოანგორა (სოფ. ომალო) და სხვ.

---

[39] მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1975, გვ. 122.

[40] გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930, გვ. 73—74.

ეს საკითხი ვაჟა-ფშაველასთან შესანიშნავად არის გარკვეული. იგი აღნიშნავს, რომ ფშავში საერთო ყრილობა იწვეოდა მაშინ, როცა საქმე ეხებოდა ფშავის თორმეტსავე თემს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი განიხილებოდა თემის ყრილობაზე. „ბჭობა, რომელიც ხდებოდა ლაშარს, ეხებოდა თორმეტსავე თემს ფშავისას. ამიტომ ეს ბჭობა მაშინ იმართებოდა, როდესაც გასაბჭობი, გასარჩევი საქმე თორმეტსავე თემს, მთელს ფშავის ხევს შეეხებოდა. ს ა თ ე მ ო ს ა ქ მ ე ე ბ ი თ ე მ ი ს ხ ა ტ შ ი გ ა ი რ ჩ ე ო დ ა, კ რ ე ბ ა-ყ რ ი ლ ო ბ ა ც ი ქ მ ო ხ დ ე ბ ო დ ა“[41].

ყოველივე ამის შემდეგ, რამდენადმე გადაჭარბებულად გვეჩვენება თუშეთისა და ფშავის ლაშარის და ხევსურეთის გუდანის ჯვრებისათვის ისეთი უფლებების მიწერა, რომ თითქოს მხოლოდ ისინი მბრძანებლობდნენ სასოფლო-სათემო ხატებს. ისინი იმუშავებდნენ მოქმედების ყოველგვარ ნორმებს და საერო საქმეებში შესასრულებელი ადათ-წესებიც მხოლოდ იქ იხილებოდა, იქ წყდებოდა და იქვე დგინდებოდა, რაც ურყევი და სავალდებულო იყო ყველა თემისა თუ თემის წევრისათვის.

უდავოა, რომ ლაშარის ჯვარი თუშ-ფშაველებისათვის და გუდანი ხევსურებისათვის მთავარ სალოცავ ხატებად ითვლებოდა და სათემო ჯვრებისაგან განსხვავდებოდა. მაგრამ თუ გულდასმით დავაკვირდებით ამავე კუთხეების სხვა ჯვარ-ხატებს, მათი მოქმედების შინაარსს, საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. დავრწმუნდებით, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთში გაბატონებული მდგომარეობა მარტო გუდანისა და ლაშარის ჯვრებს როდი ეკავათ, სხვებსაც ჰქონდათ არანაკლები უფლებები; და ისინი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განიხილავდნენ სატომო მნიშვნელობის მოვლენებს, სასოფლო და სათემო მასშტაბის საერო თუ სასულიერო საკითხებს კი მათივე ჯვარ-ხატები განაგებდნენ. მაგალითად, თუშეთის ყველა თემს, გარდა სასოფლო ჯვრებისა, ჰქონდა დიდი ჯვარ-ხატები, სადაც ლაშარის მსგავსად თუშეთის ყველა თემის მლოცავი მიდიოდა. ამ ტრადიციას დღესაც აგრძელებენ. ასეთებია: ჰირიქითის თემში — თვითონ ლაშარის ჯვარი (სოფელ ჩიღოში) და მადოლის ნათლისმცემელი (სოფელ ფარსმაში); ჩაღმის თემში — ფიჭეხგორის წმინდა გიორგი (დიკლოში), და

---

[41] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, ტ. V, 1961, გვ. 66—67 (ხაზი ჩვენია, ვ. ე.).

შაფურთის ხატი (ქუმელაურთაში); გომეწრის თემში — ჯითანობის წმინდა გიორგი (სოფ. ჯვარბოსელში); წოვათის თემში — სამების წმინდა გიორგი. იგივე შეიძლება ითქვას ფშავ-ხევსურეთზეც. ყველა სათემო და სასოფლო ჯვარ-ხატი მათთვის დამახასიათებელი რიტუალებით განსხვავდება თუშეთისა და ფშავის ლაშარისა და ხევსურეთის გუდანის ჯვრის შინაარსისაგან. იქ ოდნავადაც არ იგრძნობოდა და არც დღეისათვის დარჩენილა მათი გავლენის რაიმე ნაკვალევი. ისინი თემისა და თემში შემავალი სოფლებისათვის კანონმდებელნიც იყვნენ და ბატონ-პატრონნიც.

თუშეთის ლაშარი რომ თუშეთის ყველა ჯვარ-ხატის მბრძანებელი იყო, თითქოს იქ იკრიბებოდნენ სხვა თემის დეკანოზ-ხევისბერნიც და ერთად იხილავდნენ საერთო-სატომო საკითხებს, არც გადმოცემით, არც უხუცესთა მონათხრობით და არც წერილობითი მასალით არ დასტურდება. ყველა თემის უხუცესი თუშები ერთხმად აღიარებენ, რომ სათემო ყრილობა ტარდებოდა ე. წ. „თუშეთის ღელეზე", რომელიც თუშეთის ყველა თემისათვის ცენტრალურ და სასაზღვრო ადგილს წარმოადგენდა[42].

გომეწრის თემის სოფ. ჯვარბოსელის მკვიდრი რაჟდო დარქიზანიძე 1912 წელს თვითონაც დასწრებია სათემო ყრილობას „თუშეთის ღელეზე". იქ განხილულ საკითხთაგან ერთი ახსოვს კიდეც. იგი ეხებოდა გომეწრის თემის მცხოვრებ ნიკო ხეცოიძის მიერ ქალის გაუპატიურების ცდის განხილვას. იგი იმასაც შენიშნავს, რომ ყრილობას მუშაობა ერთ დღეში ვერ დაუმთავრებია, ყველა მათგანს ღამე იქვე გაუთევია და მეორე დღეს გაუგრძელებია მუშაობა.

იგივე რაჟდო დარქიზანიძე გადმოგვცემს, რომ სათემო სასამართლო თუ სხვა სახის ყრილობა და კრება იმართებოდა თურმე მათი თემის ნთავარი ხატის — ჯითანობის კარზე და მასზე დეკანოზების დასწრება სავალდებულო არ ყოფილა. ასეთ თავყრილობას ესწრებოდნენ იმ თემის ხევისბერ-თავკაცნი, მამასახლისები და ნაცვლები.

---

[42] ეგნატე ა ლ ი ა ი ძ ე. დაბად. 1891 წ. გომეწრის თემიდან (სოფ. გოგრულთა); აბრამ ელანიძე, დაბად. 1901 წ. ჩაღმის თემიდან (სოფ. ჩიღო); არჩილო იჭირაული, დაბ. 1895 წ., ჩაღმის თემიდან (სოფ. ომალო); რევაზ ხაჩიძე, დაბად. 1893 წ., ჩაღმის თემიდან (სოფ. შენაქო), ჩაწერილია 1977 წელს.

ყრილობა-კრებების მოწვევა ხდებოდა ნებისმიერ დროს და მისი დამთხვევა ხატობისათვის არ იყო სავალდებულო[43].

სოფ. გირევის (პირიქითის თემი) მცხოვრები, თუშეთის უხუცესი იაკობ დავითის ძე ღუზარაული გადმოგვცემს, რომ მის ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჩიღოს ლაშარის ჯვარს არ გააჩნდა განსაკუთრებული პრიორიტეტი თუშეთის სხვა სათემო ხატებისაგან განსხვავებით. მას ისეთივე ძალა და უფლებები ჰქონია, როგორც მათ სათემო ხატს — მადოლის ნათლისმცემელს. ჰეღოს ივანე ნათლისმცემლის ხატი (მადოლობა) უფრო ძლიერი და ხალხმრავალი ყოფილა, ვიდრე ლაშარის ჯვარი. იგი არ იცნობს ლაშარის კარზე სათემო შეკრებებს და არც სხვისაგან გაუგონია. პირიქით, მას კარგად ახსოვს, რომ ფარსმის თემის (ფარსმის, გირევის, ჭონთიოს, ბასოს, დაქიურთის და ნაკუდურთის სოფლების) ყოველგვარი ბჭობა-სასამართლოები ეწყობოდა თურმე სოფ. ფარსმაში, ხოლო სამციხელების[44], ე. ი. ფარსმის ქვემოთ მყოფი სოფლების—ჭეშოს, დანოს, კვავლოს, დართლოსა და ჩიღოს — სათემო ყრილობები იმართებოდა თურმე სოფ. დართლოს ტერიტორიაზე.

საერთო-სათემო ყრილობა კი, მისივე გადმოცემით, „თუშეთის ღელეზე" ეწყობოდა. იგი რამდენჯერმეა ასეთ ყრილობებზე დასწრებული. ყრილობის ხელმძღვანელები ყოფილან მამასახლისები, სულ ექვსი მამასახლისი ესწრებოდაო, ამბობს იგი, თითოეული თემიდან ორი მამასახლისი (გომეწრიდან, ჩალმიდან და პირიქითიდან; წოვათა თემი მაშინ თუშეთში აღარ ცხოვრობდა, ისინი საზამთროდაც და საზაფხულოდაც უკვე დიდი ხანია თუშეთში აღარ რჩებოდნენ, კახეთის ბარში იყვნენ გადმოსახლებულნი XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან). მამასახლისები თუშები ყოფილან; გარდა თუშებისა, გადმოგვცემს მთხრობელი, თუშები სხვას არც მოუსმენდნენო. მამასახლისებთან ერთად ყრილობაზე უფლებებით სარგებლობდნენ და ხელმძღვანელთა როლში გამოდიოდნენ თურმე ის თუში მამაკაცები, რომელთაც მტრის

---

[43] რაჟდო დარჭიზანიძე, გომეწრის თემიდან (სოფ. ჯვარბოსელი), დაბად. 1894 წ.

[44] ამჟამადაც პირიქითის თუშებმა იციან ამ ტერმინების ხმარება: ფარსმელები და სამციხელები. როგორც ჩანს, ადრე პირიქითის თემი გაყოფილი უნდა ყოფილიყო ორ ნაწილად, ორ თემად, ხოლო ორივეს გაერთიანება პირიქითის თემის სახელწოდებით გვიანდელი მოვლენაა.

წინააღმდეგ ბრძოლებში სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი და თუშეთის სახელოვან გმირებად ითვლებოდნენ[45].

მსგავსი შინაარსის გადმოცემებს ვხვდებით თუშეთის სხვა თემის მოხუცებთან საუბარშიც. მაგალითად, სოფ. გოგრულთის მცხოვრები— ეგნატე ალიაიძე და სოფ. დოჭუს მკვიდრი — დანიელ ნაცვალაიძე აღნიშნავენ, რომ მათი, ე. ი. ივანაურთის თემის სოფლების: დოჭუს, ბოჭორმის, გოგრულთის, საბუის, ჩირდილის, საჩიღოლოს, ილიურთის, ვესტმოსა და ვესტომთის მოსახლეობის საახალწლო შეხვედრა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ეწყობოდა სოფ. დოჭუში, რადგან აქ იმყოფებოდა ამ თემის მთავარი ხატები: მარიამ წმინდა, წმინდა გიორგი საკეოსა და ფიწალა დოჭუსთავისა. ამავე სოფლის სახნავ-სათესი მიწებიდან ყოფილა გამოყოფილი ე. წ. „სახატე ყანები", რომელთაც ზემოაღნიშნული სოფლები ამუშავებდნენ და საახალწლო შეხვედრისათვის ლუდსა და არაყს ხდიდნენ. აღნიშნული თემის სალაშქრო დროშაც სოფ. დოჭუში ინახებოდა. მოხუცთა გადმოცემით იციან, რომ მიცვალებულსაც ყველა სოფელი დოჭუს სასაფლაოზე კრძალავდა; სასამართლო-ყრილობებიც აქ, ამ სოფელში ეწყობოდა, რაც ივანაურთის თემს[46] შეეხებოდა[47].

თუშეთის ცალკეული თემების მიხედვით ყრილობების ჩატარებაზე უნდა მიუთითებდეს სოფ. დართლოში „საფრინდაოდ" წოდებულ ტერიტორიაზე ბოლო დრომდე შემორჩენილი ქვის სკამები, რომელთაც ბჭობა-სასამართლოზე მოსული თემის თავკაცები იყენებდნენ.

„საფრინდაოს" ტერიტორიაზე დიდი ქვებისაგან გამართული ყოფილა 12 სკამი[48]. გადმოცემით, აქ თემის თავკაცები იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ სათემო საკითხებს. ეს ადგილი XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაუთვალიერებია მღვდელ მიხეილ ხელაშვილს

---

[45] იაკობ ღუზარაული სოფ. გერევიდან (პირიქითის თემი), დაბად. 1860 წელს.

[46] ივანაურთის თემი არ აღინიშნება არც ერთ წერილობით ძეგლში. იგი გომეწრის თემის ნაწილია და ამ სახელითაა ცნობილი. ისე კი აღნიშნული სოფლების მცხოვრებლებმა დაბეჯითებით იციან, რომ ისინი ივანაურთის თემიდან არიან და არა გომეწრიდან. მათთვის ივანაურთა, როგორც სათემო სახელი, უფრო მიღებული და ახლობელია, ვიდრე გომეწარი.

[47] ეგნატე ალიაიძე, დაბად. 1891 წ., დანიელ ნაცვალაიძე, დაბად. 1915 წ.

[48] 1950 და 1965 წლებში ადგილზე დათვალიერებით კვლავ დადასტურდა რამდენიმე სკამის აშკარა ნარჩენები.

და შეუნიშნავს: „ეკლესიის გვერდზე (სოფ. დართლოს ეკლესიაზეა საუბარი, ვ. ე.) ვაკე მინდორია, სადაც ხალხი იკრიბება. ამ ადგილზე ათორმეტი საჯდომი არის ირგვლივ და თანაც დაყუდებული ქვებია უკანითგან, ეგრე გეგონებათ, რომ სავარძლები არის გამართული, თუ-რმე ხანდისხან აქ სამართლობენ“[49].

პროფ. ს. მაკალათია თუშეთის თემური წყობილებისათვის დამა-ხასიათებელ სასამართლო წეს-ჩვეულებებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ სოფ. დართლოში არსებული თორმეტი სკამი გამოყენებული ყო-ფილა თემის დეკანოზ-ხევისბერების საბჭო-საკრებულოდ. „მსაჯულ-თა... კრებული „საბჭეოში“ ხდებოდა და აქ თათბირობდა. ასეთი სა-ბჭეო გამართულ ქვის საჯდომებით დღესაც დაცულია სოფ. დართ-ლოში, მას აქ „საფრინდაო“-ს თორმეტიანთ საჯდომს უწოდებენ. სი-სხლის აღების, ქალის მოტაცების, ქურდობის და სხვა მძიმე შემ-თხვევებში სათემო ბჭეები ამ ქვის სავარძლებზე თურმე სხდებოდნენ და საქმეს არჩევდნენ“[50].

თუშეთის სხვა თემების შესაკრები ცენტრალური სოფლებისა და იქ მათთვის განკუთვნილი სამოსამართლო ადგილის შესახებ ვერა-ფერს ვამბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ არსებობს. უნდა ვივა-რაუდოთ, რომ სოფ. დართლოს ანალოგიური „საბჭეო“ ადგილები ექ-ნებოდათ ჩაღმის, გომეწრისა და წოვათის თემებსაც.

თუშეთის თემების განსახლების თავისებურება (ისინი რამდენიმე ათეული კილომეტრით არიან ერთიმეორისაგან დაშორებულნი) და ლაშარის ჯვრის ტერიტორიული მდებარეობა (ის თუშეთის ყველა თემისათვის თავისი სიშორით და მოუხერხებელი მდებარეობით ძნე-ლად დასაკავშირებელი იქნებოდა), ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი მკ-ვლევრის მსჯელობას, რომ თითქოს თუში ტომის დეკანოზ-ხევისბერ-ნი მხოლოდ ლაშარის ჯვარში იკრიბებოდნენ და იქ იხილავდნენ ამ კუთხის საერო თუ სასულიერო საკითხებს, რაც შემდგომში ვრცელ-დებოდა თემებისა და თემთა ხატებისათვის.

თავისი დროისათვის კავკასიის ყოფა-ცხოვრების დიდმა მცოდნემ ეთნოგრაფმა მაქსიმ კოვალევსკიმ ვრავალი საინტერესო დეტალი შემოგვინახა თუშ-ფშავ-ხევსურთა ყოფა-ცხოვრებიდან, რასაც ჩვენ-

---

[49] „ივერია“, № 175, 1889.

[50] ს. მ ა კ ალ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 98.

თვის სახელმძღვანელო და პირველხარისხოვანი ღირებულება ენიჭება. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. კოვალევსკი, როდესაც ეხება თუშ-ფშავ-ხევსურულ „თემს“, მათს როლსა და უფლებებს, რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ თუშეთის თემთა საერთო სათუშო ყრილობა ტარდებოდა „ღელეზე“ და ეს ღელე არის თუშეთის თემთა ცენტრალური ადგილი, რომელსაც თუშები „თუშეთის ღელეს“ უწოდებენ: «Тогда как споры между частными лицами продолжались решаться назначаемыми самими сторонами посредниками, а споры между селениями определяемыми хевисбери стариками, по одному или несколько от каждой тяжьбы, споры, возникавшия между темами или членами разных тем, решались в Геле выборными от тем судьями. Этих судей было 12 и каждой тем представлялся выбор одной четвертой части этого числа»[51].

მსგავსი ვითარება გვაქვს ფშავ-ხევსურეთშიც. აქაც თითოეულ თემს ჰქონდა საკუთარი ხატი და ამ თემში შემავალ სოფლებს — ერთი ან რამდენიმე ხატი. მათთან დაკავშირებული სარიტუალო წესი დიდად განსხვავდებოდა ლაშარისა და გუდანის ჯვრებისაგან. მათ საქმიანობაში ლაშარისა და გუდანის ჯვარ-ხატების განმკარგულებელ-მბრძანებლური როლი გამორიცხული უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ხევსურეთის ხახმატისა და კარატის ჯვრები თავისი გავლენითა და მოქმედების საზღვრებით თითქმის არაფრით ჩამოუვარდებიან და ზოგიერთ შემთხვევაში აღემატებიან კიდეც გუდანის ჯვარს. აი, რას წერს დიდი ვაჟა: „ბევრი მლოცავი უფრო ხახმატობას (=ათენგენა) სოფ. ხახმატში მიდის. ამ ხატს ფშავლები და თუშებიც ლოცულობენ... ერთი თვის წინათ, მანამ ხახმატობა მოვა, თავი ხევისბერი დასტურებით წაიღებს ხახმატის ჯვრის დროშას და მთელს თუშეთს შემოატარებს, ჰკრებს შესაწირავს ფულით თუ საქონლით“[52]. ასეთივე უფლებით სარგებლობდა კარატის ჯვარიც. „კარატის ჯვარს წინათ თუშებიც ლოცულობდნენ, — წერს ს. მაკალათია, — ათენგენობას კარატის ხატიონი თუშეთში გადადიოდა და კარატის ჯვარის ხარჯებს კრეფდა... კარატის ნიშნები დღესაც დაცულია თუშეთში, სადაც კა-

---

[51] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890, стр. 124.

[52] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 43—44.

რატიონი დგებოდა და თუშ მხვეწარს ამწყალობნებდა"[53]. ხახმატისა და კარატის ჯვრების მაგალითი იმის მაუწყებელია, რომ ხევსურეთის სათემო ჯვრებს გუდანისაგან დამოუკიდებლად გააჩნდათ საკუთარი უფლებები და ამ მხრივ ისინი შეუზღუდველნი იყვნენ. მარტო გუდანი რომ არ იყო საყოველთაო-სახევსურო ჯვარი, ამაზე მიუთითებს ს. მაკალათია: „გუდანი და ხახმატი მთელი ხევსურეთის სათემო და რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი იყო, სადაც სათემო და სალაშქრო საქმეები წყდებოდა"[54]. ალ. ყაზბეგიც გარკვევით შენიშნავს, რომ: „ხევსურეთში უმთავრესი ხატები არიან: „გუდანის ჯვარობა" და „ხახმატობა". ამ ჯვარობებში ეხლაც დადიან ფშავები, თუშები, მთიულები, ქისტები და მოხევეები, სხვა დღეობებს კი უფრო კერძო ხასიათი აქვთ"[55]. ხახმატისა და კარატეს ხატები რომ თავისი სიძლიერითა და გავლენით არ ჩამოუვარდებოდნენ გუდანის ჯვარს და თავდაპირველად, შესაძლებელია, მასზე ძლიერებიც იყვნენ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ თუშეთის თითქმის ყველა სოფელში არის ხახმატისა და კარატეს ხევსურთა ხატები, რაც ახ. წ. IV საუკუნიდან უნდა მომდინარეობდნენ, როდესაც ფხოველთა გარკვეულმა ნაწილმა ქრისტიანობა არ მიიღო და თუშეთში გადასახლდა[56], ხოლო გუდანის მოსახლე ხატი თუშეთში არსად გვხვდება.

რაფიელ ერისთავთანაც, რომელმაც თუშ-ფშავ-ხევსურეთს სპეციალური და თანაც საკმაოდ ვრცელი შრომა მიუძღვნა, ხევსურეთის მთავარი ხატებია: გუდანის ჯვარი, სანების ჯვარი, კარატის ჯვარი და ხახმატის ჯვარი, ხოლო ფშავში ორი ჯვარი: ლაშარის ჯვარი და თამარ მეფე[57]. შემდგომში ამავე საკითხზე მსჯელობისას რ. ერისთავი ხევსურეთის ოთხი მთავარი სალოცავიდან მხოლოდ ორსღა ასახელებს: ხახმატის ჯვარს და გუდანის ჯვარს: «Главный годовой праздник у хевсур бывает в июле месяце и называется атенгени (атенгени)

---

[53] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 241; მისივე, თუშეთი, გვ. 209.

[54] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 245.

[55] ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, გადაკარგული მხარე, ჟურნ. „ივერია", № 5, 1881, გვ. 106.

[56] ლეონტი მ რ ო ვ ე ლ ი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955. გვ. 126; მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1965, გვ. 88—89.

[57] Р. Э р и с т о в, О Тушино-Хевсурском округе, зап. Кавк. отд. ИРГО, кн III, Тиф., 1855, стр. 98.

затем следуют праздники в капищах: Хахматис-Джвари, продолжающиеся 2—3 дня и Гуданис-Джвари»[58].

აკად. ნ. დუბროვინმა, რომელმაც თუშ-ფშავ-ხევსურებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა — «Тушины, Пшавы и Хевсуры»[59], არაერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა თუშ-ფშავ-ხევსურთა წარსული ცხოვრებიდან. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ნ. დუბროვინი გარკვევით ასახელებს, თუ რამდენი ჯვარია მთავარი თითოეულ კუთხეში და რა ეწოდება მათ. იგი წერს: «У хевсур считается четыре главных капища (Гуданис-Джвари, Хахматис-Джвари, Сапебис-Джвари, и Каратис-Джвари), у пшавов два (Лашарис-Джвари, и Тамар-мепе), а у тушин три (Хитано, Цабкикло и Чигое). Впрочем, независимо от этих главных капищ, почти каждое селение имеет особое капище»[60].

ფშავის ლაშარის ჯვრის მეტისმეტად გაზვიადებული უფლებების მიწერის საწინააღმდეგოდ მეტყველებს XIX საუკუნის 50-იანი წლების ერთი საყურადღებო წერილობითი ცნობა, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ფშავლებს საერთო შეკრებისათვის ამორჩეული ჰქონიათ მათურის ხეობა, როგორც თუშებს „თუშეთის ღელე“. ამ შესაკრებ პუნქტში ორი კვირის საგზლით იკრიბებოდნენ თურმე ფშავის თორმეტივე თემის მამაკაცები და საომრად ემზადებოდნენ. ფშავის ყველა თემის საომრად მომზადებას და დანიშნულ ადგილზე გამოცხადებას ორი-სამი დღე სჭირდებოდა. ამ საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი ყოფილა ლაშარის ხევისბერი, ლაშარისავე სალაშქრო დროშით აღჭურვილი. «Впрочем, если влияние главного Лашарис-Джварского Хевис-бера совершенно прекратилось на непокорные соседние племена, за то влияние его так велико, даже и в настоящее время, на Пшавцев двенадцати обществ, что когда он вздумает сделать набег на неприятеля и вооружиться Лашарис-Джварскою дрошою (знамя) и слух об этом долетит к обитающим в отдаленных ущельях двенадцати обществам Пша-

---

[58] Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, зап. Кавк. отд. ИРГО, кн. III, Тиф., 1855, стр. 98.

[59] Н. Дубровин, История и владычества на Кавказе, т. I, кн. 2, С—Пб. 1871, стр. 279—318.

[60] იქვე, გვ. 297.

вцев, то все поголовно устремляются чрез горы на общий сборный пункт Матурис-хеви (მათურის ხევი — Матурское ущелье), с двух недельным провиантом и в полном вооружении, в течение двух дней и не более трех. Местное начальство, хорошо зная это, прибегает в случае надобности, к сбору Пшавцев, чрез знаменосца Лашарис-Джварского Хевис-бера»[61].

მათურის ხევზე, სადაც ხალხის შეკრება ხდებოდა, იმყოფებოდა დამასტურის ხატი, რომელიც ლაშარის, თამარისა და საკვირაოს ხატებთან ერთად ფშავის მთავარ ხატად ითვლებოდა[62].

ი. ცისკარიშვილის აზრითაც, რომელიც თუში იყო და ზედმიწევნით იცნობდა თუშთა წარსულსა და აწმყოს, თუშეთისათვის სამი ჯვარია დასახელებული ყველაზე მთავარ ჯვრებად და არა ერთი. ეს ხატებია: «Важнейшие и богатейшие по сокровищам жертвенники в Тушетии, куда во время праздников стекается весьма много поклонников, суть: Хитано (в Гомецарском обществе), Цабкикла (в Цовском обществе) и Чигое (в Пирикительском обществе)»[63].

ნ. დუბროვინი მიუთითებს, რომ მას თუშეთის სამი მთავარი ჯვრის არსებობის შესახებ ცნობა აუღია ი. ცისკარიშვილისაგან, ამ უკანასკნელს კი თუშეთის ერთი თემის — ჩაღმის სათემო ჯვრის ფიშეხგორის წმინდა გიორგი დასახელებული არა აქვს. რადგან იგი თუშეთის სამი თემის: გომეწრის, პირიქითისა და წოვათის სათემო ხატებს ასახელებს, რა თქმა უნდა, ჩაღმის თემს, როგორც თუშეთის ერთ-ერთ მთავარ თემს, თავისი სათემო ჯვარი ექნებოდა, რაც ი. ცისკარიშვილთან მექანიკურადაა გამოტოვებული და ეს ჯვარი იყო ფიშეხგორის წმინდა გიორგის ჯვარი.

ვაჟა-ფშაველაც ერთიმეორისაგან არ გამოყოფს უფროს-უმცროსობით თამარ-მეფისა და ლაშარის ჯვრებს და შენიშნავს: „თვითეულ თემს (ფშავში, ვ. ე.) ჰყავს საკუთარი ხატი, გარდა საზოგადო ხატისა. საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს

---

[61] Записки Кавказского отдела ИРГО, кн. II, Тиф., 1853 (Нечто о Пшавии и Пшавцах, стр. 250—251).

[62] ვ. ბარდაველიძე, დასახ. შრომა, გვ. 12—13.

[63] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 8, 1849.

კისრად, არის თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი"[64]. ასევე შენიშნავს ნ. ურბნელიც, იგი წერს: „ყველა თემს (ფშავში, ვ. ე.) საკუთარი კერძო ხატი აქვს, მაგრამ კერძო სათემო ხატს ადგილობრივი ძალა და მნიშვნელობა აქვს და არა საერთო, საზოგადო. კერძო ხატების უფროსებად თამარ-მეფე და ლაშარის ჯვარი ითვლებიან"[65]. თუმცა ამ მთავარ სატომო-საფშავლო ხატებში მაინც უფროს ხატად ლაშარის ჯვარი მოიხსენიება: «Нужно знать что каждый святой (ფშავში, ვ. ე.) имеет по два или по три Хевисбера. Первостепенный между ними, имеющий влияние на других, равно как и на двенадцать обществ пшавцев—Лашарис-Джварский. После него второе место занимает, по влиянию на Хевис-беров и на весь народ Пшавцев, Тамар-мепский»[66].

აქ აღნიშნული ვითარება წერილობითი ლიტერატურით და დღემდე შემორჩენილი ტრადიციითაც ერთხმად დასტურდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ ლაშარის ჯვარი იყო მთელი ფშავის საერო და სასულიერო სჯულმდებელი და სხვა ჯვარ-ხატებს ყოველგვარი დამოუკიდებლობა წართმეული ჰქონდათ, ანდა მარტო იქ უნდა მომხდარიყო საფშავლო შეკრება და სხვაგან ეს არ შეიძლებოდა: ლაშარის ძლიერება, რომელსაც ჩვენ გზადაგზა უფრო ნათლად დავინახავთ, მდგომარეობდა იმაში, რომ ის იყო პირველი და უმთავრესი ხატი ფშავის სხვა ხატებს შორის, როგორც ლაშქრის ხატი და მისი მფარველი. ლაშქრობა და სამშობლო კუთხის დამოუკიდებლობა — შეუვალობისათვის ბრძოლა კი მთიელთათვის უპირველესი და უმთავრესი საქმე იყო. ლაშარის ჯვარს თავის მოადგილეებიც ჰყავდა. ყველა თემს ჰქონდა სათემო ხატი, რომელიც თემის საზღვრებში ისეთივე უფლებებით იყო აღჭურვილი, როგორც სატომო მასშტაბით ლაშარის ჯვარი. თემის საერო და სასულიერო საკითხებიც ამავე თემის ხატის კარზე, ანდა თემის მიერ ამორჩეულ ტერიტორიაზე წყდებოდა ხოლმე. პროფ. ვ. ბარდაველიძე კი ფშავის საერთო საფშავლო-სატომო ხატებად ოთხს ასახელებს: „ბუდე ფშავში, — შენიშნავს განსვენებული მეცნიერი, — სათემო ხატებთან

---

[64] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 25.

[65] ნ. ურბანელი. ეთნოგრაფიული ნერილები. 1940, გვ. 99.

[66] Записки Кавказского отдела ИРГО, кн. II, Тиф., 1853 (Нечто о Пшавии и Пшавцах, стр. 350).

ერთად არსებობდა საერთო საფშავლო ხატები — ლაშარის ჯვარი ხმელგორზე, საკვირაო წაწადის ხევზე, თამარის ხატი ღელეზე და დამასტურის ხატი მათურხევზე"[67].

ყველა თემს, როგორც დავინახეთ (ეს იქნებოდა საგვარეულო-სასოფლო თუ რამდენიმე სოფლის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი), გააჩნდა საკუთარი ჯვარ-ხატები. სასოფლო თემის საკითხები იხილებოდა სოფლის ცენტრში, სადაც აუცილებლად რომელიმე ჯვარი უნდა ყოფილიყო, ხოლო სათემო მასშტაბის საკითხები ირჩეოდა თემის ცენტრალურ სოფელში და იქაც, რა თქმა უნდა, ჯვარის კარზე ან მის სიახლოვეს. ასეთ სათემო სხდომებს დეკანოზ-ხევისბერებთან ერთად სოფლისა და თემის სხვა თავკაცებიც ესწრებოდნენ. სათემო საკითხების გადაწყვეტისას, როგორც მკვლევართა ჩანაწერებიდან ჩანს და ხალხის მეხსიერებასაც შემორჩენია, არ ყოფილა საეალდებულო, რომ დეკანოზ-ხევისბერნი და თემის სხვა თავკაცნი ამავე თემის ცენტრალურ ხატში შეკრებილიყვნენ თუ საჭიროება მოითხოვდა, ესა თუ ის რელიგიური რიტუალი იმავე ხატის კარზე სრულდებოდა, სადაც სათემო სხდომები იმართებოდა. ხოლო რაც შეეხება სატომო თუ სათემთაშორისო საბჭეო-სამოსამართლო-საყრილობო ადგილს, ამა თუ იმ ტომის ყველა თემისათვის ტერიტორიულად მისაღწვდომი ადგილი უნდა ყოფილიყო. ასეთ ადგილად თუშ-ფშავ-ხევსურთა წინაპრები შეეცდებოდნენ შეერჩიათ რომელიმე ხატის კარი, თუ ის თავისი მდებარეობით და უფლებებით აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებს. ეგებ ამ ვითარებამ შეუწყო ხელი თითოეულ კუთხეში რამდენიმე ხატის სათემთაშორისო ჯვარ-ხატად წარმოქმნას. ხოლო რაც შეეხება ხევსურეთის გუდანისა და თუშეთისა და ფშავის ლაშარის ჯვრების ავტორიტეტის ესოდენ გაზრდას, იგი გამოწვეული უნდა იყოს იმ ვითარებით, რომ ისინი, როგორც ვაჟა-ფშაველას, ნიკო ურბნელს, ს. მაკალათიას და სხვებსაც მიაჩნიათ, ჯერ კიდევ წარმართობიდან მომდინარე ე. წ. „ლაშქრის ჯვარია". ნ. ურბნელმა ეს საკითხი საკმაოდ ნათლად წარმოადგინა წერილში — „კიდევ ლაშარობაზე". იგი ამ წერილში უარყოფს ლაშარის ჯვრის ლაშა გიო-

---

[67] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, 1974, გვ. 12—13.

რგისაგან მომდინარეობის ვახუშტისეულ მსჯელობას და ამბობს: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „ლაშარის ჯვარს", „ლაშარობას" ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს ლაშქრობის ჯვარს, ლაშქრობას, ლაშქრის ხატს[68]. შემდგომ შენიშნავს: „როგორც სხვა ჩვენს მთიელებს, ისე ფშაველებსაც მტერი არ აკლდა. მტერი ლაშქრავდა ფშავს და ეს კიდევ ლაშქრავდა თავის მტერს, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი — „ურჯულო" თუ „რჯულიანი", თავისიანი, თუ უცხოელი. ლაშქრობისათვის საჭირო იყო ცალკე ხატი, ცალკე სალოცავი, ლაშქრის ჯვარი"[69].

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ნ. ურბნელი იმასაც აღნიშნავს, რომ ხევსურეთში „რამდენსამე ადგილას არის „ლაშქრობის" ხატი, ჯვარი", ხოლო მათგან უმთავრესი ყოფილა გუდანის ჯვარი და „ლაშქრობაც გუდანის ჯვრის „ბრძანებაზედ" იყო დამოკიდებული:

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა,
ბრძანებს გუდანის-ჯვარიო"...[70]

აღძრული საკითხის შესახებ ნ. ურბნელი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ლაშქრის ჯვრობა" როგორც სოციოლოგიური დაწესებულება, ძველად-ძველის დროის ნაყოფი უნდა იყოს. ქრისტიანული მას არა ეტყობა რა და ეხლაც მთაში „ლაშქრის-ჯვრობა" წარმართობისა და „კერპობის" ნაშთს წარმოადგენს. შემდეგში, ქრისტიანობის გავრცელების დროს, „ლაშქარ-ჯვრობა" წმინდა გიორგის ჩააბარეს, დაუსაკუთრეს. ხევსურეთში, მაგ., სადაც კი „ლაშქრის ჯვარია", იქ უეჭველად წმინდა გიორგის სახელზეა ხატი. თვით ფშავის „ლაშარიც" ხომ წმინდა გიორგის სახითა და სახელით მოქმედებს (ასე არის თუშეთშიც, თუშეთის ლაშარის ჯვარი წმ. გიორგის სახელს ატარებს, ვ. ე.), ამის მიზეზი ადვილად გასაგებია: წმ. გიორგი, ეკლესიის შეხედულებით, ქრისტიანობის გმირია, მოლაშქრე. იგი თრგუნავდა და ჰმუსრავდა ქრისტიანობის მტრებს. მთიელებმაც აიღეს და ლაშქრობის გამგეობა წმინდა გიორგის ჩააბარეს. ხახმატის წმინდა გიორგი კაცის მკვლელებსაც კი თავიანთ მფარველად მიაჩნიათ"[71].

---

68 ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 103.

69 იქვე.

70 იქვე, გვ. 104.

71 იქვე, გვ. 105—106.

ს. მაკალათიას „ფშავის“ მიხედვითაც, რომელიც ნ. ურბნელის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდგომაა გამოქვეყნებული, აშკარად ჩანს, რომ ფშავის ლაშარის ჯვრის მთავარი დანიშნულება ლაშქრის წინამძღოლობა, მფარველობა და გარეშე მტერთაგან თავის ყმათა და თემთა მოვლა-პატრონობა იყო. „ლაშარი ფშაველის წარმოდგენით,— წერს ს. მაკალათია, — გმირი და უძლიერესი მხედარია, ის მტრისაგან იცავს ფშავის ხევს და ლაშქრობის დროს ჯარს წინ უძღვის და მძლეობის მომცემიაო. ლაშარი თავის ყმათა მფარველია და გარდა ხელმწიფისა თავის ყმათა არავის აყმობსო. ეს უძლეველი მხედარი ლურჯაზე ზის და თავის ყმათ უხილავად დაჰყვება, რომ ისინი განსაცდელისაგან დაიფაროს:

„ლაშარელაის ლურჯასა,
ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რომ არ იყოს მისვლისა“[72].

ფშავის ლაშარის ხატის უმთავრეს მოვალეობას რომ ლაშქრის წინამძღოლობა და ომიანობასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარებისათვის ზრუნვა შეადგენდა, უფრო კარგად ჩანს ს. მაკალათიას შემდეგი განმარტებიდან, რაც, რა თქმა უნდა, ხალხის მეხსიერებიდან მომდინარეობს: „ლაშარაშივე წყდებოდა ლაშქრობისა და ზავის საკითხი, აქ იყო დიდი ლაშარის დროშა და ფშავის ხევის თავხევისბერი, რომელიც ამ დროშით ლაშქარს წინ მიუძღოდა“[73].

ხევსურთა გუდანის ჯვრის უმთავრესი დანიშნულებაც იგივე ყოფილა, რაც ფშავის ლაშარისა: „თემურ ხევსურეთში, — შენიშნავს ს. მაკალათია, — თავდაცვას და ლაშქრობას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა და ლაშქრობის საქმეც გუდანის ჯვარს ეკითხებოდა თურმე. ამ მიზნით ლაშქრობის წინ ხევსურები გუდანში ქადაგს დასვამდნენ და მისი მეშვეობით გუდანის ჯვარს შეეკითხებოდნენ ლაშქრობის საქმეს. როგორც ეს ხატი ბრძანებდა, ხევსურები ისე მოქმედებდნენ“[74].

---

[72] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 194—195.
[73] ი ქ ვ ე, გვ. 195.
[74] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 238.

ლაშარის ჯვრის ლაშქრის ჯვრიდან მომდინარეობის ნ. ურბნელი-სეულ მსჯელობას, ვფიქრობთ, მხარს უნდა უჭერდეს შემდეგი გარემოებაც: ფშავური და თუშური ხალხური გადმოცემით აღინიშნება, რომ თუშეთის ლაშარის ჯვარი ფშავის ლაშარის ჯვრის განაყარია, მისი ნიშნია და იქიდან მომდინარეობსო[75].

მაგრამ ფშავის ლაშარისა და თუშეთის ლაშარის რიტუალი ბევრად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მათი ერთმანეთთან შედარებისას ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობთ, რაც უდავოდ გვაფიქრებინებს, რომ თუშეთის ლაშარის ჯვარი საკუთარ თუშურ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული და მას თავისი წარმოშობით შეცდომით უკავშირებენ ფშავის ლაშარის ხატს.

თუშეთის ლაშარის ჯვარი სოფელ ჩიღოს გვერდით, მისგან ჩრდილო დასავლეთით, დაახლოებით 5—6 კმ-ზე მდებარეობს. თუშეთის ლაშარობას 20-ჯერ მაინც ჩვენც დავსწრებივართ და ყოველთვის გვსმენია, რომ ლაშარის მთავარ დროშას (მას სამი-ოთხი დროშა აქვს დღესაც) სალაშქრო დროშას ეძახდნენ. ლაშარის ჯვარს წმინდა გიორგის სახელით ლოცულობდა ყველა — ადგილობრივი თუ მოსული და მათ არასდროს უხსენებიათ ლაშა-გიორგის სახელი. თუშეთის ლაშარისათვის ეს ვერსია სრულიად უცხოა. თუშეთის ლაშარის წმინდა გიორგი ღვთიური პიროვნებაა, იგი ყოვლისშემძლეა და აკი მლოცავი-ჯვარიონიც მისადმი მიძღვნილ საგალობელში შესთხოვს შველასა და დახმარებას: „...ცხვარსა უმატე გიორგი, თუ გინდა რქაჯანგიანი, პურსა უმატე გიორგი, თუ გინდა კოდი სავსენი, ყმათა უმატე გიორგი, თუ გინდა მოსახელენი“ და სხვა[76]. სიმღერის შინაარსისა და ლაშარობისადმი მიძღვნილი წესების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ეს ხატი შორეული წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს.

საგულისხმოა ის ვითარებაც, რომ ჩიღოს ლაშარის ჯვრის გარდა თუშეთში არის სხვა ლაშარის ხატიც — გომეწრის თემში, სოფელ ილიურთის ახლოს, საჯარის ჯორჯში, რომელსაც იმ თემის ჯვარ-ხატებს შორის საპატიო ადგილი უკავია და ეძახიან საჯარის წმინდა

---

[75] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 199—200.
[76] ი ქ ვ ე, გვ. 200—201.

გიორგის ლაშარის ჯვარს. ამ ხატსაც საკუთარი სალაშქრო დროშა ჰქონია[77].

არც ისაა სწორი, როდესაც ვამბობთ, რომ „ათინგენობა მთათუშეთში იწყება ჩიღოს ლაშარის ჯვრის ხატობით"[78]. დღეობა-ხატობები თუშეთში იწყება სოფ. დართლოს იახსრობით (პირიქითის თემი). ეს ხატობა იწყება შაბათს და კვირას მლოცავი ამ დღეობიდან პირდაპირ მიდის ჩიღოს ლაშარში.

ი. ჯავახიშვილმა ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაების — მთვარის კულტის შესახებ აღნიშნა, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ საქართველოში მთვარის კულტი წმინდა გიორგის კულტით შეცვალა[79]. თუშ-ფშავ-ხევსურეთში წმინდა გიორგის სახელის მატარებელი ჯვარ-ხატების რიცხვი საკმაოდ დიდია[80], რაც იმ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს, რომ მთაში, ისევე როგორც ბარის საქართველოში მთვარის კულტი ერთი უმნიშვნელოვანესი კულტი ყოფილა და, რა თქმა უნდა, ლაშქრის მფარველი და მისი გზის დამცველი-მანათობელიც მთიელთათვის ის იქნებოდა. აკი სულხან-საბა ორბელიანიც ასე განმარტავდა: „ლაშა—ქვეყ(ა)ნის მანათობელი" არისო[81].

ივ. ჯავახიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში — „ქართველების წარმართობა" — რამდენჯერმე შეეხო ფშავ-ხევსურულ ჯვარ-ხატებს და არსად აღუნიშნავს ფშავის ლაშარის სალოცავის ლაშა გიორგისაგან მომდინარეობის შესახებ, ხოლო მისი ზოგიერთი დასკვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება საკითხის ასე დაყენებას. „ერთი სიტყვით, —

---

[77] ევნატე ა ლ ი ა ი ძ ე, დაბად. 1891 წ., სოფ. გორულთიდან (გომეწრის თემი); დანიელ ნ ა ც ვ ა ლ ა ი ძ ე, დაბად. 1915 წ., სოფ. დოკუ (გომეწრის თემი).

[78] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 196.

[79] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 50.

[80] წმინდა გიორგის ლაშარის ჯვარი (ფშავში, თუშეთში); საკარის წმინდა გიორგის ლაშარის ჯვარი (თუშეთში); წმინდა გიორგის ხატი სოფ. გოგოლაურთაში (ფშავში); ხითანობის წმინდა გიორგის ჯვარი (თუშეთში); ფიქეხგორის წმინდა გიორგის ჯვარი (თუშეთში); შაფურთის წმინდა გიორგი ათინგენა, ფარსმის წმინდა გიორგი ათინგენა, დოკუს წმინდა გიორგი საეხვოსა (თუშეთში); ხახმატის, გუდანისა და სამების წმინდა გიორგის ხატები (ხევსურეთში) და სხვ.

[81] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV, 1965, გვ. 412.

შენიშნავს მეცნიერი, — ხევსურეთსა და ფშავშიც წმინდა გიორგის ხატობა მთვარის ხატობის თაყვანისცემის და მსახურების ნაშთს წარმოადგენს“[82].

დიდი მეცნიერის მთელი დანარჩენი მსჯელობაც ფშავ-ხევსურეთის წმინდა გიორგის მოსახელე ჯვარ-ხატების თაობაზე ზემოთქმულს მისდევს და ყველგან შენიშნავს, რომ ისინი წმინდა გიორგის თაყვანისცემიდან მომდინარეობენ და სხვა საფუძველი მათ არ გააჩნიათ: „...ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სამების ჯვარი ყველანი წმინდა გიორგის ტაძრებად ითვლებიან“ წერს ივ. ჯავახიშვილი[83]. „ფშაველებში ცნობილი ძლიერი ლაშარის ჯვარი და მთიულეთის დიდებული ლომის ჯვარიც წმინდა გიორგის ხატია“ — შენიშნავს მეცნიერი[84]. მთისა და ბარის წმინდა გიორგის მოსახელე ყველა ჯვარ-ხატისა და ეკლესია-მონასტრის თაობაზე კი ივანე ჯავახიშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ერთი სიტყვით, როგორც სახალხო თქმულებების შესწავლა, ისე დღეობებისა და ხატობის დაკვირვება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის უკავია“[85].

ი. ჯავახიშვილის მიერ ხსენებული საკითხის ასე ფართოდ და ამომწურავად წარმოდგენის შემდგომ, ვფიქრობთ, ფშავის ლაშარის ხატის თაობაზე მხარი უნდა დავუჭიროთ ნ. ურბნელის პოზიციას და თუშეთისა და ფშავის ლაშარის შესახებაც იგივე გავიმეოროთ, რაც ი. ჯავახიშვილმა ხევსურთა გუდანის ჯვრის შესახებ თქვა: „ლაშქრობისა და ომიანობის ძლიერ ღვთაებად ხევსურეთში „გუდანის ხატი“ ითვლება. მას ამასთანავე „საღმრთო“-ს უწოდებენ. იგი ყოველი ლაშქრობის „სარდლად“ მიაჩნია ხალხს“...[86].

თუშ-ფშავ-ხევსურეთში სალაშქრო დროშები ყველა ჯვარ-ხატს არ ჰქონია და არც დღესა აქვს. ასეთი დროშები ეკუთვნოდა თურმე მხოლოდ სატომო და სათემო ხატებსა და მათ დროშებს მხოლოდ და

---

[82] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
[83] ი ქ ვ ე, გვ. 48.
[84] ი ქ ვ ე.
[85] ი ქ ვ ე, გვ. 49.
[86] ი ქ ვ ე, გვ. 82.

მხოლოდ სალაშქრო დროშები ეწოდებოდა. გამოქვეყნებული ლიტერატურიდან[87] და ხალხში შემორჩენილი გადმოცემებიდანაც ირკვევა[88], რომ სატომო და სათემო დროშები თუშ-ფშავ-ხევსურებს ჯვარ-ხატებიდან მხოლოდ მაშინ გამოჰქონდათ, როდესაც ხატობა მიმდინარეობდა, ანდა როცა სამშობლოს დაცვისა თუ ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ. ლაშქარს წასვლამდე კი თემებისა და ტომის გჰირი წინამძღოლებისათვის სავალდებულო ყოფილა ე. წ. „გაწმენდა", „სიწმინდე" სხეულისა. „თვითეული გმირი მოვალე იყო ელოცნა „ლაშარში", „სამხვეწრო" მიერთმია ლაშქრის ჯვარისათვის"[89]. ასეთი ტრადიციების მქონე მთიელებს, რა თქმა უნდა, ეყოლებოდა თითო ყველაზე მთავარი სატომო-სალაშქრო ჯვარი, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ სხვა სატომო და სათემო სალაშქრო ჯვარ-ხატები და მათი ყმანი. ამ სატომო-სათემთაშორისო სალაშქრო ჯვარ-ხატებში, გარდა დღეობებისა, მეომარ მამაკაცთა შეკრება ხდებოდა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის დროს, კერძოდ, მაშინ, როცა ყველა თემის დარაზმვა იყო საჭირო სალაშქროდ თუ კარს მომდგარი მტრისათვის პასუხის გასაცემად. ეს ვითარება ხევსურეთის მაგალითზე კარგად აქვს წარმოდგენილი ვ. ბარდაველიძეს, იგი წერს: „სამხედრო ოპერაციების დროს ხევსურების უმცირესი და მცირე თემების მამროვანნი ერთიანდებოდნენ და სახევო და სახევთაშორისო რაზმებს ადგენდნენ, რომლებსაც თავ-თავისი დროშები ჰქონდათ. ხოლო სრულიად ხევსურეთის ლაშქარი საღმრთო გუდანის ჯვარის ალმის (ჯვარის) წინამძღოლობით, ე. წ. სადროშოებისაგან დგებოდა, რომლებშიც სახევო და სახევთაშორისო რაზმები იყო გაერთიანებული. ხევსურების არც ერთი სამხედრო ოპერაცია ორაკულის გარეშე არ ტარდებოდა"[90].

---

[87] Письмо из Тушетии, газ. «Кавказ», № 45, 1852 ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), გაზ. „დროება", № 66, 1885.

[88] ზაქრო ა ქ ი მ ი ძ ე სოფ. ჩიღოდან, დაბად. 1885 წელს; სამსონ ნაგურაიძე სოფ. დართლოდან, დაბად. 1888 წელს; ვლადიმერ ოჭირაული სოფ. ომალოდან, დაბად. 1895 წელს, იაკობ ღუზარაული, სოფ. გირევიდან, დაბად. 1880 წელს; რაჟდო დარქიზანიძე სოფ. ჯვარბოსლიდან, დაბად. 1894 წელს.

[89] ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 104.

[90] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული ი ემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 10, 1952, გვ. 623.

როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, თუშ-ფშავ-ხევსურეთის სალაშქრო ანდა ლაშქრის ჯვარ-ხატები — ლაშარისა (თუშეთსა და ფშავში) და გუდანისა (ხევსურეთში) მოთავეობდნენ და ტომს ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ სფეროში, რაც ლაშქრობასა და ქვეყნის უშიშროება-თავდაცვისუნარიანობასთან იყო დაკავშირებული. სხვა შემთხვევაში სოფლისა თუ თემის ჯვარ-ხატები დამოუკიდებელნი იყვნენ. საერო და სასულიერო საქმიანობას განაგებდნენ სოფლის, თემისა და ტომის ხევისბერ-დეკანოზნი და ცალკეული თემების მიხედვით საკითხავი, ე. ი. გავლენიანი საერო თავკაცნი, რომლებიც იკრიბებოდნენ დათქმულ დროს სოფლის, თემისა თუ სათემთაშორისო სამოსამართლო-საბჭეო ადგილად დადგენილ ტერიტორიაზე. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ (თუშეთის მაგალითზე), არ იყო აუცილებელი, რომ შეკრება მხოლოდ და მხოლოდ ხატის კარზე შემდგარიყო[91]. თუ რომელიმე სატომო ხატი ყველა თემებისათვის მისაწვდომ ცენტრალურ ადგილზე იმყოფებოდა მის კარზე იკრიფებოდნენ, ხოლო თუ ასეთი საშუალება არ არსებობდა, მაგალითად, თუშეთში, მაშინ შეკრება ტარდებოდა ნებისმიერ ადგილას, რომელიც თავისი მდებარეობით მოსახერხებელიც უნდა ყოფილიყო და საიმედოც.

პროფ. ვ. ბარდაველიძემ დაწვრილებით შეისწავლა ხევსურული თემის სტრუქტურა, მმართველობის სისტემა, ჯვარისყმობის ინსტიტუტი ხევსურეთში და აღნიშნულ საკითხთა შესახებ გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა. განსვენებული მეცნიერის მიერ წარმოდგენილი ხევსურული თემი დიდად ემსგავსება თუშურსა და ფშავურ თემებს და მათ შორის არსებითი ხასიათის განმასხვავებელი ნიშნები არ შეიმჩნევა. ხევსურულ თემზე მეცნიერის მიერ გაკეთებული დასკვნები შეგვიძლია, ბევრ რამეში, განვაზოგადოთ ფშავსა და თუშეთზე. თუნდაც ეს: „ხევსურული თემების დამახასიათებელ მხარეს შეადგენდა ის, რომ თითოეული მათგანის ცენტრში მოთავსებული იყო ჯვარი სათემო ღვთაების საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლების თავყრილობის ადგილს შეადგენდა"[92].

---

[91] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, С—Пб, 1871, стр. 300.

[92] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი (სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი), საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 497.

ჯვრის ანდა ხატის ყმობის ინსტიტუტიც თითქმის ერთნაირი შინაარსის მატარებელია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ხევსურეთის, თუშეთისა და ფშავის ყველა სოფლის მამაკაცი იმ სოფლის მთავარი ხატის ყმად ითვლებოდა და მის სახელს ატარებდა, სადაც ცხოვრობდა[93]. მაგალითად, სოფ. ჩიღოს (თუშეთში) 5—6 სალოცავი ჰქონდა, მათ შორის ლაშარის ჯვარი, მაგრამ ჩიღოელები ითვლებოდნენ ლაშარის ჯვრის ყმებად და არა რომელიმე სხვა ხატისა. ფშავის გოგოჭურთ თემის სათემო ხატი — მთავარანგელოზი მდებარეობს სოფ. ცაბაურთაში, იმავე სოფელს აქვს შემდეგი ხატებიც: კვირიას კოშკი, ადგილის დედა ღვთისმშობლის ხატი. მაგრამ ისინი ითვლებიან მთავარანგელოზის ყმებად, რადგან ის მათთვის ყველაზე ძლიერი და მთავარი ხატია[94]. ასევე იყო ხევსურეთშიც.

ფშაველების „ხატის ყმობის" შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ვაჟა-ფშაველა. იგი ამ ინსტიტუტს შემდეგნაირად აღწერს: „ხატს ფშაველი ეძახის ბატონს ანუ „ღვთისშვილს" და თავის თავს ყმას. ივი ამის მეტს ბატონს იმჟამათ ამ ჟამამდე მაინც არ იცნობს (ასე იყო თუშეთსა და ხევსურეთშიც, ვ. ე.)... ფშაველები შეადგენენ თორმეტს თემს... თვითეულ თემს ყავს საკუთარი ხატი, გარდა საზოგადო ხატისა"[95].

ჯვარ-ხატის ყმობის ინსტიტუტი, რომელიც მთიელთათვის ადგილობრივი თემური მმართველობის ერთ-ერთი თავისებური ფორმაა, უფრო დაწვრილებით და ფართოდ წარმოადგინა ვ. ბარდაველიძემ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში[96], რომლის მიხედვითაც ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ფშავ-ხევსურეთში ჯვარ-ხატთა ზემოქმედების ძალა და მბრძანებლობა, მლოცავთა დამონება და დაყმევება უფრო ფართო მასშტაბისა ყოფილა, ვიდრე თუშეთში. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თუშეთში დეკანოზ-ხევისბერთა და სასულიერო დარგის სხვა მოხელეთა თანამდებობებმა ფშავ-ხევსურეთ-

---

[93] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი (სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი), საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 497.

[94] ი ქ ვ ე, გვ. 97—114.

[95] ვაჟა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, 1961. გვ. 25; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, 1974, გვ. 13—14.

[96] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—30 და სხვ.

თან შედარებით ადრე განიცადა დაკნინება. მაგალითად, თუშეთის უკანასკნელი ხევისბერი იყო იაკობ (საგით) ელანიძე, რომელიც გარდაიცვალა 1914 წელს. ის იყო ლაშარის ჯვრის ხევისბერი. მის შემდგომ თუშეთის არც ერთ ჯვარ-ხატს დეკანოზი ან ხევისბერი აღარ ჰყოლია. ფშავ-ხევსურეთში კი ეს ინსტიტუტი ნაწილობრივ დღესაც არსებობს, მათ ისევ ჰყავთ ე. წ. თავხევისბერები და ხევისბერები. მაგალითად, ფშავის თავხევისბერი ბიჭური ბადრიშვილი ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე კვლავ ძველი ადათ-წესების მიხედვით აგრძელებდა ხსენებულ ტრადიციას.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის თემების მმართველობის სისტემის ურთიერთშედარების გზით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ, თუშეთისაგან განსხვავებით, ფშავ-ხევსურთა ცხოვრებაში მათი ჯვარ-ხატები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ, ისინი მათი აშკარა მბრძანებელნი და მფლობელნი იყვნენ. ეს ვითარება სხვა ფაქტებთან ერთად იქედანაც ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთის ზოგიერთი ჯვარ-ხატი საკუთარი მამულების (მთასა და ბარში), დიდძალი შეწირული ქონების და მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის ფარების მფლობელნი იყვნენ. „ხევსურული ჯვარები, — წერს ვ. ბარდაველიძე, — თემის მასშტაბით მსხვილი საადგილმამულო მესაკუთრენი იყვნენ. დიდი ფართობის საჯვარო მიწები, რომელთა მეთემეებზე გაცემა არ ხდებოდა, საფუძველს წარმოადგენდა ჯვარის მესაქონლეობისა და აგრარული მეურნეობისას, სადაც ერისგანნი კოლექტიურ მწარმოებელთა ძირითად მასას შეადგენდნენ“[97]. დ. ზუბარევი, რომელმაც XIX საუკუნის 30-წლებში მოიარა თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, კახეთი და ჭარ-ბელაქანი, აღნიშნავდა, რომ: «Пшави занимаются и садоводством. Сады их, числом 15 десятин, на правом берегу Алазани, в селениях Телавского уезда: Ахмета, Ходашени, Пшавели и Маграани. Из винограда приготовляют вино для собственного употребления»[98].

კახეთის ბარის, ალაზნის ველის გაღმა-გამოღმა მდებარე სავენახე

---

[97] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა... 1952, გვ. 625.

[98] Д. З у б а р е в, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, Рус. Вестник, т. II, кн. № 6, 1841, стр. 525.

ადგილები ფშავ-ხევსურებს ბოძებული ჰქონდათ ქართლ-კახეთის მეფეთაგან და ზოგსაც თვითონ ყიდულობდნენ. კახეთის ბარში გაშენებული ვენახები ეკუთვნოდა ამა თუ იმ თემს და მათ ხატებს: მთავარ ანგელოზს (ცაბაურთობა), ჩარგლის ღვთისმშობელს და ფშავ-ხევსურეთის მთავარ ხატებს: ლაშარის ჯვარს, თამარ-დედოფალს, დამასტურს და გუდანის ჯვარს. ამ ვენახებიდან ისინი ამზადებდნენ „საკულუხე“ ღვინოს, რასაც ზაფხულში იყენებდნენ ჯვარ-ხატების საჭიროებისათვის[99].

ფშავ-ხევსურეთის ზოგიერთ ხატ-ჯვარს, როგორც ზევითაც ითქვა, საკუთარი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც ჰყავდა. აი, რას წერს ამის თაობაზე ვაჟა-ფშაველა: „ფშავლებს... ძველისძველიდანვე შეურაცხიათ თამარი წმინდანად, „ხატად“ და დაუდვიათ მის სადიდებლად დღეები, 2—3 ივლისი, ე. ი. ლაშქრობის მეორე დღიდან, ხოლო მის სახსენებლად და სადიდებლად ჰყავთ ფარა ცხვრისა, „რომელსაც თამარის“ ცხვარი ეწოდება და ამ სახელით ზამთრობით იგი იკვებება შირაქში, ხოლო ზაფხულობით — ფშავის მთებში“[100]. ამა თუ იმ ხატის სახელზე მოშენებული საქონელი და მიღებული შემოსავალი განკუთვნილი ყოფილა იმავე ჯვრების საჭიროებისათვის.

ჯვარ-ხატების საჭიროებისათვის თუშეთშიც გამოიყოფოდა სასოფლო მიწებიდან ე. წ. „სახატე მიწები“[101]. მაგრამ ისინი არც თავისი სიდიდით და არც სიმრავლით არ ემსგავსებოდნენ ფშავ-ხევსურულ „სახატე მიწებს“.

§ 3. ხევისბერისა და დეკანოზის უფლება-მოვალეობა თუშური თემის მმართველობაში

თუშეთის გვაროვნულ-თემური მმართველობის თავდაპირველი ფორმა ალბათ ისეთივე იქნებოდა, როგორიც უძველესი საქართველოს

---

[99] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, გვ. 53, 191; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 247; რ. ძ ა მ ს ა შ ვ ი ლ ი, მგზავრის შენიშვნები, გაზ. „დროება“, 1880, № 102, 224; ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 100—101; საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები: Sd — 2940, Sd — 22941, Sd — 2942, Sd — 2943, Sd — 2944, Sd — 2945, Sd — 2954, Sd — 2957.

[100] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, გვ. 191.

[101] М. К о в а л е в с к и й, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890, стр. 108—109.

ყველა კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. ესაა ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის მთელი ცხოვრება „საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული“[102]. ასეთ საზოგადოებრივ წყობილებაში „გვარი... ცხოვრების დედაბოძი იყო“, რომელსაც სათავეში მამასახლისი ედგა[103].

გვაროვნულ-თემურმა წყობილებამ თუშეთში მრავალი საუკუნის მანძილზე იარსება. ეს ისეთი ფორმა იყო საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებისა. რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებდა უბატონო მთიელთა მოთხოვნილებას, რადგან ის „შინაგან წინააღმდეგობებს არ იცნობდა და მხოლოდ უკონფლიქტო საზოგადოებისათვის იყო გამოსადეგი. მას არავითარი იძულების საშუალება არ გააჩნდა, გარდა საზოგადოებრივი აზრისა“[104].

აღნიშნულ საზოგადოებრივ წყობილებაში, სადაც ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა და უპირატესობა ენიჭებოდა მხოლოდ სიდარბაისლეს, ცოდნას, გამოცდილებას, მჭევრმეტყველებასა და სხვას, თანდათანობით დაწინაურდნენ გვარის უხუცესი წევრები, რომელთაც ხალხური გადმოცემები თუ წერილობითი ძეგლები მამასახლისებს, ხევისუფლებს და დეკანოზ-ჰეროვნებს უწოდებენ.

თუშეთის გვაროვნულ წყობილებაში მამასახლისობა-ხევისუფლობის მმართველობის შინაარსზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან მის დასახასიათებლად საჭირო მასალები არ არსებობს. შესაძლებელია ითქვას მხოლოდ ის, რომ ხევისბერი, რომელსაც საპატიო ადგილი ეკავა თუშ-ფშავ-ხევსურთა ცხოვრებაში[105], იყო იმ ხევისუფლის მემკვიდრე, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია უძველეს ქართულ ინსტიტუტად[106].

მეცნიერის მსჯელობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს თავდაპირველი მიწა-წყალი „...დაყოფილია სამთავრო „ხევებად“. ხევს

---

102 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1961, გვ. 167.

103 ი ქ ვ ე.

104 ფრიდრიხ ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1938, გვ. 202.

105 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

106 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975, გვ. 123.

„გაპატრონებია“ „ხევისუფალი, უძლიერესი საგვარეულო“[107]. და ბოლოს ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ: „აი, ეს იყო ის ცოცხალი ქვეყნები (ხევები) უძველესი დროიდანვე რომ მოდიოდნენ და რომელნიც სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ საერისთავოში აღმოჩნდნენ მეტის, თუ ნაკლების რაოდენობით გაერთიანებულნი“[108].

ისედაც ბუნებრივად ხევებად დაყოფილი თუშეთი, რა თქმა უნდა, ვერ ასცდებოდა აღნიშნულ პროცესსა და იქაც ცალკეული კუთხე-ხევებისა თუ გვაროვნულ-ტერიტორიული თემების მოთავენი ხევისბერ-დეკანოზნი იქნებოდნენ. ერთი — საერო, ხოლო მეორე — სასულიერო საქმეთა გამგებელი.

თუშური თემის ყოფა-ცხოვრებაში ხევისბერისა და მასთან ერთად დეკანოზის განსაკუთრებული უფლება-ძოვალეობა, ვფიქრობთ, მართლაც შორეული წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ავტორიტეტი თუშეთის გვაროვნულ-თემურ წყობილებაში განუსაზღვრელ აღზევებას ვერ მიაღწევდა.

გვიანდელი საუკუნეების წერილობითი მასალით, ხალხური გადმოცემებითა და მთაში ნაწილობრივ კვლავ არსებული ტრადიციის მიხედვით, ერთხმად აღინიშნება, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთის თემების მართველობაში, მათ ყოფა-ცხოვრებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ხევისბერ-დეკანოზ-ხუცესებს და მათდამი დაქვემდებარებულ სხვა მოხელეებს.

ხევისბერ-დეკანოზთა ინსტიტუტის თაობაზე როგორც რევოლუციამდე, ისე მას შემდგომაც მრავალი წერილი და გამოკვლევაა დაწერილი. მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ნ. ურბნელის შრომები[109].

ნ. ურბნელი, როგორც იურისტი და მთის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მცოდნე, ხსენებულ შრომებში, სხვა საკითხებთან ერთად, ფართოდ მსჯელობს ხევისბერ-ციხისთავთა მოღვაწეობაზე, შემდგომში კი იმის თაობაზე, თუ როგორ და რა ვითარებაში ხდება ხევისბერთა

---

[107] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII[1], 1975, გვ. 123.

[108] ი ქ ვ ე.

[109] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები (ფშავ-ხევსურეთი), გაზ. „დროება“, № 165, 1885; მისივე, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი (იურიდიული მონოგრაფია), ტფ., 1890.

საერო უფლებების შეზღუდვა და მის მიერ მთიელთა ჯვარ-ხატებში თანდათანობით გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება.

აღნიშნული თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ს. მაკალათიას მონოგრაფიებიც, სადაც ფართოდ არის საუბარი მთის ჯვარ-ხატთა წესისა და რიგის აღმსრულებელ პირთა, განსაკუთრებით კი ხევისბერ-დეკანოზ-ხუცესთა როლსა და უფლება-მოვალეობაზე[110]. ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა სპეციალური გამოკვლევა (ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით), რამაც ნათელი მოჰფინა მთიელთა სოციალურ თუ სასულიერო ცხოვრებაში ხევისბერ-დეკანოზთა მიერ დაკავებული ადგილის სწორად გაგებას[111].

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რაც ამ თვალსაზრისით მიუძღვის პროფ. ვ. ბარდაველიძეს. მან ამ მხრივ ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომლის საშუალებითაც ვეცნობით ხევსურეთისა და ფშავის თემებისათვის დამახასიათებელ მმართველობის სისტემას, ხოლო მათი განზოგადებით შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თუშური თემის მმართველობის თაობაზეც[112].

სხვა მრავალ მეცნიერ-მკვლევართანაც, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საინტერესო ცნობები გვხვდება ხევისბერ-დეკანოზ-ხუცესთა თაობაზე, მათ მიხედვით შესაძლებელი ხდება სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ XVIII—XIX საუკუნეების მთის თემურ ცხოვრებაზე. მაგრამ საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ წერილობითი ისტორიული მასალა არ გაგვაჩნია. არსებობს მხოლოდ ქართული სამართლის ერთი ძეგლი—„ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ“[113]. იგი, მართალია, არაგვის მოსახლეობის ნაწილს

---

[110] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი; მისივე, ფშავი; მისივე, ხევსურეთი.

[111] მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 1975, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური დახასიათებისათვის, „მაცნე“, № 1, 1979.

[112] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 10; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, 1974; მისივე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები, ტ. 112, თუშეთი, 1985.

[113] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

ეხება[114], მაგრამ იგი შეიძლება მივუყენოთ ოუშ-ფშავ-ხევსურეთსაც, რაღგან მას „ცხადად დაეტყო ჩვენის მთიულეთის საზოგადო ზნე-ჩვეულებათა ბეჭედი“[115]. ნ. ურბნელისთვისაც, ამ შემთხვევაში, ერთადერთი სახელმძღვანელო იყო მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ და სხვა წყარო მას არც ეგულება. იმიტომ წერდა, რომ: „ხევის-ბერობაზე ძვირფასს მასალას გვაძლევს მეფე გიორგის კანონები (ძეგლის-დება მეფეთ მეფის გიორგისა მიერ, ვახტანგის კანონთა კრებაში) და ჩვენ ვისარგებლებთ ამ კანონებით, ვუჩვენებთ მკითხველს ხევისბერობის წარსულს“[116].

ხსენებული სამართლის ძეგლით მტკიცდება, რომ XIII — XIV საუკუნეების ქართლ-კახეთის მთიანეთის ერთ-ერთი წინამძღოლი ხევისბერი იყო. „ძეგლის დების“ მიხედვით ჩანს, რომ ხევისბერს ნიშნავდა დარბაზი და მხოლოდ „ამ უმაღლეს პოლიტიკურს ორგანოს ექვემდებარებოდა“[117].

ხევისბერის კანდიდატურის შერჩევაში სამეფო კარს, ე. ი. დარბაზს დახმარებას უწევენ ერისთავი და გამგებელი, რომელნიც უმაღლესი ხელისუფალნი იყვნენ მთის მოხელეთა შორის. მათ მიერ შერჩეულ პიროვნებას, რომელიც საიმედო უნდა ყოფილიყო ხელისუფლებისათვის, დარბაზი ამტკიცებდა და ხევისბერობას უბოძებდა. „მაგრამ ამორჩევა იმას როდი ჰნიშნავდა, — წერს ნ. ურბნელი, — რომ ყველას მიეღო ხევისბერობა. არა, — ეს მოხელეობაც ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა, საგვარეულო ნიადაგზე იყო აღმოცენებული და როცა ყოფილი ხევისბერის გვარი ამოწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სხვა გვარის კაცს მიეღო დიაღ საპატიო — „ლაშქართ თავადობა“[118].

გიორგი ბრწყინვალის სამართლის ძეგლის მიხედვით, ხევისბერთან ერთად დასახელებულია ხევისთავიც, ე. ი. ხევისთავი და ხევისბერი

---

[114] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 103.

[115] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი. ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი (იურიდიული მონოგრაფია), ტფ., 1890, გვ. 3.

[116] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გაზ., „დროება“, № 65, 1885.

[117] იქვე, Р. Э р и с т о в, Извлечение из этнографических очерков, Н. Урбнели о Хевсурах, Зап. Кав. отд. ИРГО, кн. XIV, вып. I, Тиф., 1890, стр. 142.

[118] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, გვ. 18.

ერთსა და იმავე დროს მოღვაწეობენ მთაში, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მოხელენი[119].

ხევისთავის უფლება-მოვალეობის შესახებ „ძეგლის დებაში“ არაფერია ნათქვამი, იგი მხოლოდ ნახსენებია წინასიტყვაობაში სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, ვინც მთიდან ჩამოიყვანეს და ვისთანაც ერთად გიორგი მეფემ და მისმა პოლიტიკურმა დასმა შეიმუშავა ახალი კანონთა კრებული. „სიტყვის მნიშვნელობისაგან კი სჩანს, რომ ხევის თავი უფროსი იყო მთელის ხევისა. მართალია, ხეობა პატარა ადგილია, მაგრამ ხევის-თაობა კი მეტად საპატიო სამსახურად ითვლებოდა“[120].

სამაგიეროდ, კარგად არის დახასიათებული ხევისბერის ფუნქციები, მისი როლი და ადგილი მთიელთა ცხოვრებაში. ხევისბერის ინსტიტუტის ასე მკვეთრად წარმოდგენა უკვე საეჭვოს აღარ ხდის საკითხს იმის თაობაზე, ნამდვილად არსებობდა თუ არა მთაში ხევისთავის თანამდებობა. საქმის ვითარებიდან ჩანს, რომ ხევისბერი იყო სამხედრო პიროვნება და ხევის სალაშქრო-თავდაცვით საქმიანობას განაგებდა, ხოლო იმავე ხევისა თუ თემის უშუალო მეთვალყურე-ხელმძღვანელი ხევისთავი იქნებოდა.

ხევისბერის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა სამხედრო სამსახური: „ხევისბერს დარბაზით ლაშქარს თავადობა ჰბოძებია“ — ვკითხულობთ „ძეგლის დებაში“[121]. „ციხე და დროშა — აი, ორი ნიშანი, — წერს ნ. ურბნელი, — რომლითაც განსხვავდებოდა ხევისბერი: „ლაშქართ თავადობა“ — აი, უპირველესი მისი მოვალეობა. როცა საჭიროება მოითხოვდა, ხევისბერს უნდა აღემართა დროშა და წინ გასძღოლოდა ლაშქარს“[122]. თუ ხევისბერი ამ თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, მაშინ „ჴევისბერობა წაეღოს და მამული დაეჭიროს, და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოძოს, და ჴევისბერობაც ისევ ებოძოს, თუ ნამსახური იყოს და სხუა არა შეეცოდოს რა“[123].

---

119 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103.

120 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, გვ. 16.

121 ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 107.

122 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება“, № 165, 1885.

123 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 111.

„ძეგლის დების“ მიხედვით, ხევისბერის მოადგილედ დარბაზისა-ვე მიერ ინიშნებოდა ციხისთავი. თუ ხევისბერის მოკვლისას მისი სისხლი ექვსიათას თეთრად ფასდებოდა, ციხისთავის მოკვლისას — სა-მიათას ხუთას თეთრად[124].

მართალია, ხევისბერი „ძეგლის დებამდე“ და მის შემდგომაც, უმ-თავრესად „ლაშქართ თავადი იყო“, მაგრამ, როგორც ამ კანონთა კრებულიდან ჩანს, მას, გარდა სამხედრო საქმეებისა, საერო საქმეე-ბზეც ეიუწვდებოდა ხელი: „კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე... გა-მგებელსა და მის ქუეყნის ჯევის-ბერს აცნობონ, მათ უთხრან და და-უურვებინონ ამავე განაჩენითა“[125].

„ძეგლის დებაში“ საგანგებოდ ესმება ხაზი იმ ვითარებას, რომ ერისთავ-გამგებელსა და ხევისბერებს საეკლესიო საქმეები არ ეკი-თხებოდათ და მათ თავისი საჭეთმპყრობელნი გააჩნდათ. ამის თაო-ბაზე კანონთა კრებულის შესავალში წერია, რომ: „სხუა რაც სასჯუ-ლო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ განაჩენთა მათ ზედა ეპისკოპოზთა, მათ კითხონ“[126].

ვიორგი ბრწყინვალის სამართლის კრებულის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მთაში სასულიერო საქმიანობას განაგებდნენ საქართველოს კათალიკოს-ეპისკოპოსნი და ამ სფეროში ხევისბერებს ხელი არ მი-უწვდებოდათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ძეგლის დების“ ეს ცნობა ეხე-ბა მთაში სამეფო ხელისუფლების მიერ ნაძალადევად გავრცელებულ სახელმწიფო რელიგიას და არა საერთოდ მთიელთა „სასჯულოს“, რომელშიც წარმართობას და მის საკულტო ადათ-წესებს უფრო დი-დი ადგილი ეკავა, ვიდრე ქრისტიანობას. მთაში ქრისტიანობის შეტა-ნამდე და მის შემდგომაც, რა თქმა უნდა, წარმართულ იდეოლოგიას თავისი საჭეთმპყრობელნი ეყოლებოდა, რომელთა შესახებაც ხსენე-ბული სამართლის ძეგლი არაფერს ამბობს. თუშ-ფშავ-ხევსურეთში, განსაკუთრებით კი ხევსურეთსა და თუშეთში, ხევისბერების ინსტი-ტუტის პარალელურად უფრო ხშირად დეკანოზის მოხსენიებამ ზოგი-ერთ მკვლევარს შესაძლებლობა მისცა მოსაზრება გამოეთქვა ხევის-ბერ-დეკანოზის მსგავსება-განსხვავებულობის შესახებ. ამ მხრივ საი-

---

[124] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 108.
[125] ი ქ ვ ე. გვ. 118.
[126] ი ქ ვ ე, გვ. 104.

ნტერესოა პროფ. ალ. ხახანაშვილის შეხედულება: „წინად, ჰფიქრობენ. დეკანოზები იყვნენ წარმომადგენელნი და აღმასრულებელნი სარწმუნოების წესებისა და ჩვეულებისა. ხევის-ბერებს კი ეკუთვნოდა საერო საქმეები... შემდეგ, როცა ქრისტიანობა გავრცელდა მთიელთა შორის და ახალი მოქალაქეობრივი წესები შეტანილ იქნა იმათს სამშობლოში, მაშინ ეს გაყოფილი თანამდებობა დეკანოზთა და ხევის-ბერთა შორის აიწეწა, აირია: ხევის-ბერებზე გადავიდა სარწმუნოებითი მოვალეობა, რაიცა წინად მხოლოდ დეკანოზებს ეკუთვნოდათ.... ახლა ხალხი ხევისბერსა და დეკანოზს აღარ არჩევს ერთმანეთში, ორივეს ერთსა და იმავე თანამდებობას აწერს ძველის დროიდან«[127].

დეკანოზობა და ხევისბერობა რომ ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდებოდა, კარგად ჩანს ნ. დუბროვინის შემდეგ სიტყვებში: «Деканоз собственно значит монах ущелья, жрец и служитель капища. Он заказывает приводимый на жертву скот и исполняет обряд венчания, он же смотрит и за священными знаменами»[128].

იგი დეკანოზის უფლება-მოვალეობას სხვაგანაც ეხება და წერს, რომ: «Деканоз—лицо духовное и вместе с тем, правитель и предводитель народа»[129].

ნ. დუბროვინი სპეციალურად მსჯელობს ხევისბერის თაობაზეც და იძლევა მის სრულ დახასიათებას[130]. ნ. დუბროვინის მიხედვით ხევისბერისა და დეკანოზის ფუნქციები ერთიმეორეს არ ემთხვევა და ისინი თავისი საქმიანობით მკვეთრად განსხვავდებიან: დეკანოზი საეკლესიერო პიროვნებაა, ხევისბერი კი თემის წინამძღოლი და თავკაცია, რომელიც ხასიათდება სიდარბაისლით, გონიერებით, საზრიანობით და თემური ადათ-წესების საფუძვლიანი ცოდნით.

1800 წლისათვის, როგორც ნ. დუბროვინი წერს, მთელს ხევსურეთში და ფშავში 4—4 დეკანოზი ყოფილა: «Тринадцать хевсурских фамилий имели (в 1800 г.) четырёх деканозов (протопопов),

---

[127] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია", № 177, 1888.

[128] Н. Д у б р о в и н. დასახელებული შრომა, გვ. 293.

[129] ი ქ ვ ე, გვ. 207.

[130] ი ქ ვ ე, გვ. 300.

т. е. служителей веры и предводителей народа в его войнах. Пшави имели также четырёх деканозов»[131].

მომდევნო პერიოდში დეკანოზების რიცხვი საგრძნობლად იზრდება. მაგალითად, XIX საუკუნის 50-იან წლებში ხევსურეთში 52 დეკანოზი ყოფილა[132].

1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით, თუშეთში 22 ხევისბერია დასახელებული[133]. XIX საუკუნის 80-იან წლებში თუშეთში ხევისბერთა რიცხვი იმდენად შემცირებულა, რომ 3—4-ზე მეტი აღარ გვხვდება. „რიცხვი ხევის-ბერებისა (თუშეთში, ვ. ე.) არ აღემატება 3—4-ს. ერთი მათგანი ყველაზე უფროსია, დანარჩენნი იმისნი ხელქვეითნი, მორჩილნი არიან“[134]. თუშეთში და, რა თქმა უნდა, ფშავ-ხევსურეთშიც, ხევისბერ-დეკანოზთა რიცხვის ასე საგრძნობლად შემცირება გამოწვეული უნდა იყოს მთაში რუსული მმართველობის თანდათანობით შეჭრის შედეგად.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხევისბერის თანამდებობის გაჩენის ისტორიის თავდაპირველ ბუნებას და მის იგივეობა-განსხვავებულობას დეკანოზთან კიდევ უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს ნ. დუბროვინთან არსებული ერთი საინტერესო ცნობა: «Старший между деканозами принимал прежде название хевисбера и был начальником одного или нескольких селений. Избрание в эту должность происходило без особых затейливых обрядностей»[135].

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ ხევისბერობა ქართველ მთიელებში ადრევე არსებულა და თანაც დეკანოზების შემადგენლობიდან ირჩევდნენ. რადგან დეკანოზობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში უხსოვარი დროიდან უნდა მომდინარეობდეს, ადვილად გასაზიარებელი ჩანს ის ვარაუდიც, რომ დეკანოზებს თავისი უფროსიც ეყოლებოდათ და იგი ხევისბერი იქნებოდა. ქართლის სამეფო ხელისუფლება მთიანეთში თავისი პოლიტიკის დასაყრდენ — გამტარებელ მოხელეებად იქაურ, თანაც ავტორიტეტულ პიროვნებებს შეარჩევდა.

---

[131] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1871, стр. 293.

[132] Газ. «Кавказ», № 44, 1854; Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, стр. 109.

[133] საქ. ცსსა, ფონდი, 254, ანაწ. 2, საქ. 399. ფურც. 1—217.

[134] ალ. ხახანაშვილი..., „ივერია“, № 177, 1888.

[135] Н. Дубровин, დასახ. შრომა, გვ. 295.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში უკვე არსებული ხევისბერის საერო-სასულიერო თანამდებობის სახელმწიფოს მიერ გამოყენების შედეგი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ხევისბერებს დაევალათ საერო საქმეთა ხელმძღვანელობა — „ლაშქართ თავადობა", მოსამართლეობა და სხვა, ხოლო სასულიერო საქმიანობას კვლავ დეკანოზები განაგებენ. სწორედ ამ თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული ის რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხშირად აღრევა ხდება და ამით ძნელდება დეკანოზებისა და ხევისბერების ფუნქციათა ზუსტი განსაზღვრა. ამას ის გარემოებაც ართულებს, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხევისბერ-დეკანოზები უმეტესწილად გამიჯნულად გვევლინებიან. ე. ი. თითოეულ მათგანს თავისი სამოქმედო უბანი გააჩნია, ზოგჯერ კი ხევისბერსა და დეკანოზს შორის მხოლოდ სახელწოდებრივი განსხვავებაა, საქმით კი მათი განცალკევება არ ხერხდება. ამ ორი სამოხელეო ინსტიტუტის გულდასმით შესწავლის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ხევისბერი და დეკანოზი — ორივე უძველესი დროიდან არსებული თანამდებობებია, რომელთაგან ხევისბერი საერო, სამხედრო და სასამართლო საქმეებს განაგებდა, ხოლო დეკანოზი მთიელთა წარმართულ სარწმუნოებას ხელმძღვანელობდა. მათ შორის ფუნქციათა ასეთი განაწილება თუშ-ფშავ-ხევსურეთში ბოლო დრომდე შეინიშნებოდა, თუმცა XIX საუკუნეში დეკანოზობა-ხევისბერობა იმდენადაა ერთიმეორეში აღრეული, რომ მათი ფუნქციების გარკვევა ძნელდება. მაგალითად, როცა რ. ერისთავი ხევისბერისა და დეკანოზის შესახებ მსჯელობს, აღნიშნავს, რომ «Хевисбери или Деканозы — монах — ущелья или жрец служитель капища»[136]. ივ. ბუქურაული კი წერს, რომ „ხევისბერი უმაღლესი სასულიერო პირი იყო. მას ყოველ ხატში ეყენა ქვეშევრდომი დეკანოზი. ფშავში და მთიულ-გუდამაყარში დეკანოზი ქვეშევრდომია ხევისბერისა, ხევსურეთში და თუშეთში კი მას ხევისბერის ალაგი უჭირავს"[137].

---

[136] Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, стр. 101.

[137] ივ. ბუქურაული, ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი, ჟურნ. „მოამბე". № 5, განყოფ. II, 1898, გვ. 85.

ივ. ბუქურაულს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ თუშეთსა და ხევსურეთში ხევისბერის ინსტიტუტი არ არსებობდა და მისი ადგილი დეკანოზს ეკავა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ფშავში, თუშეთსა და ხევსურეთში ორივე ინსტიტუტი არსებობდა; ისინი ზოგჯერ შეერთდებოდნენ და ერთი სახელით გვევლინებოდნენ და ფუნქციაც განუყოფელი ჰქონდათ, ზოგჯერ კი ცალ-ცალკე არსებობდა და სამოქმედო უბანიც გამიჯნული ჰქონდათ. მაგალითად, ალ. ყამარაული შენიშნავს, რომ ხევსურეთში — „ხატის მსახურნი" ორ ჯგუფად იყოფიან: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან სარწმუნოებრივი წესების ამსრულებლები, რომელთაც ეწოდებათ: „ხევისბერი", „ხუცესი", „დეკანოზი" ...ხატის მსახურთა უფროსი — ხევისბერია"[138].

აკად. ნ. დუბროვინი თუშ-ფშავ-ხევსურეთზე დაწერილ სპეციალურ გამოკვლევაში, სხვა საკითხებთან ერთად, საინტერესოდ მსჯელობს ხევისბერობა-დეკანოზობის თაობაზეც და ნათლად ახასიათებს ამ ორივე თანამდებობას: «Каждый хевисберн был судья в своем селении и, как увидим ниже, определял наказание за всякую обиду и оскорбление. За неимением в селении хевисбера обязанность судей исполняли деканозы, или старики, выбранные тяжущимся и пользующиеся уважением народа»[139]. ანდა: У всех вообще хевсуров из числа хевисберов, выбирался еще один верховный деканоз, обязанный следовать всегда с ними на войну, тогда как прочие деканозы только чередовались»[140].

თუშ-ფშავ-ხევსურეთში დეკანოზობა-ხევისბერობის ინსტიტუტი გამოვლილი გზის ხანგრძლიობითა და შინაარსობრივი ცვალებადობით იმდენად რთული და თავისებური იყო, რომ ადვილად ხდებოდა მათი ურთიერთაღრევა. სწორედ ამითვე არის გამოწვეული ის დიდი დაინტერესებაც ხევისბერობა-დეკანოზობის თანამდებობათა შესწავლით, რასაც მეტ-ნაკლები სისრულით ვხვდებით თითქმის ყველა მკვლევრის წერილებსა და გამოკვლევებში, ვინც კი თუშ-ფშავ-ხევსურეთს შე-

---

138 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, 1932, გვ. 54.

139 Н. Дубровин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 295.

140 იქვე.

ხებია[141]. მ. კანდელაკმა ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა და მას საკმაოდ საინტერესო და ვრცელი გამოკვლევა უძღვნა[142].

მართალია, ხევისბერებს სამეფო ხელისუფლების მიერ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო-სასამართლო საქმეების ხელმძღვანელობა ევალებოდათ და ეკრძალებოდათ კიდეც სასულიერო ცხოვრებაში თავისი უფლებების გამოყენება, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში, როდესაც ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო კვლავ დაიშალა და ჩამოყალიბდა სამეფო-სამთავროები, როცა აღარ არსებობდა მთისა და ბარის გამაერთიანებელი ცენტრალიზებული ხელისუფლება, ხევისბერებმა, რომელთაც მთის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი გააჩნდათ, საერო-სასამართლო საქმეებთან ერთად თანდათანობით ხელთ იგდეს მთიელთა სასულიერო ცხოვრების სადავეებიც. ამასთან, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ, კერძოდ XVI — XVII საუკუნეებიდან, ადრინდელმა ხევისბერმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა გაერთიანებული სახელმწიფო ხელისუფლება, დაკარგა ძველი სახელი და დიდება. „აწინდელს მდგომარეობაში, — წერს ნ. ურბნელი, — ხევისბერობა სულ სხვა დაწესებულებაა, ვიდრე ძველს დროს

---

[141] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. вторая, 1871, стр. 290—305; Р. Эристов, Извлечение из этнографических очерков Н. Урбнели О Хевсурах, Записки Кавказского отдела ИРГО, кн. XIV, выпуск первый, Тифлис, 1890, стр. 142—154; А. Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867 гг.), часть первая (1842—1851 гг.), 1879, стр. 214—18, 240—244; Г. Радде, Хевсурия и хевсуры, Зап. Кавк. отд. ИРГО, кн. XI, Тиф., 1881, стр. 90—98; Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, Зап. Кавк. отд. ИРГО, кн. III, 1853, стр. 98—109; რ. ძ ა მ ს ა შ ვ ი ლ ი, მგზავრის შენიშვნები, გაზ „დროება", № 102, 1890; ი. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, „მოამბე", № 5, განყოფ. II, 1898, გვ. ᲮᲐ—ᲔᲒ; ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, გადაკარგული მხარე, ჟურნ. „ივერია", № 5, 1881; ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება", № 165—166, 1885; ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V. 1861; ა. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული სალხური დღეობების კალენდარი, არხოტი, 1938, ხელნაწერი, გვ. 186 (ხელნაწერი დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში).

[142] მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ხევისბერად დადგომის წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1972, ხელნაწერი (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

იყო. პირველად, ამ დაწესებულებას ნიადაგად აღარ აქვს კანონი, მას აღარ განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი ძალა; ხევისბერი როდიღაა მოხელე, ორგანო სახელმწიფოსი, იგი მოკლებულია კანონის ძალით ყოველგვარს განსაკუთრებულს ღირსებას და ისეთივე უბირი და უბრალო არსებაა, როგორც თვითეული მთიელი, მისი თანამოძმე. მეორედ, ხევისბერობამ ფაქტიურად (და არა კანონის ძალით) სხვა მიმართულება მიიღო, ჭისი მნიშვნელობა სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, სწორედ იმ ნიადაგზე, რომელსაც ძირეულად უარჰყოფდა ძველი კანონი... ძველს ხევისბერს კანონი უკრძალავდა გავლენას საეკლესიო საქმეებზე. ეხლა კი ხევისბერობა, ხელ-დაბანილი „ლაშქართა თავადობაზე...“ „სალოცავების“ და „ხატების“ თავადია. თუ უწინ იგი დროშით წინ მიუძღოდა დარაზმულს ჯარს, ეხლა ხატისთვის შეწირულს ზვარაკის სისხლის დანთხევაში ჰპოვებს იმ მაღალს მოვალეობას, რომელსაც წინად ბრძოლის ველზედ ჰპოვებდა“[143].

თუშ-ფშავ-ხევსურეთში ხევისბერთა ძველი ინსტიტუტის დაცემა და მისი ახალი შინაარსის თანდათანობითი დამკვიდრება ქრონოლოგიურად უნდა ემთხვეოდეს იმ დროს, როდესაც კახეთის სამეფომ XV ს-ის მეორე ნახევარში „მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა წინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა. ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქიზიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხუანიცა“[144].

საერისთაოების სამოურავოებით შეცვლის მოსალოდნელი შედეგები მთას სწორად შეუფასებია და გასდგომია კიდეც კახეთის სამეფო ხელისუფლებას.

თუშ-ფშავ-ხევსურთა შემორიგებამდე, აგრეთვე მაშინაც, როცა საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, მთაში დიდად დაზარალდებოდა სახელმწიფო რელიგია; მთიელები ეკლესიებსა და მათ მესვეურებს ვერ ეგუებოდნენ და, როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ.

აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა მთაში ხევისბერთა უფლებების ერთგვარი ცვალებადობა და სრულიად სხვა მიმართულებით გან-

---

143 ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება“, № 166, 1885.

144 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 568.

ვითარება. მთაში საფუძველშერყეული ქრისტიანობის შენარჩუნება-განმტკიცებას ვერც მომდევნო საუკუნეებში ახერხებენ კახეთისა და ქართლის სამეფოები: „ხშირად ეკლესიას შეძლება არ ჰქონდა თავისი მოძღვარნი გაეგზავნა მთაში. ერთხელ დანგრეული ქრისტიანობა-კი საჭიროებდა ისეთს პირებს, რომელთაც უნდა დაეცვათ თუ შინაარსი და აზრი ქრისტიანობისა არა, გარეგანი წესები და ჩვეულებანი მაინც. და სწორედ ამ ნაირ პირებად აღმოჩდნენ ხევისბერნი, რომელთაც ამ შემთხვევაში ხელს უწყობდა მათი დიდი გავლენა ხალხზედ"[145].

ხევისბერის ადრინდელი თანამდებობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში რაოდენადმე შეიზღუდა, როცა მთიელთათვისაც სახელმწიფო კარმა საკალდებულო გახადა მოურავების მმართველობა. მოურავი იყო სამეფო ხელისუფლებასა და მთას შორის დამაკავშირებელი მოხელე, რომელსაც სამეფო კარი ნიშნავდა ამა თუ იმ თავადთა საგვარეულოდან. მოურავი მთიელთა საშინაო საქმეებში ვერ ერეოდა, აქ თემი დამოუკიდებელი და შეუზღუდველი იყო, რომელსაც ხევისბერები და ამავე თემის დარბაისელნი ედგნენ სათავეში. მოურავის თანამდებობის შემოღების შემდგომაც, როგორც მასალებიდან ჩანს, ხევისბერები (დეკანოზები) მარტო სასულიერო-ადმინისტრაციული საქმეებით რომ იფარგლებიან, მათ მთავარ ამოცანას შეადგენს ზრუნვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, ზავსა და მშვიდობაზე. ხევისბერები მოურავთან ერთად სათემო და სატომო სალაშქრო დროშებით მიუძღოდნენ ჯარს მტერზე ლაშქრობის დროს. აღნიშნული ვითარება აქვს მხედველობაში ნ. დუბროვინს, როცა წერს: «Войска верхнекахетинские из хевсур, пшавов и тушин, под начальством моурава князя Чолокаева и своих деканозов. Этим полком предводительствовал сам царь»[146].

მომდევნო ხანებში თუშეთის თემურ მმართველობაში ხევისბერ-დეკანოზთა ადრინდელი უფლებების შეზღუდვა და მისი თანდათანობით გაქრობა-გაუბრალოება რუსეთთან საქართველოს შეერთებამ გა-

---

145 ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება", № 166, 1885.

146 Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1871, стр. 207.

მოიწვია. დეკანოზ-ხევისბერთა ავტორიტეტის დაკნინებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში „დასრულდა ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული საუკუნოვანი ბრძოლა"[147], რითაც, ფაქტობრივად, დამთავრდა თუშ-ფშავ-ხევსურთა განუწყვეტელი ომები, როდესაც ხევისბერ-დეკანოზებს საპატიო და თანაც რთული მოვალეობის შესრულება უხდებოდათ ხოლმე. ახლა კი ისინი ამ საქმისაგან განთავისუფლდნენ და მხოლოდ საკუთარ ჯვარხატებს დაეპატრონენ.

აღნიშნული ვითარება ჰქონდა მხედველობაში რ. ერისთავს, როცა შენიშნავდა, რომ: «Хевисбери, так называемое хевисберство в Пшаво-Хевсуретии составляет своеобразное явление. Оно в старину (при грузинских царях) имело совершенно не тот характер, какое имеет в настоящее время»[148].

ადრინდელი უფლება-მოვალეობის თანდათანობით გაქრობის მიუხედავად, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხევისბერ-დეკანოზები კვლავაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და უზომო ზემოქმედებას ახდენდნენ მოსახლეობაზე. „თუმცა ხევისბერს ციხე დაუნგრიეს, — წერს ნ. ურბნელი, — მაგრამ დროშა კი არ ჩამოართვეს, ეხლაც ყველა სათემო ხატს თავისი დროშა აქვს და ეს დროშა ხევისბერს აბარია, მხოლოდ იგი მაღლა აღმართამს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას. მართალია, ეხლა დროშას აღარ მისდევს დარაზმული ჯარი, მაგრამ საჯვაროდ მორთულ-მოკაზმული ხალხი დიდის პატივისცემით უმზერს დროშას. თვით ხევისბერი თავისის დროშით ამ ხალხის ბატონპატრონია, მისი მბრძანებელი; ერთი სიტყვაა საჭირო, რომ მედროშე ხევისბერს ხალხი ჭირშიაც და ლხინშიაც თან გაჰყვეს, — ისეთი მიმზიდველი, მისნური ძალა აქვს დიდებულს დროშას"[149]. ხევისბერ-დეკანოზებისა და მათი დამქაშების პარპაშსა და მბრძანებლობა-გამომძალველობას ფშავში შემდეგნაირად ახასიათებს ვაჟა-ფშაველა: „ფშავის ხევს იმ დროს ხევის-ბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდნენ, თემ-

---

147 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე..., საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 445.

148 Р. Эристов, Извлечение из этнографических очерков; Н Урбнели, о Хевсурах, Записки Кавказского отдела ИРТО, кн. XIV, выпуск первый, Тиф., 1890, стр. 141.

149 ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება", № 166, 1885.

თა ბატონ-პატრონი ისინი იყვნენ. მთელი ხალხი მუქაში ეჭირათ და საითაც უნდოდათ, იქითკენ უბამდნენ თავს, რამდენიც ჰსურდათ, იმდენს ხარჯს შეაწერდნენ ხატის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს იმათ ჯიბეს და კალთას არ ასცდებოდა"[150]. ხევისბერ-დეკანოზთა ასეთმა აღზევებამ განსაკუთრებული ხასიათი ფშავ-ხევსურეთში მიიღო, სადაც ეს დაწესებულება სრულყოფილი და კარგად ჩამოყალიბებული იერარქიული წყობილების სახით წარმოგვიდგება. „ეს დაწესებულება, — წერს ნ. ურბნელი, — მთელს კასტას წარმოადგენს, სადაც თანამდებობა და მოვალეობა სასტიკად არის განაწილებული კასტის წევრთა შორის"[151]. ფშავ-ხევსურეთში, განსაკუთრებით ხევსურეთში, დეკანოზ-ხევისბერ-ხუცესთა გავლენა ხალხურ სამართალზეც, თუშეთისაგან განსხვავებით, დიდხანს კვლავ დიდი უფლებებით სარგებლობდა[152].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის თემურ-გვაროვნულ წყობილებაში ხევისბერ-დეკანოზთა ავტორიტეტის ამაღლებას, გარდა მათი პირადი თვისებებისა, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ თემის დანარჩენი წევრებისაგან, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მათი მმართველობა დაკავშირებული იყო მთიელთა ჯვარ-ხატებთან, ისინი ყოველთვის მათი სახელით გამოდიოდნენ და ძირითადი რეზიდენციაც ხატის კარზე ჰქონდათ მოწყობილი. მათი შესამკრებლო-ადმინისტრაციული დაწესებულება დარბაზის სახელწოდებას ატარებს, რომელიც თემის ყველა წევრს აიძულებდა მის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დამორჩილებოდა. ეს ვითარება ხევსურული თემის მმართველობის სისტემის შესწავლის საფუძველზე კარგად გვაჩვენა ვ. ბარდაველიძემ, რომელიც შენიშნავდა, რომ „დარბაზი თემის მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო. იგი ჯვარიონთა, ე. წ. ზღურბლდალახულთა წევრებისაგან შედგებოდა"[153]. აგრძელებს რა ხსენებულ საკითხზე მსჯელობას, მეცნიერი ას-

---

[150] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 436, 1961.

[151] ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ. „დროება", № 155, 1885; Густав Радде, Хевсурия и Хевсуры, стр. 90—96; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1871, стр. 290—305.

[152] ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, იქვე.

[153] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 10, გვ. 625.

ქვნის: „თემის უმაღლეს ხელისუფლებას, დარბაზს გარდა, შეადგენენ თემის უფროსი და ე. წ. ჯვარის მეენე, ანუ ქადაგი, რომლებიც იმავე დროს სათემო ჯვარის მთავარი ქურუმები იყვნენ. თემის უფროსს, უეჭველია, პირველყოფილი თემური წყობილებიდან წარმომდინარე სახელი ხუცი, ანუ ხუცესი ერქვა. ამ სახელის პარალელურად სრულიად ხევსურეთის თემისა და მასში შემავალი ზოგიერთი მსხვილი თემის უფროსები ჯევისბერის სახელს ატარებდნენ. ჯევისბერი, ხუცესი და მეენე სათემო ჯვართან ყველაზე დაახლოებულ პირებად ითვლებოდნენ, რომლის სახელითაც ისინი თეპში წესწყობილებას ამყარებდნენ. ამიტომაც ეს ორი პირი თავმორიგენის, ანუ თავ-მერიგენის ეპითეტით მოიხსენიებოდნენ. მსხვილ თემებში ჯევისბერი, ანუ ხუცესი რამდენიმე (გადმონაშთების მიხედვით 2—4) იყო და ამათგან თავ-მორიგედ მხოლოდ ერთი ითვლებოდა. თავმორიგეთა (ე. ი. თემის უფროსისა და ჯვარის მეენის) ხელისუფლება მუდმივი, ხოლო მათი თანამდებობა რიგ თემებში მემკვიდრეობითი იყო. ისინი უნჯ ყმათა წრიდან გამოდიოდნენ და ამასთანავე სათემო ჯვარის მიერ არჩეულ და თავის თანამდებობაზე დაყენებულ პირებად ითვლებოდნენ“[154].

ფშავის თემის მმართველობის სისტემა (კერძოდ ის, რომ დარბაზი ანუ საბერო, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო) ხევსურულს ემთხვევა და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ხევსურული დარბაზი. „დარბაზი ანუ საბერო, — წერს ვ. ბარდაველიძე, — სადაც სრულდებოდა სადღესასწაულო ღვთისმსახურების წესები, ამავე დროს ამა თუ იმ დიდი ხატობის დღეებში ცენტრალური ხატის, სახელდობრ, ლაშარის ჯვარის დარბაზში და მის მახლობლად საგანგებო ადგილას, რომელიც ხალხური სამართლის წარმოების ადგილი იყო და ამისდა შესაბამისად ბჭეხევისბერთა საბჭო ერქვა, რჯულის საკითხებს არჩევდნენ და გამოჰქონდათ განაჩენი თემის რთულ და ძნელად გადასაჭრელ საშინაო საქმეებზე. აქვე არიგებდნენ საგარეო საქმეებსაც“[155].

კულტის მსახურთა შორის ფშავშიც ხევისბერი ყოფილა, ხოლო ხევისბერთა შორის ყველაზე უფროსად ითვლებოდა თავხევისბერი.

---

[154] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 10, გვ. 626.

[155] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, 1974, გვ. 14.

„ფშავის ხევში ერთი თავხევისბერია, — აღნიშნავს ს. მაკალათია, — რომელიც ლაშარის ხატშია და მას ყველა ხევისბერები ემორჩილებიან. თავხევისბერი წინათ სათემო საბჭოში თავმჯდომარეობდა, რომელსაც თავისი „საბჭეო სკამი“-ც ედგა. ის განსაკუთრებული პატივითა და გავლენით სარგებლობდა და ლაშქრის „მკადრე“ წინამძღოლი იყო. თავხევისბერის სამყოფო ლაშარში იყო, რომელიც ჭირში თუ ლხინში თემს ხელში ლაშარის დროშით წინ მიუძღოდა“[156].

თუშეთის თემის მმართველობის სისტემაში დარბაზისა და საბეროს როლის შესახებ არაფერია ნათქვამი არც გამოქვეყნებულ ლიტერატურაში და არც უხუცესთა მეხსიერებას შემოუნახავს რაიმე. თუშეთის ლაშარის საკულტო ნაგებობათა ანსამბლში დღემდე შემორჩენილია დარბაზიც და საბეროც. დარბაზი თავისი მშენებლობის სტილით დიდად განსხვავდება საბეროსაგან. დარბაზი ჩვეულებრივი ოთახია, რომელსაც კარიცა აქვს და პატარა საჰაერო სარკმელებიც. დარბაზი განკუთვნილი ყოფილა ხევისბერისა და შულტა-ნათეებისათვის. დარბაზში ამჟამადაც დგას სამფეხზე დაყრდნობილი ხის დიდებული სავარძელი, რომელიც ლაშარის ჯვრის დეკანოზისათვის იყო განკუთვნილი; სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებთან დგას ხის ორი პატარა ტახტი, რომლებზეც შეიძლება მოთავსდეს 10—12 მამაკაცი. დარბაზი მოთავსებულია ყველაზე საპატიო ადგილზე, მის კედელზე მიდგმულია სასანთლე და ლაშარის ჯვრის მთავარი დროშის საბრძანებელი კოშკი.

ხევისბერისა და დეკანოზის ინსტიტუტის ირგვლივ მსჯელობის დროს ზოგიერთი მკვლევარი სერიოზულ შეცდომებს უშვებს და სწორად ვერ ერკვევა მათ სოციალურ არსში. მაგალითად, როდესაც ს. მაკალათია ეხება თუშეთში თემის მმართველობის სისტემას, სათემო ყრილობის საკითხს და ხევისბერისა და დეკანოზის როლს, შენიშნავს, რომ: „...თემურ ყრილობებს, ფაქტიურად, განაგებდნენ შეძლებულ გვართა მეუფროსენი, რომელთა წრიდან ირჩევდნენ ხევისბერებს და დეკანოზებს და ესენიც ხალხისა და თემის სახელით ამ შეძლებული ჯგუფის ინტერესებს იცავდნენ“[157].

თუშეთის თემურ მმართველობაში ხევისბერ-დეკანოზთა გვარი-

---

[156] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 179—180.

[157] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 22.

შვილობით დაწინაურების შესახებ მსჯელობის უფლებას არ გვაძლევს არც წერილობითი ცნობები და არც ხალხში შემორჩენილი ტრადიცია. ხევისბერები და დეკანოზები თუშეთის თემში უპირატესობით სარგებლობდნენ არა გვარიშვილობით, არამედ პირადი ღირსებებით, რაც მთავარი იყო მთიელთათვის ადამიანთა გამორჩევით მოხსენიებისა და დაწინაურებისათვის. ამ მხრივ საინტერესო მასალაა დაცული ივ. ბუქურაულთან, რაც XIX ს-ის 90-იან წლებს ეხება. იგი აღწერს წოვათაში ხატობა-დღეობების საინტერესო ეპიზოდებს: „ხატობა, ე. ი. ლოცვა-კურთხევა-დღესასწაული არ იწყება, იგვიანებს, რადგან დეკანოზი არ არის ადგილზე, მისი დალოცვის გარეშე კი ხალხი ვერც საკლავს კლავდა და ვერც სანთლებს ანთებდნენ. მლოცავებმა გაიგეს, რომ დეკანოზი მწყემსად ჰყოლია ერთ-ერთ მათ თანამოძმეს, მაშინ ცხვრის მეპატრონესთან შეთანხმებით დეკანოზის შემცველლად სხვა მწყემსი გაგზავნეს, ხოლო დეკანოზი კი ხატობაში მოიყვანეს. ათ საათზე მლოცავები შეგროვდნენ სალოცავის წინ და ელოდნენ დეკანოზს. ხანდახან მღვდელი გადმოდის ხოლმე ტბათანიდან და ასრულებს წესს, წრეულს კი მღვდელი არ იყო და დეკანოზს უნდა აესრულებინა. არც დეკანოზი იყო იმ ჟამად სალოცავთან, უკანასკნელი ცხვარში იმყოფებოდა. ცხვრის პატრონს, რომელსაც ქადაგი ედგა მწყემსად, ინდურთაში ედგა ბინა და თვითონაც სოფელში იმყოფებოდა... მლოცავნი უდეკანოზოდ რჩებოდნენ. ეს შეუძლებელი ხდებოდა. ამისთვის სთხოვეს ცხვრის პატრონს გაენთავისუფლებინა ქადაგი იმ დღეს. უკანასკნელმა გაგზავნა სხვა მწყემსი, რომ დეკანოზი გამოეგზავნა და თვითონ იქ დარჩენილიყო“ [158].

ივ. ბუქურაული იმასაც ამბობს, რომ დეკანოზობა წოვების თემში იძ დროისათვის ორი გვარის კუთვნილება ყოფილა, ე. ი. იმ ორი გვარის წევრს შეეძლო მხოლოდ წოვათა ჯვარ-ხატების წესების დაცვა და შესრულება ხატობების დროს. „საზოგადოდ, — შენიშნავს იგი, — წინაპრების დროს დეკანოზების წოდება ეკუთვნოდა რომელსამე საგვარეულოს, რომლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მინიჭებული წესის ასრულება. წოვებში ორი საგვარეულოა, რომლის წარმომადგენლებს შეუძლიანთ მხოლოდ დეკანოზობა“ [159].

---

[158] ივ. ბ უ ქ ურ ა უ ლ ი, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), ჟურნ. „მოამბე“, 1897, № 9, განყოფ. II, გვ. 48.

[159] ი ქ ვ ე.

ივ. ბუქურაულის მიხედვით გამოდის, რომ წოვათის თემის იმ-დროინდელი დეკანოზი მწყემსია, ე. ი. ის შეძლებულ გვარს არ ეკუთვნის, მაგრამ თავისი გვარის მიხედვით მხოლოდ მას აქვს უფლება, რომ იდეკანოზოს და ხალხი დაამწყალობლოს.

ამა თუ იმ გვარისათვის დეკანოზობის, იგივე ხევისბერობის უფლების მიკუთვნებისათვის თემის მიერ, როგორც დავინახეთ, სიმდიდრე და ქონება არ ყოფილა გადამწყვეტი.

დეკანოზობა-ხევისბერობას ქართველ მთიელებში და მათ შორის თუშეთში ის გვარი მოიპოვებდა ხოლმე, რომელსაც თემისა და ტომის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდა. „...ჩვენს მთაში, — შენიშნავს ნ. ურბნელი, — თუმცა იურიდიულად წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა და როგორც ეხლა, ყველა მკვიდრნი თანასწორნი იყვნენ, მაგრამ თითო-ოროლა ოჯახი, რამდენიმე კაცი განირჩეოდა სხვებისაგან „სიკეთითა", განსაკუთრებულის ღვაწლითა სამშობლოსა და სოფლის წინაშე. აქა-იქ მოიპოვებოდა გვარი და ოჯახი, რომლის წინაპრებს დაუვიწყარი სამსახური გაეწიათ თემისათვის თავიანთის ვაჟკაცობითა, „ჭკუათ-მყოფლობითა" და სხვ.[160]

ივ. ბუქურაულიც ხომ იმას შენიშნავს, რომ, მართალია, დეკანოზობა წოვების ორი გვარის კუთვნილება იყო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ამ უფლებით მხოლოდ ერთი რომელიმე გვარი სარგებლობდა; არა, ეს პატივი და უფლება-მოვალეობა იცვლებოდა რომელიმე გვარის დაწინაურებისა და თავის **გამოჩენის** კვალობაზე. იგი მემკვიდრეობით არ გადადიოდა. ხევისბერობა-დეკანოზობა ამა თუ იმ გვარში იტრიალებდა მანამ, სანამ გვარი თავისი ღირსებებით თემის თვალში არ დაეცემოდა[161].

XV—XIX საუკუნეების თუშეთში ხევისბერობა-დეკანოზობა მხოლოდ პირადი თვისებების მიხედვით ეძლეოდათ თემის წევრებს და ხალხიც მათ უსიტყვოდ აღიარებდა თავის წინამძღოლებად, რადგან „სიკეთე", კეთილი დაუთესნიათ თქვენ წინაპრებს და კეთილმოხდომილნი ხართო"[162].

---

160 ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890, გვ. 63.
161 ივ. ბუქურაული, დასახ. შრომა, გვ. 48.
162 ნ. ურბნელი, იქვე, გვ. 64.

ხევისბერობის განმსაზღვრელი რომ ქონება და სიმდიდრე ყოფილიყო, მაშინ ხომ ამ პატივსა და დიდებას გვარი არ დაკარგავდა, ყველაფერს იღონებდა მისი შენარჩუნებისათვის. მაგრამ ეს არ მოხდებოდა, რადგან თუშეთში „მემკვიდრეობით ხევისბერობა არ გადადიოდა“ [163] და იგი არჩევითი თანამდებობა ყოფილა — „Хевисбери лицо выборное“ [164]. არჩევით კი თემი იმას აირჩევდა, ვინც მათ დამრიგებლად, წინამძღოლად და თავკაცად გამოადგებოდა. თემის უფროსად „ირჩევდნენ ხანში შესულს, — შენიშნავს ს. ჯანაშია, — გულადს, გამოცდილს, პატიოსანს, გონიერს და თემის ერთგულ კაცს“ [165].

თუშურ თემებში რომ ეკონომიური ნიშნით ერთ გვარს ებატონა მეორეზე და ამ ძლიერი გვარებიდან ყოფილიყვნენ ხევისბერ-დეკანოზნიც, რომლებიც დაიკავდნენ „შეძლებული ჯგუფის ინტერესებს“, მაშინ თუში ხომ ვეღარ იამაყებდა და ვეღარც იმღერებდა:

„თუშთ არ იციან ვითარცა,
ვინ არის მონა, ბატონი,
თვითონ არიან თავისა
მბრძანებელი და ბატონი“ [166].

არც მოსკოვის სამეფო კარზე ჩასული თუში ელჩები განუცხადებდნენ 1657 წლის იანვარში რუსეთის ხელისუფალთ, რომ: „...начальных людей у нас нет, всякий владеет своею деревнею“ [167].

ს. მაკალათიას მსგავსად მსჯელობს აბ. შავხელიშვილიც, იგი წერს: „თუშეთში ხევისბერებს ირჩევდნენ 3 წლის ვადით. ისინი ძირითადად შეძლებული გვარების წარმომადგენლები იყვნენ“ [168] და მ. მაჩაბლის შრომას უთითებს [169].

მ. მაჩაბლის დასახელებული შრომის მოცემულ გვერდზე არსად არის ხევისბერის შესახებ საუბარი. იგი ეხება ნაცვლების არჩევის

---

163 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის ღღიურიდან, „ივერია“, № 177. 1888.

164 А. С. Хаханов, Тушины (этнографический очерк.), 1889, стр. 9.

165 ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტოტებში, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 121.

166 ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 22.

167 С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI, тома XI—XII, М., 1961, стр. 556.

168 აბ. შავხელიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 79.

169 М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян тианетского уезда Тифлисской губернии, т. V, Тиф., 1887, стр. 334.

საკითხს, იქვე აღნიშნავს, რომ თუშეთის თითოეულ საზოგადოებაში 3 წლით ირჩევენ მამასახლისსო. ასე რომ მ. მაჩაბელი აღწერს რუსული მმართველობის დანერგვის შედეგად თუშეთში მომხდარ ცვლილებებს, რაც დამახასიათებელია XIX ს-ის 80-იანი წლების თუშებისათვის, აბ. შავხელიშვილი კი XIX ს-ის პირველი ნახევრის თუშეთს ეხება. მამასახლისებისა და მათი მოადგილეების — ნაცვლების თაობაზე მსჯელობისასაც მ. მაჩაბელი არ ამბობს, რომ ისინი „შეძლებული გვარების წარმომადგენლები იყვნენ", იმიტომ, რომ იგი ზედმიწევნით იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებას, რაზეც მისი აღნიშნული კაპიტალური შრომის შინაარსიც მიუთითებს.

მსგავსი შეცდომაა დაშვებული იმავე ავტორის შემდეგ სიტყვებშიც: „წერილობითი მონაცემებით დასტურდება, რომ თუშეთში ყრილობის მონაწილე პიროვნება, როგორც წესი, თავის თემში სოციალურ-ეკონომიურად დაწინაურებული იყო" [170] და საარქივო დოკუმენტს უთითებს [171].

მკვლევრის მიერ დამოწმებულ წყაროში არსად არის საუბარი არც სათუშო ყრილობაზე და არც იმაზე, რომ „ყრილობის მონაწილე პიროვნება... თავის თემში სოციალურ-ეკონომიურად დაწინაურებული ყოფილიყოს".

როგორ შეიძლება საუბარი თუშეთის მოსახლეობის სოციალურ სხვადასხვაობაზე, როცა იქ იყო მხოლოდ ერთი კატეგორია — გლეხობა. თუშეთი მხოლოდ ქონებრივ დიფერენციაციას განიცდიდა.

სათუშო ყრილობას ესწრებოდა ყველა, ვისაც სურდა, ქალებიც კი, ხოლო მას ხელმძღვანელობდნენ და ტონს აძლევდნენ თემისა და სოფლის თავკაცები, რომლებიც ხსვებისაგან განსხვავდებოდნენ პირადი ღირსებებით და არა სოციალური მდგომარეობით. აი, რას ამბობს თუშ-ფშავ-ხევსურთა ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მცოდნე ა. ზისერმანი: «В древняя времена тушины составляли нечто вроде небольшой республики... важнейшия общественные дела решались всегда в собраниях почетных старшин, людей извес-

---

[170] აბ. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 79.

[171] ЦГИА ГССР, Ф. 255, оп. I, № 234, арх. 1—161.

тных в обществе своим умом, опытностью и добросовестностью»[172].

ამავე თვალსაზრისით უზუსტობანი გვხვდება ს. მაკალათიას შემდეგ მსჯელობაშიც: „თემური თუშეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ამოძრავებდა თემური ბრძოლები, მეკობრობა და მესისხლეობა, რომელსაც მესვეურობდნენ ხევისბერები და დეკანოზები. თემის მიერ არჩეული ეს ხევისბერები და დეკანოზები ეკუთვნოდნენ საზოგადოების შეძლებულ ჯგუფს და ამ ჯგუფის ქონებრივ-უფლებრივი ინტერესების დაცვისათვის ღვთისა და ხატების პირით მოუწოდებდნენ ხალხს ნადავლის მოპოვების მიზნით მეზობლებზე თავდასხმისათვის. ხატის ნებით დაშინებული მდაბიო ხალხი სალაშქროდ მისდევდა ამ შეძლებული ჯგუფის ბელადებს, იკლებდა სოფლებს, იტაცებდა მოსახლეობის სარჩო-საქონელს და ნაძარცვით უკანვე ბრუნდებოდა. მაგრამ ამ ნადავლს შეძლებულთა ჯგუფი და მათი ბელადები ინაწილებდნენ“ [173].

XIX საუკუნის თუშთა სახელოვანი გმირებიდან, როგორიცაა შეთე გულუხაიძე, ივანე ელიზბარიძე, ბაკური ჭვრიტიშვილი, იაკობ ლეკაიძე და სხვანი, არც ერთი არ ყოფილა ხევისბერ-დეკანოზად; თუშეთის საშინაო და საგარეო ბრძოლებს კი ისინი ედგნენ სათავეში, მათი გმირობა-ვაჟკაცობის აღმნიშვნელი მაგალითებით აღსავსეა XIX ს-ის რუსულ-ქართული წერილობითი ძეგლები და თუშური ხალხური სიტყვიერება. მათ სიმდიდრე-მომხვეჭელობაზე კი არსად არაფერი თქმულა, რადგან თუშეთის ადათ-წესები არ მისცემდა ამის უფლებას.

თუშეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ალბათ, ვერ დაასახელებს შეთე გულუხაიძეზე დიდ პიროვნებას, მაგრამ მის სოფელში ის კი არ ყოფილა ხევისბერი, არამედ ვინმე ბ. გულუხაიძე [174].

როცა თუშეთის ხევისბერ-დეკანოზები თუ სახელოვანი გმირები თანამოძმეთა ლაშქარს მოუძღვებოდნენ საბრძოლველად, სულაც არ

---

[172] А. Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867), часть первая (1842—1851), С—Петербург, 1879, стр. 248.

[173] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 92 (ხაზი ჩვენია, ვ. ე.).

[174] საქ. სსცა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, გვ. 187.

ითვალისწინებდნენ მეზობელთა ძარცვა-რბევას, მათი ქონების მითვისებას, ან კი რა უნდა წაერთმიათ უღარიბესი ქისტებისა და დიდოებისათვის. თუშთა მთავარი მიზანი იყო მოუსვენარი, ონავარი მეზობელი მთიელების დასჯა, სამაგიეროს გადახდა, შეშინება, ხოლო გმირობისა და ვაჟკაცობის დასადასტურებლად — თან წამოეღოთ რაც შეიძლება ბევრი მოჭრილი მარჯვენა, რომელთაც საკუთარი ციხისა და საცხოვრებელი ციხესახლების კედლებზე აკრავდნენ ხოლმე. ციხის კედლებზე გამოკიდული მტრის მარჯვენის სიმრავლით იზომებოდა ვაჟკაცობა და გმირობა თუშეთში. თუშ მეომარ ვაჟკაცებს რომ მხოლოდ სახელი და მტრის მოკვეთილი მარჯვენა აინტერესებდათ, ეს ვითარება კარგად არის ასახული თუშურ ზეპირსიტყვიერებაში. აი, ერთი მაგალითი:

„ალვანში თუშის შვილები ხმალს ულესავენ პირსაო,
თოფებსა ძალზე ღმართავენ, ჯავრი გულს მოდის მტრისაო,
დაუბარებენ ივანეს ელიზბარიძის შვილსაო,
ჩენაქოშიგა ბაკურას, გულადსა ჭვრიტიშვილსაო.
წამოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თან მოსდევს მგლისაო,
შაგროვდებიან ყვარელში, შუა ბაზრისა პირსაო,
საომრად დროშა რჩეულნი ეკითხებიან გმირსაო:
„დილაზე საით წავიდეთ, საითღა გვიზამ პირსაო?
ბაკურა ეტყვის: „გმირთ-გმირნო, ნუ ჩქარობთ, არა სჭირსაო,
მოულოდინოთ ივანეს ელიზბარიძის შვილსაო,
ეს ვაჟიც გულოვანია მედგრად მებრძოლი მტრისაო“.
ხალხის ნაპირს გიორგი სდგას, მრისხანედ წარბთა ხრისაო,
თოფ გაბუდული მხართ ხკიდავ, ვადა უნათებს ხმლისაო.
გიორგი ეტყვის ბაკურას: „კაცო, რას ამბობ, რასაო,
ოას ულოდინებთ ივანეს, ზაც თითონ ვიცით მთისაო,
რო აქებთ ბაგვაზელებსა მათი გაცნობა გვინდაო“.
წინ გაუძღვება ბაკურა, გზა გრძელიც შამოკლდებაო,
ბაგვაზის მთებსა გადადგნეს შუგულას დაღესტნისაო,
ჩეთარეშნენ თუშები, მწყემსებ დახოცეს ცხვრისაო.
მთისა მშვენიერ კალთებზე ყივილი მოდის ცხვრისაო,
ერთი გეექცა მეცხვარე, ქორივით სოფლად გაფრინდა,
შაიტყვეს ბაგვაზელებმა მოდიან ცხენებ ხეთქვითა,
თუშნი გორებში გამაგრდნენ, შიში არა აქვთ მტრისაო,
დილ საღამომდე იომეს, სულ გაწითლეს ქვიშაო.
გ ვ ა ლ ე თ, ბ ი ჭ ე ბ ო, გ ე ე ყ ო ფ ა მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ჩ ვ ი დ მ ე ტ ი ს ა ო,
გ ა მ ო ბ რ უ ნ დ ე ბ ა ბ ა კ უ რ ი, ღ ი მ ი ლ ი მ ო დ ი ს პ ი რ ს ა ო,
წ ა მ ო ვ ლ ე ნ კ ა ხ ე თ ი ს ა კ ე ნ, შ ა ი რ ე ბ ი ს ა თ ქ მ ი თ ა ო.
ყ ვ ა რ ე ლ შ ი რ ო ჩ ა მ ო ვ ი დ ე ს, ს უ ხ ა ლ ხ ი გ ა კ ვ ი რ დ ე ბ ა ო,

რა ხალხი ამოუქმეტავ, ხელები მოაქვთ მტრისაო.
წინ მოუძღვება ბაკურა, ვადა უნათებს ხმლისაო,
შენი ჭირიმე, ბაკურა, სულამ შენ ხმალი სჭრისაო,
დედამან შვილი გაზარდოს მტრისა დამცემი ძირსაო,
ბაკურავ, შენისთანანი, თავის მომკვეთნი ხმლითაო" [175].

თუშთა ლაშქარსა და მათ წინამძღოლ ბელადებს რომ გამდიდრებაზე ეფიქრათ და ეს ყოფილიყო მათი მთავარი საზრუნავი. მაშინ თუშეთი ქართველი ერის ისტორიაში ვერ მოიხვეჭდა ისეთ საბელს, რომელმაც ვახუშტის ათქმევინა: „თუშნი არიან ბრძოლასა შემმართებელსი, მჯნენი, ძლიერნი, მკედარნი წარმატებულნი... ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა გობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა" [176].

დაზუსტებას საჭიროებს აბრამ შავხელიშვილის შემდეგი ფრაზაც: „თუშეთის ოთხივე თემში ხევისბერებთან ერთად სოფელს ე. წ. „საკითხი კაცებიც" ჰყავდა. საკითხი კაცების შემადგენლობაში 10 კაცი შედიოდა" [177].

რამდენადაც თუშეთის შესახებ არსებულ საარქივო მასალას, ლიტერატურას და ხალხურ გადმოცემებს ვიცნობთ, არსადაა აღნიშნული, რომ ხევისბერებთან ერთად სოფელს ჰყოლოდეს 10 თავკაცი, რომელთაც მკვლევარი „საკითხ კაცებს" უწოდებს.

საარქივო მონაცემების მიხედვით, 1831 წლისათვის ხევისბერი არა ჰყავს თუშეთის შემდეგ სოფლებს: ბასოს (4 კომლი), ნაკუდურთას (3 კომლი), ეღოელს (8 კომლი), ჯვარბოსელს (23 კომლი), ვერხოვანს (19 კომლი), დადიკურთას (11 კომლი), ვეძიხევს (8 კომლი), ალისგორს (4 კომლი), კოკლათას (2 კომლი), ვაკის ძირს (8 კომლი), ციხეს (4 კომლი), გუდანთას (9 კომლი), ბელელას (17 კომლი), ბიქიურთას (11 კომლი), ილიურთას (25 კომლი), ბუხურთას (8 კომლი), ვესტომთას (7 კომლი), ვესტმოს (11 კომლი), გოგრულთას (13 კომლი), საჩიღოლოს (8 კომლი)[178].

---

175 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 93—95 (ხაზი ჩვენია, ვ. ე.).
176 ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 554.
177 აბ. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 79.
178 საქ. სსცა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, გვ. 16—94.

გომეწრის საზოგადოების 18 სოფლიდან ხევისბერი ჰყავს მხოლოდ ერთს — დოკუს [179].

ჩალმის საზოგადოების რამდენიმე სოფელსაც არა ჰყავს ხევისბერი [180].

გარდა იმისა, რომ თუშეთის მთელ რიგ სოფლებს ხევისბერი არ ჰყავდათ, 4—8-კომლიანი სოფლებისათვის 10 ე. წ. „საკითხი კაცებიც" სანატრელი იქნებოდა.

§ 4. ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება თუშური თემის მმართველობისადმი

თუშეთისა და საქართველოს სამეფო კარის ურთიერთობის ოფიციალური ისტორია იწყება ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და მან იარსება ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების გაუქმებამდე. ამ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თუშეთი წარმოგვიდგება, როგორც უბატონო და თავისუფალი კუთხე, მისთვის დამახასიათებელი სასოფლო-ტერიტორიული თემური წყობილებით. იგი მხოლოდ ადმინისტრაციულად ემორჩილებოდა სამეფო კარს, პირადად მეფეს და კუთვნილებითაც მის სახასო მამულად ითვლებოდა.

თუშური თემის მმართველობის საშინაო საქმიანობის გარდა, სადაც ჩარევის უფლება არავის ჰქონდა და ამ თვალსაზრისით თუშეთი ყოველთვის ხელშეუხებელი იყო, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა ამ კუთხისა ხასიათდებოდა იმ შინაარსითა და ფორმებით, როგორიც იყო მისი მფლობელი ქართული სახელმწიფოს ბუნება, სტრუქტურა და ხასიათი [181].

ძვ. წ. III საუკუნეში, როცა აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ქართული სახელმწიფო შეიქმნა და მისმა დამაარსებელმა — ფარნაოზ მეფემ ქართლის სამეფო საერისთავოებად დაყო, თუშეთი, დიდოეთი და ხუნძახი ცალკე საერისთავოდ ჩამოუყალიბებია. აღნიშნუ-

---

[179] საქ. სსცა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, გვ. 94.

[180] ი ქ ე ე, გვ. 195—205.

[181] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X—XV საუკუნეებში, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, 1983, გვ. 69—71.

ლის შესახებ ვახუშტი წერს: „ხოლო მეფემან ფარნაოზ დასვა კახეთისა და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასვეს ჰერეთისა ერისთავი სხვა და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხვა“ [182].

მომდევნო საუკუნეებში, ვიდრე ახ. წ. VII—VIII საუკუნეებამდე, გაურკვეველია, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო თუშეთი ქართლის სახელმწიფოსთან, რა ადმინისტრაციულ ერთეულში იყო გაერთიანებული და როგორ იწოდებოდა. ამაზე არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებს არავითარი მასალა არ შემოუნახავს.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის — ჯუანშერის ერთი ცნობიდან ჩანს, რომ VII—VIII საუკუნეებში თუშეთი ხუნძახთან და დანარჩენ წარმართ მთიელებთან ერთად გაერთიანებული ყოფილა წუქეთის საერისთავოში, რომლის ერისთავადაც წყარო ვინმე აბუხუასროს ასახელებს. „...შემდგომ მოვიდა არჩილ კახეთად, — წერს ჯუანშერი, — და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი... და დაჯდა წუქეთს.. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზახთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“ [183].

ტერიტორიული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ, რომ თუშეთი კახეთის სამთავროში გაერთიანდებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ ჰერეთის სამთავრომ მოიცვა წუქეთის ყოფილი საერისთავო, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშეთი ჰერეთის სამთავროში დარჩებოდა. ამ საკითხის გარკვევას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ისაა, რომ თუშეთი VIII ს-ის მიწურულიდან ადმინისტრაციულად გაერთიანებული იყო კახეთისა თუ ჰერეთის სამთავროების რომელიმე საერისთავოში (ეს მსხვილი პოლიტიკური ერთეულები—სამთავროებიც საერისთავოებად იყო დაყოფილი). გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ შეძლო ამ სამთავროების დაპყრობა-გაუქმება და სახელმწიფოს კუთვნილებად მათი გამოცხადება [184]. თუმ-

---

[182] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 146.

[183] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 243.

[184] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 560—561.

ცა ეს პროცესი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან 1014 წელს გარდაიცვალა ბაგრატ III და კვირიკე დიდმა, მესამედ წოდებულმა, კახეთი და ჰერეთი კვლავ ჩამოაცილა საქართველოს სახელმწიფოს, შექმნა კახეთ-ჰერეთის ძლიერი სამეფო და იგი დაყო საერისთავოებად— სამი საერისთავო გამოყო კახეთში, ხოლო ოთხი — ჰერეთში [185].

აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფით თუშეთი შესულია კახეთის რიგით მესამე საერისთავოში, რომელსაც პანკისის ანუ მარილისის საერისთავო ეწოდებოდა [186].

მომდევნო საუკუნეებში, კერძოდ XII—XV სს., თუშეთის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, ე. ი. ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ცენტრალურ ხელისუფლებასთან თუშეთი საქართველოს გაძლიერებისა და ფეოდალური მოხარჯის აყვავების. თუ მის შემდგომ პერიოდში. ისე კი უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშეთი სამეფო კართან მჭიდრო კავშირში იქნებოდა, რადგან მან მონაწილეობა არ მიიღო სამეფოსაგან განდგომის იმ მძლავრ მოძრაობაში, რომელიც მოაწყეს მის მეზობლად მცხოვრებმა ქართველმა მთიელმა ტომებმა და იმიერკავკასიელებმა: მთიულებმა, ფხოველებმა (ფშავლები, ხევსურები), დიდოებმა და ძურძუკებმა [187]. ეს ისეთი დიდი გამოსვლა და სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობა ყოფილა, რომ თამარ მეფეს იოვანე ათაბაგი გაუგზავნია ლაშქრითურთ, რომელსაც სამი თვის განმავლობაში მოუხერხებია მათი დამორჩილება და შემომტკიცება [188].

არც საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროინდელ თუშეთს ვიცნობთ; არ მოიპოვება არავითარი ცნობა იმდროინდელი თუშეთისა და მისი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების შესახებ, თუმცა ა. შავხელიშვილი აცხადებს, რომ: „კავკასიაში მონღოლთა გამოჩენას და ამით გამოწვეულ შედეგებს საკუთრივ თუშეთის განსახლებაზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია“ [189].

გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდშიც (1314—1346 წწ.)

---

185 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 561.

186 იქვე.

187 იქვე, გვ. 191.

188 იქვე.

189 ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 19.

თუშეთზე მემატიანე დუმს. ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა თუშეთი ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში იყო გაერთიანებული, ანდა როგორი იყო მისი მმართველობის სისტემა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი ბრწყინვალის მეფობის წლებში თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მისთვის დამახასიათებელი პატრიოტული სულისკვეთებით და შემართებით, ჩაბმული იქნებოდა მონღოლთა უღლისაგან საშშობლოს გამოხსნისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ მეფე გიორგი თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც შემოივლიდა, იქიდანაც ჩამოიყვანდა ერისთავ-ხევისთავ-ხევისბერ-ჰეროვანთ და მათ საგამგეო-სამფლობელო მთიელებსაც შეუდგენდა ახალ სამართლის კრებულს, როგორც ეს არაგვის ზოგიერთი ხევისა და თემის მთიელებს განუწესა იმ კანონთა კრებულით, რომელსაც ეწოდება „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“ [190].

ასეთი დიდი ინტერვალის შემდგომ თუშეთის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით ვახუშტისთან, სადაც ის აღწერს კახეთში ჩატარებულ რეფორმებსა და მის შედეგებს [191].

როგორც ცნობილია, XV ს-ის მეორე ნახევარში საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად; ცალკეულ სამეფოებში ჩატარდა სათანადო რეფორმები, რაც გათვალისწინებული იყო ქვეყნის განმტკიცებისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ქართლის, იმერეთისა და კახეთის სამეფოთა შორის ყველაზე თანმიმდევრული რეფორმები ჩატარდა კახეთში, რამაც განაპირობა მისი შემდგომი დაწინაურება და ამაღლება. რეფორმათა შორის მთავარი ის იყო, რომ საერისთავოები შეიცვალა სამოურავოებით, სამეფოში შეიქმნა უფრო პატარა ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა მართვა და მორჩილებაში მოყვანა ცენტრალური ხელისუფლებისათვის შედარებით ადვილი იყო, ვიდრე საერისთავოებისა. მოურავობა აღარ იქნებოდა მემკვიდრეობითი ინსტიტუტი, როგორც ერისთავობა. „მთავარი კი ის იყო, — შენიშნავს პროფ. შ. მესხია, — რომ მოურავს აღარ ჰქონდა სამხედრო ხელისუფლება, რომელიც ყოფილი ერისთავების სიძლიერის უმთავრეს წყაროს შეადგენდა“ [192].

---

190 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

191 ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 573.

192 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე... საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 273.

კახეთის სამეფოში ჩატარებული რეფორმების შემდგომ კახეთის მთიელები ხელისუფლებას გასდგომიან. XV ს-ის მეორე ნახევრიდან დამოუკიდებლად არსებული თუშ-ფშავ-ხევსურები ლევან მეფეს (1518—1574 წწ.) შემოურიგებია არა იარაღის ძალით, არამედ შეთანხმების გზით. აღნიშნულის შესახებ ვახუშტი წერს: „...ამას წინათა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მისცემდნენ ლაშქარსა და ბეგარასა“ [193].

ვახუშტის მიხედვით, კახეთის სამეფოში რეფორმები ჩაუტარებია გიორგი დავითისძეს [194]. ასევე შენიშნავენ მ. ბროსე [195] და ს. მაკალათიაც [196]. ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს კი ეს საკითხი სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი [197].

ა. შავხელიშვილი და ც. ჩიკოიძე ხსენებული რეფორმების ჩატარებას კახეთის სამეფოში მიაწერენ გიორგი VIII-ს, რომელიც კახელებისათვის გიორგი I იყო [198].

კახეთის სამეფოს სამოურავოებად დაყოფიდან მოყოლებული, ვიდრე რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე, თუშეთი ყოველთვის სამოურავოს სახითაა დაკავშირებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მოცემულ პერიოდში, ე. ი. XV—XVIII საუკუნეებში, თუშეთი ცალკე სამოურავოდ ჩანს, ხოლო ზოგჯერ ფშავ-ხევსურეთთან არის გაერთიანებული და კახეთის მთიანეთი ერთ სამოურავოს შეადგენს.

სამოურავოს სახით ცენტრალურ ხელისუფლებასთან თუშეთის დამოკიდებულების შესახებ საკმაოდ მრავალმხრივი მასალა არსებობს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით თითქმის ერთ დონეზე

---

[193] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 573.

[194] ი ქ ვ ე, გვ. 567—568.

[195] მარი ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, 1900, გვ. 75.

[196] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 20—21.

[197] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 150; ც. ჩიკოიძე, თელავი გვიანფეოდალურ ხანაში, იხ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II, 1974.

[198] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 150.

იმყოფებოდა და მათ შორის მკვეთრი განსხვავება არ არსებობდა, მაშინ შეიძლება ერისთავობის დროინდელი თუშეთისადმი ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული მმართველობის სისტემის შესასწავლად გამოვიყენოთ გიორგი ბრწყინვალეს სამართალი [199].

არაგვის მთელ რიგ თემებში — „ჯუართა ყელს აქეთ, ჯადა-ცხაოტს. ზანდუკის ჯევს, კიბეთ ქუეშეთ და მენეოს ზემოთ“ — საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში იმდენად მოშლილა ყოველგვარი წესრიგი, რომ „სამართალი აღარა იყო-ღა „თურმე“ და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა“ [200].

გიორგი მეფე იძულებული გამხდარა თვითონ შემოევლო მთიანეთი, ადგილზე შეესწავლა შექმნილი მდგომარეობა და კვლავ წესრიგი დაემყარებინა ამ მხარეში.

მთიდან ჩამოყვანილ მოხელეთა თანდასწრებით შემუშავებულ იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც მთიელთა სამოქალაქო ანუ საერო სჯულს შეეხებოდა და ყველას მკაცრად აფრთხილებდა, რომ მას უნდა დამორჩილებოდა „ღეისითგან წაღმა ესრეთ იქმნას“ — ასეთი მოწოდებით ამთავრებს კანონმდებელი სამართლისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობას, ხოლო სამართლის დასასრულს შენიშნავს, რომ: „სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა“ [201].

მიუხედავად იმისა, რომ „ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ შეეხო ყოველმხრივ მოშლილსა და უწესრიგო მდგომარეობაში მყოფ არაგვის ხეობის ზოგიერთ თემებს, გიორგი მეფემ სამართლის ძეგლი იმდაგვარად ააგო, რომ „მთიულის თვით-მმართველობას. და სათემო თავისუფლებას არა მოაკლო რა, მხოლოდ თემი და სახელმწიფო დააკავშირა, ერთმანეთს დაუმორჩილა“ [202].

მთიელთა საშინაო საქმეებში, ე. ი. თემის მმართველობის ადგილობრივ ადათ-წესებში რომ მთა კვლავაც დამოუკიდებელი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ „ძეგლის დებაში მოხსენებული არ არის, რამდენი

---

199 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

200 ი ქ ვ ე, გვ. 103—104.

201 ი ქ ვ ე, გვ. 119.

202 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, გვ. 8.

ღირდა „სოფლიონისა“, „ვიგინდავინას“ სისხლი“ [203]. აღნიშნულის თაობაზე ნ. ურბნელი შენიშნავს, რომ, „ჩვენის აზრით, ძეგლმა უბრალო „სოფლიონის“ სისხლი თვით ადგილობრივ ბჭეებს მიანდო, ადათსა და ჩვეულებას გარდასცა ეს საქმე“ [204].

უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშეთი, როგორც გიორგი ბრწყინვალეს მეფობისა და მის შემდგომ პერიოდში, ისე ადრეც, ე. ი. ერისთავობის ხანგრძლივ ხანაში, საშინაო საქმიანობაში სრულიად ხელშეუხებელი და თავისუფალი იქნებოდა. მატიანე არ ასახელებს არც ერთ შემთხვევას, რომ ხსენებულ საუკუნეებში თუშეთს თავისი უწესრიგობითა და განდგომა-ამბოხებებით მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინოს ცენტრალური ხელისუფლება. ასეთი ვითარება კი თუშეთის გვაროვნულ-თემურ წყობილებას კარგად შეაგუებდა სამეფო კარის ადმინისტრაციულ მმართველობასთან.

გიორგი ბრწყინვალის სამართლით კარგად ჩანს, რომ სახელმწიფოს მიერ მთისათვის განკუთვნილი „მმართველობა ებარათ უფროსს და უმცროსს მოხელეებს. ძეგლის დებაში მოხელენი მთელს ჯგუფს წარმოადგენენ; მთელი დასი იერარქიულად მოწყობილია, ერთი მოწესე მეორეს ემორჩილება, მეორე მესამეს და სხვ. სამწუხაროდ, განმარტებული არ არის, რა უფლება და მოვალეობა ეპყრა თითოეულს მოხელეს, რა ეკითხებოდა, რაზედ მიუწვდებოდა ხელი და რაზედ არა“ [205].

სამეფო კარის მიერ მთისათვის დანიშნულ მოხელეთა შორის უმაღლესი ხელისუფალი იყო ერისთავი, ხოლო მის მოადგილეს გამგებელი ეწოდებოდა. ეს ორი პიროვნება იყო, რომელნიც პირდაპირ კავშირში იყვნენ დარბაზთან, ე. ი. სახელმწიფო საბჭოსთან და თუ რამ მთის ცხოვრებიდან დარბაზის დონეზე განსახილველი საკითხი იქნებოდა, ერისთავი მოახსენებდა ვეზირებს — „ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ“[206], ხოლო ერისთავის ადგილზე არყოფნისას ამ მოვალეობას მისი მოადგილე-გამგებელი ასრულებდა.

ერისთავ-გამგებლის შემდგომ გიორგი ბრწყინვალის სამართალი ხევისთავსა და ხევისბერს ასახელებს. მათ შესახებ, კერძოდ ხევის-

---

[203] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, გვ. 64.
[204] ი ქ ვ ე.
[205] ი ქ ვ ე, გვ. 8—9.
[206] ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. წრომა, გვ. 110.

ბერის ინსტიტუტის თაობაზე, ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ და ამიტომ აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მთიელთა ცხოვრებაში თანდათანობით გაქრა ხევისთავის თანამდებობა, ხევისბერობა კი აქა-იქა კიდევაა შემორჩენილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად სხვა შინაარსით [207].

ცალკე ყოფილა ე. წ. „ციხის თავის" თანამდებობაც დაწესებული. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა იყო, რადგან მას ციხის მოვლა-პატრონობა და მისი მუდამ წესრიგში ყოფნა ევალებოდა. მართალია, ციხისთავის ასპარეზი მცირეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ „ძეგლის დების" შედგენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო აღნიშნულ მხარეში ციხეთა დანგრევა და ციხეს კი იმ დროისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ ადვილად გასაგები გახდება ციხისთავის ადგილი მთიელთა ცხოვრებაში.

ციხისთავი ხევისბერის მოადგილედ ითვლებოდა და ორივეს ერთად ამა თუ იმ კუთხის სამხედრო-საბრძოლო საქმიანობის მეთვალყურეობა ევალებოდა.

გიორგი ბრწყინვალის სამართალში გარკვეული პატივით სარგებლობს ჰეროვანად წოდებული პიროვნებაც, რომელსაც, მართალია, რაიმე თანამდებობა არ უკავია, მაგრამ მდაბიო ხალხისაგან ცალკე დგას, იგი სამეფო კარის მიერ მთაში გამწესებულ მოხელეთა გვერდითაა. ჰეროვანი ხალხსა და ოფიციალურ მოხელეთა შორის დამაკავშირებელ პიროვნებად მოჩანს. ამიტომ იყო, რომ, როდესაც გიორგი მეფემ მთიდან წამოიყვანა ყველა მოხელე, რათა მათი თანდასწრებით შეედგინა სათანადო სამართლის კრებული, მან ჰეროვანებსაც არ აუარა გვერდი და დარბაზის სხდომებს მათი მონაწილეობით ატარებდა. „მოვედით მუხრანს, — ვკითხულობთ ძეგლის წინასიტყვაობაში, — საზამთროსა ჩუენსა დავდეგით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჯევისთავნი და ჯევისბერნი და ჰეროვანნი"[208].

ჰეროვანი სოციალური მდგომარეობით თემისა თუ სოფლის მოსახლეობისაგან განსხვავებული არ უნდა იყოს, იგი ჩვეულებრივი შკვიდრი იქნებოდა, იმ განსხვავებით, რომ პირადი თვისებებით: სი-

---

207 ფშავის ლაშარის ჯვრის თავხევისბერი — ბიჟური ბადრიაშვილი და სხვ.
208 ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 103.

დარბაისლით, გმირობა-ვაჟკაცობით, ენამჭევრობით, მთის ადათ-წესების საუკეთესო ცოდნით, სისპეტაკითა და თემისადმი ერთგულებით თემის თავკაცად და ხალხის წინამძღოლად იქნებოდა აღიარებული.

მთისათვის განკუთვნილი სამართალი, სხვა მოხელეებთან ერთად, ჰეროვანსაც იცავდა; დაწესებული იყო, რომ „ვინც ჰეროვანი კაცი მოკლას ჰეროვანმავე კაცმან, სამს წლამდის გარდაიხვეწოს და სისხლი ორასი დრაჰკანი დაუურვოს — ათას ორასი თეთრი — და მამული სასეფეოდ დაედვას“, ხოლო „თუ ჴევისბერმან მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათვის, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს“ [209].

გიორგი მეფის სამართალი ჰეროვანის დახასიათების შემდგომ აღარავის ასახელებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ სამეფო კარის მიერ მთისათვის დადგენილ მოხელეთა შემადგენლობა ამოიწურა. შემდგომ ლაპარაკია იმ კანონთა განხილვაზე, რაც მთიელთა სისხლისა და სამოქალაქო სამართალს შეეხებოდა.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ძეგლის დადება დიდად არ არღვევს მთიელთა წეს-ჩვეულებას, პირიქით, ისეა შედგენილი, რომ მთის სამართლის ნორმები კარგადაა შეგუებული ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნილებებთან. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან „...ძველი და შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს“ [210].

მთის ადათობრივი სამართლის სფეროდან არის წარმოდგენილი უმთავრესად გიორგი მეფის ხსენებული სამართლის ძეგლი და ეს ვითარება ყველაზე მეტად იმ მუხლებში ჩანს, რომელნიც სისხლის სამართალს შეეხება. აღნიშნულის თაობაზე ი. დოლიძე შენიშნავს: „ადათი განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული კანონმდებლის მიერ სასჯელთა დარგში, რაც ცხადად ჩანს კანონთა მუხლების შინაარსიდან. ადათობრივი სამართლიდანაა ძეგლში შესული და დაკანონებული შურისძიების უფლება, სისხლის დაურვება, გაძევება, გაპარსვა და სხვა. მართალია, კანონმდებელი ცდილობს ერთგვარად შეზღუდოს შურისძიების დრო და ფარგლები, მაგრამ კანონთა მთელ

---

[209] ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 108.

[210] ი ქ ვ ე, გვ. 29.

რიგ მუხლებში (22, 25, 28, 29, 48) პირდაპირ აღიარებს შურისძიებას, როგორც დაზარალებულის კანონიერ უფლებას დამნაშავის მიმართ“ [211].

ჩვენ აქ არ შევუდგებით კანონთა განხილვას, რადგან ის ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სამართლის ძეგლიs მთელი შინაარსი იქით არის მიმართული, რომ აღადგინოს და დაიცვას ის წესები და ნორმები, რაც მანამდე არაგვის ხეობის ხსენებულ თემებში არსებობდა, იმჟამად კი დარღვეულიყო. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ მთიელთა თემურ მმართველობაში, ე. ი. ყოფა-ცხოვრებაში, ცენტრალური ხელისუფლება იმდენად ერევა, რამდენადაც შექმნილი ვითარება ხელისუფლებას აიძულებს გადამჭრელი ღონისძიებანი გაატაროს წესრიგის დასამყარებლად.

ძეგლისდებიდან ვიგებთ, რომ მთისაგან ცენტრალური ხელისუფლება მოითხოვს სალაშქრო სამსახურს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთიელები სასტიკად ისჯებოდნენ. აი რა წერია აღნიშნულის შესახებ ძეგლში: „რომელიც ქუეყანა და თემი აწვევნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, — ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ, და თვითო ჯარი წაეგვაროს სასეფეოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთავისა და განმგებლისაგან საურავითა“ [212].

მთიელთათვის „სალაშქრო საქმე“ უმთავრესი და ძირითადი მოვალეობა იყო. მთა ამ თვალსაზრისით უდიდეს ძალასა და იმედს წარმოადგენდა თანამოძმეთათვის. ამიტომ იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება მთიანეთში ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მთა ხომ გაჭირვების დროს საიმედო თავშესაფარიც იყო და შემდგომ იქიდან მტერზე კვლავ თავდასხმის შესანიშნავი პლაცდარმიც [213].

---

[211] ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 30.

[212] ი ქ ვ ე, გვ. 111.

[213] ჯ. ს ტ ე ფ ა ნ ა ძ ე, მთის რეგიონების როლი საქართველოს საგარეო ომებში, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 47—51.

დღეს დავას აღარ იწვევს და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ერის თავისთავადობის შენარჩუნებაში ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად ითვლება საქართველოს „ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ლანდშაფტის მეტად ხელსაყრელი სამხედრო და სამეურნეო თვისებები“ [214].

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გონივრულმა გამოყენებამ, მთისა და მთიელებისადმი სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ დიდი სიკეთე მოუტანა საქართველოს მთასა და ბარს, ქართველობას. „საქართველო უპირატესად მთიანი ქვეყანაა (მთას მისი ტერიტორიის ორი მესამედი უკავია). და გასაგებია, რომ მთამ დიდი როლი შეასრულა მცირერიცხოვანი ერის ისტორიაში. მთის ბუნებრივი ზღუდეების გარეშე ვერ მოხერხდებოდა მოგერიებითი, თავდაცვითი ომების წარმოება მრავალრიცხოვან აგრესორთა წინააღმდეგ. საქონლით მდიდარი, „ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი“ თუ „ნადირიან-ფრინველიანი“ მთა[215] არა მარტო ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს იფარავდა, არამედ ომში დამარცხებულ მეომრებსაც, რომელთაც „უკან დასახევი“ გზა ჰქონდათ, რომ შემდგომი შეტევისათვის მომზადებულიყვნენ. ამავე დროს მთა საგანძურისა და სურსათ-სანოვაგის სამალავიც იყო (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი...)“ [216].

ქართველი ხალხის სისხლით გაუმაძღარ შაჰ-აბასს, რომელსაც სურდა კახეთის სრული მოსპობა და მისი საკუთარ სახანოდ გადაქცევა, წინ კახეთის მთიანეთი, ამაყი და მტრისათვის მიუწვდომელი თუშ-ფშავ-ხევსურეთი აღუდგა, რომელმაც შეიფარა და დააპურა მტრის ხმალსა და ცხენთა ფლოქვებს გადარჩენილი ბარელი თანამემამულენი [217]. ასევე მოიქცა თუშ-ფშავ-ხევსურეთი XVII ს-ის 50-იან წლებში, როცა შაჰ-აბას მეორე შეეცადა შაჰ-აბას პირველის განუხორციელებელი გეგმის სისრულეში მოყვანას. ამ ძნელბედობის ჟამს

---

[214] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 822; გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის კაპიტალიზმამდელი ხანის ევოლუციაში, „ცისკარი“, № 10, 1969; მისივე, აღნიშნული წერილი განსხვავებული რედაქციით, „მაცნე“, № 2, 1971.

[215] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 145.

[216] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 823.

[217] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ 588.

კახეთის მთიანეთმა თუშეთის მეთაურობით რამდენჯერმე გაგზავნა ელჩობა რუსეთის სამეფო კარზე, რომელსაც დახმარებას სთხოვდა სპარსელების წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებში[218]. მაგრამ როდესაც რუსეთისაგან დახმარება ვერ მიიღო, ხოლო სპარსეთმა ივრისა და ალაზნის ნოყიერ ველ-მინდვრებზე მეჯოგე თურქმანები ჩამოასახლა და ციხე-სიმაგრეებშიც საიმედოდ ჩაჯდა, მთამ აღარ დააყოვნა და ბარელ თანამემამულეებთან ერთად მოაწყო დიდი სახალხო აჯანყება, რომლის შედეგადაც ისე გაწყვიტეს თურქმან-სპარსელნი, რომ „არ-ცაღათუ დაუტევეს აკუანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი“[219].

სამშობლოს თავდადებულმა სამსახურმა, ქვეყნისა და სამეფო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებულმა ერთგულებამ და სიყვარულმა საქართველოს მეფეები იმთავითვე დაარწმუნა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურებს დაუეჭვებლად მინდობოდნენ და საკუთარი თავის დაცვაც უმეტესწილად მათთვის დაეკისრებინათ. აი, რას წერს აღნიშნულის თაობაზე დავით გიორგის ძე ბატონიშვილი: „ქეშიკად (ე. ი. წარჩინებულ მცველებად, ვ. ე.) მეფისა, ანუ ღვარდიად არიან ადრიდგან-ვე დაწესებულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი. ესენი არიან მთის კაცნი და ერთგულნი მეფეთანი“[220]. დავით ბატონიშვილი დასძენს, რომ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფეთა დაცვის საპატიო საქმეს არავის უთმობდნენ და თუ მეფე მათი გვერდის ავლას მოინდომებდა, ისინი სამეფო კარს აჯანყებით ემუქრებოდნენ: „ესენი (ე. ი. თუშ-ფშავ-ხევსურნი, ვ. ე.) არიან მამაცნი, ერთგულნი... და არა უტევებენ

---

[218] М. Бросе, Переписка на иностранных языках грузинских царей и Российских государей от 1639, по 1770, СПб, 1861, стр. 74—75, 229—230; ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, № 2, 1956; გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658), საისტორიო მოამბე, ტ. 19—20, თბ., 1965 და სხვ.

[219] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 600; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 438; ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 394—398 და სხვ.

[220] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 224.

ესენი სხვათა ღვარდიად მეფისა, არამედ მსწრაფლ მიილტვიან ამბოხისადმი, უკეთუ სხვათაგან ვინმე დააწესა მეფემან ღვარდიად“ [221].

თუშ-ფშავ-ხევსურთაგან შემდგარ მეფეთა დამცველ გვარდიას მეფის ერთგული თავადი ენიშნებოდა ხელმძღვანელად. „ამა ღვარდიისა მთავარი არს თავადთაგანი, ვისცა მეფესა ნებავს“ [222] — წერს დავით ბაგრატიონი.

მეფისა და სამეფო კარის ერთგული მთიელებისათვის თავისუფლების წართმევა და ფეოდალურ-ბატონყმურ უღელში გაბმა ბევრჯერ უცდიათ აღზევებულ ფეოდალ-მთავრებს, მაგრამ მეფეთაგან ზურგგამაგრებულ თუშ-ფშავ-ხევსურებს ვერავინ წაართვა თავისუფლება. მთიელები მარტო მეფეს ემორჩილებოდნენ, მას ხდიდნენ ბატონად, სხვა არაფერი არა სწამდათ. აი, რას ამბობს თუში:

„ჯერ ღმერთი, მერე ბატონი,
სხვა თუშს არა ჰყავს მოცილე“ [223].

თუშ-ფშავ-ხევსურები არც მეფესა და სამეფო კარს აპატიებდნენ, თუკი ოდესმე მთიელთა დამოუკიდებლობას საშიშროება შეექმნებოდა.

მუდამ განდგომა-დამოუკიდებლობისაკენ მლტოლველი მთიელებისადმი ცენტრალური ხელისუფლება ნომინალურ ურთიერთობაში იმყოფებოდა. მის მიერ მთისათვის დადგენილ მოხელეებს მთიელთა საშინაო საქმეში ჩარევის უფლება არა ჰქონდათ, მთა ამ მხრივ დამოუკიდებელი იყო. ეს ვითარება კარგად არის გამოხატული ერთ თუშურ ხალხურ ლექსში:

„თუშთ არ იციან, ვითარცა, ვინ არის მონა, ბატონი,
თავად არიან თავისი მბრძანებელი და პატრონი“ [224].

უბატონო ქართველი მთიელების დამოუკიდებლობა-შეუვალობა, როგორც ისტორიული მასალებიდან ირკვევა, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ საგრძნობლად გაზრდილა და ეს

---

221 სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, გვ. 224.

222 ი ქ ვ ე.

223 ივანე ბ უ ქ ურ ა უ ლ ი, ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი, „მოამბე“, № 4, 1808, გვ. 98.

224 კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თუშური პოეზია, თბ., 1962, გვ. 18.

განსაკუთრებით ითქმის თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, რადგან ისინი კახეთის სამოურავოებად დაყოფის დროს განუდგნენ სამეფო კარს და მანამ არ შემოურიგდნენ, სანამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკან არ დაიხია.

აღნიშნული დროიდანვე ჩანს ის დიდი ცვლილებებიც ადმინისტრაციულ მმართველობაში, რაც მანამდე მთისათვის იყო დაწესებული. მომდევნო საუკუნეების ლიტერატურა სამეფო კარის მოხელეთაგან იცნობს მხოლოდ მოურავს და ე. წ. „მებალახეებს". მართალია, ხევისბერი გვხვდება. მაგრამ ეს ის მოხელე აღარაა, რომელსაც ცხენიც ჰქონდა, ლაშქრის უფროსობაც მას ებარა, ჰყავდა მოადგილედ ცხისთავი და მისი სიცოცხლეც სამეფო კარისაგან იყო დაცული. XVI საუკუნის შემდგომდროინდელი ხევისბერი ადგილობრივი პიროვნებაა, თემის ჩვეულებრივი წევრია, მხოლოდ პირადი თვისებებით განსხვავდება თანამოძმეთაგან და საპატიო ადგილიც იმიტომ უკავია, თანდათანობით მისი ხელისუფლება იმდენად დაკნინდა, რომ ის უმთავრესად სასულიერო საქმიანობას განაგებს. ეს ვითარება ფშავის მაგალითზე კარგად აქვს დანახული ვაჟა-ფშაველას. „ხევისბერი წინანდელს დროში, — წერს პოეტი, — არა ყოფილა მარტო სამღვთო წესების ამსრულებელი, არამედ სჭერია ხელში პოლიტიკური და იურიდიული უფლებაცა. იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომიანობაში — ჯარის წინამძღვარი ხელში დროშით" [225].

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად თუშეთში დიდად შერყეულა და თანდათანობით საგრძნობლად დასუსტებულა სამეფო ხელისუფლების გავლენა, სამაგიეროდ, გაძლიერებულა ადგილობრივი მმართველობა; ეს კარგად ჩანს XVII საუკუნის საარქივო მასალებიდან.

1638 წლის 6 აგვისტოს თუშეთში მოსული რუსთა ელჩები გარკვეულ დაინტერესებას იჩენენ თუშეთისა და მისი მოსახლეობისადმი და მათ შესახებ გამოკითხვას აწარმოებენ. ისინი ეკითხებიან მამასახლისებს — დიმიტრისა და ივანეს, რომელთაგანაც ღებულობენ საინტერესო პასუხებს, მათ შორის იმას, რომ: «...а владели до

---

[225] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. 7, 1956, გვ. 29, Р. Эристов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 141—147; А. С. Хаханов, Тушины (этнографический очерк), 1889, стр. 9; А. Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, 1879, стр. 33—36.

се мест владельцы тое тусские земли, горские мужики. Только ны не тою землею учел владеть государь их Теймураз царь. И ныне-де з государем их Теймуразом царем»[226].

1657 წლის იანვარში რუსეთის სამეფო კარზე ჩასული სამი თუში პირდაპირ აცხადებს, რომ მათ უფროსი არავინა ჰყავთ და თვითონ განაგებენ საკუთარ თავს. «...начальных людей у нас нет, всякий владеет своею деревнею».[227]

ისინი იმასაც განუმარტავენ საგარეო საქმეთა საგანგიოს წარმომადგენლობას, რომ თუშები ადრე თეიმურაზ მეფის ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო იმ დროიდან, რაც მათი მეფე სპარსეთის გამგებელმა დაამხო, დამოუკიდებლად ცხოვრობენ: «Прежде мы были подданные Теймураза царя, а как его персидский царь разорил, с того времени живем особо».[228]

1657—1658 წლებში რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილ წერილებშიც თუშები ხაზს უსვამენ თავისი ქვეყნის შეუვალობას, დამოუკიდებლობას, მტრისათვის მიუწვდომლობას და აღნიშნავენ: „ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე, საქართველოს ჯელმწიფე“ [229].

XVII საუკუნის თუშეთისათვის ასეთი გაბედული განცხადება სავსებით გამართლებული და უტყუარია.

შაჰ-აბას პირველის შემოსევებისა და 1648 წლიდან კახეთში მეფობის გაუქმების შედეგად შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია თუშეთში, მართლაც, გამოიწვევდა ცენტრალური ხელისუფლების დაკნინებას და გარკვეული დროით მის სრულიად მოსპობასაც კი. თუშური თემის მმართველობისათვის ასეთი პერიოდი, ე. ი. ის, რომ იგი სრულიად თავისუფლად მოქმედებს და ანგარიშს არავის აბარებს, იწყება XVII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან და გრძელდება XVIII საუკუნის დასაწყისამდე.

აღნიშნული დრო თუშეთისათვის არის უმეფობის ხანა, რადგან თეიმურაზის იმერეთში წასვლის შემდგომ არავის ემორჩილებიან, ჩა-

---

[226] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, Тб., 1937, стр. 254, 74—75.

[227] С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI, тома 11—12, М., 1961, стр. 556.

[228] იქვე.

[229] М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1777, СПб, 1861, стр. 229.

კეტილები არიან „მაგარს ალაგას“ და „არას კაცს ეპუებიან“ [230]. ასეთ მდგომარეობაში მყოფი თუშ-ფშავ-ხევსურები 1657 წელს რუსეთის მეფეს სწერენ, რომ: „აწე, დიდო ჯელმწიფევ, ჩვენი ჯელმწიფე ყეენმა წაახდინა და ზურგი აღარსადით გვქონდა, და მღვთისაგან ველოდებით, რომ ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო“ [231].

თუშ-ფშავ-ხევსურთა დამოუკიდებლობაზე მიუთითებს მათი შემდგომი სიტყვები, რუსეთის იმავე მეფის — ალექსი მიხეილის ძისადმი მიმართული: „...შენ შემოგხვეწნივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს, გვიშველეთ და გვალაშქრე, ამ დღეშიოთ შენი ყმანი შევქმნილვართ“ [232].

თუშ-ფშავ-ხევსურეთი კახეთში არჩილის მეფობის დროსაც თავისუფალია, ისინი კახეთის სამეფო კარს არ ემორჩილებიან, პირიქით, მის წინააღმდეგაც კი გამოდიან — იბრძვიან მათი მომხრე კახეთის ბარის მოსახლეობასთან ერთად კახეთში ერეკლე ბატონიშვილის გასამეფებლად [233].

1674—1675 წლიდან ერეკლე ბატონიშვილის სპარსეთში წასვლისა და კახეთში ხანების მმართველობის პერიოდში ისტორია თუშეთის

---

[230] М. Броссе, Переписка... стр. 75.

[231] იქვე.

[232] იქვე.

[233] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 80, 81, 191—194; საქართველოს ცხოვრება ფარსადან გორგიჯანიძისა, იხ. ზ. ჭიჭინაძის „საქართველოს ცხოვრება“, 1913, გვ. 338—339, 350; გრ. ზარდალიშვილი, მთათუშეთი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის), სადისერტაციო შრომა, 1946 (ხელნაწერი), გვ. 65; ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის შუა წლები); ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 137—184; გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), „საისტორიო მოამბე“, ტ. 23—24, თბ., 1970; თამარ ტივაძე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50—60-იანი წწ.), „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 238—248; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977; მისივე, ერთი ეპიზოდი XVII ს-ის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, 1970, გვ. 98—122; ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, 1973; ნ. ნაკაშიძე, საქართველოს-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება; იხ. ქართული სამეფო-სამთავროების საგ. პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, 1970 და სხვა.

შესახებ არაფერს გვაუწყებს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშეთი ხსენებულ მონაკვეთშიც ადრინდელ ტრადიციას აგრძელებს და ხელშეუხებლობით ცხოვრობს.

ასეთი ვარაუდის დაშვების უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ „1677 წლიდან ირანის კარის პოლიტიკა კახეთის მიმართ შეიცვალა. შაჰი კახეთს სამმართველოდ ქართველებს აღარ აძლევდა, არამედ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან სხვა ხანებს. შაჰის ეს ყიზილბაშ მოხელეები მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მომრავლებას და ამ ქვეყნის თურქმენებით დასახლების ცდებს განაგრძობდნენ“ [234].

ყიზილბაში „ხანების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მათ საკმაო დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერც ერთ ფენაში. მათი წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები (თავადები, ეკლესია) და სოფლის მშრომელი მოსახლეობა — გლეხკაცობა, თავისუფალი მთიელები“ [235].

თუშეთის დაახლოება კახეთის სამეფო კართან იწყება დავითის მეფობის პერიოდში (1703—1722 წწ.). ცენტრალური ხელისუფლების გავლენაც თუშეთზე და იქ მოურავებისა და „მებალახეების“ ინსტიტუტის განახლება XVIII ს-დან იწყება, რამაც ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში დასრულებული, ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

XVI—XVIII საუკუნეების თუშეთისა და ცენტრალური ხელისუფლების დამაკავშირებელ უმაღლეს მოხელეს მოურავი ეწოდებოდა, რომელიც უმთავრესად სამხედრო ხელისუფლად ითვლებოდა. მის მოვალეობას შეადგენდა მთიდან ლაშქარი გამოეყვანა და მონაწილეობა მიეღო ამა თუ იმ ბრძოლაში. მასვე უნდა ეზრუნა თუშეთის საერთო უშიშროებაზე; თუ კარს მომდგარი საფრთხე აღემატებოდა თუშთა საბრძოლო შესაძლებლობას, იგი ვალდებული იყო სამეფო კარისათვის მოეხსენებინა და დახმარება ეთხოვა.

მოურავს მთაში მოქმედების მტკიცე განაწესი ჰქონდა შედგენილი. მას მთიელთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონდა. თავის მხრივ მთიელებიც მოურავის შეუტყობინებლად თუ შეთანხმე-

---

[234] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ., 1965, გვ. 194.

[235] იქვე.

ბის გარეშე ვერ წავიდოდნენ საბრძოლველად. თუ მოურავსა და მთიელებს შორის სერიოზული უსიამოვნება ჩამოვარდებოდა, საქმეში სამეფო კარი ერეოდა და მეფის თანდასწრებით ხდებოდა საქმის განხილვა. ამის შესახებ მრავალი საარქივო დოკუმენტია შემონახული.

1786 წლის 16 მაისით დათარიღებულ განჩინებაში, რომელიც ეხება „ქართველთა, თუშთა და ანწუხელთა“ შემორიგებას, ქართლ-კახეთის სამეფო კარი თუშებს აფრთხილებს, რომ „დღეის იქით თუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ანწუხელსა, კაპუჭელსა თუ სხვას ნურას აწყენენ და ნურცას მოჰპარავენ. თუ თუშებმა ბელექნისაკენ ჯარით სამტროთ წასვლა მოინდომონ თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ. თუ ნებავსთ ისინიც გაჰყვებიან, თუ არა თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ნუ წავლენ...“ [236].

ამავე თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ერეკლე მეფის მიერ ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის 1785 წლის ივლისის შვიდს მიწერილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დიდად იმედად მისაჩენელ მისახედავს ან აროდეს ჩვენგან არ დასავიწყარს თიანეთის მოურავს ჩოლოყაშვილს ქაიხოსროს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს. მერე ამის წინათ თუშეთს რომ ლეკის ჯარი მივიდა და ღმრთით სირცხვილეულნი გაბრუნდნენ, ეს ალბათ შენც შეტყობილი გექნება. ახლა კიდევ თუშნი ჩამოვიდნენ, ჯარი სადმე იყრება და კიდევ თუშებზე სადმე აპირებს მოსვლას. თუშთ მოურავიც თუშეთს გავისტუმრეთ, კახთათვისაც მიგვიწერია, სულ მზათ იქნებიან და როცა თუშთ მოურავის წიგნი მოუვათ მაშინვე მიეშველებიან. თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც წიგნი მივსწერეთ, რომ როცა დაიბარონ მამაცობრივ უნდა მიეშველნენ, შენ ამაზე ბეჯითი უნდა იყო. რას წამს ჩვენი კაცი და წიგნი მოგვიდეს მაშინვე ფშავ-ხევსურეთს უნდა წახვიდე და იქაუ-

---

236 საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, Sd, საქმე—2278 (ხაზი ჩვენია, ე. ე).

რი ჯარი თუშეთს მამაცობრივ უნდა მიაშველო, ამაზე დიდათ ბეჯითად უნდა მოიქცე“ [237].

თუშ-ფშავ-ხევსურეთისადმი მოურავის ასეთი სამსახური რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომაც კვლავ უცვლელი რჩება [238].

საარქივო მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მოურავის მიმართ მთიელთაგან აღძრული საჩივრის განხილვა ხდებოდა სხვა რომელიმე სამოურავოში. მას ესწრებოდა მეფე სამეფოს ყველა თვალსაჩინო პირის თანხლებით, აგრეთვე მომჩივანი სამოურავოს ხევისბერდეკანოზნი. სასამართლოს ესწრებოდნენ ნეიტრალური მხარის მოურავი და ამავე კუთხის საერო თუ სასულიერო თავკაცნი.

მოვუსმინოთ ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც ფრიად საინტერესოდ გვესახება ამ თვალსაზრისით. ძეგლში მოთხრობილია ფშავ-ხევსურთა მოსახლეობასა და მათს მოურავ გრიგოლ ჩოლოყაშვილს შორის აღძრულ დავაზე, რომლის თაობაზეც სასამართლო გამართულა თუშეთში 1750 წლის 6 ივნისს და რომელსაც თვით მეფე ერეკლე დასწრებია: „ესე წიგნი მოგართვით თქვენ ფშავისა და ჴევსურეთის და თიანეთის მოურავს ჩოლოყაშვილს ბატონს სახლთხუცეს გრიგოლს ასე რომე მე ჭინჭარაულმა იოსებ ასათაშვილმა გიორგიმ. დავითმა. პეტრემ. გაბრიელ... ჴევსურმა გაბიდურმა. ჩვენის გვარისამ, მთისამ და ბარისამ. დემეტრე ასათაშვილი თავის დღით მომკვდარიყო. მტრის ენით იმის სიკვდილს მოწამლით თქვენ გედავებოდით. მეფე ერეკლე ქართლითა და კახეთითა და ორისავე საერისთაოთი თუშეთს ამობრძანდა სრულ ფშაველნი და ჴევსურნი იქ იყვნენ. ვილაპარაკეთ და იმის სიკვდილზე სიმტყუვნე ვერა გიპოვეთრა. ამაში გავშველდით, ასე რომ თქვენთან სამსახურის მეტი საქმე არა გვქონდესრა. არას ჩემს გვარსა და ნათესავსა ამისი დამსწრე და გამრიგე ლაშარის ჯვრის დეკანოზი ჩოკელაშვილი ნადირა, ბედრაული პაპა. გოგოჭერი მამის იმედი. გოგოლაური გამიხარდი, ჯუთუა დავითის შვილი. როსტევან წითელაური. კურდღელა მათურელი. თორღა ჭიჩოელი. კურდღელა გოდერძაული. ქავთარ თიანელი. მოსე გონჯილაშვი-

---

[237] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd—2852.

[238] Шамиль—ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов (сборник документальных материалов), стр. 95—98; А. Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1841—1867), часть I (1842—1851), С-Петер., 35—36, 1879 и др.

ლი, ქამხაძე აბრამა. ივან გუროსშვილი. გახუტელი. ამათ გაგვისაჰარ-თლებია რომე თქვენთან საქმე და სადაევბელი აღარა ქონდესთრა. არის ამისი მოწამე თუში. საყურაიძე გიორგი. ცისკარა. ჯახო, კლი-ტიური. ჯევსური ნათელიძე. ომაშვილი, ლიქოკელი. იმედა, კისტნე-ლი, ცისკარა. მე რამაზ ერასტისშვილს ამ ზევით წერილი ფშაველთ და ჯევსურეთის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ“ [239]. ძეგლს ბოლოში დასმული აქვს 15 პლიუსი (ეს, ალბათ, ფშავ-ხევსურეთის ხევისბერ-დეკანოზთა ხელმოწერის მაგიერია) და იმ ერისთავ-მოურა-ვთა თუ სამეფო კარის სხვა მოხელეთა ხელმოწერა, რომელნიც მე-ფესთან ერთად აღნიშნულ გასამართლებას ესწრებოდნენ.

მეფე პირადად მთიელთა ცხოვრებაში მაშინაც ჩაერეოდა ხოლმე, როცა სერიოზული უკმაყოფილება ჩამოვარდებოდა მთის ტომის თე-მებს შორის. ასეთი კუთხით მთის ყოფაში სამეფო კარის ჩარევის ერთი კარგი მაგალითი შემოუნახავს თუშურ გადმოცემას. საქმე ეხე-ბა თუშეთში საზაფხულო საძოვრების თაობაზე წოვებსა და თუშებს შორის გამართულ დავას, რომელიც იმდენად გართულებულა, რომ ერთიმეორეს სასიკვდილოდაც კი არ ინდობდნენ თურმე. ეს ვითა-რება რომ სინამდვილეს შეეფერება, იქიდანაც მტკიცდება, რომ დავა თუშების ორ თემს — წოვებსა და გომეწრელებს საძოვრების შესა-ხებ XIX ს-შიც ჰქონიათ[240].

თუშური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ: „წოვა და ჩაღმა თუ-შების მიჯნად ითვლება ერთი მთაგრეხილი. ამ მთაგრეხილს ხან წოვა თუშები იჩემებდნენ, ხან ჩაღმები და ამის გამო მათ შორის ხდებოდა ჩხუბი და სისხლის ღვრა. თუშების თქმით, ამ მთაგრეხილზედ ერთ-ხელ შეყრილიყვნენ ორი თემის წარმომადგენლები (წოვებისა და გო-მეწრელების თემებზეა საუბარი, ვ. ე.), რომ სამართალი რამე დაე-დოთ, მაგრამ ვერა გადასწყვიტეს რა და ბოლოს, როგორც მოსისხლე მტერნი, ეცნენ ერთმანეთს. ეს უთანხმოება გაიგო მეფე ერეკლემ და ერთ ზაფხულს მეფე გადაბრძანდა თუშეთს, რომ გაერჩია დავა, და-ემშვიდებინა ხალხი და მით მოეღო სისხლის ღვრის ბოლო. მათ შო-რის, ამ მთაგრეხილზედ დადგა მეფე. შეიკრიბნენ ორთავე თემის თუ-შები; დაიწყეს საქმის გარჩევა, ჩაღმები (თუშები, ვ. ე.) ამტკიცებდ-

---

239 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd—2942.

240 Р. Эристов, Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе, газ. «Кавказ», 1854, № 43.

ნენ, რომ მთაგრეხილი ეკუთვნოდათ მათ და წოვებს მხოლოდ შეეძ-ლოთ ბალახით ესარგებლათ, რომ წოვები არამც თუ ბალახით სარ-გებლობდნენ, არამედ ალაგსაც ართმევდნენ, წოვები კი მთას და ბა-ლახს ჩუმობდნენ, ჩამოვარდა ისევ უთანხმოება. წოვებში იყო ამ დროს ერთი ბებერი თუში ოცისკარი, ცნობილი თუშეთში, როგორც კაცი ჭკვიანი და სიმართლის მოყვარე. ჩაღმებმა სთხოვეს ერეკლეს, რომ მას ეკითხნა ოცისკარისათვის, თუ რომლებს ეკუთვნოდა ეს მთა-გრეხილი. მეფემ ჰკითხა და ამნაირი პასუხი მიიღო: „რა მოგახსენო, ბატონო ერეკლეევ, თხა მაგათია და საკრეჭი — კი ჩვენი". რამდენი არ ეცადა მეფე, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ბოლოს ბრძანა: „თუშებო, რო-გორც თქვენა ხართ კერპები, ისე ეს ალაგიც საკერპო ყოფილაო", ბრძანა ესა და წაბრძანდა შინისკენ. ამ მთაგრეხილს ეხლა „საკერპოს" ეძახიან თუშები" [241].

სამეფო კარის მიერ თუშეთის შესახებ გაცემული ყოველგვარი შინაარსის სიგელ-გუჯარი მოურავის სახელზე იყო შედგენილი. ბრძა-ნებისა თუ მომართვის ყველა ტექსტი იწყება მიმართვით თუშთ მოურავისადმი, შემდგომში კი თუშებზე და საქმის ვითარებაზეა საუ-ბარი. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ მოურავი ითვლება სამეფო კარის მიერ თუშეთისათვის დადგენილ ხელისუფალთა შორის უპირ-ველეს მოხელედ, რომელიც მთისა და ცენტრალური ხელისუფლების დამაკავშირებელია. ამ ვითარების დამადასტურებელი მრავალი საარ-ქივო დოკუმენტი არსებობს, ჩვენ მოვიტანთ მათგან ერთს, რომე-ლიც შესანიშნავად წარმოგვიდგენს მოურავის ადგილსა და როლს მთიელთა ცხოვრებაში. „ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდად იმედათ მისა-ჩენელს თუშთ მოურავს დურმიშხანს. ასე უამბეთ მერე თუშთ საქო-ნელი კახეთში ჰყოლიათ ხოლმე; მაგრამ ახლა ღმერთის მოწყალებით თითონაც გამრავლდნენ და საქონელიც გაუმრავლდათ; ღმერთმან უფ-რო ამრავლოს, მაგრამ კახეთის სოფლებში, საცა ცხვარს აყენებენ, ეურდოპით, ძალადობით და ეკლესიის განძრახვით ავკაცობენ და ხალხს აწუხებენ. ახლა თუშთ შენ ეს ასე გამოუცხადე; მაგათი ცხვრის დასაყენებელი ადგილი ლოპოტის ხეობა ყოფილა, ალვანი და პანკისი, ახლაც ამ სამს ალაგს უნდა დააყენონ, ფშავლები პანკისზე რომ ეტა-

---

[241] ჩაწერილია თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ, გაზ. „ივერია", 1895, № 121, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 77—78.

ნებიან, იმაში ფშავლებს საქმე არა აქვს, — თუშებისა არის, თუ ამ სამს ალაგს მაგათი ცხვარი არ მოთავსდეს, კახეთის სოფლებში ორ-ორს ფარას სოფლის ბოლოში დააყენებდნენ; ამაზედ მეტის დაყენება არ იქნება და ნურც ქურდობას და ძალადობას მოინდომებენ. ჩვენ ამაზედ კახეთის სოფლებისათვის ბრძანება და დასტური გაგვიცია: თუ თითოს სოფელზე ორს ფარაზე მეტი მოიყვანეს, არც დააყენებენ და ავათაც მოეპყრობიან, თუ ძალადობა ან სიავკაცე რამ დაიწყონ, გალახვენ და უპატიურად გახდიან და ქურდობაზედ კიდეც მოჰკვლენ. ეს თუშებს ყველას ასე შეატყობინე: ორორის ფარის მეტს თითოს სოფელში ვეღარ დააყენებენ და ნურც ავკაცობას დაიწყებენ, ოვარემ ისე დაემართებათ, როგორც მოგვიწერია“ [242].

XVII—XVIII საუკუნეების საბუთებით მტკიცდება, რომ თუშეთის მოურავობა კახეთისა და ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ ნაბოძები ჰქონდათ ჩოლოყაშვილებს, რომლებიც ამ თანამდებობას მემკვიდრეობით ფლობდნენ.

1695 წლის საბუთში იხსენიება თუშეთის მოურავი მამუკა ჩოლოყაშვილი [243].

1711 წლის თარიღით გაცემული სიგელი გვატყობინებს, რომ კახეთის გამგებელი იმამ-ყულიხანი თუშეთის მოურავობას მამუკა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შემდგომ, რადგან ის უშვილო ყოფილა, მამუკას ძმისშვილებს უბოძებს, როგორც მათ „სამკვიდრო საკელოს“. „თუშეთის მოურავობა ბიძათქვენს მამუკას ეჭირა და ის უშვილოთ ამოვარდა და რადგან თქვენი სამკვიდრო საკელო იყო და სხვას კელი არავის ქონდა, ჩვენც წყალობა გიყავით და თქვენი სამკვიდრო თუშეთის მოურავობა ისევ თქვენ გიბოძეთ. სამკვიდროთ და საბოლოოდ“ [244]. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე თუშეთის მოურავებად კვლავ ჩოლოყაშვილები ინიშნებიან.

1748 წელს ერეკლე მეორის მიერ გაცემული წყალობის წიგნით, თუშეთის მოურავად დასახელებულია ჩოლოყაშვილი ჯიმშერი [245], 1781, 1788 წლებშიც იგივეა მოურავი [246]. შესაძლებელია, რომ ერთი

---

[242] კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd; საქმე—10063; იქვე, Hd—1523; Hd—1461;

[243] ი ქ ვ ე, ფონდი 1449, ანაწ. 1, საბ. 1303.

[244] საქ. ცსსა, ფონდი 1448, საბ. 2307.

[245] საქ. ცსსა, ფონდი 1450, დავთ. 32, საბ. 807.

[246] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, საქმე—10063.

ვათგანი — ჯიმშერი მამა იყო, მეორე კი შვილი. გიულდენშტედტი მე-18 ს. 70-იან წლებში შენიშნავდა, რომ: „ამ ეკლესიაში (საუბარია ანანურში აგურით აშენებულ ეკლესიაზე, ვ. ე.) ...არის 15 წლის წინათ გარდაცვლილი არაგვის ერისთავისა და თუშეთის მოურავის ჯიმშერ ჩოლოყაშვილის საფლავი“ [247].

თუშთ მოურავ თავად დურმიშხან ჩოლოყაშვილის მიერ პ. ციციანოვისადმი 1803 წელს წარდგენილი მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ თუშეთის მოურავები ჩოლოყაშვილების საგვარეულოდან ინიშნებოდნენ. იგი წერს: „თუშთ მოურავი გახლავარ. რაც საქართველოს მეფისგან თუშეთი დაჭერილია, იმჟამიდან მოკიდებული მამა პაპით მე გახლავარ. მოცილე და მოდავე არა მყოლია“ [248].

საუკუნეთა მანძილზე თუშეთში ჩოლოყაშვილების მოურავობას თუშები ისე შეჰგუებიან, რომ სხვა თავადიშვილის მოურავად დანიშვნას თუშეთი წინააღმდეგობას უწევდა. ჩოლოყაშვილების სათავადო კართან თუშების დამოკიდებულება კარგად შეუნიშნავს ალექსანდრე დიუმას: „თუშთა ერთი ბოქაული, თავადი ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა და მის ადგილზე სხვა ბოქაული დანიშნეს. ამ უკანასკნელს არ ჰქონდა პატივი, ყოფილიყო გვარად ჩოლოყაშვილი, თუშებს კი მაინცდამაინც ჩოლოყაშვილი უნდოდათ ბოქაულად. ისე დაჟინებით მოითხოვდნენ ამას თუშები, რომ ხელისუფალნი შეუდგნენ ძებნას და ძლივძლივობით აღმოაჩინეს ჩოლოყაშვილთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი“ [249].

ჩოლოყაშვილების საგვარეულოს დიდძალი მამულები ეკუთვნოდათ კახეთში. მათი სამყოფელი ადგილები იყო ლალისყურში, ბახტრიონში, ახმეტაში, მატანსა და სხვ. [250].

თუშეთის მოურავები ლალისყურში მცხოვრები ჩოლოყაშვილები-

---

[247] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში... ტ. I, 1962, გვ. 271.

[248] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1948, გვ. 9.

[249] ალ. დ ი უ მ ა, „კავკასია“ (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი), თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, თბ., 1964, გვ. 87.

[250] ს. ა ს ა თ ი ა ნ ი, საადგილმამულო ურთიერთობა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI—XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში, თსუ შრომები, ტ. 77, 1959, გვ 50—51.

დან ინიშნებოდნენ. 1801—1802 წლების კახეთის აღწერაში არის სოფ. ლალისყურის კომლობრივი აღრიცხვა, სადაც მითითებულია, თუ როგორ არის განაწილებული სოფ. ლალისყურის მოსახლეობა ჩოლოყაშვილის სახლის წევრებს შორის. იქ ნათქვამია: „ლალისყურს თუშთმოურავის ჩოლოყაშვილის დურმიშხანის ყმა“ არის 32 კომლი. გიულდენშტედტიც მიუთითებს, რომ თუშეთის მოურავები ლალისყურიდან ყოფილან. იგი წერს: „...ერეკლე მეფე მათ (თუშებს, ვ. ე.) უყურებს როგორც თავის ქვეშევრდომებს და ჩაყენებული ჰყავს მათთან მოურავი (თუშეთის მოურავი), რომელიც ზის არა მხარეში, არამედ ბალისყურში (ლალისყური უნდა იყოს, ვ. ე.). 1772 წელს (თუშეთის მოურავი) ჩერქეზიანთა თავადური გვარიდან იყო“ [251].

მოურავებთან ერთად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამეფო კარი ნიშნავდა ე. წ. „მებალახეებსაც“. „მებალახეების“ მოვალეობა იყო მთისა და ბარის მიწებით სარგებლობისათვის თუშებისგან სამეფო კარის მიერ დაწესებული გადასახადების აკრეფა.

1757 წელს ქართლ-კახეთის მეფეებისაგან თუშებისათვის მიცემულ სიგელში ვკითხულობთ: „თქვენ, როგორც ძველთაგან, ან საბალახე და საფოთლე გრთმეოდესთ და საკომლო ისე გამოგრთმეოდესთ“[252]. ამ სიგელში საუბარია ალვანის მინდვრის შესახებ, რომელიც ხსენებული სიგელით თეიმურაზ მეორემ და ერეკლე მეფემ განმეორებით დაუმტკიცეს თუშებს. ასე რომ ალვანის სარგებლობისათვის თუშებს საკომლო გადასახადი ე. წ. „საფოთლესა“ და „საბალახოს“ სახით უნდა გადაეხადათ, რადგანაც იგი არ იხვნებოდა და მხოლოდ საძოვრად იყო გათვალისწინებული [253]. დ. ზუბარევის მიხედვით, თუშები ქართველ მეფეებს ალვანის სარგებლობისათვის უხდიდნენ 400 სულ ცხვარს და 200 ბატკანს. იგი წერს: «При грузинских царях давали они, вместо денег, 400 баранов и 200 ягнят за Алванское поле»[254].

ნ. დუბროვინიც აღნიშნავს, რომ თუშები საქართველოს მეფეებს

---

[251] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქ-ში... გვ. 263.

[252] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, საქმე—10063.

[253] რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, 1959, გვ. 199.

[254] Д. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, «Русский вестник», т. II, № 6, 1841, стр. 522.

საბალახოში 400 სულ ცხვარსა და 200 ბატკანს უხდიდნენ: «Грузинскому царю тушины вносили ежегодно одну определенную дань, не признавая кроме ея никакой другой дани. Это состояла из 400 баранов и 200 барашков и известна была под именем сабалахо»[255].

დ. ზუბარევი და ა. ბერჟე იმასაც აღნიშნავენ, რომ საბალახოში თუშები ცხვარ-ბატკნის ნაცვლად უხდიდნენ ხელისუფლებას 1040 ძანეთ ვერცხლის ფულს. ა. ბერჟე წერს, რომ: «Стада свои они (თუშები, ვ. ე.) пасут в Телавском уезде на казенных землях, за что платят правительству 1040 р. с. в. год»[256].

საკუთრივ თუშეთის მიწა-წყლით სარგებლობისთვისაც, როგორც სახასო ყმებს, თუშებს საბალახე გადასახადი ეკისრათ. XVII—XVIII საუკუნეებში გაცემული რამდენიმე საბუთიდან ჩანს, რომ თუშეთის მოურავთან ერთად იქ ინიშნებოდნენ ე. წ. „თუშეთის მებალახეებიც“, რომელთაც თუშებისაგან საბალახე გადასახადი უნდა აეკრიფათ. 1693 წელს გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „მან პატრონმან ელენემ, ძემან ჩუენ მან სასურველმან პატრონმა იმამყულიხან და კონსტანტინემ ესე ყამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ და შეგიწყალეთ თქვენ ჩუენსა მრავალფერად ნამსახურსა ყმასა პეტრიაშვილსა ტუსიასა და იასეს და ელოს და ჯანოს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ყოველსავე მას ყამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა დარბაზისასა და თუშეთის საბალახოს წყალობას და გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ თუშეთის მებალახეობა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენისა ერთგულად სამსახურსა შინა. აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხვათა მეფეთა მეპატრონეთაგან“ [257].

1744—1762 წლებში გაცემულ ბრძანებებში ერეკლე მეორე თუშეთში საბალახო გადასახადის ამკრებთ ავალებს, რომ საბალახო შემოსავალი სახლთუხუცეს ჯიმშერს ჩააბარონ. „ქ. ბატონის შვილი ერეკლე გიბრძანებთ თუშეთის მებალახეებო: მერმეთ ჩვენი სამოურავო რაც გამოსაღები იყოს, ჩვენის სახლთხუცესს ჯიმშერისათვის

---

[255] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн II, СПб, 1871, стр. 287.

[256] А. Д. Бержe, Краткий обзор горских племен на Кавказе, Тиф., 1858, стр. 37; Д. Зубарев, დასახელებული შრომა, გვ. 522.

[257] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad, საქმე—1168.

წყალობა გვიქნია, უკლებლივ ამას მოაბარებდეთ, რომ არა დაიკარგოს“ [258].

1798 წლის 10 სექტემბრის ბრძანებით, რომელიც მეფე გიორგის გაუცია, თუშეთის მებალახეებს ევალებათ, რომ სამეფო კარის დეკანოზს — გიორგი ხელაშვილს თუშეთის საბალახო შემოსავლიდან ყოველწლიურად თორმეტი ცხვარი გამოუგზავნონ. „ჩვენ მაგიერად თუშეთის მებალახეთ ასე ეუწყოსთ. მერე ჩვენს კარის დეკანოზს ხელაშვილს გიორგის თუშეთის საბალახე ცხვრიდამ ყოველს წელიწადს თორმეტს ცხვარს მოუკლებლად მოსცემდეთ“ [259].

მებალახეებად, როგორც ირკვევა, ინიშნებოდნენ სამეფო კართან დაახლოებული პირები, რომელნიც, გარდა მებალახეობისა, სხვა სამსახურსაც ასრულებდენ [260]. ერეკლე მეორის მიერ პეტრია გიორგიშვილისადმი გაცემულ სიგელში აღნიშნულია, რომ „პეტრიას მამა თუშეთის მებალახე იყო, ჩვენ მოურავად შავქენით, არც მებალახეობა გამოგვირთმევია ოთხას საკომლოს, ორასის საბალახოს ჩვენს კარზედ მისცემდეთ“ [261].

1803 წლის აპრილში გაგზავნილ მოხსენებაში ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მთავარმართებელ ციციანოვს აცნობებდა იმის შესახებ, თუ როგორი მოვალეობა ეკისრა მას, როგორც თუშეთის მოურავს, და რა გასამრჯელოს იღებდა ამისათვის. „თუშეთისა, ფშავისა და კახეთის სახასო სოფლების მთის საბალახოდამ ოთხთუმანნახევარს ვიღებდიო“[262]. ეს ამონაწერი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თუშეთის მოურავებს სამეფო კარი ხელფასს აძლევდა თუშეთისავე „საბალახო“ შემოსავლიდან.

სამეფო კარის მიერ გაცემულ სიგელებში არ აღინიშნება, თუ თითოეულ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე რა უნდა გადაეხადათ თუშებს. დ. ზუბარევი აღნიშნავს, რომ საზამთრო საძოვრებზე (სამუხში) თუშ-ფშავ-ხევსურები მოიჯარადრეებს წინასწარ განსაზ-

---

258 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd, საქმე—2835.

259 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad, საქმე—881.

260 ლ. გვახარია, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1960, გვ. 45.

261 საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1910, ტ. III, № 205, გვ. 191.

262 საქ. ცსსა, ფონდი — 1448, საბ. № 8995.

ღვრულ ღირებულებას უხდიდნენ ცხვრის, მსხვილფეხა საქონლისა და ცხენების გამოზამთრებაში. მასვე აღნიშნული აქვს, თუ თითოეულ საქონელს სახეობის მიხედვით რა გადასახადი ჰქონდა დადებული. «... за пастбу скота в Самухе Туши, Пшавии и Хевсуры платят пошлину казенному откупщику, имеющему ее на откуп, за барана и овцу по 5 копеек, за рогатую скотину 10 коп. за лошадь 20 копеек серебром с головы»[263].

როგორც ირკვევა, ადრეც, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ქართველი მეფეები საბალახოს იმის მიხედვით ართმევდნენ თუშებს, თუ რა საქონელს აძოვებდნენ. აღნიშნულის შესახებ „დასტურლამალში" ვკითხულობთ: „ცხვარზე ცხვარის საბალახო ყოფილიყო აღებული, თხაზე თხისა" [264].

ჩვენ არ ვიცით, თუ თითოეულ ე. წ. „საბალახე" კომლს რა რაოდენობით ხვდებოდა. აქაც გარკვეული ოდენობა იქნებოდა დაწესებული. ალბათ „მებალახეობის" ძირითადი მოვალეობა იქნებოდა ცხვრის, მსხვილფეხა საქონლისა და თხის ჯოგების დათვლა-დაზუსტება კომლების მიხედვით და შემდგომ გათვალისწინებული საბალახე გადასახადის განაწილება.

მოურავებისა და მებალახეების საქმიანობა თუშეთში ერთი წუთითაც არ უშლიდა ხელს მის თემურ მმართველობას. მთისა და სამეფო კარის ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობდა მეფისადმი მთიელთა ერთგულებას, ნდობას და სიყვარულს, რაც ყველაზე მეტად გამომჟღავნდა ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში. ერეკლე სწორად აფასებდა მთის როლს, უბატონო მთიელთა თავდადებას მეფისა და სამშობლოს წინაშე, რასაც ისიც ერთვოდა, რომ ისინი სამშობლოს ჩრდილოეთ საზღვრებზე ცხოვრობდნენ და გამუდმებით საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. იმიტომ იყო, რომ როცა ერეკლე მეორემ მკაცრ რეჟიმზე დაყრდნობით შექმნა ე. წ. მორიგე ჯარი, მან თუშ-ფშავ-ხევსურნი ამ სამსახურისაგან გაანთავისუფლა [265]. ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურთა შეიარაღებული რაზმები ერეკლე მეფეს არასდროს მოსცილებიან და ყოველთვის მის გვერდით იბრძოდნენ.

---

263 Д. Зубарев, დასახ. შრომა, გვ. 531.

264 დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის გამოცემა, თბ., 1886, გვ. 10.

265 Бутков, Материалы для истории Кавказа, т. I, СПб, 1869, стр. 288.

ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ ქვეყანაში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ მთიელთა ყოფასაც უწია და მათ თემურ წყობილებაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ცარიზმის ადმინისტრაცია, — შენიშნავს აკად. პ. გუგუშვილი, — ყოველმხრივ ხელს უწყობდა მთაში ბატონყმური ურთიერთობის დამნერგავ ელემენტებს[266].

თუ ადრე სათემო და სათემთაშორისო ყრილობა მთიელთათვის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო და მისი გადაწყვეტილების შესრულება თემის ყველა წევრისათვის სავალდებულოს წარმოადგენდა, ახლა ეს უფლება თემს თანდათანობით ეკარგება და მთიელთა ცხოვრება ექვემდებარება რუსულ მმართველობას, მის კანონმდებლობას. თუმცა, რა თქმა უნდა, თუშური თემის მმართველობის აღრინდელი ადათ-წესები კვლავაც არსებობდა და ყოფა-ცხოვრებაში თუშები მათ ჩვეულებრივ იყენებდნენ.

ახალ სიტუაციასთან დაკავშირებული ცვლილებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ მოხდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. შეიქმნა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქი, რომელიც ორ უბნად იყოფოდა და ოლქის უფროსის თანაშემწეები მართავდნენ. «Округ этот разделяется на два участка: Тушинский и Пшаво-Хевсурский (коими заведывают два помощника окружного начальника.»[267]

დ. ზუბარევიც, რომელმაც თუშ-ფშავ-ხევსურეთში XIX საუკუნის 30-იან წლებში იმოგზაურა, შენიშნავს: «Они (თუშები, ფშავები, ხევსურები, ვ.ე.) повинуются Русскому императору и управляются двумя помощниками назначенными Телавским окружным начальником. Один управляет Тушами, или Тушинами, другой Пшавами и Хевсурами»[268].

თუშეთში ადრინდელი ოთხი თემის ნაცვლად იქმნება ე. წ. საზოგადოებები, რომელთა ხელმძღვანელობა დაევალათ მამასახლისებს და ნაცვლებს, სამღვდელოებასთან ერთად, რომელნიც თუშეთში თა-

---

[266] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს, ტ. II, 1956, გვ. 439.

[267] Р. Э р и с т о в, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе... стр. 76.

[268] Д. З у б а р е в, დასახ. შრომა, გვ. 520.

ვის საქმიანობას შეუდგნენ XIX ს-ის 30-იანი წლებიდან, როცა თუშეთის საზოგადოებათა ცენტრალურ სოფლებში ეკლესიები აშენდა. თუშეთში შეუქმნიათ 8 საზოგადოება, ოთხი თემის ნაცვლად, ესენია: ფარსმის, დართლოს, ომალოს, ნაციხვარის, ჯვარბოსლის, ინდურთის, საგირთის და ილიურთის[269]. მ. მაჩაბლის მიხედვით, თუშეთში შვიდი საზოგადოებაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მასთან ინდურთა და საგირთა გაერთიანებულია ერთ საზოგადოებად, რომელსაც წოვათის საზოგადოება ეწოდება[270].

საზოგადოების უფროსად ითვლებოდა მამასახლისი, ხოლო მის მოადგილედ — ნაცვალი. მამასახლისს საზოგადოება ირჩევდა სამი წლით და ამ თანამდებობის მფლობელი მხოლოდ ადგილობრივი უნდა ყოფილიყო. «В каждом обществе выбирается на три года старшина (Мамасахлиси — მამასახლისი), который хотя и имеет власть сельских старост в русских деревнях, но ведает делами всего района, почему он является скорее волостным старшиною».[271]

მოსახლეობისა და სოფლების რაოდენობის მიხედვით მამასახლისებს ჰყავდათ ორი ან სამი მოადგილე — ნაცვალი. ნაცვლებსაც საზოგადოება სამი წლით ირჩევდა და ისინიც ადგილობრივნი უნდა ყოფილიყვნენ. «Смотря по количеству дымов или по расстоянию сел друг от друга, общественные старшины имеют от двух до трех помощников, именуемых нацвалами (ნაცვალი)... нацвалы, как и старшины выбираются на три года, при чем они выбираются всеми домохозяевами нацвальства, а старшины — домохозяевами всего общества»[272].

თუშეთში რუსული მმართველობის მოხელეებს მთავრობისაგან წლიური ჯამაგირი ჰქონიათ დანიშნული. არტილერიის გენერალ-მაი-

---

[269] Г. Радде, Хевсурия и Хевсуры, Зап. Кавказского отдела ИРГО кн. XI, вып. второй, Тиф., 1881, стр. 46—48.

[270] М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, 1887, стр. 337.

[271] იქვე, გვ. 333.

[272] იქვე, გვ. 333—334.

ორ თევდორე ახვერდოვისადმი გაგზავნილ თხოვნაში თუშეთის მოურავი ედიშერ ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ მას შტატით დაწესებული ჰქონია 600 მანეთი. ამ თანხიდან თარჯიმანს და საქმის მწარმოებელს ეკუთვნოდათ 300 მანეთი, თითოეულს 150 მანეთი, ხოლო მოურავს — 300 მანეთი.

მამასახლისებისა და ნაცვლების ჯამაგირზე ვერაფერს ვამბობთ, რადგან არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ჯამაგირის გარეშე კი, რა თქმა უნდა, არც ისინი იქნებოდნენ. მაგრამ გაურკვეველია, ვინ უხდიდა ხელფასს: ის საზოგადოება, რომელიც ირჩევდა მამასახლისსა და ნაცვალს, თუ სახელმწიფო?

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომ პერიოდშიც თუშეთის დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან თითქმის ისევე წარიმართა, როგორც ადრეულ საუკუნეებში. თუშური თემის მმართველობა აღნიშნულ პერიოდში უმთავრესად ძველი ადათ-წესებით მიმდინარეობდა. თუშეთი სახელმწიფოს ძველ წესზე უხდის გადასახადს საკომლო და საფოთლე-საბალახოს სახით. გარდა ამისა, აქტიურად მონაწილეობს ის საგარეო ომებში, რომელთაც რუსეთი კავკასიაში აწარმოებდა XIX საუკუნის 60—70-იან წლებამდე.

მდიდარი საბრძოლო ტრადიცია, რაც თუშებს საუკუნეთა მანძილზე გამოუმუშავდათ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ შესანიშნავად შეუხამეს ქვეყანაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ სიტუაციას და რუსთა რეგულარული ჯარის ნაწილების გვერდით კვლავ ჩვეული ენერგიით წარმართეს ბრძოლები შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ. აღნიშნულის შესახებ კარგად შენიშნავს აკად. ნ. დუბროვინი: «Народ этот (თუშ-ფშავ-ხევსურები, ვ. ე.) издревле и даже во время русского правления, составлял самый лучший оплот для грузин от вторжения в ея пределы хищных горцев»[273].

მსგავს შეფასებას აძლევს თუშთა საბრძოლო საქმიანობას ი. ცისკარიშვილიც, იგი წერს: «Тушины издревле, как при Грузинских царей так и ныне, при благодетельном Русском правительстве, служат вернейшим оплотом Кахетии от вторжения хищных горцев»[274].

თუშების აქტიური მონაწილეობა რუსეთ-საქართველოს გაერთია-

---

[273] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, СПБ, 1871, стр. 288.

[274] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 13, 1849.

ნებულ სამხედრო ოპერაციებში ჯერ კიდევ რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე იწყება, კერძოდ, 1800 წელს, როცა 17 ათასი ლეკით კახეთში შემოიჭრა ომარ-ხანი და თბილისზე თავდასხმას აპირებდა. ეს პერიოდი ქართლ-კახეთისათვის მეტად რთული და კრიტიკული იყო. გიორგი მეფე ლოგინად იყო ჩავარდნილი, ალექსანდრე ბატონიშვილი თან ახლდა ომარ-ხანს და თბილისზე თავდასასხმელად აქეზებდა. კარზე მომდგარი საფრთხის აღსაკვეთად მეფემ კახეთში „წარაელინა ორი ბატალიონი რუსთა მხედრობისა ღენერალებითურთ, და თანა წარატანა ძეცა თვისი იოვანე, რათა მივიდეს ქიზიყსა და აცნობოს ძმასაცა თვისსა ბაგრატს, რომელი ესე იყო გამგედ დარდგენილი კახეთსა შინა და იყოფებოდა თელავს, რათა მანცა მოიკრიფნოს კახთა მხედრობანი და თუშთა, ხევსურთა და ფშაველთანი, და შეერთდეს ქიზიყს და ბრძონ ომარ ხანს“ [275].

ომარ-ხანმა რუსთა და ქართველთა გაერთიანებულ ძალებთან ალაზნის ველზე შებმა ვერ გაბედა და სასწრაფოდ თბილისისკენ აიღო კურსი. ამ ამბის „მცნობნი მეფის ძენიცა იოანე და ბაგრატ შეუდგნენ უკანა მხედრობითა რუსთა და კახელითა, რომელთა არა ჰყავთ უმეტეს ორი ათასისა მხედრობა რუსითურთ. ეწივნენ ნიახურსა ზედა ნოემბერს 7, მოვიდნენ ლეკნიცა და დადგნენ იორ გაღმა პირის პირ ნიახურისა (საგარეჯოს რაიონი, სოფ. კაკაბეთის სიახლოვეს, ვ. ე.). იქმნა მუნ კუეთება... განგრძელდა ბრძოლა სამს საათსა. იძლივნენ ლეკნი ომარ-ხანითურთ და ალექსანდრეთი და დაიკოდაცა ომარ-ხან ბარკალთა შინა. მხნედ იყვნენ კახნი ბრძოლასა ამას შინა და მოსწყდნენ ლეკნი. ეგოდენნი, რომელ რიცხვი არა ეგებოდა, და შეიპყრეს მრავალნიცა... მოკუდა მხოლოდ სალდათი ერთი მუშკატირი და კახნი თუშითურთ მოსწყდნენ ოცდა ცამეტნი“ [276]. ამავე ფაქტთან დაკავშირებით დავით ბატონიშვილი შენიშნავს: „გარნა თუშნი უმეტეს იყვნენ მხნედ და მეწინავედ მბრძოლნი, რომლისა ქება კაცთაგან შეუძლებელ არს“ [277].

---

[275] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა (1744—1840 წწ.), ტფ., 1905, გვ. 57.

[276] ი ქ ვ ე.

[277] დავით ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 74.

თავი III

1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშეთის მონაწილეობის ისტორიიდან

§ 1. 1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის შესახებ ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმულ უზუსტობათა გარკვევისათვის

1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის შესახებ საარქივო მასალებისა და ოფიციალური ლიტერატურის გარდა, არსებობს მრავალმხრივ საინტერესო ხალხური ლექსები და გადმოცემები. თუშებში დღემდე შემონახული ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ 1659 წლის კახეთის აჯანყებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფეს თუშებისათვის ალვანის მინდორი სამოსახლოდ მიუცია და ეს ტერიტორია მას შემდგომ გამხდარა თუშების კუთვნილება. აღნიშნულ გადმოცემას უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად იყენებენ მკვლევრები და შენიშნავენ, რომ: „სპარსთა ტომებისაგან ბახტრიონის განთავისუფლების შემდეგ თუშთა თავკაცს (ზეზვა გაფრინდაულს, ვ. ე.) მეფისათვის ჯილდოდ სამოსახლო უთხოვია. მეფეს დასტური უთქვამს, ოღონდ ერთი პირობით: ბახტრიონიდან შეუსვენებლად სადამდეც გააჭენებდა ცხენს, იქამდე გამოუყოფდა მიწას. ზეზვას მანამდე უჭენებია თავისი ბედაური, სანამ პირუტყვი უსულოდ არ დავარდნილა. აუწევია მეფეს ხელი და უთქვამს — „აწ აქ ისახლებსო თუშთა მოდგმა". გადმოცემით ეს ადგილები ახლანდელი სოფლების — ქვემო და ზემო ალვანის ტერიტორიაა" [1].

კახეთის აჯანყებამდე ალაზნის მარცხენა მხარეზე მდებარე ტერი-

---

[1] არნოლდ გეგეჭკორი, ღრუბლებს ზემოთ თუშეთია, 1983, გვ. 12.

ტორიას — ალვანის (ალონის) ველ-მინდვრებს თუშების საკუთრებად მიიჩნევს აჯანყების დღეებში შექმნილი თუშური ხალხური ლექსი:

„ალთეს და ჩალთეს თათრები
წითლად ჩადიოდ წყალიო;
ალვანშა ციხეს აგებენ
ხოჯა თათრისა ძალისიო.
ლიბოდ უგდებენ გალოსა
ნაწერეტის ფრანგულისიო,
დაგაგდებინეს ალვანი
თუშთ არის საკუთარიო“.

ისტორიული ალვანის ველ-მინდვრები რომ აჯანყებამდე უკვე დიდი ხნით ადრე თუშებს ჰქონდათ გადაცემული, დასტურდება ოფიციალური წერილობითი მონაცემებითაც.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲣᲠᲐᲕᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲨᲘ

ᲗᲣᲨ-ᲤᲨᲐᲕ-ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲡ ᲒᲐᲜᲣᲓᲒᲜᲔᲜ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲔᲡ. ᲒᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲗᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲐᲮᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲛ (1518—1574 ᲬᲬ.) ᲨᲔᲛᲝᲘᲠᲘᲒᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ. ᲐᲘ, ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ: „ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲙᲐᲮᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲐᲠᲦᲐᲠᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲤᲨᲐᲕ-ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲨᲜᲘ; ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲫᲐᲚᲘᲗᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲦᲗᲥᲕᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲜᲘ ᲛᲐᲗᲜᲘ ᲣᲕᲜᲝᲓ ᲛᲫᲝᲕᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲚᲐᲨᲐᲠᲡ ᲯᲣᲐᲠᲡᲐ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲓᲐ ᲛᲘᲔᲠᲘᲗᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲔᲜ ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲒᲐᲠᲐᲡᲐ“[2].

Მ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲨᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲪᲔᲛᲔᲜ, ᲐᲚᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲐᲮᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲬᲕᲘᲐᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠ ᲣᲬᲣᲡᲢᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲤᲔ ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲔᲤᲔᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲐ[3].

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲯᲚᲘᲢᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲐ. ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ, ᲘᲡ

---

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 573.

[3] М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда, Тифлисской губернии, т. VI, Тифлис, 1887, стр. 413.

კვლავ სპარსელების ხელში დარჩა. იმიტომ იყო, რომ თუშები აჯანყების შემდგომაც პარტიზანული მოძრაობით, რომელსაც სათავეში კვლავ ზეზვა გაფრინდაული ედგა, მოსვენებას არ აძლევდნენ კახეთში ხელახლა მომრავლებულ სპარსელებს. ზეზვა გაფრინდაული ხსენებულ ბრძოლებს შეეწირა. იგი ტყვედ ჩაიგდეს, თბილისში ჩაიყვანეს და უგზო-უკვლოდ დაკარგეს. ასე მოგვითხრობს ზეპირსიტყვიერება[4].

როგორც ჩანს, „ბახტრიონის აღების შემდეგ დიდი ალვანის მინდორი თუშებს“ არ დარჩენიათ. ეს ტერიტორია თუშებს დაუბრუნდათ XVII ს-ის 60—70-იან წლებში.

კახეთში არჩილის მეფობის წლებში (1664—1675 წწ.) თუშებს ოფიციალურად ეძლევათ უდიდესი ტერიტორია, რომელშიც შედის ალვანის მინდორიც და „მტკვარსა და იორს შუა“ მდებარე ადგილმამული სხვა მიწა-წყალთან ერთად, რომლით სარგებლობისთვისაც თუშებს სახელმწიფოსათვის „ფარაზე ერთი ცხვრის მეტი“ არ უნდა გადაეხადათ. ხოლო თუ თუშებს ამ საქმეში ხელს ვინმე შეუშლიდა, მაშინ ისიმცა შეიშლება თავისის სახისაგან, — დასძენს მემატიანე, — შეჩვენებული იყოს ცისა და მიწისაგან და ყოველი რჯულისაგან“[5].

აკად. ექვ. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული ქვაზე დაწერილი გუჯრები, მისივე განმარტებით, განეკუთვნება არჩილის მეფობის ხანას. ამ ისტორიული დოკუმენტით ჩანს, რომ თუშებს მხოლოდ ალვანის მინდორი, მის ახლომახლო მდებარე საძოვარი ტერიტორიები აღარ აკმაყოფილებთ და ელდარ-შირაქისაკენ იჭრებიან. აი, რას ვკითხულობთ ხსენებულ წყაროში: „ელდრის ციხე ააგეთ (თუშებმა, ვ. ე.) და იმაში ალვანიშვილი ფარსმელი დადგა და ის მოკალ, მეც ეს წყალობა გიყავ, და უმეტესი გარჯილობა აუღიათ თავისი ხმლით, ორჯერ ჩვენც მივეცით წერილით და ბიჭობა გამოგივიდათ“[6].

გუჯარის ტექსტი საკმაოდ დამახინჯებული ქართულითაა დაწერი-

---

[4] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული, გაზ. „კომუნისტი“, № 225, 1941.

[5] ექვთიმე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1362, 1901.

[6] ი ქ ვ ე.

ლი. მაგრამ მაინც კარგად ჩანს თუშების დამსახურება სამეფო კარის წინაშე, რისთვისაც სახელმწიფო მათ მეცხვარეობის განვითარებისათვის საზამთრო საძოვრებად უმტკიცებს არა მარტო შიდა კახეთის გარკვეულ მიწა-წყალს, არამედ ელდარ-შირაქსაც, რომელიც, მემატიანის თქმით, „უსადევო მამული და უყვედური ყოფილა თავისი შესავლით და გასავლით“.

თუშ-ფშავ-ხევსურთა განსაკუთრებული დაინტერესება კახეთის აჯანყებით და მათი აქტიური როლი სპარსელთა და თურქმანთაგან კახეთის გაწმენდა-განთავისუფლების საქმეში უმთავრესად სწორედ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მათ აქ, ალაზნის გაღმა და გამოღმა, ჯერ კიდევ კახეთის აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე მიცემული ჰქონდათ საძოვრები და მთის ჯვარ-ხატებისათვის საკულუხე მამულები. ეს ვითარება კარგად ჩანს მომდევნო საუკუნეებში ქართლ-კახეთის მეფეთაგან გაცემული სიგელ-გუჯრებით [7].

ა. შავხელიშვილი შრომაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ ეხება კახეთის აჯანყებას და წერს: „უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ პირველი ბიძგი ბახტრიონის აჯანყებას თუშებმა მისცეს... შევეცდებით გავარკვიოთ ამ საკითხში ვ. ელანიძის პოზიციის მცდარობა“ [8].

ჩვენი „პოზიციის მცდარობის“ გარკვევას ავტორი ასეთი მსჯელობით იწყებს: „იმას, რომ სპარსელების კახეთიდან განდევნა განხორციელდა არა თუშების მეთაურობით, არამედ ქსნისა და არაგვის ერისთავების ხელმძღვანელობით, დოკუმენტები ადასტურებენ“ [9].

მკვლევარი ვახუშტის იმოწმებს, მაგრამ მას არასწორად იყენებს— ქსნისა და არაგვის ერისთავების გვერდით არ ასახელებს ბიძინა ჩოლოყაშვილს, როცა ვახუშტისთან მას საპატიო ადგილი უკავია. მოვუსმისოთ ვახუშტის: „ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი ქსნისა შალვა ძმით ელიზბარით“ [10].

---

[7] საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1859, Hd—10063, Sd—2957, Sd—2940, Sd—2942 და სხვა.

[8] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 152.

[9] ხ ქ ვ ე.

[10] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 189—190.

ჩვენს გამოკვლევებში არსად გვითქვამს, რომ ბახტრიონის აჯანყება თუშებმა დაიწყეს და ისინი იყვნენ მოთავე-ინიციატორები. იმას კი აღვნიშნავდით, რომ აჯანყების მომზადების საქმეში და თვით აჯანყებაში თუშებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს, რაც ეჭვმიუტანლად დასტურდება ქართული, სპარსული და რუსული წყაროებითა და საარქივო მასალებით. ზეპირსიტყვიერების მარგალიტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ასევე მსჯელობს ჩვენი რეცენზენტიც: „საქართველოში დაბრუნებული ზაალი, კახელებთან ერთად იმედს თუშებზე ამყარებდა, იქნებ იმიტომ, რომ მთიელები თუშების წინამძღოლობით აჯანყებისათვის უკვე მზად იყვნენ. ამ მხრივ მთიელებისთვისაც და პარელებისთვისაც (მათ რიცხვში ზაალისთვისაც) ისინი (თუშები, ვ. ე.) სასურველ ძალას წარმოადგენდნენ“ [11]. ან კიდევ: „წერილობითი ცნობების თანახმად, თუშები მოსვენებას არ აძლევდნენ მუსლიმანებს, რომლებიც ბახტრიონსა და კახეთის სხვა ადგილებში ჩასახლდნენ. ისინი ორგანიზებულად თუ არაორგანიზებულად ესხმოდნენ მათ თავს და ენერგიას არ ზოგავდნენ თავიანთი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერი იყო, ვინაიდან სპარსელები პირველ რიგში... კახეთის მიწა-წყლის იმ ნაწილს უწევდნენ ექსპლოატაციას, რომელიც თუშებს ეკუთვნოდა“ [12].

ჩვენი რეცენზენტი სხვაგანაც ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, როცა შენიშნავს: „ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბახტრიონის ბრძოლაში თუშებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს“ [13]. და კიდევ: „მ. ბროსეს მასალებით, ზაალ ერისთავი ამ აჯანყების მონაწილე არ ყოფილა. აჯანყების ინიციატორები იყვნენ თუშები“ [14].

აჯანყებაში თუშების როლისა და დამსახურების შესახებ მიუთითებს პროფ. ი. ცინცაძე: „რომ კახეთიდან თურქმანთა ტომების განდევნაში მთელი გარე და შიდა კახეთი — ქსნისა და არაგვის მხარე — იღებდა აქტიურ მონაწილეობას, ეს ცნობილი ფაქტია. თუშებს აქ დიდი როლი შეუსრულებიათ, მაგრამ ამას წყაროები ზოგადად ადასტურებენ, კონკრეტულად კი ჩვენ არ ვიცით, როგორ რა მოიმოქმედეს მათ. ამ ბრძოლაში თუშების აქტიურ მოქმედებაზე საუბარი

---

[11] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა... გვ. 153.
[12] ი ქ ვ ე, გვ. 152—153.
[13] ი ქ ვ ე, გვ. 153.
[14] ი ქ ვ ე.

აქვს ფარსადან გორგიჯანიძეს და ეგნატაშვილ ბერსაც. მაგრამ, საყურადღებოა, რომ სპარსი ისტორიკოსიც მხოლოდ თუშებს სდებს ბრალს თურქმანთა ტომების ამოწყვეტაში. როგორც ჩანს, თუშები არიან მთის ქართველთა მაორგანიზებლები, ამ საქმეშიაც მოწინავენი მოჩანან ისე, რომ საქართველოს თავდაცვის ასპარეზზე მათ საპატიო ადგილი უჭირავთ მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში“ [15].

რაც შეეხება იმას, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი მსჯელობის მცდარობა აღნიშნულთან დაკავშირებით, ვერაფერს ვიტყვით, რადგან ძნელდება იმის გაგება, თუ რისი თქმა სურს მკვლევარს. მისი მსჯელობით ხან ზაალ არაგვის ერისთავია აჯანყების ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, მისი სული და გული, ხან კი — ბიძინა ჩოლოყაშვილი. შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. იგი აღნიშნულთან დაკავშირებით ეხება ბესარიონ ორბელიშვილის, მ. ბროსეს და ვახუშტის შეხედულებებს, მაგრამ საკუთარს არაფერს ამბობს — იწონებს თუ არა მათს აზრს, ანდა თვით აჯანყების ხელმძღვანელობის საკითხი როგორ ესმის, არ ჩანს [16].

მკვლევარი ერთგან შენიშნავს, რომ: „მათ (თუშებმა, ვ. ე.) ბახტრიონისათვის ბრძოლის დავალება წინასწარ მიიღეს აჯანყების ხელმძღვანელობისაგანო“ და ჩვენ გვიმოწმებს [17].

არც ჩვენი საკანდიდატო შრომის 95-ე გვერდზე, როგორც ა. შავხელიშვილი უთითებს, და არც სხვაგან, სადაც აჯანყებაში თუშების მონაწილეობის შესახებ ვმსჯელობთ (გვ. 110—150), მსგავსი არაფერი გვითქვამს; და, რა თქმა უნდა, ვერც ვიტყოდით, რადგან ასეთი განცხადების უფლებას არც ერთი წერილობითი ძეგლი არ გვაძლევს [18]. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მხოლოდ ფარსადან გორგიჯა-

---

[15] ი. ცინცაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 183.

[16] ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა... გვ. 152—154.

[17] იქვე, გვ. 153.

[18] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. შრომა... გვ. 189—190; ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 438; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, ტ. II, 1925, გვ. 270—337; ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954. გვ. 394—98; ი. ცინცაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 173—184; თამარ ტივაძე,

ნიძის ერთი ცნობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, სრულიად სხვაგვარი მიდგომა ესაჭიროება.

კახეთის აჯანყებაში ზაალ არაგვის ერისთავის მონაწილეობის თაობაზე ფარსადან გორგიჯანიძე შენიშნავდა, რომ ერისთავის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც სპარსელთა განსადევნად აჯანყებას აწყობდნენ, ზაალი ვერ დაიყოლიეს. მაშინ „კახთ ერისთავს (იგულისხმება ზაალ ერისთავი, ვ. ე.) მტრობით თუშნი ერთმანეთს შეაფიცეს. ასრე რომე საცა კახეთში თათარი დაესახლებინოს, დაესხან და ყათლაში უყონ და ასრე ჰქმნეს, დაესხნეს და საცა თათარი ნახეს, ჴმალქვეშ დავლეს... ეს ყველა სხვათა ნაქმარი ერისთავს დააბრალეს"... და სხვა"[19]

ეს ერთადერთი ცნობა არსებობს, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და გვათქმევინოს, რომ თუშებმა აჯანყების გეგმა წინასწარ მიიღეს და თანაც ზაალის მოწინააღმდეგეთაგან. მაგრამ თუ მოვლენებს საღად მივუდგებით და აჯანყების მომზადების მთელ ისტორიას ობიექტურად გავაანალიზებთ დავრწმუნდებით, რომ ფარსადან გორგიჯანიძე ცალმხრივად მსჯელობს და საკითხის არსი სრულყოფილად არ ესმის. აღნიშნულის თაობაზე საკანდიდატო დისერტაციაში შევნიშნავდით: „როგორც ვხედავთ, ფ. გორგიჯანიძე კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანთა გაჟლეტას შინაფეოდალური შუღლის ერთ გამოვლინებად მიიჩნევს. თითქოს თუშები ერისთავის მოწინააღმდეგეთა შთაგონებით შეესივნენ ჩამოსახლებულ თურქმანებს. ფ. გორგიჯანიძის ცნობაში ჩანს, რომ ზაალ ერისთავმა აჯანყების მოთავეებს თანაგრძნობა არ გამოუცხადა. რაც შეეხება სპარსელების წინააღმდეგ ხალხისა და ფეოდალების ბრძოლას, მას არა შური და მტრობა, არამედ თავისუფლება-დამოუკიდებლობის მიზეზები ამოძრავებდა" [20].

ბახტრიონის ციკლის ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით კი ერთხმად აღინიშნება, რომ თუშებმა მოუწოდეს აჯანყებისაკენ ფშავ-ხევსურებს და მათივე ინიციატივით მოხდა დაკავშირება კახეთის ბა-

---

თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50—60-იანი წწ.), იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 238—249; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, 1977 და სხვ.

[19] ფარსადან გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა... გვ. 270.

[20] ვ. ე ლ ა ნ ი ძ ე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, ხელნაწერი, 1968, გვ. 111.

რის იმდროინდელ ხელმძღვანელობასთან. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ივ. ბუქურაულისა[21] და ალ. ხახანაშვილის[22] მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი თუშური გადმოცემა. გადმოცემაში ვკითხულობთ: „გაგზავნეს (თუშებმა, ვ. ე.) კაცები ფშავ-ხევსურეთში და აცნობეს მათ: გვიშველეთ, სირცხვილი და ჩირქი ჩვენთა მოძმეთა მტრის სისხლით გავირეცხოთ და გავიბანოთო.

თუშეთის მოწოდებას გამოეხმაურნენ ფშავ-ხევსურნი და იწყეს მზადება სალაშქროდ. დანიშნეს დრო და ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყო შეერთებული ლაშქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მეფესთან შილდაში. შუაღამე იყო, როდესაც თუშების მოციქულები მივიდნენ მეფის სასახლესთან, სთხოვეს კარის დარაჯს გაეღვიძებინათ მეფე. მეფემ მიიღო მოციქულები. თუშებმა აუხსნეს ლევანს თავიანთი გულისწადილი (ლევან მეფე შეცდომით არის დასახელებული, კახეთში ის 1518—1574 წლებში მეფობდა). მეფე ლევანი ყოყმანობდა და გაიძახოდა: „რა ექნა, მტერი დიდია, ვერ ვძლევთ. განრისხებული თათარი ამობუგავს კახეთს, ქუას ქვაზე აღარ დაანარჩუნებს. ხალხი ამოწყდება, მეფე ვარ და დიდ ცოდვაში ჩავვარდები". „არა, მეფევ, — უთხრეს თუშებმა,—ცოდვა ჩვენს კისერზე იყვეს და ჩვენს ხმალზე, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვერ ავიტანთ ამ სირცხვილს, ან სულ ამოვწყდებით შენი ერთგული ყმები, ან შეეღებავთ ალვანის მინდორს უწმინდურის თათრის სისხლით. ჩვენ ისინი ვერ გვაჯობებენ, მხოლოდ შენ გაუსიე კახელები სხვადასხვა სოფელში მდგარ თათრებზე, გააქლეტინე და ჩვენ თუშ-ფშავ-ხევსურებმა ვიცით, როგორ მოუღოთ ბოლო ალვანის თათრებსო".

მეფე დათანხმდა. დანიშნეს დრო—დილის რიჟრაჟი. მეფეს სოფლებში მდგარი თათრები ღამე უნდა გაეწყვიტა, თუშ-ფშავ-ხევსურებს ჯი უნდა აეღოთ ბახტრიონი და ალავერდის ციხეები"[23].

ა. შავხელიშვილი აღნიშნავს: „ზაალ ერისთავმა დიდი სამუშაო ჩაატარა აჯანყებისათვის მოსამზადებლად"[24].

---

[21] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, თუშური ლექსები, „ძველი საქართველო", ტ. II, თბ., 1913.

[22] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ივერია", № 220, 1888.

[23] სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 20.

[24] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 153.

რამდენადაც ვიცნობთ, ფეოდალური ხანის ქართული და უცხოური ისტორიოგრაფიის არც ერთი ძეგლი ასეთი გაბედული და დამაჯერებელი დასკვნის გაკეთების უფლებას არ იძლევა. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ერისთავი აღაშფოთა თათართა მიერ კახელი მღვდლის შეურაცხყოფამ, რომელიც დუშეთში ავიდა ერისთავთან და მოუთხრო იმ აღვირახსნილობის შესახებ, რასაც სპარსელები და თურქმანები კახეთში სჩადიოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ მოაწყო აჯანყება ერისთავმა. აქ არსად არ ჩანს, რომ ერისთავი ხანგრძლივად ემზადებოდა აჯანყებისათვის [25]. ფარსადან გორგიჯანიძე, ბესარიონ ორბელიშვილი და მარი ბროსე კი აჯანყებაში არაგვის ერისთავის რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებას არ ცნობენ და მის საქმიანობას ეჭვქვეშაც კი აყენებენ. „მარი ბროსეს მასალებით, ზაალ ერისთავი ამ აჯანყების მონაწილე არ ყოფილა... ბესარიონ ორბელიშვილი აჯანყების წამომწყებად და დამგვირგვინებლად თვლის ბიძინა ჩოლოყაშვილს“ [26].

რუსული საარქივო მასალების მიხედვით [27], რომელთაც გადამწყეტი ღირებულება ენიჭება კახეთის აჯანყების გამომწვევი მიზეზებისა და მომზადების შესწავლის საქმეში, ნათლად ჩანს, რომ იმერეთში თავშეფარებული თეიმურაზ კახთა მეფე და რუსეთში მყოფი ერეკლე ბატონიშვილი კარგად იყენებენ თუშ-ფშავ-ხევსურეთის უკმაყოფილებას კახეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და ყველაფერს აკეთებენ, რათა კახეთის მთიანეთი უფრო ენერგიულად ჩააბან ამ დიად მოძრაობაში. „საფიქრებელია, — წერს პროფ. ნ. ნაკაშიძე, — რომ თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ მოსკოვთან ურთიერთობის დამყარება აუცილებელ პირობად მიაჩნდათ თეიმურაზსა და ერეკლეს კახეთის ტახტის დასაბრუნებლად. კახეთის მთიანეთი ტრამპლინი და პლაც-

---

[25] ბერი ეგნატაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 438; ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 189—190.

[26] ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 154.

[27] М. Броссе, Переписка, на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639, г. по 1770 г., СПБ, 1861, стр. 74—75. 229—230; ძაესა, ფ. 110/1, 1656, № 1, იქვე, 1659, № 1, იქვე, 1657, №4, იქვე, 1658, № 3, №7, იქვე, ფ. 138/3, წიგ. 4 და სხვა.

დარმი უნდა გამხდარიყო, საიდანაც შეძლებდა კახეთის კანონიერი მეფე თავის სამშობლოში დაბრუნებას“ [28].

თ. ტივაძის მიერ გამოვლენილი ერთი რუსული საბუთით კი დასტურდება, რომ „1654 წელს თუშეთიდან და ქისტეთიდან მოსკოვში გაერთიანებული ელჩობა ჩასულა და ალექსი მიხეილის ძისათვის მფარველობაში აყვანა უთხოვია“ [29].

თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის გააქტიურება და გაცხოველებული ინტერესი იმისათვის, რომ ამ კუთხეთა მცხოვრებნი რუსეთის სახელმწიფომ მფარველობაში აიყვანოს და მათ სათანადო დახმარება აღმოუჩინოს, მომდევნო წლებში უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორია და, აქედან გამომდინარე, კახეთის აჯანყების ეპოპეა და მასთან დაკავშირებული ცალკეული დეტალები სრულყოფილადაა შესწავლილი თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების — ი. ცინცაძის, გ. პაიჭაძის, ნ. ნაკაშიძის, თ. ტივაძის მიერ, რომელთა მიხედვითაც და, რა თქმა უნდა, სხვა სარწმუნო მონაცემებითაც, კარგად ჩანს ზაალ არაგვის ერისთავის დამსახურება ხსენებულ აჯანყებაში. ეს საკითხი აჯანყების ისტორიოგრაფიაში შესანიშნავადაა გარკვეული და დავას აღარ იწვევს. „ზაალ ერისთავმა, — წერს პროფ. გ. ჯამბურია,—რომელსაც მოსახლეობის ფართო წრეებმა, მათ შორის ფეოდალებმაც, დაუჭირეს მხარი, აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ითავა (ეს მაშინ, როცა ერისთავი საქმის კურსში ჩააყენა თურქმანებისაგან შეურაცხყოფილმა ხუცესმა, აჯანყება კი მანამდე დიდი ხნით ადრე, რამდენიმე წლის მანძილზე მზადდებოდა, ვ. ე.), თუმცა აჯანყების დაწყების შემდეგ მას აშკარა მონაწილეობა ბრძოლაში არ მიუღია. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები და ორგანიზატორები კი იყვნენ თეიმურაზ I-ის თანამებრძოლი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი იყო თუში ზეზვა გაფრინდაული“ [30].

---

[28] ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, იხ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. I, 1970, გვ. 96.

[29] თამარ ტ ი ვ ა ძ ე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, 1977, გვ. 65, ძაცსა, ფ. 138/3, წიგ. 4, ფ. 664.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 331.

ა. შავხელიშვილი აგრძელებს მსჯელობას კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის შესახებ და წერს: „XIX ს-ის I ნახევრის ეთნოგრაფს ი. ცისკარიშვილს მოჰყავს ფრიად საყურადღებო ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობდნენ თუშების ოთხივე თემის წარმომადგენლები. მის მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით, ბახტრიონიდან გაქცეული თათრის ჯარი ტახტის ბოგირზე გადასვლისას გაანადგურეს თუშებმა. შემდეგ მათ ყარაჯალაში მოსვლამდე გაჟლიტეს ალავერდში მოკალათებული მუსულმანები და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ“ [31].

ი. ცისკარიშვილი გაზ. „Кавказ“-ში გამოქვეყნებული წერილის— „Записки о Тушетии“ (№№ 7-8-10-13) ბოლო ნაწილში ეხება ბახტრიონის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის თაობაზე არსებულ ერთ ლექსს — „ბახტრიონს სხედან თათრები“ (მოყავს მისი ქართული და რუსული ტექსტი) და თუშურ გადმოცემას თუში მეტი საღირიშვილის მიერ ბახტრიონის გალავანზე გადასვლის ამბავს. იგი არსად ამბობს, რომ აჯანყებაში თუშების ოთხივე თემი მონაწილეობდა, რომ მათ ბახტრიონიდან გაქცეული თათრები ტახტის ბოგირზე გადასვლისას გაანადგურეს, ხოლო შემდეგში ყარაჯალაში მისვლამდე გაჟლიტეს ალავერდში მდგომი მუსულმანები. რაც შეეხება სოფ. ყარაჯალას, სადაც ალავერდში ხოცვა-ულეტას გადარჩენილი თათრები მისულან, მაშინ არ არსებობდა და მისი ისტორია XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება. აღნიშნულის თაობაზე გიულდენშტედტი წერს: „თელავიდან 1/2 საათის სავალზე ჩრდილოეთით... ალაზნისკენ (არის) სოფლები მუღანლო, ყარაჯალა, ყაფანახჩი და ყიზილჰაჯილ, ყველაში ერთად ცხოვრობს 250 თურქმანული თათრების ოჯახი, რომლებიც ერეკლე მეფემ 20 წლის წინათ გადმოასახლა აქ როგორც კოლონისტები მუღანის ველიდან“ [32].

ი. ცისკარიშვილს არც ის უწერია, რომ მეტი საღირიშვილი „...25—27 წლის ახალგაზრდა“ იყო[33]. მასთან საღირიშვილის წლოვანებაზე არაფერია ნათქვამი [34].

---

[31] ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა... გვ. 156.

[32] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 39. (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა).

[33] ა. შავხელიშვილი, დასახ. შრომა... გვ. 157.

[34] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 13, 1849.

მკვლევრის შემდგომი მსჯელობა ეხება აჯანყების მონაწილე თუშში სახალხო გმირის ვინმე საღირიშვილის ვინაობის გარკვევის საკითხს, რომელსაც სპეციალურად ვიხილავთ ქვემოთ.

§ 2. 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ვინაობის გარკვევისათვის

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1659/1660 წწ. კახეთის აჯანყებას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია, რადგან მასთან დიდად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ხსნა ფიზიკური და ეროვნული გადაშენების აშკარა საფრთხისაგან. ამიტომ არის, რომ ინტერესი ამ ისტორიული თარიღისადმი თავიდანვე დიდი იყო და ამჟამადაც ეს ტრადიცია გრძელდება.

ბახტრიონის ბრძოლის შესახებ დღემდე დაწერილ საისტორიო[35]

---

[35] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1959); ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა („საისტორიო მოამბე", ტ. II, 1925); ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954); დ. გვრიტიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965); შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი, ბახტრიონის გმირული ეპოპეა, გაზ. „კომუნისტი", № 82, 1959; მ. ბავთარაია, 1659 წლის კახეთის აჯანყება, ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის", № 8, 1959; თამარ ტივაძე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50—60-იანი წწ.), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; მისივე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977; ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის შუა წლები), ჟურნ. „მნათობი", № 2, 1956; ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1944—1950 წლების გამოცემები; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958; ვ. ელანიძე, 1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშეთის მონაწილეობის საკითხისათვის (თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1966); მისივე, თუშების მონაწილეობა 1659 წლის კახეთის აჯანყებაში (თუშეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი, 1968 წ.); მისივე, ბახტრიონის აჯანყებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უზუსტობათა გარკვევისათვის, გაზ. „განახლებული თუშეთი", №№ 21, 22, 1978; საქართველოს ისტორიის ნარ-

და სასულიერო[36] მწერლობის, მხატვრული ლიტერატურისა[37] თუ ზეპირსიტყვიერების გამოჩენილ მკვლევართა მდიდარ მემკვიდრეობაში[38] მრავალი საკითხია გარკვეული. თანდათანობით შესწავლილ იქნა და უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგა ბახტრიონის გმირული ბრძოლის საოცარი ისტორია. თუმცა ზოგი რამ სადავოა და დაზუსტებას მოითხოვს, რაც ბუნებრივიცაა, რადგან საქმე გვაქვს მრავალმხრივ ანგარიშგასაწევ და მდიდარ მოვლენათა შემცველ ეპოპეასთან.

ბახტრიონის აჯანყების შესახებ არსებულ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაცხოველებული პოლემიკა მიმდინარეობს ამ აჯანყების მონაწილე ერთი სახალხო გმირის — საღირიშვილის ირგვლივ[39].

ბახტრიონის ციკლის ლექსებსა და ერთ თუშურ გადმოცემაში აჯანყების სახელოვანი გმირების — ზეზვა გაფრინდაულისა და გოგოლაურის გვერდით მოხსენიებულია ვინმე საღირიშვილიც. ერთი ლექსის მიხედვით, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია, რამდენიმე

კვლევები, ტ. IV, 1973; ნ. ნაკაშიძე, საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, 1970; დ. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები (XVII ს-ის II ნახევარი), საკანდ. დისერტაცია, 1969 და სხვა.

[36] ბესარიონ ორბელიშვილი, შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა, იხ. საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, საბინინის გამოცემა; ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა. თბ., 1953.

[37] ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“.

[38] ნ. ურბნელის ზეზვა და ბახტრიონის ციხე, გაზ. „ივერია“, № 228, 1881; ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება, გაზ. „ივერია“, № 220, 1888; გ. ლეონიძე, სახალხო გმირი — ზეზვა გაფრინდაული, გაზ. „კომუნისტი“, № 225, 1941; მისივე, გამოკვლევები და წერილები, 1959; ქ. სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1959; ს. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; კ. ჭრელაშვილი, სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული, ჟურნ. „პირველი სხივი“, № 5, 1954 და სხვ.

[39] დ. გოგოკური, „ბახტრიონის ერთი გმირის ვინაობა“, „მნათობი“, № 2, 1970; ა. შავხელიშვილი, ლ. ჭრელაშვილი, დ. გოგოკურის სტატიის შესახებ, „მნათობი“, № 6, 1971; დ. გოგოკური, მცირე განმარტება, „მნათობი“, № 4, 1972; ლ. ჭრელაშვილი, ა. შავხელიშვილი, თუშური ფოლკლორის სიტ-ხზე, „მნათობი“, № 1, 1977; დ. გოგოკური, ბოლო განმარტება, „ცისკარი“, № 8, 1978.

საღირიშვილს მიუღია აჯანყებაში მონაწილეობა. ხალხური მელექსე ამბობს:

„მეტნი ხართ საღირიშვილნო,
გიპვრეტენთ ტალავარზედა,
ბახტრიონს სულთქმის ციხესა
გადახვალთ გალავანზედა.
ჯმლითა სცემთ ხანის კარავსა,
ზედ მიხვალთ ფალავანზედა“ [40].

ი. ცისკარიშვილისა და ივ. ბუქურაულის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი თუშური ხალხური ლექსის — „ბახტრიონის აღება თუშთაგან“ — მიხედვით კი საღირისშვილი (საღირიშვილი) ერთია და სხვა მისი მოგვარე იქ არ ჩანს. ლექსში ვკითხულობთ:

„მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადავფრინდები,
ბახტრიონს გალავანზედა.
შვიდი არ მოვკლა ხმალ და ხმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა“...[41]

ი. ცისკარიშვილს ხსენებულ ლექსთან ერთად სქოლიოში მოტანილი აქვს თუშური ხალხური გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც აღინიშნება, რომ თუშმა მეტი საღირიშვილმა ბახტრიონის სიახლოვეს, ციხე-სიმაგრეზე იერიშის მიტანამდე, ხის პალოები გამოთალა, ჩოხის კალთაში გამოიხვია და რაკი ბახტრიონის ციხე-სიმაგრის კარები საგულდაგულოდ დაკეტილი დახვდათ, მამაცმა მეომარმა ხის პალოები გაუკეთა გალავნის კედელს და პირველი შევარდა სიმაგრეში [42].

ი. ცისკარიშვილის მიერ გამოქვეყნებული ხსენებული გადმოცემის შემდგომ, სრულიად სხვადასხვა დროსა და ადგილას იგივე გადმოცემა ჩაუწერიათ ალ. ხახანაშვილსა და ივ. ბუქურაულს: პირველს — ყიზლარში, თუში მეცხვარეებისაგან, ხოლო მეორეს — თუშეთში. ორივესთან პალოების დათლა და მათი საშუალებით ბახტრიონის ციხა-გალავანზე გადასვლა მიეწერება ზეზვა გაფრინდაულს და არა მე-

---

[40] აკაკი შანიძე, ქართული პოეზია (ხევსურული), 1931, გვ. 326.

[41] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 13, 1849; ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ნაწ. I, 1916, გვ. 61.

[42] И. Цискаров, დასახ. შრომა.

ტი საღირიშვილს. საღირიშვილი ამ გადმოცემებში არსად მოიხსენიება[43].

არა მარტო გადმოცემებში, არამედ ბახტრიონის ციკლის ლექსებშიც აღინიშნება, რომ ბახტრიონის ციხის გალავანზე პირველი ზეზვა გაფრინდაული გადადის და ამ საქმეში იგი პირველობას არავის უთმობს. თუშურ ვარიანტში ნათქვამია:

„მოვიდოდ თუში ზეზვაი,
ჯოგი მოხყვება მგლისაო,
„ან თქვენ გადადით გალავანს,
ან გადამიშვით მიაო,
თუ შვიდ ვერ მოვკლა ჯმალ-და ჯმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა“,
გადავა, გადაფრინდება,
ბახტრიონს გალავანზედა“[44].

ფშავური ხალხური პოეზიის მიხედვით კი, ბახტრიონის ციხე-გალავანზე გადასასვლელად ემზადება ფშაველი გოგოლაური და ეჰვიც არ ეპარება, რომ იგი სხვებზე ნაკლებად არ შეასრულებს ამ რთულ საქმეს:

„ბიჭი ვარ გოგოლაური,
ნუ მშინჯაეთ ტალავარზედა,
წინწინ მე გადავფრინდები,
ბახტრიონს გალავანზედა,
თოფსა ეჰკრავ ჯიმშელ ბატონსა,
ზედ მივალ ფალავანზედა“[45].

იმავე შინაარსისაა სხვა ვარიანტებიც:

„ბიჭი ვარ გოგოლაური,
რას მიცქერ ტალავარშია?
მოძალეს ძალას მივაყრი,
მას ჩავუდგები კვალშია.
ფეხს დავჰკრავ, გადავფრინდები
ბახტრიონ გალავანშია.

---

[43] ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება, „ივერია“, 1880, № 220; ივ. ბუჟურაული, თუშური ლექსები, ხალხური სიტყვიერება, წ. I, 1916, გვ. 61—63.

[44] აკაკი შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), I, 1931, გვ. 324.

[45] სოლ. ყუბანეიშვილი, ბატრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 26.

მიეტან ჩემსა ალამსა,
დავეურჯობ ციხის კარსია“[46].

ბახტრიონის აჯანყების ირგვლივ არსებულ გადმოცემებსა და ლექსებში, როგორც დავინახეთ, „ერთმანეთშია შერწყმული ზეზვა გაფრინდაულის, გოგოლაურისა და საღირიშვილის საგმირო საქმეები. ხშირად ერთი და იგივე საქმიანობა სამივე პირს მიეწერება ერთი მეორისაგან დამოუკიდებლივ“ [47].

მიუხედავად იმისა, რომ ხალხური პროზა და პოეზია გაფრინდაულის, გოგოლაურის და საღირიშვილის გვერდით არსად ასახელებს სხვა რომელიმე გმირს, რომელიც მათთან ერთად ბახტრიონის გალავანზე გადასასვლელად ემზადებოდეს და ამ საქმეში მათ ეცილებოდეს, დ. გოგოჭური წერილში „ბახტრიონის“ ერთი გმირის ვინაობა“[48] სრულიად ახლებურად მიუდგა ხსენებულ ვითარებას და აღნიშნა, რომ ბახტრიონის გალავანზე არ გადასულა არც ზეზვა გაფრინდაული, არც გოგოლაური „და იგი ერთი პირის ხევსურ ხოშურაულ ნადირა ხაღირისშვილის დამსახურებად მიაჩნია“ [49].

დ. გოგოჭურს ხსენებულ წერილში, როგორც თვითონვე დასძენს, მხოლოდ „...ერთი გმირის — ხოშურაულის ვინაობის საკითხის გარკვევა“ აქვს გადაწყვეტილი. და მართლაც, იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტი შუქი მოჰფინოს ამ გმირის ვინაობას და სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ბახტრიონის აჯანყების მონაწილე სახალხო გმირთა შორის უპირველესი იყო ხოშურაული, რომელსაც ნადირა ერქვა და ვინმე საღირის შვილი იყო.

მკვლევარი ხოშურაულის დახასიათებას იწყებს ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ მიხედვით, მოაქვს იქიდან გმირობა-ვაჟკაცობის აღმნიშვნელი ეპითეტები და შენიშნავს, რომ: „როგორც ვაჟა წერს, ხოშურაული ბახტრიონის ომის მთავარი გმირთაგანია“ [50].

პოემა „ბახტრიონის“ მიხედვით, მართლაც, ხოშარეული (ასე ხმა-

---

[46] აკ. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 327.

[47] სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 25.

[48] დ. გოგოჭური, „ბახტრიონის“ ერთი გმირის ვინაობა, „მნათობი“, № 2, 1970, გვ. 111—115.

[49] ა. შავხელიშვილი, ლ. ჭრელაშვილი, დ. გოგოჭურის სტატიის შესახებ, „მნათობი“, № 6, 1971, გვ. 189.

[50] დ. გოგოჭური, დასახ. შრომა, გვ. 111.

რობს ვაჟა) „გულ-რკინა“ და „არწივი მხარ-კვერიანი“ ვაჟკაცია და სხვა სახალხო გმირთა ტოლფასოვანი რაინდი. მაგრამ ეს ხომ პოეტის ფანტაზიის ნაყოფია და არა სინამდვილის ანარეკლი.

ვაჟა-ფშაველა 1911 წელს დაწერილ წერილში — „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, ეხებოდა რა „ბახტრიონის“ ისტორიულ თუ ხალხურ წყაროებს, სხვა საკითხებთან ერთად იმასაც აღნიშნავდა, რომ „გმირები პოემისა ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღო რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა. თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს, — ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული“ [51].

მკვლევარი ვაჟა-ფშაველას ხსენებულ განმარტებას „ბახტრიონის“ გმირების და მით უმეტეს ხოშარეულის შესახებ არსად ეხება და მისი გვერდის ავლით ცდილობს წარმოგვიდგინოს ხოშარეული, როგორც ბახტრიონის აჯანყების მთავარი გმირი.

სახალხო გმირ ხოშარეულის ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობის თაობაზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა შეეხოთ ვაჟა-ფშაველას ხსენებულ განმარტებას. მკვლევარმა იგი ან უნდა უარყოს, ანდა გაიზიაროს. ვაჟას მიუწვდებოდა ხელი მთის პოეზიაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ფოლკლორისტ-შემკრებთა შორის საყოველთაოდ ცნობილი თედო რაზიკაშვილი, რომელიც ვაჟას ძმა იყო და მთელი „სამი ათეული წლის განმავლობაში... შემკრებლობით მუშაობას აწარმოებდა ქართლის, კახეთის, თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის სხვადასხვა უბანში და ხალხური პოეტური შემოქმედების ძვირფასი ნიმუშები მოიპოვა“ [52], არ იცნობს არც ერთ ძეგლს, სადაც საუბარი იყოს ხოშარეულის (ხოშურაულის) ბახტრიონის აჯანყებაში მონაწილეობის თაობაზე.

ვაჟა-ფშაველას განმარტება იმის შესახებ, რომ ხოშარეული ბახტრიონის აჯანყების მონაწილე არაა და გმირად იხსენიება „ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს“ ლუხუმთან ერთად,

---

[51] ვაჟა-ფშ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 283—284 წ.

[52] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, წინასიტყვაობა, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, პირველი სერია, II, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1951, გვ. 5.

ყურადსაღებ და აუცილებლად ანგარიშგასაწევ ფაქტად მიგვაჩნია. ვაჟას მსჯელობას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის მდიდარი მემკვიდრეობაც, რომელშიც ბახტრიონის გმირ ნადირა ხოშარეულის შესახებ არაფერია ნათქვამი.

პატივცემული მკვლევარი გვერდს უვლის ვაჟა-ფშაველას საგულისხმო შენიშვნებს ხოშარეულის შესახებ, მას არსად ახსენებს, ხოლო იმავე ვაჟას არასწორად იმოწმებს, როცა წერს: „მაშასადამე, ვაჟა-ფშაველაც და ზეპირსიტყვიერებაც ხოშარეულს (ხოშურაულს) ხევსურთა ლაშქრის წინამძღოლად, ბახტრიონის გამოჩენილ გმირად და ბრძოლის დროს კარავზე ხმალდამსხვრეულ ძეომრად გვისახავენ“ [53].

ლექსი—„ხევსურები ბახტრიონის ომში“, საღაც საუბარია ნადირა ხოშურაულის გმირობა-ვაჟკაცობაზე, 1913 წელს ჩაუწერია ა. შანიძეს[54]. „ამ მომენტიდან ჩნდება ხოშურაული ბახტრიონის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში“[55]. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ადვილი შესაძლებელია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ დაწერისა და გამოქვეყნების შემდგომღა შექმნილიყო ხალხური ვარიანტები ბახტრიონის ბრძოლაში ხოშურაულის მონაწილეობის თაობაზე. თუმცა, ვაჟა-ფშაველას ეს განცხადება რომ არც იყოს, მკვლევრის მსჯელობა ხოშურაულ-საღირიშვილის იგივეობის შესახებ ჩვენ მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია.

მკვლევარი წერს: „როგორც ძველი, ისე ახალი ზეპირსიტყვიერი მასალების უდიდესი ნაწილი ხანის კარავის ხმლით აჩეხვას ნადირა ხოშურაულს მიაწერს, მაგრამ, ამას გარდა, გვხვდება ისეთი სიმღერები, სადაც იგივე მოქმედება ვინმე საღირიშვილებს მიეწერება“ [56].

ავტორს მოტანილი აქვს თ. რაზიკაშვილისა და ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი ორივე ვარიანტი საღირიშვილებისა და საღირიშვილის შესახებ, რაც ჩვენ ზემოთ უკვე გავაცანით მკითხველს, და შენიშნავს: „საღირიშვილი (თუშ. ვ.) თუ საღირიშვილნი (ფშავ. ვ.) „ხმლით სცემენ ხანის კარავს“ და ამიტომ მათ უდავოდ გენეტიკურ-

---

[53] დ. გ ო გ ო ბ ე რ ი, დასახ. შრომა, გვ. 112.
[54] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 9.
[55] დ. გ ო გ ო ბ ე რ ი, დასახ. შრომა, გვ. 112.
[56] ი ბ ე ე, გვ. 113.

შინაარსობრივი კავშირი აქვთ ნადირა ხოშურაულის ციკლის ლექსებთან. აქ ზუსტად ერთი და იგივე ეპიზოდია თითქმის ერთი და იმავე სახეებით გადმოცემული, რის გამოც საეჭვოა ორი პიროვნება ვიგულისხმოთ“ [57].

დ. გოგოჭურის მთელი კვლევა-ძიება ხოშურაულ-საღირიშვილის იგივეობის თაობაზე მხოლოდ ხევსურულ მასალებზეა დაყრდნობილი და არ არის გათვალისწინებული თუშური და ფშავური მონაცემები, რომელთაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ დასმული საკითხის გარკვევისათვის.

ხოშურაულ-საღირიშვილის ერთ პიროვნებად აღიარებისათვის ავტორს პირველ რიგში დასჭირდა იმის მტკიცება, რომ „მეტი“ არაა სახელი და „მოგვიანო დროის მთქმელებს ზედსართავი სახელი მეტი საღირიშვილის საკუთარ სახელად მიუჩნევიათ, საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას ხევსურულ კილოზე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი აქვს. სიტყვა მეტი (გამეტებული, მემეტე) ხარისხის მნიშვნელი ცნებაა და მამაკაცის გმირობისა და ვაჟკაცობის ხარისხს გამოხატავს“ [58].

მკვლევარს ამ საკითხში ვეთანხმებით, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ მარტო ხევსურებისათვის კი არ ნიშნავს სიტყვა „მეტი“ — უკეთესს, უმჯობესს, სხვაზე კარგს, არამედ სხვებისთვისაც და მათ შორის პირველ რიგში თუშებისა და ფშავლებისთვისაც.

სიტყვა „მეტის“ გარკვევის შემდგომ ავტორი პირდაპირ დასძენს, რომ საღირიშვილი სხვა პიროვნება კი არაა, არამედ ის იგივე ხოშურაულია, რომლის მამასაც საღირა რქმევია და ამიტომ მას საღირიშვილობითაც მოიხსენიებენო.

მკვლევარი ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის ეყრდნობა ხევსურეთის ბაცალიგოს თემში, სოფ. მოსახში მცხოვრებ ლაგაზა ხოშურაულისა და სხვადასხვა თემისა თუ სოფლის რამდენიმე სხვა ხევსურისაგან 1951 წლის ზაფხულში მონათხრობს, რომელიც, ლაგაზა ხოშურაულის თქმით, ასეთ შინაარსს ატარებს: „ნადირაი და გამიხარდი

---

[57] დ. გ ო გ ო ჭ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 113.
[58] ი ქ ვ ე, გვ. 113—114.

ორნ ძმანი ყოფილან, საღირის შვილნი, ორნივ კან ვაქკაცნ ყოფილან. საველად ნადირა ჯობნილას... მემრი ნადირა ქვე დაკარგულას“ [59].

დ. გოგოჭური ხსენებულ საკითხზე მსჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „ამრიგად, — შენიშნავს იგი, — როგორც ძველი ხალხური ლექს-სიმღერები, აგრეთვე მთქმელთა შორის შემორჩენილი საისტორიო გადმოცემები მნიშვნელოვნად ავსებს და ამდიდრებს ისტორიასა და მწერლობაში შემონახულ ცნობებს ხოშურაულის ვინაობის შესახებ. ყველა არსებული მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის შემდეგ, ვამბობთ, რომ კახეთის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი ცეთაური ხოშურაული... ბაცალიგოს თემის ს. ძისახის ბცხოვრები ნადირა საღირის ძე ხოშურაულია. იგი ზოგ ნაწარმოებში სახელით იხსენიება, ზოგან — გვარით, ხოლო ბევრ ნაწარმოებში მამის სახელით — საღირიშვილად გვევლინება“ [60].

ნადირა ხოშურაული რომ ნამდვილად ბახტრიონის აჯანყების მონაწილე და თანაც ერთ-ერთი უმთავრესი გმირი იყო, მკვლევარს დამაჯერებლად იმ მხრივაც მიაჩნია, რომ იგი „თემ-სოფელს მოუძულებია“, რასაც თავისი ახსნა და საფუძველი გააჩნია თურმე. ავტორს აღნიშნულის ნათელსაყოფად მოტანილი აქვს ზეპირსიტყვიერების ასეთი ნიმუში:

„საღირიშვილო ნადირავ,
სიცოცხლით კაუნახაო.
თემ-სოფლის მაცალებულო,
ბატონის შაუნახაო“[61].

მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას და დასძენს, რომ: „ამ ხევსურული სიმღერის კონტამინირებული, თითქმის ერთი საუკუნის წინათ ჩაწერილი კახური ვარიანტები გვხვდება პეტრე უმიკაშვილის მასალებშიც“ [62].

პ. უმიკაშვილთან ნადირა ჯაფსუტაშვილია და არა საღირიშვილი. იგი ცოლ-შვილთანაა დაპირისპირებული და არა თემ-სოფელთან. ლექსის შინაარსსაც ბახტრიონის აჯანყებასთან და მის შედეგებთან არავითარი კავშირი არა აქვს:

---

[59] დ. გ ო გ ო ჭ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 114.
[60] ი ქ ვ ე, გვ. 115.
[61] ი ქ ვ ე.
[62] ი ქ ვ ე.

„ჯაფსუტაშვილო ნადირაე, შენ დღეში შავის მნახავო,
ცოლ-შვილის მოძაგებელო, ბატონის შაუნახავო,
რამდენი კვირა დღე მოვა, საწისქვილოთ ემზადები.
დაფქვამ და თავით დაიდგამ. ამხანაგებს ელოდები.
წუხელის სიზმარი ვნახე: „ხიფათს რასმე ჩავარდები“.
შავ ტყეში რომ ჩამოვედით, გადმოცვივდნენ გულხადრები.
გულხადრები არ გვეგონა. ჩვენ — ოსები, მთიულები“ ...და სხვ.[63].

მკვლევარი, ამ ლექსების შინაარსიდან გამომდინარე, დაასკვნის. რომ: „ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, ბახტრიონის ომში საკმაოდ ბევრი ხევსური დაღუპულა. ზოგიერთ ჭირისუფალს ამ საქმეში ნადირა ‘ხოშურაულისათვის დაუდვია ბრალი, რასაც, ბუნებრივია, თემ-სოფლისაგან მისი მოძულებაც უნდა მოჰყოლოდა. ეს მით უფრო მოსალოდნელია, თუ ხევსურული „თავ-მეთავეობის“ (სისხლის აღების) წესსაც გავითვალისწინებთ: საკმაო იყო ნადირას მიზეზით თუნდაც ერთი მეომარი დაღუპულიყო, რომ ხევსურთა ულმობელი და მკაცრი კანონი მას შესაბამის პასუხს მოსთხოვდა“[64].

აქ მოტანილი ამონაწერი მრავალმხრივ განმარტებას და დაზუსტებას საჭიროებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბახტრიონის აჯანყებაში ნადირა ხოშურაულის ნამდვილად მონაწილეობის დამადასტურებელი ხალხური ლექსები თუ გადმოცემები, რომლებიც ვაჟას „ბახტრიონის“ (1892 წ.) გამოქვეყნებამდე ვისმეს ჩაეწეროს და დაებეჭდოს, არ არსებობს. პირველად იგი აკად. აკ. შანიძემ ჩაიწერა 1913 წელს.

მეტად უცნაურ განცხადებად გვეჩვენება ისიც, რომ, თურმე, ნადირა ხოშურაული თემ-სოფელს (პ. უმიკაშვილთან — ცოლ-შვილს) მოუძულებია, რადგან მისი მიზეზით მრავალი ხევსური დაღუპულა ბახტრიონის ბრძოლაში.

კახეთიდან სპარსი და თურქმანი დამპყრობლების განდევნისათვის წლების მანძილზე ემზადებოდა ქართლ-კახეთი, განსაკუთრებით აქტიურობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი. თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარგზავნილები 1654 წლიდან რამდენჯერმე იყვნენ რუსეთის ხელმწიფის კარზე, რომლისგანაც მფარველობაში აყვანასა და დახმარებას თხოულობდნენ. ამ საქმეში ჩაბმული იყო მთელი მთის მოსახლეობა. ეს

---

[63] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, 1937, გვ. 192.
[64] დ. გ ო გ ო ბ ე ლ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 115.

ყველას მოწადინება იყო და არა ერთეული პიროვნებების ნება-სურვილი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან უბატონო მთა და მთიელები თავის თავს თვითონ განაგებდნენ, მხოლოდ საკუთარ თავს ემორჩილებოდნენ. იარაღის მატარებელი მთიელის სახლში დარჩენა ომის დროს არ შეიძლებოდა: გაიგებდა თუ არა, რომ სამშობლოს უჭირდა, ის მაშინვე თანამოძმეთა გვერდით გაჩნდებოდა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ. ასე იყო ბახტრიონის აჯანყებაში, ასპინძაში, კრწანისში, ყველგან და ყოველთვის. მაგრამ არავინ არავის დამდურებია, არც მოუძულებია, რადგან სამშობლოსა და მეფისათვის სამსახური თუშ-ფშავ-ხევსურთათვის ყველაზე დიდი და საპატიო საქმე იყო. აი, რას ამბობს მთიელთა ამ თვისების შესახებ დავით ბატონიშვილი: „ქეშიერად მეფისა, ანუ ღვარდიად, არიან ადრიდგანვე დაწესებულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი. ესენი არიან მთის კაცნი და ერთგულნი მეფისანი... ესენი არიან მამაცნი, ერთგულნი, გარნა ბრიყვნი და უზდელნი. და არა უტევებენ ესენი სხვათა ღვარდიად მეფისა, არამედ მსწრაფლ მიილტვიან ამბოხისადმი, უკეთუ სხვათაგან ვინმე დააწესა მეფემან ღვარდიად“ [65].

მკვლევარს უნდა გავახსენოთ, რომ 1849 წელს გაზ. „Кавказ“-ის რამდენიმე ნომერში ი. ცისკაროვის (ცისკარიშვილის) მიერ გამოქვეყნებულ წერილში — „Записки о Тушетии“ — დაბეჭდილია ლექსი — „ბახტრიონის აღება თუშთაგან“ და თუშური გადმოცემა. როგორც ლექსში, ისე გადმოცემაში მეტი საღირიშვილი თუშია და არა ხევსური [66].

დ. გოგოჭური ან არ იცნობს აღნიშნულს, ანდა შეგნებულად თავს არიდებს, რადგან დაწერილსა და გამოქვეყნებულს, თანაც ბახტრიონის აჯანყებიდან დროის თვალსაზრისით უფრო ახლოს მდგომს უფრო მეტი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის მიერ ხევსურეთში ჩაწერილ მეტად გვიანდელ მონათხრობს.

საღირიშვილი რომ თუშია და არა სხვა ტომის წარმომადგენელი, ეს წერია და გამოქვეყნებულიცაა ზეპირი და თანაც ცალმხრივი გა-

---

[65] სამართალი დავით ბატონიშვილისა, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო დავით ბურჭულაძემ, 1964, გვ. 224.

[66] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 13, 1849.

[illegible] ვერ გაეტოლდება. მკვლევარი მას უეჭველად უნდა შეეხოს.

1977 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ ა. შავხელიშვილმა მსჯელობა კახეთის ჯანყების სახელზე ჭვირებზე ინიი დაამთავრა, რომ ზეზეა ბოფრინდაული წოვა-თუშად გამოიყვანა [67].

ა. შავხელიშვილის დასახელებული მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ დ. გოგოჭურმა ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა წერილი, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკვლევარი აშკარად ცდება, როცა დაჟინებით აღნიშნავს, რომ მეტი სახელის აღმნიშვნელიაო. იგი წერს: „ის, რაც ადრე ჟურნალის („მნათობის“, ვ. ე.) რედაქციამ სპეციალისტებთან ერთად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია და ამიტომ მასზე პოლემიკის გაგრძელება მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ავტორს საკუთარ წიგნში შეუტანია, თანაც საოცრად უკადრის ხერხს მიმართავს: ესხმის რა თავს ჩვენს პირველ პოზიტიურ წერილში გამოთქმულ დასკვნებს, კრინტსაც კი არ ძრავს იმაზე, რომ მან ეს თავისი მცდარი მოსაზრება ერთხელ უკვე გამოაქვეყნა ჟურნალში და პასუხიც მიიღო“ [68].

ლ. ჭრელაშვილი და ა. შავხელიშვილი ამტკიცებენ, რომ სიტყვა „მეტი“ სახელის აღმნიშვნელია წოვა-თუშებში და იმოწმებენ ივანე ბუქურაულს, მაგრამ, როგორც დ. გოგოჭური შენიშნავს: „ყოველ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს ი. ბუქურაულის მიერ ამ ლექსებზე დართული ლექსიკონი, სადაც მეტის შესახებ გარკვევით წერია: „მეტი“ — უფროსი, უმჯობესი“ („ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 134, განყოფ. V, 1813 წ.) [69].

ა. შავხელიშვილი თუშეთის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში აღნიშნავს: „ბოლო დროს დადგენილია, რომ მეტი საღირიშვილი არის ახლანდელი წოვა-თუში აბაშიძეების წინაპარი“ [70].

ასეთი შედეგის მიღებისათვის ავტორი ეყრდნობა 1831 წლის

---

[67] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 161—162.

[68] დ. გ ო გ ო ჭ უ რ ი, ბოლო განმარტება „ცისკარი“, № 8, 1978, გვ. 113.

[69] ი ქ ვ ე, გვ. 114.

[70] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 157, 1977.

თუშეთის კამერალური აღწერის მონაცემებს, რომლითაც აღინიშნება, რომ წოვათის თემის სოფ. ინდურთაში ნამდვილად ცხოვრობენ „მეტისშვილები“. თუმცა მის მიერ მითითებული საქ. ცსს არქივის ფონდი — 255 (ასეთი ფონდი არ არსებობს, უნდა იყოს ფონდი—254) და საქმე — 234, ახლოსაც არ ეკარება თუშეთის აღნიშნულ აღწერას, იქ სულ სხვა რამეზეა საუბარი[71], ხოლო იმის დასადასტურებლად, რომ „მეტი“ სახელია და თანაც წოვა-თუშებისათვის დამახასიათებელი, იგი ემყარება შემდეგს: „იმის დასამტკიცებლად, რომ თუშეთში ნამდვილად ცხოვრობდა მეტი საღირიშვილი, შეგვიძლია მოვიტანოთ კიდევ ერთი უტყუარი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დოც. გ. აბაშიძის მიერ. მის მიერ 1931 წელს შედგენილ აბაშიძეთა გენეალოგიაში დადგენილია შემდეგი სურათი: „არინდა, საგირი, მეტი, აბაშო, დაქო, საგირი, გრიგოლი, ლეო, კოსტალე, ილო“[72].

1831 წლისა და 1843 წლის თუშეთის კამერალური აღწერებით[73], სახელი „მეტი“ არ გვხვდება, არც წოვების თემის სოფ. ინდურთაში, სადაც აღნიშნული აღწერებით არის გვარი — „მეტისშვილი“, არც წოვების სხვა სოფლებში და არც თუშეთის სხვა თემებში. მომდევნო წლების კამერალური აღწერებითა და რაიმე სხვა წერილობითი მონაცემებითაც სახელი „მეტი“ თუშებში არავის ჰქვია. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფრო გასათვალისწინებელია, ვიდრე გ. აბაშიძის მიერ გადმოცემით შედგენილ წინაპართა სახელების გენეალოგია.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დ. ზუბარევის მიერ თუში მამაკაცების სახელების ჩამოთვლაშიც არსად გვხვდება სახელი „მეტი“[74].

სიტყვა „მეტი“, როგორც სახელი, პირველად ი. ციხკარიშვილმა იხმარა, როცა მან 1849 წელს გაზ. „კავკასში“ (№ 13) ბახტრიონის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის აღმნიშვნელი ხალხური ლექსი „ბახტრიონს სხედან თათრები“ და თუშური გადმოცემა გამოაქვეყნა. მან აღნიშნული ლექსიდან—„მეტი ვარ საღირიშვილი“ რუსულად

---

[71] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან გვ. 157, 160. 161.

[72] ი ქ ვ ე, გვ. 157—158.

[73] საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. №№ 1278, 2042.

[74] Д. Г. З у б а р е в, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белеканскую область, «Русский вестник», т. II, кн. № 6, 1841, стр. 517.

თარგმნის დროს სიტყვა „მეტი“ გამოყო, როგორც პიროვნების სახელი და ასეთი ფორმა მოგვცა: „მე, მეტი საღირიშვილი“. რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ხალხური ლექსის ხსენებული სტრიქონი — „მეტი ვარ საღირიშვილი“ ი. ცისკარიშვილმა დაამახინჯა, სრულიად საწინააღმდეგო ფორმა და შინაარსი მისცა. „მეტი ვარ საღირიშვილი“ — იმასვე ნიშნავს, რასაც „ბიჭი ვარ გოგოლაური“. სიტყვები: „მეტი“ და „ბიჭი“ მეტობისა და სხვასთან შედარებით ძლიერისა და უკეთესობის აღმნიშვნელია და არა ვისიმე სახელი. სიტყვა — „მეტი“ ასე ესმის თუშ-ფშავ-ხევსურეთის უხუცესსა და ახალგაზრდას. წოვებში კი თუ ნამდვილად იყო სახელი „მეტი“, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ა. შავხელიშვილის გამოკვლევით, გვარი „მეტისშვილი“ მიღებულია სახელ „მეტი“-დან. და ეს მეტი კი ყოფილა სახელოვანი პიროვნება, ბახტრიონის ციხეში რომ პირველი შევიდა, თანაც ის წოვთა თემს ეკუთვნოდა. შემდგომში მეტისშვილებს გვარი გამოუცვლიათ და აბაშიძეებად დაწერილან.

მეტად დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ შთამომავლობას დაეკიწყებინა სახელოვანი წინაპრის სახელი, ღვაწლი და მისგან მიღებული გვარი — „მეტისშვილი“. ზოგად ქართულ ტრადიციას რომ თავი დავანებოთ, თუშეთის დანარჩენ სამ თემში: ჩაღმაში, გომეწარსა და პირიქითში თაობიდან თაობაზე გადადის თუშთა სახელოვანი გმირების: ლუხუმის, ზეზვას, შეთეს, ივანეს, იაკობის, ბაკურის და სხვათა სახელები, ასევე გვარები: გაფრინდაული, ლუხუმაიძე, შველაიძე, გულუხაიძე, ელიზბარიძე, ლეკაიძე. ბაკურიძე... მათი შთამომავლობაც, რა თქმა უნდა, სიამაყით ატარებს ღვაწლმოსილ მამა-პაპათა გვარებს. წოვა-თუშებმა კი სრულიად დაივიწყეს სახელი „მეტი“ და გვარი „მეტისშვილი“.

ა. შავხელიშვილი ამტკიცებს, რომ საღირიშვილი „თუშეთის სინამდვილეში ჭეშმარიტად არსებული სახალხო გმირი“ იყო და თანაც წოვა-თუში. ამის შემდეგ მკვლევარი ზეზვა გაფრინდაულის ვინაობითაც ინტერესდება. აქაც მისთვის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ზეზვა წოვების თემს მიაკუთვნოს. მოვუსმინოთ შრომის ავტორს: „ზეზვა გაფრინდაულის შესახებ მთხრობელი თ. ბობღიაშვილი (78 წლის) აღნიშნავს შემდეგს: „ზეზვა გაფრინდაული დაბადებით წოვების თემის სოფ. ინდურთიდან იყო, ბავშვობაშივე ის უმამოდ დარჩა, დედამისი დიდხანს არ თხოვდებოდა, შემდეგ გათხოვდა ვიღაც გაფ-

რინდაულზე, გომეწრის სოფ. ვაკისძირში მცხოვრებ მარტოხელა კაცზე. ვაჟიშვილიც თან წაიყვანა. როცა ზეზვას 15 წელი შეუსრულდა, მან გაყიდა მამისეული სახლი სოფ. ინდურთაში და სოფ. ვაკისძირში დასახლდა. წარმოშობით ის წოვა-თუში იყო. ყოველივე ამის შესახებ კარგად იცოდნენ და ჰყვებოდნენ ჩვენი მოხუცებულები" [75].

თუ გადმოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, აი, რას ყვება სოფ. ხახაბოს (ხევსურეთი) მკვიდრი, 84 წლის მინდიკაური ლეკო ტურას ძე: „ეგ წოვან ღილღოთ მასხმულნი ზეზვაისაგან. ამის შემდეგ დამრავლდეს, „ზეზვაის ტყვის შვილებ ვართავ" — ეახლადაც იმის საუბარ იციან" [76].

რუსული საარქივო მასალითაც დასტურდება, რომ ზეზვას ბავშვობისა და ჭარმაგობის პერიოდში წოვათა დაუსახლებელია, ე. ი. წოვთა თემი თუშეთში არ სახლობს და, რა თქმა უნდა, არც სოფელი ინდურთა და არც ის ქვრივი ქალი იქნებოდა, რომელიც ა. შავხელიშვილს ზეზვას დედა ჰგონია.

1657 წლის იანვარში მოსკოვის სამეფო კარზე გამოცხადდა თუშთა ელჩობა სამი კაცის შემადგენლობით. თუშეთის ელჩებს მრავალი შეკითხვა ეძლევათ მათი ქვეყნის, ხალხის, სარწმუნოების, საბრძოლო შესაძლებლობისა და სხვათა შესახებ. თუში ელჩების პასუხიდან საინტერესოა, ამ შემთხვევაში, შემდეგი სიტყვები: „Живем мы в крепких местах, в горах, в трех станах»[77].

თუში ელჩების პასუხი ა. შავხელიშვილს ვრცლად მოაქვს თავის შრომაში, მაგრამ სახეცვლილად, გამოტოვებულია ის სიტყვები, რომლებსაც თუშეთის განსახლების თაობაზე არსებითი მნიშვნელობა აქვს[78].

თუშეთის მოსახლეობა, თუშეთში წოვების დასახლებამდე და წოვათიდან მათი წამოსვლის შემდგომაც, გაყოფილი იყო სამ ბანაკად, სამ თემად: ჩაღმა, გომეწარი და პირიქითი. ეს სამი თემი შეადგენდა

---

[75] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 161—162.

[76] ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 369.

[77] С. М. Соловьев. История России с древнейших времен, кн. 6, М., 1961, стр. 555—556.

[78] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 118—119.

თუშ ტომს, ხოლო წოვათის დასახლების შემდგომ მას წოვათის თემიც დაემატა.

1657 წლის იანვრისათვის, როგორც საარქივო მასალით დასტურდება, თუშეთი სამი თემისაგან შედგება და წოვები ჯერ კიდევ არ ცხოვრობენ თუშეთში. სწორედ ამიტომ ამბობენ ელჩები: „...в трех станах“.

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე ერთ ქართულ დოკუმენტშიც. 1837 წლის 21 თებერვალს თავის გასაჭირზე, რაც ლეკთა თავდასხმებით იყო გამოწვეული, თუშები წერილით მიმართავენ როზენს. როზენისადმი გაგზავნილი საჩივარი (თუშეთის მოურავ ჩოლოყაშვილზე) ასე იწყება: „სამის თემის — ჩაღმა, პირიქითის და გომეწართ თუშთ საზოგადოების უმდაბლესი მოხსენება“ [79].

ამ დოკუმენტში არ მოიხსენიება თუშეთის ერთი თემი — წოვთა თემი, რადგან წოვა-თუშები ამ დროისათვის თუშეთში აღარ ცხოვრობდნენ. მათ XIX ს-ის პირველ მესამედში დატოვეს თუშეთი და დასახლდნენ ბახტრიონისა და ისტორიული ალვანის მინდვრის განაპირა ზოლებში. საზაფხულოდ კი ისინი ცოლ-შვილით ტბათანა-ალაზნისთავში ადიოდნენ.

1837 წლის 27 თებერვლით დათარიღებული საჩივრის წერილიც, რომელსაც თუშები ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ სევარსამიძეს უგზავნიან, შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჩაღმა თუშების მიერ მოხსენება“ [80].

ბახტრიონის ციკლის ლექსებსა თუ გადმოცემებში ზეზვა ყოველთვის თუშად მოიხსენიება და არავინ ამბობს, რომ ის წოვა ანდა წოვა-თუშია. ისიც საგულისხმოა, რომ არსად სიტყვა „წოვა“ ან „წოვა-თუში“ არ გვხვდება ბახტრიონის აჯანყების ამსახველ ზეპირსიტყვიერებასა თუ საარქივო მასალებში. XVII ს-ის 60—70-იანი წლებიდან კი თუშების გვერდით საარქივო თუ ოფიციალურ ლიტერატურაში წოვებიც იხსენიებიან, მაგრამ მათ საგანგებოდ გამოყოფენ დანარჩენი თუშებისაგან და მიუთითებენ კიდეც ზოგიერთ თავისებურებაზე. ამ მხრივ საინტერესოა არჩილ მეფის შემდეგი სიტყვები, რაც განეკუთვნება XVII ს-ის 80—90-იან წლებს: „შენის რძით გაზრდას მი-

---

[79] Сборник документальных материалов, Тб., 1953, стр. 95.

[80] იქვე, გვ. 98.

ჯობდა, თუმც ძაღლის ძუძუ მეწოვა, გულსა შენ მიე ლახვარი, ვინ თქვას, რამდენგზის მეწოვა! მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ მეტყვის თუში მე წოვა, შენ ნამუსისა ჩიქილა რად თავზე შემოგეწოვა“ [81].

იგივე არჩილ მეფე (როგორც ექ. თაყაიშვილი შენიშნავს), როცა თუშებს უმტკიცებს მდინარეების: მტკვარსა და იორს შუა მდებარე მიწა-წყალს, ალვნის ტერიტორიას, მის შემოგარენს და სხვას, თუშებს ასახელებს წოვებისა და ჩაღმების სახელწოდებით. „...ერთობით თუშებისათვის, წოვას და ჩაღმებისათვის“ [82].

XVII საუკუნის 70—80-იანი წლებიდან თუშეთის მოსახლეობის ასეთი მკვეთრი გამიჯვნა-განსხვავებულობა იმის მანიშნებელია, რომ წოვების გათუშების პროცესი ახლადაა დაწყებული და არ არის დავიწყებული მათი თუშეთში ნაგვიანევად მოსვლა, რის გამოც კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობა თუ სამეფო კარი მათ საგანგებოდ გამოყოფს დანარჩენი თუშებისაგან და ყოველთვის, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად ხმარობს შემდეგ სატომო-ეთნიკურ სახელებს: „წოვა“ და „წოვა-თუში“, „თუში“ და „ჩაღმა-თუში“. მეტი საღირიშვილს და ზეზვა გაფრინდაულს კი ზეპირსიტყვიერება მხოლოდ თუშად იცნობს და მათთან კავშირში არსად ხმარობს „წოვას“ ანდა „წოვა-თუშს“. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ზემომოტანილი საარქივო მასალისა და სხვა მონაცემთა მიხედვით დასტურდება, რომ წოვები (წოვა-თუშები) კახეთის 1659 წლის აჯანყების დროს ჯერ კიდევ თუშეთში არ ცხოვრობდნენ.

თუშ-ფშავ-ხევსურული და კახეთის ბარის ხალხური პოეზიისა თუ გადმოცემების მიხედვით, ერთი და იგივე ამბავი ხშირად მიეწერება ზეზვა გაფრინდაულს, საღირიშვილს, ფუნჩაიშვილს და ანთაიძეს. გაურკვეველი ხდება ზეზვას როლი აჯანყებაში.

მოცემული საკითხის ირგვლივ ჩვენ ჯერ კიდევ 1965 წელს გავაკეთეთ მოხსენება — „1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე თუში

---

[81] არჩილიანი, ტ. I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936, გვ. 205.

[82] ე. თაყაიშვილი, ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1362.

სახალხო გმირების საკითხისათვის“ [83]. მაშინდელი ჩვენი დასკვნები ახალმა კვლევა-ძიებამ კვლავ დაადასტურა.

ფუნჩაიშვილის საბრძოლო სამზადისი, მშობლიური კუთხისათვის აღტყინება და შეუდარებელი ვაჟკაცური შემართება ეპვმიუტანლად წარმოგვიდგენს ლეგენდარულ ზეზვა გაფრინდაულს:

„კახეთში ფუნჩაიშვილი
იკეთებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაპბანს,
ლეტრა ქერს აპნევს ცხენსაო.
სპარსეთში ერთი თათარი
ენას აუბნებს ძნელსაო:
—„ბახტრიონს გაეპრი ვენახსა,
ზედ დავასახლებ ელსაო,
არ ც თუშებს შევეპუები
ღა არც ზეზვაის ცხენსაო“.
ეს რომ გაიგო ზეზვამ,
ცხენს შაუმატებს ქერსაო;
—„ჩქარა გასუქდი, ლურჯაო“, —
გავაზედ უსომს ხელსაო,
—„დავემწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო,
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო,
თავსაც იქ დავდებ ჰაღარსა,
ადგილს არ მიეცემ ჩვენსაო“ [84].

ფუნჩაიშვილისა და გაფრინდაულის იგივეობა შედარებით ადვილად დასადგენია. ზეზვას მამას, როგორც ირკვევა, ფუნჩა რქმევია. ხალხურ მოლექსეს, ეტყობა კარგად სცოდნია ზეზვას ვინაობა, მისი მშობელი მამის სახელიც კი მისთვის ნაცნობი ყოფილა. ამიტომ ზეზვას გმირობა-ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ მოლექსეს ზეზვა გვარისა და სახელის ნაცვლად მამის სახელითა ჰყავს მოხსენიებული. შესაძლებელია ხალხურმა მოლექსემ ზეზვას მამა იმიტომაც გააცოცხლა ზეპირსიტყვიერებაში, რომ ისიც თავის დროზე სახელოვანი ვაჟკაცი იყო. გაფრინდაული-ფუნჩაიშვილი რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის აღიარებული. ქართუ-

---

[83] ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XXXII სამეცნიერო სესია, 1965, გვ. 54—57.

[84] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, 1887, გვ. 4.

ლი ზეპირსიტყვიერების ისტორიის ცნობილ მკვლევარს — პროფ. ქ. სიხარულიძეს გაფრინდაული და ფუნჩაიშვილი ერთ პიროვნებად, ერთ გმირად მიაჩნია: „ზეპირსიტყვიერებაში... — წერს, ქ. სიხარულიძე, — შექმნილია... ლექსები და გადმოცემები ბრძოლის მონაწილე სახალხო ვეარების — თუშების — ზეზვა გაფრინდაული-ფუნჩაიშვილის, საღირაშვილის, შველა შველაიძის... შესახებ“ [85]. პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე პირდაპირ შენიშნავს, რომ ზეზვა ფუნჩას შვილი ყოფილა: „ზეზვა თუში იყო, ფუნჩაის-ძე, თუშეთის ბელადი, გვარად გაფრინდაული“ [86].

თუში სახალხო გმირი — ზეზვა გაფრინდაული რომ თუშეთის სოფელ ვაკისძირიდან ყოფილა, ეს ერთხმად აღიარებული და დადასტურებულია. თუშეთის გომეწრის ხეობაში გაშენებულ ამ პატარა სოფელში გაფრინდაულების გვართან ერთად გვხვდება ჩვენთვის საინტერესო, ზეზვას სახელთან დაკავშირებული გვარებიც — საღირიძე და ანთაიძე. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სამივე გვარი დღეისათვის კვლავ მოქმედი გვარებია, რომელთა გამგრძელებელნიც ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში.

ზეზვას მშობლიური სოფელი ვაკისძირი, კახეთის ბარში მისი მკვიდრი მოსახლეობის ჩამოსახლებამდე, 8 კომლს ითვლიდა როგორც 1831 და 1843 წლების თუშეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის, ისე 1854 წლისა[87] და ძე-20 საუკუნის 30-იანი წლების აღწერების მიხედვით [88].

თუშეთის მოსახლეობის 1831 და 1843 წლების კამერალური აღწერის მიხედვით, სოფ. ვაკისძირში 8 გვარი გვხვდება. ჩვენთვის საინტერესო გვარებიდან დასახელებულია: ზეზო გაფრინდაული და ანთა ჯარჯოსშვილი. გაფრინდაული, როგორც ცნობილია, შერქმეული გვარია [89] და ზეზვას თავდაპირველ გვარად ვერ ჩაითვლება, თუშეთის კომლობრივი აღწერის მიხედვით დასახელებული ზეზო გაფრინდაუ-

---

[85] ქ. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 206.

[86] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 420.

[87] Эристов Р. Д., О Тушино-Пшаво-Хевсуром округе, Записки кавказского отдела ИРГО, кн. 3, Тиф., 1855, стр. 88.

[88] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 88.

[89] ალ. ხახანაშვილი, ბახტრიონის ციხის აღება, „ივერია“, № 220, 1888.

ლი ზეზვა გაფრინდაულის შთამომავალია, რომლისთვისაც სახელოვანი წინაპრის სახელი შეურქმევიათ და გვარსაც გაფრინდაულს ატარებს.

აღნიშნული აღწერის მიხედვით, სოფ. ვაკისძირში აღარ აღინიშნება გვარი საღირიშვილი, რომელი გვარითაც ზეზვა ხშირად არის მოხსენიებული ბახტრიონის ციკლის ლექსებში. არც ანთაიძე გვხვდება, როგორც გვარი. დასახელებულია ანთა ჯარჯოსშვილი, ე. ი. ანთა ჯარჯოს ძვილი ყოფილა და მისი გვარი არა ჩანს. თუ ქართველ ხალხში საყოველთაოდ აღიარებულ ჩვეულებას გავითვალისწინებთ, რაც თუშეთში საგანგებოდ იყო და არის დაცული, აქ ანთა ჯარჯოსშვილი წინაპარი პაპის მოსახელე უნდა იყოს, იმ წინაპრისა, რომლის შთამომავალიც 1659 წლის აჯანყების შესახებ არსებულ თუშურ პოეზიაში ანთაიძედ იხსენიება.

ბახტრიონის ციკლის ლექსებით საკმაოდ ცნობილი გვარის — საღირიშვილის დაკარგვა, ჩვენი აზრით, ზეზვასათვის ახალი გვარის — გაფრინდაულის შერქმევამ გამოიწვია. ზეზვას თავდაპირველი გვარი საღირიშვილი იქნებოდა, რომელიც 1659 წლის ბრძოლების შემდეგ არსებობას წყვეტს, რისი მიზეზიც თვით ზეზვას გმირობა-ვაჟკაცობა გამხდარა. ანთაიძეც, ე. ი. ანთაიძეობით ცნობილი აჯანყების მონაწილე თუში გმირი ანთა უნდა იყოს და არა ანთაიძე. ანთას გვარადაც ჩვენ საღირიშვილი მიგვაჩნია, რადგან, მე-19 საუკუნის ყველა ოფიციალური საბუთის მიხედვით თუ გადმოცემით, სოფ. ვაკისძირში გვარი ანთაიძე არ გვხვდება. გვარი ანთაიძე რომ სახელ ანთასგან არ მომდინარეობდეს, მისი შთამომავლობა სახელოვანი წინაპრის გვარს არ დაკარგავდა. მართალია, ამჟამად, სოფ. ვაკისძირიდან ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში ჩამოსახლებულ რამდენიმე კომლს აქვს გვარი ანთაიძე, მაგრამ ეს ძალიან გვიანდელი ამბავია. მაგალითად, მე-20 საუკუნის 20—30-იანი წლებისათვის სოფ. ვაკისძირში ორი გვარი გვხვდება — წიქროძე და გაფრინდაული[90]. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს გვარის — საღირიძის შესახებაც. აღნიშნული გვარიც მისი შემცვლელი გვარის — გაფრინდაულის გაჩენის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე აღარ გვხვდება და მხოლოდ ძალზე გვიან შთამომავლობამ, ისიც რამდენიმე ოჯახმა, გადაიკეთა გვარი საღირიძედ (მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან).

---

[90] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 88.

ახლანდელი გვარების: გაფრინდაულის, საღირიძის, ანთაიძის ნათესაობისა და მათ თავდაპირველ გვარად საღირიშვილის (საღირიძე) მიჩნევას ისიც ადასტურებს, რომ დასახელებული სამივე გვარის გამგრძელებელნი დღესაც ერთმანეთს ენათესავებიან და მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად ყველა ერთ გვარს ატარებდა, ხოლო რომელს — ეს მათ არ იციან. აღნიშნული გვარების ნათესაური კავშირი გვაფიქრებინებს, რომ ბახტრიონის ბრძოლების მონაწილე საღირიშვილი (საღირიშვილები) სოფ. ვაკისძირის მკვიდრ მცხოვრებლად წარმოვიდგინოთ, რადგან თუშეთის სხვა სოფლებში ასეთი გვარი არ არსებობს, ზეპირსიტყვიერება კი — მას თუშად იცნობს. ისიც საგულისხმოა, რომ 1831 და 1843 წლების თუშეთის კამერალური აღწერით ზეზვას სოფ. ვაკისძირში სახელი — საღირიც გვხვდება.

ბახტრიონის ციხის აღების შესახებ ხალხურ პოეზიაში ორი ხაზი ვითარდება: თუშური და ფშავ-ხევსურული. თითოეული კუთხე ციხის აღებას თავის მხარის დამსახურებად მიიჩნევს.

ფშავსა და ხევსურეთში ჩაწერილი ლექსების უმეტესი ნაწილი ბახტრიონის ციხეზე პირველად მისვლასა და იერიშის მიტანას ფშავლებსა და ხევსურებს მიაწერს. ფშავ-ხევსურეთის პოეზიის მიხედვით (თუ ზოგიერთ ნიმუშებს არ მივიღებთ მხედველობაში), ბახტრიონის ციხეში გამაგრებულ თათრებს პირველად ფშავლები შესევიან:

„ბიჭი ვარ გოგოლაური,
ნუ მშინჯავთ ტალავარზედა,
წინ-წინ მე გადავფრინდები,
ბახტრიონს გალავანზედა,
თოფსა ვჰკრავ ჯიმშელ ბატონსა,
ზედ მივალ ფალავანზედა“ [91].

როგორც თვით გოგოლაურის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურეთში შექმნილი ზოგიერთი ზეპირსიტყვიერი ძეგლის შინაარსი მოკლებულია სინამდვილეს და დამაჯერებლობას. „ფშაური ვარიანტებით, — შენიშნავს პროფ. ს. ყუბანეიშვილი, — ბახტრიონის ციხეზე იერიშის დაწყების დროს თუშები არ ყოფილან, ხევსურები კი მათ არ ეცილებოდნენ პირველობაში. ამის გამო, რატომ და ვისთვის უნდა ეთხოვა გოგოლაურს, მე გადამიშვით ციხეშიო? უდავოა, აქ ზეზვას საქ-

---

[91] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931, გვ. 326.

მიანობა გადატანილია გოგოლაურზე“ [92]. ფშავში შექმნილი ლექსების ტენდენციურობაზე თავის დროზე კარგად შენიშნა ვაჟა-ფშაველამ: „ეს ლექსები, — წერს ვაჟა, — ფშავშია გაგონილი და, როგორც კილო ამტკიცებს, ფშაურ ნიადაგზეა აღმოცენებული და ადვილად შესაძლებელია ფშაველებს თავისი თავი თუშებზე და ხევსურებზე სახელოვნად ჰყვანდეს დასურათებული“ [93].

ხევსური მოლექსის მიხედვით კი, „ფშავლებს ჯღან-ბელიანები ჰკვსურთ მეგზედ“ ჰყოლიან და ბახტრიონის ციხეც მათ აუღიათ: „სად იყვა თუშიშვილები? ჰკევსურებ კარავს ჭრიანო, ნადირაის ჰმლის ნამტვრევი კარავის კარში ხყრიანო“ [94].

ფშავ-ხევსურეთში შექმნილი ხალხური ლექსების საპირისპიროდ, თუშეთში ჩაწერილი გადმოცემებისა და ლექსების მიხედვით ბახტრიონზე შემტევი პირველი რაზმი თუშებისაგან შედგებოდა და წინამძღოლად თუში ზეზვა გაფრინდაული ჰყოლიათ. უფრო მეტიც, ზეპირსიტყვიერება იმასაც კი გვეუბნება, რომ თუშები და მათი მეთაურები თითქოს წინააღმდეგნი ყოფილან ფშავ-ხევსურებთან ერთად ბრძოლისა:

„ზეზვამ სთქვა გაფრინდაულმა:
„ხევსურნი ნუ მოვლიანო“.
ზოგთა სთქვეს: „თან გავიყოლოთ,
გაპირდეს, გამოდგებიანო“.
დაეხოვნილ იყვნენ ფშაველები:
„პურ ჭამას ვერ რჩებიანო“ [95].

ზეპირსიტყვიერებაში რამდენადმე დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს და თუშები წინააღმდეგი ყოფილან სპარსი დამპყრობლებისა და კახეთში ჩამოსახლებული უცხოელების წინააღმდეგ მომზადებულ აჯანყებაში ფშავ-ხევსურების მონაწილეობისა, ისევე გაუმართლებელი და დაუჯერებელია, როგორც ფშავში შექმნილი ლექსების მიხედვით შემუშავებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ თითქოს ბახტრიონის ციხეზე შემტევი პირველი რაზმი ფშაველებისაგან შედგებოდა და თუშები მაშინ ჯერ მისულებიც კი არ ყო-

---

[92] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 27.
[93] ვაჟა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 318.
[94] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 9.
[95] ი ქ ვ ე, გვ. 324.

ფილან ბახტრიონის ციხე-სიმაგრესთან. პროფ. მ. ჩიქოვანი სამართლიანად მიუთითებს ამ ტენდენციურობაზე და შენიშნავს: „ამგვარი მასობრივი მოძრაობის დროს შეუძლებელია ზეზვა გაფრინდაულს, სახალხო აჯანყების სახელოვან მეთაურს, უარი ეთქვა ფშავ-ხევსურთა დახმარებაზე და რაზმები ბრძოლის ველიდან დაეთხოვა. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, შეიარაღებული მტრის დამარცხებაც შეუძლებელი იქნებოდა“ [96].

უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთი წლების მანძილზე რომ მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი ემზადებოდა და ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობასთან ერთად მრისხანე ძალად დაატყდა სპარსელებსა და თურქმანებს, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მრავალმხრივაა გაშუქებული და გაანალიზებული. ისიც უნდა ითქვას, რომ, მართალია, ხალხური მელექსეები ცდილობდნენ თავიანთი კუთხის გმირების განდიდებას, მაგრამ „ყველა კუთხეში — ფშავში, ხევსურეთში, კახეთში და თუშეთში ჩაწერილი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსების ცენტრშია ჭაღარამოსილი თუში გმირი ზეზვა გაფრინდაული“ [97]. „ხალხური ლექსების მიხედვით, — განაგრძობს ქ. სიხარულიძე, — თუში ზეზვა გაფრინდაული აჯანყების ორგანიზატორია“ [98]. „ბახტრიონზე შემტევი პირველი რაზმი, — შენიშნავს მ. ჩიქოვანი, — თუშებისაგან შედგებოდა და მეთაურადაც თუში ჰყოლიათ (ზეზვა გაფრინდაული). ამას ამტკიცებს ხალხური ლექსების უმრავლესობა“ [99].

კახეთის აჯანყებაში ზეზვა გაფრინდაულის განსაკუთრებული დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიაშიც საყოველთაოდაა აღიარებული: „როგორც ჩანს, ზეზვასაც ის ბედი უნდა სწვეოდა, როგორც მის თანამემამულეებს — შალვას, ელიზბარს და ბიძინას. ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ სახალხო გმირი თავის ისტორიაში არ შეიყვანა, სამაგიეროდ, ხალხმა ზეზვას მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა, რითაც სამუდამოდ უკვდავყო მისი სახელი“ [100].

---

[96] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 41.

[97] ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 207.

[98] ი ქ ვ ე.

[99] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 40.

[100] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 333.

თავი IV

თუშეგისა და მეზობელი ხალხების ურთიერთდამაკავშირებელი გზების საკითხისათვის

ა) თუშეთის სამიმოსვლო გზები ბარის რაიონებთან

რევოლუციამდელ ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში თუშეთსა და კახეთის ბარს შორის სამიმოსვლო-საურთიერთო გზების შესახებ მეტად ძუნწი ცნობები გვხვდება. მხოლოდ ზოგიერთი მოგზაური-მკვლევრის ნაწერებმა შემოგვინახა იმ გზის საინტერესო აღწერა, რომლითაც ისინი თუშეთში გადადიოდნენ და შემდგომ უკან ბრუნდებოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ი. ბუქურაულის ნარკვევი „ტბათანიდან წოვათამდინ", სადაც იგი დაწვრილებით აგვიწერს პანკისიდან წოვათამდე სამიმოსვლო გზის მარშრუტს (1897 წ.).

მკვლევარი, როგორც თუში, რომელიც პირველად მიემგზავრება მამა-პაპათა ადგილების დასათვალიერებლად, ყველაფრით დაინტერესებას ამჟღავნებს და ცდილობს არაფერი დარჩეს უყურადღებოდ. ამიტომაა, რომ იგი წოვათისაკენ მიმავალ გზას მარტო ადგილების ჩამოთვლით როდი წარმოგვიდგენს. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ ამონაწერს, რომელიც ფშავ-ხევსურეთის გზების დახასიათებას ეხება. იგი წერს: „უღელტეხილიდან გზა ორად იყოფა: ერთი გზა მიდის თუშეთში, მეორე უხვევს მარცხნივ და ჩაეშვება ივრის ხეობაში. აქ ისევ ორად იყოფება: ერთი მიდის თიანეთზე და მეორე ივრის ხეობიდან გადადის არაგვის ხეობაში და იქიდან ხევსურეთში. თუშეთის გზა უღელტეხილიდან მიდის პირდაპირ ქედზე, რომელიც შესდგება რკინის და მასარის მთებიდან. ეს ქედი შეადგენს ერთ უმთავრეს ბორბალოს მთის დასავლეთ შტოს, რომელიც ბოლოს წოდებული ცივ-გომბორის ქედად, ჰყოფს ორ მდინარის ხეობას: ივრის და ალაზნისას.

მის გარდა ზემო მოხსენებული ქედი შეადგენს ძველ დროიდანვე საზღვარს თუშეთისა და ფშავის მთებს შორის“ [1].

მაგრამ ეს მაინც მცირედია, რადგან შესასწავლი და დასახასიათებელი რჩება კიდევ რამდენიმე გზა, რომლითაც თუშეთის მოსახლეობას მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული და საბრძოლო-თავდაცვითი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული თანამოძმე ბარის ქართველობასთან.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ იქმნება ხელსაყრელი პირობები „ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის... ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის“ [2], თუშეთის სრულყოფილი გამოკვლევაც ამის შემდგომ იწყება.

თუშეთის ყოველმხრივ წარმოჩენის პირველი ცდა იყო 1933 წელს ს. მაკალათიას „თუშეთის“ გამოქვეყნება. ხსენებული მონოგრაფია თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევაა, სადაც მრავალი საკითხია განხილული და ზოგიც ჰიპოთეზის სახითაა წარმოდგენილი. ამჯერად ჩვენთვის ხსენებული შრომიდან ჯეროვან ყურადღებას იპყრობს ისტორიკოსის მიერ თუშეთ-საქართველოს ბარს შორის დამაკავშირებელი ორი გზის აღწერა-დახასიათება, რომლითაც ექსპედიცია თუშეთში გადავიდა და შემდგომ უკან დაბრუნდა.

ექსპედიცია თუშეთში წასულა ე. წ. „კეპანის გზით“. ავტორი დეტალურად აგვიწერს აღნიშნულ მარშრუტს: თელავის რაიონის სოფ. ლეჩური—სტორის ხეობა—ორწყალი (აქ კეპანის წყალს თორღვას აბანოს წყალი უერთდება) — კეპანის დაყუდებული მთა თიბელაანთ ნაპარსები (ეს ადგილი ამ გზაზე არის ღამის გასათევი) — ნაგომრალები — საჯორე-ალატოანი—ქალჯვარი—საგველის ფერდობი — ნაკიდურის ჭალა (აქ მგზავრი მეორე ღამეს ათევს) — ნაკიდურის მთა — სოფელი ხისო“ [3].

ხისო არის ამ გზაზე შემხვედრი თუშეთის პირველი სოფელი, საიდანაც მგზავრს შეუძლია წავიდეს ჭანჭახოვნის ხეობის სოფლებში (ნაციხარი, შტროლთა, ჩიგლაურთა, ყველურთა, ხახაბო); ხახაბოდან

---

[1] ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), ჟურნ. „მოამბე“, № 8, განყოფ. II, 1897, გვ. 46.

[2] ზ. ანჩაბიძე, ალ. რობაქიძე, კავკასიური მთიერი ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1973, გვ. 112).

[3] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 212—215.

ერთი გზა მიდის თუშეთის ცენტრალურ სოფელ ომალოსაკენ, მდ. გომეწრის ალაზნის გადაკვეთით, მეორე კი — ხახაბოდან შეუყვება ზევით, გაივლის ხახაბოს მთას, გადავა ლაშქარაულთა-საბუეში (ლაშქარაულთა სოფ. გოგრულთის საზამთრო-საბოსლო ადგილია, ხოლო საბუე კი სოფელი იყო). დაეშვება დალმა, გადავა გოგრულთა-საჩიღოლოს ხეობაზე და ამავე სოფლების საშუალებით უკავშირდება გომეწრის ყველა კუთხეს.

სოფ. ხისოდან მეორე გზა მიდის სოფლების: ცოკალთა-ქუმელაურთისა და ომალოს მიმართულებით. ხისოდან მგზავრი უნდა წავიდეს ჩრდილო-დასავლეთით, გაიაროს გინჯეხის მთა, დაუყვეს მის დალმართს, ჩაუაროს სოფ. ცოკალთას ჩრდილოეთით (სოფ. ცოკალთის დასავლეთით 3—4 კმ მანძილზე მდებარეობს სოფ. ქუმელაურთა), გადაკვეთოს გომეწრის (ჩალმის) ალაზანი, კურსი აიღოს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ნაპირის ცერის გზით მივა ომალოს საბოსლოზე, იქიდან კი სოფ. ომალოში.

ომალოდან ერთი გზა მიდის გომეწარ-წოვათისა და პირიქითის ხეობებისაკენ, ხოლო მეორე ომალოს საბოსლოდან დიკლო-შენაქოსაკენ (ეს ორივე სოფელი თუშეთის ჩალმის თემის დიდოეთ-დაღესტნის სასაზღვრო სოფლებია).

თუშეთის ყოფა-ცხოვრების შესწავლის შემდგომ ექსპედიცია ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით გომეწრის საზოგადოების ერთ-ერთ ცენტრალურ სოფელ ჯვარბოსლიდან მიემგზავრება ალაზნის თავისაკენ, რათა ჩავიდნენ ტბათანაში და დაკვირვება მოახდინონ წოვა-თუშებზე. სოფელ ჯვარბოსლიდან ალაზნისთავი — ტბათანა—პანკისის ხეობის გამოვლით ექსპედიცია ჩამოვიდა სოფ. ზემო ალვანში, სადაც მათ გააგრძელეს მუშაობა წოვების შესწავლის მიზნით და „ალვანი-ალაოერდი—ვარდისუბანი—თელავის გზით ექსპედიცია თბილისში დაბრუნდა“ [4].

თუშეთის სოფელ ჯვარბოსლიდან ალაზნის თავი—ტბათანა—პანკისის ხეობით წამოსული ექსპედიციის მიერ გამოვლილი გზა შემდეგნაირად აქვს მკვლევარს წარმოდგენილი: „29 აგვისტოს წოვათუშების შესასწავლად ექსპედიცია ტბათანაში გაემგზავრა. სოფ. ალისგორიდან გზა მიდის ჯავახეთზე, სადაც ხევსური დეკანოზები ათნიგენობას დგებიან. გავიარეთ საქინჯვრის ხევი, დიდთ ღელე, სადაც ხალხური

[4] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 216.

გადმოცემით დიდოები მდგარან, მთა საკურპო და მიჯნის ხევი, რომელიც წოვათას ჰყოფს მთა-თუშეთისაგან. დღის 4 საათზე ჩავედით ალაზნის თავში... მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით საყორნის მთის აღმართს და პირველ საათზე კავკასიონის ქედის ეს გადასასვლელი გავიარეთ და წიფლოვანის ხევში დავეშვით. გავედით წიფლოვანის წყალზე. ბილიკი მიდის წიფლოვანის ტყით მასარის გადასასვლელზე. დღის ხუთ საათზე გავიარეთ რკინის მთა. ამ კლდოვან მთას გასდევს ვიწრო დაკლაკნილი ბილიკი, რომელსაც რკინის გზას უწოდებენ. ეს ბილიკი მეტად ძნელი და საშიში გასასვლელია. აქედან მოჩანს მყინვარწვერი (ყაზბეგი). აქვეა იორის სათავეც. გავიარეთ საქისტოს მთა და საღამოს 8 საათზე ტბათანაში ვიყავით“ [5].

ს. მაკალათიას „თუშეთში“ ფართოდ მხოლოდ ამ ორ გზაზეა საუბარი და ნაწილობრივ ე. წ. „დიდგვერდის გზაზე“. დანარჩენ გზებს, რომლითაც თუშეთის თემებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული კახეთის ბართან, მკვლევარი მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს და მათ აღწერა-დახასიათებას არ იძლევა [6].

საქართველოს ბართან თუშეთის დამაკავშირებელი გზა-ბილიკების შესასწავლად სათანადო შრომა აქვს გაწეული ა. შავხელიშვილს, თუმცა მას ეს საკითხი ცალკე კვლევის საგნად არ გაუხდია[7]. თუშეთ-საქართველოს ბარის საურთიერთო გზებს იგი ეხება თუშეთიდან ჩეჩენ-ინგუშეთში გადასასვლელი გზების შესწავლასთან დაკავშირებით, ამდენად მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება საკითხის ნათელსაყოფად საკმარისი არ არის. ზოგიერთი გზის შესახებ მის მიერ გამოთქმული მსჯელობაც, ჩვენი აზრით, სათანადო შენიშვნებსა და გასწორებას საჭიროებს.

თავის დროზე ჩვენ ვეხებოდით ერეკლე პირველის თუშეთში ყოფნისა და თუშეთზე დაყრდნობით კახეთის სამეფო ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლებს, რომლის დროსაც ერეკლე და მისი მებრძოლი რაზმები ხშირად იყენებდნენ ძლიერი თორღვას ციხე-სიმაგრეს, „ე. წ.

---

[5] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 216.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 11.

[7] А. Ш а в х е л и ш в и л и, Взаимоотношения между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963; მისივე, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩენ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები (ჟურნ. „მაცნე“, № 2, 1972, გვ. 45—62); მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI—XIX სს. 1 ნახევარში), თბ., 1977.

„აბანოს გზის“ გაკეთებამდე, თუშეთისა და კახეთის დამაკავშირებელ გზებს შორის ცენტრალური ადგილი „ნაქერალის გზას“ ეჭირა. სავარაუდოა, რომ ერეკლე კახეთში საბრძოლველად თუშეთიდან ნაქერლის გზით ჩამოდიოდა და ამავე გზით ბრუნდებოდა უკან, ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ თორღვას ციხე-სიმაგრიდან მოუხდებოდათ ე. წ. „თორღვას გზით“ წასვლა, მელთკუდადან ორწყალში გადავიდოდნენ და იმავე ნაქერლის გზით თუშეთის გომეწრის საზოგადოებაში მოვიდოდნენ“ [8]. იქვე იმასაც შევნიშნავდით, რომ აბანოს თავში ასულ ერეკლესა და მის ლაშქარს შეეძლოთ ფიცრის ჭალაში გადასულიყვნენ, ხოლო იქიდან თუშეთის ჩალმის საზოგადოებაში მივიდოდნენ [9].

ა. შავხელიშვილი ჩვენს ასეთ მსჯელობას საეჭვოდ მიიჩნევს და შენიშნავს: „ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. ნაქერლის გზის გარეა, კახეთი და თუშეთი ერთმანეთს უკავშირდებიან აგრეთვე უახლოესი გზებით, სახელდობრ, ყადორის, ანდარაზნისა და პანკისის გზებით, ასე რომ ვითარების შესაბამისად, თვითეულს ამ გზათაგან შეეძლო გამხდარიყო გადასასვლელად საიმედო ან სახიფათო“ [10]. ა. შავხელიშვილი ორ საკითხში არ გვეთანხმება: მას არ სჯერა, რომ თორღვას ციხე-სიმაგრიდან, აღნიშნულ პერიოდში, ერეკლესა და მის მებრძოლებს არ შეეძლოთ წასულიყვნენ სხვა გზებით, თუ არა ნაქერალის, ანდა ე. წ. „თორღვას გზით“ და, მეორეც, იგი არ ცნობს „ნაქერალის გზას“, როგორც უმთავრეს გზას საქართველოს ბარისა და თუშეთის დამაკავშირებელ მაგისტრალებს შორის.

პატივცემულ მკვლევარს ადგილზე რომ მოენახულებინა თორღვას ციხე-სიმაგრე, დარწმუნდებოდა, რომ როცა ციხე-სიმაგრის სამხრეთ-დასავლეთი მისადგომები, ე. ი. უკან დასახევი გზები ქართლ-კახეთის ჯარებით იქნებოდა დაკავებული, ერეკლე მეფეს თუშეთში წასასვლელად რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ „თორღვას გზა“. ერეკლესა და მისი თანამებრძოლებისათვის, ამ შემთხვევაში, სრულიად ხელმიუწვდომელი იყო არა მარტო ყადორის, ანდარაზანისა და პანკისის გზები

---

[8] ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, საკ. ნაშრომი, თბ., 1968, გვ. 165—166.

[9] იქვე.

[10] ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 167.

(თორღვას ციხესა და მათ შორის 20—50 კმ მაინცაა მანძილი), არაუედ ნაქერალისა და კეპანის გზებიც კი, რომლებიც თორღვას ციხე-სიმაგრიდან 4—8 კმ არიან დაშორებულნი.

გარდა აღნიშნულისა, ყადორის, პანკისისა და ანდარაზანის გზებს სხვა მიზეზების გამოც არ გამოიყენებდა ერეკლე ბატონიშვილი.

ყადორის გზა ადრეც და ახლაც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გადის დიდოეთის ტერიტორიაზე. თუ ერეკლე ამ გზით სარგებლობას გადაწყვეტდა, მაშინ საჭირო იყო დიდოებთანაც საურთიერთო ენის გამონახვა; ბატონიშვილი გარანტირებული უნდა ყოფილიყო, რომ დიდო-ლეკები მას არ უღალატებდნენ და მისი პოლიტიკის მხარდამჭერნი იქნებოდნენ. ერეკლე I ასეთ გზას ვერ აირჩევდა, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა მისი პოზიციები საკმაოდ სუსტი იყო, ხოლო ქართლ-კახეთის მეფეთა ძლიერება თვით დიდო-ლეკებსაც აიძულებდა ანგარიში გაეწიათ და აშკარად მათი მტრობის გზას არ დასდგომოდნენ.

ანდარაზანის გზაც ნაქერალის გზასთან შედარებით ნაკლებად იყო გამოყენებული, იგი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის გზაა და თანაც ყოველმხრივ მოცილებულია თორღვას ციხე-სიმაგრიდან, რასაც ერეკლესათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა იმისა, რომ პანკისი — ტბათანა — ალაზნისთავის გზა თუშეთის ტერიტორიაზე არ გადიოდა, იქით თუშებს საზაფხულო საძოვრები არ ჰქონდათ და, რა თქმა უნდა, ხშირად არც ივლიდნენ, იგი ბუნებრივი წინააღმდეგობებითა და სერიოზული ხელშემშლელი პირობებითაც ხასიათდება. აი, რას წერს ივ. ბუქურაული: „ჩვენ, რასაკვირველია, თუშეთის გზაზედ უნდა წავსულიყავით („უღელტეხილიდან“ ვ. ე.), მაგრამ ვერ შევძელით, რადგანაც გზა ისევ თოვლს ეჭირა. რკინის და მასარის მთები მაღლებია. 10 000 ფუტს აღემატებიან და რადგანაც წრეულ მთაში ძალიან დიდი თოვლი იყო, ამისათვის ამ დროს, თუმცა მკათათვე ილეოდა, ზემო მოხსენებული მთები ალაგ-ალაგ. დიდ მანძილზე მაინც თოვლს ეჭირა. ამისათვის, ჩვენ, რა გაეწყობოდა, მეორე გზაზე წავედით... აი როგორ: ივრის ხეობიდან ხევ-ხევ წავიდოდით, სანამ მასარის მთის წვერს არ მივადგებოდით. გადავლახავდით წვერს და ისევ ხევ-ხევ ჩავეშვებოდით წიფლოვანის ხევში და გადავიდოდით თუშეთის გზაზე“ [11]. იგი, აღწერს რა ამ გზის

[11] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 46—47.

სიძნელეებს, აღნიშნავს, რომ: „...წიფლოვანის ხევი ძალიან ღრმა და ჩავარდნილია“ [12] და შემდგომ: „წიფლოვანის ხევიდან უნდა გადავსულიყავით ანდაქის ყოისუს ხევში. ამ ხევს ალაზნის თავს უწოდებენ თუშები. ამისათვის ჩვენ უნდა გადაგველახა საყორნის მთა“ [13].

ასეთი რთული გზის გავლით წერილის ავტორი და მისი თანამგზავრი მისულან ალაზნის თავში, იქიდან კი თუშეთამდე თითქმის ერთი დღის სავალი გზაა [14].

აი, ამგვარ გზებზე შენიშნავს შავხელიშვილი, რომ „თუშეთსა და კახეთს შორის კავშირი ხორციელდებოდა პანკისის ხეობით ან ყადორის გზით“ [15], და ერთი სიტყვითაც არ ახსენებს „ნაქერალის გზას“, არ ეხება მის ავ-კარგიანობას ერეკლე პირველის მიერ კახეთში ჩატარებულ პრძოლებთან დაკავშირებით.

სანამ ნაქერალის გზას შეეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუშეთისა და კახეთის ბარს შორის, რა თქმა უნდა, ურთიერთობა მყარდებოდა სხვა გზებითაც, სახელდობრ, ყადორის, პანკისის, კეპანის, ანდარაზანის, საყორნის, ქოხტის და სხვა. ამავე გზებით დღესაც სარგებლობენ. მაგრამ აღნიშნულ გზებს შორის უმთავრესი „ნაქერალის გზა“ უნდა ყოფილიყო.

ხალხური გადმოცემებით ცნობილია, რომ თუშ-ფშავ-ხევსურთა მეომარი ძალების გაერთიანება მოხდა ნაქერალაში, რაც შესანიშნავად გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“, ბარელ თანამოძმეებთან ერთად, მთიელები რისხვად დაატყდნენ თურქმანთა და სპარსთა ურდოებს და კახეთი იხსნეს კარს მომდგარი საშიშროებისაგან.

როგორც ხალხური ლექსები გადმოგვცემენ, კახეთის აჯანყების შემდგომ, ზეზვა გაფრინდაული პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებს კახეთში ხელახლა მომრავლებული სპარსელების წინააღმდეგ. ზეზვასა და მისი თანამებრძოლების თავშესაფარს თორღვას ციხე-სიმაგრე წარმოადგენს. ისინი აქედან ესხმიან მტრებს, ანადგურებენ მათ და საპიროების მემთხვევაში ისევ აქ აფარებენ თავს. მტრისათვის კი იგი მიუვალი ყოფილა. აი, რას გადმოგვცემს ერთი ხალხური ლექსი:

---

[12] ივ. ბუქურაული, დასახ. შრომა, გვ. 51.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 54.

[14] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. თუშეთი, გვ. 215.

[15] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 167.

„თორღვასა გაფრინდაული
ამაგრებს ქვითკირსავითა,
კარზე მოსულსა მოძალეს
აბრუნებს ნახირსავითა“ [16].

ერთ-ერთი შეტაკების დროს სპარსელებს ზეზვა დაუჭრიათ, მაგრამ მისი დატყვევება ვერ მოუხერხებიათ. ზეზვა კვლავ მთებში გაბიზნულა, თორღვას ციხე-სიმაგრეში გამაგრებულა:

„თოფ დაპკრეს გაფრინდაულსა,
თორღვ დარჩა ოხერივითა,
თორღვას წევს გაფრინდაული,
გამაგრდა ქვიტკირსავითა“ [17].

დამპყრობლებს ციხე-სიმაგრე ვერ აუღიათ, ზეზვას ხელში ჩაგდების სურვილი კი მტარვალებს მოსვენებას არ აძლევდათ. მაშინ მტერს ათასგვარი დაპირებებით მოუხერხებია ზეზვას ხელში ჩაგდება. დაპატიმრებული ზეზვა გრძელ-ყანაზე ჩამოუტარებიათ, ხოლო ცივ-გომბორის გზით თბილისში ჩაუყვანიათ:

„ზეზვაი მოატყუესა, დაიბალითეს ენითა,
გრძელ-ყანა ჩამოატარეს, დაფა-ზურნითა, შტვირითა“ [18].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვითაც ცნობილია, რომ თორღვას ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ ერეკლე ბატონიშვილს შაჰნავაზ მეფე ხელში ვერ ჩაიგდებდა, ციხის გატეხა და ერეკლეს დატყვევება მისთვის შეუძლებელი იყო. მაშინ მეფეს ციხე-სიმაგრე ალყაში მოუქცევია და თუშეთისაკენ გასახიზნი გზაც ხელში ჩაუგდია. „მაშინ შემჭირდნენ მეციხოვნენი, — წერს ვახუშტი, — რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ: ამისთვის ევედრა დედა ერეკლესი შანაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტევოს: მან უსმინა და განუტევა დაფარულად და მივიდა კვალად თუშეთსავე“ [19];

1857 წლის ზაფხულში დიდოეთში გასალაშქრებელი ექსპედიცი-

---

[16] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სახალხო გმირი — ზეზვა გაფრინდაული, გაზ. „კომუნისტი“, № 225, 1941.

[17] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931, გვ. 328.

[18] ი ქ ვ ე, გვ. 329.

[19] ვ. ხ ე ტ ა გ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 191.

ის დაკომპლექტებაც გრძელ-ყანის ახლოს, მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროზე, დეობანში ჩატარებულა[20], ხოლო იქიდან ეს ექსპედიცია ნაქერალის გზით გადავიდა თუშეთში და არა ყადორისა და პანკისის გზებით.

ნ. ვოლკონსკის ხსენებულ შრომაში ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდია აღწერილი თუშთა ცხოვრებიდან, რასაც, ჩვენი აზრით, დასმული საკითხის ნათელსაყოფად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

დეობანში ექსპედიციის დაკომპლექტება დაწყებულა 1857 წლის აპრილში. ხსენებულ ექსპედიციას რამდენიმე ხნით მოუხდა ადგილზე დაყოვნება. დეობანში მყოფი ვოლკონსკი გახდა მოწმე იმისა, თუ თუშეთისაკენ როგორ მიემგზავრებოდნენ თუშები ცოლ-შვილითა და საქონლით, იგი ამ სურათს მეტად ლამაზად აღწერს და შენიშნავს, რომ მგზავრთა შორის იმყოფებოდა თუშთა «Безстрашная сотня», რომლის სახელიც შეთე გულუხაიძისა და ნათიევის მოთავეობითა და ხელმძღვანელობით დიდი ხანია, რაც განთქმულია და მტერს შიშის ზარს სცემსო. თუშთა ასეული მცირე ხნით ბანაკში ძობრუნებულა, რასაც ნ. ვოლკონსკი ასე აღწერს; «Тушины рысцой вступили в лагерь приветствуемые многими старыми знакомыми. Некоторые из них, в том числе и Шате (შეთე, ვ. ე.) остались несколько часов погостить в лагере и напиться чаю, а сотня прошла в горы столькоже для охранения своих семейств, сколько и для более удобной пастьбы скота»[21].

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ კახეთის ბარიდან თუშების მთაში მგზავრობისას და უკან დაბრუნებისას მძარცველების თავდასხმებისაგან იცავდა თუშთა სახელოვანი ასეული. თუშთა შეიარაღებული რაზმი მთელი ზაფხულის განმავლობაში უთვალთვალებდა თუშეთის საძოვრებს. იგი ვალდებული იყო დაეცვა მოსახლეობა გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან, ხოლო თუ კარზე მომდგარი საშიშროება მათ ძალას აღემატებოდა, მაშინ მთელი თუშეთის მამაკაცობა იარაღდებოდა შემოსეული მტრის დასახვედრად.

---

[20] Н. Волконский, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, журн. «Кавказский сборник», т. II, 1877, стр. 383.

[21] Ibid., 383-387.

აღნიშნული ტრადიცია, როგორც ეტყობა, თუშებისათვის შორეული საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს. მათი მომთაბარული ცხოვრება, მეცხვარეობა-მესაქონლეობა, როგორც თუშთა მთავარი საარსებო წყარო, საგანგებო დაცვასა და ყურადღებას საჭიროებდა საზამთრო საძოვრებზეც.

შირაქ-სამუხის საზამთრო საძოვრებზე თუშთა მრავალათასიან ცხვრის ფარებს და ცხენთა ჯოგებს თუშთა მუდმივმოქმედი შეიარაღებული რაზმი იცავდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1803 წლის 17 თებერვლით დათარიღებული ორბელიანის წერილი პ. ციციანოვისადმი, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თუშთა ასეული, რომელიც საზამთრო საძოვრებზე თუში მეცხვარეების უშიშროებას იცავდა, 150 კაცისაგან შედგებოდა: «Разным образом Туши, Пшавы и Хевсуры могут поставить 250 человек для того, чтобы одны Туши в зимнее время выставляют всегда по 150 человек на Иоре для прикрытия своего скота»[22].

მეზობელთა გამუდმებული თავდასხმებისაგან შეწუხებული თუშები, რა თქმა უნდა, კახეთის ბარსა და თუშეთს შორის დამაკავშირებელი ყველა გზით თავისუფლად ვერ ისარგებლებდნენ. მგზავრობა თუშეთში და იქიდან კახეთის ბარში იწარმოებდა უმთავრესად მხოლოდ ერთი გზით, რომელიც დაცული იყო თუშთა შეიარაღებული რაზმებით და ეს გზა, როგორც ეტყობა, ნაქერალის გზა იყო.

კახეთის ბარსა და თუშეთს შორის საურთიერთო გზებიდან მხოლოდ ნაქერალის გზას ეწოდებოდა თუშეთის ანდა სათუშო გზა. თუშეთის ყველა სოფლის მოხუცებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნაქერალ-დიდგვერდის გზით მგზავრობდნენ ძირითადად. ამ გზის გაწმენდა-შეკეთება ხდებოდა ყოველ წელს მთელი თუშეთის მიერ, ეს იყო სავალდებულო ბეგარა. დანარჩენ გზებს თვითონ მეცხვარეები შეაკეთებდნენ, ვისაც ის ესაჭიროებოდა და მათს ავკარგიანობასა და უშიშროებაზე არც თუშეთი ზრუნავდა და არც მთავრობა[23].

---

[22] Акты, т. II, 1868, стр. 288.

[23] ღუზარაული ანდრო, დაბად. 1900 წელს, სოფ. გირევში (პირიქითის თემიდან); ხვედაგაიძე ელიბო, დაბ. სოფ. დართლოში (პირიქითის თემიდან); ლაზარე გაბიდაიძე, დაბ. 1904 წელს, სოფ. ვეძისხევში (გომეწრის თემიდან); დანიელ ნაცვალაიძე, დაბად. 1915 წელს, სოფ. დოჭუში (გომეწრის თემიდან). აღნიშნულ პირებთან გამოსაუბრება ვაწარმოეთ 1978 წ. 18 თებერვალს.

დიდგვერდ-ნაქერალის გზას რომ თუშეთის გზა ეწოდებოდა, კარგად ჩანს ს. მაკალათიას შემდეგი სიტყვებიდან: „9 ივლისს დღის ხუთ საათზე დაბარგულ ცხენებით ექსპედიცია ფშავლიდან გავიდა და მდინარე სტორის ხეობით მთათუშეთის გზას გაუდგა. საღამოს ჩავედით სოფ. ლეჩურში... ლეჩურიდან მთათუშეთისაკენ ორი გზა გადის: დიდგვერდ-ნაქერალისა და კეპანის გზა. პირველი შედარებით უკეთესია, მეორე კი უფრო მოკლეა, მაგრამ ძნელ გასასვლელია... წინასწარ შემუშავებული გეგმით ექსპედიცია უნდა გამგზავრებულიყო დიდგვერდ-ნაქერალის გზით, მაგრამ აქ შემოგვეყარნენ თუში მგზავრები, რომლებიც კეპანზე მიდიოდნენ და ჩვენც გვირჩიეს ამ გზით გამგზავრება“ [24].

ს. მაკალათია სხვაგანაც ეხება ამ გზის უპირატესობას და შენიშნავს, რომ თუშეთის გზებს „შორის შედარებით ყველაზე წესიერი დიდგვერდ-ნაქერალის გზაა“ [25].

რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაშიც არაერთხულ აღინიშნება ის ფაქტი, რომ თუშეთსა და კახეთის ბარს შორის დამაკავშირებელი გზებიდან უპირატესობა „ნაქერალის გზას“ ენიჭებოდა. ამ მხრივ საინტერესოა „ნაქერალისა“ და „ჯვარბოსელი—ალაზანისთავი—ტბათანა—პანკისის“ გზების გუსტავ რადეს ეული დახასიათება[26].

დიდოეთ-ყადორისა და ალაზნისთავ-პანკისისაკენ თუშეთიდან გადმოსასვლელი გზების თაობაზე არც ვახუშტი ამბობს არაფერს. მართალია, იგი ამ საკითხს სპეციალურად არ შეხებია, მაგრამ თუშეთის ცალკეული თემებისა თუ ხეობების აღწერისა და თუშეთის საზღვრების თაობაზე მსჯელობის დროს აღნიშნავს, რომ: „წოვას ქუეით გომეწარი და მის ქუეით ჩაღმა და ჩაღმიდან გარდავალს გზა თორღასა და ლოპოტის ჯევზედ“ [27].

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონის აღნიშნული მსჯელობა სინამდვილეს შეეფერება. XIX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსღა მიეცა წოვა-თუშებს ფშავლების კუთვნილი

---

[24] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 212—213.

[25] ი ქ ვ ე, გვ. 11, 1933.

[26] Густав Р а д д е, Хевсурия и Хевсуры, Тиф., 1881, стр. 311.

[27] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

ტბათანის მიწა-წყალი, ხოლო მიწის ხიდი, ქოჩადალები და მასარა კვლავ ფშავლებს დარჩათ[28].

1814 წლის 1 დეკემბრის ერთი საარქივო დოკუმენტითაც კარგად ჩანს, რომ ტბათანის, მიწის ხიდის, მასარის, ქოჩადალებისა და „ორისამდებარეთა, ნახევრისა ნაწილისა“ მფლობელნი ფშავლები არიან, მათ ეკუთვნით ეს მიწა-წყალი, ხოლო წოვა-თუშები ამ საძოვრებით სარგებლობენ და ფშავლებს საბალახოს უხდიან[29].

უნდა ვივარაუდოთ, რომ კუთვნილ ტერიტორიაზე — ტბათანაზე გავლით პანკისისაკენ თუშების მოგზაურობას ფშავლები ყოველთვის ხელს შეუშლიდნენ, ნებას არ დართავდნენ, არ გაატარებდნენ. ფშაველთაგან ასეთი წინააღმდეგობა იმ გარემოებითაც უფრო იქნებოდა გამოწვეული, რომ წოვა-თუშები აღარ კმაყოფილდებოდნენ აღნიშნული ადგილების სარგებლობით საბალახო გადახდის წესით და ცდილობდნენ, რომ მათი სრული მესაკუთრენი გამხდარიყვნენ. აკი შომდევნო წლებში წოვებმა მიაღწიეს კიდეც თავის საწადელს. ისე რომ პანკისიდან ტბათანა—ალაზნისთავი--თუშეთისაკენ XIX საუკუნის 20-იან წლებამდე მუდმივმოქმედი გზა არ იქნებოდა, რადგან ამ გზის უმთავრესი ნაწილი ფშავლების მიწა-წყალზე გადიოდა და თუშებს აქ ხელი არ მიუწვდებოდათ. პანკისში თუშები ივლიდნენ უმთავრესად სოფ. ომალოდან საქისტოს აღმართის — საქისტოს გორის და ნაქერალ-დიდგვერდის გზით, თუ გომეწრისაკენ უნდოდათ წასვლა, ხოლო ჩაღმისაკენ წამსვლელ მგზავრებს შეეძლოთ ნაქერალის გორიდან კურსი აეღოთ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, გადასულიყვნენ ლეკთვაკეში, იქიდან გადაკვეთდნენ აბანოს ხევს და აბანოს თავის გადალახვით გადავიდოდნენ ფიცრის ჭალაში, ჩრდილო-აღმოსავლეთით გაჰყვებოდნენ მის გრძელ ხეობას და მივიდოდნენ ჩაღმის თემის სოფლებში: ხისოში, შტროლთაში, ნაციხარსა და სხვა.

ნაქერალის გორიდან ჩაღმისაკენ ე, ი. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წასულ მგზავრს შეეძლო ლეკთვაკიდან კურსი აეღო ჩრდილო-დასავლეთით. გასულიყო გომეწრის მელთკუდაში. ამ მელთკუდის აღმართის საშუალებით მგზავრი ადის ცერში — გადადის ორწყალაში და იქიდან უკავშირდება გომეწრის თემის სოფლებს.

ნაქერალის გზის სრულ მარშრუტზე აქ აღარ ვმსჯელობთ, რადგან

---

[28] საქ. ცსსა, ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 1421, გვ. 37—38.

[29] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—9576.

მის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება პარაგრაფში — „რუსეთ-საქართველოს შორის დამაკავშირებელი ერთი ისტორიული გზის საკითხისათვის“.

დიდოეთ-ყადორის გზაც თუშეთ-დიდოეთ-დაღესტანსა და საქართველო-დიდოეთ-დაღესტანს შორის იმხანად არსებული გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო თუშეთ-საქართველოს დასაკავშირებლად ჩაკეტილი იქნებოდა.

პანკისი-ტბათანა-ალაზნისთავი-თუშეთისა და თუშეთი-დიდოეთი-ყადორის გზების გარდა, მართლაც ყველა გზა თუშეთიდან კახეთის ბარში ჩამოდის სტორისა (თორღის, როგორც ვახუშტი წერს) და ლოპოტის ხეობებში.

ნაქერალისა და კეპანის გზები სტორის ხეობიდან იწყება. ამ გზების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

სტორის ხეობიდან იწყება ე. წ. „თორღვას აბანოს გზაც“. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზის მშენებლობა დაიწყო XX ს-ის 20-იან წლებში და ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ზოგს ჰგონია, რომ ეს გზა XVII საუკუნეშიც არსებობდა და ზეზვა გაფრინდაული ამ გზით მოუძღვებოდა თანამემამულეებს, „რომ ბახტრიონის ბრძოლებში სამშობლოს დასახსნელად თუშების ვაჟკაცობა და თავდადება ეჩვენებინათ“ [30].

ა. შავხელიშვილი უფრო ხანდაზმულად მიიჩნევს ამ გზას და 1638 წლის 6 აგვისტოს თუშეთში გადმოსული რუსთა ელჩობა ვოლკონსკის მეთაურობით კახეთის ბარში „ომალო-აბანოს“ გზით მოჰყავს ლალისყურში, შემდგომ კი პანკისის ხეობაში [31].

ამ გზის თაობაზე ს. მაკალათიას „თუშეთშიც“ ამომწურავი პასუხია მოცემული. „დღეს მთათუშეთში გზატკეცილების სამმართველოს გაყავს ახალი მოკლე გზა... ეს გზა გაყავთ სოფ. ხისოდან და აბანოს ღელითი კავკასიონის ქედზე ბულანჩოს წვერისა და შავკლდის შუა „საცხვრე ხორხზე“ გადადის და „თუშეთის აბანოში“ ჩადის. აქედან გზა გაივლის „თორღვაის აბანოში“ და ლეჩურ-ფშაველით კახეთში ჩავა... ამ გზის გაყვანა დაიწყო 1929 წლის ზაფხულიდან“[32].

---

[30] თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 6.

[31] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თუშების ტერიტორიული განსახლება... გვ. 52; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან... გვ. 27.

[32] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 11—12.

თორღვას ციხე-სიმაგრეზან, რომელიც სტორის ხეობის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, მიდიოდა მესამე გზაც, ე. წ. „თორღვას გზა". ამ გზის თაობაზე ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ „თორღვას ციხე-სიმაგრის თავდაპირველ მფლობელ თორღვას ჰქონია განსაკუთრებული გზა, რომლითაც კავკასიის მთებს უკავშირდებოდა და იქიდან კი თავს ესხმოდა დამპყრობლებს. დღესაც იმ გზას, რომლითაც ოდესღაც თორღვას უხდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით მიმოსვლა, „თორღვას გზას" ეძახიან. ეს გზა თორღვას ციხიდან ასეთი მიმართულებით მიდიოდა: განჯაურა—ფურთკალო—დეკიანი—გორი—ლეკთვაკე—მელთკუდა"[33].

ლეკთვაკედან მგზავრს შეეძლო—და ეს ახლაც ასეა — წასულიყო არა მარტო მელთკუდის მიმართულებით, რომლის საშუალებითაც გომეწრის თემს ვუკავშირდებით, არამედ გადაეკვეთა აბანოს ხევი, აჰყოლოდა აბანოს გორს, გადასულიყო აბანოს ცერზე, ჩასულიყო ფიცრის ჭალაში და ამ ჭალისა და საკმაოდ გრძელი ხეობის გავლით დაკავშირებოდა ჩაღმის თემსა და მის სოფლებს.

სტორის ხეობაში ჩამოდის ე. წ. „საყორნის გზაც". ეს გზა იწყება თელავის რაიონის სოფ. ფშაველში, ბდ. სტორის მარცხენა მხარეზე. მგზავრი ამ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით შეუდგება ჯერ ტყით დაფარულ და შემდგომ ალპიურ საყორნის მაღალსა და დაყუდებულ მთას, გადალახავს საყორნის ცერს (ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით), გაივლის ნაწიდრებს, სამამლის გორს, არყოვნის ხევს, საგველეს, ალატოვანს, ქალჯავარს, ნაჯიდურს და მივა სოფ. ხისოში (ჩაღმის თემი). ამ გზაზე მგზავრს ორი ღამე უნდა გაეთენებინა: სამამლის გორზე ან ნაწიდრებში და ალატოანში. ეს გზა საცხენე გზაა ოდითგანვე და უმთავრესად მეცხვარენი იყენებდნენ ცხვრის გადასაყვან-გადმოსაყვანად და ყველ-მატყლის ჩამოსატანად. ცოლ-შვილით თუშები ამ გზით იშვიათად მგზავრობდნენ.

თუშეთისა და კახეთის ბარის დამაკავშირებელი დანარჩენი გზები (პანკისის ხეობიდან და დიდოეთზე გადასასვლელი გზების გამოკლებით) ლოპოტის ხეობაში ჩამოდის. ეს გზებია ანდარაზანისა და ქოხტისა

ანდარაზანის გზა იწყება მდ. ლოპოტის ხეობიდან, გაივლის ანდარაზანის მთას, ბოკვიან ღელეს, საირმის ცერს, ოთხწყაროს, შავ კილ-

---

[33] ვ. ელანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 165.

დეს, ლაას და მივა ჩაღმის თემის სოფელ ქუმელაურთამში. ამ გზაზე ღამის გასათევად ამორჩეული იყო ბოკვიანი ღელე და ოთხწყაროს. ესეც სამეცხვარეო გზა იყო და უმთავრესად მესაქონლეთა მიერ იყო გამოყენებული.

ქოხტის გზა სათავეს იღებს თელავის რაიონის სოფ. ართანასთან (ლოპოტის ხეობა), გაივლის ქოხტის მთას, უერთდება ანდარაზანის გზას და აღნიშნული მარშრუტით ჩადის სოფ. ქუმელაურთამში.

ყადორის გზა იწყება ყვარლის რაიონის სოფლებთან საბუე-შილდასთან, გაივლის ნათლისმცემელს, აუყვება ყადორის მთას, გადაკვეთს ყადორის ღელეზე, გაივლის დიდოების სოფ. ხუფრას, შემდგომ ველკეთილში, იქიდან ჯარაის წყაროს, ვესტმო ვაკეს, ხოშანეს, გადაკვეთს გომეწრის (ჩაღმის) ალაზანს და მივა სოფ. ომალოში. ამავე გზით ველკეთილიდან მგზავრს შეუძლია კურსი აიღოს ლაასკენ და ჩავიდეს სოფ. ქუმელაურთამში, ხოლო ჩაღმის სოფლების: აგვერთის, შენაქოსა და დიკლოს მცხოვრებნი ველკეთილიდან მიდიან ვებუს მთაზე, გაივლიან ქოჭორთას (ეს შენაქოელების საბოსლოა), გვერდზე ჩაუვლიან სოფ. აგვერთას (ამჟამად იგი ნასოფლარია), მდ. ალაზნის გადალახვით უკავშირდებიან შენაქოსა და დიკლოს.

ყადორის გზა თუშეთის სხვა გზებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველ გაზაფხულზე, როცა კავკასიონის მთა ჯერ კიდევ თოვლითაა გადალესილი და სხვა გადასასვლელებით თუშეთთან დაკავშირება საკმაოდ ძნელია, თუშებს შედარებით დაბალი ყადორის ღელით და დიდოეთზე გავლით გადაყავთ ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონელი თუშეთის საზაფხულო საძოვრებზე.

პანკისის ხეობიდან თუშეთისაკენ მისასვლელ გზებზე აქ აღარ შევჩერდებით. მხოლოდ ის გვინდა დავუმატოთ, რომ თუ პანკისიდან ალაზნისთავამდე თუშეთისაკენ ერთი გზით მივდივართ, აქ ეს გზა სამად იყოფა: ერთი მიდის ალაზნისთავი-ლაროვანისა და ჯვარიდის გაყოლით ჭონთიო-გირევისაკენ (პირიქითის თემი). მეორე ალაზნისთავი — მიჯნის ხევით წოვათაში, ხოლო მესამე ალაზნისთავი-ალიბეგური გომეწრის თემში.

ამრიგად, როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, საქართველოს ბარს საშუალება ჰქონდა ყოველთვის ახლო და მჭიდრო კავშირში ყოფილიყო მთიანეთის ერთ-ერთ მრავალმხრივ საინტერესო კუთხესთან — თუშეთთან. აღნიშნულმა მაგისტრალებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულეს თუშეთისა და კახეთის ბარის ეკონომიკურ-კულტურული

და სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. ხსენებული გზებით მრავალგზის გაიხიზნა თუშეთში შეჭირვებული ბარელი ქართველობა. ამ გზებით ჩამოდიოდნენ მთიელთა რაზმები და ელვისებურად ესხმოდნენ თავს მტერს, მუსრს ავლებდნენ მათ და ისევ მთებში გაუჩინარდებოდნენ ხოლმე.

ბ) თუშეთიდან ფშავ-ხევსურეთსა და დიდოეთ-ჩეჩენ-ინგუშეთში გადასასვლელი გზები

თუშეთისათვის, რომელიც საქართველოს ბარიდან საკმაოდ შორი მანძლითაა დაცილებული, ფშავ-ხევსურეთს, როგორც მის უშუალო მეზობელ „საქართველოებს", უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიულმა სიახლოვემ და მათი მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთობამ, რაც ოფიციალური მონაცემებით უკვე ახ. წ. IV საუკუნიდან დასტურდება, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ამ სამი კუთხის გადარჩენა და იქ ქართული ცხოვრების შეურყვნელად არსებობა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხსენებულ ურთიერთობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ სამი კუთხის დამაკავშირებელ გზებს, რომლებიც აწუნტა-ბორბალო-ალაზნისთავ-ნაქერალზე გადადიოდნენ. აღნიშნული გზების ჩაკეტვის შემთხვევაში თუშ-ფშავ-ხევსურებს შეეძლოთ ერთიმეორეს დაკავშირებოდნენ კახეთის ბარიდან მათკენ მიმავალი სხვა გზებითაც, უმთავრესი კი მაინც ზემოაღნიშნული გადასასვლელები იყო.

თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთს შორის დამაკავშირებელი გზებიდან ყველაზე მეტად გამოყენებული იყო ისინი, რომლებიც აწუნტა-ალაზნისთავზე გადადიოდნენ. ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: თუშეთის ყველა თემის თითოეულ სოფელში, გარდა წოვათის თემისა, დღემდე შემორჩენილია ხევსურთა ჯვარ-ხატები: კარატე და ჯაჯმატი. როგორც მრავალი მონაცემიდან ჩანს, ასეთი ვითარება მომდინარეობს წმინდა ნინოს მიერ ფხოველთა გაქრისტიანებიდან, როცა მათმა გარკვეულმა ნაწილმა არ ისურვა ახალი სარწმუნოების მიღება, აიყარა მამა-პაპათა სამყოფლოდან და თუშეთში გადასახლდა[34]. აქე-

---

[34] ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 126.

დან მოყოლებული XX საუკუნის 20—30-იან წლებამდე, ყოველ ზაფხულს მოდიოდნენ კარატიონი და ჯაკმატიონი (ხევსურთა ჯვარიონი) თუშეთში. მათი გადმოსვლა თუშეთში ხდებოდა აწუნტაზე, მოინახულებდნენ პირიქითის ყველა სოფლის საკუთარ ხატებს, იქედან გადავიდოდნენ ჩაღმის სოფლებში, შემდგომ გომეწრის თემში და ბოლოს კარატიონიცა და ჯაკმატიონიც შეიკრიბებოდნენ ალაზნისთავისკენ მიმავალ გზასთან მდებარე თუშეთის ძლიერ სალოცავ-ჯავახესთან, ამ ხატის ახლოსვე იყო ბაზილიკები — კარატესა და ჯაკმატისა. აქ, ჯავახე-კარატე-ჯაკმატის კარზე, ღამეს ათევდნენ თუში და ხევსური მლოცავნი, ილოცებოდნენ მთისა და ბარის ჯვარ-ხატებზე, გადაიხდიდნენ საკადრის პურ-მარილს და გულმხურვალედ დაემშვიდობებოდნენ ერთიმეორეს — ხევსურნი ალაზნისთავით ხევსურეთში ბრუნდებოდნენ, ხოლო თუშები — საკუთარ სოფლებში.

თუშეთიდან ხევსურეთისაკენ აწუნტა-ალაზნისთავზე გადასვლით გზა მიდის შემდეგი მარშრუტით:

1. სოფ. ჭონთიოდან (პირიქითის თემი) მივდივართ თურსიეხისა და ჭვაჭიდის მიმართულებით (ეს მთების სახელწოდებებია), გადავალთ აწუნტის ღელეზე (აწუნტის მთა და აღნიშნული გადასასვლელი არის თუშეთისა და ხევსურეთის საზღვარი), ჩავდივართ ხონისა და მუცოს ჭალაში და იქიდან ვუკავშირდებით ხევსურეთის დანარჩენ სოფლებს. მათ შორის შატილს.

2. ალაზნის თავზე მიმავალი გზა თუშეთში იწყება გომეწრის თემიდან, კერძოდ, სოფლებიდან: ჯვარბოსელი — ალისგორიდან ჯავახაზე გავლით მიდის საქინჯვრის ხევსა და დიდოთ ღელეზე, გადაკვეთს საკერპოს მთასა და მიჯნის ხევს და მივა ალაზნისთავში. ალაზნისთავიდან ბორბალოს კალთებზე გავლით გადავდივართ დიდი ანდაქის მთას, გავივლით არჭილოს, შემდგომ პატარა ანდაქს, არდოტს, მუცოს, მუცოს ჭალას და მივალთ შატილში.

3. ალაზნის თავიდან ხევსურებს შეეძლოთ თუშეთში წასულიყვნენ სხვა მიმართულებითაც — წოვათასა და პირიქითში: წოვათაში გადავიდოდნენ ალაზნისთავისა და საკერპოს მთა-მიჯნის ხევის გავლით, ხოლო ჭონთიო-გირევში (პირიქითის თემის სოფლებია) წავიდოდნენ ლაროვანის მთის მიმართულებით, გადაკვეთდნენ ლაროვანის მთა-ღელეს და თურსიეხი — ჭვაჭიდის გავლით დაუკავშირდებოდნენ ჭონთიო—გირევს.

4. ნაქერალ-დიდგვერდის გზას დიდგვერდთან გამოეყოფა გზა, რომელიც მგზავრს ჩაიყვანს ალაზნისთავში, იქიდან კი გზები მიდის ფშავ-ხევსურეთისაკენ, თუშეთისა და კახეთის ბარისაკენ — პანკისის ხეობაში.

თუშეთიდან ფშავისაკენ მიმავალი გზებიც აწუნტისა და ალაზნისთავის გადასასვლელებით მიემართება და სხვა განსაკუთრებული უღელტეხილი მათ არა აქვთ. ამ გზებიდან ზოგი ხევსურეთიდან თუშეთისაკენ მომავალ გზას უერთდება და ისე უკავშირდება თუშეთს, ზოგი კი უკანაფშავიდან ტბათანა-ალაზნისთავამდე ისე მიდის, რომ მათ ხევსურეთ-თუშეთის გზებთან შეხვედრა არ უხდებათ.

თუშეთისა და ფშავის დამაკავშირებელი გზები შემდეგია:

1. სოფ. ჭონთიო (პირიქითის თემი) — თურსიეხი—ჭვაჭიდი-აწუნტის გადასასვლელი — ხონეს ჭალა, ორწყალი—არდოტი—პატარა ანდაქი—არჭილო დიდი ანდაქი—ბოთანოს ხევი—სათიბის გორი—ვაკე სოფელი (უკანა ფშავი).

2. სოფ. გირევი (პირიქითის თემი) — ლაროვანის ღელე — ალაზნის თავი — საყორნის მთა — წიფლოვანის ხევი — მასარის მთა — რკინის მთა — ლეკოანას მთა — კეხის გორი — ვაკე სოფელი (უკანა ფშავი).

3. ვაკე სოფელი (უკანა ფშავი), აქედან გზა ავა სათიბის გორზე, გადავა ბოთანოს ხევში, ავა წყაროს ტბასთან, აქედან მარჯვნივ მოუხვევს და გადავა ბორბალოზე, ამ მთას მარცხენა მხარეზე ჩაუხვევს, ჩავა ალაზნის თავში, აქედან ლაროვანით გირევში (პირიქითის თემი). ალაზნის თავიდან მგზავრმა შეუძლია კურსი აიღოს წოვათისა და გომეწრისკენაც ისევე მარშრუტით, როგორც ეს თუშეთ-ხევსურეთის დამაკავშირებელი გზების დროს აღვნიშნეთ.

ფშავ-ხევსურეთის პარალელურად თუშეთი დაკავშირებული იყო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთანაც, კერძოდ, დიდოებთან, ქისტებთან, ჩეჩენ-ინგუშებთან. ეს ურთიერთობა ქართველ მთიელებსა და ინგერკავკასიელებს შორის მყარდებოდა სპეციალური მაგისტრალებით.

დიდოეთს, რომელიც თუშეთს აღმოსავლეთიდან ემეზობლება, თუშები რამდენიმე გზით უკავშირდებოდნენ და დღესაც ამავე გზებით აქვთ ურთიერთობა. მათგან უმთავრესად ითვლება ის გზა, რომელიც იწყება ჩაღმის საზოგადოების სოფ. დიკლოდან. ეს გზა გადაკვეთს დიკლოს ხაადან მომდინარ დიკლო-შენაქოს ალაზანს, გაივლის ჭეროს

(დიდოების საბოსლოა). ებკოხს (ესეც დიდოების საბოსლოა) და მივა დიდოების პირველ შემხვედრ სოფელ ხუშეთში.

დიდოეთს თუშეთი სხვა გზებითაც უკავშირდება, კერძოდ, სოფლებით: ომალო, ხისო, ცოკალთა; ქუმელაურთიდან უნდა ავიდეთ ორეთის მთაში, იქიდან გავივლით ვესტმო ვაკეს, ჯარაის წყაროს, ველკეთილს, დიდოეთ-სადუცეს და გზა მივა დიდოების სოფელ ხოტრაჯოში. იმავე სოფლებიდან მგზავრი ავა ორეთის მთაში, გაივლის მერცხალაბუდის ცერს, ველკეთილს, ხუფრის მთას, ხუფრის ორწყალს და მივა დიდოების სოფელ ხუფრაში.

დიდოეთის მოსაზღვრე სოფლების — დიკლოსა და შენაქოს მოსახლეობას დიდოეთთან დასაკავშირებლად თუ შემდგომ იქიდან კახეთის ბარში წასასვლელად გამოყენებული ჰქონდა შემდეგი გზაც: სოფელი შენაქო — სოფ. აგვერთა — იღონე (სოფ. შენაქოს საბოსლოა) — ვებუს მთა — ჯარაის წყარო — დიდოთ სადუცე — სოფ. ხოტრაჯო (დიდოების სოფელია).

აქ ჩამოთვლილი დიდოეთ-თუშეთის დამაკავშირებელი გზები საიმედო სატრანსპორტო მაგისტრალებია.

დიდოეთ-თუშეთის საურთიერთო გზებში პირველ გზას პრიორიტეტი იმიტომ ეძლევა, რომ ამ გზით მოდიოდნენ უმთავრესად დიდოები და ლეკები თუშეთში და ამავე გზით მგზავრობდნენ თუშებიც დიდოეთსა თუ დაღესტანში. ამავე მაგისტრალით თუშები სარგებლობდნენ გვიან შემოდგომაზე, ადრიან გაზაფხულზე და ზამთარშიც კი, როცა თუშეთში მისასვლელი ყველა გზა თოვლის გამო იყო ჩაკეტილი.

დანარჩენ გზებს თუშები იყენებდნენ და თანაც ინტენსიურად. ამ გზებით თუშებს ადრიან გაზაფხულზე თუშეთისაკენ მოყავდათ ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონელი. ამავე გზებით გადმოჰყავდა ცოლ-შვილიც, როცა კახეთ-თუშეთის დამაკავშირებელი სხვა გზებით თუშეთში მგზავრობა არ შეიძლებოდა. თუშეთსა და ხოტრახო-ხუფრის მხარის დიდოებს შორისაც ამ გზებით მყარდებოდა ურთიერთობა. ამ მხრიდან თუშეთზე დიდო-ლეკთა მძარცველური თავდასხმების მრავალ შემთხვევას ასახელებს თუშური ზეპირსიტყვიერება.

მიუხედავად იმისა, რომ დიდოეთ-თუშეთს აკავშირებდა რამდენიმე გზა, ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ თუშეთ-ხუშეთის მაგისტრალს იცნობს და სხვა გზების მარშრუტის შესახებ არაფერს ამბობს,

რადგან ისინი „მეორეხარისხოვანი გზა-ბილიკები“ ყოფილა და თუშები მათ იშვიათად იყენებდნენ [35].

დიდოეთ-თუშეთის საურთიერთო გზების მსგავსად არის განხილული ჩეჩენ-ინგუშეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მაგისტრალებიც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ზოგიერთ გამოკვლევაში [36].

ა. შავხელიშვილი სპეციალურად შეეხო ხსენებულ შრომებში ჩეჩენ-ინგუშეთისა და თუშეთის დამაკავშირებელ გზებს. მან ამ გზების აღწერა-დახასიათება დაიწყო კახეთის ბარიდან და არა თუშეთიდან, რაც საკითხის გარკვევას ერთგვარად ართულებს. ავტორი კახეთიდან თუშეთში მისასვლელ გზებად მიიჩნევს მხოლოდ პანკისისა და სტორის ხეობებიდან თუშეთისაკენ გადასასვლელ მაგისტრალებს, რომელთაგანაც პანკის-თუშეთის გზას პირობითად პირველ გზას უწოდებს, ხოლო სტორის ხეობა-თუშეთის მაგისტრალს — მეორე გზას. პირველი გზის საკმაოდ ვრცელი აღწერით ავტორი გადადის თუშეთში და ამ გზით ჩეჩენ-ინგუშეთში გადასასვლელად წარმოგვიდგენს ქერიგოს უღელტეხილს. მეორე გზასაც მკვლევარი ფართოდ ეხება, ხოლო თუშეთიდან ამ გზით ქისტეთში გადასასვლელად ქაჩუს უღელტეხილია მიჩნეული. ამ ორი გზის ამგვარი წარმოდგენა, ჩვენი აზრით, რამდენიმე შენიშვნას იწვევს.

ავტორის მსჯელობიდან გამოდის, რომ პანკის-თუშეთის გზით მგზავრს შეუძლია გადავიდეს მხოლოდ ქერიგოს უღელტეხილზე და შეუძლებელია ქაჩუზე გადასვლა, ანდა პირიქით.

ავტორი მხოლოდ ამ ორ გზას აღწერს ფართოდ და თუშეთ-კახეთის დამაკავშირებელი სხვა გზების თაობაზე არაფერს ამბობს. ამით იგი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მხოლოდ ამ ორი გზითა და ქერიგო-ქაჩუს უღელტეხილებით იყოს დაკავშირებული კახეთის ბარი და თუშეთი ჩეჩენ-ინგუშეთთან.

უზუსტობად მიგვაჩნია ისიც, რომ მკვლევარი რიგით მეორე გზის დახასიათებისას ყოველგვარი კომენტარების გარეშე ასახელებს სტორის ხეობაზე, თორღვას აბანოს მიმართულებით თუშეთისაკენ მიმა-

---

[35] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან... გვ. 37.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 32—37; მისივე, თუშეთის ტერიტორიული განსახლება და ჩეჩენ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე“, № 2, 1972.

ვალ გზას. მკვლევარი ამ გზას. ჩვენი აზრით, არ უნდა შეხებოდა, რადგანაც XVI—XIX საუკუნეებში, რომელ პერიოდსაც მისი გამოკვლევა ეხება, იგი არ არსებობდა.

აღნიშნული შრომა მოიგებდა, ავტორს რომ მკითხველისათვის მოეთხრო არა მარტო ქაჩუსა და ქერიგოს გადასასვლელებზე, არამედ სხვებზეც და ამ სხვა უღელტეხილებით დამაკავშირებელი გზების ავკარგიანობაზეც. მაშინ გასაგები გახდებოდა, რომ მგზავრს თუშეთიდან შეეძლო ჩეჩენ-ინგუშეთში გადასულიყო არა მარტო ქერიგოსა და ქაჩოს უღელტეხილებით, არამედ აწუნტის, ტებულოს, უყერეჩოს, დანოს მთისა და ლაშქრის მთის გადასასვლელებითაც.

მართალია, ა. შავხელიშვილი ახსენებს ზოგიერთ ამ უღელტეხილსაც, მაგრამ მათი განხილვა-აღწერისაგან თავს იკავებს, რადგან ისინი ნაკლებად ყოფილან გამოყენებულნი, როგორც ძნელად სავალი გზები. „ეს უკანასკნელნი, — წერს მკვლევარი, — პირიქითი თუშეთის სხვადასხვა მასივიდან უერთდებიან ჩეჩნეთის მთიან ზოლს და მათი დანიშნულება შედარებით ნაკლებია“[37]. შემდგომ აღნიშნავს: „ერთ დროს, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე ეს საცალფეხო ბილიკები დღეს მოკლებულია ყოველგვარ ყურადღებას“[38].

ე. წ. მეორეხარისხოვანი გზებია შემდეგი:

1. სოფ. ჩიღოს ხაადან ჩრდილოეთის მიმართულებით მიდის კარგი საცხენე გზა, რომელიც გაივლის ლაშქრის ვაკეს — ლაშქრის მთასა და მის უღელტეხილს, ჩაეშვება არღაბუს დაყუდებულ ხეობაზე, აღმოსავლეთით ჩაუვლის აძალოს გორს, ჩავა დაბლა არღაბუს ხევში და კვლავ ამავე ხეობით საკმაოდ კარგი საცხენე გზით მივა ქისტების პირველ სოფელ ხულანტში. ეს გზა ახლაც მოქმედებაშია, რადგან არღაბუ-ხულანტის მხარეზე საზაფხულოდ თუშები გადადიან ცხვრის ფარებით და მთელი ზაფხულის განმავლობაში იქ არიან. ყველ-მატყლი და სხვა სამეცხვარეო ბარგიც ცხენებითა თუ სახედრებით ამ გზით გადმოაქვს ჩიღოს ხააში, ხოლო იქიდან — კახეთის ბარში.

ამ გზით უმთავრესად სარგებლობდა დიკლო-შენაქოსა და ჩიღოს

---

[37] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 37.

[38] ი ქ ვ ე.

მოსახლეობა, რადგან ტერიტორიულად ისინი იყვნენ მასთან ახლოს. სანამ დიკლოელი და შენაქოელი ქაჩუს ან ქერიგოს უღელტეხილთან მივიდოდა, ის უკვე ჩიღოს ხაა-არღაბუს გზით ხულანტაში გადავიდოდა, იქიდან კი სრულიად ადვილად დაუკავშირდებოდა ბარის ქისტეთს და მათ სოფლებს.

ეს გზა აკავშირებდა თუშებსა და ქისტებს ლაშქრის მთაზე არსებულ საზიარო ხატთანაც. თუშებისა და ქისტების ჯვარიონი თურმე აქ ერთად იკრიბებოდა ყოველგვარი დაპირისპირება-წინააღმდეგობების გარეშე, ლოცულობდა საერთო ხატს. სოფ. ჩიღოში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, ერთხელაც აქ, ამ ხატში, თუ ძები და ქისტები ერთიმეორეს დარევიან, უხოციათ ერთმანეთი, რის შემდგომაც გათიშულან და ამ საზიარო ხატსაც შეუწყვეტია არსებობა. თუშებს იქიდან ხატის ნიში წამოუღიათ. სოფ. ჩიღოს ჩრდილო დასავლეთით მდებარე მთაზე აღუმართავთ ბაზილიკა და დღეობაც დაუარსებიათ, რომელსაც თუშები ლოცულობენ და ჩიღოს თაობა-ქავთრის მთის წმინდა გიორგის ჯვარს უწოდებენ. ამ ხატობის დროს (ეს საღოცავი პირდაპირ უყურებს ლაშქრის მთას, სადაც იგი თავდაპირველად ყოფილა) მოხუცი თუშები იხსენებდნენ იმ ბრძოლას და პირველ რიგში იქ დახოცილთა შესანდობარს სვამდნენ. ამ ცერემონიალს პირადად რამდენჯერმე დავსწრებივარ. ლაშქრის მთაზეც ვყოფილვარ და იქ მოპოვებული ისრისა და შუბის ბუნიკების სიუხვე ადასტურებს, რომ ოდესღაც აქ დიდი ბრძოლა უნდა ყოფილიყო.

2. მომდევნო გზა იწყება სოფ. დანოდან, აუყვება ჩრდილოეთით დანოს მთას, გადავა ამავე მთის უღელტეხილზე და ჩავა ქისტების პირველ სოფელ სამტყუში. ეს საცხენე გზა ყოფილა და უმთავრესად სარგებლობდნენ თურმე სოფლების: დართლოს, დანოს, ჭეშოსა და კვავლოს მცხოვრებნი. ამ გზას დღესაც იყენებენ.

3. უყერეჩოს ანუ შუა ყელის გადასასვლელს ჭეშო-გირეველი მოხუცები ქერიგოსთან ერთად ასახელებენ და რაიმე სხვაობას მათ შორის არ აღნიშნავენ[39]. ორივე გზა გადიოდა ხილდიხარის ხეობაზე და უკავშირდებოდა ითონხალს.

4. ტებულოს უღელტეხილი ქერიგო-შუა ყელის სიახლოვესაა და იწყება სოფელ ჭონთიოდან, გაივლის ჯვაჯიდს და მისი შუა ადგილიდან გადადის ქისტეთის მხარეზე — სოფელ ტებულოში, ხოლო შემ-

[39] ღუზარაული კობა დავითის ძე, სოფ. გირევიდან, დაბად. 1880 წელს, ღუზარაული ანდრო დავითის ძე, სოფ. გირევიდან, დაბ. 1900 წელს და სხვა.

დგომ იმავე ხილდიხარის ხეობით ჩადის ითონხალში. ეს გზაც საცხენე ყოფილა და მასაც იყენებდნენ თუშები და ქისტები.

5. აწუნტის უღელტეხილი გირევისა და ჭონთიოს სამხრეთ-დასავლეთითაა და მდებარეობს ქერიგო, უყერეჩოსა (შუა ყელის) და ტებულოს გადასავლელების განფენილობაზე. აწუნტით თუშები უკავშირდებოდნენ როგორც ხევსურეთსა და ფშავს, ისე ქისტეთსაც.

ეს გზა იწყება სოფ. ჭონთიოსთან, გაივლის კვაკიდს და აწუნტაზე გადასვლით უკავშირდება ქისტების პირველ სოფელ მითხუს.

თუშეთ-ჩეჩენ-ინგუშეთს შორის დამაკავშირებელი გზებიდან მოხუცი თუშები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქერიგოსა და უყერეჩოზე (შუა ყელზე) გადასავლელ გზებს, რადგან ორივე უღელტეხილი მათი მდებარეობის გამო თოვლითა და ყინულით ნაკლებად იფარებოდა. მხოლოდ ამ გზებით შეიძლებოდა ქისტეთში გადასვლა ზამთარში. რაც შეეხება დანარჩენ გზებს, ყველა მათგანი ინტენსიურად იყო გამოყენებული ზაფხულში და საცხენე გზებად ითვლებოდა [40].

გ) თუშეთზე გამავალი საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ერთი გზის საკითხისათვის

XVII საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში შაჰ-აბასის შემოსევებმა და აღზევებულ ქართველ რეაქციონერ ფეოდალთა საქმიანობით შექმნილმა ვითარებამ წინ წამოსწია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის როლი და ავტორიტეტი. ქართლ-კახეთში დატრიალებულ ამბებს შედეგად მოჰყვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაქცევა და ირანის შიდა პროვინციებში — ისპაჰანსა, მაზანდა-რანსა და ფერეიდანში გასახლება, ქვეყნის აოხრება და ნგრევა. თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, მტრისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, ბარის მცხოვრებლებმა მთას შეაფარა თავი. ამის შედეგად თუშეთი, ფშავი და ხევსურეთი უფრო ხალხმრავალი გახდა, განმტკიცდა და გაძლიერდა. იგი XVII ს-ის 30-იანი წლებიდან აქტიურად ებმება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[40] ძმები კობა და ანდრო ოუზარაულები (სოფ. გირევიდან); ილობო ხევდეგაიძე (სოფ. დართლოდან); სამსონ ნავგურაიძე, დაბად. 1890 წ. (სოფ. დართლოდან); რევაზ ხაჩიძე, დაბ. 1893 წ. (სოფ. შენაქოდან), არჩილო იპირაული, დაბად. 1895 წ. (სოფ. ომალოდან).

სვიმონ II ქართლის მეფისა და ზურაბ არაგვის ერისთავის მოცილების შემდგომ საგრძნობლად გაუმჯობესდა თეიმურაზ პირველის მდგომარეობა, იგი ქართლსაც დაეუფლა და გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ გვევლინება. მაგრამ თეიმურაზის წარმატებები მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ირანის ახალი მბრძანებელი შაჰ-სეფი აქტიურად ჩაება საქართველოს საქმეებში. მას არ მოსწონდა თეიმურაზის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და მათი შედეგები. კერძოდ: იგი ყველაზე მეტად განარისხა თურმე სვიმონ ქართლის მეფის მკვლელობამ და თეიმურაზის მიერ კვლავ ქართლის დაჭერა-შემოერთებამ, რის გამოც „შაჰ-სეფიმ ქართლის მეფედ 1632 წელს როსტომი გამოგზავნა“ [41].

წერილობითი ძეგლებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზი შაჰ-სეფის ხსენებულ ღონისძიებებს აქტიურად ვერ გადაეღობა. ქართლის ფეოდალთა ანგარიშგასაწევი ნაწილის აშკარა ღალატმა, რომელთაც თეიმურაზი, როგორც კახელი, ქართლის დამპყრობლად მიაჩნდათ და მეფედ არც სცნობდნენ [42], სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა თეიმურაზის პოლიტიკის კრახი და ქართლ-კახეთიდან იმერეთში გადახვეწა. აღნიშნულის შესახებ წერს თურქი ისტორიკოსი ნაიმა: „ირანის შაჰმა ლაშქარი გაგზავნა საქართველოში. თეიმურაზმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სხვა მხარეს გადაიხვეწა“ [43]. ამასვე ამბობს ფარსადან გორგიჯანიძეც: „თეიმურაზს გაუწყრა ყაენი და საქართველო მეფეს როსტომს მისცა და სააკაძე როსტომ ხანს ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყაენს ახლდნენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს“ [44].

1632 წლიდან ქართლი როსტომს დარჩა, ხოლო კახეთი — სელიმ-ხანს. თეიმურაზი გააძევეს, მაგრამ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა მაინც არ დამყარდა. როსტომის მიერ დათუნა არაგვის ერისთავის მოტყუებით მოკვლამ და საერთოდ მისმა ხშირ-ხშირმა მიხდომამ ამა თუ იმ ფეოდალთა კარ-მიდამოზე, დიდად გაართულა ქვეყ-

---

[41] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1965, გვ. 381.

[42] ფარსადან გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, იხ. საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 238.

[43] ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 363.

[44] ფარსადან გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 239.

ნის მდგომარეობა. როსტომ მეფე ცდილობდა, რომ გამდგარი არაგვის საერისთავო დაემორჩილებინა და თავის სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, პირიქით, ზაალ არაგვის ერისთავი დაბეჯითებით უთვლიდა თეიმურაზ მეფეს — „მოდი და გაგაბატონებო“ [45]. არაგვის ერისთავს ქსნის ერისთავიც ამოუდგა მხარში. არაგვისა და ქსნის საერისთავოებიდან გამოყვანილი მეომარი ძალებით თეიმურაზმა 1634 წელს კახეთზე გაილაშქრა, სელიმ-ხანი განდევნა იქიდან „და დაიჭირა კახეთი“ [46].

1634 წლიდან კახეთის სამეფო ტახტზე დაბრუნების შემდეგ თეიმურაზისათვის უფრო აშკარა გახდა, რომ თურქეთ-ირანის და დაღესტნელი ფეოდალების მოძალების პერიოდში ქვეყნის ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის აქტიური დახმარებით. თეიმურაზი და მისი თანამებრძოლნი სწორად აფასებდნენ შექმნილ ატმოსფეროს. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს მიზნის მიღწევაში ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ „რუსეთის სახელმწიფოსთან დასაკავშირებელი გზები სხვის ტერიტორიაზე გადიოდა, ხოლო ეს სხვისი ტერიტორიები უმეტეს შემთხვევაში თურქთა, სპარსთა ან ყირიმელ თათართა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა“ [47].

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, თეიმურაზ მეფემ შეძლო 1635 წელს მოსკოვის სამეფო კარზე გაეგზავნა ნიკიფორე ბერძენი, „რომელიც იმ ხანად საქართველოში იყო და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა“ [48].

თეიმურაზ მეფემ ელჩის ხელით რუსეთის ხელმწიფეს მიხეილ თეოდორეს ძეს ვრცელი წერილი გაუგზავნა. იგი მიხეილ მეფეს ატყობინებდა, რომ დიდი ბრძოლების შედეგად მოახერხა ქართლისა და კახეთის გაერთიანება. მაგრამ მისი შემდგომი არსებობა და ქართველი ხალხის გადარჩენა რუსეთის მფარველობისა და აქტიური დახმარების გარეშე წარმოუდგენელი არისო. ქართლ-კახეთის ყველაზე სა-

---

[45] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 419.

[46] იქვე.

[47] ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 173.

[48] მ. პოლიევქტოვი, თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, თბ., 1928, გვ. 6.

შიშ მტრად იგი ლეკებს აცხადებდა. თეიმურაზი სწერდა, რომ ადრე ლეკები საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდნენ, ისინი ვერ ბედავდნენ ქართველების წინააღმდეგ გამოსვლებს. მაგრამ ქართლ-კახეთში ირანის შემოსევებით შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ მათ ხელფეხი გაუხსნა და განუკითხავად გვესხმიან თავსო. იგი რუსეთის ხელმწიფეს ლეკების ალაგმვაში სათანადო დახმარების აღმოჩენას სთხოვდა. და თუ მათი გაერთიანებული ძალებით ლეკების დამორჩილება ვერ მოხერხდებოდა, მაშინ კვლავ გაექრისტიანებინათ ლეკები და ამ გზით ჰყოლოდათ მორჩილებაში. აღნიშნულთან ერთად, თეიმურაზ მეფე რუსეთს ატყობინებდა, რომ ჩრდილო კავკასიის მთიელები — ოსები, ქისტები და სხვები, რომელნიც რიცხვით 80 ათას კომლამდე არიან, ადრე ქრისტიანები იყვნენ და საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდნენ. სანამ ისინიც ლეკებივით მტრის ბანაკში არ გადასულან და მთლიანად არ გამაჰმადიანებულან, ქრისტიანობა აღვუდგინოთ და ჩვენი მორჩილნი გავხადოთო [49].

მართალია, მაშინ რუსეთს პრაქტიკულად არ შეეძლო საქართველოს დახმარებოდა, იგი სხვა საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ ის მაინც შეუდგა ქართლ-კახეთის ელჩის მიერ საქართველოს შესახებ ჩამოტანილი ცნობების შესწავლას. მოსკოვის სამეფო გაეცნო სათანადო მასალას, ცნობებს საქართველოს შესახებ და დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა ისეთ ქვეყანასთან, სადაც რუსეთისათვის საჭირო საქონელი: აბრეშუმი, ბავერდი, ფარჩა უსვად მოიძებნებოდა [50]. გადაწყდა ელჩობის გამოგზავნა საქართველოში.

რუსეთის სამეფო კარმა სასწრაფოდ და საგულდაგულოდ შეადგინა საქართველოში გამოსაგზავნი ელჩობა. ელჩობის შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო: მასში შედიოდნენ თარჯიმნები, აღმწერელი დიაკები და სასულიერო პირები, რომელთაც ქრისტიანული საქმეების მოგვარება ევალებოდათ საქართველოში. ხსენებულ ელჩობას რუსეთის სახელმწიფომ სათავეში ჩაუყენა თევდორე ვოლკონსკი და არ-

---

[49] М. Броссе, Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими Государями от 1639 по 1770 г., САБ 1861, стр. XXVIII; М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), 1937, стр. 108—120; ნ. ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, 1973, გვ. 28—30.

[50] М. Полиевктов, стр. 159—161.

ტემ ხვატოვი. რუსეთის დესპანები საქართველოსაკენ გამოემგზავრნენ 1637 წლის გაზაფხულზე. ისინი უკვე 1637 წლის 28 სექტემბერს ასტრახანიდან გამოვიდნენ და 10—11 ოქტომბერს თერგის ციხე-სიმაგრეს მოადგნენ[51]. ელჩებმა თერგამდე მშვიდობიანად იმგზავრეს. მაგრამ თერგში მოსვლის შემდეგ მათთვის ნათელი გახდა, რომ დარიალზე გავლით ისინი საქართველოში ვერ შემოვიდოდნენ, რადგან ერისთავსა და თეიმურაზ მეფეს შორის მტრული დამოკიდებულება სუფევდა: «Обычным путем, через Дарьял идти было нельзя в виду разрыва отношений между Теймуразом и Эриставом арагвинским»[52].

თერგში გაჩერებული ნიკიფორე ბერძენი და რუსი ელჩები თეიმურაზ მეფეს უკავშირდებიან და კახეთში გადმოსასვლელი გზის გამონახვას სთხოვენ[53].

კახეთის სამეფო კარი თუშეთიდან ყაბარდო-ჩერქეზეთ-ჩეჩენ-ინგუშეთისაკენ გადასასვლელი გზებით ამყარებს თერგში გაჩერებულ ელჩებთან ურთიერთობას და ამავე გზით ჩამოყავს ისინი საქართველოში. „მე-17 საუკუნეში ასეთ ნიადაგზე წარმოშობილ დაბრკოლებათა გამო პირველად გვხვდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საარქივო მასალებში თუშეთის... შესახებ საინტერესო ცნობები“[54].

ასეთ რთულ ვითარებაში ჩავარდნილი თეიმურაზი სასწრაფო ღონისძიებებს ღებულობს იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირი დაამყაროს ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის მთის ხალხებთან, რათა რუსეთის ელჩობა უვნებლად გადმოიყვანოს ჯერ თუშეთში, ხოლო შემდეგ — კახეთის სამეფო კარზე. თეიმურაზმა შეძლო ამ საქმის მოგვარება. იგი მთის რამდენიმე მფლობელს შეუთანხმდა და ელჩების საქართველოსაკენ გამოშვების რწმუნება მიიღო.

გზა, როგორც ეს ... რუსეთის ელჩები თუშეთში გადმოვიდნენ, ...

Мурза послом говорил, что приказывал — де к нему Теймураз царь, с азнауры своими, которые были на Терке, чтоб нам Ц-ого в-ва послом итти от него Мундара на Хавсу, а с Хавсы на Туси кабаками разных владельцов. А в Тусех де в Кесарских горах стоит он Теймураз царь с ратными людьми для встречи вас послов» [55].

თეიმურაზ მეფემ თერგში რამდენჯერმე აცნობა ელჩობას, რომ ისინი თუშეთის მიმართულებით წამოსულიყვნენ. ელჩები თეიმურაზ პირველის მიერ დასახელებული გზის შესწავლას შესდგომიან და თან წამოსასვლელად მომზადებულან. მაგრამ, სანამ ისინი თერგიდან გამოემგზავრებოდნენ, თეიმურაზმა ახალი მეგზურები გაუგზავნა, თვითონ კი საგანგებოდ შეიარაღებული რაზმის თანხლებით ჯერ თუშეთში, შემდეგ კი ქისტეთ-ჩეჩნეთში გადავიდა. თეიმურაზს ქისტ-ჩეჩნებში, როგორც თვითონ წერს, დიდი სიძნელეები არ შეხვედრია. ისინი დათანხმდნენ თეიმურაზ მეფეს, რომ მათ ტერიტორიაზე გამოვლით თუშეთში გადმოეყვანა რუსეთიდან წამოსული ელჩობა. ქისტების ასეთ დამოკიდებულებას ქრისტიანებისა საერთოდ და კერძოდ ქართველებისადმი თეიმურაზი ხსნის მათში ჯერ კიდევ არსებული ქრისტიანული საწყისების ნაშთებით (ეკლესიები, ჯვრები, ზარები, ხატები) და ქისტების პატივისცემით ქრისტიანული სამყაროსადმი [56].

ქისტებთან ერთად თეიმურაზის მხარეს არიან ჩრდილო-კავკასიის სხვა მთიელებიც. აღნიშნულ ელჩობასთან დაკავშირებულ მასალებში მოხსენიებულია „მუნდარი“ და „ხავსი“.

როგორც საქმიდან ჩანს, მუნდარი ანუ მუცალი და ხავსა თეიმურაზის პოლიტიკას უჭერენ მხარს და არიან ჩრდილო კავკასიის, კერძოდ ყაბარდო-ჩერქეზეთის, მფლობელები. ისინი ხელშემწყობ პირობებს უქმნიან ელჩებს და ცდილობენ უხიფათოდ ამგზავრონ საქართველოს საზღვრებამდე.

თეიმურაზ მეფემდე მეგზურებად და მფარველებად ელჩებს გამოუყვნენ მუნდარ ალკასოვის ვაჟი ყაზი და რამდენიმე უზდენი. 1638 წლის 5 აგვისტოს ელჩები მოვიდნენ იქ, სადაც თეიმურაზ მეფე იდგა და გაჩერდნენ მთაზე ისე, რომ თეიმურაზთან არ მისულან. ყაზი მუნ-

---

[55] М. А. Полиевктов, Материалы... стр. 248.

[56] М. Броссе, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

დაროვი და მისი თანმხლები პირები თეიმურაზმა უკან გამოუშვა[57].

თეიმურაზ მეფემ ელჩები მოამარაგა ცხენებით და სხვა აღჭურვილობით და 6 აგვისტოს გაუდგნენ გზას საქართველოსაკენ. იმავე დღეს თუშეთამდე მოაღწიეს. ელჩებმა ღამე თუშეთის ერთ-ერთი სოფლის სიახლოვეს გაათენეს (სოფელს არ ასახელებენ) და თუშების ვინაობის, ყოფა-ცხოვრების, სარწმუნოებისა და სამეფო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების შესახებ დაიწყეს გამოკითხვა. ელჩების ჩანაწერები თუშეთის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის[58].

მეორე დღეს, 7 აგვისტოს, ელჩებმა გზა განაგრძეს. როგორც მოხსენებაში ვკითხულობთ, მათ გადალახეს თოვლიანი მთა და გაათენეს ისე, რომ ვერ მივიდნენ კესარის მთებამდე, სადაც მეფე იყო დაბანაკებული. გზას მხოლოდ 9 აგვისტოს გაუდგნენ, მათ გაიარეს ქვიანი გზა, შეჩერდნენ ღამის გასათევად. 10 აგვისტოს მივიდნენ სოფ. მირჩასთან და მის ახლოს დაბანაკდნენ[59]. 11 აგვისტოს გადავიდნენ მთებზე, გაიარეს თუშეთის სოფლები; 12 აგვისტოს ელჩობა ჩავიდა სოფ. ლოპანტისში (село Лопантис), თეიმურაზი ელჩებს პირისპირ მხოლოდ აქ შეხვდა[60].

ამრიგად, დიდი შრომისა და წვალების შედეგად რუსეთის ელჩობა მშვიდობიანად ჩამოვიდა ბარში — პანკისის ხეობაში.

მართალია, თერგიდან პანკისის ხეობამდე ელჩების მიერ გამოვლილი გზა ზუსტად არ არის აღწერილი, მაგრამ მიახლოებით მაინც ხერხდება მარშრუტის დადგენა. შედარებით უფრო რთული დასადგენია, თუ რომელი გზით წამოვიდნენ ელჩები და მეფის ამალა თუშეთიდან პანკისამდე. თუმცა პროფ. ი. ცინცაძეს ხსენებულ ნაშრომში მოტანილი აქვს მარშრუტი: „სოფ. ომალო, ბაწარის ხეობა, ტბათანას ქედი, მასარის ქედი, ბორბალოს მთის დასავლეთი კალთები, სოფ. ანდაკი, სოფ. შატილი და ნასოფლარი ლოპატა“[61].

---

[57] М. Полиевктов, Материалы... стр. 252.

[58] იქვე, გვ. 253—255.

[59] იქვე, გვ. 254.

[60] იქვე, გვ. 255.

[61] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176 (ცნობა აღნიშნული გზის შესახებ ი. ცინცაძისათვის, როგორც თვითონ შენიშნავს, მიუწვდია დოც. ირაკლი მათურელს).

დასახელებული მარშრუტით რუსი ელჩები თუშეთში ვერ მოხვდებოდნენ. „ბორბალოს მთის დასავლეთი კალთების“ გავლით ხევსურეთისაკენ მივდივართ და არა თუშეთისაკენ.

თუშეთის პირიქითის თემის ჩრდილო დასავლეთის მხარეზე ქისტეთში გადასასვლელად ოდითგანვე გამოყენებული ყოფილა ქაჩუს, ქერიგოს, უყერეჩოს (შუა ყელის), ტებულოს, აწუნტისა და დანოს მთის უღელტეხილები. ქერიგოს, უყერეჩოს, აწუნტას და ტებულოს გადმოსასვლელებით მგზავრი გადმოდის სოფ. ჭონთიოში, ხოლო ქაჩუს უღელტეხილით სოფ. ფარსმაში. როგორც ჭონთიო-გირევი-ფარსმა-ჭეშოს უხუცესი თუშები გადმოგვცემენ, ყველაზე საიმედო უღელტეხილებად ითვლებოდა ქერიგო და უყერეჩო და შემდგომ ქაჩუ. ქერიგო და უყერეჩო ზამთარშიც კი არ იკეტებოდა თურმე. ეს ორივე გადასასვლელი და მათი გზები თანაბარი მნიშვნელობისანი ყოფილან. სამივე გადასასვლელით თუშეთი უკავშირდებოდა ხილდიხარ-სამტყუ-ჰაჩაროს ხეობებით ითონხალს, როგორც იქითა მხარის უმთავრეს ადმინისტრაციულ ცენტრს. ითონხალში მოსულ ელჩობას თუშეთში გადმოიყვანდნენ ქერიგოს, უყერეჩოს ანდა ქაჩუს უღელტეხილებით [62].

დღეისათვის, რა თქმა უნდა, თუშეთიდან კახეთისაკენ ელჩების ზუსტი მარშრუტის დადგენა ძნელია, მაგრამ, უნდა დავძინოთ, რომ რაკი ელჩები თუშეთში ჩეჩენ-ინგუშეთის მხრიდან მიემართებოდნენ, ისინი აუცილებლად თუშეთის პირიქითის საზოგადოებაში გადმოვიდოდნენ. აქედან მათ შეეძლოთ გზა აღმოსავლეთისაკენ გაეგრძელებინათ და ჩაღმის ან გომეწრის საზოგადოებიდან კახეთის ბარისაკენ წასულიყვნენ. მაგრამ, როგორც ვოლკონსკი აღნიშნავს, ისინი ერთი დღე-ღამე გაჩერებულან თუშეთის პირველ შემხვედრ სოფელთან და მეორე დღეს, ე. ი. 7 აგვისტოს, თოვლიანი მთის გადავლით კურსი კახეთის ბარისაკენ აუღიათ [63]. მოტანილი ცნობის მიხედვით, თუშეთიდან ელჩებს კახეთისაკენ ექვსი გზით შეეძლოთ წამოსვლა:

1. სოფ. გირევი-ლაროვანი-ალაზნისთავი, საყორნე-წიფლოანი-მა-

---

[62] ღ უ ზ ა რ ა უ ლ ი ანდრო დავითის ძე, დაბად. 1900 წელს, სოფ. გირევში, ხვედაგაიძე ელიბო გიორგის ძე, დაბ. 1903 წელს სოფ. დართლოში, ელანიძე აბრამ თევდორეს ძე, დაბ. 1901 წელს სოფ. ჩიღოში ჩავიწერე 1978 წლის 18 თებერვალს.

[63] М. А. П о л и е в к т о в, Материалы... стр. 254.

სარა-რკინის მთა-საქისტო-ტბათანა-წინაგორი-ბაწარა-ძიბახევი-ბირკიანი-ჯოყოლო-დუისი.

2. სოფ. ჭოხთიო-თურსიეხი-ჯვაჯიდი-ალაზნისთავი-საყორნე-წიფლოანი-მასარა-რკინის მთა-საქისტო-ტბათანა-წინაგორი-ბაწარა-ძიბახევი-ბირკიანი-ჯოყოლო-დუისი.

3. სოფ. ჭონთიოდან ან სოფ. ფარსმიდან სოფ. ჭონთიო-ნაყაიჩოს უღელტეხილი-სოფ. დადიკურთა-სოფ. ჯვარბოსელი-სოფ. ვაკისძირი-სოფ. ვესტომთა-სოფ. ვესტმო-ორწყალი-სამცორნოს ცერი-დიდგვერდი-კართიანის ცერი-ნაბრძოლი-ნაქერალა-საქისტოს გორი-სოფ. ლოპანტისი.

4. სოფ. ჭონთიო-სოფ. გირევი-ფარსმა (უკეთ, მის დაბლა, პირიქითის ალაზნის მარცხენა ნაპირზე გავლით) -ნაყაიჩოს უღელტეხილი-სოფ. დადიკურთა-სოფ. ჯვარბოსელი-სოფ. ალისგორი-ჯავახე-საქინჯვრის ხევი-დიდოთ ღელე-საკერპოს მთა-მიჯნის ხევი-ალაზნის თავი-საყორნის გადასასვლელი-წიფლოვანის ხევი-ტბათანა-წინაგორი-ბაწარა-ძიბახევი-ბირკიანი ჯოყოლი-დუისი.

5. სოფ. ფარსმა-ნაყაიჩოს უღელტეხილი-სოფ. დადიკურთა-სოფ. ჯვარბოსელი-სოფ. ბეღელა-სოფ. დოჭუ-სოფ. გოგრულთა-სოფ. საჩიღოლო-ორწყალი-სამცორნოს ცერი-დიდგვერდი-კართიანის ცერი-ნაბრძოლი-საქისტოს გორი-სოფ. პანკისი.

6. სოფ. ფარსმა-ნაყაიჩოს უღელტეხილი-სოფ. დადიკურთა-სოფ. ჯვარბოსელი-სოფ. ალისგორი-ჯავახე-საქინჯვრის ხევი-დიდოთ ღელე-ბთა საკერპო-მიჯნის ხევი-ალაზნის თავი-საყორნის გადასასვლელი-წიფლოვანის ხევი-ტბათანა-წინაგორი-ბაწარა-ძიბახევი-ბირკიანი-ჯოყოლო-დუისი.

თუ ელჩები ქაჩუს უღელტეხილით გადმოვიდოდნენ სოფ. ფარსმაში, მაშინ მათი ჩამოყვანა კახეთის ბარში შეიძლებოდა პირველად დასახელებული ორი გზის საშუალებითაც; ფარსმიდან წავიდოდნენ გირევ-ჭონთიოს მიმართულებით, იქიდან კი ერთ-ერთ გზას აირჩევდნენ.

თუშეთსა და კახეთის ბარს მხოლოდ ეს ექვსი გზა როდი აკავშირებდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვეხებით მხოლოდ იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა რუსი ელჩობა, თეიმურაზ მეფე და მისი დიდი ამალა პანკისის ხეობაში ჩამოსულიყვნენ.

აღნიშნული გზებიდან ყველაზე უმოკლესი პირველი ორი გზაა. მაგრამ. როგორც ეტყობა, ელჩები ამ გზებით არ წამოსულან. ამ გზებით რომ წასულიყვნენ, ისინი 11 აგვისტომდე თუშეთში ვეღარ დარჩებ-

ღნენ, 8 აგვისტოს უკვე დატოვებდნენ თუშეთის საზღვრებს და კახეთის ბარის მხარეს გადავიდოდნენ. ელჩების საანგარიშო მოხსენებიდან კი ვკითხულობთ, რომ მათ მხოლოდ 11 აგვისტოს დაუტოვებიათ თუშეთი და კახეთისაკენ წამოსულან: „Август в II де перешли горы каменные и деревни тушской земли»[64].

12 აგვისტოს ელჩები და მათი თანმხლები ამალა კახეთში, სოფ. ლოპანტისში ჩამოსულან. გომეწრის საზოგადოების უკანასკნელი სოფლიდან, რომლის სახელსაც ელჩები გვთავაზობენ — „Мирча“ [65], ელჩები ორ დღეში მშვიდობიანად ჩამოსულან სოფ. ლოპანტისში.

მოხუცი თუშების თქმით დასტურდება, რომ რევოლუციამდელ საქართველოს ბარსა და თუშეთს შორის დამაკავშირებელი გზებიდან ყველაზე მთავარი იყო ე. წ. „ნაქერალის გზა“. თუშეთის ყველა საზოგადოების მამაკაცები ყოველ წელიწადს გამოდიოდნენ ამ გზის შესაკეთებლად. სახელმწიფოც ამ გზას აქცევდა ყურადღებას. თორღვას აბანოს გზის გაყვანამდეც ნაქერალის გზა იყო საქართველოს ბარსა და თუშეთს შორის ურთიერთობის უმთავრესი გზა[66]. მოხუცი თუშებისაგან ისიც აღინიშნება, რომ თუში მეცხვარეები პანკისის ხეობიდან ადრიდანვე სარგებლობდნენ დასახელებული გზით. ისტორიული წყაროებით კი დასტურდება, რომ პანკისი, ლოკოტის ხეობა და ალვანის დიდი მინდორი ლევან კახთა მეფის (1518—1574 წწ) დროიდან თუშებს აქვთ გადაცემული მუდმივ სარგებლობაში[67]. ამდენად XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის პანკისის ხეობიდან თუშეთისაკენ მიმავალი ე. წ. „ნაქერალის გზა“ თუშების მიერ კარგად იქნებოდა ათვისებული. ეს ფაქტი კი კახეთის სამეფოსათვის საყოველთაოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, იმხანად თეიმურაზ მეფის მეუღლე და ვაჟიშვილი — დავითიც პანკისში ცხოვ-

---

[64] М. А. Полиевктов. Материалы... стр. 255.

[65] «Мирча» თუ რომელი სოფელი უნდა იყოს ვერ ვახერხებთ მის დადგენას. სოფლის სახელი იმდენადაა დამახინჯებული, რომ თუშეთის არც ერთ სოფლის სახელს არ უახლოვდება.

[66] ეგნატე ალიევი. სოფ. გოგრულთიდან გომეწრის თემი, დაბ. 1893, დიმიტრი ბუქვაიძე, სოფ. შენაქოდან, ჩაღმის თემი, დაბად. 1890, აბრამ ელანიძე, სოფ. ჩილო, დაბად. 1901; ჩავიწერეთ 1977 წელს.

[67] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 573.

რობდნენ და მეფეს და ელჩებს ელოდებოდნენ[68]. მეორეც, თეიმურაზ მეფეს თუშეთში ერთხანობას ქალიშვილი და ვაჟიც ჰყოლია გადამალული[69], და, რაც მთავარია, თვით თუშეთში ასულ თეიმურაზ მეფეს, მის ამალას და რუსეთის ელჩებს მეგზურობას თუშები გაუწევდნენ და თუშები კი მათ წამოიყვანდნენ ყველაზე საიმედო გზით.

მოცემულ პერიოდში მე-4 გზა თუშებს იშვიათად ექნებოდათ გამოყენებული, რადგან ალაზნისთავ-ტბათანის მიმართულებით უმთავრესი ადგილები ფშავლებს ეკუთვნოდათ, გზაც ძირითადად ფშაველთა მიწა-წყალზე გადიოდა. ბუნებრივი წინააღმდეგობების გამოც ეს გზა დიდად სახარბიელო არ იქნებოდა.

მე-3 და მე-5 გზები კი მგზავრებს წამოიყვანდა ყველაზე საიმედო ე. წ. „ნაქერალ-დიდგვერდის“ ანდა „სათუშო გზით“, რომელიც თუშეთ-საქართველოს ბარის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალად ითვლებოდა XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე.

ნაქერალის გზით ელჩების კახეთის ბარში ჩამოყვანის თაობაზე ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ვფიქრობთ, იმანაც უნდა დაუჭიროს მხარი, რომ სოფ. დოჭუში, რომელიც აღნიშნული მაგისტრალის ერთ-ერთი უმთავრესი სოფელია, ადრიდანვე ინახებოდა თამარ მეფისა და თეიმურაზის მიერ ამ სოფლის ჯვარ-ხატებისათვის შემოწირული ორი ვერცხლის თასი[70].

სოფლის მოსახლეობას დაბეჯითებით სცოდნია, რომ ოდესღაც თეიმურაზ მეფე სოფ. დოჭუში ყოფილა და ღამეც კი გაუთევია. იქნებ ეს სიახლოვე მეფისა ამ სოფელთან იმითაც იყო გამოწვეული, რომ თავისი ქალ-ვაჟი ადრე აქ ჰყავდა გამოხიზნული.

პროფ. ი. ცინცაძის დასაბეჭდებული ნაშრომის მიხედვით საქმე ისე წარმოგვიდგება, რომ თითქოს ელჩების ჩანაწერებში ეს სოფელი „Лопантис“ იმიტომ აღინიშნა, რომ „ხევსურეთზე და თუშეთზე გადმოსასვლელი გზა ახლაც არსებობს და ამ გზაზე სოფ. ლოპოტა ყოფილა“[71]. ი. ცინცაძისათვის ი. მათურელის მიერ მოწოდებულ

---

[68] М. А. Полиевктов, Материалы.., стр. 255.

[69] М. Броссе, Переписка... стр. 25.

[70] აღნიშნული თასები, როგორც ამ სოფლის მკვიდრები გადმოსცემენ, დაკარგულა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. ჯვარ-ხატთა საგანძური გაუძარცვავთ და მაშინ წაუღიათ. მთხრობლები: დანიელ ნაცვალაიძე, დაბ. 1915 წ სოფ. დოჭუდან, ვარლამ თორღვაიძე, დაბად. 1920 წელს, სოფ. დოჭუდან.

[71] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი... გვ. 176.

გზის მარშრუტში სოფ. ლოპოტა ხევსურეთშია. ვოლკონსკი კი წერს, რომ სოფ. „Лопантис“ მათ 11 აგვისტოს თუშეთიდან რომ წამოვიდნენ და 12 აგვისტოს კახეთში ჩამოვიდნენ, მაშინ ინახულეს: „Августа в 12 де пришли под село Лопантис“ [72].

როგორც ირკვევა, ახლანდელ პანკისის ხეობაში მაშინაც და მის შემდგომაც ყოფილა სოფელი პანკისი.

მაგალითად, დუისელები სოფ. ჯოყოლოს დღესაც „პენგიზ“-ს ეძახიან, რაც ქისტურად პანკისს ნიშნავს.

აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის აღწერის დავთრებში პანკისის ხეობაში ნაჩვენებია რამდენიმე სოფელი და მათ შორის: „ნაპანკისევი“ და „პანკისი“. აღწერის მიხედვით ესენი ცალ-ცალკე არსებული სოფლებია და სრულიად განსხვავებული გვარებია დასახელებული [73].

1797 და 1798 წლებში იოანე გიორგის ძე ბატონიშვილის მიერ ქართლისა და კახეთის სოფლების აღწერის დავთარშიც აღნიშნულია პანკისის ხეობა და სოფლები: პანკისი და ნაპანკისევი [74].

აკად. მარი ბროსე ეხება აღნიშნულ ელჩობას და „Лопантис“-ის შესახებ სქოლიოში შენიშნავს: „Пантис, или лучше Панкис“ [75].

ვოლკონსკის საანგარიშო მოხსენებაში რომ მართლაც სოფ. პანკისზეა საუბარი და არა ხევსურეთის სოფ. ლოპოტაზე, ისიც ადასტურებს, რომ ვოლკონსკი სოფ. „Лопантис“-ისა და მისი შემოგარენის დახასიათებისას ასახელებს მდ. ალაზანსაც, რა თქმა უნდა, მასაც დამახინჯებით — „Лозани“. „საკუთარი თუ გეოგრაფიული ქართული სახელების დამახინჯებას ხშირად ვხვდებით რუსულ წყაროებში. ეს დაძახიჯებაი იქცა ძეცდომების მიზეზად“ [76].

ხსენებული გზის შესახებ უზუსტობას ვხვდებით ა. შავხელიშვილ-

---

[72] М. А. Полиевктов. Материалы,. стр. 255.

[73] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, 1967, გვ. 65—66.

[74] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S₁, საქმე — 3729, გვ. 108; ფონდი Hd—1607; ფონდი H, საქმე—934, გვ. 763.

[75] М. Броссе. Переписка... стр. XXXI.

[76] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკ. მიჯნაზე, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1944, გვ. 7.

თანაც. ივი წერს: „ელჩები ომალო-აბანოს გავლით სოფელ ლალის-ყურში ჩასულან“ [77].

უნდა შევნიშნოთ, რომ XX საუკუნის 20—30-იან წლებამდე ე. წ. „აბანო-ომალოს გზა“ არ არსებობდა. ამ გზის მშენებლობა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ. მანამდე აბანო-სტორის ხეობაზე სამონადირეო ბილიკიც კი არ გადიოდა.

რუსთა ელჩების სამშობლოში დაბრუნების შემდგომ თეიმურაზს უცდია, რომ რუსეთს დაკავშირებოდა დიდოეთზე გავლით. დიდოეთ-დაღესტანი კი იმხანად კახეთის სამეფოს მტრობდა და მისგან გამდგარი იყო. საჭირო იყო რუსეთთან დამაკავშირებელი დიდოეთის გზის ძალით აღება. თეიმურაზს საგანგებო ლაშქრობა მოუწყვია დიდოეთზე: „მაშინ ბატონმა თეიმურაზ იზრახა, — წერს ბერი ეგნატაშვილი, — და განიგულა დაპყრობა დიდოეთისა და სწადდა იქიდამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ჯელმწიფისაგან და მუნითგან რუსის ჯარის მოსვლა, რამე თუ ესე იყო წადილი მისი. შეიყარა ჯარი და წარვიდა დიდოეთზედა. ენება მოქცევა დიდოეთისა და მიუკდა დიდოეთსა და აღიღო რომელიმე კოშკები და ალაგები“ [78].

თეიმურაზის წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. დიდოებმა ლეკები მოიმხრეს და თეიმურაზი სასტიკად დაამარცხეს: „ხოლო დიდოთა ითხოვეს შეწევნა ლეკთაგან... მოეშუელნენ ლეკნი დიდოთა და შემწე ეყვნენ და დაუხდენ სიმაგრეშია ბატონს თეიმურაზს, დაუშინეს საგორავები, ქვა და ისარი და ამოსწყვიტეს მრავალი და გამოაქციეს ბატონი თეიმურაზ, და რომელნიცა ჰყვანდა გამოჩენილი ეპისკოპოზნი, დარბაისელნი, ყოველნივე მუნ ამოსწყვიტეს“ [79].

---

[77] ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიალური განსახლება და ჩეჩენ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, ჟურნ. „მაცნე“, № 2, 1972, გვ. 52.

[78] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 421.

[79] იქვე, გვ. 421.

ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი[80], თავადი მიშეცკი[81] და არჩილ მეფე[82] არ მიუთითებენ, თუ რომელი მხრიდან და ან რომელი გზებით დაესხა თეიმურაზ მეფე დიდოეთს. მაგრამ, თუ ვავითვალისწინებთ დიდოეთისა და თუშეთის ტერიტორიის სიახლოვეს, თუშეთიდან დიდოეთისაკენ გადასასვლელ გზებს, უნდა ვიფიქროთ, რომ დიდოეთზე ლაშქრობისათვის კახეთის სამეფო ყადორის გადასასვლელთან ერთად თუშეთის ტერიტორიასაც გამოიყენებდა.

დიდოეთში თეიმურაზის ლაშქრობის შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არის გამოთქმული:

პროფ. ს. მაკალათია მიიჩნევს, რომ ეს სამხედრო ექსპედიცია კახეთში რუსთა ელჩების მოსვლამდე უნდა ჩატარებულიყო. ნარკვევში „ხევსურეთი" იგი აღნიშნავს: „ლეკები განსაკუთრებით მტრობდნენ მათ მოსაზღვრე თუშ-ფშავ-ხევსურებს, სძარცვავდნენ და აოხრებდნენ მათ სოფლებს და აქედან სათარეშოდ კახეთში გადადიოდნენ. დაღესტნის აშლილობის საფრთხეს თეიმურაზ I კარგად გრძნობდა და ლეკების დასამორჩილებლად და რუსეთის გზის გახსნის მიზნით ახლა თვით თეიმურაზმა გაილაშქრა დიდოეთში"[83].

ამის ნათელსაყოფად მკვლევარი იმოწმებს „საქართველოს ცხოვრებას": „განიზრახა თეიმურაზ შეხვლად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ჰყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგი. შემოკრებულითა კახითა შეუხდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკნი და მოსწვა დაბნები. არამედ დიდოთა მოიმჯნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა ისრითა და საგორავებითა, მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა და მასვე ჟამსა ცხენი თეიმურაზისა და მოწყვიტნეს მრავალნი კახნი, ივლტოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყველი: „ვაი დარბაისელ ეპისკოპოს მოწყვეტილსა": ქრკ. ტკ. (328) — 1630 წ."[84]

პროფ. ი. ცინცაძის მიხედვით, ეს ლაშქრობა აგრეთვე ჩატარებულია საქართველოში რუსეთის ელჩობის მოსვლამდე. იგი შენიშნავს:

---

80 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 377.

81 М. А. П о л и е в к т о в, Посольства князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-43 гг., Тиф., 1928, стр. 158.

82 ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი, ტ. II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1937, გვ. 88.

83 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1935, გვ. 36.

84 ი ქ ვ ე.

„თეიმურაზ მეფეს საკუთარი ძალებით უცდია ლეკეთის დაპორჩილება და რუსეთისაკენ მიმავალი გზის ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხებულა“ [85].

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, რომელსაც პროფ. ი. ცინცაძე ეყრდნობა, ეს ლაშქრობა მოწყობილა როსტომ მეფის მარიამ დადიანის ასულზე დაქორწინების შემდგომ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი როსტომი მარიამ დადიანზე დაქორწინებულა 1638 წელს. იგი წერს:

„...წამოიყვანა როსტომ მარიამ და მოვიდა ტფილისს და ჰქმნა ქორწილი მუნ დიდ-დიდებული ქ-სა ჩ ქლ“ ქარ. ტ. კვ.“ [86].

მართალია, როსტომ-მარიამის შეუღლების დროის შესახებ ვახუშტის მიერ დასახელებული თარიღი ერთადერთი არ არის და, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, იგი უფრო ადრე, მაგალითად 1634 წელს, მომხდარა, მაგრამ აზრი გასათვალისწინებელია, რადგან როსტომის მეფობის შესახებ მასთან ბევრი ფაქტი ზუსტად და დაწვრილებით არის გადმოცემული.

თ. ბოცვაძე ვახუშტი ბაგრატიონს ეყრდნობა და თვლის, რომ თეიმურაზ კახთა მეფეს დიდოეთის წინააღმდეგ ხსენებული გალაშქრება 1640 წელს მოუწყვია და არა რუსთა ელჩების საქართველოში ჩამოსვლამდე [87].

დიდოეთში თეიმურაზის ლაშქრობასა და იქ მის მარცხს თავის დროზე შეეხო აკად. ნ. ბერძენიშვილიც, რომელმაც აღნიშნა: „1640 წელს მან (თეიმურაზმა — ვ. ე.) დიდოეთს ილაშქრა. დიდოელებს ლეკები წამოეშველნენ და კახეთის მეფე სასტიკად დაამარცხეს [88].

XVII საუკუნის 30-იან წლებში კახეთის სამეფოს მიერ რუსეთთან დაახლოება-დაკავშირებისათვის ჩატარებული ღონისძიებებისა და

---

[85] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის შუა წლები), ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 174.

[86] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973, გვ. 441.

[87] თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 89.

[88] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973, გვ. 261.

ვოლკონსკის მეთაურობით საქართველოში ჩამოყვანილი რუსთა ელჩობის მიერ გამოვლილი გზის სპეციალური შესწავლის მიზნით, პრესაში გამოქვეყნდა ნიკო კვეზერელი-კოპაძის წერილი „ერთი მივიწყებული, ძველი საგზაო მშენებლობა“ [89].

ავტორს „არაგვის გზით“ ელჩების წამოუსვლელობის მიზეზად მიაჩნია განხეთქილება თეიმურაზ მეფესა და ზურაბ არაგვის ერისთავს შორის. იგი წერს: „იმ დროს (1638 წელს, ვ. ე.) მეფე თეიმურაზსა და არაგვის ერისთავს ზურაბს შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებული იყო, რომ უკანასკნელი არამც თუ არ ემორჩილებოდა საქართველოს მეფეებს, არამედ კავშირშიაც კი ყოფილა ქართველი ერის გარეშე მტრებთან“ [90].

1629 წელს ზურაბის მიერ სვიმონ ქართლის მეფის მოკვლის შემდგომ, თეიმურაზ მეფემ ზურაბი მოაკვლევინა. ამის შესახებ ვახუშტი წერს: „ბატონს თეიმურაზს აქუნდა შური ზურაბ ერისთავისა, ოდეს მოკლა სვიმონ და, ვინაითგან განდიდნაცა ფრიად, ამისთვის უდგა ღალატად მარადის. შემდგომად ზამთარს მდგომმან საფურცლეს იცა ყამი და მოკლა ზურაბ“ [91].

ზურაბის მოკვლის შემდგომ არაგვის ერისთავი იყო დათუნა, ხოლო „დათუნას სიკვდილის შემდეგ არაგვის საერისთავოს სათავეში ჩაუდგა დათუნას ძმა ზაალი“ [92]. აი, სწორედ ამ ზაალ არაგვის ერისთავსა და თეიმურაზ მეფეს ჰქონდათ მტრული დამოკიდებულება, რის გამოც რუსეთთან დასაკავშირებელი ისტორიული არაგვის გზა საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი.

წერილის ავტორი ეხება ზემოაღნიშნული გზის გამონახვისა და გაწმენდა-გასუფთავების საკითხს: „ძ ნ ე ლ ა დ წ ა რ მ ო ს ა დ გ ე ნ ი ა, რ ა მ დ ე ნ ი მ ო ხ ე რ ხ ე ბ ა და უ ნ ა რ ი გ ა მ ო ი ჩ ი ნ ა მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ მ ა, რ ო მ მ ო კ ლ ე დ რ ო ში შ ე ე ს რ უ-

---

[89] ნ. კ ვ ე ზ ე რ ე ლ ი-კ ო პ ა ძ ე, ერთი მივიწყებული, ძველი საგზაო მშენებლობა, ჟურნ. „მნათობი“, № 4, 1971.

[90] ი ქ ვ ე, გვ. 181.

[91] ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 437; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. ტ. II, 1959, გვ. 415.

[92] დ. გ ვ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965, გვ. 383.

ლებინა ეს ტიტანური საგზაო სამუშაოები — ახალი საურმე გზის გაყვანა დარიალიდან კახეთამდე, მაღალ თოვლიან მთის მწვერვალებზე, ღრმა ხევებსა და უფსკრულებზე გავლით“ [93]. შემდეგ აგრძელებს: „რადგან ამ მაღალმთიან მხარეს ადგილობრივი მოსახლეობა მცირერიცხოვანი იქნებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მეტად სასწრაფო და ძნელი საგზაო სამუშაოები შიდა კახეთიდან გამოყვანილი მოსახლეობის მიერ უნდა შესრულებულიყო. გარდა მძიმე კლდის სამუშაოებისა, საჭირო იქნებოდა აქაურ ბობოქარ მდინარეებზე ხის მაგარი ხიდების მოწყობაც, რაშიც შორეული დროიდან ქართველები მეტად დახელოვნებული ყოფილან. ერთი სიტყვით, ეს საპასუხისმგებლო, შრომატევადი საგზაო სამუშაო უნდა შესრულებულიყო მეტად მოკლე დროში“ [94].

მკვლევარი არაგვიდან ხევსურეთ-ფშავ-თუშეთ-კახეთის ბარისაკენ ორი თვის განმავლობაში გაყვანილ საურმე გზაზე გამოყენებული ურმის ტიპსაც ახასიათებს. იგი წერს, რომ ელჩებისათვის „გამოგზავნილი ტრანსპორტი ჩვეულებრივ ქართულ, ორბორბლიან, ერთი უღელი ხარით შებმულ ურემს წარმოადგენდა. ამგვარი ქართული ურემი კარგად იყო შეფარდებული საქართველოს რთულ მთიან გზებთან. საქართველოს მძიმე ტოპოგრაფიულ პირობებში, მრავალი საუკუნის მანძილზე, მთავარ ტვირთსაზიდ საშუალებას ამგვარი ურემი წარმოადგენდა“ [95]. ბაგრამ ამ გზის არც ნაკვალევი ჩანს და არც ამ კუთხის უხუცესთ ახსოვთ რაიმე მის შესახებ.

წერილის ავტორი იყენებს პროფ. გ. პოლიევქტოვის მიერ გამოცემულ საარქივო მასალას [96]. ელჩობასთან დაკავშირებულ ვრცელ ანგარიშში და თვით თეიმურაზის მიერ მიხეილ თევდორეს ძისადმი გაგზავნილ წერილში არსადაა საუბარი საურმე გზის მშენებლობის შესახებ [97]. მაგრამ პოლიევქტოვის მოსაზრებით, რუსი ელჩები კახეთის ბარში ჩამოვიდნენ ბორბალო-ალაზნისთავ-პანკისის გზით და არაფერია ნათქვამი თუშეთზე.

---

[93] ნ. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183 (ხაზი ჩვენია, ვ. ე.).
[94] იქვე, გვ. 183.
[95] იქვე, გვ. 182.
[96] М. А. Полиевктов, Материалы... стр. 158—426.
[97] М. Броссе, Переписка... стр. 29.

კვეზერელი-კოპაძე შენიშნავს, რომ რუს-ქართველთა ელჩებს „მოჰყვებოდა ჩერქეზი თავადი ხავსა“[98]. მაგრამ იქვე ხავსა ხევსური ჰგონია და წერს: „ამგვარად ელჩებმა გაიარეს ხევსურეთი (Хавса)“[99].

ამის შესახებ პროფ. ი. ცინცაძემ თავის დროზე შენიშნა: „ხავსა“, ერთი შეხედვით, დამახინჯებულ „ხევსურეთად“ შეიძლებოდა გვეგულისხმა, მაგრამ, როგორც თვით რუსი ელჩების ჩანაწერებიდან ჩანს, „ხავსა“ თვით მფლობელის სახელწოდება ყოფილა“[100], ამასვე ადასტურებს ვოლკონსკის საანგარიშო მოხსენებაც: «Августа в 1 де на стану под горами, и щелей на реке на Терку приехал к послом Черкашении Хавса, своей земли владелец, а с ними от Теймураза царя сотник Григорей»[101].

წერილის ავტორი, როგორც ჩანს, ელჩობის მარშრუტის შედგენისას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. პოლიევქტოვის მოსაზრებით და თეიმურაზ მეფის მიერ 1639 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილით, სადაც თეიმურაზ მეფე ელჩების გადმოსასვლელ გზას აღწერს. თეიმურაზი აღნიშნავს, რომ მან ელჩებისათვის გზა გახსნა თუშეთზე-ფშავზე-ხევსურეთზე-ქისტეთზე[102].

მაგრამ პროფ. მ. პოლიევქტოვისა და თეიმურაზ მეფის მიერ აღწერილი მარშრუტი ეწინააღმდეგება ვოლკონსკის აღწერას. საარქივო მასალაში არსად არის საუბარი ხევსურეთსა და ფშავზე.

ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მდებარეობა გამორიცხავს ხევსურეთ-ფშავიდან ელჩების გადმოსვლას თუშეთში და შემდგომ კახეთში. ქისტეთში მოსულ ელჩებს შეეძლოთ პირდაპირ ხევსურეთზე გამოვლით წამოსულიყვნენ პანკისისაკენ და თუშეთში აღარ გადასულიყვნენ. მაგრამ ისინი, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ხევსურეთ-ფშავის გვერდის ავლით მოდიან თუშეთში.

წინამდებარე ნაშრომში განხილული გზის მნიშვნელობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მხოლოდ ამ ერთი მგზავრობითა და მასთან დაკავშირებული შედეგებით არ ამოიწურება. XVII საუკუნის 50—70-იან წლებში ამ გზის მნიშვნელობა უფრო

---

[98] ნ. კ ვ ე ზ ე რ ე ლ ი-კ ო პ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი... გვ. 182.

[99] ი ქ ვ ე.

[100] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრომი... გვ. 175.

[101] М. П о л и е в к т о в, Материалы... стр. 248.

[102] М. Б р о с с е, Переписка... стр. 29.

გაიზარდა. ეს არის პერიოდი, როცა კახეთის ბარი აშკარა ფიზიკურ-ეროვნული გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ამ ძნელბედობის ჟამს მტერთაგან მიუვალმა და თავისუფალმა თუშ-ფშავ-ხევსურეთმა ხელში აიღო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა და კავშირი დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელსაც დახმარებასა და სამშობლო ქვეყნის გადარჩენას ევედრებოდა [103].

როგორც ვხედავთ, ამ გზის მეშვეობით სამი ათეული წლის განმავლობაში შეუზღუდველი მიმოსვლა წარმოებდა რუსეთსა და კახეთის სამეფო კარს შორის. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია იჩენს აღნიშნული გზის მიმართ.

---

[103] М. Броссе, Переписка... стр. 74—75, 229—230; ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის შუა წლები), ჟურნ. „მნათობი", № 2, 1956; გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658), იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. 19—20, თბ. 1965; მისივე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. 23—24, 1970; ნ. ნაკაშიძე, საქართველო რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, იხ. კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან", ტ. I, 1970; მისივე, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII в., Тб., 1968; С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI (т. 11—12), Москва, 1961 г; თამარ ტივაძე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, 1977; მისივე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50-60-იანი წწ.), იხილეთ „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1977; ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973; ЦГАДА, ф. 110, 1586—1700 гг., Д. № 15 და სხვ.

თ ა ვ ი V

თუშეგისა და იმიერკავკასიელი მთიელების ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან

§ 1. თუშეგისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

ა) ეკონომიკური ურთიერთობა

თუშებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ-კულტურული თანაცხოვრების საინტერესო ისტორიას. მართალია, თუშეთსა და ჩეჩენ-ინგუშეთ-დიდოეთ-დაღესტანს შორის დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ იყო და ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ურთიერთ თავდასხმებსა და ძარცვა-რბევას, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის „კეთილმეზობლობა და საუკუნოვანი მეგობრობა"[1] არასდროს შეწყვეტილა.

ქართველი მთიელებისა და მათი მეზობელი ხალხების ეკონომიკურ-კულტურული და პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც შეადგენს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის არსებული ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და ავლენს მისთვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანს, საჭიროებს ცალკე შესწავლას, რადგან მას ზოგადთან ერთად ბევრი სპეციფიკური თავისებურებაც გააჩნია.

---

[1] თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1969, გვ. 205; ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩენ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე", № 2, 1972, გვ. 53; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 53.

თუშეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იმდენად ახლოსაა დიდოეთთან და ჩეჩენ-ინგუშეთთან, რომ ეს უკანასკნელი ხშირად, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, თუშეთთან ერთად არიან შესული საქართველოს სახელმწიფო-სამთავროთა შემადგენლობაში. მაგალითად, როდესაც ფარნავაზმა საფუძველი ჩაუყარა ქართლის სახელმწიფოს და ის საერისთავოებად დაყო, თუშეთი და დიდოეთ-ხუნძახი ერთ საერისთავოში გააერთიანა. „ხოლო მეფემან ფარნაოზ დასვა კახეთის და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასვეს ჰერეთისა ერისთავი სხვა და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხვა, ვითარცა იწერვის ჟამსა ძინა შემდგომად მდ (44) მეფისა არჩილისასა“[2].

ახ. წ. II საუკუნის ბერძენი ასტრონომ-გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოშიც“ თუშები და დიდოები ერთად არიან მოხსენიებულნი: „კავკასიის მთასა და კერვანის მთებს შორის ტუსკები (თუშები, ვ. ე.) და დიდურები (დიდოები, ვ. ე.)“ ცხოვრობენო — შენიშნავს მეცნიერი[3].

სარწმუნო მონაცემებიდან ჩანს, რომ მომდევნო საუკუნეებშიც თუშეთი, დიდოეთ-ხუნძახი და მათი მეზობელი ძთიანეთი კვლავ ერთადაა გაერთიანებული და საქართველოს მეფე-მთავრებს ემორჩილება. ეს ვითარება კარგად არის წარმოდგენილი ჯუანშერის შემდგომ სიტყვებში: „... შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, — წერს იგი, — და ყოველთა ტაძრეულთა მისთა ბიებოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი... და დაჯდა წუქეთს. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება ძისგან წაღებად წუქეთი“[4].

თუშებისა და მისი მეზობელი „კავკასიანების“ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთიანობა ხელს უწყობდა ამ ხალხების ეკონომიკურ-

---

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 146.

[3] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 44.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 343.

კულტურულ დაახლოებას, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა და ვითარდებოდა.

სახნავ-სათესი ფართობის სიმცირე და მკაცრი ბუნებრივი პირობები იწვევდა მთიელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რასაც ისინი ერთიმეორესთან ვაჭრობითა და სხვა საშუალებებით გამოასწორებდნენ ხოლმე.

თუშეთი ამ მხრივ დიდოეთთან და ქისტეთთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა მას საკუთარი მარცვლეული მაინც არ ჰყოფნიდა და უმთავრესად კახეთის ბარიდან ივსებდა ამ დანაკლისს[5].

ვახუშტის მიხედვით, კახეთთან ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოკიდებულების თვალსაზრისით თუშეთი ორადაა გაყოფილი: „კახეთის თუშნი" და „ფარსმანის თუშეთის ჯევი". მათგან პირველნი (ჭოვათის, გომეწრისა და ჩაღმის თუშების მცხოვრებნი) უფრო მჭიდროდ არიან კახეთის ბარზე დამოკიდებულნი, რადგან „კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაითგან აქუთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა — მჯარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა"[6].

ცენტრალურ ხელისუფლებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული „ფარსმანის თუშეთის ჯევი", „იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა", მაგრამ იმის გამო, რომ „ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზრდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ"[7]. სამაგიეროდ, „ესენი (ე. ი. ფარსმანის ჯევის თუშები, ვ. ე.) მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან"[8].

კახეთის სამეფო ხელისუფლებასთან დიდოეთის დამოკიდებულების საკითხი საინტერესოდ არის წარმოდგენილი ვახუშტის ხსენებულ შრომაში. დიდოეთის ნაწილი, რომელიც ლეკებს დაუპყრიათ, გაუმაჰმადიანებიათ და თავისი ძალაუფლებისათვის დაუმორჩილებიათ, მოწ-

---

[5] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 491; Д. Зубарев, დასახ. შრომა, გვ. 522.

[6] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

[7] იქვე.

[8] იქვე.

ყვეტილია კახეთთან ახლო ურთიერთობის იმ შესაძლებლობას, რაც დიდოეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ შეუზღუდველად გააჩნდა. დიდოეთის ამ მოსახლეობას სარწმუნოებაც ძველი აქვს, არ არიან გამაჰმადიანებულნი — „არიან ეგრეთვე" და ლეკების ნაცვლად „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა. რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვი

იცოდა რა თუშ-ფშავ-ხევსურთა განწყობა შამილის მიმართ, რუსეთის მთავრობა, როგორც ეტყობა, მათზე გარკვეულ კონტროლს აწესებდა და ცდილობდა მათ შორის ისეთი ურთიერთობა არ დამყარებულიყო, რაც შამილის მდგომარეობას გააუმჯობესებდა და რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირდებოდა. კერძოდ, რუსეთის ხელისუფლება ვეღარ მალავს შეშფოთებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თუშები დიდი რაოდენობით ყიდულობენ მარცვლეულს სიღნაღისა და თელავის მაზრებში. მას ეეჭვება, რომ ამდენი სარჩო თუშებისათვის საჭირო არ არის და ისინი მარცვლეულით შამილს ხომ არ ამარაგებენო. ამ საქმის გარკვევის მიზნით, 1854 წლის 22 ოქტომბერს მთავრობის მიერ თბილისის გუბერნატორის გენერალ რეადის მისამართით გაიგზავნა მიწერილობა. მასში აღნიშნულია, რომ, როგორც მათთვის ცნობილი გახდა, თუშები აწარმოებენ შამილის დავალებით დიდი რაოდენობით პურის შესყიდვას. „ამიტომ, — ვკითხულობთ წერილში, — უმორჩილესად გთხოვთ გასცეთ სათანადო ბრძანება და დარწმუნდეთ აღნიშნული ხმების სისწორეში. მიიღოთ საჭირო ზომები თუშების მიერ პურის შესყიდვის შესაწყვეტად და თუ სინამდვილეში ხდება ასეთი რამ, შედეგებზე გვაცნობოთ“[11].

თბილისის გუბერნიის მმართველს სასწრაფო ზომები მიუღია აღძრული საკითხის შესწავლისათვის. 1854 წლის 18 ნოემბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ანდრონიკოვი მოახსენებს გენერალ რეადს, რომ მან ყოველგვარი ღონისძიება გაატარა საიმისოდ, რათა დაეზუსტებინა, თუ რა რაოდენობის პურს ყიდულობენ თუშები სიღნაღისა და თელავის მაზრებში, რატომ და რისთვის. როგორც დავრწმუნდი, შენიშნავს ანდრონიკოვი, თუშები საკუთარი საჭიროებისათვის ყიდულობენ პურს და არა შამილისათვის. იგი აღნიშნავს: «... присовокупим, что спускающихся с гор Тушин на Алванское поле и Ширакскую степь считается до 7,000 душ, которые все продовольствуются покупным хлебом с 10-го сентября по I-е июля следующего года. Усматривая затем из означенного дознания, что Тушинами куплено в разных местах хлеба 1,529 ½ код единственно для продовольствия себя и семейство своих я разрешил Тушино-Пшаво-Хевсурскому окружному начальнику дозволить жителям поку-

---

[11] Акты, т. XI, стр. 628.

пать хлеб, но в пропорции, необходимой и сообразной с их нуждами, и возложил притом на его обязанность иметь строжайший и бдительный надзор, чтобы из купленного хлеба ничего не уделялось для перепродажи горцам, под опасением примерной ответственности»[12].

იმავე წერილიდან ჩანს, რომ თავად ანდრონიკაშვილს მითითება მიუცია თელავისა და სიღნაღის მაზრის უფროსებისათვის, არ დაეშალათ პურის შესყიდვა თუშებისათვის, რადგან მათ ეს პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებოდათ და არა სხვისათვის[13].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსის ჩოლოყაშვილის მიერ თბილისის სამხედრო გუბერნატორ პოლკოვნიკ კოლიუბაკინისადმი წარდგენილ მოხსენებაში უფრო ნათლად და დაწვრილებით არის ახსნილი, რომ თუშები, რადგან ძირითადად მესაქონლე ხალხია და ხვნა-თესვას იშვიათად მისდევენ, ამიტომ რვათვენახევრის განმავლობაში იკვებებიან შესყიდული პურით და მათ მიერ დიდი რაოდენობით პურის შეძენა არც უნდა იწვევდეს დაეჭვებას და შეშფოთებასო[14].

მართალია, საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ თუშები საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყიდულობენ პურს კახეთის ბარში თუ თრიალეთ-ახალციხის ტერიტორიაზე, მაგრამ ჩვენ აღძრული ეჭვი მთლად უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ თუშეთიდან დიდოეთსა და ქისტეთში მარცვლეულის გატანას ნამდვილად ექნებოდა ადგილი.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუშეთ-დიდოეთ-დაღესტანს შორის XIX ს-ის 50-იან წლებში პურით ვაჭრობას ნამდვილად ექნებოდა ადგილი, ადასტურებს გენერალ გოლოვინის მიერ 1838 წლის 11 ოქტომბერს გენერალ ბრაიკოსადმი მიწერილი წერილის შინაარსი, სადაც აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის საუბარი.

გოლოვინი სხვა მიზეზებთან ერთად, რამაც გამოიწვია და ანდა ხელი შეუწყო 1837 წელს დიდო-ლეკების მიერ თუშეთის ორი სოფლის დიკლოსა და შენაქოს აოხრებას, იმასაც ასახელებს, რომ მთავრობამ, მართალია, აკრძალა დაღესტანში პურის ყოველგვარი შეტანა,

---

[12] Акты, т. XI, стр. 634.

[13] იქვე.

[14] იქვე.

მაგრამ ამავე დროს არ მიიღო თუშეთის გამაგრება-დაცვისათვის საჭირო ღონისძიებანი. დამშეული და გაღიზიანებული დიდო-ლეკები კი თუშეთს შეესივნენ. „ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსმა, — წერს გენ. გოლოვინი, — არ გააგებინა მოურავს (ე. ი. თუშეთის მოურავს, ე. ე.) დაღესტანში პურის შეტანის აკრძალვის შესახებ, რომელიც ხშირად იწვევდა ლეკების ძლიერ შემოსევას და რომ თელავის მაშინდელი ოლქის უფროსი თავადი თუმანოვი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ცარიელი ბრძანების გაცემით, რომ წასულიყვნენ თუშეთში და მიეღოთ ზომები, ხოლო თვითონ კი ოდნავადაც არ ზრუნავდა მოურავის მდგომარეობის შემსუბუქებაზე: შეეგროვებინა თუშები ალვანის ველიდან, საღაც მათი უმეტესობა იმყოფება ზამთრობით ცხვარში, და გაეგზავნა ისინი თუშეთში“[15].

როგორც ამონაწერიდან ჩანს, თუშეთი მეზობელ მთიელებთან ნამდვილად აწარმოებდა მარცვლეულით ვაჭრობას. ამ გზით იგი ერთგვარად ახერხებდა კიდეც იმიერკავკასიელთა გულის მოგებასა და მოსწირებული თავდასხმების თავიდან აცილებას.

საქართველოს ბარი მათ საქონლის გამოსაზამთრებლად ესაჭიროებოდათ. ამ მხრივ საინტერესოა ისტორიკოს ნ. ვოლკონსკის მიერ აღნიშნული ერთი ფაქტი, რომლითაც ვიგებთ, რომ შამილი დიდად ყოფილა შეწუხებული დიდოების გაჭირვებული მდგომარეობით, კერძოდ, მათში გამეფებული შიმშილობითა და ხელმოკლეობით, რისთვისაც სურვილი ჰქონია, რუსეთის მთავრობას უფლება მიეცა მათთვის „ბარად ჩამოსვლისა სამუშაოდ და აღებ-მიცემობისათვის, აგრეთვე თავიანთი თხა-ცხვრის ჩამოსარეკად მინდვრებზე“[16]. სამაგიეროდ, ხელისუფლებას შამილისათვის მოუთხოვია, „რომ მათ დაებრუნებინათ... ტყვედ წაყვანილი თუშების ოჯახები და ... კახელებისათვის ყოველივე მათ მიერ მიცემული ზარალი“[17].

თუ დიდოეთ-დაღესტნის მოსახლეობა საქართველოს საზამთრო საძოვრებით სარგებლობდა, თუშები და ფშავლები მათ საზაფხულო საძოვრებს იყენებდნენ, სახელდობრ: ასახოს, ველკეთილს, მერცხალბუდეს, სადუცეს, ხუფრას, ეპჩოს და სხვას. «...Которые располо-

---

[15] Акты, т. XI, стр. 140, 1884.

[16] ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, გვ. 71.

[17] იქვე.

жены близко от тушино-дагестанской границы в Дидойских горах»[18].

თუშეთი, როგორც მ. მაჩაბელი აღნიშნავს, დაღესტნის მთებით მაშინაც კი სარგებლობდა, როცა დიდოეთ-დაღესტანს შამილი ედგა სათავეში და მძაფრ თავდასხმებს ჰქონდა ადგილი. «Лезгинские же горы со времен пленения Шамиля арендуют отдельные домохозяева шести тушинских нагорных обществ»[19].

თუშეთი ჩეჩენ-ინგუშეთის საზამთრო საძოვრებითაც სარგებლობდა. ამ მხარეში ცხვრის ფარები გადაჰყავდათ პირიქითის თემის ფარსმის საზოგადოების თუშებს. რადგან ტერიტორიულად ისინი ყველაზე მოხერხებული და ადვილად დამაკავშირებელი გზების სიახლოვეს ცხოვრობდნენ. ამიტომ იყო, რომ სავაჭროდაც ამ მხარის თუშები გროზნოში უფრო გადადიოდნენ, ვიდრე სხვაგან[20].

ვეინახებთან და დიდო-ლეკებთან თუშები სხვაგვარ სავაჭრო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ქართველი და იმიერკავკასიელი მთიელები ამ მხრივ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ერთიმეორეში იმ საქონელს ცვლიდნენ, რითაც ესა თუ ის მხარე იყო დაწინაურებული.

თუშეთს, როგორც მესაქონლეობა-მეცხვარეობით დიდად დაწინაურებულ მხარეს, თავისი შინამრეწველობის საგნებით — პაჭიჭებით, ჩითებით, ჩოხა-ახალუხით, წინდებით, ნაბდის ქუდებით, ნაბდებით, ფარდაგებით, ხურჯინებით, საჩოხე-საქულაჯე და საშარვლე შალებით, ცხენისა და ჯორ-სახედრის აკაზმულობისათვის საჭირო ნაბდებით (თოიქალთო) და მოსართავ-გარსაკრებით, თხის ბალნისაგან დამზადებული საბლებით, ტომრებით, ყველით, მატყლით, ერბოთი და სხვა საქონლით—განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა ჰქონდა როგორც დიდო-ლეკებთან და ვეინახებთან, ისე თბილისის გუბერნიასა და მის საზღვრებს გარეთ მდებარე ბაზრებთანაც კი. აქ ჩამოთვლილ თუშურ ნაწარმზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება არსებობდა, მათ საყოველთაო აღიარება ჰქონდათ მოპოვებული. აი, რას წერს გ. მაჩაბელი: «Большой сбыт имеют тушинские войлочные шапки, которые расходятся по всей Тифлисской губернии; бурки же

---

[18] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 415.
[19] იქვე.
[20] იქვე, გვ. 491.

и паласы продаются редко, потому что во многом уступают чеченским»[21].

იგივე ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს თუშურ ყველს და შენიშნავს, რომ «Тушинский сыр славится по всей Тифлисской губернии и имеет большой сбыт»[22].

ანალოგიურად აფასებს თუშურ ყველს დ. ზუბარევიც: «Из молока приготовляют они сыр, славящийся за Кавказом своим вкусом»[23].

დიდად იწონებს გ. რადეც თუშურ შალს, ფარდაგს, ჩითს (ბაწრისაგან მოქსოვილ ფეხსაცმელს) და სხვ. იგი თუშურ შალზე წერს: «Шаль есть лучшая из всех тканей, изготовляемых тушинками. Действительно это красивая, чрезвычайно прочная и сравнительно тонкая репсовая ткань, одинаковая как с лица, так и с изнанки»[24].

მკვლევარი განცვიფრებულია მისი მოხატულობებით. პირიქითის თემის სოფ. დართლოში მას უნახავს მატყლის ბაწრისაგან მოქსოვილი საზეიმო ქამარი, რომელსაც გ. რადე დიდად აქებს და ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს: «В селении Дартло мне удалось однако достать и парадный пояс, который хотя и имеет обыкновенный черный цвет, но зато представляет мастерское произведение по ткани и плетенью»[25].

დიდი მოთხოვნილება არსებობდა თუშურ ცხვარზე, მსხვილფეხა საქონელზე, ცხენზე, სახედარზე.

თუშეთსა და მის მეზობელ ვეინახ-დიდო-ლეკებს შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დიდად უწყობდა ხელს მათ დაახლოება-გაშინაურებას, რამაც გამოიწვია ის, რომ თუშეთი ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე სავსე იყო დიდოელებითა და ქისტებით, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებდნენ თუშეთის ყველა თემში.

---

[21] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 471.

[22] იქვე, გვ. 461.

[23] Д. Г. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, Русский вестник, т. II, кн. № 6, 1841, стр. 522.

[24] Густав Радде, Хевсурия и Хевсуры, Тиф., 1881, стр. 136.

[25] იქვე, გვ. 137.

დიდოეთიდან თუშეთში მარტის თვეში მოდიოდნენ ე. წ. „მოხნავები“, ხოლო აპრილში გადმოდიოდნენ მეძროხე-მეხაროვნე-მეხბორეებად მომუშავე დიდოები, იშვიათად — ლეკები და ქისტები.

ხვნა თუშეთში იწყებოდა 25 მარტს — ხარებობა დღეს. ამ დროისათვის ოჯახებს, რომელთაც საკუთარი გუთნისდედა არ ჰყავდათ სხვადასხვა მიზეზების გამო (უმთავრესად იმიტომ, რომ შრომისუნარიანი ვაჟკაცები მასობრივად ცხვარში იმყოფებოდნენ. ხოლო მოხუც მამაკაცებს გუთნისდედობა აღარ შეეძლოთ), „მოხნავი“ მორიგებული უნდა ჰყოლოდათ. „მოხნავს“ ერთი ოჯახიც ირიგებდა, თუ მას ორივე ხარი ჰყავდა, უფრო კი ორი კომლი ერთიანდებოდა და ერთ „მოხნავს“ აიყვანდნენ, რადგან ორი ხარის შენახვას ოჯახები ერიდებოდნენ.

„მოხნავის“ კვება მიწის მეპატრონეს ევალებოდა, ხარების გამძღოლიც მათი უნდა ყოფილიყო. შრომის ასანაზღაურებლად კი მთელ თუშეთში დაწესებული ყოფილა ერთი ფუთი მატყლი ან 50 მანეთი.

თუში დედაკაცის, განსაკუთრებით ქალიშვილის ნახირში წასვლა სირცხვილად ითვლებოდა[26]. მამრობითი სქესის უდიდესი პროცენტი კი მეცხვარეობაში იყო ჩაბმული, 7—9 წლიდან დაუძლურებამდე. აღნიშნული გარემოებით იყო გამოწვეული, რომ თუშეთის თითქმის ყველა სოფელში მეძროხე-მეხაროვნე-მეხბორეებად დაქირავებული მწყემსები ჰყავდათ ხოლმე. მართალია, მ. მაჩაბელი შენიშნავს, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ქისტეთში მსხვილფეხა საქონელს თვითონ უვლიან და დაქირავებული მწყემსები იშვიათად ჰყავთო[27], მაგრამ ჩვენ ასეთი შეხედულება არასწორად მიგვაჩნია, რადგან მოხუცები ამის საწინააღმდეგოს ამბობენ და XX ს-ის პირველ ნახევარში(), სანამ თუშები კვლავ თუშეთში ცხოვრობდნენ, ხსენებულ საქმიანობაში ძირითადად დიდო-ლეკებს იყენებდნენ. ეს ტრადიცია კახეთის ბარში ჩამოსახლებულ თუშებშიც კი გრძელდებოდა, აქაც დიდოლეკებს ქირაობდნენ მწყემსებად, მენახირეებად,

მეცხვარეობა-მესაქონლეობით დიდად განვითარებულ თუშეთში, რომელიც მთელ კავკასიაში თითქმის პირველობდა კიდეც, ამ დარგის განსაკუთრებული სიყვარული რომ არ ყოფილიყო, იგი ასეთ მაღალ

---

[26] ფშავ-ხევსურეთში პირიქით იყო; იქ მსხვილფეხა საქონლის მწყემსვა და ბალახობა უმთავრესად ქალების მოვალეობას შეადგენდა.

[27] М. Мачабели. დასახ. შრომა, გვ. 464—465.

დონეს ვერც მიაღწევდა. თუშ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უყვარდა საქონელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუშის ქალი ცხვარში არასდროს ყოფილა, ისინი ცხვარს არ მწყემსავდნენ და სოფლის ნახირშიც იშვიათად დადიოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მას თუშეთში მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. მეცხვარეობასთან თუ საოჯახო მოთხოვნილებებთან დაკავშირებული ხელსაქმიანობით თუშის ქალები იმდენად იყვნენ დატვირთული, რომ მათ ძროხების, ხბორებისა და, მით უმეტეს, ხაროვანის[28] სამწყემსოდ არ ეცალათ.

თუშეთში რომ მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობისათვის მწყემსებს წინასწარ ირჩევდა სოფელი, ეს ვითარება კარგად არის წარმოდგენილი მ. მაჩაბელთანვე. იგი წერს: «Так, в Парсмском и Дартлойском обществах выбирается по три пастуха, из коих один пасет быков, другой коров и третий телят»[29].

. მსხვილფეხა საქონლის მწყემსებისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ქისტეთში უძლევიათ სულზე 20-დან 40 კაპიკამდე: «Если же где нанимаются пастухи, то им платят в лето от 20 до 40 коп. с каждой головы»[30].

მეძროხე-მეხაროვნე-მეხბორის კვება, ფეხსაცმელი, წინდები და დაძინებაც კი, თუ ის მარტო იყო მოსული და ბინა არ ჰქონდა დაკავებული, საქონლის პატრონის მოვალეობას შეადგენდა. რამდენი სული საქონელიც იყო ნახირში ამა თუ იმ ოჯახიდან, იმდენი დღე ევალებოდა თითოეულ ოჯახს მწყემსის შენახვა. კომლობრივი მწყემსვაც ასეთივე წესით ხდებოდა. ამიტომ წინასწარ ვულდასმით დათვლიდნენ სოფლის მსხვილფეხა საქონელს სახეობების მიხედვით, შემდგომში კი იწყებოდა მათი მწყემსვა-პატრონობა. «Очередь ведется следующим образом: считают скот каждого дыма, и,

---

[28] ხაროვანი ეწოდებოდა იმ ნახირს, რომელიც კომპლექტდებოდა ხარებით, მოზვრებით, ბეღლებით, აგრეთვე მშრალი (ბერწი), ე. ი. ძრამეწველი საქონლით. ხაროვანი, აპრილიდან მოყოლებული ნოემბერ-დეკემბრამდე, სოფლიდან 10—20—30 კმ-ით დაშორებულ, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ საძოვრებზე მიუდიოდათ. მეპატრონეები დროგამოშვებით მიდიოდნენ საქონლის სანახავად, ხაროვანს კი მწყემსი-მეხაროვნე უვლიდა. მეხაროვნე სოფელში სეზონში რამდენჯერმე ჩამოვიდოდა ჯერის (საკმლის) და სამოსის წასაღებად.

[29] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 486.

[30] იქვე, გვ. 465.

затем, налагают на дым обязанность пасти скот столько дней, сколько у него голов скота. Если, например, дыму принадлежит 3 быка, 4 коровы и 3 телка, то он обязан пасти быков 3 дня коров—4 и телят—3 дня. Такой дым участвует при бросании жребия до тех пор, пока не отбудет всех дней, а затем он не участвует уже в жеребьёвке»[31].

მსხვილფეხა მესაქონლეობაში დასაქმებულ მწყემსებს, რომელთაგანაც მოხუცი თუშები მხოლოდ დიდოებს და იშვიათად ლეკებს ასახელებენ, უმთავრესად მარცვლეულით ისტუმრებდნენ, რადგან მათთვის მას პირველხარისხოვანი ღირებულება ჰქონდა. ერთ სულ საქონელზე უხდიდნენ ლიტრა მარცვლეულს მთელი სეზონის მანძილზე — მარტ-აპრილიდან დაზამთრებამდე, ე. წ. „გიორგობამდე".

საზამთრო შეშის მოჭრა-დამზადებაშიც დიდოებისა და ლეკების შრომა დიდად ყოფილა გამოყენებული თუშეთში. ეს საკმაოდ შრომატევადი და მძიმე საქმე იყო, რაც მხოლოდ გამრჯე და ფიზიკურად ჯანმრთელ მამაკაცს შეეძლო შეესრულებინა, ასეთი მამაკაცების უმეტესობა კი თუშეთში მეცხვარეობას მისდევდა და დრო არ ჰქონდა ოჯახისათვის მოეხედა.

საზამთრო შეშა თუშეთში მზადდებოდა ფიჭვისა და არყის ხისაგან. იგი უნდა ყოფილიყო 50 სახედრის ასაკიდებელი ტვირთი. ერთი სახედრის ასაკიდებელი შეშა შემდეგნაირად იზომებოდა: თოკზე (საბელზე) გადაზომავდნენ სამ მწყირტას (მწყირტა ეწოდებოდა ადამიანის მკლავის იმ ნაწილს, რომელიც იწყება იდაყვიდან და მთავრდება გაშლილი თითებით) და დაუმატებდნენ ხელის მტევნის ზომას ხუთივე თითის ჩათვლით. თოკის ასეთ მონაკვეთს თავ-ბოლოში კვანძს უკეთებდნენ. ეს იყო შეშის საზომი ერთეული თუშეთში. ასეთ საზომ თოკზე დაალაგებდნენ შეშას, სანამ კვანძი კვანძს არ შეეხებოდა, ამ პროცესს 50-ჯერ გაიმეორებდნენ. საზამთრო შეშის მოჭრა-დამზადებაში დიდო-ლეკებს თუშები აძლევდნენ მარცვლეულს, მსხვილფეხა-წვრილფეხა საქონელს, ტოლს (შალს), ფარდაგებს, ფლასებს, მატყლს, სახედარს, ცხენს და სხვა.

მოსავლის აღებასა და თივის დამზადებაში დიდოების დასაქმება თუშეთში მასობრივ ხასიათს ატარებდა. დიდო-ლეკების ქალებს იშველიებდნენ საოჯახო საქმეებშიც: მატყლის გარეცხვა, დაჩეჩვა, დართ-

---

[31] М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 486.

ვა, მოქსოვა, ნაბდის მოთელვა და სხვა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს დიდოეთ-დაღესტანში მატყლის გადამუშავების ტექნოლოგია უფრო მაღალ დონეზე იდგა. ვიდრე თუშეთში და იმიტომ გადმოდიოდნენ მათი ქალები თუშეთში. რა თქმა უნდა, არა. თუშები დიდო-ლეკის ქალებს შავ საქმეს აკეთებინებდნენ. ლეკი ქალის შრომა თუშეთში გამოყენებული იყო, როგორც დამხმარე ძალა[32]. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან თუშეთი მეცხვარეობითა და მატყლისაგან დამზადებული შინამრეწველური ხელსაქმით მთელს კავკასიაში პირველობას არავის უთმობდა. თუშის ქალები წმინდა შალის მოქსოვაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ და გამარჯვებული რჩებოდა ის, ვისი მოქსოვილი შალიც მამაკაცის ჯიგვზე სატარებელ ბეჭედში გაეტეოდა. „თუ შალი ამ ბეჭედში არ გატარდებოდა, ის წმინდად არ ჩაითვლებოდა"[33].

თუშეთისა და ჩეჩენ-ინგუშეთ-დიდოეთ-დაღესტნის ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდი ადგილი ეკავა იმ შინამრეწველურ საგნებს, რაც თუშეთის მეზობელ მთიელებში მზადდებოდა. დაღესტნური საქონლიდან თუშებში ყველაზე დიდ მოწონებას იმსახურებდა ე. წ. „ლეკური ნაბადი", „ნაბადი ბოჭკო-მაღალი"[34] და ცივი იარაღი — „ლეკური"[35].

ჩეჩენ-ინგუშებისაგან თუშები იძენდნენ ცხენის აკაზმულობას და ე. წ. „ბალთიან, ანუ ტოტიან ქამრებს", რომლებიც ორნამენტირებული ვერცხლით იყო შემკული, გარიბანდის ქუდებს, მასრებს, ცივ იარაღს — ხანჯლებს, ხმლებს, დანებს, ხისაგან დამზადებულ საოჯახო ნივთებს: საცრებს, ცომის საზელ ხონებს, ხონჩებს, ტაბაკებს, ჯამებს, კოვზებს და სხვ[36].

---

[32] ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, თუში ქალის ტალავარი, იხ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 148.

[33] ი ქ ვ ე. გვ. 150.

[34] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 553.

[35] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), 1952, გვ. 30.

[36] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 77.

ბ) კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის

თუშ-ფშავ-ხევსურეთი, როგორც კახეთის მთიანეთი, მჭიდროდ იყო ჩაბმული საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობაში. საქართველოს სამეფო კარი, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ერისთავნი და მთავარნი, სხვა საშუალებებთან ერთად, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე დაყრდნობით ახერხებდნენ თავისი გავლენის გავრცელებას ვეინახ-დიდო-ლეკებში.

როგორც აღნიშნული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან ჩანს, თუშეთი ფართოდ ყოფილა ჩაბმული ცენტრალური ხელისუფლების მიერ დიდოეთ-დაღესტან-ჩეჩენ-ინგუშეთის ქართულ ნიადაგზე გადმოყვანისათვის წარმოებულ მოძრაობაში. თუშეთის პრიორიტეტი გამოწვეული იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობით და იმ სამიმოსვლო არტერიებით, რითაც ეს მხარე უმოკლეს დროში უკავშირდებოდა მეზობელ მთიელებს.

თუშეთისა და ვეინახ-დიდო-ლეკების კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობა-დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მეფეთა მიერ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების შეტანისათვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა. ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას ქართველი მეფეები დიდ ამოცანებს უსახავდნენ: „ჩრდილოეთის გაქრისტიანებას უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა და კახეთ-ჰერეთის ხელისუფლებაც ამ საქმეს გულმოდგინედ შესდგომია“[37].

აღმოსავლეთ კავკასიის მთიელ ტომებში ქრისტიანობისა და ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელების დაწყება, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიხედვით, აბიბოს ნეკრესელს მიეწერება. მატიანე ამტკიცებს, რომ აბიბოს ნეკრესელმა „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“[38]. აკად. ს. ჯანაშია აღნიშნულის თაობაზე წერს: „რადგანაც ქ. ნეკრესი თვითონ კავკასიის მთის კალთებზე მდებარეობდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „მთიულებში“ მემატიანე მთის კავკასიელ ტომებსაც გულისხმობს, ასე ესმის კერძოდ ვახუშტის, რომელიც ამბობს, რომ აბიბოსი იყო „მწყემსი გალმა მჯრისა დიდოთურთ“. მერვე საუკუნის შემდგომს ენერგიულ

---

[37] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 19.

[38] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 229.

აქტებს, ქრისტიანობის აღმოსავლეთ კავკასიისა და კავკასიის მთიანეთში დამკვიდრების მხრივ, მემატიანე მიაწერს არჩილ მეფეს"[39].

ჩრდილო კავკასიის ტომებში ქრისტიანობის შეტანის საქმეში მჭიდროდ იქნებოდა ჩაბმული თუშეთი, რომელსაც როგორც დიდო-ხუნძების, ისე ძურძუკების მიმართ გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით მოხერხებული პოზიცია ეჭირა, რაც, რა თქმა უნდა, კარგად იქნებოდა გამოყენებული. „მთელი ამ კულტურულ-რელიგიური მოძრაობის გამტარებელი ტერიტორიულად უნდა ყოფილიყო თუშეთი, საიდანაც ძურძუკეთის ბილიკები გადადიოდა. ამიტომ თუშეთის გაქრისტიანებაც ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო"[40].

დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს ბარიდან შემდგომ საუკუნეებშიც ხდება. XIV საუკუნის ისტორიკოსი „ყამთააღმწერელი" აღნიშნავს, რომ გარეჯიდან წამოსულა პიმენ სალოსი, ბელაქანს დამკვიდრებულა და ლეკებში ქრისტიანობა გაუვრცელებია. იგი წერს: „პიმენ სალოსი... გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა"[41].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხებოდა რა XIII—XIV საუკუნეებში ქართველ განმანათლებელთა მიერ დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, შენიშნავდა, რომ „მაშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღისტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-XIII ს-ის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი განათლება ლეკეთშიც კი გადაიტანა"[42]. სახელოვანი მეცნიერი სხვა დროსაც შეხებია დაღესტანში ქრისტიანობის არსებობის საკითხს და შეუნიშნავს: „დაღესტანში თვით ხუნძახამდის ქართველ მქადაგებელ-

---

[39] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 248; ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 243—244.

[40] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 20.

[41] ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1959, გვ. 283.

[42] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფილისი, 1919, გვ. 11.

თა წყალობით ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიები არსებობდა და ეპისკოპოსიც იჯდა"[43].

ქრისტიანული სარწმუნოება მომდევნო საუკუნეებში იმდენად გავრცელებულა ძურძუკეთ-ღლიღვეთსა და დაღესტანში, რომ მიუხედავად შემდგომში თურქეთ-ირანის მიერ იქ მაჰმადიანობის გავრცელებისა, იგი არსებობას განაგრძობს XV—XVIII საუკუნეებამდე. „XIV საუკუნეში, — წერს აკად. ს. ჯანაშია, — ლეკები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ"[44]. რ. მაგომედოვის მიხედვით კი აღინიშნება, რომ დაღესტნის ზოგიერთ ადგილებში ქრისტიანობა XIX საუკუნემდე განაგრძობს არსებობას[45]. თეიმურაზ პირველის მიერ რუსეთის მეფე მიხეილ თეოდორეს ძისადმი 1639 წლის 25 აპრილს მიწერილ წერილში კი საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ჩეჩენ-ინგუშეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი XVII ს-ის 30-იან წლებში კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა[46].

საქართველო თავისი მოწინავე კულტურითა და ძლიერი სახელმწიფოებრივი წყობილებით საუკუნეების მანძილზე ხშირად დიდ გავლენას ახდენდა იმიერკავკასიის ხალხებზე. ამის უტყუარი საბუთია ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის შეტანა-გავრცელება და ის ფაქტი, რომ ქართული ენა ხშირად ჩრდილოეთის ტომებისათვის სახელმწიფოებრივ ენასაც კი წარმოადგენდა[47]. იმიტომ იყო, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს ქისტ-ძურძუკ-ღლიღენი თავიდანვე ქართულად მოლაპარაკე ტომებად მიაჩნდა[48].

მართალია, კულტურული კავშირი ჩრდილოეთის ტომებსა და თუშებს შორის ქრისტიანული სარწმუნოების შემოღების შემდგომ უფრო განმტკიცებულა, მაგრამ არის სხვა საგულისხმო საბუთებიც, რომელნიც მიუთითებენ მათ ახლო ურთიერთობაზე წარმართობის დროსაც კი. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში საკ-

---

[43] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 302.

[44] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 251.

[45] Р. М а г о м е д о в, Завоевание Арабами Дагестана, 1940, стр. 18.

[46] М. Б р о с с е, Переписка на иностранных языках Груз. царей с Российскими государями от 1639 по 1770, СПБ, 1861, стр. 29.

[47] Н. М а р р, К изучению современного грузинского языка, 1922, стр. 13—14.

[48] თეიმურაზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, სანკტ-პეტერბურღი, 1848, გვ. 36.

მაოდ გავრცელებული დღეობა ათენგენობა, რომელიც ივლისში იმართება, ინგუშეთშიც გვხვდება, სადაც ათხეგეშკა ეწოდება[49].

თუშებისა და ჩეჩენ-ინგუშების დიდ სარწმუნოებრივ და კულტურულ სიახლოვეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თუშებს და ამ უკანასკნელთ საზიარო სალოცავი ხატი ჰქონდათ ე. წ. „ქავთრის მთაზე". თუშური ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თუშები და ქისტები ბოლო დრომდე იკრიბებოდნენ აღნიშნულ ხატობაზე. მაგრამ ერთხელ სალოცავში ჩხუბი მოსვლიათ თუშებს და ქისტებს, რომელთა მხრიდანაც რამდენიმე კაცი მომკვდარა. მომხდარი განხეთქილების გამო თუშებს იქიდან ხატის ნიში წამოუღიათ და სოფ. ჩიღოს მაღლა, ჩრდილო-აღმოსავლეთით (ჩაღმის საზოგადოება) მთაზე აუშენებიათ ბაზილიკა, რომელიც პირდაპირ უყურებს ქავთრის მთას, და მას შემდეგ ამ დღეობას „წმინდა გიორგი ჩიღოსთაობის ხატს" ეძახიან.

თუშეთში, სოფ. დართლოში, დანოსა და ჭეშოში დღესაც მიუთითებენ უხუცესი თუშები ე. წ. „დიდოების ჯვარის" (სალოცავი ხატის) არსებობის შესახებ. უხუცესი თუშების გადმოცემით, აქ ძველად დიდოების სალოცავები ყოფილა. დიდოების სალოცავი ხატი ყოფილა პირიქითის საზოგადოების სოფლების — ჭეშოსა და დანოს შუა მდებარე გორაზე. აქ დიდოეთიდან ზაფხულში მოდიოდნენ თურმე დიდოები და კვიცებს კლავდნენ. ამავე საზოგადოების სოფ. ჭეშოდან სოფ. ფარსმისაკენ მიმავალი გზის თავზე დღემდე შემორჩენილ ციხის ნანგრევს თუშები „დიდოთ ციხეს" ეძახიან. ამ ადგილზეც დიდოეთიდან მოსული დიდოები კვიცებს კლავდნენ[50].

დასახელებულ სალოცავებში დიდოების მიერ კვიცების დაკვლის ამბავი ივანე აბალოიძეს მოუსმენია თავისი პაპის (ჩუნთოს) დის ნინოსაგან, რომელიც უქმროდ დაბერებულა და დაახლოებით 125 წლის ასაკში გარდაცვლილა. ნინო მომსწრე ყოფილა და თვითონ რამდენჯერმე დასწრებია, როცა დიდოეთიდან თუშეთში დიდოები სალოცავად გადმოდიოდნენ და თავის სალოცავებში კვიცებს კლავდნენ. მი-

---

[49] რ. ხარაძე, კავკასიელი ხალხების ძმობა, გაზ. „კომუნისტი", № 281, 1962.

[50] პირიქითის საზოგადოების ზემოჩამოთვლილი სოფლების ტერიტორიაზე დიდოების სალოცავების არსებობის შესახებ გვიამბო 1968 წლის 1 დეკემბერს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებმა 82 წლის ივანე ბასილის ძე აბალოიძემ; ივანე და მისი წინაპრები ალვანში ჩამოსახლებამდე ცხოვრობდნენ თუშეთში, სოფ. ჭეშოში.

სივე ნაამბობიდან ივანე აბალოიძემ ჩაგვაწერინა, რომ თურმე თუშეთის ამ პირიქითის ხეობაში, ე. ი. პირიქითის საზოგადოებაში ადრე ერთად უცხოვრიათ თუშებს და დიდოებს. მათ შორის დროთა ვითარებაში უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, თუშებს დიდოები დაუმარცხებიათ, თუშეთიდან გაუძევებიათ და მთელი პირიქითის ხეობა თვითონ დაუკავებიათ.

გომეწრის თემში, სოფ. საჩიღოლოდან ორწყლის მიმართულებით, საკარეს, არის ძველისძველი ნასახლარები, რომელთაც თუშები „დიდოთ ნასოფლარს“ უწოდებენ. იქვე ერთ ადგილს თუშები „დიდოთ ღელეს“ ეძახიან.

თუშეთში, თუშების გვერდით დიდოების ცხოვრების შესახებ არსებული გადმოცემა, სალოცავი ხატების დღემდე შემორჩენილი ნაშთები, დიდოების ნასოფლარები, ჩვენი აზრით, უტყუარი საბუთია იმისა, რომ დიდოებსა და თუშებს მრავალი საუკუნის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა, მშვიდობიანი დამოკიდებულება და თანაცხოვრება ჰქონიათ.

თუშეთის მსგავსად, ხევსურეთშიც გვხვდება ისეთი ხატები, რომლებიც ვეინახ-ხევსურებისათვის საზიარო ყოფილა. ასეთ სალოცავებს ხევსურები „რჯულიან-ურჯულოთა ხატს“ ეძახიან. დიდ ინტერესს იწვევს ხევსურებში შემორჩენილი გადმოცემები სოფ. ანატორაში თავის დროზე არსებულ „რჯულიან-ურჯულოთა ხატის“ შესახებ. ამ ხატის ირგვლივ 1970 წელს საინტერესო მასალა ჩაგვაწერინა 1889 წელს დაბადებულმა, სოფ. შატილში მცხოვრებმა, ტრიხი (ნია) ხვთისოს ძე ჭინჭარაულმა. იგი გვიყვება: „რჯულიან-ურჯულოთა სალოცავი ანატორის ხატი არის ყოფილ სოფელ ანატორაში (ყოფილი სოფელი იმიტომაა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი დაუხოცია ჟამს—შავ ჭირს. არავის არ ახსოვს, თუ რომელ წელს). ამ ანატორის ხატს ემსახურებოდნენ როგორც ხევსურები. ისე ჩეჩნები. მაგალითად, ჩემს მოსწრებაში მახსოვს, ჩეჩნების სოფელ ჯარეგოში მცხოვრები ხაიური პოსეშა იყო ანატორის ხატის ხელოსანი (ე. ი. ხევისბერი, ვ. ე.). ეს პოსეშა ხაიური ჩეჩენი იყო. პოსეშასთან ერთად ხელოსნები ამ ჯვარში ხევსურებიც იყვნენ: აბულეთი დავითა ჭინჭარაული, ბეწიკა წიქას ძე ჭინჭარაული, გორგალა გორგალას ძე ჭინჭარაული და ბერა ხურსიკას ძე ჭინჭარაული. გადმოცემით გამიგონია, რომ ანატორის ხატის ხევსურ ხუცესს და მედროშეებს უვლიათ ჩეჩნების სოფლებში: სახანოში, თერეთეგოში, მირზუში, ბონისიში, ქამალაღოში, ხორ-

უაღოში, კაკნიახაში და სხვა სოფლებში, სადაც ჩეჩნები უკლავდნენ საკლავს და ლუდსაც უხარშავდნენ“.

ამავე ხატის შესახებ 1970 წელს ანალოგიური ცნობები მოგვაწოდეს სოფ. მუცოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ხვთისო დავითის ძე დაიაურმა (დაბ. 1942 წელს, სოფ. მუცოში) და შატილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მამუკა მინდიას ძე გოგოჭურმა (დაბად. 1933 წელს. სოფ. გიორგიწმინდაში). ისინი ყვებიან, რომ „შატილიდან მესამე კილომეტრზე მდებარეობს ანატორის ნასოფლარი, სადაც ამჟამადაც არის ხატი, რომელსაც ანატორის ხატს ეძახიან. ეს ხატი არის პირიქითა ხევსურეთში ყველაზე ძლიერი ხატი. ამ ხატს რჯულიან-ურჯულოს სალოცავს ეძახიან, რადგან იგი ითვლებოდა ჩეჩნებისა და ხევსურების საზიარო ხატად“.

ასეთივე საზიარო ხატი ყოფილა სოფელ ხონეშიც[51]. ამ ხატში ახლაც მოდიან თურმე ქისტები სალოცავად.

დიდ ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ ხევსურებს ქისტების ტერიტორიაზეც ჰქონიათ ხატები. ესენი არ ყოფილან საზიარო ხატები, აქ მარტო ხევსურები ლოცულობდნენ თურმე. ასეთი ხატის არსებობის შესახებ 1970 წელს მოგვიყვა გაბრიელ ხიზანის ძე ნაროზაული, სოფ. ახიელოდან, დაბად. 1908 წელს. იგი გადმოგვცემს: „ქისტების ხატები, ე. ი. მათი სალოცავები ჩვენთან, არხოტში, არ ყოფილა. მხოლოდ ჩვენი ხატი სოფ. ამღაში მცხოვრებლებისა, ქისტების ტერიტორიაზე არის სოფ. შავანის ახლოს, ე. წ. „საამღოს კარის“ ტერიტორიაზე. ეს ხატი რატომ იყო იქ, ან იმ ხეობას და ადგილს რატომ უწოდებენ „საამღოს კარს“, ამაზე არაფერი გამიგონია. არის ასეთი ლექსი:

„ამღის კარ მეჯვარეებსა
დღე გაუთენდა ზიანი.
ჩაუხედ მამახანაო,
შვილდი აკეხე რქიანი.“

ამ ლექსში აღნიშნული რქის შვილდი ინახებოდა არხოტის ჯვარში და დაიწვა 1936 წელს, ხანძრის გაჩენის გამო“.

თუშეთში დიდო-ლეკებისა და ქისტ-ჩეჩნების ხშირ მიმოსვლასა

---

[51] რ. ხ ა რ ა ძ ე, პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში, ენიმკის მოამბე, XI, 1941, გვ. 29—30.

და ცხოვრების სინამდვილეზე მიუთითებს თუშეთის ტოპონიმიკაც, სადაც მრავალი გეოგრაფიული სახელი მხოლოდ ვეინახურ და დიდოურ-ლეკურ ენებზე იხსნება. „მთის კილოთა გავრცელების ტერიტორიაზე ძირითადად ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები გვხვდება. მაგრამ საკმაო რაოდენობით ვხვდებით ისეთ ტოპონიმებსაც, რომელთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის გარკვევა ხერხდება მხოლოდ ნახური ენების მონაცემთა გათვალისწინებით"[52]. თუშეთში კი, როგორც აღვნიშნეთ, არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა ახსნა მხოლოდ დიდოურ და ლეკურ ენებზე ხერხდება. მაგალითად, სოფ. დიკლოს ჩრდილოეთით მდებარეობს ფიქვნარით დაფარული მთა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა დოდ-კალტოს ეძახის. დობ-კალტო ლეკურ ენაზე ნიშნავს — იქ. ხევში. იმავე სოფლის პირას არის სოფლის მცხოვრებთა ცხენ-სახედრების დასაბმელი და საძოვარი გორა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ხუტანა-ბაჩეს უწოდებს. ხუტანა-ბაჩე სიტყვა-სიტყვით ლეკურად ნიშნავს — დარჩა, მომეცი. იმავე სოფლის წისქვილებისა გვერდით სახნავ-სათესად ვარგის ადგილს დეჩ-ბაჩე ჰქვია. ეს სახელიც ლეკურად იხსნება, სადაც დეჩ ნიშნავს პურს, ხოლო ბაჩე—მომეცი. თვითონ სოფელ დიკლოს სახელი წოვურ-ქისტურად იხსნება. დიკ ბაცბურად ცულია, დიკლოს—ცულს მივცემ. ქისტურად იქნება დიგლო—ცულს აძლევს.

თუშეთში არის მთელი რიგი ადგილები, სასოფლო თუ მთელი საზოგადოების მიწა-წყალი, სადაც ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად, გვხვდება ტოპონიმები, რომელნიც ქისტურ-წოვურ-ჩეჩნურ-დიდოურ და ლეკურ ენებზე იხსნება. თუშეთში არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელნიც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ენაზე იხსნება. მაგალითად, სოფ. ხისო ქისტურ-წოვურად ნიშნავს: ხი-წყალი, სო-მე, ე. ი. ხისო ქისტურ-წოვურად ნიშნავს — წყალი მე.

სოფ. ომალოში ერთ-ერთ წყაროს ადგილობრივი მოსახლეობა ხიბრეტს ეძახის. ხი ქისტურ-წოვურად წყალს ნიშნავს, ბრეტ ქისტურ-წოვურად არ იხსნება. ბრეტი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მწერია, ბუზია, რომელიც „თაფლსა იქმს კეთილსა ველზედ"[53]. ხიბრეტი—წყლის ბუზს, მწერს ნიშნავს.

---

52 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 261.

53 სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV, 1965, გვ. 118.

სოფ. ცოკალთა: ცოკალ-წოვურად-მელა, ქისტურად—ცუოგალ—მელა. სოფ. დადიკურთა წოვურ-დიდოურ ენებზე იხსნება. დადი—საგვარეულო; მაგ., ასე იტყვიან წოვურად—ღაზენ დადი დაო გო—კარგი საგვარეულო ჰყავს. კურთ შეიძლება წოვური ქუორთ-ის სახეშეცვლილი ფორმა იყოს, რაც ნიშნავს—თავი, ე. ი. წოვურად გამოდის: დადიკურთა—საგვარეულოს თავი. დიდოურად დადიკურთა შემდეგნაირად იხსნება: დადი ნიშნავს ძმას. მაგ., ნარ ითლინ—დადი—სად მიხვალ (მიდიხარ), ძმაო? კურკოჟოჟს, კოპიჭს ნიშნავს. გამოდის, რომ დიდოურად დადიკურთა ძმის კოპიჭს ნიშნავს.

სოფლის სახელი — ჰეღო დიდოურადაც იხსნება და წოვურადაც. დიდოურად ჰეღ-საბძელის აღმნიშვნელია. წოვურად ჰეღო ნიშნავს — შენ წახვალ.

სოფ. ჩიღოს აღმოსავლეთით, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე, სოფლების — შენაქოსა და დიკლოს მიმართულებით მდებარე საკმაოდ დიდ ტერიტორიას, რომელსაც სოფ. ჩიღოს მოსახლეობა საზამთრო საცხოვრებლად იყენებდა, რადგან იქ სოფელთან შედარებით უფრო თბილი და ხელშემწყობი პირობებია საქონლის გამოსაზამთრებლად, თუშები უწოდებენ ტუტარისკ. ტუტა-ბუზი, რიკიხ-მიდის, ე. ი. დიდოურ ენაზე ტუტარიკი (ხ) ნიშნავს — ბუზი მიდის. დიდოურად რიკ—ნიშნავს ფერდასაც, ე. ი. ისეთ ადგილს, რომელიც დამრეცია, ფერდობია; წოვურად ტუტ-ბუზი, რიკი (რიკნა) — პატარა ჯოხი. თუშები რიკ-ს ცხვრის კუდსაც ეძახიან. სოფ. ომალოს ჩრდილოეთით მდებარეობს თავისებური აღნაგობის გეოგრაფიული ღრმული, რომელსაც თუშები ქუეს ეძახიან. ქუე-დიდოური სიტყვაა და ნიშნავს რუს, გზას, ე. ი. ისეთ ადგილს აღნიშნავს, სადაც შეიძლება მორის ან შეშის დაცურება. ქუედ წოდებული ადგილ-მდებარეობა პირდაპირ შეეფერება მისი აღმნიშვნელი სახელის დიდოურ შინაარსს.

სოფ. დაქიურთის შუაში, პატარა ველზე, არის გარშემო ყორით ამოშენებული საგუბარი წყარო, რომელსაც ეწოდება — „ვეშოს წყარო". „ვაშო", „ვოშ" ქისტურ-წოვურად ნიშნავს — ძმას. აქ ვაშო-ს ცვლილი ფორმა უნდა იყოს — ვეშო და ნიშნავს ძმის წყაროს.

სოფ. დაქიურთის ქვემოთ არის სათიბი ადგილი — არჭიკსანო. წოვურად არჭინ-შავი, არჭინსანო შავივით, არჭინ-სანი-შავი კარები. შეიძლება ეს სახელი დარჩა სათიბ ველს, რადგან ის სოფლის კარია, მოსასვლელია. სოფ. გირევთან ახლოს არის პატარა, ლამაზი ვაკე, განთქმული საძოვრებით, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ბააცა

მათეს უწოდებდა. ბააცა ქისტურ-ჩაჩნურად თუშს ნიშნავს, ე. ი. თუ-ში მათე. მათე შესაძლოა ამ ადგილის პატრონიც იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული არაქარ-თული წარმოშობის ტოპონიმების ფართო მასშტაბით შესწავლა პირ-ველად პროფ. თ. უთურგაიძემ სცადა. მან შრომაში — „ქართული მთის კილოთა ზოგი თავისებურება" — მრავალი ტოპონიმის ახსნა მოგვცა[54]. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ საქმის და-საწყისია და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტოპონიმიკა უფრო სრულყო-ფილ შესწავლას საჭიროებს.

თუშეთის ზოგიერთ არაქართული წარმოშობის ტოპონიმს შეეხო პროფ. ი. დეშერიევიც[55].

კახეთის მთიანეთში აქა-იქ არსებული, ე. წ. „რჯულიან-ურჯულო-თა ხატები" და არაქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ტოპონიმები მანიშნებელია ქართველი მთიელებისა და იმიერკავკასიელების მრა-ვალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობისა თუ მეგობრული დამოკიდე-ბულებისა.

თუშებისა და მათი მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელების კულ-ტურული ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო და მნი-შვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ვეინახებისა და დიდო-ლეკების მიერ თუშეთში საცხოვრებელი სახლებისა თუ ციხე-სიმაგრეების მშე-ნებლობა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში შემორჩენილი გადმოცემების მიხედვით დგინდება, რომ თუშეთში ქვითხუროობის საქმეს დიდოები აწარ-მოებდნენ, ხოლო ფშავ-ხევსურეთში — ქისტები და ჩეჩნები. თუ-შები დიდოეთიდან მოსულ ოსტატ-მშენებლებს „ხუროებს" ეძახდნენ. სახლის ან ციხის ერთი სართულის კედლის აშენებაში „ხუროებს" თუშები ერთ ჭედილას ან მის ღირებულებას უხდიდნენ. კვება სახლის მეპატრონისა ყოფილა. სახლისა თუ ციხის მშენებლობაში მთელი სოფელი ღებულობდა მონაწილეობას, რასაც თუშეთში „ოჩხარა" ეწოდებოდა.

ხალხში გავრცელებული გადმოცემებისა და მოხუცი თუშების ნაამ-

---

[54] თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული მთის კილოთა ზოგი თავისებურება, ტ.ბ., 1966, გვ. 88—103.

[55] Ю. Д е ш е р и е в, Бацбийский язык, Грозный, 1953, стр. 26—31.

ბობის მიხედვით აშკარა ხდება, რომ თუშეთში ქვითხუროობის საქმეს დიდოები მისდევდნენ და ადგილობრივმა მამაკაცებმა სახლებისა თუ ციხეების მშენებლობა არ იცოდნენ[56].

1931 წელს თუშეთში ს. მაკალათიას თვითონ უნახავს, რომ ამ მხარეში მშენებელი ოსტატები დიდო-ლეკები იყვნენ, ხალხური გადმოცემებიცა და მთხრობელნიც იმას ადასტურებენ, რომ წარსულშიც ამ საქმეს დიდოები აკეთებდნენ, მაგრამ მაინც საეჭვოდ მიიჩნევს დიდოლეკების მიერ თუშეთში ციხე-სიმაგრეთა მშენებლობის თაობაზე არსებულ გადმოცემებს. იგი წერს: „მართალია, დღევანდელ თუშეთში სახლის ამგები ოსტატები ლეკებია. მაგრამ ამ ძველ ციხეების აგების დროს საეჭვოა, რომ თუშების მოსისხლე მტრებს ლეკებს მათთვის ასეთი მაგარი ციხეები აეგოთ“[57].

განსვენებულმა მეცნიერმა ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ხევსურეთის ციხე-სიმაგრეთა მშენებლობის თაობაზე არსებულ გადმოცემებზეც, რომელთა მიხედვითაც ხევსურეთში ციხეების მშენებლები ქისტ-ჩეჩნები ყოფილან „... ხევსურული სიპებიანი ციხეები თავიანთი ნაგებობებით, იგივეა, რაც თუშური ტიპის ციხეები და ხევსურებიც თუშებივით ამ ციხეების აშენებას ქისტ ოსტატებს მიაწერენ. რასაკვირველია, ამ გადმოცემის გაზიარება ძნელია. ჩვენ ვიცით, რომ ქისტები ხევსურებს მტრობდნენ, და ძნელი დასაჯერებელია, რომ ქისტებს ხევსურებისათვის ციხეები ეშენებინათ“[58].

ასგავს დასკვნებს ვხვდებით მკვლევარ ა. შავხელიშვილთანაც. მასაც არადამჯერებლად მიაჩნია თუშეთის ციხე-კოშკებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქისტეთიდან და დიდოეთ-დაღესტნიდან გადმოსული ხუროების მიერ. იგი აღნიშნავს, რომ საკითხის ამგვარი დასმა „დასაბუთებულად არ მიგვაჩნია. რადგან XVII—XVIII საუკუნეებში თუშებთან ქისტები და ლეკები მტრულ ურთიერთობაში

---

[56] ღუზარაული იაკობ დავითის ძე, დაბ. 1880 წ. სოფ. გირევიდან; ხვედეგაიძე ელიბო გიორგის ძე, დაბ. 1903 წელს, სოფ. დართლოდან; ალიაიძე ეგნატე, დაბ. 1891 წელს, სოფ. გოგრულთიდან; აბრამ თევდორეს ძე ელანიძე, დაბ. 1901 წელს, სოფ. ჩიღოდან; ღუზარაული ანდრო დავითის ძე, დაბ. 1900 წელს, სოფ. გირევიდან; ოევაზ ხაჩიძე, დაბ. 1893 წელს, სოფ. შენაქოდან; არჩილო იჟირაული, დაბად. 1895 წელს, სოფ. ომალოდან; რაჟდო დარქიზანიძე, დაბ. 1894 წელს, სოფ. ჯვარბოსლიდან; სამსონ ნაღგურაიძე, დაბად. 1888 წელს, სოფ. დართლოდან და სხვ.

[57] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 124.

[58] ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 122.

იყენენ და თავიანთ ერთადერთ თავდაცვით საშუალებათა მშენებლობის საქმეს უცხო ხელოსნებს არ მიანდობდნენ, რადგან ეს სახიფათოც იყო და შეუძლებელიც"[59].

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ა. შავხელიშვილმა სხვა გამოკვლევაშიც, სადაც ვკითხულობთ: „ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თუშეთში ციხე-კოშკების მშენებლობა ხორციელდებოდა მოწვეული ქისტი ხელოსნებისა[60] და ხშირ შემთხვევაში ლეკების ხელმძღვანელობით, საკამათოდ მიგვაჩნია"[61].

აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებას ა. შავხელიშვილი ეთნოგრაფიული მასალების მოშველიებით ცდილობს. „აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ, — წერს მკვლევარი, — შეიძლება მოვიყვანოთ ეთნოგრაფიული მასალა. 1967—1970 წლების თუშეთ-ჩეჩნეთის საველე ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით დასტურდება, რომ თუშეთის ოთხივე თემის მშენებლობის ტექნიკა, მასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელსაწყო იარაღები, მშენებლობის მასალა, არქიტექტურა, სტილი და თვით ამ ძეგლების მშენებელი ხელოსნები ადგილობრივია. მთხრობელთა გადმოცემით სახლების, ციხე-სახლებისა და ციხე-კოშკების საქმეს თუშეთში, როგორც ცალკეული, ასევე მთელი გვარი მისდევდა"[62]

ქისტ-ჩეჩნებსა და თუშებს შორის რომ XVII—XVIII საუკუნეებში და შემდგომშიც, მიუხედავად მათ შორის მტრული დამოკიდებულებისა, ყოველთვის არსებობდა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა, ამას თვით ა. შავხელიშვილიც შენიშნავს: „საარქივო მასალებიდან და ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ XVIII—XIX საუკუნეებში თუშეთში ხშირი იყო როგორც ქისტი, ასევე დაღესტნელი აბრაგების თავდასხმები, მაგრამ ჩეჩნეთ-ინგუშეთის და თუშეთის მშრომელ მოსახლეობას შორის მუდამ არსე-

---

[59] ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე", № 2, 1972, გვ. 54.

[60] Ю. Дешериев, Бацбийский язык, стр. 63.

[61] ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1977, გვ. 29.

[62] ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე", № 2, 1972, გვ. 54.

ბობდა კეთილმეზობლური დამოკიდებულება"[63]. ასევე მსჯელობს სხვაგანაც.

საკითხისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომა ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია. მაშინ, რით უნდა ავხსნათ, რომ თუშეთში ადრე ქვითხუროობა არავინ იცოდა. ვერც ერთ მაგალითს ვერ დავასახელებთ, რომ თუშეთში თუშ მამაკაცს აეშენებინოს ციხე-სიმაგრე თუ საცხოვრებელი სახლი. აბა, მოვუსმინოთ ს. მაკალათიას, რას წერს XX ს-ის 30-იანი წლების თუშეთში საცხოვრებელი ბინების მშენებლობის თაობაზე: „სახლის შენების ოსტატობა თუშებმა არ იციან. მთათუშეთში სახლებს ლეკები აგებენ, ხის მასალაზე კი რაჭველი ოსტატები მუშაობენ"[64].

თუშები თუ თვითონ იშენებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და ციხეებს, მაშინ მათ ქვით მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილება რატომ დაკარგეს? ალვნებში და ლალისყურში, სადაც თუშები თუშეთიდან ჩამოსახლდნენ, საცხოვრებელი ბინები რატომ თვითონ არ აიშენეს, განა ერთ შემთხვევას მაინც დავასახელებთ ჩვენი საუკუნის 50—60-იან წლებამდე? რა თქმა უნდა, ვერა.

სრულიად უსაფუძვლოა, ისიც, რომ თითქოს თუშებს ჰქონოდეთ მეზობელ ჩრდილო კავკასიელთაგან განსხვავებული „ხელსაწყო იარაღები" და თანაც დღემდე შემონახული. თუშებში მსგავსი არაფერი მოიძებნება და მათ არც არავინ ასახელებს. იმის აღნიშვნა, რომ თუშეთის ციხეები სრულიად განსხვავდება ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ციხეებისაგან და მტკიცება, რომ თუშეთის ციხეები არქიტექტურისა და სტილის მიხედვით ადგილობრივი წარმოშობისაა, ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას.

პროფ. ს. მაკალათიამ თავის დროზე აღნიშნა, რომ „გუმბათიანი ტიპის ციხე მთათუშეთში გავრცელებულია მხოლოდ პირიქით ხეობაში და ის თავისი ფორმით და კონსტრუქციით ემსგავსება პირიქით ხევსურეთში[65] და ქისტეთ-ჩაჩნეთში[66] არსებულ ამავე ტიპის ციხე-

---

[63] ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, „მაცნე", № 2, 1972, გვ. 53.

[64] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 137-138.

[65] Г. Радде, Хевсурия и Хевсуры, Тиф., 1881, стр. 235.

[66] И. П. Шеблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры, 1928, стр. 271—277.

ებს"[67]. ს. მაკალათიას ამ მსგავსებაში ეჭვი არც ეპარებოდა, მხოლოდ აინტერესებდა ასეთი ტიპის ციხეების წარმოშობისა და სადაურობის საკითხის გარკვევა[68].

თუშეთის პირიქითის თემში გავრცელებული ე. წ. გუმბათიანი ციხის ქისტეთის ასეთივე ციხეებთან მსგავსების თაობაზე ს. მაკალათია შენიშნავდა: „ამ ტიპის ქისტურ ციხეების შესახებ მკვლევართა აზრია, რომ მათი ფორმა ქისტეთში უნდა იყოს შესული საქართველოდან, რომლის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ ქისტეთი წარსულში იმყოფებოდა[69]. ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის კოშკი დღესაც დაცულია ანანურის ციხის გალავანში და ასეთივე პირამიდულ სახურავიანი ხატ-სამლოცველოები მოიპოვება ფშავში. ეტყობა ციხის ოსტატები კავკასიონის ამ არეში პირიქით ხევსურეთ-თუშეთში და აქედან ქისტეთშიაც გარკვეული მოსაზრებით აგებდნენ ამ გუმბათიან ტიპის ციხეებს"[70].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-სახლების მსგავსი ნაგებობანი რომ ნამდვილად გვხვდება ჩრდილო კავკასიაში, რომლებიც სტრუქტურისა და სტილის მიხედვით ერთიმეორეს ემსგავსება, მრავალგზის არის აღნიშნული ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. ამ მიმართულებით ქართველმა ეთნოგრაფებმა ჩაატარეს საინტერესო კვლევა-ძიება და ჩამოაყალიბეს სახელმძღვანელო დასკვნები და დებულებები[71].

არღაბუ-ხულანტის ხეობის ციხეების, საცხოვრებელი სახლების შესწავლა-დათვალიერებისას დავრწმუნდით, რომ მათ თუშეთის მსგავს ნაგებობებთან არსებითი განმასხვავებელი ნიშნები არ გააჩნიათ. მაგალითად, სოფ. ხულანტის სახლების განაშენიანება, არქიტექტურა, აღნაგობა, ფიქალით მშენებლობა და ზოგ შემთხვევაში მითვე გადახურვა — სრულიად ემსგავსება თუშეთის სოფლებს.

თუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ა. შავხელიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას სავსებით ეთანხმება ერ. ჭარელიშვილის მიერ ახმეტის რაიონულ გაზეთ „ბახტრიონში"

---

67 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 123.

68 ი ქ ვ ე.

69 Известия Ингушского института краеведения, I, 1928, 48,280.

70 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 124.

71 Кавказский этнографический сборник, т. II, Тиф., 1968 и др.

გამოქვეყნებული წერილი[72]. წერილის ავტორის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე დაამტკიცოს თუშეთში დღემდე შემორჩენილ ციხე-სიმაგრეთა „ქართველური წარმოშობა“, რომ მათ არავითარი კავშირი და მსგავსება არა აქვთ ჩეჩენ-ინგუშურ კოშკებთან.

ერ. ჭარელიშვილი თუშეთში ხედავს მხოლოდ ერთი ტიპის ციხეებს, რომელთაც შესასვლელი კარები პირველი სართულიდანვე აქვთ დატანებული, თანაც უკიროდ და უსაძირკვლოდაა აშენებული. მათი გადახურვა და მშენებლობის სტილიც სრულიად ინდივიდუალურია, მაშინ როცა „სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჩაჩნურ-ინგუშური, ოსური და ხევსურული ციხე-კოშკები კირქვითაა აგებული და მათი გადახურვა კონუსისებურია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოშკებს შესასვლელი მეორე სართულზე აქვთ, ხოლო სათვალთვალო ჭერხო უკანასკნელ სართულზე. მათი თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ პირველი სართული გამოყენებული იყო ტყვეების მოსათავსებლად და ზოგიერთი მკვლევრის თვალსაზრისით, პოლიტიკურ ექსპანსიებთან დაკავშირებით, მას სამეურნეო მნიშვნელობაც ენიჭებოდა“[73].

თუშეთის ციხეებს პირველ სართულზევე კარები იმიტომ ჰქონია დატანებული, რომ თურმე „თუშები... მტერს არ ატყვევებდნენ: შეპყრობილს დანაშაულის მიხედვით ან კლავდნენ, ან ანთავისუფლებდნენ და ამიტომ მათ დილეგები არ სჭირდებოდათ“[74].

წერილის ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ თუშეთში გვხვდება ციხეების ორი ტიპი: ერთს, რომელსაც კარები პირველი სართულიდანვე აქვს დატანებული, ხოლო მეორეს — მეორე სართულიდან. თუშეთის ამ ორი ტიპის ციხეებით თავის დროზე დაინტერესდა ს. მაკალათია და მათი სრული დახასიათება მოგვცა კიდეც ცნობილ გამოკვლევაში „თუშეთი“[75]. იგი პირდაპირ წერს, რომ „ნაგებობის კონსტრუქციითა

---

[72] ერ. ჭ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ექსპედიცია მთათუშეთში, გაზ. „ბახტრიონი“, 1968 წლის 12 დეკემბერი.

[73] ი ქ ვ ე.

[74] ი ქ ვ ე.

[75] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 116—132.

და არქიტექტურული ფორმით მთათუშეთის საომარი ციხეები ორგვარი ტიპისანი არიან, რომელთაგანაც შესასვლელი კარები ერთი ტიპის ციხეებს პირველი სართულიდანვე აქვთ, ხოლო მეორე ტიპის ციხეებს კი მეორე სართულიდან"[76].

თუშებს რომ შეპყრობილი მძარცველების დატყვევებაც სცოდნიათ და მათ იმავე წუთას არ კლავდნენ, ესეც აშკარად ჩანს განსვენებული მეცნიერის ხსენებულ მონოგრაფიაში. იგი წერს: „ბრძოლის დროს ციხის თითოეული სართული თავდაცვისათვის იყო გამოყენებული: პირველ სართულში ტყვეებს ამწყვდევდნენ (საუბარია მეორე სართულზე დატანებული კარებიანი ციხის ტიპებზე, ვ. ე.), მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთეში მეკომურები იხიზნებოდნენ, მეექვსე სართული საომრად იყო გამართული. აქ იყვნენ მზვერავ-მეციხოვნენი და ჩარდახებიდან ისროდნენ თოფებს, აგორებდნენ ქვებს და ამგვარად იგერიებდნენ კარზე მომდგარ მტერს"[77].

თუშეთის ციხეები რომ მხოლოდ მშრალად არ შენდებოდა და დუღაბსაც იყენებდნენ, ამასაც აღნიშნავს პროფ. ს. მაკალათია: „მეორე ტიპის თუშური საომარი ციხე პირამიდულ სახურავიანია და ამ ფორმის ციხეები გავრცელებულია მხოლოდ პირიქითის ხეობაში, დართლოდან მოყოლებით ნასოფლარ ჭონთიომდე. ეს პირამიდულ გუმბათიანი ციხეები ნაშენია დუღაბით და შედარებით კარგადაა დაცული. მისი კონსტრუქცია და არქიტექტურული ფორმაც ლამაზია"[78].

არც იმის თქმაა სწორი, რომ, თითქოს თუშეთის ციხეები ყოველთვის საძირკვლის გარეშე შენდებოდა, ხოლო ჩეჩნურ-ინგუშური კოშკები კი—პირიქით.

უნდა შევნიშნოთ, რომ თუშეთის ციხეები უმეტესწილად აშენებულია ბუნებრივად გამაგრებულ, მიუვალ კლდე-ქარაფიან მასივებზე. ასეთ ადგილებზე ციხეებს იმიტომ აშენებდნენ, რომ, ჯერ ერთი, მტერი ადვილად ვერ მიახლოებოდა სიმაგრეს, მეორეც, მისი საძირკველი საიმედო ყოფილიყო და მტერს მისთვის ვერაფერი დაეკლო. მაგრამ ასეთი სასურველი ადგილი თუშეთის ყველა დასახლებულ პუნქტს არ გააჩნდა. ამ შემთხვევაში ციხეები შენდებოდა საცხოვრებელი სახლების გვერდით და საძირკველი აუცილებლად უკეთდე-

---

[76] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 116—120.

[77] ი ქ ვ ე.

[78] ი ქ ვ ე, გვ. 119.

ბოდათ. ასეთი ციხეების ნაშთები თუშეთის ბევრ სოფელში დღემდეა შემორჩენილი. მაგალითად, ჩიღოში — „ნადიანთ ციხე", „ქავთარიანთ ციხე", „ჩიღოსგორის ციხეები", ომალოში — „ლუიანთ ციხე" და სხვა.

ა. შავხელიშვილსა და ერ. ჭარელიშვილს კვლევა-ძიების ასეთი გზა იმიტომ აურჩევიათ, რომ უარყონ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა წოვების თუშეთში მოსულობის შესახებ და დაამტკიცონ მათი აბორიგენობა[79].

თუშეთის ეთნიკური შემადგენლობისა თუ მათი სადაურობის შესახებ იქ დღემდე შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების ნაშთებზე დაყრდნობით მსჯელობა, თუნდაც ისინი სრულიად განსხვავებული — ინდივიდუალური შინაარსით ხასიათდებოდნენ, ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამ რთული საკითხის განხილვისათვის თუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება. ისინი გვიანი საუკუნეების კუთვნილებაა, თუშეთის დასახლება კი პრეისტორიულ ხანაში იღებს სათავეს.

ს. მაკალათიამ გარდა იმისა, რომ თუშეთის ციხეების ტიპობრივი დახასიათება მოგვცა და მათ შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა, მანვე პირველმა სცადა განესაზღვრა თუშეთის ციხე-სიმაგრეთა აგების დრო. აღნიშნულის თაობაზე მეცნიერი წერდა: „სამწუხაროდ, ამ ციხეებს (საუბარია თუშეთის ციხეებზე, ვ. ე.) წარწერა არა აქვთ, რომ შესაძლებელი იყოს შენების დროისა და ოსტატის ვინაობის დადგენა... მაგრამ მთათუშეთის ისტორიული წარსულის მიხედვით შესაძლებელია დაახლოებით მაინც ამ ციხეების წარმოშობის დროის განსაზღვრა. ეს დრო მე-16—18 საუკუნეა, როდესაც ფეოდალური საქართველო დაეცა და ჩვენში გაძლიერდა სპარსეთ-ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა, რომელსაც მოჰყვა ლეკების გამანადგურებელი თარეში"[80].

XVII ს-ის 60-იანი წლების რუსული საარქივო მასალებით ნათლად ჩანს, რომ დიდოეთი თუშ-ფშავ-ხევსურეთთან და ხევთან ერ-

---

[79] ა. შავხელიშვილი, თუშეთის ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, ჟურნ. „მაცნე", № 2, 1972, გვ. 45—62; ერ. ჭარელიშვილი, ექსპედიცია მთათუშეთში, გაზ. „ბახტრიონი". 1968 წლის 12 დეკემბერი.

[80] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 124—125.

ოთად თავგამოდებით იბრძოდა ერეკლე პირველის კახეთში გასამეფებლად. დიდი ბრძოლების მიუხედავად, მთიელები დამარცხდნენ და 1666 წელს ერეკლე ბატონიშვილი იძულებული გახდა კვლავ რუსეთში გაბრუნებულიყო. მასთან ერთად ჩასული დიდოეთის, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ხევის წარმომადგენლები რუსეთის მეფეს შაჰის რისხვისაგან დაცვასა და მფარველობას სთხოვენ. საარქივო დოკუმენტიდან ისიც აშკარაა, რომ დიდოეთის მოსახლეობა კვლავ ქრისტიანია და ამ იდეოლოგიის ქომაგად გვევლინება[81].

დიდოეთის დამოკიდებულება ქართველობასთან შემდგომშიც, ვახუშტის მონაცემებით, არაა გაუარესებული. მართალია, მისი ნაწილი —„ლეკის მჯარე" დაიპყრეს ... ლეკთა და მოჰმადიან ყვეს", მაგრამ დიდოეთის სრული დამორჩილება მათ მაინც ვერ მოუხერხებიათ, ამის შესახებ ვახუშტი წერს: „... სხუანი ჰგიეს და არიან ეგრეთვე. და კახეთის მჯრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და საკმარსა თვისსა"[82].

დიდოეთთან ახლო ურთიერთობაზე, რაც მთავარია, თუშთა და დიდოთა შორის კეთილ დამოკიდებულებაზე, ქართლ-კახეთის სამეფოთა პოლიტიკური მესვეურნი ყოველთვის ზრუნავდნენ და ოფიციალურ დოკუმენტებსაც ადგენდნენ. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ერთი სიგელის შინაარსი აშკარად მეტყველებს იმ ღონისძიებათა თაობაზე, რასაც სამეფო კარი თუშებისა და დიდოების ნორმალური თანაარსებობისათვის ატარებდა: „ეს წიგნი მოგეცით ჩუენ, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — ვალაურმა, საღირმა. მთელი თუშეთის პირობით თქუენ, ნოდარის შვილებს გიორგისა და გრიგოლს. ასე რომ ჩუენ თუშთ და დიდოებს ერთმანეთში ლაპარაკი გვქონდა. დიდოები კიდემ გულს არ აჯერებდნენ ჩუენს შერიგებაზედ და ჩუენ ეს პირობის წიგნი მოგეცით. თუ დღეის იქით თუშმა დიდოს დაუშაოს რამე, ჩუენის ხელმწიფის შემცოდე და მუხანათი ვიყოთ. თუ რაც უწინ პირობა და

---

[81] გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), იხ. „საისტორიო მოამბე", № 23—24, 1970, გვ. 160—161.

[82] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 553.

წიგნი დაგვიდვია ჩუენს მოურავთან და თქუენთან ის ჯარიმა გადავიხადოთ"[83].

დიდოეთსა და თუშეთს შორის ურთიერთობა სრულიად მაშინაც კი არ გაწყვეტილა, როცა ეს მხარე შამილის გავლენის ქვეშ მოექცა და, მისივე ბრძანების თანახმად, დაღესტანთან ერთად თუშეთზე თავდასხმებს აწარმოებდა.

XVI—XVII და ნაწილობრივ XVIII ს-შიც, წარსულ საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, თუშეთისა და დიდოეთის ახლო ურთიერთობა, რომელსაც სამეფო კარიც აკონტროლებდა და ანგარიშს უწევდა, ვფიქრობთ, მხარს უჭერს თუშურ გადმოცემებს იმის თაობაზე, რომ თუშეთის ციხე-სახლებსა და ციხე-სიმაგრეებს დიდოები აშენებდნენ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ქვითხუროობა არ იცოდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთის ციხე-სიმაგრეებისა თუ საცხოვრებელი სახლების მშენებლებად ლეკების მიჩნევა სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არ მიგვაჩნია, ამ საქმეს თუშეთში, როგორც ჩანს, მხოლოდ დიდოები ასრულებდნენ. თუშებისათვის მათი მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელებიდან ყველაზე სანდო და ახლობელი დიდოიყო. დიდოს თუშები ყოველგვარ საქმეს ანდობდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ისინი არ უღალატებდნენ და კეთილსინდისიერად შრომობდნენ. ქისტებს კი, პირიქით, ნაკლებად ენდობოდნენ. მოხუცი თუშების თქმით, ისინი ფიზიკურ შრომას გაურბოდნენ, ამიტომ თუშები მათ სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმას ერიდებოდნენ[84].

პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით თუშეთი ქისტეთთანაც ისევე ახლოს იყო, როგორც დიდოეთთან. ეს ვითარება კარგად გამოჩნდა XVII საუკუნის 30-იან და 50—60-იან წლებში, როდესაც ვეინახთა ტერიტორიაზე გავლით ჩამოჰყავთ რუსთა ელჩები კახეთის სამეფო კარზე 1638 წლის აგვისტოში[85]. თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩების მიმოსვლა რუსეთში, ერეკლე ბატონიშვილის ჩამოსვლა რუსეთიდან თუშეთში, შემდგომ უკან წასვლა და კვლავ

---

[83] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი — НД, საქმე — 10777.

[84] ივანე ბასილის ძე ა ბ ა ლ ო ი ძ ე, დაბად. 1886 წელს, სოფ. ჭეშოდან; ქელეხიძე ოსე პავლეს ძე, დაბად. 1884 წ. სოფ. გირევიდან; ღუზარაული იაკობ დავითის ძე, დაბად. 1880 წელს, სოფ. გირევიდან; ეგნატე ალიაიძე, დაბად. 1891 წელს, სოფ. გოგრულთიდან.

[85] М. П о л и е в к т о в, Материалы... стр. 255—258.

სამშობლოში მობრუნება ხდებოდა ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიის გავლითა და იქაური ხალხის ხელშეწყობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ხანებში, კერძოდ XVII ს-ის მეორე ნახევარში, თუშეთი ქისტეთის მიწა-წყლის გარკვეული ტერიტორიის მიმართ (ე. წ. „შიბუტის მიწა“) განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს. იგი მოქცეულია მისი გავლენის ქვეშ და მოსახლეობა ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს. „შიბუტის მიწის“ ერთი ნაწილი გამაჰმადიანებული ყოფილა და მისი თითოეული სოფელი, მორჩილების ნიშნად, თუშეთს 10 სულ ცხვარს უხდის[86].

ქისტებისა და თუშების ხსენებული ურთიერთობა, რაც მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქისტ-ჩეჩნები თუშეთში საცხოვრებელი სახლებისა თუ ციხეების ასაშენებლად გადმოსულიყვნენ. შამილის მიერ საჩეჩნო-დაღესტნის გაერთიანების შემდეგაც თუშეთის პირიქითის თემსა და ქისტეთს ისეთი ახლო ურთიერთობა ჰქონიათ, რომ ხელისუფლებაც კი ჩარეულა.

XIX საუკუნის I ნახევარში თუშები, კერძოდ კი პირიქითის თემის მცხოვრებნი, რომლებიც ტერიტორიულად ყველაზე ახლოს იმყოფებოდნენ ქისტებთან, კვლავ ისეთ ნათესაურ და მჭიდრო ურთიერთობაში არიან, რომ ეწინააღმდეგებიან მთავრობის მიერ აღებულ კურსს. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გამხდარა ოფიციალურად გაეფრთხილებინა თუშები, კერძოდ კი პირიქითის თემის მცხოვრებლები, თუ როგორი ურთიერთობა უნდა დაემყარებინათ მეზობელ მთიელებთან. გენერალი გოლოვინი 1838 წელს სწერდა გენერალ ბრაიკოს, რომ: „ყველა თუშს და განსაკუთრებით პირიქითის თემს, აეკრძალოს იქონიოს მეგობრული კავშირი დაუმორჩილებელ, მაჰმადიანური სარწმუნოების ქისტებთან. თავიანთი ქალიშვილები არ გაატანონ მათ ცოლებად, ასევე მათგან არ შეირთონ ცოლები, თუკი ისინი არ ისურვებენ ქრისტიანობის მიღებას“[87].

ამავე საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ ქისტური მოსახლეობის გარ-

---

[86] ЦГАДА, Грузинские дела, книга № 7, стр. 46—47.
ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, № 2, 1956, გვ. 184; ა. შაეხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 95.

[87] Акты, т. IX, стр. 141.

კვეული ნაწილი რუსეთის ხელისუფლებასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილა და, რა თქმა უნდა, თუშებსა და ამ მთიელებს ერთიმეორესთან უფრო მეტი სიახლოვე ექნებოდათ. ამიტომ მთავრობა, აძლევდა რა მოურავს ქურდ-ბაცაცა ქისტების დასჯა-დარბევის უფლებას, იქვე აფრთხილებდა, რომ მათდამი მეგობრულად განწყობილი ქისტებისათვის არაფერი ევნო. „უფლებას ვაძლევ მოურავს, — ვკითხულობთ იმავე დოკუმენტში, — ძიება აწარმოოს ჩვენდამი არამორჩილი ქისტების მიწებზე, დასაჯოს ისინი თუშეთსა და ხევსურეთზე მუდმივი თავდასხმებისათვის ... მაგრამ ამასთან ერთად თვალი ადევნოს, რომ არ დაზარალდნენ მცხოვრებლები, რომლებზეც გავლენა აქვს ზემდეგ ალდამიშვილს და რომლებიც მშვიდობისმოყვარენი არიან"[88].

გენ. გოლოვინის წერილიდან ისიც ჩანს, რომ თუშები არა მარტო ქისტებთან ცდილობდნენ მეგობრული დამოკიდებულების დამყარებას, არამედ — დიდო-ლეკებთანაც. თუშები, ოღონდ დიდო-ლეკების შემოსევებისაგან დაზღვეულნი ყოფილიყვნენ, ზოგჯერ საკომლო გადასახადს უხდიდნენ დაღესტნელ ფეოდალებს. ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ დიკლოსა და შენაქოს მცხოვრებლები, რადგან ისინი დიდოეთის საზღვარზე ცხოვრობდნენ.

თუშეთის მიმართ რომ ქისტეთი და დიდოეთი XVIII—XIX საუკუნეებშიც მტრულ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდა და მათი ერთიმეორეში საცხოვრებლად გადასვლაც კი ხდებოდა, ეს კარგად ჩანს საარქივო მასალების, გადმოცემებისა თუ უხუცესთა მონათხრობიდან.

XIX საუკუნის საარქივო დოკუმენტების, გამოქვეყნებული ლიტერატურისა და ხალხური გადმოცემების მიხედვით მტკიცდება, რომ თუშეთის ტერიტორიაზე იმიერკავკასიელი მთიელების გადმოსვლას და მუდმივ საცხოვრებლად დასახლებას კვლავ ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1831 წლის თუშეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის მიხედვით, ხაზი აქვს გასმული თუშეთის მკვიდრთა ეროვნულ კუთვნილებას და აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის თუშეთში რამდენიმე ქისტური ოჯახი ცხოვრობდა. მაგალითად, წოვათის საზოგადოების სოფ. საგირთაში — 3 კომლი, ჩაღმის საზოგადოების სოფ. ომალოში —

---

[88] Акты, т. IX, стр. 142.

4 კომლი და სხვ.[89] XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დ. ზუბარევის მიერ თუშეთის მოსახლეობის აღწერისას საგანგებოდ ესმება ხაზი თუშეთში ქისტი მოსახლეობის არსებობას. მითითებულია, რომ თუშეთში მაშინ ქისტების 15 კომლი ცხოვრობდა[90].

ასეთივე ვითარებას აქვს ადგილი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის 1843 წლის კამერალური აღწერების მიხედვითაც.

პირიქითის საზოგადოების სოფ. გირევის 26 კომლიდან 5 მოსულია, ე. ი. ადგილობრივი არაა, რომელთაგან ერთი კომლი შემდგომში ქისტეთის სოფელ მაისტში გადასახლებულა[91]. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით ამავე საზოგადოების სოფ. ჭონთიოს კომლობრივ აღწერა-დახასიათებაშიც. იქ პირდაპირ წერია, რომ ქისტების ორი ოჯახი, რომელიც ამ სოფელში ცხოვრობდა, კვლავ ქისტეთში გადასახლებულა, ხოლო ქისტების 3 კომლი ჭონთიოდან წოვათაში გადასულა საცხოვრებლად[92].

მ. მაჩაბელს აღნიშნული აქვს, რომ XIX ს-ის 70-იან წლებში თუშეთიდან რამდენიმე ოჯახი დაღესტანში გადასახლებულა. მართალია, მკვლევარი არ აღნიშნავს, თუ რა ეროვნებისანი იყვნენ ისინი — თუშები, დიდოები თუ ლეკები, მაგრამ ამას ჩვენთვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ფაქტი ის არის, რომ თუშეთსა და დიდოეთ-დაღესტანს შორის მუდმივად ჰქონდა ადგილი ერთიმეორეში გადასახლება-გადმოსახლებას და თანამეგობრობას[93].

XIX საუკუნეში დიდოეთ-დაღესტნიდან და ქისტეთიდან თუშეთში ხშირი იყო ცალკეული პიროვნებებისა და ოჯახების გადმოსახლების შემთხვევები. თუშეთში მრავლად მოიძებნება აღნიშნული მოვლენის დამადასტურებელი ფაქტები. თუშეთში ხშირია ოჯახები, რომელნიც ადასტურებენ, რომ მათი წინაპარი იმიერკავკასიელი იყო. „ამ მხრივ, — წერს პროფ. გრ. ზარდალიშვილი, — მთელ საქართველოში ყველაზე ტიპიური კუთხე მთა-თუშეთია, სადაც თითქმის დღესაც

---

[89] საქ. სსრ ცენტრ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 254, ანაწ. 2, საქმე 399, ფურც. 120.

[90] Д. Г. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, «Рус. вестник», т. 2, № 6, 1841, стр. 522.

[91] საქ. ცსსა, ფონდი 254, ანაწ. 1, საქ. 2042, გვ. 111—114.

[92] იქვე, გვ. 141—146.

[93] Я. М. Мачабели, დასახ. შრომა, გვ. 343.

ახსოვს ყველას წინაპრის გადმოსახლების ისტორია"[94]. მაგალითად, ქისტეთის სოფ. სამტყოდან გადმოსულა თუშეთში ვინმე მურთაზი და დასახლებულა სოფ. დანოში. მურთაზს ჰყოლია ოთხი ვაჟი, რომელნიც დღესაც ცნობილი არიან ალხანაიძეების გვარით. პანკისის ქისტებში მათ ნათესავები ჰყავთ. ახლა ალხანაიძეებს თუშებად იცნობენ. ასე სწრაფად მობდა მათი გაქართველება-გათუშება. სოფ. სამტყოდანვე გადმოსულა თუშეთში ქისტი აკბოლათა და სოფ. დანოში დასახლებულა. მისი შთამომავლობა დღეს (შახაძეების გვარით) სოფ. ზემო ალვანში ცხოვრობს. ამჟამად ისინიც თუშები არიან. XIX საუკუნის დასაწყისში თუშეთში თავისი ცოლით მოსულა ქისტეთიდან ალია და გომეწრის თემის სოფ. გოგრულთაში დასახლებულა. სახელ ალია-დან შემდგომ წარმოდგა გვარი—ალიაიძე. თუშ ალიაიძეებს ახლო ნათესაური ურთიერთობა აქვთ პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტ იმედაშვილებთან. მათ იციან, რომ ისინი ერთი საგვარეულო-წინაპრიდან მომდინარეობენ. XIX საუკუნის დასაწყისში ძმის მკვლელის მოკვლის გამო ქისტეთიდან თუშეთში გადმოხვეწილა ქალი—კუკალა. იგი სოფელ ფარსმაში დაბინავებულა და შემდგომ იმავე სოფელში დაო ქააძეზე გათხოვილა. მის მოდგმას ახლაც კუკალაანებს ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ გვარით ისინი ქააძები არიან. ქისტეთიდან გამოქცეულა და სოფ. ფარსმაში დასახლებულა ვინმე დადა. დადას თუშის ქალი შეურთავს და ოჯახი შეუქმნია. დადას შთამოშავლობას ახლაც დადაანებს ეძახიან, გვარით ქააძებად იწერებიან. ასეთი მაგალითების მოტანა თუშეთის წარსული ცხოვრებიდან მრავლად შეიძლება.

თუშეთის პირიქითის თემის ჩეჩენ-ინგუშეთთან ტერიტორიულმა სიახლოვემ თანდათანობით ისეთ ვითარებამდე მიგვიყვანა, რომ ბევრმა მკვლევარმა პირიქითის თუშები ქისტური წარმოშობის ხალხად მიიჩნია. მაგალითად, ე. გ. ვეიდენბაუმი პირდაპირ აცხადებდა, რომ პირიქითის თუშები ენითაც და წარმომავლობითაც ქისტების მოდგმისანი არიან და ლაპარაკითაც მათ ენაზე ლაპარაკობენო[95].

---

[94] გრ. ზარდალიშვილი, მთათუშეთი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის), საკანდიდატო დისერტ., ხელნაწერი, თბ., 1946.

[95] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. გ. ვეიდენბაუმის არქივი, № 45, განყოფ. II, ფურცელი 16.

ი. ბარტლომეი კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულან წოვათისა და პირიქითის მცხოვრებლები[93].

თუშეთის პირიქითის თემის მცხოვრებთა ქისტურ წარმომავლობაზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, მცდარი და უსაფუძვლოა. მათი მსგავსება ენობრივი თუ ყოფა-ცხოვრების ნიშნებით გამოწვეული იყო იმ ხანგრძლივი პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობით, რაც თუშეთსა და ქისტეთს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა.

§ 2. თუშეთისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ურთიერთთავდასხმების გამომწვევი ძირითადი მიზეზები XVII—XVIII სს-ში

წინა პარაგრაფში საუბარი გვქონდა თუშეთისა და დიდოეთ-დაღესტან-ჩეჩენ-ინგუშეთის ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობაზე, გაირკვა, რომ მათი დაახლოების ერთ-ერთი ფაქტორი იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მთაში ქრისტიანობის გავრცელება და ცენტრალური კავკასიონის ორივე მხარის მთიელების საერთო იდეოლოგიისადმი დაქვემდებარება.

თუშებისა და მისი მეზობელი მთიელების მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა სწორედ ხსენებული ფაქტორის სტაბილურობა-განმტკიცებაზე იყო დამოკიდებული. სანამ საქართველოს სახელმწიფო ინარჩუნებდა ძლიერებას და ახერხებდა ყველა ჯურის მტრის საკადრისად დახვედრას, ქრისტიანობაც განაგრძობდა იმიერკავკასიაში არსებობას და ყოველმხრივ ზრუნავდა საზღვრების გაფართოებისათვის. მაგრამ ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა. ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდგომ თემურ-ლენგის შემოსევებმა და მისმა პოლიტიკურმა შედეგმა დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის გავლენის შესუსტებას ჩრდილოეთ კავკასიაში.

თუშეთისა და დიდო-ლეკების ადრინდელი მშვიდობიანი ურთიერთობის გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიგვაჩნია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაღესტანში თემურ-ლენგის მიერ სწრაფი ტემპით ისლამის გავრცელება და მისი შედეგები. ახალ იდეოლოგიას

---

[93] И. Бартломей, О так называемых мизджегских языках, известных по сию пору исключительно из Клапротовых сравнений, газ. «Кавказ», № 70, 1855.

დაღესტანზე რომ თავიდანვე დიდი ზემოქმედება მოუხდენია, კარგად ჩანს დიდოეთის მაგალითზე. გამუსულმანებული დაღესტანი ცდილობს ჯერ კიდევ ქრისტიანული დიდოეთი დაიმორჩილოს და ნიშნად დაპყრობისა, იქაც ისლამი შეიტანოს. როგორც ვახუშტი შენიშნავს, დაღესტნელმა ფეოდალებმა მოახერხეს მათი მოსაზღვრე დიდოეთის სოფლების დამორჩილება და მოსახლეობის გამუსულმანება[97]. ამ პროცესმა კი ის გამოიწვია, რომ საქართველომ ნახევარი დიდოეთი დაკარგა და კეთილმეგობრული დამოკიდებულება მხოლოდ კახეთის მხარის დიდოეთთან შეინარჩუნა[98]. სულ მალე თუშეთსა და საქართველოს ბარს ეს მშვიდობიანი მხარეც გამოეცალა ხელიდან, რადგან დაღესტნის ხანებმა აქაც თავის მიზანს მიაღწიეს.

ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიის მქონე დაღესტანსა და საქართველოს შორის გამართულ ბრძოლებში თუშეთი, ფშავ-ხევსურეთთან ერთად, მტკიცედ დადგა ბარელ თანამოძმეთა მხარეზე, რამაც განარისხა დაღესტნელი მბრძანებლები და მათ სასტიკი ბრძოლა დაიწყეს ქართული სამყაროსაგან კახეთის მთიანეთის ჩამოცილებისათვის. ამავე დროს თუშ-ფშავ-ხევსურეთის გამაჰმადიანებასაც ისახავდნენ მიზნად.

ქისტეთსა და ჩეჩენ-ინგუშეთში გამუსულმანების პროცესი დაღესტანთან შედარებით გვიან და უფრო ნელი ტემპით დაიწყო. ქრისტიანობა აქ, კერძოდ კი ქისტეთში, დიდხანს შემორჩა. იმიტომ იყო, რომ XVI—XVIII საუკუნეებში ვეინახეების მხრივ თუშეთზე საშიში და ანგარიშგასაწევი თავდასხმის არც ერთ მაგალითს არ ასახელებს ქართული საისტორიო მწერლობა. თუშეთში მათი სერიოზული შემოსევები იწყება XIX საუკუნეში, კერძოდ კი მას შემდეგ, რაც ეს მხარე შამილის გავლენის ქვეშ მოექცა.

თუშეთისა და დიდოეთ-დაღესტნის ურთიერთობის გაუარესებაში, აღნიშნულთან ერთად, კახეთის აღმოსავლეთი მხარის საზამთრო საძოვრების საკითხსაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი. აქ, ამ მხარეში, ე. წ. „უბატონო თემების“ გაჩენის შემდგომ მესაქონლე თუშებისათვის არასახარბიელო პირობები იქმნება. თუშების მრავალათასიანი ცხვრის ფარებისათვის საჭირო საზამთრო ადგილებს, რა თქმა უნდა,

---

[97] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 553.

[98] იქვე.

თანდათანობით დიდრები და ლეკები დაიკავებდნენ. ქრონოლოგიურად კი ეს ის დროა, როცა კახეთის მეფე ლევანი, თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეფე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სპეციალურ ღონისძიებებს ახორციელებდნენ თუშეთის მეცხვარეობისა და მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის კახეთის ბარში საზამთრო საძოვრების გამოსაყოფად[99].

შირაქის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები: „ლეკის წყალი", „სალეკო" და სხვა იმ შორეულ წარსულზე უნდა მიუთითებდეს, როდესაც ამ საზამთრო საძოვრებით დიდო-ლეკებიც სარგებლობდნენ, რომლებიც თანდათანობით მესაქონლე ქართველმა მთიელებმა განდევნეს და თვითონ დაიკავეს ეს ადგილები. „შირაქის ვეებერთელა ველი, — წერს ს. ყუბანეიშვილი, — ჯერ კიდევ კავკასიაში რუსეთის თვითმპყრობელობის გაბატონებამდე რამდენიმე წლის წინათ საძოვრად ჰქონდათ თიანეთისა და დუშეთის ყოფილი მაზრის მთებში მოსახლე ფშავლებს, თუშებს, გუდამაყრელებს და სხვა"[100]. მართალია, ავტორი წყაროს არ მიუთითებს, მაგრამ აღნიშნული მსჯელობა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

თუშებისათვის შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის უფლების მიცემის შესახებ XVII საუკუნეზე ადრინდელი წერილობითი საბუთი არ გაგვაჩნია, მაგრამ, უნდა ვიკარაუდოთ, რომ თუშების გასვლა შირაქის საზამრთო საძოვრებზე XV—XVI საუკუნეებში უკვე დაწყებულიყო, რადგან თუშური ხალხური გადმოცემისა თუ ი. ციხკარიშვილის მიხედვით ეს ადგილი თუშებისათვის ქართლ-კახეთის მეფეებს უბოძებიათ სამშობლოს წინაშე დამსახურებისა და საქონლის შემდგომი გამრავლებისათვის[101].

ამასვე ამტკიცებს ერთი საარქივო დოკუმენტიც:

შირაქის საზამთრო საძოვრებზე თუშების გასვლის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკად. ე. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული ქვაზე დაწერილი ერთი გუჯარის შინაარსი, სადაც პირდაპირ წერია,

---

99 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 573; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი — Md, საქმე — 10063; საქ. ცსსა, ფ. 254. საქმე — 856 და სხვ.

100 სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, 1937, გვ. 370.

101 И. Цискаров, Записки о Тушстии, «Кавказ», № 7, 1849.

რომ მეფე არჩილი თუშებს უმტკიცებს „მტკვარსა და იორს შუა, საცა შეიყრება დოღუზრმდი (დოღუზმდარა ადგილია ეხლა შირაქისა, მდ. იორის პირზე. მაგრამ აქ სხვა ადგილი უნდა იგულისხმებოდეს, ექ. თაყაიშვილი)", და კიდევ სხვა მიწებს, რისთვისაც თუშებს „არცა რა გეთხოვოთ არას ხელმწიფისაგან ფარაზე ერთი ცხვრის მეტი" — ვკითხულობთ გუჯარში. ხოლო თუ თუშებს ამ საქმეში ხელს ვინმე შეუშლიდა, მაშინ „ისიმცა შეიშლება თავისის სახისაგან, — დასძენს მემატიანე, — შეჩვენებული იყოს ცისა და მიწისაგან, ღვთისაგან კრებული ანგელოზისაგან და ყოველის რჯულისაგან"[102].

გუჯარში ისიც კარგად ჩანს, რომ თუშებს ელდრის ციხეც აუშენებიათ, რაც, რა თქმა უნდა, ამ მხარის (ე. ი. შირაქის) მტკიცედ შენარჩუნებისა და დაცვისათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. თუმცა იმხანად, როგორც სიგელი გადმოგვცემს, ხსენებული მიწა-წყალი „უსადევო მამული და უყვედური" ყოფილა თავისი „შესავლით და გასავლით".

ელდრის ციხეში თუშთა ყოფნა, მათი ხმლის ძალა და ვაჟკაცობაც ნათლად ჩანს მატიანეში. აი, რას ვკითხულობთ იქ: „ელდრის ციხე ააგეთ (თუშებმა, ვ. ე.) და იმაში ალვანიშვილი ფარსმელი (ფარსმა სოფელია თუშებისა ფარსმის ანუ პირიქითის ხეობაში, ექ. თაყაიშვილი) დადგა, და ის მოკალ, მეც ეს წყალობა გიყავ და უმეტესი გარჯილობა აუღია თავისი ხმლით. ორჯელ ჩვენც მივეცით წერილით, და ბიჭობა გამოგვიდათ"[103].

გუჯარი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „არის ამ გუჯრების გამოიგე ბატონიშვილი არჩილ, მოურავი ზაქარია, დამიწერია დავით ჭერემელს, აღიწერა, დიდება ღმერთს".

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, „გუჯრები უნდა იყოს დაწერილი არჩილის კახეთში მეფობის დროს, მაშასადამე 1664—1675 წლებს შუა. ამ დროს ცხოვრობდა ალბათ დავით ჭერემელიც"[104].

XVIII საუკუნეში თუშების გამუდმებული თავდასხმები ჭარ-ბელაქნისა და იმ მხარის ლეკებზე, რომელთაც თუშეთისათვის თავისი

---

[102] ექვთიმე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901, № 1362.

[103] ი ქ ვ ე.

[104] ი ქ ვ ე.

ტერიტორიული მდგომარეობით არავითარი საშიშროების მოტანა არ შეეძლოთ, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი შეეშინებინათ და შირაქის საზამთრო საძოვრებზე აღარ გამოსულიყვნენ. ჩვენს ასეთ მსჯელობას მხარს უჭერს თუშური ხალხური გადმოცემაც. აი, რა ჩაგვაწერინა 1978 წლის 28 თებერვალს ახმეტაში მცხოვრებმა 98 წლის კობა დავითის ძე ღუზარაულმა (თუშეთში — სოფ. გირევიდან): „მამა იტყოდა ხოლმე. რომ ქიზიყელებს უთქვია ჩვენი წინაპრებისათვის — თქვენ მეომარი და მაგარი ხალხი ხართ და შეგიძლიათ შირაქიდან ლეკები განდევნოთ და ის ადგილები საკუთრად შეინარჩუნოთო, თუშებსაც მათზე თავდასხმები დაუწყია, თანდათანობით განუდევნია, შეუშინებია ისინი და თვითონ გამაგრებულან. ლეკები მაინც არ ისვენებდნენ თურმე და თუშ მეცხვარეებს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ. მაშინ თუშებს შეიარაღებული რაზმები გამოუყვიათ, რომელთაც მეცხვარეთა დაცვა ევალებოდათ“. ეს ტრადიცია XIX საუკუნეშიც ჰქონდათ თუშებს შირაქისა და სამუხის საზამთრო საძოვრებზე[105].

მეცხვარე ფშავლების ცხოვრებიდანაც კარგად ჩანს. რომ მხოლოდ შეიარაღებული რაზმების თანხლებით ახერხებდნენ შირაქისა და თრიალეთის საძოვრებზე მრავალათასიანი ცხვრის ფარების გამოზამთრებას, რადგან გამუდმებით აწუხებდნენ დამშეული და ავაზაკი მძარცველები. „ჯვაროობა, მეტადრე მეცხვარეებისათვის, ერთადერთი ალაგია, — წერს დავით ხიზანიშვილი, — სადაც იმათ შეუძლიანთ დაივიწყონ თავისი ყოველდღიური გაჭირვება და შიშს ქვეშ ყოფნა. სადმე თრიალეთის მთაზედ თუ შირაქის მინდორზედ. სადაც ისინი (ფშავლები, ვ. ე.). თუ სულ არა, მთელის წლის მომეტებულს დროს მაინც, მამა-პაპურად დღე და ღამ შეიარაღებულები სდარაჯობენ თავიანთ ცხვრის ფარებსა და ყოველ წამს იგერიებენ ათასს დამშეულსა და მაწანწალა, თავზე ხელაღებულ თათრებს“[106].

დიდო-ლეკები რომ კახეთის საზამრთო საძოვრებს აუცილებლად საჭიროებდნენ და მათი არსებობისათვის მას დიდი ღირებულება ჰქონდა, კარგად აქვს შენიშნული ნ. ვოლკონსკის[107].

---

105 Акты, т. II, Тиф., 1888, стр. 288; Акты, т. IX, стр. 141.

106 დავით ხიზანიშვილი, ფშაველი და ფშავლები, „ივერია“, № 81, 1890 წ.

107 ნ. ვოლკონსკი, დასახ. შრომა, გვ. 71.

თუშეთზე დიდო-ლეკებისა და ქისტ-ჩეჩნების (იგულისხმება მათი მთიანი ზოლის მოსახლეობა) თავდასხმების ერთ-ერთი მიზეზი მათი გაჭირვებული ცხოვრება და გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობაც იყო. მწირ და კლდე-ღრიან ადგილებში ცხოვრება მათ სავალალო მდგომარეობაში აყენებდა, რის გამოსწორებასაც ხშირად ქართველ მთიელებზე თავდასხმებით ცდილობდნენ ხოლმე. მართალია, მათი ასეთი საქმიანობა ბევრჯერ უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ქურდობას, დაცემა-გაძარცვას და ტყვეთა წაყვანას შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევდნენ.

აღნიშნული ვითარება ქისტეთისა და ინგუშეთის მთის მოსახლეობის მაგალითზე შესანიშნავად აქვს აღწერილი კ. ო. განს. მთის ინგუშების ყოფა-ცხოვრების პირობებზე წერს, რომ: «Хотя нельзя сказать, чтобы ингуши были бедны, но живут очень бедно, часто несколько семейств вместе помещаются в темном, башнеобразном домике... на 100 человек здесь приходится 65 штук крупного скота, а мелкого до 183 штук»[108].

აღნიშნულ მდგომარეობაში მყოფ ინგუშებზე და ქისტებზე წერს კ. განი, რომ: «Они очень бедны и часто нужда заставляла их грабить соседних хевсур, причем многие поплатились жизнью»[109].

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ხსენებული მთიელები თუშ-ფშავ-ხევსურებთან უმთავრესად შინამრეწველური პროდუქციით ერთიმეორეში ვაჭრობითა და საქონლის გაცვლა-გამოცვლით ახერხებდნენ. ისინი თუშეთთან მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მის დარღვევას ადვილად არც ურიგდებოდნენ. თუშეთიდან მათ მარცვლეულის გარკვეული მარაგი შეჰქონდათ, რის შეწყვეტამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია თუშებზე დიდო-ლეკთა ყველაზე დიდი შემოსევა 1837 წელს.

თემურ-ლენგის მიერ დაღესტნის გამაჰმადიანებისათვის ბრძოლამ, რაც „დამახასიათებელი იყო თემურის პოლიტიკისათვის კავკასია-

---

[108] К. О. Ган. Путешествие в страну Пшавов, Хевсур, Кистин и Ингушей, летом 1897 г. «Кавказский Вестник», № 6, 1900, стр. 74.

[109] იქვე, გვ. 65.

ში"[110], საფუძველი შეურყია ჩრდილო კავკასიელთა და ქართველთა ადრინდელ სამშვიდობო დამოკიდებულებას. „ასეთ ვითარებაში თანდათანობით ქრება საქართველოს ბარის გავლენა დაღესტანზე, სადაც XV საუკუნიდან ქრისტიანობა სუსტდება და მის ადგილს მაჰმადიანობა იკავებს"[111].

XV საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო-სამთავროებად დაშლილ „საქართველოს აღარ შესწევდა კავკასიის მთიანეთზე ძველებურად გავლენის უნარი და ბარის მიმართ მუდამ „ავის მოხარკული" მთა თანდათან განთავისუფლდა მისი კულტურული და პოლიტიკური მეურვეობისაგან"[112].

მომდევნო საუკუნეებში თურქეთისა და ირანის ჩარევის შედეგად დაღესტანსა და საქართველოს შორის დამოკიდებულება თანდათანობით უარესდება და დაღესტანი დაუძინებელ მტრად ევლინება ქართველ მოსახლეობას.

მიუხედავად იმისა, რომ XVI—XVII საუკუნეებში დაღესტანი საქართველოს ბარის დაუძინებელი მტერი იყო, როგორც ჩანს, თუშეთთან შედარებით კარგ დამოკიდებულებაში იმყოფება. უკეთესი მეზობლობა უნდა ყოფილიყო ქართველ მთიელებსა და ვეინახებს შორის.

1634 წელს, კახეთის სამეფო ტახტზე ხელმეორედ დაბრუნების შემდგომ, თეიმურაზ მეფეს თავისი შვილები თუშეთში გადაუმალავს ირანის შაჰისათვის. აღნიშნულის თაობაზე თეიმურაზი რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს თვითონ სწერს: «Я дочь мою и сына удалил в Туския горы и ожидал день и ночь после моего, чтоб увидеть какой ответ мне принесет посол мой от Твоего Царского Величества»[113]. თუშეთი რომ ამ დროს საიმედო კუთხე არ ყოფილიყო, მეფე თავის შვილებს იქ არ გაგზავნიდა.

1657 წელს თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილ წერილშიც საგანგებოდ არის აღნიშ-

---

[110] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 261.

[111] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 8.

[112] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 261.

[113] M. Броссе, Переписка... стр. 25.

ნული. რომ თუშეთს, ფშავ-ხევსურეთთან ერთად, ირანის შემოსევები არ შეხებია; „ჩვენ მაგარს აღაგას ვართ და არას კაც შევეპოვებით. ამდენი სანი არის საქართველოს ყეენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია“[114].

თუშ-ფშავ-ხევსურეთი XVII საუკუნის 50-იან წლებში, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ინიციატივას იჩენს და რუსეთის დახმარებით სხვა ქართულ ძალებთან ერთად იბრძვის კახეთიდან სპარსელების გასადევნად.

1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურეთმა აქტიური როლი ითამაშა. აჯანყების შემდგომ ქართველი მთიელები კვლავ არ ცხრებიან და ზეზვა გაფრინდაულის მეთაურობით, პარტიზანულ რაზმებად დაყოფილნი, მოსვენებას არ აძლევენ კახეთში ხელახლა მომრავლებულ სპარსელებს. 1662 წლიდან ერეკლე ბატონიშვილი ასტრახანიდან თუშეთს გადმოვიდა. 1666 წლამდე ერეკლე თუშეთში ცხოვრობს და თუშებისა და მისი მომხრე ბარელი ქართველების დახმარებით ცდილობს კახეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. 1666 წელს ერეკლე ბატონიშვილი კვლავ რუსეთში დაბრუნდა. ერეკლეს რუსეთში ყოფნის მანძილზე თუშეთს რუსეთის სამეფო კარზე თავისი წარმომადგენელი ჰყავს ბეჟან გრიგორიევის სახით და ახლო ურთიერთობა აქვს დამყარებული მეფის ხელისუფლებასთან. 1675 წელს ერეკლე რუსეთიდან ხელმეორედ დაბრუნდა და თუშეთში ჩამოვიდა. შემდგომ ერეკლე სპარსეთში მიემგზავრება და 1688 წლიდან ქართლის მეფედ იქნა დამტკიცებული. 1688 წლიდან 1703 წლამდე, ერეკლეს ქართლში მეფობის დროს, თუშები ქართლ-კახეთის პოლიტიკურ საქმიანობაში კვლავ აქტიურად არიან ჩაბმულნი.

ქართული ისტორიოგრაფია არ ასახელებს არც ერთ შემთხვევას, რომელიც თუშეთისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ბრძოლებზე მიუთითებდეს XVII საუკუნეში. თუშეთი, როგორც აღნიშნეთ, ხსენებულ საუკუნეში სულ სხვა საკითხებით არის დაინტერესებული და დიდოეთ-ჩეჩენ-ინგუშეთთან, როგორც ეტყობა, მდგომარეობა გართულებული არა აქვს. ამიტომაც არის, რომ იგი თავისუფლად მოქმედებს და თეიმურაზ-ერეკლე ბატონიშვილისათვის ერთ-ერთ საიმედო ძალას

---

[114] М. Броссе, Переписка... стр. 75.

წარმოადგენს. ქისტეთი და დიდოეთი XVII საუკუნის 50—60-იან წლებში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარეზე არიან და მხარს უჭერენ მათ საქმიანობას.

მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, მაგალითად, „ზეზვა გაფრინდაული“[115] და სხვა მიუთითებენ ქართველ მთიელებსა და დიდო-ლეკებს შორის XVII საუკუნეში არსებულ ბრძოლებზე, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ XVII საუკუნეში ეს ცალკეული წინააღმდეგობანი ქართველი მთიელებისათვის ანგარიშგასაწევი არ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იმიერკავკასიელი ფეოდალების ხალხმრავალ შემოსევებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში. ეს ფაქტები ისტორიოგრაფიაში აღინიშნებოდა, მით უფრო, რომ XVII საუკუნის თუშ-ფშავ-ხევსურეთის ირგვლივ როგორც ქართული, ისე რუსული საარქივო საბუთები და ოფიციალური საისტორიო ლიტერატურა მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდის.

ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ურთიერთობა XVII ს-ის 70-იანი წლებიდან არსებითად შეიცვალა. კახეთში მეფობის გაუქმებამ და ყარაღაჯში მჯდომი ხანებისათვის მისი სამმართველოდ გადაცემამ ხელ-ფეხი გაუხსნა შინაურ და გარეშე მტრებს; მოშენებაგაძლიერების გზაზე მდგარი კახეთი, ქვეყნის დასაღუპად კარგად შემზადებული ყიზილბაში ხანების მმართველობის პერიოდში (1676—1703 წწ.), უცბად დაკნინდა.

ირანის შაჰის უშუალო მითითებითა და ხელშეწყობით „ხანები კვლავ დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ ქვეყნის თურქმანებით დასახლებას, მაგრამ ამჯერად მათ, გარდა საკუთარი სამხედრო ძალებისა და თვით ჩამოსახლებული თურქმანებისა, ძირითადად გამოიყენეს დაღესტნელები და უკვე მომძლავრებული ჭარ-ბელაქნელი ლეკები. შექმნილ ვითარებაში ლეკთა „უბატონო თემები“ კავკასიის პირიქით-დაღესტნელ ლეკთა სადგურად და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ურთიერთობის გამტარ არტერიად გადაიქცა“[116].

---

[115] თუშური პოეზია, შემდგ. კ. ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, 1962, გვ. 20.

[116] თ. ბ ო ცვ ა ძ ე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, გვ. 107—108; ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 198; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 21.

ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ მანამდე კახეთის სახელოვანი მეფეების მიერ ენერგიული ღონისძიებების გატარების შედეგად ალაგმულ ლეკ აბრაგებს თავისუფალი თარეშის შესანიშნავი პირობები შეუქმნა. ყიზილბაში ხანების წაქეზებითა და ხელშეწყობით გათამამებული ლეკი მძარცველი ფეოდალები განუკითხავად დათარეშობდნენ კახეთში და ადგილობრივ მოსახლეობას დიდ უბედურებაში აგდებდნენ. კახეთში შექმნილი ეს რთული ვითარება კარგად არის წარმოდგენილი ვახუშტი ბატონიშვილთან. იგი წერს: „... ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით. კვალად აღაზუავნა უმეტეს ჭარელნი და ელიფადარი დასხმული ხანთაგანვე, რამეთუ თუმცა მოჰკლიან კახნი ლეკთა ანუ თათართა შერისხვიდა ხანი ანუ მოაკუდიანებდა, ანუ მიაცემინის სისხლი მეტყველი: რამეთუ არა ჯერ არს გიაურთაგან მუსლიმნის სიკუდილი და თუმცა მოჰკლიან თათართა კახი არა რაი ავნის, რამეთუ „ესრეთ ჯერ არს“ და იყო ამით ჭირი დიდი“[117].

ყიზილბაში ხანების მმართველობის პერიოდში ლეკი მძარცველების თავდასხმები უშუალოდ კახეთმა განიცადა[118]. წყაროები ერთხმად მიუთითებენ კახეთის ბარზე ლეკი აბრაგების ინტენსიური თავდასხმების, მათგან ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. მაგრამ არსად არაფერია ნათქვამი თუშეთში XVII ს-ის 70-იანი წლებიდან, ვიდრე XVIII ს-ის დასაწყისამდე იმიერკავკასიელთა შემოსევებზე და ავაზაკობა-მძარცველობაზე. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი, როცა კახეთს სათავეში ჩაუდგა დავით მეორე (იმამყულიხანი) და იწყება „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ქართველთა ორგანიზებული ბრძოლები, თუშების მონაწილეობა ბარელი თანამემამულეების მხარდამხარ მოხსენიებულია თითქმის ყველა უმთავრესი ბრძოლების აღწერის დროს. თუშების გმირობა-ვაჟკაცობა და თავდადებული ბრძოლები მძარცველი ფეოდალების წინააღმდეგ მემატიანეთა მიერ ყოველთვის საგულდაგულოდ არის აღნიშნული.

თუშების შედარებით მასობრივი და ორგანიზებული გამოსვლები

---

[117] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 195.

[118] В. Н. Гамрекели, Вопросы взаимоотношений восточной Грузии с северным Кавказом, в XVIII в., автореферат диссертации на соискание ученой степени докт. истор. наук, 1972, стр. 26.

„ლეკიანობის“ წინააღმდეგ ბარელ თანამემამულეებთან ერთად მაშინ იწყება, როდესაც ჭარში და ბელაქანში მომრავლებულმა ლეკებმა, პირიქითა თანამოძმეთა შეწევნითა და მონაწილეობით, გაბედულად შეუტიეს აღმოსავლეთ კახეთის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს. „შემოტევა იმდენად ძლიერი ყოფილა, — წერს პროფ. მ. დუმბაძე. — რომ კახთა მეფემ დავით II-მ (იმამყულიხანი, 1703—1722 წწ.) თავის რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავსა და მანავს გადაიტანა“[119].

თუშების ბრძოლები ლეკი ფეოდალების წინააღმდეგ. როგორც აღვნიშნეთ, პირველად, ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის მიხედვით, კახეთში დავით II-ის მეფობის დროს აღინიშნება. ლეკთა ხშირი თავდასხმებით შეწუხებული კახელები სთხოვენ დავით მეფეს, რომ ლაშქრობა მოაწყოს ჭარ-ბელაქანში დაბუდებული ლეკი აბრაგების წინააღმდეგ. „... ვინადგან ლეკნი დაუცხრომლად მტერობდნენ და უმეტეს ჭარელნი, განუზრახეს იმამყული-ხანს კახთა, რათა შამუსროს ჭარი და დააცხროს ჭირი ესე კახეთისა, მერმე დაიპყრას საზღვარი კახეთისა. მან უსმინა და შემოიკრიბნა სრულიად სპანი კახეთისანი თუშ-ფშავ-ხევსურითა განვიდა და დადგა ვარდიანს ... ჩღე (1706) ... რათა მუნიდამ ბრძოს მარადის“[120].

ჭარელებისათვის აშკარა გახდა, რომ მათ განადგურებას წინ აღარაფერი ედგა; მათ ქედი მოიხარეს და დავით მეფეს პატიება სთხოვეს. მიუხედავად დავით მეფის თანხმობისა, „არა აუფლეს კახთა, ვინადგან აქუნდათ შური დიდი. მერმე შეუხდნენ ჩარდაყს, მოსწყვიტნეს ვიდრე კავკასამდე და ვერ-ვინ წინა აღუდგათ“[121]. ჭარელთა ხოცვა-ჟლეტას წაუხალისებია კახელები, ბრძოლის ველიდან შორს გაფანტულან და მეფე 60-იოდე მეომრის ამარაღა დარჩენილა მტრის პირისპირ. კახელთა ეს შეცდომა ჭარელთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, სასწრაფოდ მისევიან მეფესა და მის ამალას. როგორც ვახუშტი შენიშნავს, მეფის ამალა, გარდა რიცხობრივი სიმცირისა,

---

119 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 19; ვახუშტი, ცხოვრება კახეთისა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 133.

120 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 200—201.

121 ი ქ ვ ე.

გამოუცდელი მეომრებისგანაც შედგებოდა თურმე, რადგან „გამოუცდელი იყო იმამ-ყული-ხანი, არც იპყრა თვისთანა სპანი რჩეულნი“[122]. აღნიშნულ მდგომარეობას ლეკები უფრო წაუქეზებია და ფიცხლად კვეთებიან მეფის დამცველ რაზმს. მეფის ამალას ვერ გაუძლია მოზღვავებული მტრისათვის, გაქცეულა და მეფე მტრის პირისპირ დაუტოვებია. ისევ თუშებს უვაუკაცნიათ: „რა იხილეს თუშთა ლტოლვანი (მეფის დამცველი რაზმის წევრებისა — ვ. ე.), გამოიტაცეს დავით და მოიყვანეს ყარაღაჯს“[123].

ჭარელთა წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის შემდგომ კახელებსა და ჭარელებს შორის დროებით სიმშვიდე ჩამოვარდნილა. მაგრამ ეს ზავი თუშებს დაურღვევიათ და სამეფო კარისაგან დამოუკიდებლად და მეფის შეუტყობინებლად თავს დასხმიან ლეკებს 1719 წელს, ამოუწყვეტიათ ჭარელნი და დიდძალი ქონება წამოუღიათ: „ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორის, ამ ჟამთა წარვიდნენ თუშნი, მოისრნეს რაოდენიცა ჰპოვეს ლეკნი და მწყემსნი და წარმოიღეს არვე დიდძალი, ეწივნენ ჭარელნიცა. არამედ მოსრნეს თუშთავე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ მშვიდობით. ამისთვის მოგზავნეს ჭარელთა. „არს მშვიდობა ჩვენს შორის, რად ჰყვეს თუშთა ესე“. განრისხნა იმამ-ყული-ხანი და ბრძანა მიცემა მონაღებისა. ხოლო თუშთა არა ინებს. კვალად წარვიდა მოურავი მათი და არც მას უსმინეს, ამხედრდა თვით იმამ-ყული-ხანი და მივიდა და უბრძანა ცემა-თოფთა, არამედ მათ რა იხილეს იმამ-ყული-ხან, შეაქციეს ზურგი და დასდგნენ უსაჭურველონი და მსროლელთაცა არღა-რა თუ იკადრეს მიხედვად: ამისთვის შეიწყალა მეფემან, არღა-რა მოსრნა, გარნა წარუხვნა ნატყვენავნი და მისცა ლეკთა არვი-თურთ“[124].

თუ როგორ აწუხებდნენ კახეთის მოსახლეობას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოსახლებული დაღისტნელი მთიელები, ყველაზე კარგად ჩანს დარეჯან მეგრელაძის მიერ გამოქვეყნებული 21 წერილიდან, რომელთაგან 17 ეკუთვნის კახეთის მეფე დავით II-ს (იმამ-ყულიხანს), 3 წერილი — დავით მეფის ძმას — თეიმურაზს, ხოლო

---

[122] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 200—201.

[123] ი ქ ვ ე.

[124] ი ქ ვ ე, გვ. 201.

ერთი დაუწერიათ კახეთის ეპისკოპოსსა და დარბაისელთ[125]. წერილებიდან ირკვევა, რომ კახეთის მეფე (დავით II, ვ. ე.) ქართლის მეფეს (ვახტანგ VI-ს, ვ. ე.) „ლეკების“ დაღისტნელი თავდამსხმელების წინააღმდეგ ჯარით დახმარებას სთხოვდა“[126]. კახეთის მეფეს გასძნელებია ჭარ-ბელაქნიდან მოსეული დაღესტნელი აბრაგების ალაგმვა და დახმარება ქართლის მეფისათვის უთხოვია. ამ ძნელბედობის დროს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თუშები ბარელ თანამემამულეებთან ერთად თავდადებით იბრძვიან. ეს კარგად ჩანს 1722 წელს იმამ-ყული-ხანის მიერ ვახტანგ VI-სადმი მიწერილი წერილიდან. სადაც იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს, თუ როგორ ეხმარებოდნენ თუშები კახეთის ბარის მოსახლეობას „ლეკი“ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. „ამის მეორე დღეს (წინა დღისით კახელებს გაუნადგურებიათ კახეთის სოფლებში შემოსეული მთიელი აბრაგები, ვ. ე.), — წერს დავით მეორე, — თუშნი მოვიდნენ, შილდას მოუკდენ, დაწვეს და ბევრი ავი უყუეს, ტყუე, საქონელი წამოიღეს. რაც იმ სოფლებში ლეკის ჯარი დგას, ისინი თუშს ვერ შემოებნენ. თუშნი წავიდნენ. ახლა კიდეც აგრილდა, მთის ჯარის მოსვლის დროც არის“[127].

ანწუხელებსა და თუშებსა და ბარის ქართველობას შორის შემდგომშიც გაუთავებელი თავდასხმები და ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა ყოფილა, რის გამოც 1786 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიუღია „განჩინება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთა დამოკიდებულების შესახებ“. სამეფო კარი აფრთხილებს სამივე მხარეს, რომ ურთიერთ-შორის მტრობას, სისხლისღვრას და ქონების დატაცებას ბოლო მოუღონ. სამეფო კარი განსაკუთრებულ ყურადღებას თუშებზე ამახვილებს და მიუთითებს, რომ აღარ დაარღვიონ შემორიგებულ ლეკებთან — კაპუჭელებთან, ანწუხელებთან და სხვებთან არსებული ურთიერთობა. განჩინებაში წერია: „ქ. ეს განჩინება დაიდვა ქართველთა, თუშთა და ანწუხელთში, დღეის იქით თუშებმა ასე წმიდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულ ლეკს ანწუხელსა,

---

[125] დარეჯან მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მასალები XVIII ს-ის ოცდანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1969.

[126] ი ქ ვ ე, გვ. 144.

[127] ი ქ ვ ე, გვ. 167.

კაპუქელსა და სხვას ნურას აწყენენ და ნურცარას მოხპარვენ. თუ თუშთ ბელექნისაკენ ჯარით სამტროთ წასვლა მოინდომონ, თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ თუ ნებავსთ ისინიც გაჰყვებიან, თუ არა თითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ნუ წავლენ და ნუ წავლენ ყვარელსა და გავაზზე და გაღრმაზე ქიზიყიდან და საიდამაც უნდოდესთ იქიდამ წავიდნენ. თუ თუშთ ბელექნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზახოთ, მარტო თითონ ნუ წავლენ, ერთი ორი კაცი ყვარლიდამ და ან გავაზიდამ წაიყვანონ და ისე წავიდნენ, თუ იქიდამ ვერ იშოვნონ თან გამყოლნი კაცნი, ქიზიყს ჩავიდნენ ვეჯინს, გურჯაანსა და იქიდამ წავიდნენ და თავის მტერს იქიდამ უმტერონ. ზაფხულშიაც ასე ქნან და ზამთარშიაც. ვართუბანსა და ვართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნუღარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროთ, ნურც სამტროთ და ნურც გზის შესაკრავათ ნუღარ გაივლიან. სისხლი პირველად თორმეტი თუმანი იყო, მეორეთ ოცდა ოთხ თუმნათ გავხადეთ და კიდევ არ იქნა მაინც კიდევ ხოცდნენ და ახლა ოცდა ათ თუმნათ გაგვიხდია, რომელიც მოკლავს თუში თუ ანწუხელი თუ ქართველი ეს სისხლი ასე უნდა მისცენ. თუ ის მკვლელი ჩავიგდეთ ხელში, ხომ ასე გამოვართმევთ და თუ ვერ ჩავიგდევით, იმის ნათესავსა და იმის სოფლის კაცს უნდა გარდახდეს. ქართველის მხარიდამაც, თუშეთის მხარიდამაც და ანწუხელთ მხარიდამაც, როგორც ზევით სისხლი დაგვიწერია, იმის ნათესავებს და იმის სოფელს კაცთ გამოერთმევა ეს სისხლი, რომ გაგვიწესებია თუშებსა, ანწუხელებსა და ქართველებში გვიბრძანებია, თუ ქართველმა ანუ თუშმა ანწუხელი მოკლას, ასე გარდახდეს და თუ ანწუხელმა ქართველი ანუ თუში მოკლას, იმათაც ასე უნდა გარდახდეს. ამის პირობა თუშთ ფიცითა და მუჩალგით ასე უნდა მოგვცენ, რომ ამ გარიგებას დღეის იქით აღარ გადახდნენ. თუ ამათ კიდევ ანწუხელთ კაცი მოკლეს, თუ ის მკვლელი ხელში ვერ ჩავიგდევით, იმის ნათესავს და იმის სოფლის კაცთ დავიჭერთ და რაც იმ მკვლელის სისხლი გაგვიჩენია, იმათ გარდავახდევინებთ და იმათ გამოვართმევთ, ანწუხელთ კიდევ ეს პირობა უნდა მოგვცენ, რომ ან თვითონ და ან სხვათ თავიანთმა კაცმა სხვა დაღისტნის კაცი არ მოიყვანონ თავიანთ ბინაზედ და არც სხვის ოსტატობით და არც თავიანთი გაქცეული კაცი მოუშვან, რომ ანწუხელთ ცოდნით იმათ კახეთში არა დააშაონ .რა, ანუ თუშეთზე და ან კახეთზე. თუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უცხოს კაცსა კახეთ-

ზედ მომავლობა სამტეროთ, ის გავაზელთ და ყვარელთ უნდა შეატ-
ყობინონ, რომ ისინი სხუათ შეატყობინებენ, ეს ხომ ყოველთვის
ახსოვთ ანწუხელებს ჩვენი ტყვე რომ მიჰყავდეთ სხვას, ლეკებს თუ
დიდი ჯარი არ არის და უნდა მოერეოდნენ, უნდა წაართვან და მოგვ-
ცენ და რაც ჭეშმარიტი ამბავი იცოდნენ დაღისტნის ჯარისა, უნდა
შეატყობინონ ყვარელთა და გავაზელთა და ჩვენც გვაცოდინონ,
იმის მოვალენი არიან, იმას გარდა, თუ ანწუხელთ თანხმობით უკუ-
დგეს ვინმე და იმან ან თუში და ან კახი კაცი შოკლან და ან მოიპა-
რონ რამე ანწუხელთ, თემობით უნდა მოგვცენ პასუხი. როგორც
თუშთ მიუციათ პირობა, აგრეთვე ანწუხელთ უნდა მოგვცენ პირობა
ფიცით მუჩალგით. ქურდობისაც ასე უნდა იქნას, რომელისაც მხრიდამ
ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიგდეეით ხელში, იმისმა
ნათესავმა და იმის სოფლის კაცმა უნდა მისცენ ერთი ორად მოპა-
რული და სამთხრობელიც თუ გასვლა. ან ის ქურდი ანწუხის ჯამაათმა
და თუშთ უნდა მოგვცენ და ან იმ ქურდის ნათესავმა და სოფლის
კაცმა უნდა მისცენ ნაქურდალი ერთი ორად და სამთხრობლოცა რაც
გასლოდეს, ორისა მხრივ. ისე უნდა იქნას ეს განჩინება ქართველსა,
თუშსა და ანწუხელთათვის არის დადებული"[128].

კაბუჭელ-ანწუხელებსა და თუშებს შორის არსებული გაუთავე-
ბელი ბრძოლების თაობაზე მრავალი საგულისხმო ეპიზოდია შემონა-
ხული თუშურ ზეპირსიტყვიერებასა და გადმოცემებში. ლეკი ფეოდა-
ლების მეკობრული თარეშის საპასუხოდ თუშებიც, რაზმებად გაერ-
თიანებულნი, თავს ესხმოდნენ დაღესტნის მოსახლეობას. თუშებში
ადრე, როცა ცხვრის სასესხებლად მივიდოდნენ ერთიმეორესთან. შემ-
დეგი საუბარი იმართებოდა თურმე: „ცხვარი მასესხე და კაბუჭის თა-
ვიდან მოგიყვან სამაგიეროსო". ანწუხ-კაბუჭელების წინააღმდეგ
რომ თუშები საგანგებოდ ემზადებოდნენ და ყველა თუში მეომარი
დაინტერესებული იყო მათზე თავდასასხმელი გზა-ბილიკები სცოდ-
ნოდა, კარგად ჩანს 1931 წელს ს. მაკალათიას მიერ თუშეთში ჩაწე-
რილი გადმოცემებიდან, რომელიც ჩაუწერინებია სოფ. ხახაბოს
მცხოვრებ მიხო ბაკურიძეს. იგი უყვება: „... მე ამ ორმოც და ერთი
წლის წინავე მილაპარაკა ჯაო ბერიკაიძემ შემდეგი: მე ვიყავ ჯეილი
ბიჭი, ახალი მომდინარი. მიველი გოგნელ ღვთისოძესთან, რომელიც

---

[128] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი—Sd, 2278.

იყო მეკობრების წინამძღოლი და ბელადობდა ჯარებს, ვსთხოვე გავეყოლე სალეკოდ. მე იმან ერთი გზობით დამითხოვა, მისთვის რომე შენ ცოდვაში ვერ ჩავდგები. განმეორებით ვსთხოვე: გამიყოლე სალეკოდ, მაშინ მიპასუხა იმან: რადგან არა სჯერხარ, წამოდი, წაგიყვანო.

ჩვენ წაველით. გადავიარეთ ლეკური მთები. ვნახეთ, არიან მეცხვარეები და არიან მეძროხეები, — მაშინ მიპასუხა: „აბა თუ გული გერჯის, აბა ჩავეტანოთ ლეკებს". მე ვსთხოვე: „კიდე ქვეით წავიდეთო". მინდოდა გზები შემესწავლა. ჩვენ ჩაველით ანწუხ-კაბუჭის მიჯნაზე და შემოვბრუნდით უკანვე. ჩვენ მოელით მეცხვარეს ბინაში, ჩვენ მოვკალით ოთხი მეცხვარე და ოთხსავე მოვსჭერით მარჯვენები... მაშინ შევისწავლე გზები და დავიწყე ბელადობა"[129].

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან თუშეთის მდგომარეობა უფრო უარესდება. თუშეთს თავს ესხმიან როგორც პირადად მის ასაკლებლად წამოსული დიდო-ლეკების მეკობართა რაზმები, ისე კახეთიდან ხშირად უშედეგოდ დაბრუნებული ლეკთა დიდი ჯარიც. „ჩამოვიდა კახეთში დიდი ჯარი ლეკისა, მიუხდნენ თუშეთს, ბევრი ავნეს, ჩამოვიდა ამბავი, მოხსენდა ამბავი ბატონებს, მაშინვე წაბრძანდა კახი ბატონი (ერეკლე მეორე — ვ. ე.) კახეთს, მიეშველა თუშეთს"[130].

ანალოგიური ამბავი აქვს პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი, რომელიც XVIII ს-ის 50-იან წლებში მომხდარა. კახეთის დასალაშქრავად გამზადებული დაღესტნის დიდი ჯარი, რომელთაც გაუგიათ, რომ მათ დასახვედრად ქართლ-კახეთის ჯარი მზადყოფნაში იმყოფებაო, უკან დაბრუნებულა და თუშეთს დასხმია: „რა შეეტყოთ ლეკთა, გაბრუნდნენ და თუშეთს მიხდომოდენ. აქედან კახი ბატონი მეფე ერეკლე მიეშველა, იქიდან გაიქცნენ და ახლა ეს იყო, კიდევ მეორედ შეიყარნენ, დიდათაც შიშობდნენ კახეთში და ქართლში მოსვლას"[131].

თუშთა ლაშქარი, გარდა საკუთარი მიწა-წყლის დაცვისა, აღნიშნულ საუკუნეში ბარელ თანამემამულეებთან ერთად მონაწილეობს

---

[129] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშური ლექსები, 1937, გვ. 116.

[130] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 237.

[131] ი ქ ვ ე, გვ. 177.

ლეკი მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლებში. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდზე, რომელიც მომხდარა 1756—1757 წლებში. იგი წერს: „შეიყარნენ გალმა-მხარს კახნი და თუშნი, ითავეს თუშთა მოურავის ძმა ჯანღან, გარდუხდნენ დაღისტნის სოფლებს. წამოიღეს მრავალი ცხვარი და ძროხა. ვინა ლეკნი მოეწივნენ, დახოცეს და უვნებლად ნაშოვარი კახეთში გარდმოსხეს"[132]. კახელთა და თუშთა თავდასხმას აღშფოთება გამოუწვევია დაღესტნის მოსახლეობაში. დიდი სამზადისის შემდეგ წამოსულა „ქვეითობის ჯარი ლეკისა" და დაფანტულან „საქართველოს შინა", ლეკთა ქართლ-კახეთში შემოჭრას კახეთის მთისა და ბარის მოსახლეობა ერეკლე მეორის მეთაურობით მომზადებული შეგებებია და სასტიკი ბრძოლების შემდეგ დიდად დაზარალებული ლეკი აბრაგები უკან დაუბრუნებია: „შემოიყარა ჯარი კახმა ბატონმა ირაკლიმ, დახვდა... ლეკის ჯარს წინა. ლალისყურის ბოლოს გაემარჯვა დიდად, რომ მოამბე არ წასვლიათ, ცალრივნენ კახნი და თუშნი ხმალ და ხმალ შიგა და ყალთამი დამართეს; დააჭრეს თავები, აპკიდეს ულაყთა და საპალნებით მოართო მამასა თვისსა მეფეს თეიმურაზს ქალაქსა შინა"[133].

1765 წელს, როცა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ერეკლე მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება იქნა აღმოჩენილი და ერეკლე მეორე შეთქმულთა ანგარიშსწორებითა და ერევნის ქურთთა წინააღმდეგ ლაშქრობით იყო დაკავებული, დაღესტნის ავაზაკმა ფეოდალებმა დრო იხელთეს და თუშეთზე გაილაშქრეს. აღნიშნულის შესახებ ომან ხერხეულიძე წერს: „კვალად შეიყარნენ ფრიადნი ლეკნი, დაეცნენ თუშეთს, გარდაეშველნენ ფშაველნი, სძლიეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორივ-ათასისა და წარივლტინენ სირცხვილეულნი"[134].

ქართლ-კახეთში დაღესტნელი ფეოდალების გამუდმებული შემოსევებით გართულებულმა საშინაო-საგარეო მდგომარეობამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, სამეფო კარს უკარნახა, რომ ეფიქრა რეგულარული ჯარის შექმნაზე, რომლის უპირატესობაშიც ქართველი პოლი-

---

[132] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 237.

[133] იქვე.

[134] ომან ხერხეულიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 285.

ტიკოსები დარწმუნდნენ 1770—1771 წლებში საქართველოში რუსეთ-ჯარის ყოფნის დროს. 1773 წელს ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზში შეიმუშავა წესდება — „მორიგე ლაშქრის განაჩენი". „განაჩენით" ლაშქრობის შემძლე ყოველ მამაკაცს დაევალა რიგრიგობით, წელიწადში თითო თვით გასულიყო ლაშქარში. ჯარში ყოველი მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა[135]. მიუხედავად იმისა, რომ „მორიგე ლაშქარს ვერავინ გამოაკლდებოდა"[136], ერეკლე მეორემ ამ ბეგრისაგან თუშ-ფშავ-ხევსურნი გაათავისუფლა[137], „რადგანაც ესენი ლეკების საზღვრების სადარაჯოზე მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ"[138].

ქართლ-კახეთის სამეფო კარისათვის თუშეთს, როგორც დიდოეთ-დაღესტნის მოსაზღვრე პროვინციას და ლეკთა წინააღმდეგ თავდადებულად მებრძოლს, უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსაკუთრებით XVIII ს-ის მეორე ნახევარში. უშუალოდ ერეკლე მეორის მკაცრი მითითების თანახმად, სამეფო კარი დიდგულისხმიერებით ეპყრობა თუშ-ფშავ-ხევსურებს და რიგ ღონისძიებებს ატარებს, რომ კახეთის მთიანეთის ეს სამი კუთხე საიმედო დარაჯად ჰყოლოდა დაღესტნის სასაზღვრო ხაზზე. 1785 წლის 7 ივლისით დათარიღებული წერილიდან, რომელიც მეფე ერეკლეს თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის გაუგზავნია, ნათლად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა სამეფო კარი ლეკთა ამაოხრებელი თავდასხმებისაგან თუშეთის დასაცავად. „ქ. ჩვენ მაგივრად ჩვენ დიდს იმედს დიდად იმედად მისაჩენელ მოსახედავს ან აროდეს ჩვენგან არ დასავიწყარს თიანეთის მოურავს ჩოლოყაშვილს ქაიხოსროს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს. მერე ამის წინათ თუშეთს რომ ლეკის ჯარი მოვიდა და ღმრთით სირცხვილეულნი გაბრუნდნენ, ეს ალბათ შენც შეტყობილი გექნება. ახლა კიდევ თუშნი ჩამოვიდნენ, ჯარი სადმე იყრება და კიდევ თუშებზე სადმე აპირებს მოსვლას. თუშთ მოურა-

---

135 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 373.

136 იქვე.

137 З. Бутков, Материалы для истории Кавказа т. I, СПб. 1869, стр. 288; Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, зап. Кавк. отд. ИРГО, кн. III, 1855 г; მისივე, Мои заметки, «Кавказ», 1855, № 33.

138 ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 29.

ვიც თუშეთს გავისტუმრეთ, კახთაოვისაც მოგვიწერია, სელ მჭალ იქნებიან და როცა თუშთ მოუტანეს წიგნი მოგვეცი. ამშინვე მიეშველებიან, ფშავ-ხევსურეთსაც წიგნი მოვსწერეთ, რომ როცა დაიბარონ, მამაცობრივ უნდა მიეშველნენ. შენ ამაზე ბეჯითი უნდა იყო, რას წამს ჩვენი კაცი და წიგნი მოგივიდეს, მაშინვე ფშავ-ხევსურეთს უნდა წახვიდე და იქაური ჯარი თუშეთს მამაცობრივ უნდა მიაშველო, ამაზე დიდად ბეჯითად უნდა მოიქცე"[139].

იმ დროს, როდესაც ქართველი მთიელები, ბარელ თანამემამულეებთან ერთად, ცხარე ბრძოლებს აწარმოებდნენ ჭარ-ბელაქნიდან თუ დაღესტნიდან შემოსეული მძარცველების წინააღმდეგ, ჩეჩენ-ინგუშეთიდან რაიმე სერიოზულ საშიშროებას ადგილი არა აქვს და მათ შორის, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა. წერილობით ძეგლებში არსად არის საუბარი თუშებსა და ქისტ-ჩეჩნებს შორის ურთიერთთავდასხმებსა და ძარცვა-რბევაზე.

როგორც XVIII საუკუნის ისტორიკოს-მკვლევართა მიერ მრავალგზის აღინიშნება, ჩვენს ქვეყანაზე მოსეული მძარცველების წინააღმდეგ ბრძოლებში ქართლ-კახეთის მეფეებს ხშირად ცენტრალური ჩრდილო კავკასიიდან ჩამოყვანილი რაზმებიც ახლდნენ ხოლმე[140]. რაკი ქართლ-კახეთის სამეფოებს, ხოლო 1762 წლიდან ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს, მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ცენტრალურ რჩდილო კავკასიასთან, რა თქმა უნდა, თუშებიც მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იქნებოდნენ.

XVIII საუკუნეში, კერძოდ ამ საუკუნის 50-იანი წლებიდან, ქართლ-კახეთისა და ცენტრალური ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული გ. თოგოშვილის გამოკვლევაში „ჩეჩნეთ-ინგუშეთი XVIII საუკუნეში"[141]. ციტირებულ ნაშრომში გ. თოგოშვილი შენიშნავს: „XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ვეინახებთან ქართლ-კახეთის ურთიერთობა რამდენადმე გააქტიურდა. 50-იანი წლებიდან დარიალის გზაზე სავაჭრო-საქარავანო მიმოსვლა აღდგა. ამას არ შეიძლებოდა გზის აღმოსავლეთ სანაპი-

---

139 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd, საქმე — 2852.

140 ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, გ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 244—246

141 იქვე, გვ. 243—244.

როზე მცხოვრებ ინგუშებთანაც, რომელთაც ქართული წყაროები ქისტებს უწოდებენ, ურთიერთობა არ გამოეცოცხლებინა"[142].

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე ქართლ-კახეთსა და ცენტრალურ ჩრდილო კავკასიას შორის ურთიერთობა ნორმალური იყო და ყოველი გასაჭირის დროს, მაგალითად, 1750, 1751, 1754 წლების ბრძოლებში, 1769—1775 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, 1778 წელს ერევანზე ლაშქრობაში, ომარ-ხანის შემოსევის დროს და მომდევნო წლებში, ჩერქეზეთ-ოსეთიდან და ჩეჩენ-ინგუშეთიდან ჩამოყვანილი რაზმები ერეკლეს ყოველთვის თან ახლდნენ[143]. ქართლ-კახეთსა და ჩეჩენ-ინგუშებს შორის არსებული ურთიერთობის თაობაზე გ. თოგოშვილი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამრიგად, XVIII საუკუნის ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობის მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შემდეგი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს:

1. ქართლ-კახეთი იყენებს ვეინახებს თავის თავდაცვით ბრძოლებში უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

2. ვეინახების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრული ზომით მიმართული იყო ქართლ-კახეთისაკენ, რაც განაპირობებდა მათ მონაწილეობას მის პოლიტიკურ აქციებში. სამაგიეროდ ისინი ქირას, საჩუქრებს და ნადავლს ღებულობდნენ"[144].

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენ-ინგუშეთსა და ქართლ-კახეთს შორის XVIII საუკუნეში ხსენებული ურთიერთობა არსებობდა, ორივე ქვეყნის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ: „ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონია არამშვიდობიან ურთიერთობასაც, რაც გამოიხატებოდა ქართველ მთიელებზე თავდასხმებში საქონლისა და ტყვეებისათვის. ასეთივე თავდასხმებს ეს უკანასკნელნიც მიმართავდნენ. ეს მოვლენა ფართოდ აისახა ორივე მხარის ხალხთა ფოლკლორში. ამ ფოლკლორული მასალების საფუძველზე შეიქმნა

---

[142] ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე... გვ. 243—244.

[143] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე... საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 350 და სხვ.

[144] ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 245.

ისეთი ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებები, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას პოემები „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, თუშური ბალადა „თინა ფარსმანელის შესახებ“[145].

რა თქმა უნდა, ვეინახებსა და თუშებს შორის ადგილი ექნებოდა ცალკეულ წინააღმდეგობებს, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა ფართო ხასიათისა ყოფილიყო, რადგან ქართლ-კახეთის სახელმწიფოსა და ჩეჩენ-ინგუშეთის ხელმძღვანელ ზედაფენას შორის, როგორც აღინიშნა, მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. მართალია, თუშური და მეზობელი მთიელების ფოლკლორი ძალიან მდიდარ მასალას იძლევა მათს მტრობასა და ურთიერთთავდასხმებზე, მაგრამ ძალიან ძნელია რომელიმე მათგანზე ვთქვათ, რომ ესა და ეს ლექსი XVIII ს-ში ვეინახებსა და თუშებს შორის გამართული ბრძოლების ამსახველიაო. მაგალითად, თუშური ბალადა „თინა ფარსმანელის შესახებ“ გადმოგვცემს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, კერძოდ, XIX ს-ის პირველ მეოთხედში, თუშეთში ქისტ-ჩეჩენთა ბელადის მურთაზის გადმოსვლისა და მისი სამარცხვინოდ დამარცხების ისტორიას[146].

სამაგიეროდ, XVIII საუკუნეში თუშთა და დიდო-ლეკთა ურთიერთშორის თავდასხმებსა და განუწყვეტელ ბრძოლებზე მდიდარ მასალას იძლევა თუშ-ფშავ-ხევსურული ფოლკლორი, რომელიც ავსებს და ამდიდრებს მათი ბრძოლების შესახებ წერილობით ძეგლებში აქა-იქ შემონახულ ცნობებს და საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ განსახილველი პერიოდის კახეთის მთიანეთისა და დიდოეთ-დაღესტნის ურთიერთობაზე[147].

დიდო-ლეკთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის სისხლისმღვრელ ბრძოლებზე და ურთიერთ ტყვეევნა-ხოცვაზე შექმნილი კახეთის მთიანეთის მდიდარი ფოლკლორის უდიდესი ნაწილი რომ ნამდვილად XVIII საუკუნეს ეხება, ნათლად მტკიცდება თუშეთში XIX ს-ის პირველ ნახევარში ჩატარებული კამერალური აღწერების მონაცემების მიხედვითაც.

---

145 ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 245.

146 ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 33—37.

147 ს. მაკალათია, თუშეთი; მისივე, ხევსურეთი, 1935; მისივე, ფშაეი, 1934; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931; პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, 1937 და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით, XVIII ს-ის პირველ ნახევარში თუშეთში ყოფილა 73 სოფელი[148]. ხოლო 1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით კი მხოლოდ 47 სოფელია ნაჩვენები[149]. არცთუ ისე დიდი ხნის მანძილზე 26 სოფლის აოხრება და ვანადგურება ისე, რომ მათ არსებობა შეწყვიტეს. მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თუშებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდათ ლეკებთან XVIII საუკუნეში.

საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიტანოთ გადმოცემა ლეკთა თავდასხმის შედეგად სოფ. ჩიღოს აოხრების შესახებ XVIII ს-ის მეორე ნახევარში. გადმოცემა მოგვითხრობს: ტუტარიკ წისქვილში ღამით ლეკები დასხმიან ელანსა და მის და ნანას. ლეკებს ელანი მოუკლავთ. ხოლო მისი და ნანა კი ტყვედ წაუყვანიათ დიდოეთის სოფელ აკვაში. ნანა დანიშნული ყოფილა თავისსავე სოფლელ კიცვაზე. ნანას გატაცების შემდგომ არ გასულა დიდი ხანი და ჩიღოელი მეომარი ვაჟკაცები გადასულან დიდოეთში, მოულოდნელად დასხმიან თავს აკვაელებს, გაუწყვეტიათ ადგილობრივი მოსახლეობა და ნანა უკან წამოუყვანიათ. ჩიღოში მოსვლის შემდგომ კიცვას და ნანას ქორწილი ვადაუხდიათ. ქორწილის დღისით, როცა მექორწილენი უკვე საკმაოდ ნასვამნი ყოფილან, ჩიღოს წინ, გომეწრისაკენ მიმავალი ლეკთა ლაშქარი შეუნიშნავთ. შეზარხოშებულ მაყრებს დაუძახიათ ლეკებისათვის — თქვე ქალაჩუნებო, სად მიდიხართ, თუ გული გერჩით, ჩვენთან მოდითო. გაბრაზებული ლეკთა ლაშქარი უკან მობრუნებულა, ჩიღოდან ნასვამი მაყრიონი ჩაჰგებებია და პირიქითის ალაზნის გაღმა და გამოღმა დაწყებულა ხელჩართული ბრძოლა. უთანასწორო ბრძოლაში წარმატება ლეკებს მოუპოვებიათ, მეომარი ხალხი გაუწყვეტიათ და მერე სოფელს დასცემიან. სოფლის ქალები და ბავშვები, ვინც კი პირველი დაცემის რისხვას გადარჩნენ, მოუკრეფიათ და აქიმიანთ კალოში შეუყრიათ. ყოველმხრივ შემოზღუდულ ქვაფენილიან კალოში თავმოყრილ ქალებსა და ბავშვებს ცხენებზე ამხედრებული ლეკები დარევიან. ხმლითა და ცხენების ფლოქვებით გაულეწიათ დედაკაცები და ბავშვები. იმდენი ხალხი გაუჟლეტიათ თურმე, რომ აქიმიანთ კალოდან გადმონადენი სისხლი სოფლის ბოლომდე

---

[148] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 104.

[149] საქ. სია, ფ. 254, ანაწ. 2, საქმე 399.

ჩადიოდა[150]. სოფლის აოხრების შემდგომ ლეკთა რაზმი სოფლის განაპირას, ე. წ. მარხვაანთ კალოზე დაბანაკებულა, ცენტრში დროშა ჩაურჭვია და გამარჯვება უზეიმია.

ჩიღოს აოხრების ამბავი მთელ თუშეთში სასწრაფოდ გავრცელებულა. მეომარი მამაკაცები თუშეთის ღელეზე შეკრებილან, მაგრამ შეგნებით არ მიხმარებიან და დრო ადგილზე ყოფნით გაჰყვავდათ თურმე. თუშები ნაწყენნი ყოფილან ჩიღოელების საქციელით. თურმე ჩიღო მთელ თუშეთში ყველაზე დიდი სოფელი იყო, იგი სამ უბნად ყოფილა დასახლებული. საკუთარი მეომარი ხალხი ჰყავდა და ყველას — შინაურსა თუ გარეშეს საკადრის პასუხს სცემდა თურმე. თავისი სიძლიერით გათამამებული ჩიღოელები სტუმარსაც კი მისალმების დროს შემდეგნაირად მიმართავდნენ: — „გამარჯობა მეო". ერთხელ თურმე ჩიღოში მღვდელი მისულა, ჩიღოელ ახალგაზრდას მღვდლისათვის თოფი მოუხდია, შიგ ჩაუფურთხებია და შემდგომ უკან დაუბრუნებია — „არა გრცხვენია. ამ თოფით როგორ დადიხარო?" როდესაც მღვდელი ჩიღოდან სახლში ბრუნდებოდა, სოფლის განაპირას თოფი გაუსროლია და თან უთქვამს: „ღმერთო, ეს სოფელი ისე დალიე და დააქციე, როგორც ჩემი თოფის ტყვია დაიკარგაო".

ჩიღოს აოხრების დროს თუშეთში ყოფილა ერთი მეომარი ხევსური, რომელსაც გაუგია თუ არა ეს ამბავი, სასწრაფოდ წამოსულა. როცა თუშეთის ღელეზე მოსულა, დაუნახავს თუშების უმოქმედობა, იგი სასწრაფოდ ჩამომხდარა ჯორიდან, გორზე გადამდგარა, საიდანაც ჩიღო და მისი გვერდით მდგარი ლეკთა ჯარი პირდაპირ ჩანდა. ხევსურს ჰქონია ე. წ. „ციხის თოფი", ბურიანი თოფი, რომელიც იმდენად ძლიერი ყოფილა. რომ თურმე ყველა მეომარი ვერც ისროდა მას: ხევსურს სამი გასროლით ლაშქრის ბელადი და ორი სხვა ლეკი მოუკლავს, შემდგომ წასასვლელად გამობრუნებულა. კვლავ ჯორზე შემჯდარა და თუშებისათვის მიუმართავს: „სირცხვილი თქვენი, თუშებო, რომ ეს ბედაური სოფელი აოხრებინეთ. თორე მე ჩემი ვალი პირნათლად შევასრულეო". ხევსური გოგორათახა-ალაზნისთავის გზით ხევრუსეთში წასულა.

ჩიღოდან მხოლოდ ერთი ფეხმძიმე ქალი გადარჩენილა, რომელიც

---

[150] ეს გადმოცემა რომ სინამდვილეს შეესაბამება, იქიდანაც ჩანს, რომ ჩიღოელებმა მთაში თუ ბარში, საქორწილო თუ სამგლოვიარო სუფრაზე ყოველთვის იციან შესანდობარის დალევა: „აქიმიანთ კალოში ნალეწები მოიხსენიოსო".

მშობლებთან ყოფილა წასული. აოხრებულ სოფელში ეს ქალი მოსულა პირველად, მერე მას თანდათან სხვებიც მოჰყოლიან და სოფელი ჩიღო ხელმეორედ გაშენებულა"[151].

ლეკთაგან ჩიღოს აოხრების შესახებ თუშური ხალხური ლექსებიც არის შექმნილი, რომელთაგან ერთ-ერთი — „ჩიღოს წახდენა ლეკთაგან" ივ. ბუქურაულს ჩაუწერია და 1913 წელს გამოუქვეყნებია „ძველ საქართველოში". ლექსის შინაარსი და ხსენებული გადმოცემიდან ივ. ბუქურაულის მიერ მოტანილი ნაწყვეტი ძირითადად ემთხვევა დღემდე გავრცელებულ გადმოცემებს[152].

ასეთი გადმოცემები თუშეთში საკმაოდ ბევრი მოიძებნება. მდიდარია ამავე თვალსაზრისით ამ კუთხის პოეზიაც. გადმოცემები და ლექსები მრავალ პიროვნებას ასახელებენ, რომლებმაც თავისი გმირობითა და ვაჟკაცობით დიდად გაითქვეს სახელი. XVIII საუკუნეში ლეკი მძარცველების წინააღმდეგ მებრძოლ თუშ გმირებს შორის ყველაზე პოპულარულია ლუის ლუხუმი.

ლუხუმის ვაჟკაცური პიროვნება გაცოცხლებულია ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ზვიადაურისა და „ბახტრიონის" ლუხუმის სახეებში, რაც იმის მანიშნებელია, რომ დიდ პოეტს ხსენებული პოემების დაწერის დროს გამოუყენებია ის ხალხური ლექსები, სადაც თუში სახალხო გმირი ლუხუმი[153] ქება-დიდებითაა მოხსენიებული.

XVIII ს-ის 80-იან წლებში ქართლ-კახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, რაც გამოიწვია მეფის რუსეთისა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს შორის 1783 წელს დადებულმა „მეგობრობითმა პირობამ", ანუ „ტრაქტატმა", უფრო გააქტიურა დაღესტნელი ფეოდალების შემოსევები როგორც საქართველოს ბარში, ისე მის მთიანეთში, კერძოდ კი თუშეთში.

თუშეთზე დაღესტნელთა თავდასხმები XIX საუკუნიდან კვლავ გაძლიერდა და ინტენსიური ხასიათი მიიღო, რადგან თუშეთი რუსეთ-

---

[151] ეს გადმოცემა ჩაგვაწერინა 1969 წელს სოფ. ლალისყურში მცხოვრებმა 70 წლის აბრამ ელანიძემ.

[152] ძველი საქართველო, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1913, მეხუთე განყოფილება, ეთნოგრაფია, თუშური ლექსები შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ, გვ. 51.

[153] დ. გ ო გ ო ბ უ რ ი, საყურადღებო გამოკვლევა, „მნათობი", № 10, 1956, გვ. 182.

თან საქართველოს შეერთების შემდგომ მხარს უჭერდა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის მიერ დაწყებულ საბრძოლო მოქმედებას და მის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედაც გამოდიოდა.

§ 8. თუშეთში ნუცალ-ხანის ლაშქრობის საკითხისათვის

თუშური ზეპირსიტყვიერება ასახელებს თუშეთზე ვინმე ნუცალ-ხანის თავდასხმას, რომლის შესახებ ოფიციალური წყაროები არაფერს აღნიშნავენ. თანამედროვე ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში თუშეთში ნუცალ-ხანის შემოსევის დროის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არსებობს. პროფ. ს. მაკალათიას მიხედვით, ნუცალ-ხანი თუშეთს 1785 წელს დასხმია[154]. ი. დეშერიევის[155], ვ. ლაგაზიძის[156], თ. უთურგაიძის[157] და კ. ჭრელაშვილის[158] აზრით კი, თუშეთზე ნუცალ-ხანის თავდასხმა XVI საუკუნეში მომხდარა.

პროფ. ს. მაკალათიას გარდა (იგი არ მიუთითებს, რა წყაროთი სარგებლობს), დანარჩენი მკვლევრებისათვის ხალხური გადმოცემებია ამოსავალი. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ლაგაზიძის მსჯელობა, რადგან იგი ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევის შესახებ საგანგებოდ შეჩერებულა ხსენებულ შრომაში.

ვ. ლაგაზიძისათვის სახელმძღვანელო შრომას შეადგენს ივ. ბუქურაულის მიერ თუშური გადმოცემებისა და სიმღერების მიხედვით დაწერილი ისტორიული მოთხრობა „ნუცალ-ხანი“[159].

უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ბუქურაულის „ნუცალ-ხანი“ საინტერესო შრომაა, მაგრამ მისი გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ვ. ლაგაზიძე, როდესაც ივ. ბუქურაულის „ნუცალ-ხანში“ გადმო-

---

[154] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 32.

[155] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, М., 1953, стр. 5.

[156] ვ. ლ ა გ ა ზ ი ძ ე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, სადისერტაციო შრომა. თბილისი, 1967 (ხელნაწერი).

[157] თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე. „... ჯანა სუყველას თქმა უნდა“, ჟურნ. „ცისკარი“, 1966, № 2.

[158] თუშური პოეზია, ლექსები შეკრიბა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო კოტე ჭრელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 7.

[159] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ნუცალ-ხანი, ისტორიული მოთხრობა, ჟურნ. „ერი“, 1910, №№ 8—13,20.

ცემულ ამბოხებას აღწერს. წერს: „ნუცალ-ხანში აღწერილი ამბები ხდება მე-16 საუკუნეში, კახეთში ლევან მეფის მეფობის ხანას ემთხვევა (1520—1574)."[160].

ივ. ბუქურაულის „ნუცალ-ხანში" გადმოცემული ამბის დასადასტურებლად ვ. ლაგაზიძეს დიდი მუშაობა გაუწევია და დაუდგენია, რომ ნუცალ-ხანი, როგორც ითქვა, თუშეთს მე-16 საუკუნეში შემოსევია. იგი წერს: „ჩვენ სპეციალურად ვსწავლობდით დაღესტნის ხანების ქრონოლოგიას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დაღესტნის ფილიალში და როგორც ავარიის ხანების ქრონოლოგიიდან ჩანს, ნუცალ-ხანი ერთ-ერთ ბრძოლაში მომკვდარა 1553 წელს. ნუცალის შემდგომ ხანობა მიუღია უმა-ხანს. ნუცალ-ხანის სიკვდილი ემთხვევა კახეთში ლევანის მეფობის ხანას და ჩვენი ვარაუდი, რომ ნუცალ-ხანი ამ ბრძოლაში უნდა მოეკლა ერთ-ერთ მხედარს, საგინაშვილს, გამართლებული უნდა იყოს. ეს უნდა მომხდარიყო ნუცალის მთა-თუშეთში მემოსევის დროს, 1553 წელს"[161].

ნუცალ-ხანის მიერ თუშეთში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ თუშური გადმოცემა ივ. ბუქურაულზე ადრე ჩაუწერია და გაზეთ «Кавказ»-ში გამოუქვეყნებია ი. ცისკარიშვილს[162]. ი. ცისკარიშვილთანაც ნუცალ-ხანის ლაშქრობა ლევან კახთა მეფის დროს მომხდარა. ორივე გადმოცემაში აღინიშნება, რომ ნუცალ-ხანისაგან შეწუხებული თუშები წარმომადგენლებს გზავნიან კახეთში ლევან მეფესთან და დახმარებას სთხოვენ. წარმომადგენლები გრემში ჩადიან. ერთი შეხედვით, მართლაც, ყველაფერი რიგზეა. ლევან მეფე და გრემი, როგორც კახეთის სატახტო ქალაქი, ეჭვს არ იწვევს. ზოგიერთი მკვლევრის შეცდომის მიზეზიც გადმოცემაში ლევან კახთა მეფისა და გრემის ერთად მოხსენიება გამხდარა. მაგრამ თუ გადმოცემებში ასახულ ამბავს კრიტიკულად მივუდგებით და ისტორიულ წყაროებთან მჭიდრო კავშირში განვიხილავთ, საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ივ. ბუქურაულის „ნუცალ-ხანში" მოთხრობილია, რომ თუშეთის დასალაშქრავად ნუცალის ამხედრების ერთ-ერთი მიზეზი გამხდარა შემდეგი: ნუცალს ღრმად მოხუცებული თანამემამულისაგან შეუტყ-

---

[160] ვ. ლაგაზიძე, დასახელებული შრომა, გვ. 168.

[161] იქვე, გვ. 171.

[162] П. Цискаров, Записки о Тушетии, «Кавказ», № 13, 1849.

ვია, რომ თუშები დიდო-ლეკების „მოსაზღვრე სოფელს არ სჯერდებიან და მთა-მთა ჭარ-ბელაქანშიაც ჩადიან სადავლოდ". ამ ამბის მოსმენით განცვიფრებული ნუცალი ეკითხება მოხუცს: „ჭარ-ბელაქნამდინ თუშებს რა უნდა... სად თუშეთი და სად ჭარ-ბელაქანი?" მოხუცი არწმუნებს ნუცალს, რომ იგი მართალია, რომ მას „თვითონ ჰქონია მათთან საქმე". იგი ჯერ კიდევ 25 წლისა ყოფილა, როცა ანწუხში მოსულა ხმა, რომ „თუშებმა დაარბიეს ჭარის მიდამოები და უთვალავ ნადავლით — ცხვარ-ძროხით მთა-მთა ბილიკით თუშეთისაკენ მიდიანო"[163].

როგორც ვ. ლაგაზიძე წერს, ნუცალ-ხანი 1553 წელს მოუკლავთ ბრძოლაში და თანაც საგინაშვილს. თუ ლეკი მოხუცის წლოვანების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელსაც ჩვენი მკვლევრები ეყრდნობიან, გამოდის, რომ ნუცალ-ხანი თუშეთს 1500 წლამდე უნდა შემოსეოდა. მაშინ ლევანი კახეთის მეფე არ იყო, არც ჭარი და ბელაქანი იყო ლეკებით დასახლებული.

ამავე გადმოცემაში მეორე უხერხულობაც არის. ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევამდე თუშები თურმე ე. წ. „სათუშო ბილიკით" მთა-მთა ჩადიოდნენ და ჭარ-ბელაქნის მოსახლეობას აწიოკებდნენ, იქიდან მათ საქონელს იტაცებდნენ და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ. თუ გადმოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ თუშები ჭარსა და ბელაქანს უკვე XV საუკუნის 80—90-იან წლებში არბევენ.

დაღესტნელი მთიელების ჩამოსახლება კახეთის აღმოსავლეთ მიწა-წყალზე, როგორც ცნობილია, იწყება XVI—XVII საუკუნეებში[164]. XVI საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა პირველად ავარიელთა დასახლება კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ლევან კახთა მეფეს (1518—1574 წწ.) ლეკები თავდაპირველად სოფ. ფიფინეთის სიახლოვეს დაუსახლებია. XVII საუკუნეში ლეკებს ქართველებით დასახლებული სოფ. ფიფინეთიც დაუკავებიათ და მას შემდგომ ამ სოფელს,

---

[163] ივ. ბუქურაული, „ნუცალ-ხანი", ისტორიული მოთხრობა, ჟურნ. „ერი", 1910, № 8.

[164] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1953; თ. ბოცვაძე საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968; თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, 1972 და სხვა.

როგორც ვახუშტი შენიშნავს, სოფ. „ჭარი“ ეწოდა[165]. მაგრამ ამ დროს „მწირი დაღესტნის შვილები კახთა მეფეების ყმობის პირზე ესახლებოდნენ ხოლმე“[166], რომელთა ყმობაც ქართლ-კახეთისა თუ კახეთის სამეფო კარისადმი გრძელდება XVII საუკუნის 70-იან წლებამდე[167]. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გამორიცხულია თუშები XVI საუკუნეში თავს დასხმოდნენ ჭარ-ბელაქანს (ბელაქანი ამ დროს არც იყო ლეკების სამოსახლო სოფელი).

ლევან კახთა მეფის დროს კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში დასახლებული დაღესტნელი მთიელები თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ კახეთის სამეფო კართან, კარგად აქვს აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილს. იგი წერს: „... მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულის კავკასიიდან ყინული და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა...“[168].

როგორც უკვე შრომის წინა ნაწილში აღვნიშნეთ, თუშებს და დიდო-ლეკებს XV—XVI საუკუნეებში მტრული დამოკიდებულება არ ჰქონიათ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „XVI საუკუნის 80-იან წლებამდე კახეთის სამეფო მაინც ახერხებდა მტკიცე ხელით აელაგმა მთიელი მტაცებლები და დაღესტნელი ტომების ბელადები მორჩილებაში ჰყოლოდა“[169]. საქართველოს ბარსა და დაღესტანს შორის თავდასხმების დაწყების შემდგომაც, როგორც ჩანს, თუშეთსა და მეზობელ დიდო-ლეკებს შორის დიდხანს კვლავ სამშვიდობო ურთიერთობა არსებობდა.

საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობის ადრინდელი დამოკიდებულება დაღესტანთან ყველაზე მეტად XVII საუკუნის დამლევისათვის გართულდა. ამ დროს, კერძოდ, „1674 წლიდან 1703 წლამდე გრძელდებოდა კახეთში ყიზილბაშ ხანების მმართველობა“[170]. მათი

---

[165] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 36; თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 120—121.

[166] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 263.

[167] იქვე, გვ. 269.

[168] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 96.

[169] ნ. ბერძენიშვლი, დასახელებული შრომა, გვ. 263.

[170] იქვე, გვ. 270.

ბმართველობის დროს არსებითად შეიცვალა ადრინდელი ვითარება კახეთის აღმოსავლეთში. აქ ჩამოსახლებულ დაღესტნელ მოახალშენეებს კახეთში მჯდომი ხანები საგანგებოდ იცავდნენ. ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ. ხანების ხელისუფლებისაგან წაქეზებული მოახალშენე ლეკები, რომელთაც თითქმის უკვე დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, 1703 წლიდან კახეთის გამგებლად დანიშნული დავით ბატონიშვილის მორჩილებას აღარ აპირებდნენ. ამ დროისათვის ჭარ-ბელაქნელ ლეკებს დამხმარედ ჰყავდათ დაღესტნელი აბრაგები, რომლებთან ერთად ეს „მოახალშენეები" მთელ კახეთს „სატყვენავად, საძარცვავად მოსდებოდნენ"[171].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუშეთზე დიდო-ლეკების თავდასხმებს და თვით თუშების მეკობრეობასაც ქართული წყაროები XVIII საუკუნის დასაწყისიდან აღნიშნავენ. თუშების თავდასხმები ბარის ქართველობასთან ერთად ჭარზე და ბელაქანზე კახეთში დავით II-ის მეფობის დროს იწყება, ნუცალ-ხანის შემოსევაც თუშეთში XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო და არა XVI საუკუნეში.

ნუცალ-ხანი (იგივე ნურსალ-ბეგი) ავარიის ცნობილი ხანი იყო, რომელმაც ორგზის ილაშქრა ქართლ-კახეთში: პირველად 1754 წელს, იგი მჭადიჯვართან (მუხრან-დუშეთის გზაზე) ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და გაქცევით ძლივს უშველა თავს. მეორედ 1755 წელს, როცა მან დაღესტნის სხვა ბატონებთან ერთად ალყა შემოარტყა ყვარლის დიდ ციხე-გალავანს. ამჯერადაც ერეკლე მეორის შეუდარებელი მხედართმთავრული ნიჭის წყალობით დაღესტნელი ფეოდალების მიერ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობა ყვარლის ციხესთან უბრძოლველად დაიმალა და დაღესტნელმა ბატონებმა თავის სამფლობელოებს მიაშურეს.

ნურსალ-ბეგი რომ იგივე ნუცალი ანუ მუცალი იყო, ამის შესახებ არის როგორც ქართული, ისე უცხოური ცნობები. დავით ბატონიშვილი, რომელიც ქართლ-კახეთში ხუნძახის ბატონის პირველ ლაშქრობას ეხება, წერს: „მოვიდა ნურსალბეგ ავარიელი (ესე იგი ხუნძახის ბატონი მუცალი), ფრიადითა მხედრებითა მოადგა მჭადის

---

[171] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 270.

ჯვარს"[172]. იგი სხვაგანაც აღნიშნავს „კუალად შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურსალი ბეგმან (ესე იგი მუცალიმ)"[173].

ნურსალ-ბეგი (მუცალი, ნუცალი) იყო ავარიის ცნობილი ხანის ომარის მამა. ნურსალ-ბეგი ბრძოლაში მოუკლავს ფათალი ხანს 1774 წელს. 1775 წლიდან ავარიის მბრძანებელი გამხდარა ომარ-ხანი. ამის შესახებ თ. მარგველაშვილი წერს: „ომარ ხანი იყო ბე ხუნძახის ბატონის ნურსალ ბეგ ავარიელის, იგივე მუცალ ან მერსელ ხანისა, რომელიც 1774 წელს მოკლა ფათალი ხან ყუბელმა. 1775 წლიდან მამის ადგილი ომარმა დაიჭირა"[174].

გიულდენშტედტის შრომაში „მოგზაურობა საქართველოში" დასახელებულია ნუცალი, როგორც ავარიის ხანი, რომელსაც თუშები ხარკს უხდიან. იგი წერს: „ლეკების ავარ-ხანს ანუ ნუცალს ისინი (თუშები, ვ. ე.) ყოველწლიურად ხარკს უხდიან 10 ჯორს, ან თითოეული ჯორის მაგიერ უნახლაურებენ 60 ცხვარს, თითო (ცხვარი) კი რუსულ ფულზე 80 კაპიკად ფასდება"[175].

გიულდენშტედტი საქართველოში იყო 1771—1772 წლებში; გიულდენშტედტის საქართველოში მოსვლამდე თუშეთი უკვე დაულაშქრავს ნუცალ-ხანს. ძნელია იმის თქმა, თუ რომელ წელს შემოესია თუშეთს ნურსალ-ბეგი (ნუცალ-ხანი), რადგან ზუსტი თარიღი არსად არ არის დასახელებული. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნუცალ-ხანის თავდასხმა თეშეთზე მოხდებოდა XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან 1771 წლამდე, როცა ნურსალ-ბეგი ცნობილი ხდება, როგორც ქართლ-კახეთში ორგზის ლაშქრობის მომწყობი და ავარიის ძლიერი ხანი.

ნუცალ-ხანის თუშეთში შემოსევის შესახებ არსებულ თუშურ ხალხურ გადმოცემებში ლევან კახთა მეფესთან ერთად იხსენიება

---

[172] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 6.

[173] იქვე, გვ. 13; აგრეთვე, Бутков, Материалы для истории Кавказа, т. I, 1869, стр. 489.

[174] თ. მარგველაშვილი, საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი საბუთის მიხედვით, იხ. ენათმეცნიერების ინსტ. შრ., ტ. II, თბ., 1967, გვ. 97.

[175] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 263.

აგრეთვე ვინმე საგინაშვილი, რომელმაც ნუცალი მოკლა. ჩვენს ცნობილ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ საგინაშვილი იგივე ანდარეზ საგინაშვილია, რომელიც XVIII საუკუნის კახეთის თავადთაგანია და მან მოკლა სინამდვილეში ნუცალ-ხანიც. აი, რას წერს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილი: „რაც შეეხება საღირაშვილს, ვფიქრობთ: ეს უნდა იყოს ანდარეზ საღირაშვილი (ზოგი ვარიანტით საგინაშვილი), რომელმაც მუსრი გაავლო ლეკთა ჯარს გირევის ვაკეზე, პირიქით თუშეთში, რომლის დროსაც ლეკთა მეთაური მუცალი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო“[176].

ხალხური ლექსების ზოგიერთი ვარიანტის მიხედვითაც აღინიშნება, რომ თუშებმა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში ლევან ბატონიშვილს (ერეკლე მეორის შვილს) სთხოვეს დახმარება და არა ლევან კახთა მეფეს: თუშეთის წარმომადგენლები თელავში მისულან და არა გრემში[177].

ლექსში „მუცალი“ ვკითხულობთ:

„... ცხენს ხკაზმავს ითადანური, საისკე მიმავალია?
სუ ღამით შამაიარნა დიდნი თუშეთის მთანია,
შუა ღამის დროს გაალა თელავს გალავნის კარია,
შამოსწყრა ლევან ბატონი: „რაღა სტუმრობის ხანია?“
— „ჯერ მკითხე, მერე გიამბობ: მტერმ დაგვიპირა კარია.
ეხლა თუ მოგვეშველებით, ვიქნებით შენნი ყმანია“.
ადგა, წამოდგა ლევანი, იძახა თავის ჯარია,
აივსა გათენებისას თელავს გალავნის კარია.
ქელთ მისცა მაშხალაები: „შაინათნიდით გზანია“.
— „ვაიმე, ვერ ვეომებით, ლეკთ უპერიან მთანია.
ბატონო, ანდარეზაი ნუ გყავს პატიმარია.
მაგას თუ არ გაუშვებდით, თავად ჩამოგვკსენ ქმალია“[178]...

არის სხვა ვარიანტებიც, სადაც ასევე მხოლოდ ლევან ბატონიშვილი და თელავი იხსენიება და არა გრემი და მეფე ლევანი. ამ ვარიანტებშიც მუცალის მკვლელი ანდარეზ საგინაშვილია[179].

---

176 სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 26; დ. გ ო გ ო ბ ე რ ი, „ბახტრიონის“ ერთი გმირის ვინაობა, ჟურნ. „მნათობი“, 1970, № 2, გვ. 114.

177 ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 43; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, 1931, გვ. 27.

178 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 27.

179 ი ქ ვ ე, გვ. 376—380.

ი. ცისკარიშვილიც აღნიშნავს, რომ ნუცალ-ხანი საკმაოდ სახელმოხვეჭილი და ძლიერი ხანი ყოფილა[180], იგი, რა თქმა უნდა, ასეთ ძლიერებას XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვერ მიაღწევდა, რადგან, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, ამ დროს კახეთის მეფეები ახერხებდნენ აელაგმათ დაღესტნელები და მათი წინამძღოლები მორჩილებაში ჰყოლოდათ[181].

ნუცალ-ხანს თუშეთის დაპყრობა მოუხერხებია და თუშებისათვის ხარკი დაუდვია. შემდგომ კი მას თუშების გამაჰმადიანებაც გადაუწყვეტია. თუშეთი მოსალოდნელი საშიშროებისაგან უხსნია ანთა დევდარისა და ითაბანულის თავდადებულ მოქმედებას. თუშების დავალებით წოვთა საზოგადოების უხუცესი ანთა დევდარისი ნუცალთან იქნა გაგზავნილი, რომელიც მას არწმუნებდა, რომ თუშები თქვენს ყოველგვარ მოთხოვნაზე თანახმანი არიანო: «Почетный их старшина Анта Девдрис в лице представителя Тушетии явился в лагерь Нуцала, и стал уверять его, Тушины безпрекословно готовы исполнить все его требования»[182]. ითაბანული კახეთში გაგზავნეს, რომ თუშეთის გასაჭირი სამეფო კარისათვის ეცნობებინა. სასწრაფოდ წამოსულ სამეფო ჯარს მოულოდნელი თავდასხმით ნუცალის ჯარი გაუნადგურებია, თვით ნუცალი ანდარეზ საგინაშვილს მოუკლავს და თუშეთი გაუთავისუფლებია ლეკი დამპყრობლებისაგან. ნუცალის თუშეთში გადმოსვლისა და მისი ჯარის გაწყვეტის ამბავი კარგად არის ასახული თუშურ ზეპირსიტყვიერებაშიც:

ქუჩუსა თავსა გადმოდის, დიდის ნუცალის ჯარია,
— ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარს წყალია.
წოვათის დევდარის ანთათ, ნუცალს მიუა კარზედა,
წინ დაუდგ ოქროს ტაბაკი, ზედ კვიცის ხორცი აწყვია...
შეიტყო ითაბანულმა, ლურჯას დააკრა ნალები. —
საგათენებლოდ ჩავალის გრემსა ბატონის კარზედა.
— ლევანო, ჩვენო ხელმწიფევ, ჩვენა გვიბოძე ყმანია,
ლევანმა ჯარი შეყარა ათასი მეომარია.
— აანთო მაშხალეები, ღამით გაიღო გზანია,
გარდადის ნაყავეჩოსა, ღმერთო, დასწერე ჯვარია...

---

[180] И. Цискаров, Записки о Тушетии, «Кавказ», 1849, № 13.

[181] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 263.

[182] И. Цискаров, Записки о Тушетии, «Кавказ», 1849, № 13.

ნინ გავიდ გირევის წყალსა, ვაჟი ლურჯ პერანგიანი,
იქნებოდ საგინაშვილი, ვისაც ანდერაზ ჰქვიანო...
ნუცალ ჩაუჭრა კარავი, ნაუდიერთის ხმლითაო[183]...

ან კიდევ:

ალეკთა სტირიან ქალები, ალარ მოვალენ ქმარები,
ცხენებთ რა უყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები,
ზოგთა სთქვეს ბაშტეს შევყაროთ, ზოგრ დავუგულოთ კარები;
ზოგთა სთქვეს უკუღმ შევკაზმოთ, ზედ თავად შეესხდეთ ქალები;
გავიდეთ თუშეთისაკენ, იქაე შევირთოთ ქმარები[184].

ნუცალ-ხანს თუშეთში შემოსევის დროის გარკვევისათვის, ვფიქრობთ, ერთ ვარიმოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. თუშური ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით აღინიშნება, რომ თუშებს ნუცალთან მოსალაპარაკებლად, უფრო კი დროის გასაყვანად, საბამ კახეთიდან დამხმარე ჯარი მოუვიდოდათ, გაუგზავნიათ დეედარის ანთა, რომელიც თუშეთის წოვთა თემს ეკუთვნოდა.

ხალხური გადმოცემებისა თუ წერილობითი მონაცემების მიხედვით, არსად დასტურდება თუშეთში წოვების ცხოვრება XV—XVI სს. და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. მაგალითად, ბახტრიონის ციკლის ლექსები და გადმოცემები სახალხო აჯანყებაში მათი მონაწილეობის შესახებ არაფერს ამბობენ. ერთი ხევსურული გადმოცემა კი პირდაპირ შენიშნავს, რომ წოვების თუშეთში დასახლების ინიციატორი ზეზვა გაფრინდაული ყოფილა[185].

XVII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის წოვები თუშეთში ჯერ კიდევ არ არიან მოსულები. იმ დროისათვის თუშეთში ყოფილა მხოლოდ სამი თემი, სამი უბანი, ე. ი. დასახლებული ყოფილა მხოლოდ სამი ხეობა. ეს კარგად ჩანს იმ რუსულ საარქივო დოკუმენტში, რომელიც შედგენილია 1657 წლის იანვარში. რუსეთის სამეფო კარზე ჩასული თუში ელჩები მიცემულ კითხვებზე პასუხობენ, რომ «живем мы в крепких местах, в горах, в трех станах»[186]. წოვებს

---

[183] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», 1849, № 13, (ტექსტიდან მხოლოდ დამახასიათებელი ადგილები მოვიტანეთ, ვ. ე.).

[184] И. Цискаров, დასახ. შრომა, № 13.

[185] ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 369.

[186] С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. VI, (тома 11—12), М., 1961, стр. 555.

რომ ამ დროისათვის თუშეთში ეცხოვრათ, მაშინ თუში ელჩები «в трех станах» ნაცვლად იტყოდნენ — «живем мы в крепких местах, в горах, в четырех станах».

XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის წერილობით ძეგლებში კი წოვები, როგორც თუშეთის მკვიდრნი და მისი ერთ-ერთი თემი, უკვე აღინიშნება[187].

თუ თუშურ ხალხურ გადმოცემაში „წოვათის დევდარის ანთას" მოხსენიებასაც გავითვალისწინებთ, სხვა ზემოაღნიშნულთან ერთად, მაშინ გამორიცხულია ნუცალ-ხანის ლაშქრობა თუშეთში XVI საუკუნეში და იგი უეჭველად XVIII საუკუნეში მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

§ 4. რუსეთის მიერ საჩეჩნო-დაღესტნის შემოერთებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თუშების მონაწილეობის ისტორია

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. 1802 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობა იქნა შემოღებული. საქართველოს მოკავშირეობის ქვეშევდრომობით შეცვლით რუსეთი დიდ სამომავლო გეგმებს ისახავდა, სადაც ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ბრძოლა „იმიერკავკასიის მთიანეთის დამორჩილებისათვის"[188]. იმიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებას მტრულად შეხვდნენ იმიერკავკასიელი ფეოდალები.

მთიულეთისა და კახეთის აჯანყებათა ჩაქრობის, ირანთან (1804—1813) და თურქეთთან (1806—1812) ომების გამარჯვებით დამთავრების, დასავლეთ საქართველოში წარმატებებისა და საერთოდ ამიერკავკასიაში მისთვის სასურველი პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნის შემდგომ რუსეთმა დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება საჩეჩნო-დაღესტნის შემოერთება-დაპყრობისათვის. „ოსმალეთი და ირანი ვერ ურიგდებოდნენ განცდილ მარცხს. იგი რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ჩრდილო-კავკასიელ ტომებს. სულთნის აგენტები და-

---

[187] არჩილიანი, ტ. I, 1963, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 205, სტროფი 584.3; ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტ. საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 105—106.

[188] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 248.

სავლეთ საქართველოს მთავართა მიმხრობასაც ცდილობდნენ, თუმცა ამაოდ"[189]. რუსეთი კი კავკასიაში გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისათვის ემზადებოდა და ირან-თურქეთისა და იმერკავკასიელი მფლობელების წინააღმდეგობა-პრეტენზიებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა. „ამასობაში, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — რუსეთის მფლობელობა შეუნელებლივ ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. 1818 წელს დაიწყო საჩეჩნოსა და დაღესტნის დაპყრობა. 1819—1826 წლებში თანდათან გაუქმდა ხელისუფლება აზერბაიჯანში და იქ რუსული მმართველობა დაინერგა. ამ მოვლენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აზერბაიჯანელი, არამედ ქართველი ხალხისთვისაც. ნელ-ნელა ეცლებოდა ნიადაგი ფეოდალურ შუღლსა და მტრობას მეზობელ ხალხებს შორის"[190].

საჩეჩნო-დაღესტნის შემოერთება-დაპყრობისათვის რუსეთის მიერ დაწყებულმა ბრძოლებმა დიდად შეცვალა თუშეთისა და მისი მეზობელი მთიელების ურთიერთობა. თუშებსა და მის მოსაზღვრე იმიერკავკასიელებს შორის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აღნიშნულ მოძრაობაში თუშები, სხვა ქართველებთან ერთად, რუსების მხარეზე დადგნენ და შეერთებული ძალებით იწყეს ბრძოლა ამ კუთხის დამორჩილებისათვის.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხსენებულ მოქმედებას მეზობელ მთიელთაგან ის მოყვა, რომ თუ მანამდე დიდო-ლეკები და ქისტ-ჩეჩნები მათ ცალ-ცალკე ესხმოდნენ თავს, ახლა უკვე ისინიც გაერთიანებული ძალებით ცდილობენ ქართველი მთიელების დაპყრობას.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან წერილობითი ძეგლები უკვე აღნიშნავენ ქისტებისა და დიდო-ლეკების გაერთიანებული ძალების თავდასხმებს თუშ-ფშავ-ხევსურებზე. თელავის მაზრის უფროსის მიერ 1827 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენისადმი წარდგენილი მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ დიდო-ლეკები და ქისტები დასხმიან ჩალმის საზოგადოების სოფელ დიკლოს. შეტაკების დროს მოუკლავთ სამი მამაკაცი და ერთი ქალი, სამი კაცი და სამი ქალი

---

[189] ნ. ბერძენიშვილი, ი. ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 412—413.

[190] იქვე, გვ. 413.

დაუტყვევებიათ. ამასთან, თან წაუყვანიათ 100 ხარი და 100 ცხვარი. თუშთა დადევნებულ ლაშქარს მოუკლავს 20 და დაუჭრია 30 კაცი. მძარცველები, როცა მიხვედრილან, რომ გატაცებულ საქონელს ვეღარ წაიყვანდნენ, ყველასათვის თავები დაუყრეინებიათ[191].

თუშური ზეპირსიტყვიერება ასახელებს აგრეთვე ჩეჩენ-ქისტებისა და ლეკების თავდასხმას მურთაზის მეთაურობით პირიქითის საზოგადოების სოფ. ფარსმაზეც. წერილობითი წყაროები ხსენებული შემოსევის შესახებ არ არსებობს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მურთაზის ხელმძღვანელობით მოწყობილი თავდასხმა უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. თუშური ხალხური ლექსის მიხედვით, რომელიც თუშეთში ხათილ მუხამას თავდასხმასა და ლეკ-თუშთა ბრძოლებს ეხება, აღნიშნულია, რომ ამ შემოსევამდე თუშებს თავს დასხმია მურთაზი, რომელმაც სამარცხვინო მარცხი განიცადა თუშეთში. ხათილ მუხამას მიერ თუშეთზე ლაშქრობა წინ უსწრებდა 1837 წელს ლეკთა და ქისტთა თავდასხმებს დიკლო-შენაქოზე. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მურთაზს თუშეთი XIX საუკუნის 20-იან წლებში უნდა დაელაშქრა. ხალხური ლექსი გადმოგვცემს:

„ერთხელ თურმე იმამ შამილს მუქარა სთხოვეს პირითა:
შენ მგონია დაიკვეხნე თუშეთს წავალ საომრათა,
თუ მოხვალ, კი გიმასპინძლებთ თუშები ვაქკაცურადა,
თუ გახსომს ფაოსმის თობა, ან თუ იცნობდი მურთაზსა,
შენცა ეგრე გიმასპინძლებთ, ისრე გაგგზავნით მტირალსა“[192].

ხალხური გადმოცემა მიუთითებს, რომ მურთაზს რიცხვმრავალი ლაშქარი ჰყოლია. ბელადს მისი დათვლა გასჭირვებია და უბრძანებია მოლაშქრეთათვის, რომ თუშეთისა და ქისტეთის სასაზღვრო მთა—ქაჩუზე გადმოსვლისას ყველას თითო ქვა დაედო, რომელსაც უკან დაბრუნებისას თითოეული მოლაშქრე კვლავ აიღებდა და ამრიგად გაირკვეოდა, თუ რამდენი მეომარი დაიღუპებოდა, ან ტყვედ ჩავარდებოდა. გადმოცემის მიხედვით, ქაჩუს მთაზე მურთაზის მეომართა დაყრილი ქვებისაგან დიდი გორა შემდგარა: „მურთაზი ზარბაზნით

---

[191] Шамиль — ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов (Сборник документальных материалов), შ. ცაგარეიშვილის რედაქციით, საქ. სსრ შსსს გამოცემა, თბ., 1953, გვ. 3.

[192] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 37.

გადმოსულა და მისდგომია ფარსმის ციხეს. ციხეში თუშები გამაგრებულან და ვერაფერი დაუკლია. მაშინ მურთაზს უბრძანებია ციხის სანგლით აფეთქება. თუშებს ეს დროზე გაუგიათ და ერთ თუშის ქალს კახოს თინას თავისი მანდილი ერბოში ამოუვლია (ცეცხლი მოუკიდებია, ვ. ე.). სანგალში გადაუგდია და ის აუფეთქებია"[193].

მურთაზს ფარსმის ციხე ვერ გაუტეხია. ფარსმანელებს მიშველებიან თუშეთის სხვა თემთა მეომრები, მათ დასახმარებლად გადმოსულან ხევსურნიც და თუშ-ხევსურთა გაერთიანებულ ჯარს ქისტლეკების დიდი ლაშქარი სასტიკად დაუმარცხებია. მურთაზს მცირე რაზმით ძლივს გაუსწრია:

„მთას გადატირის მურთაზი, ფარსმაში დამარცხებული.
ჯარ თუშებს გავაწყვეტინე, დაღესტანს შემრცხვენდებაო.
გზად დედა მოეგებების, მურთაზ, რა უყავ ჯარიო?
ჯარ თუშებს გაწყვეტინე, შინ მოხველ სირცხვილიანი"[194].

ზარბაზანიც თუშეთშივე დარჩენია მურთაზს. იგი 1931 წელს თუშეთში ყოფნის დროს პირადად უნახავს პროფ. ს. მაკალათიას, რომლის შესახებაც წერს: „მურთაზისათვის თუშებს წაურთმევიათ ზარბაზანი, რომელიც დღეს ინახება სოფ. ჭეშოში და აქვს ასეთი არაბული წარწერა: „ამალი აჰმად" (აჰმადის საქმე ან ნაკეთები). უკან გაბრუნებისას დამარცხებულ მურთაზს ლაშქრის დანაკლისის გამოსარკვევად უბრძანებია საალრიცხვოდ დაყრილი ქვის სათითაოდ აკრეფა, რომელსაც დაკლებია ერთი მესამედი. ეს ქვის გორა ქაჩუს გადასასვლელზე დღესაც დარჩენილია და მას მურთაზის გოხს (ქვას) ეძახიან"[195].

თუშეთისათვის ყველაზე მძიმე დიდოეთ-დაღესტნის შემოსევები იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდოეთ-დაღესტნის მოსახლეობა შამილის ხელმძღვანელობით დაირაზმა რუსეთის წინააღმდეგ. შამილი დიდად დაინტერესებულა თუშების თავის მხარეზე გადაბირებით, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრებულა. შამილს ვერ მოუხერხებია თუშების ჩამოცილება რუსებისა და ბარელი ქართველებისაგან; სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შამილი მთე-

---

[193] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 33.
[194] ი ქ ვ ე, გვ. 34.
[195] ი ქ ვ ე, გვ. 35.

ლი შესაძლებლობით ცდილობდა თუშეთის სრულ განადგურება-მოსპობას.

ხალხური გადმოცემების, საარქივო საბუთებისა და ზოგიერთი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ცნობის მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა შამილი, რომ ქართველი მთიელები თავის მხარეზე გადაეყვანა. „შამილს, რასაკვირველია, სურდა გამოეგლიჯა ეს მამაცი, გაუტეხარი და თავდადებული თავის სამშობლოს ხალხი რუსების ხელიდან. ამისათვის შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ განეხორციელებინა თავისი მიზანი. ჯერ ტკბილ სიტყვებითა და უხვი პირობებით მიმართა შამილმა და შემდეგ, როდესაც თუშებმა უარჰყვეს, ხმალი და ცეცხლი შეიტანა ამ მხარეში. როგორც იმ დროის მომსწრენი ამბობენ, შამილს თურმე ეთქვა, რომ ოღონდ თუშები შემოერთდნენ და სუყველას ნაიბობას მივცემო. დიდი პოლიტიკოსი იყო შამილი. ერთი თუში, გამოჩენილი თავის სიტყვით და გავლენიანი თუშებში, ტყვედ იქნა წაყვანილი ლეკებისაგან. ლეკებმა ეს თუში მიჰგვარეს შამილს. შამილმა თავისთან დაიჭირა თუში. ერთ დილას, სეირნობის დროს თურმე მოიხმო თუში და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თუშებო, რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ და ან ქართველებს. რათ მეწინააღმდეგებით. მე ხომ თქვენი მტერი არა ვარ. ეებრძვი ჩვენს საერთო მტერს — რუსებს და თქვენ კი არ მასვენებთ. მე მსურს გავრეკო კავკასიიდან საზიზღარი გიაურები და აღვადგინო ჩემი მამა-პაპის სამეფო სახლი. არავისათვის არ მითქვამს და არც არავინ არ იცის მე ვინა ვარ და გარემოება მაიძულებს, რომ შენ გაგიმეღავნო ჩემი ვინაობა. მე ვარ თქვენივე მეფე ერეკლეს შვილის ალექსანდრეს შვილი. ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც სპარსეთში იმყოფებოდა, სცხოვრობდა ერთ ხანის ასულთან, ხანის ასული ბატონიშვილისაგან ორსულად შეიქმნა. რომ მამის რისხვა აეცილებინა თავიდან, იგი ვიღაცას გამოჰყვა დაღესტანში და აქ მშობა მე — შამილი. დიაღ, მე მეფე ერეკლეს ჩამომავლობიდან ვარ და მსურს აღვადგინო სახელოვანი პაპის ტახტი და საქართველოს თავისუფლება“[196]. როგორც ივ. ბუქურაული შენიშნავს: „ყველა შამილის მეცადინეობამ ამაოდ

---

[196] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ტბათანიდან წოვათამდინ.., „მოამბე“, № 8, 1897, გვ. 30—31.

ჩაიარა. თუშებმა თავისი არ დაიშალეს და არ ზოგავდნენ არაფერს, რომ დაეცვათ რჯული და მიწა-წყალი"[197].

გარდა ხალხური გადმოცემებისა, საარქივო მასალებიც მეტყველებენ, რომ შამილი ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რათა თუშ-ფშავ-ხევსურეთი თავის ბრძანებლობაზე გადაეყვანა. ეს კარგად ჩანს 1841 წლით დათარიღებული დოკუმენტით, სადაც ვკითხულობთ: «...подтверждаю единогласно, что в Кистинии собираются три отряда горцев, предполагающие напасть на деревни Хевсурские и Тушинские, и Шамиль выслал несколько своих сообщников для предводительства, имеет намерание, устрашив тушин и хевсурцев, заставить их по примеру Кистинцев отложиться от нашего правительства»[198]. არის აგრეთვე 1842 წლის მაისში შედგენილი საბუთი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ 1842 წელს შამილს თუშებისაგან გადასახადი და დამორჩილება მოუთხოვია. აღნიშნულის თაობაზე თელავის მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის გუბერნატორს შემდეგს მოახსენებდა: «тушино-пшаво-хевсурский участковый заседатель рапортом от 12 мая за № 233 донес, что ... Ганиш Борцикидзе ...явившись к нему 12 числа мая, объявил, что известный возмутитель Дагестана Шамиль прислал в Тушетию двух своих старшин для сбора податей, угрожая за недачу таковых нападением и разрушением всей Тушетии»[199].

როცა შამილი დარწმუნებულა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურებს ვერ გადაიბირებდა თავის მხარეზე, გადაუწყვეტია მათი შევიწროება. იგი მათზე თავდასხმებს აძლიერებს. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა ყოფილა ხათილ მუხამას წინამძღოლობით. ამ ლაშქრობის თაობაზე წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, თუშური ზეპირსიტყვიერება დაწვრილებით აღწერს ხათილ მუხამას ბელადობით თუშეთში მოწყობილ დიდო-ლეკების ლაშქრობის ამბავს. დიდო-ლეკების ჯარი ლაას მთაზე გადმოსულა, იქიდან განაწილებულან და წამოსულან ორი მიმართულებით: სოფელ ხისოსაკენ და სოფელ ქუმელაურთისაკენ. ეს იყო თუშეთის ჩალმის საზოგადოების სამხრეთის

---

[197] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ტბათანიდან წოვათამდინ... გვ. 30—31.

[198] Сборник документальных материалов, 1953, стр. 200—201.

[199] იქვე, გვ. 200—201, 214.

სანაპირო სოფლები, რომელთაც სამხრეთიდან, ე. ი. კახეთის მხრიდან მთები საზღვრავს. ეტყობა, მტერმა ხსენებული სოფლების ეს სუსტი მხარე გაითვალისწინა და შემოსევაც იმიტომ იქიდან განახორციელა. ქუმელაურთისა და ხისოს მცხოვრებლებს თუშეთის სხვა თემის მებრძოლნი საჩქაროდ მიხმარებიან. ხათილ მუხამა დაუმარცხებიათ და დიდად დაზარალებული განუდევნიათ თუშეთის საზღვრებიდან. ხალხური გადმოცემა მიუთითებს, რომ ხათილ მუხამას დამარცხება პოლიტიკური თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მეფის რუსეთს თუშეთის მოსახლეობა სამი წლით გადასახადისაგან გაუთავისუფლებია[200].

ხათილ მუხამას დამარცხებას შამილი უფრო გაუღიზიანებია და ახალი ლაშქრობისათვის სამზადისი დაუწყია. „1836 წლიდან შამილმა გააძლიერა სისტემატური თავდასხმები თუშეთზე, რომლის გასაღებს სტრატეგიული თვალსაზრისით სოფ. დიკლო და შენაქო წარმოადგენდა (ამ სოფლებით ესაზღვრება თუშეთი დიდოეთს, ვ. ე). შამილის თავდასხმები ახლა უკვე (ე. ი. ხათილ მუხამას დამარცხების შემდგომ, ვ. ე.) ამ სოფელთა აოხრებით იწყება“[201].

საგანგებოდ შერჩეული 10 000-იანი დიდოების, ლეკებისა და ჩეჩენ-ქისტებისაგან შემდგარი ჯარი დიდოელი ალდამის წინამძღოლობით 1836 წლის 30 დეკემბერს თუშეთში შემოჭრილა და დაუკავებია ორი სოფელი: დიკლო და შენაქო. თუშებს მტრის შემოსევა და მის მიერ დიკლო-შენაქოს დაკავება ოთხჯერ უცნობებიათ კახეთის ბარში, მყოფ თუშეთის მოურავ მიხეილ ჩოლოყაშვილისათვის, მისგან დახმარება და სასწრაფო მოშველება მოუთხოვია, მაგრამ მიხეილ ჩოლოყაშვილს, დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, თუში წარმომადგენლები უცემია და, მათ დასახმარებლად წამოსული, ალვანში შეკრებილი ორასი თუში მეომარიც გზიდან დაუბრუნებია. ციხე-სიმაგრეებში შეხიზნულ დიკლო-შენაქოელებს, როცა მოურავისაგან დახმარების იმედი დაკარგვიათ, დაუწყიათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ლეკები მანამდე უხოციათ, სანამ ერთიანად არ გამწყდარან. დიკლო-შენაქოდან მტერს ხელში არც ერთი მამაკაცი არ ჩავარდნია ცოცხალი,

---

200 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 37.

201 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1955, გვ. 98.

მძარცველ აბრაგებს მხოლოდ დედაკაცები და ბავშვები წაუყვანიათ ტყვეებად.

თუშეთის ამ ორი სოფლის — დიკლო-შენაქოს დიდო-ლეკებისა და ქისტ-ჩეჩნების მიერ აოხრებისა და ამ საქმეში თუშეთის მოურავ-მიხეილ ჩოლოყაშვილის დანაშაულებრივი მოქმედების გამო თუშეთის სამ საზოგადოებას: ჩაღმას, პირიქითსა და გომეწარს 1837 წლის 21 თებერვალს საკმაოდ ვრცელი საჩივარი გაუგზავნია ბარონ როზენისათვის, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ყოველივე: „...ჩვენო ხელმწიფევ და პატრონო, ჩვენი მოხსენება და ვედრება ეს გახლავთ, რომ ჩვენის ორი სოფლის აოხოცვა და დატყვევებისა მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის. ესე რომელ გავლილს დეკემბერს ოცდა ათსა შემოვიდა ლეკის ჯარი და ქისტისა, ჩვენი მოურავისაგან შემორიგებული იმ სოფლებითგან. ჩვენს სოფლებს — დიკლოსა და შინაქოში (შენაქო უნდა იყოს, ვ. ე.). იანვრის პირველში საჩქაროთ გამოვგზავნეთ კაცი ჩვენს მოურავ მიხეილ ჩოლოყოვთან მოსაშველებლად დიკლოსა და შინაქოსათვის. რა გავიდა იანვრის ოთხი დღე მიემატა ლეკის ჯარსა და მსწრაფლადვე გამოვგზავნეთ კაცი... რა ვნახეთ ჩვენის მოუშველებლობა, მესამეთაც გამოვგზავნეთ ექვს იანვარს... თუ სამსა და ოთხსა დღესა არ მოგვეშველები, უთუოდ ამოგვწყვეტენო და ტყვეთ წაგვასხამენო, რა მოვიდნენ ჩვენი გამოგზავნილნი კაცნი, გაუწყა: როგორ ბედავთ აგრე ჩქარ-ჩქარა მოსვლას რომ მაწუხებთო. დაიჭირა და მრავალი სცემა იმა გამოგზავნილთ ჩვენგან თუშებს. რა იმედი გადავიწყვიტეთ ჩვენის მოურავისაგან მოუშველებლობაზედ, რაოდენიცა შეიძლებოდა ვხოცეთ ლეკნი ციხეებიდგან და სახლებითგან. რა მოგვცეს ცეცხლები, რაც თოფის ამღებნი თუშნი იყვნენ, მანამ ერთიან არ დაიხოცნენ, თავიანთ ცოლ-შვილი არ დაანებეს. როდესაც გაგვტეხეს, მამაკაცი გასწყვიტეს, დედაკაცნი და ყმაწვილები ტყვეთ წაასხეს ორასი სული, მკვდარი და ცოცხალი. რაოდენი ქონება წაიღეს — ამისი მოხსენება შეუძლებელი არის. გავბედავთ თქვენს მაღალ აღმატებულობასთან ჩვენის მწუხარების მოხსენებასა და განგიცხადებთ: ჩვენი დახოცვა და დატყვევება ყოველივე ჩვენის მოურავის მიხეილ ჩოლოყაშვილისაგან მოხდა ესრეთ რომელ, როდესაც ოცდა ათს დეკემბერს ჯარი შემოვიდა დიკლოში, ოთხჯერ ვაცნობეთ, რათა მოგვშველებოდა. რომელმანცა, თვით მიხეილ ჩოლოყოვმან, ორასი შეყრილი თუში გზიდან დააბრუნა, საჭირო არ არისო და გამოგზავნილნი კაცნიც გაგვილახა.

მერე თორმეტი დღე უძელით დიკლომ და შინაქომ, რატომ არ მოგვეშველა? თუში იყო ალვანში, მრავალნი კაცნიც ძომზადებულნი. თექვსმეტს იანვარს მოვიდა თუშეთში ჩვენი მოურავი, როდესაც ორივე სოფლები დამწვარი და ტყვეთ წაყვანილნი იყვნენ.

თქვენო მაღალიმატებულებავ! შევიტყევით, ვითომც ჩვენ მოურავს გამარჯვების და ლეკების დახოცვისა წარმოედგინოს წინაშე თქვენსა. ეს ხმა ჩვენთვის დიდად საწუხარი არის და ამისთვის გავბედეთ დაწვრილებით მოხსენება. თორმეტს იანვრამდის, მანამ დიკლოსა და შინაქოს აიღებდნენ და მამაკაცნი დაიხოცებოდნენ, ბევრი ლეკი მოვკალით, თუმცა თექვსმეტს რიცხვსა იანვრისასა გადმოვიდა ჩვენი მოურავი, ძალით ნაჩალნიკისაგან გამოგზავნილი, რაოდენიმე ასის კაცით და დადგა ათს ვერსზედ, სადაც ლეკის ჯარი შემამდგარი იყო ჩვენ სოფლებზედ. ჩვენის მოურავის იქ ყოფნაში თოთხმეტი დღე გვადგა ლეკის ჯარი. ამ ხსენებულს თოთხმეტს დღეში მოურავისაგან და არც იმის მოყვანილის კაცისაგან არავითარი ომი არ მომხდარა და არც ლეკი არ მომკვდარა. გამარჯვებას როგორ ბედავს, უკეთუ ჩვენის მოურავისაგან შემწეობა გვქონოდა ან გაემარჯვნა. მაშ მხევლები რაღათ მიგვაცემინა, დღესაც დაღისტანში ტყვეთ არიან.

ახლა ჩვენი უკანასკნელი თხოვა და მოხსენება ეს არის: ამდენის სულის ხალხისა და დახოცვისა და ტყვეობის მიზეზი ჩვენი მოურავი მიხეილ ჩოლოყოვი არის და მთავრობის მომტყუებელი. „ქისტეთი შევირიგეო“ საჩუქარი დაურიგა მისგან შერიგებულ ქისტთა, უმეტესად დაგვხოცეს და დაგვატყვევეს, სადაც ახლა ისევ ისინი არიან შეყრილნი ლეკებითურთ ჩვენზედ წასახდენად.

თქვენო მაღალიმატებულებავ! ვკვირობთ, რას მიზეზისათვის მიგვცა ხელმწიფის ყმანი და ქრისტიანეთი სულნი ესოდენსა დახოცვასა და ტყეობაში? რაოდენთა სულთა უნდა თავისი სარწმუნოება დაგმონ? და ან ვიღასა გვაქვს შეძლება მათის დახსნისა ტყვეობიდამ, რომელიცა არცა მეფეთა დროთა და არცა რუსეთის მთავრობაში არ წავმხდარვართ. დიდოცა, ლეკიცა და ქისტიც მრავალჯერ ყოფილან გამდგარი, რომ ჩვენთვის არავის რა დაუკლიათ რა და არც წამხდარვართ. ეს უბედურება მოურავისაგან მოგვეევლინა, თავშეუდებლობის გამო. ამისთვის ვითხოვთ თქვენის მაღალიმატებულობისაგან, რომელ საჭიროებისათვის ჩვენ ის მოგვცეთ და დაგვინიშნოთ ასეთი კაცი მოურავად, რომ იყოს მცოდნე ჩვენის ჩვეულებისა და აქაურის გარემოებისა, რომელმანცა გაამაგროს თუშეთი და ამაზე მეტად აღარ

წახდეს. ჩალმა. გომეწარი და პირიქითის თემებით მოგახსენებთ. ჩულხსა წელსა თებერვლის კა-სა რიცხვსა"[202].

თითქმის ასეთივე შინაარსის წერილი-საჩივარი თუშეთის მოსახლეობას 1837 წლის 27 თებერვალს გაუგზავნია აგრეთვე ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსისათვის, გენერალ-მაიორ სევარსამიძისათვის. წინა საჩივრის შინაარსისაგან აქ განსხვავება ის არის, რომ დიკლო-შენაქოდან წაყვანილი ტყვეებითა და ამ სოფლების აოხრებით არ დაკმაყოფილებულა ქისტ-ჩეჩენ-დიდო-ლეკების ჯარის ხელმძღვანელობა და სოფელი შენაქო მაშინღა დაუცლია, ე. ი. დამპყრობლები თუშეთიდან მაშინღა წასულან, როცა თუშებს დამატებით მათთვის ექვსი ტყვე-მხევალი მიუციათ: „მინამ მხევალი არ მივეცით ექვსი სული, — ვკითხულობთ საბუთში, — მინამ სოფლის შინაქოდამ ჯარი არ გავიდა, ჩვენ ექვსი მხევლის მიცემა ვირჩიეთ. მინამ სოფლის შინაქოს ერთიან წახდენას"[203].

თუშებმა კარგად იციან, რომ დიდოეთ-დაღესტნის სასაზღვრო სოფლების—დიკლოსა და შენაქოს აოხრება-მოსპობით თუშეთს ერღვეოდა საიმედო ზღუდე და იქმნებოდა აშკარა საშიშროება თუშეთის სიღრმეში ამ მხრიდან მძარცველთა შემოსევისა. აღნიშნულის გამო თუშები გენერალ-მაიორ სევარსამიძეს მიმართავენ: „თქვენ ბრწყინვალებას მოვახსენებთ, თუშეთის კლიტე დიკლო და შინაქო იყო. ეს სოფლები წახდა, თუ ერთი ღონისძიება არ მოგვეცა, დანარჩომ ხალხს, ჩალმას და გომეწარს თემებს, არ შეგვიძლიან იქ დადგომა... უკანასკნელი ჩვენი მოხსენება ეს არის თქვენ ბრწყინვალებასთან, რომ მთავრობასთან გვიშუამავლო და მოწყალება მიიღოთ, რომელ ასეთი კაცი მოგვცენ, რომ ჩვენი მოვლა შეეძლოს, რომელიც თავის დღეში თუშეთი ასრე არ წახდენილა უპატრონობით"[204].

დიკლო-შენაქოზე ჩრდილო-კავკასიელი ფეოდალების თავდასხმების შესახებ არსებული მდიდარი საარქივო საბუთების მიხედვით ვიგებთ, რომ მტერს ორივე სოფელი აუოხრებია, მოსახლეობა გაუწყვეტია და მრავალი ტყვე წაუყვანია დიდოეთ-დაღესტანში. XIX საუკუნის ცნობილი მკვლევრის, თუშეთის ყოფა-ცხოვრების საკმაოდ

---

[202] Сборник документальных материалов, 1953, стр. 95—96.

[203] იქვე, გვ. 98.

[204] იქვე, გვ. 99.

კარგად მცოდნის[205] ი. ცისკარიშვილის [206] მიხედვით კი გამოდის, „რომ თითქოს მტერს დიკლოს აოხრების შემდეგ, შინაქოს ასაოხრებლად წასულს, მარცხი განუცდია და სირცხვილეული უკან გაბრუნებულა“[207]. ი. ცისკარიშვილის ხსენებული მოსაზრების თაობაზე პროფ. ა. იოსელიანი შენიშნავს: „... უტყუარი საარქივო დოკუმენტები აბათილებს ამ მოსაზრებას. ირკვევა, რომ მტერმა დიკლოსთან ერთად შინაქოც გაანადგურა“[208].

დიკლო-შენაქოს ტრაგედიის შესახებ საინტერესო მასალას წარმოადგენს ბარონ როზენის მიერ 1837 წლის 18 თებერვალს გაგზავნილი მიმართვა რუსეთის სამხედრო მინისტრ ა. ი. ჩერნიშევისადმი. აღნიშნული წერილის შინაარსი ბევრ დეტალში ემთხვევა თუშების მიერ როზენისა და სავარსამიძისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსს, მაგრამ ამავე დროს მასში ბევრი ისეთი ფაქტია დასახელებული, რომელთა შესახებაც ხსენებულ საჩივრებში არ არის საუბარი.

თუშეთის მოურავი ჩოლოყაშვილი თუშეთში გადასულა 450 მებრძოლით, რომელთაც ადგილზე დახვდათ 63 შეიარაღებული თუში მამაკაცი. დასვენების შემდგომ ჩოლოყაშვილის განკარგულებით 18 იანვარს მის მებრძოლებს თუშეთის სიღრმისაკენ მიმავალი ყველა გზა-ბილიკი დაუკავებიათ და საომრად გამზადებულან: «Отдохнув от трудного перехода и обозрев с высот, прилежащих к сел. Шинако, расположение неприятеля, ночью на 18 число кн. Чолокаев заняли все пути, ведущие в Тушетию, дабы не допустить лезгин проникнуть далее во внутрь се, куда они намеревались обратиться для приобретения истощившегося у них продовольствия».[209].

---

[205] ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), „მოამბე“. № 8, 1697 („ივანე ცისკარიშვილი ფრიად მოხუცებულია და ამჟამად ტფილისში ღევს თავის სიცოცხლეს, კარგად აქვს შესწავლილი საზოგადოდ მთის ცხოვრება და მისი შრომა «Записки о тушетии» საყურადღებო მასალაა თუშეთის შესწავლისათვის“).

[206] И. Цискаров, Дикло и Шенако, газ. «Кавказ», № 27, 1846.

[207] ა. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1955, გვ. 99.

[208] იქვე.

[209] Сборник документальных материалов, 1953, стр. 93.

ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ აუცილებელი გახდა მოლაპარაკების დაწყება. ამ მხრივ ინიციატივა ლეკებმა გამოიჩინეს. თუშეთის მოურავმა ჩოლოყაშვილმა თანხმობა განაცხადა. ლეკებმა სოფელ ომალოს მიმართულებით, სადაც ჩოლოყაშვილის რაზმის ცენტრი იმყოფებოდა, გამოგზავნეს შვიდი წარმომადგენელი და გაჩერდნენ შენაქოსა და ომალოს საზღვარზე. ასევე მოიქცა ჩოლოყაშვილიც. მანაც თუშთაგან შვიდი რჩეული მამაკაცი გაგზავნა. დაიწყო მოლაპარაკება. ლეკებმა განაცხადეს, რომ თუშებზე თავდასხმა მათ მოაწყეს შამილის მოლას მოთხოვნით, რომელიც პირადად ფიქრობდა თავის თანამზრახველებთან ერთად გამოელაშქრა თუშეთზე. იგი ლეკებს სასჯელით ემუქრებოდა, თუკი არ შეასრულებდნენ მის მოთხოვნას. როცა ლეკებმა შერიგების სურვილი გამოთქვეს, თავადმა ჩოლოყაშვილმა უარი განაცხადა: უნდა დაემორჩილოთ ჩვენს მთავრობას და დაუყოვნებლივ დააბრუნოთ სოფელ დიკლოს განადგურების დროს ტყვედ წაყვანილი თუშებიო[210].

მოლაპარაკება ჩაიშალა. მაარეები ვერ შეთანხმდნენ. 19 იანვარს გაიმართა ბრძოლა, რომელიც მთელი დღე გაგრძელებულა. თუში მეომრების ზუსტი სროლის შედეგად მეკობრეებმა უკან დახევა იწყეს. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა; მაარცველების მხრიდან მოკლეს და დაჭრეს 400-მდე მებრძოლი[211].

დიკლო-შენაქოს აოხრებისა და სასტიკი განადგურების შემდგომ შამილი თუშეთზე ახალი თავდასხმისათვის ემზადებოდა. ახლა მტრის შემოსევა მოსალოდნელი იყო არა მარტო ერთი მიმართულებით, არამედ სამი მხრიდან, რაც, რა თქმა უნდა, უფრო საშიში და დამაფიქრებელი იქნებოდა თავისი მოსალოდნელი შედეგებით.

მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ თუშები საქმის კურსში აყენებენ ბარონ როზენს და დახმარებას სთხოვენ: „ამავე თებერვლის ოცდაერიცხვსა მივიღეთ ჩვენ უებარი სამართლით ცნობა ისევ ჩვენის პირიქითელის თემის კაცისაგან, სახელდობრივ ღანიში ბორძიკიძისაგან, რომელიც ყოფილიყო ქისტეთში და აჩარა და ჭანჩი, სადაც ენახა ურიცხვი ლეკისა და ქისტის ჯარი, სამ პირათ წამოსული ჩვენს სამს თემზედ, ჩვენის სოფლების ასაკლებლად და წასახდენად, ჩვენის დანაშთომის სოფლებისა. და ამასთანავე მოგახსენებთ, რომელ ჩვენ

---

[210] Сборник документальных материалов, 1953, стр. 93—94.

[211] იქვე, გვ. 94.

ამდენ მტრებთა სადილობამდინ სავლელი მეტი აღარა აქვს, ჩვენც ამგვარმა გაჭირვებულმა საქმემა გაგვაბედვინა ხუთის კაცის თუშის გამოგზავნა, სამხი თელავის ნაჩალნიკთან—ჩვენი უბედურების საცნობელად და ორიცა ჩვენს მაღალ აღმატებულობასთან პირდაპირ, ამა ჩვენის სამის თემისაგან აზრითა, რომელითაც გთხოვთ ჩვენს ამდენ საცოდაობის და ქრისტიანეთ დაღუპვისათვის პატრონობა და მამობრივი მფარველობა მოიღოთ და ჯარიც მოგვაშველოთ საჩქაროდ"[212].

შამილის მიერ თუშეთზე დიდი კოალიციური თავდასხმის გეგმა არ განხორციელებულა. ეტყობა შამილმა გაიგო, რომ თუშეთმა უკვე აცნობა მთავრობას კარზე მომდგარი საფრთხის შესახებ და თუშეთის დალაშქვრაზე ამჯერად ხელი აიღო.

დიკლო-შენაქოს გმირული ბრძოლების ყველა საინტერესო დეტალი, ბევრი ისეთი რამ, რომელთა შესახებაც საარქივო მასალები დუმან, კარგად არის ასახული თუშურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს სოფელ დიკლოს მკვიდრის — ხთისო ბელადიშვილის მიერ გამოთქმული ვრცელი ლექსი, რომელიც 1931 წელს თუშეთში ყოფნის დროს ჩაუწერია პროფ. ს. მაკალათიას. ამ ლექსის შინაარსი საყურადღებო და გასათვალისწინებელი იმიტომაცაა, რომ ხთისო ბელადიშვილს ცხოვრება უხდებოდა 1837 წელს დაღესტანში ტყვედ წაყვანილ და შემდგომ დიკლო-შენაქოში დაბრუნებულ თანამემამულეებთან, რომელთაგანაც ის დიკლო-შენაქოს ბრძოლების ყველა დეტალს და ამ ბრძოლების მონაწილე თუშ გმირთა სახელებს პირადად ეცნობოდა.

ლექსის მიხედვით ვიგებთ, რომ შამილს თუშეთში ჯარის გამოგზავნამდე სამხედრო თათბირი ჰქონია, სადაც ჯარის ხელმძღვანელობაზე ხუნძახელ ჰაჯი მურიმს უარი განუცხადებია, ბოლოს ბეთაურობა დაუკისრებიათ დიდოელ ალდამისათვის, რომელიც თუშეთში ნამყოფი ყოფილა, თუშეთის წეს-ჩვეულებებიცა და გზებიც სცოდნია. შამილის მიერ ჩატარებულ სამხედრო თათბირზე ლექსი გადმოგვცემს: „... ჰაჯი მურიმ ხუნზახელმა ყველა უთხრა იმამს პირსა: „მე იმათში ვერ გადავალ, არც ბილიკი ვიცი მთისა, ალდამს ჰკითხეთ დიდოელსა, იმან იცის იმათ მხრისა, ის არი მათში ნავალი, რა წესი აქვთ თუშის შვილთა"[213].

---

[212] Сборник документальных материалов, 1953, стр. 95.

[213] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 38.

სამხედრო თათბირს ალდამისათვის წინადადება მიუცია, რათა თავისი შეხედულება გამოეთქვა თუშებისა და თუშეთის შესახებ: „ალდამს უთხრეს: „აბა გვითხარ რა წესი აქვთ თუშთა შვილთა?“ „ალდამ უთხრა: „მე ვყოფილვარ, დღენი იყენეს ახალ წლისა, პური, ლუდი, არაყი მეტად მიმღებნი სტუმრისა. ცალი მხრივ ვაჟკაცნი ისხდნენ, ლუდსა სვამდნენ ჯიხვის რქითა, სადღეგრძელოსაც მოსთქ-ვიდენ მტრისა მებრძოლ ვაჟკაცისა. ცალი მხრით დიაცნი ისხდნენ, ღმერთსა სთხოვდნენ მანდილ ხდითა. „ღმერთო, უშველე თუშებსა, დაღესტნის იმამი ძირსა“[214].

ალდამის მოსმენის შემდგომ დაღესტნის იმამს გადაუწყვეტია თუშეთში ჯარი ახალი წლისათვის გაეგზავნა. დაღესტნის ჯარი პირველად სოფ. დიკლოს დასცემია. დიკლოში მცხოვრებ თუშ მამაკაცებს გმირული ბრძოლა გაუმართავთ დაღესტნელი მძარცველებისათვის:

„დიკლოში დიდი ომია და გრიალი თოფებისა,
თოფი ჭეხს, ტყენი უხმობენ და მღერიან ბუჩქნი ტყისა.
გიოი მოზაიძე ბექურიძეს ეძახდისა:
„ბერო, ბერო, როგორა ხარ, ხმაი მომდის შენ თოფისა“.
ბერომ წყრომით დაუძახა: „გაჯავრებულ ვარ მე დღესა,
გუშინ თერთმეტი მოვკალი, შვიდის მეტი ვერა დღესა“.
ახლა გიომ დაუძახა: „მაშ სახელი შენ დაგრჩესა“.
მე თორმეტისა მეტი ვერა და თოფიცა ახლა გამწყდა,
თოფი განზე გადააგდო, ხმალზე გაიკრავდა ხელსა,
ხმალ და ხმალ გამოუარდა, ორსავ ბავ-ი მოაჭრისა
ახლა შორით თოფი დაჰკრეს, ლომი გიოც დეეცისა“[215].

ლექსი ასახელებს სხვა გმირ ვაჟკაცებსაც: თისო ოსორაულს, გაგანაშვილს, უჯბახიშვილს, ქურაზიშვილს, ვარდიძეს, რომელნიც ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ლეკი დამპყრობლების გაჟლეტაში. მათ შორის გამოირჩეოდა თისო ოსორაული:

„ომობდა ოსორაული, ვაჟი არ ზოგავს თავსაო,
ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრ ხელი გაჰკრა ხმალსაო,
ხმალ-და-ხმალ გამოუვარდა, უწყალოდ სჭრიდა თავსაო.
ერთსა ლეკსა ხელი სტაცა: „მოდ, ძმობილო, შენ აქაო“.
შინათკენ მიარბენინებს, როგორც რომ ლომი ცხვარსაო,

---

[214] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933, გვ. 38.
[215] იქვე, გვ. 39.

შინ შეიყვანა ციხეში, მოუსვა სათოფურსაო:
„ლეკო, ესროლე ლეკებსა, თორო მოგაჭრი თავსაო“.
ლეკი ესროდა ლეკებსა, ცრემლები თვალთა სდისაო,
„ოღონდ ნუ მომკლამ, თისოჯან, კიდევაც ვესვრი სხვასაო.
თისომა ხმალი შემოკრა, თავი მოშორდა ტანსაო,
„შენ ცოცხალს ვინღა გაგიშობს, შენ ურჯულოსა ძაღლსაო“[216].

ლექსი იმაზეც მიუთითებს, რომ სოფ. დიკლოს მეომართა რიცხვი თექვსმეტს არ აღემატებოდა. თურმე, თექვსძეტი მეომრიდან საბოლოოდ დარჩენილან ძმები ბერო და ღვთისო ბექურიძეები. ლეკებს მათი ხელში ჩაგდება რომ ვერ მოუხერხებიათ, იმ ციხისათვის, რომელშიც ისინი იყვნენ გამაგრებულნი, ცეცხლი შეუნთიათ. სათოფურებს თურმე ცეცხლის ენა სცემდა. ცეცხლისაგან შეწუხებული ბერო ბექურიძე ხმალამოწვდილი გამოვარდნია მტერს, მაგრამ იქვე ციხის კარებთან დაცემულა განგმირული. ღვთისო ბექურიძესაც იგივე ბედი ეწია. წინასწარ მას თითქოს ცოლი და საკუთარი დაც კი მოუკლავს, რათა ტყვედ არ წაეყვანათ მძარცველებს.

ცოლ-შვილის დახოცვის მოტივი, გარდა დიკლოს ტრაგედიის შესახებ შექმნილი ლექსისა, თავს იჩენს ჰეღოს გმირული ბრძოლების შესახებ არსებულ ლექსებშიც. „როგორც ჩანს, ლეკები სასტიკად უსწორდებოდნენ დაპყრობილთ, ამიტომ თუშები ყველაზე კრიტიკულ, ტრაგიკულ მომენტში უმჯობესად თვლიდნენ საკუთარი ცოლ-შვილი თვითონვე დაეხოცათ“[217].

დიკლო-შენაქოს ტრაგედიის მსგავსია ჰეღოს ტრაგედიაც. სოფელი ჰეღო ეკუთვნის თუშეთის პირიქითის საზოგადოებას. „სოფ. ჰეღო მაღალმთის წვერებზეა ნაგები, რომელიც დღეს უკაცრიელია და პარტახი“[218]. ქისტ-ლეკებს მოუხერხებიათ სოფ. ჰეღოს მისასვლელი ყველა გზის საგანგებოდ დაჭერა-გამაგრება და შემდგომ კი დაუწყიათ ამაოხრებელი ბრძოლა. ჰეღოს მცხოვრებლებს, დიკლოელებისა და შენაქოელების მსგავსად, ქედი არ მოუხრიათ მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე და ყველა გმირულად დაღუპულა. ჰეღოელების დასახმარებლად ფშავ-ხევსურებიც წამოსულან, მაგრამ მძარცველებს გზები სა-

---

216 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 39.
217 გ. ბ ა რ ნ ო ვ ი, ვაჟა-ფშაველას ხალხური წყაროები, 1960, გვ. 42—43.
218 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 125—126.

გულდაგულოდ ჰქონიათ შეკრული. ერთი ხალხური ლექსი — „ფშაველ-ხევსურთ მიშველება თუშეთში" გადმოგვცემს:

„ეღოს ატირდეს დედანი": მტერმ მარკედ შაგვაშინნაო,
შაყრილნი მშაველ-ჯევსურნი ეღომსაც შაშოხვივნაო,
დიჩინებს ჯევსურთ შვილებსა ყაწიმებ დაუმდღვინაო,
მშაველები ლეგ-ლუგაები თოფებსა ჩამოხვიენაო!"[219].

უთანასწორო ბრძოლა თუშებსა და ქისტ-ლეკებს შორის შვიდი დღე-ღამე გაგრძელებულა და მერვე დღეს. როცა ციხეებში გამაგრებულ მებრძოლებს ტყვია-წამალი გასთავებიათ, მტერს მოუხერხებია ციხესიმაგრეებთან ახლოს მისვლა და ბრძოლაც მათ სასარგებლოდ დამთავრებულა. ჰეღოს ტრაგედიაზე ფშავ-ხევსურულ და განსაკუთრებით თუშურ პოეზიაში მრავალი ლექსი შექმნილა, რომელნიც ყურადღების ცენტრში აყენებენ მიქელ ზურაბის ძის გმირობას. მიქელს თავის მამის ციხე-სიმაგრესთან მოავალი მომბდური მოუკლავს. ბოლოს, ღვთისო ბექურიძის მსგავსად. ცოლ-შვილი დაუხოცია და ხმალ-ამოწვდილი გამოვარდნია მტერს. მიქელ ზურაბის ძეს 12 მოძალადე მოუკლავს და თვითონაც გმირულად დაღუპულა.

დიკლო-შენაქოს ტრაგედია მთავრობამ სათანადოდ შეაფასა, დასახა კიდეც ღონისძიებანი ამ მხარის დასაცავად. ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ თუშეთისა და შემდგომ ფშავ-ხევსურეთის დაკარგვით დიდად გაუძნელდებოდა ჩრდილოკავკასიის დამორჩილება და მისი შემოერთება. ამიტომ საჭირო იყო ამ მხარის განმტკიცება და გაძლიერება.

ამ მხრივ მეტად საინტერესო საბუთს წარმოადგენს 1838 წლის 11 ოქტომბერს გენერალ გოლოვინის მიერ გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოსათვის გაგზავნილი მიწერილობა[220]. ამ საკმაოდ ვრცელ წერილში მრავალი საინტერესო ფაქტი და საკითხია თავმოყრილი, რაც არა მარტო დიკლო-შენაქოზე ჩეჩენ-ლეკთა თავდასხმის ისტორიის შესწავლისათვის წარმოადგენს ძვირფას მასალას, არამედ სხვა მხრივაც.

გენერალი გოლოვინი ატყობინებს გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოს, რომ თუშეთის მცხოვრებთა მიერ მთავრობის სახელზე გამოგზავნილი

---

[219] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 114.
[220] Акты, т. IX, 1884, стр. 140—143.

საჩივრების შინაარსის გარკვევა დაევალა კავკასიის გრენადერთა ბრიგადის შტაბის კაპიტანს თავად ორბელიანს: „ამასთან, — წერს გენ. გოლოვინი, — ორბელიანს დავალებული აქვს გაარკვიოს, თუ როგორ შეიძლება თუშეთის დაცვა მსგავსი უბედურებისაგან და ზომები იქნეს მიღებული თუშეთში წესრიგისა და მოქალაქეობრიობის აღსადგენად, რომლებიც მისცემენ მათ მეტ ძალას და შესაძლებლობას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს მეზობელ მტრულად განწყობილ ტომებს"[221].

აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ კომისიას გენ. გოლოვინისათვის თუშეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამომწურავი დასკვნები წარუდგენია. ამ მასალების გაცნობის შემდგომ გოლოვინი სთხოვს ბრაიკოს, რომ თუშების სახელზე გასცეს შემდეგი განკარგულება:

„1. გამოუცხადოთ თუშების ოთხსავე თემს, რომ თუშეთის დაცვა თვითონ მათ ევალებათ და ნუ ელიან ჩვენს ჯარებს — თავიანთ საზღვრებზე სიმაგრეების და სადარაჯოების დასაკავებლად.

2. თუშეთის დასაცავად დაყენებულ იქნენ ყარაულები ოთხივე თემიდან ზამთარ-ზაფხულობით, კომლთა რიცხვის გათვალისწინებით და საჭიროების მიხედვით"[222].

თუშეთის დაცვა, თუშებთან ერთად, მთავრობას ფშავლებისთვისაც დაუვალია, რადგან ისინი იმიერკავკასიელებისაგან არავითარ საშიშროებას არ განიცდიდნენ: ერთი მხრივ, ისინი უშუალოდ არ ესაზღვრებოდნენ თავდამსხმელებს, მეორე მხრივ, ფშავი დაცული იყო თუშთაგან. აღნიშნულის შესახებ წერილში ვკითხულობთ: „ზამთრობით დარაჯობისათვის თუშთა ოთხივე თემიდან შეიარაღდეს 150 კაცი, ხოლო ფშავთაგან 100. სხვათაშორის, ეს რიცხვი შეიძლება შემოკლდეს. თუკი ეს დავალება ძალიან მძიმე აღმოჩნდება როგორც პირველთათვის, ისევე მეორესთვის"[223].

წერილში საგანგებოდ ხაზი აქვს გასმული თუშეთში ციხე-სიმაგრეების აშენებისა და ქისტეთ-ლეკეთის საზღვრებზე საყარაულოების მოწყობის საკითხს. „ეს ყარაულები, — წერს გენ. გოლოვინი, — დაყენებულ უნდა იქნეს თუშეთის საზღვრებზე, ლეკებისა და ქისტების წინააღმდეგ, ისეთ ადგილებში, სადაც მტაცებლებს შეუძლიათ

---

[221] Акты, т. IX, стр. 140.

[222] იქვე, გვ. 141.

[223] იქვე.

გასვლა. ამ ყარაულების განლაგება დავალებული აქვს ლეკების ხაზის მეთაურს. მაგრამ რადგანაც უკვე თოვლმა დაფარა თუშეთი და წელიწადის დრო არ გვაძლევს საშუალებას ავაშენოთ ყარაულთათვის კოშკები აუცილებელ ადგილებში, მიმდინარე ზამთარს დავკმაყოფილდეთ იმ ყარაულებით, რომელთა შენახვას ითვალისწინებს მოურავი. გაზაფხულის დადგომისას ლეკების ხაზის მეთაური ჩავა თუშეთში, აარჩევს ადგილებს ყარაულთათვის და გასცემს ბრძანებას თუშეთის ტიპის ქვის კოშკების ასაშენებლად. კოშკები აშენდეს იმ ოდენობით, რაც ადგილზე მყოფი ხალხისათვის იქნება საჭირო... დიკლოს მახლობლად მდებარე ძველი სიმაგრე შეკეთდეს, ანდა აიგოს იქ კოშკი, რომ იმ სოფლის მცხოვრებლებმა შეძლონ თავშეფარება და წინანდელ ადგილებში დასახლება"[224].

იმ დროისათვის წოვათა საზოგადოების თუშები ზამთრობით თუშეთში აღარ ცხოვრობდნენ და კახეთის ბარში ალვანის ველზე მოსახლეობდნენ. ამის გამო, როგორც ჩანს, ისინი უარს ამბობდნენ, ანდა ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ თუშეთის დაცვისათვის იმ დროს, როცა იგივე წოვა-თუშები თუშეთის მდიდარი ალპური საძოვრებით ისევე სარგებლობდნენ, როგორც დანარჩენი თუშები. წოვა-თუშების საქციელით უკმაყოფილონი ყოფილან დანარჩენი თუშები, რაც მთავრობის ყურამდეც მისულა და ხელისუფლებას საგანგებო ყურადღება მიუქცევია კიდეც. აღნიშნულის თაობაზე ხსენებულ წერილში ვკითხულობთ: „რადგანაც გომეწრელების, ჩაღმელების, პირიქითელების და წოვების თემთა შორის მტრობა გაჩნდა და პირველი სამნი უკმაყოფილონი არიან, რომ უკანასკნელნი სარგებლობდნენ თუშთა მიწებით, მაგრამ ზაფხულობით არ იცავენ მხარეს, საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უკმაყოფილებას. წოვებმა უნდა გამოყონ ყარაულები, რამდენიც მათ მოუწევთ, პირველად მათ ადგილები დაიკავონ მოურავის შეხედულებისამებრ, რომელსაც მე ვავალებ თუშეთის დაცვას, ხოლო ლეკების ხაზის უფროსმა მოურავთან ერთად განსაზღვროს, თუ, სახელდობრ, სად და რამდენი ყარაული უნდა იქნეს გამოყოფილი ზამთრობით და განსაკუთრებით ზაფხულობით"[225].

მთავრობა წოვა-თუშებს დამუქრებია თუშეთის მდიდარი საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის აღკვეთით, თუკი ისინი უარს იტ-

---

[224] Акты, т. IX, стр. 141.

[225] იქვე.

ყოდნენ თუშეთის დაცვაზე. აღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: „თუკი წოვებმა არ ისურვეს ყარაულების გაგზავნა თუშეთის დასაცავად ზამთარ-ზაფხულობით, გამოეცხადოთ მათ, რომ დაკარგავენ თუშეთის მიწებით სარგებლობის უფლებას, რომელიც მათს თემს ეკუთვნის და იქ დასახლებულნი იქნებიან სხვები. ამისათვის მოიწვიეთ ქისტები და მიეცით მათ წოვების თემთა მიწები იმ პირობით, რომ მათ დაიცვან თუშეთი ადამიანთა იმ რიცხვით, რომელთა გამოყოფაც მათ მოუწევთ; ყველაფერში დაემორჩილონ მოურავს და იხადონ გადასახადი, ისევე როგორც დანარჩენმა თუშებმა"[226]. „თუკი წოვები უარს არ იტყვიან, — ვკითხულობთ წერილში, — ზამთარში ყარაულების მთებში (ე. ი. თუშეთში — ვ. ე.) გაგზავნაზე, მაშინ მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ, მათვე დარჩებათ. ასევე ძემთხვევაში გამოეცხადოთ გომეწრელებს და წოვებს, რომ ყველა საძოვარი ადგილი თუშეთში ერთნაირად ეკუთვნის ყველა თემს"[227].

მთავრობამ დააწესა ყარაულების ადგილებზე გაგზავნისა და მათი სხვებით შეცვლის თარიღები. სადარაჯოებზე მიამაგრეს სპეციალური პირები, რომელთაც ხელისუფლება უნიშნავდა ჯამაგირს. წერილში ვკითხულობთ: „ყარაულები გამოიცვალონ 1 მაისისა და 1 ოქტომბრისათვის, გარდა იმ თემებისა, რომლებიც თუშეთში იზამთრებენ; მათ შეიძლება ნება დაერთოს შეცვალონ თავიანთი ხალხი ყოველთვიურად. ყოველ საყარაულოს მიემაგროს იუზბაშები, რომელთაც მიეცეთ 10 მანეთი ვერცხლით ყოველთვიურად"[228].

თუშეთის მთებში გამწესებული ყარაულების სურსათით მომარაგების შესახებაც საგანგებო ღონისძიება იქნება დასახული. მთავრობა სწორად ვარაუდობდა, რომ ოჯახსა და სოფელს საკმაოდ დაშორებულ ყარაულებს ძალიან გაუჭირდებოდათ სურსათის შოვნა, ამიტომ ხელისუფლებამ გასცა განკარგულება სურსათ-სანოვაგის თელავში მომარაგება-ჩატანის შესახებ, საიდანაც თვითონ თუშები თავიანთი ცხენებით წაიღებდნენ ადგილებზე[229].

ხელისუფლების წარმომადგენელ მოურავს, რომელსაც თუშეთის მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობა ევალებოდა, თითოეულ სოფელში

---

[226] Акты, т. IX, стр. 141.
[227] იქვე, გვ. 141—142.
[228] იქვე.
[229] იქვე.

დაუნიშნეს მუდმივი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც მას უფრო მეტი კონტროლი უნდა დაეწესებინა როგორც თუშებზე, ისე საერთო მდგომარეობაზე. ყველა განკარგულება და დადგენილი ბეგარის აკრეფა თუშეთში ხორციელდებოდა ამ ზემდეგების საშუალებით. თვითონ ეს ზემდეგები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისა და ყარაულობისაგან[230].

შექმნილ რთულ ვითარებაში, როდესაც თუშეთი მეზობელი მტაცებლებისაგან დიდად დაზარალდა და კიდევ უარესი იყო მოსალოდნელი, ხელისუფლებამ ადრინდელთან შედარებით გაზარდა თუშეთის მოურავის უფლება-მოვალეობა, გაუზარდა ხელფასიც, სამაგიეროდ კი იგი ვალდებული იყო მუდმივად თუშეთში ყოფილიყო და პასუხი ეგო მის მდგომარეობაზე: „წესრიგის დამყარებისათვის, კეთილმოწყობისა და თავდაცვისათვის ფხიზელი ზომების მისაღებად, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა, მოურავს მთიან თუშეთში მუდმივი ადგილსამყოფელი უნდა ჰქონდეს და ამისათვის... ვუნიშნავ მას, გარდა 300 მანეთისა, რომელსაც ამჟამად იგი ღებულობს, კიდევ 300 მანეთს, ე. ი. სულ 600 მანეთს“[231].

მოურავს ოფიციალურად მიეცა უფლება დაესაჯა თუშები, რომლებიც მეზობელ მთიელებთან მთავრობის მიერ განსაზღვრულ ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს დაარღვევდნენ. მაგრამ მოურავს ამ დასჯის დროს უნდა ეხელმძღვანელა „მხარეში (ე. ი. თუშეთში, ვ. ე.) ოდითგან გამეფებული და დაკანონებული წესებით“[232].

დიდო-ლეკთაგან აოხრებული დიკლოსა და ამ მხრიდან თუშეთის შემოსავლელი კარის გასამაგრებლადაც დაისახა ღონისძიებანი. მთავრობამ გამოყო გარკვეული თანხა, რათა დაესახლებინა უსახლკაროდ დარჩენილი მოხეტიალე დიკლოელები და აეშენებინა ახალი ციხე-სიმაგრეები. აი, რას სწერს აღნიშნულის თაობაზე გენ. გოლოვინი გენ. ლეიტ. ბრაიკოს: „დიკლოში სიმაგრეების აღდგენისას, უხიფათო ყარაულობის მოწყობის მიზნით, მოხეტიალე დიკლოელები იძულებით დასახლებულ იქნენ თავიანთ მიწაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში

---

230 А к т ы, т. IX, стр. 141—142.
231 ი ქ ვ ე, გვ. 142.
232 ი ქ ვ ე.

გამოეცხადოს მათ, რომ მათი მიწები მიეცემათ სხვა ხალხს თუშეთში ჩასასახლებლად"[233].

მთავრობას სოფ. დიკლოს უსახლკაროდ დარჩენილ მეკომურთათვის გამოუყვია 20—20 მანეთი ვერცხლით. აგრეთვე დაუსახავს ღონისძიება ტყვედ წაყვანილ დიკლო-შენაქოელთა თუშეთში დაბრუნების შესახებ. საბაგიეროდ, ხელისუფლებას თუშებისაგან მოუთხოვია მოურავისადმი სრული მორჩილება და მეზობელ მთიელებთან ისეთ დამოკიდებულებაში ყოფნა, როგორიც მეფის რუსეთისათვის იყო მისაღები. „დახმარების სახით დიკლოელებს, რომლებიც მოხსენებულნი არიან დართულ სიაში, — წერს გენ. გოლოვინი, — ვუნიშნავ ოც-ოც მანეთს ვერცხლით ჩასახლებისათვის და თუ ვინმე მათგანს არ მოესურვება ეს, მაშინ ასეთებს დახმარება არ მიეცემა. გამოეცხადოთ მათ, რომ მე ვღებულობ გადამჭრელ ზომებს ტყვეების გამოსყიდვისათვის, დატყვევებულთა და მათი ოჯახების გაცვლა-გამოცვლისათვის და ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ზოგიერთნი დაბრუნდებიან. ჩააგონეთ თუშებს, რომ მთავრობა მათ უწევს მხოლოდ მოწყალებას, მოელის მათგან მოურავისადმი სრულ მორჩილებას და მხოლოდ მათ შორის ასეთი დამოკიდებულების მეშვეობით გამეფდება სიწყნარე და კეთილდღეობა"[234].

თუშებს აეკრძალათ მოურავის ნებართვის გარეშე თუშეთიდან და ალვანის ველიდან სხვაგან წასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოელოდათ მოურავისაგან დასჯა და ჯარიმის გადახდა. „გამოეცხადოს თუშებს, — წერს გენ. გოლოვინი, — რომ მათგან არავის ამიერიდან არა აქვს უფლება იცხოვროს თუშეთის გარდა სხვაგან მოურავის ნებართვის გარეშე. გამოეცხადოს ეს ყველა თემის უფროსს და დაეგზავნოს მიწერილობა, რომ ისინი, რომლებიც აღმოჩნდებიან თუშეთისა და ალვანის ველის ფარგლებს გარეთ მოურავის მიერ გაცემული ბილეთის გარეშე, დაჭერილი იქნებიან და გაეგზავნებიან მოურავს იძულების წესით, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია დააჯარიმოს ისინი ჯიუტობა-მოუსმენლობისათვის"[235].

დაღესტნელების მიერ თუშეთზე ასეთი მასობრივი თავდასხმის შემდგომ ხელისუფლებას მიზანშეწონილად მიუჩნევია თუშეთთან

---

[233] Акты, т. IX, стр. 142.

[234] იქვე.

[235] იქვე.

ერთად ფშავ-ხევსურეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზეც ეფიქრა. გატარდა ღონისძიება სამივე კუთხის გაერთიანების მიზნით. თუშ-ფშავ-ხევსურეთი ერთ სამოურავოდ გამოყვეს და მის მმართველად დანიშნეს თუშეთის მოურავი თავადი ჩოლოყაშვილი. ჩოლოყაშვილს ხევსურეთსა და ფშავში გამოუყვეს მოადგილეები, რომელთაც მთავრობამ დაუნიშნა ხელფასი 300—300 მანეთის ოდენობით. ხევსურეთსა და ფშავში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყარაულების გამოყვანა საზღვრების დასაცავად სავალდებულო წესად იქნა შემოღებული. „შტაბს კაპიტან თავად ჩოლოყაშვილს დაევალა ყველა ღონე იხმაროს, რათა დაამყაროს წესრიგი და კეთილდღეობა მისთვის მინდობილ ტომებში, ამისათვის მან უნდა მიმართოს გონივრულ ზომებს, რათა დაიმსახუროს მთიელთა ნდობა და პატივისცემა; ამასთან ეცადოს არ გააღვივოს უკმაყოფილება, რომელიც აღმოცენდება მხოლოდ უილაჯო და უმართებულო მმართველობის შედეგად“[236].

მთავრობა განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს ხევსურებსა და თუშებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების თაობაზე, რადგან მათ გაერთიანებას და ერთობლივ მოქმედებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულის შესახებ გენ. გოლოვინი შეახსენებდა გენ. ბრაიკოს: „ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული თუშთა და ხევსურთა ტომების მეგობრული შერიგება-შეკავშირებისათვის, რომ ამ ორმა მაშაცმა და მებრძოლმა ტომმა შეადგინოს ერთი მთლიანი საზოგადოება, რომელიც ურთიერთ დახმარებისათვის ყოველთვის მზადყოფნაში იქნება და ამგვარად შეიქმნება მყარი საყრდენი მტაცებელი ჩეჩნებისა და ლეკების წინააღმდეგ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა და, რა თქმა უნდა, მოითხოვს დიდ დროსა და უდიდეს გონიერებას, მოთმინებასა და სიმტკიცეს, მაგრამ იმ სარგებლის ზომა, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამ ღონისძიების გატარებას, დამოკიდებულია უფროსების ყურადღებასა და შტაბს კაპიტან ჩოლოყაშვილის გულმოდგინებაზე“[237].

XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისიდან თანდათან რთულდება თუშ-ფშავ-ხევსურეთის მდგომარეობა.

---

[236] Акты, т. IX, стр. 142.

[237] იქვე.

1841 წლის ივლისში შედგენილი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ქისტეთის მხრივ შეინიშნება დიდი სამზადისი: მტაცებლების გაერთიანება ხდება ქისტეთში, რომელთა ხელმძღვანელობისათვის შამილს გამოუგზავნია საიმედო თანამებრძოლები, რათა მოაწყონ თუშეთსა და ხევსურეთზე თავდასხმები ამ მხარეების განადგურების მიზნით[238]. იმავე წლის 27 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული საბუთი გვატყობინებს, რომ შამილის განკარგულებით ქისტების გაერთიანება-დარაზმვა ხდება თუშეთზე გასალაშქრებლად[239].

1841 წლის 15 ივნისს ქისტები თავს დასხმიან პირიქითის საზოგადოების სოფ. ჭონთიოს. მოძალადეებსა და თუშებს შორის გამართულა ბრძოლა. ქისტებს მოუკლავთ ერთი თუში, დაუჭრიათ ორი მამაკაცი და ერთი ქალი; მძარცველებს 1500-მდე ცხვარი გაუტაცნიათ და სასწრაფოდ დაბრუნებულან უკან. იმავე წლის 23 ივნისს ქისტების დიდი რაზმი ახლა ხევსურეთზე აწყობს თავდასხმას. მათ სოფ. მუცოზე მიუტანიათ იერიში, ყველა გზა საგანგებოდ დაუკავებიათ, წაუყვანიათ 300 მსხვილფეხა საქონელი და 400 სული ცხვარი[240].

1842 წლის 13 მაისს თელავის მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს უგზავნის მოხსენებას, რომ თუშეთის მკვიდრმა ღანიში ბორძიკიძემ განუცხადა 12 მაისს თუშეთში შამილის მიერ ორი პირის მოვლინების შესახებ, რომელთაც დავალებული აქვთ თუშეთში მოკრიფონ ხარკი შამილის სასარგებლოდ, წინაღმდეგ შემთხვევაში შამილი თუშეთს სრულ მოსპობას უქადისო. საჭირო იყო ამ კუთხის დაცვა და პატრონობა[241].

ფშავ-ხევსურეთთან შედარებით მაინც უფრო სავალალო მდგომარეობაში თუშეთი იმყოფებოდა. დაღესტნისა და ქისტეთ-ჩეჩნეთის ფეოდალთა მტაცებელი რაზმები მოსვენებას არ აძლევენ თუშეთის მოსახლეობას, ცდილობენ მათ დაპყრობას და ამ კუთხის მორჩილებას. თუშეთის აოხრება კვლავ დიკლო-შენაქოს მხრიდან ხდებოდა რადგან, როგორც აღინიშნა, ეს სოფლები დიდოეთ-დაღესტნის საზღვრო სოფლებია. 1843 წლის 27 მაისს დიდოებისა და ლეკების

---

238 Шамиль—ставленник Султанской Турции... 1953, стр. 200—201.
239 იქვე, გვ. 202.
240 იქვე, გვ. 201.
241 იქვე, გვ. 214.

საკმაოდ დიდი ჯარი დასხმია სოფ. დიკლოს. მტაცებლებს სამი ფარა ცხვარი გაუტაცნიათ. თუშებს გატაცებული ცხვრის ერთი ნაწილი სა-კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შედეგად უკან დაუბრუნებიათ, ხოლო 500 სული ცხვარი დაღესტანში გადაურეკიათ მძარცველებს[242]. 1843 წლის ივნისის თვეში დიდოეთში თუშეთზე თავდასასხმელი ახალი ძალების გაერთიანება ხდება. ახვერდი მახამედი აერთიანებს ლეკებს და დიდოებს და თუშეთის დასალაშქრად ემზადება. თუშეთის თავდაცვის მიზნით, საგანგებო ღონისძიებები იქნა გატარებული. მტერმა ამჯერად ვერ მოახერხა თუშეთზე თავდასხმა[243]. იმავე წლის ივნისში აშკარა გამხდარა თუშეთის ოლქის უფროსისათვის, «... что горная Тушетия в большой опасности: кистины и лезгины угрожают нападением, требуют именем Шамиля дани, отзываясь в случае отказа опустошить целую Тушетию».[244]

თუშეთის მსგავსად ხევსურეთიც აქტიურ თავდასხმებს განიცდის. იმიერკავკასიელი მძარცველები ცდილობდნენ ხევსურებზე ხშირ-ხშირი თავდასხმებით ეს მხარე დაემორჩილებინათ. ამ მიზნით 1843 წლის ივნისში დიდი ჯარით ხევსურეთს თავს დაესხა შამილის თანამებრძოლი ახვერდი მახამედი. ახვერდი შატილში გადმოსულა და ხევსურებისაგან მორჩილება მიუთხოვია. შატილის მცხოვრებლებს უარი უთქვამთ დამპყრობელთათვის და იარაღისათვის მოუკიდიათ ხელი. ბრძოლა სამი დღე-ღამე გაგრძელებულა. ხევსურებს მოუკლავთ მრავალი მომხდური და თვით ახვერდი მახამედიც, „ამის შემდეგ დამარცხებული ლეკის ჯარი უკანვე გაბრუნებულა. ამ გამარჯვებისათვის შატილელებს საჩუქრად მეფის მთავრობისაგან მიუღიათ ჯვარმედლები, რამდენიმე ფუთი პური და თოფის წამალი, გამარჯვების აღსანიშნავად მთავრობის განკარგულებით აქვე აუგიათ პატარა ეკლესია, რომლის კედელში ჩაუსვამთ ქვა ასეთი რუსული და ქართული წარწერით: „უმაღლესისა, ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთა დამარცხებისათვის ახვერდი მახამედის და მისთა შეყრილთა ჯართა ჩყმგ (1843 წ.) წელსა შინა, აშენებულ ამას ჩყმთ (1849) წელსა განკარგულებითა კნიაზის ნამესტნიკისათა“[245].

---

[242] Сборник документальных материалов, 1953. стр. 221.

[243] იქვე, გვ. 222.

[244] იქვე.

[245] ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 52.

როგორც ერთი საარქივო საბუთიდან ჩანს, ახვერდი მახამედს გახზრახული ჰქონია თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს ერთდროულად დასხ	ოდა თავს, რათა ისინი ერთიმეორეს ვერ მიხმარებოდნენ. როგორც ეტყობა, თუშ-ფშავ-ხევსურეთის საგანგებო სამზადისმა და მთავრობის მიერ დროულად ჩატარებულმა ღონისძიებებმა ახვერდი მახამედს ხელი ააღებინა განზრახვაზე[246].

40-იანი წლების დასაწყისში შამილის მიერ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე მოწყობილ თავდასხმებს მისთვის სასურველი შედეგები არ მოჰყოლია; მან ვერ მოახერხა ქართველი მთიელების დამორჩილება და თავის სამსახურში ჩაყენება. შამილი ქართველი მთიელების დახარკვაზეც ოცნებობდა, მაგრამ თუშ-ფშავ-ხევსურები ამ მიმართულებითაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგალითად, 1845 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ პატაკში, რომელიც გენერალ-ლეიტენანტმა შვარცმა გადასცა კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს, ვკითხულობთ: «...каждую неделю от Шамиля приезжают в Шатиль посланные и требуют дани по 1 руб. серебром с дыма, шатильцы в этом решительно отказывают».[247]

შამილის ყოველგვარი ცდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის შემორიგებისა თუ შეშინებისა უშედეგოდ რჩებოდა, რაც მათ შორის კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების გაგრძელებას მოასწავებდა. ჩრდილოკავკასიელი მძარცველების ხშირი თავდასხმები თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, ქართველი მთიელების ბრძოლები ბარელ თანამემამულეებთან და მეფის რუსეთის რეგულარულ ჯარის ნაწილებთან ერთად ზენიტს აღწევს XIX ს-ის 50-იან წლებში, რაც ბოლოს და ბოლოს შამილის დატყვევებითა და ჩრდილო კავკასიის რუსეთთან შეერთებით დამთავრდა.

1846 წლის ზაფხულში დიკლო-შენაქოს მხრიდან თუშეთს შემოესია დიდო-ლეკების 3 000-იანი ლაშქარი. თუშეთის ასაოხრებლად წამოსული დაღესტნელები 60 კაცისაგან შემდგარ თუშთა რაზმს უკან გაუბრუნებია, თუშეთის საზღვრებში არ შემოუშვია და მოსალოდნელი უბედურება თავიდან აუცილებია: «В 1846 году, жители нескольких деревень чагминского общества, которые могли

---

[246] Сборник документальных материалов, 1953, стр. 222—223.

[247] იქვე, გვ. 285.

выставить не более 60 защитников, отразили напавшее на них врасплох скопище более 3 тыс. лезгин и дидойцев»[248].

1848 წლის 23 ივლისს გენერალ-ლეიტენანტი შვარცი აღნიშნავდა, რომ 16 ივლისს მან შეიტყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსისაგან იმ საშიშროების შესახებ, რაც დაღესტნის მხრივ თუშეთს ეშველოდა. შამილს განზრახული ჰქონია თუშეთის ყველა სოფლის განადგურება და თუშების ცხვრის ფარებისა და მსხვილფეხა საქონლის დაღესტანში გადარეკვა. მომავალი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსს 900 მეომარი ფშავ-ხევსურეთიდან მოუყვანია, რომელთაც შეერთებია დონის კაზაკების 23-ე პოლკი, და მტრის შესახვედრად მომზადებულა. მაგრამ, როგორც შვარცი აღნიშნავს, გაურკვეველია დაესხნენ თუ არა თუშეთს დაღესტნელი ფეოდალები. აღნიშნულის გამო შვარცი შენიშნავს: «С 17 по 21 число никаких донесений от частных начальников о действиях войск и сведений о неприятелях не получено».[249]

გენერალ შვარცის მიერ 1848 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შედგენილი დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ ქისტ-ლეკები თუშეთზე ხან ქისტეთის მხრიდან, ხან კი დიდოეთ-დაღესტნის საზღვრებიდან იჭრებიან თუშეთის პირიქითისა და ჩაღმის თემებში და მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებენ, იტაცებენ საქონელსა და ადამიანებს[250].

1850 წლის 22—23 მაისს ქისტების ორი რაზმი თავს დასხმია თუშეთის პირიქითის საზოგადოების სასაზღვრო სამ სოფელს: ჭონთიოს, გირევს და დაქიურთას. მომხდურების მთავარი მიზანი ყოფილა საქონლისა და ადამიანების გატაცება. სოფლის მკვიდრ მამაკაცებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ თავდამსხმელებისათვის. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა 5 თუში, დაიჭრა სამი მამაკაცი და ორი ქალი. მტრის მხრივ მრავალი იქნა მოკლული[251].

შამილის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებით თუშეთის აოხრება-მოსპობის მიზნით მოწყობილ ლაშქრობა-შემოსევებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს 1852 წლის აგვისტოში მოწ-

---

248 Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I. 1871, стр. 188.

249 Сборник документальных материалов, 1953. стр. 297.

250 იქვე, გვ. 306—307.

251 იქვე, გვ. 320—321.

ყობილი დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომლის დროსაც აშკარად დადგა თუშეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. 1852 წლის 9 აგვისტოს. პოდპოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მიერ გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, რომ შამილის დავალებით თვით მის შვილსა და ნაიბებს განუზრახავთ თუშეთის განადგურება. რამდენიმე ათასი დიდო-ლეკისა და ქისტ-ჩაჩნების ჯარის მეშვეობით დაღესტნის იმამის შვილი და ნაიბები ცდილობენ თუშეთის სამივე საზოგადოებაზე ერთდროულად მოაწყონ თავდასხმა და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტონ ამ კუთხის ბედი:

«Сын же Шамиля с десятью наибами в значительной силе двинулся со стороны Кахетии в Горную Тушетию с намерением сделать с трёх сторон внезапное нападение на Пирикительское общество и через Хушеты с шестью наибами на села Дикло и Шенако. Третья же партия через Асахойскою гору на остальные деревни Чагминского общества, а те наибы, которые также с силою находились напротив Хвитрахо, преградили дороги, ведущие со стороны Кахетии в Тушетию»[252].

თავადი ჩოლოყაშვილი შენიშნავს, რომ 5 აგვისტოს შამილის შვილმა და 8 ნაიბმა, რომელთაც ჰყავდათ 8 ათასი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი, დაიწყეს კახეთის მხრიდან თუშეთისაკენ გადმოსასვლელი ყველა გზის, სიმაღლისა და ხეობის დაკავება, ხოლო ოთხი ნაიბი გაგზავნილ იქნა ჩაღმისა და გომეწრის სოფლების ასაოხრებლად. პარალელურად გათვალისწინებული იყო ქისტ-ჩეჩნების თავდასხმა პირიქითის საზოგადოებაზე, დიდოეთის მხრიდან კი იერიში უნდა მიეტანათ ჩაღმის საზოგადოების სოფლებზე: დიკლოსა და შენაქოზე. მტერმა სცადა თუშეთის ბლოკადაში მოქცევა. მან, მართლაც, ყველა მიმართულებით შეუტია. მაგრამ თუშებისა და კახეთის ბარიდან გაგზავნილი დამხმარე ძალების თავდადებული წინააღმდეგობის შედეგად დამპყრობლების გეგმა განუხორციელებელი დარჩა. მტერმა ვერ შეძლო ვერც მოსახლეობის გაჟლეტა და ტყვედ წაყვანა და ვერც მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ფარების გატაცება; დამპყრობელი დამარცხდა და გაწბილებული დაბრუნდა უკან. თუშეთი გადაურჩა დიდ საშიშროებას[253].

რუსი ჯარისკაცებისა და ბარელ თანამოძმეთა გვერდით თუშთა

---

[252] Сборник документальных материалов, 1953, стр. 322.

[253] იქვე, გვ. 322—324.

ბრძოლების საინტერესო ეპიზოდები არის აღწერილი „ქართველთა ქვეითი ლაშქრის“ ისტორიკოს ნ. ა. ვოლკონსკის შრომებში[254].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების: თუშების, ხევსურების, ფშავლების თავდადებული ბრძოლები ბარელ თანამემამულეებთან და რუსეთის შეიარაღებულ ნაწილებთან ერთად უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს ქართველთა ქვეითი პოლკის ჩამოყალიბების შემდეგ. 1832 წლის 17 მარტს დაღესტნელი ფეოდალების წინააღმდეგ გაიგზავნა ქართველთა მილიციის 125-კაციანი რაზმი კაპიტან ჩოლოყაშვილის მეთაურობით. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა და დიდი თოვლისა, ქართველთა მილიციას გასაქანი არ მიუცია იმიერკავკასიელი მძარცველებისათვის. „აქ პირველად აღმოჩნდა, — წერს ნ. ვოლკონსკი, — რომ პოლკში თუშებიც მსახურობდნენ და ერთი მათგანი დავითა ნაქუდაშვილი (ნაკუდაშვილი, ვ. ე.) თავსა და ხელში ოყო დაჭრილი. ამ ბრძოლის დროს თავის გამომჩენი მილიციონერები დასაჩუქრებულნი იყვნენ ხუთ-ხუთი მანეთითა და მარტო ნაკუდაშვილი კი 10 მანეთით“[255].

1836 წლის 1 ოქტომბერს ხუთი მილიციონერი თუში მედგრად შებრძოლებია დაღესტნელებს, აი, რას მოგვითხრობს ნ. ვოლკონსკი: „ამ დღეს ყარათუბანის სიმაგრეთგან გაგზავნილი იქნა პატრული ხუთის კაცისაგან. ეს ხუთნი თუშები იყვნენ. ტყე-ტყე სიარულის დროს მათ შენიშნეს ოცდაათ კაცამდე გლუხოდარელები, რომელთაც მზვერავები ვერ დაინახეს. თუშებს იმის მაგიერათ, რომ პოსტზე დაბრუნებულიყვნენ და შეეტყობინებინათ ეს ამბავი, ჩასაფრდნენ ტყეში და იქიდან დაუშინეს თოფები. მაგრამ ეს სიმამაცე პირველ წამს მათ ძვირად დაუჯდათ: ორი მათგანი მოკლული იქნა იქვე. სამმა დარჩენილმა, თუმცა ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, გაქცევა არ იკადრეს და ასწლოვან ჭადრებს მოფარებულნი, იცავდნენ უფრო მეტად თავიანთ ამხანაგებს. დიდხანს გაგრძელდა ეს ბრძოლა: ლეკებს ეგონათ, რომ ერთს თხუთმეტს კაცს მაინც ებრ-

---

[254] Н. А. Волконский, История грузинской пешей дружины, 1881; მისივე, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, журнал «Кавказский Сборник», т. I, 1876, т. II. 1877; მისივე, Окончательное покорение Восточного Кавказа, Тиф., 1879.

[255] ნ. ვოლკონსკი, ქვეითი დრუჟინის ისტორია... ი. მაჩაბლის რედაქციით, 1884, გვ. 20.

ძვიან და ამისათვის ხმალ და ხმალ მისვლა ვერ გაებედნათ. იგინი არა ზოგავდნენ თავიანთ ტყვია-წამალს და ყოველი მათი სროლა უქმად რჩებოდა ... თუშების ყოველი ტყვია კი მიზანში იღებდა ლეკებს. ბოლოს კარგა ბლომად რომ დაეხოცათ კაცები გლუხოდარელებს და მასთან, რომ შეეშინდათ კიდეც, ვაი თუ მიეშველნენ ამათაო, იძულებული შეიქნენ უკან დაეწიათ"[256].

ნ. ვოლკონსკი იმასაც კი შენიშნავს, თუ რა მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ თუშ-ფშავ-ხევრსურები რუს მეომრებთან. რუსებთან ურთიერთობაში ქართველი მთიელები განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ და მათთან ერთად დაღესტნელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავდადებულად მოქმედებდნენ, ნ. ვოლკონსკი წერს: „თუშები და ფშავლები სრულიად საიმედონი და მამაცნი იყვნენ"[257].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის როლი და ავტორიტეტი ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლებისათვის გაიზარდა, რადგან თუშ-ფშავ-ხევსურები განსაკუთრებულ სამსახურს ეწეოდნენ ე. წ. „ლეკურ საკორდონო ხაზზე", „იმხანად ეს მიჯნა იყო ყველაზე საშიში და მნიშვნელოვანი"[258].

თუშ-ფშავ-ხევსურეთს რომ ე. წ. „ლეკურ საკორდონო ხაზზე" საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაცვა ევალებოდა და თანაც საკუთარი ძალებით, კარგად აქვს აღნიშნული ნ. ვოლკონსკის: „მხოლოდ 1844 წლიდან უნდა ჩაითვალოს ლეკთა საკორდონო ლინია დაბოლოებით მოწყობილად. ეს სამოცდათექვსმეტ ვერსტ ნახევარზე მას ჰქონდა ორი ციხე და შვიდი სიმაგრე. მაგრამ მთელი სიგრძე ხაზისა, რომელსაც უნდა დაეცვა მხარე, იწყებოდა ხევსურეთის უკიდურესის საზღვრიდამ, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ — ანანურის ნაწილიდამ (უჩასტკა) სამხედრო საქართველოს გზის ნაწილიდან და მიემართებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქზე, ყვარელის ნაწილზე (უჩასტკაზე) თელავის მაზრისა, შაქის პროვინციაზე და თავდებოდა შირვანის პროვინციის პირველ სამზღვართან. მთელი სიგრძე ამ ხაზისა იყო ოთხას ვერსტზე მეტი. მისი სიგრძის ფრთედებს (ფლანგებს) არა ჰქონდათ სიმაგრეები და ისინი უნდა დაეცვათ: მარცხენა ფრთედი: თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქს თავისი მცხოვრებლების საშუალე-

---

256 ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი... გვ. 39.

257 ი ქ ვ ე.

258 მ. ვ ა დ ბ ო ლ ს კ ი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი მთაწმინდაზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 119, 1961.

ბით და მარჯვენა—შაქის პროვინციის სამხედრო საშუალებით. წინა საზღვრად იყო ხაზი, რომელიც გადიოდა მთების ქედებზე დიულთიდაღის მთიდან დაწყებული კოკანობის მთაზე თუშეთამდის, უკანა საზღვრად კი იყო მდინარე ალაზნის ხაზი"[259].

სხვაგან უფრო აზუსტებს ნ. ვოლკონსკი თუშ-ფშავ-ხევსურების მოვალეობას „ლეკურ საკორდონო ხაზზე" და მათ საყარაულო ადგილებსაც კი მიუთითებს. იგი აღნიშნულის შესახებ წერს: „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქში (ოკრუგში) ყველგან იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ყარაულები: თუშეთში იყვნენ ლაისის, კუდურის (უნდა იყოს—ნაკუდურთის, ვ. ე) დირის (დანოს, ვ. ე.). და დიხლოის (უნდა იყოს—დიკლოს, ვ. ე.) პოსტებზე; ხევსურეთში იყვნენ სოფლის მუცოს გზაზე, სოფლის შატილის საზღვარზე სოფლებ არდოტთან და ხახაბოსთან; ფშავში იყო მათურის მთაზე"[260].

თუშ-ფშავ-ხევსურეთისათვის დაკისრებული მოვალეობა სალეკო ხაზზე იმდენად დიდი ყოფილა, რომ ამ მხარის მცხოვრებნი განთავისუფლებულნი ყოფილან ქართულ მილიციაში სამსახურისაგან. „ლინიის (ე. ი. ლეკთა საკორდონო ხაზის, ვ. ე.) მტკიცე დაცვისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთის სოფლები განთავისუფლებული იქნენ მილიციონერების მიცემისაგან ქართველ ქვეითთა პოლკში და იმათ მიენდოთ განსაკუთრებული ყარაულობა თიანეთის გზაზედ"[261].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის როლი განსაკუთრებით იზრდება XIX საუკუნის 40—50-იან წლებში.

ნ. ვოლკონსკი აღწერს 1845 წლის 31 ივლისის ბრძოლას, სადაც თუშეთის ასეულსა და კაზაკების ორ ასეულს იერიში მიუტანია შეერთებული ძალით და ლეკების ერთ-ერთი საიმედო და მიუვალი სიმაგრე აუღიათ. „ცის კიბიდამ" ჩარბენილი ლეკები ხელში ჩაუცვივდნენ დაქვეითებულს სოტნას თუშეთის ცხენოსანი მილიციისას და კაზაკების ორ სოტნას მეორე რაზმისას... თუშები გაბედნიერდნენ, თითქო ზევიდან მოვლენილის ამ მოულოდნელი შემთხვევით, და ისეთის გულისმოდგინებით დაეტაკნენ ლეკებს, რომ კაცს ეგონე-

---

[259] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, დამატება მეოთხე თავისათვის, გვ. 20.

[260] ი ქ ვ ე, გვ. 23; Р. Э р и с т о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[261] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

ბოდა — ძველი მეგობრები შეიყარნენ ხანგრძლივის უნახაობის შემდეგ"[262].

1849 წელს დაღესტნელი ფეოდალების წინააღმდეგ საკმაოდ დიდი სამხედრო ექსპედიცია მოწყობილა. ხსენებულ ოპერაციაში მონაწილეობა თუშ-ფშავ-ხევსურებსაც მიუღიათ და დიდად უსახელებიათ თავი: „თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა ჟღარუნებით და ზარებით გააჟენეს თავიანთი პატარა და მკვირცხლი ცხენები, მარჯვნივ და მარცხნივ მოეფინენ მიდამო მაღლობებს მტრის შუაში მოსამწყვდევად. მთიელთ საშინლად ეჯავრებოდათ იმათი ამნაირი თავდასხმა, ვერასდროს ვერ უძლებდნენ და დამარცხებული რჩებოდნენ. ამიტომაც... წინასწარმეტყველს ეეედრებოდნენ, რომ თუშების სოტნა ან სადმე უფსკრულში ჩაჩეხილიყო, ან არა და ნახევარ საათით მაინც დაეგვიანა. მაგრამ თუშების ბედზედ, არც ერთი წადილი ლეკებისა არ ასრულდა, სწორედ ისეთ დროს გამოეცხადდნენ ისინი მათ, როდესაც ქართველ დრუჟინის მილიციონერებმა თოფები ორასჯერ მეტად დაახალეს და შემდეგ მტერზე ხმალ და ხმალ მივიდნენ"[263]. შეწუხებული ლეკები გაქცეულან, „თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა თავიანთი მარდი ცხენებით გაასწრეს მათ, შეცვივდნენ აულში, ფეხქვეშ დათელეს მტრის გუნდი, აიკლეს იქაურობა და გადასწვეს სოფელი. როდესაც ქვეითი ჯარი მივიდა აულში, მხოლოდ მტრის გვამები ნახა მიყრილი ქოხებსა და ქოხებს შუა, მეტადრე სოფლის ბოლო ხომ სავსე იყო მკვდრებით... თუშები ვადავიდნენ სოფელ წიწმახოში, რომ ამნაირი, თავიანთი აზრით, სასარგებლო მოქმედება იქაც მოეხდინათ"[264].

1852 წელს, 12—13 ივლისს, 30-საათიან განუწყვეტელ ბრძოლებში დიდოეთის ორი სოფლის: ქვემო და ზემო ხოტრახოს ხელში ჩაგდებისათვის რუსების, ბარელი ქართველებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების ასეულებს დიდოელები სასტიკად დაუმარცხებიათ და სოფლებიდან განუდევნიათ. „სოფლიდამ განდევნილი მცხოვრებლები ცალ-ცალკე ჯგუფებად გარბოდნენ მთებისაკენ, მაგრამ მათ შეეგებნენ თუშები და აქაც ასტყდა ბრძოლა. გზა გადაღობილი მტრის რამო-

---

[262] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, დამატება მეოთხე თავისათვის, გვ. 119.

[263] ი ქ ვ ე, გვ. 167.

[264] ი ქ ვ ე, გვ. 168—169.

დეხიშე რიცხვი თხრილებში და ნაპრალებში გადაცვივდნენ, სადაც ზოგი მათგანი საუკუნოდ განსვენებას მიეცა და ზოგმა თავი გადაირჩინა, დანარჩენები მილიციასა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ჯარის ჯაცთა შუა მოემწყვდნენ და დაიღუპნენ"[265].

საზამთრო საძოვრებზე წამოსულ თუშ მეცხვარეებს 1855 წლის 20 სექტემბერს 700—800-ჯაციანი ლეკების ჯარი დასხმია „შაქრიანსა და ნაფარეულს შუა და ოთხი ათასამდის ცხვარი მოსტაცეს და ორმოცდა ათი რქიანი საქონელი"[266].

დაღესტნელებს პირველად სოფ. ნაფარეულის რაზმი გამოჰკიდებია: მათ მალე მიშველებიან ქართველთა მილიციის ნაწილები და რუსი მეომრები. მათვე შეერთებია ალვანის მინდვრიდან წამოსული 25 ცხენოსანი თუში მამაკაცი. მდევარს ლეკებისათვის გზა გადაუჭრია და ჩასაფრებულა. ლეკები დამშვიდებულან, თავი სამშვიდობოს გასულად მიუჩნევიათ: „მაგრამ საშინლად შესცდნენ ანგარიშში: ჩასაფრებულებმა შიგ ცხვირ-პირში მიაპალეს მათ თოფები და ზედაც ახირებული სიშმაგით ეტაკნენ. მილიციონერებმა და თუშებმა ეს არ იკმარეს, შიგ შუაგულ ლეკებში შევარდნენ და ორი პატარა დროშა წაართვეს"[267].

თავზარდაცემულმა ლეკებმა გეზი იცვალეს და ერთხანს გაუჩინარდნენ, მაგრამ მათი ბანდები მალე იპოვნეს და ხელმეორედ გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. გააფთრებული ბრძოლისას მილიციონერთა ერთ ჯგუფს და თუშებს მიუტოვებიათ ბრძოლის ველი. მეორე მხრიდან შემოუვლიათ მტრისათვის და ყიჟინით დარევიან მძარცველებს. „ამ ყიჟინის გაგონების უმალ, — წერს ნ. ვოლკონსკი, — პირდაპირიდამ მებრძოლი ჯარიც მოვიდა ლეკებზედ და ამნაირად ორი მხრით შემოერტყნენ მტერს. მკაცრი და თავგანწირული ომი მოხდა და პირველი მტრის დროშა ახლაც ქართველთ მილიციონერებს და თუშებს ერგოთ"[268].

1857 წლის 6 ივლისიდან იწყება დიდი სამხედრო ოპერაციები დიდოეთ-დაღესტნის დასაპყრობად. მეომარი ძალები სხვადასხვა მიმართულებით გაიგზავნა. რამდენიმე ასეული პოლკოვნიკი ჩოლოყაშვი-

---

[265] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 245.
[266] ი ქ ვ ე, გვ. 276.
[267] ი ქ ვ ე.
[268] ი ქ ვ ე, გვ. 277.

ლის მეთაურობით თუშეთისაკენ გაუგზავნიათ. ისინი 17 და 18 ივლისს უნდა შეერთებოდნენ უმთავრეს ჯარს წუდაქის მთაზე. მთელი რიგი პუნქტების აღების შემდგომ ჯარების უფროსს ბარონ კრევსკის პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილისათვის დაუვალებია, რომ მოულოდნელი თავდასხმით აეღო სოფლები: ხოხლახო, წაწმახო და ჩილიახო. თავად ჩოლოყაშვილს ორი სოფლის აღება მოუხერხებია, ხოლო მესამე ვერ დაუკავებია, „რადგან მაგარ ადგილზე იყო და კოშკებით გამაგრებული". მაშინ არტილერიას ცეცხლი უფრო ახლოდან დაუშენია და თან თუშების ასეული შეტევაზე გადასულა. „თუშებმა გაარღვიეს სოფელი, — წერს ნ. ვოლკონსკი, — წყალის იქით გადავიდნენ და იქ ტყიდან გამოცვივნულ ლეკების დასებს დაეცნენ"[269].

ხსენებული პუნქტების დაკავების შემდგომ „ჯარმა ცოტა ხნით დასასვენებლად თუშეთისაკენ დაიწია, ლაის მთის ძირობისაკენ, აქედან ორ კოლონად გაიყო", რომელთაგანაც ერთი კოლონა დასასვენებლად თუშეთში გადმოსულა. მცირე შესვენების შემდგომ, აგვისტოს 16-დან, დაწყებულა ახალი ლაშქრობა დაღესტანზე. 17 აგვისტოს თუშების ასეულის თანხლებით რუსთა ასეულები კონონოვიჩის სარდლობით გზას გასდგომიან და კურსი სამურის ხეობისაკენ აუღიათ. თუშთა და რუსთა გაერთიანებულ ასეულებს აუღიათ ორი ქვითკირის კოშკი, სამი სანგარი და სამურის მთა. 18 აგვისტოს აუღიათ სოფელი ელბაქოც. „სოფელი ელბაქო თუშების სოტნამ ანაზდად დაიჭირა"[270]. 19 აგვისტოს დაუწყიათ ბრძოლები პატარა და დიდი ქიდარის დასაკავებლად. ამ სოფლების აღებაშიც თუშებს უშუალო მონაწილეობა მიუღიათ. ისინი მარდი და მთის ბილიკებს შეჩვეული ცხენების წყალობით მოულოდნელად დასცემიან თავზე ამ სოფლებს. „ამასობაში თუშებიც ქედზედ შეცვივდნენ და თავზედ წამოადგნენ მათ"[271].

1857 წლის 20 აგვისტოს ამავე ასეულებს დიდი ბრძოლები გადაუხდიათ. დაღესტნელებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ თუშთა ასეულებისა და ქართველთა მილიციისათვის. მთიელები მედგრად იდგნენ. მაგრამ მათი პოზიციები მალე შერყეულა, როცა ბრძოლაში ჩაბმულა მილიციის რეზერვები და სამეგრელოს პოლკი. ძლიერი შეტევისათვის ვეღარ გაუძლიათ ლეკებს, საფრები მიუტოვებიათ, ციხე

---

[269] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 295.

[270] ი ქ ვ ე, გვ. 296.

[271] ი ქ ვ ე, გვ. 298.

დაუცლიათ და სოფელში შეხიზნულან. „ამავე წამში, — წერს ნ. ვოლკონსკი, — თუშებმა მოუარეს უკანიდამ მტრის დანარჩენ ჯარს და სულ წია-წია ჩამორეკეს კლდიდამ ჩრდილოეთის მხრით“[272].

თავადმა ჩოლოყაშვილმა დაკავებულ პუნქტებში, რადგან მათ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ურიადნიკ სოსიკო ახვლედიანის ხელმძღვანელობით 30 მილიციელი დატოვა, ხოლო ასეულები წინ დაძრა. ნაშუადღევს ლეკების ასეული გამოჩნდა, რომელთაც თოფი დაუშინეს ქართველებს. მაშინ კოლონის ხელმძღვანელობას „დრუჟინელების მისაშველებლად... მათი თანამშრომელი და მეგობარი თუშები გაუგზავნია“. „ჩვენდა საბედნიეროდ, ლეკებმა, — წერს ნ. ვოლკონსკი, — თუშების გამოჩენისთანავე იბრუნეს პირი და უდროოდაც იბრუნეს, რადგან მაშინვე მეორე თავიანთსავე დასს შეეჯახნენ, — ეს დასიც იმათ საშველად მოდიოდა; შეიძლებოდა ეს ორივე დასი გაჩერებულიყვნენ და შეერთებულის ძალით ხელახლავ მიჰსევოდნენ ქართველებს, მაგრამ რაკი მოისაზრეს, რომ საქმე თუშებთან ექნებოდათ, რომელნიც ქედის მწვერვალებზე მოაჭენებდნენ უკვე ცხენებს, ისევ ის არჩიეს, თავი დაენებებინათ მილიციონერებისათვის“[273].

1858 წლის განმავლობაში თუშთა ასეული კვლავ ენერგიულად მოქმედებს. იგი წინა წლების მსგავსად თითქმის ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე დგას და მიუვალ ციხე-სიმაგრეებსა და სოფლებზე თავდასხმებს აწარმოებს. თუშების ასეული კვალდაკვალ მისდევს ლეკებს და რუს-ქართველთა პოლკებთან ერთად ახალ-ახალ პუნქტებს იკავებს. ნ. ვოლკონსკი წერს, რომ 1858 წლის 26 აგვისტოს თუშთა ასეულს რუს-ქართველთა პოლკები შეერთებია და ჩოლოყაშვილის მეთაურობით რამდენიმე სოფელი შეუმუსრავს[274].

1859 წლის ივლისში დაღესტნისაკენ დაძრულა სალეკო ჯარების ერთი დიდი ნაწილი კახეთიდან, „ხოლო გენერალ-მაიორი თავადი ჩოლოყაშვილის ცალკე კოლონა კი — სოფ. დიკლოდგან ხუშეთში გაემგზავრა“[275].

---

[272] ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 301.

[273] ი ქ ვ ე, გვ. 302.

[274] ი ქ ვ ე, გვ. 334.

[275] იქვე, გვ. 338; მისივე, Окончательное покорение Восточного Кавказа, Тиф., 1879, стр. 308.

ივლისის ბოლომდე კახეთის ბარიდან და თუშეთიდან წასულმა ასეულებმა თითქმის ყველა ძირითადი პუნქტი აიღეს, ხალხი უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ამანათებს უგზავნიდა, მთიანი დაღესტნისაკენ მათ გზა უკვე ხსნილი ჰქონდათ. მაშინ, 2 აგვისტოს, თავადი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი ბოლოზის მთით დაღესტანში წასულა მთავარსარდალთან, რომელსაც თან წაუყვანია ცხენოსანი ჯარი და „ოცდაათი კაცი ქართველთ დრუჟინის მილიციონერი... ესენი გუნიბთან დაიტოვა თავადმა ბარიატინსკიმ და გუნიბის აღებაში მათ მონაწილეობა მიიღეს“[276].

მართალია, ნ. ვოლკონსკი აღარ ასახელებს, თან გაიყოლა თუ არა ლევან მელიქიშვილმა თუშთა ასეული, მაგრამ თუ გავიხსენებთ თუშ-ფშავ-ხევსურთა დიდ დახმარებას და მრავალ საგმირო-სავაჟკაცო ეპიზოდს დაღესტნელების წინააღმდეგ წინა წლებში ჩატარებული ბრძოლებიდან, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშების ასეული და მათთან ერთად ფშავ-ხევსურთა რჩეული ვაჟკაცები ლევან მელიქიშვილის ცხენოსანთა ჯარის შემადგენლობაში იქნებოდნენ. ეს ვარაუდი იმიტომაცაა დასაშვები, რომ 1859 წლის ივლისიდან დიდოეთ-დაღესტნისაკენ ჩოლოყაშვილი თუშეთიდან წავიდა და, რა თქმა უნდა, თუშების ასეული ფშავ-ხევსურებთან ერთად მისი ერთ-ერთი მთავარი გზამკვლევი და საიმედო ძალა იქნებოდა.

ოფიციალურ წყაროებში არსადაა აღნიშნული და არც ნ. ვოლკონსკი ეხება, მიიღეს თუ არა მონაწილეობა თუშ-ფშავ-ხევსურებმა ღუნიბის აღებაში. მაგრამ თუ შამილის დატყვევებისა და ღუნიბის ციხე-სიმაგრიდან შამილის გაყვანის შესახებ გავრცელებულ თუ“ურ გადმოცემას გავითვალისწინებთ, ასეთი ვარაუდი დასაშვებია. აშას მხარს უჭერს ცნობილი მხატვრის — რუბოს ნაწარმოები — დიდი პანო, რომელიც შამილის დატყვევებას განასახიერებს. რუბოს თუში მეომარიც დაუხატავს გამარჯვებულთა შორის.

გადმოცემა აღნიშნავს, რომ დამარცხებულ შამილს, როცა დარწმუნებულა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და აუცილებლად უნდა დანებებოდა, რუსეთის მთავარსარდლობისათვის უთხოვია, რომ მის გასაყვანად თუშების რაზმი შესულიყო ღუნიბში იაკობ ლეკაიძის მეთაურობით. იაკობი მაშინ თუშების რაზმის უფროსი ყოფილა. შამილის

---

[276] И. Волконский, Окончательное покорение Восточного Кавказа, Тиф., 1879 г., стр. 308.

თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. იაკობ ლეკაიძის რაზმში ყოფილან ბაკური ჭვრიტიშვილი, დავით კვესიაიძე, ზეზვა ოჩონაიძე და სხვები. როდესაც აღნიშნული რაზმი შესულა შამილის სამყოფელში, თავად შამილს უთქვამს — წავიდეთო. ღუნიბის დაბლა მინდორზე დაბანაკებულ ჯარს და სარდლობას. როცა ღუნიბიდან გამოსული შამილი დაუნახავს, ძლიერად დაუქუხნია „ურა!" და ტუში დაუკრავს. მაშინ შამილი უცებ შეჩერებულა, შეტორტმანებულა და, იაკობ ლეკაიძეს რომ ხელი არ შეეშველებინა, შესაძლებელი იყო კლდეზე გადავარდნილიყო. გონს მოსულ შამილს სილა გაუწნავს იაკობისათვის. შამილის ხელში ჩაგდების შემდგომ რუსეთის ჯარების მთავარსარდლობას იქვე დაუწყია ჯილდოების გაცემა. შამილს გიორგის ჯვარი უთხოვია სარდლობისათვის. შამილის თხოვნა დაუკმაყოფილებია მთავარსარდალს. შამილს გიორგის ჯვარი იაკობისათვის თვითონვე ჩამოუკიდია მკერდზე, მთავარსარდლის კითხვაზე, თუ რით დაიმსახურა იაკობ ლეკაიძემ, რომ ასეთი დიდი ჯილდო მიეცითო, შამილს უპასუხია: „მე, როგორც მაჰმადიანს, პირველად ქრისტიანის ხელი მისგან შემეხო და ეს ჩემს სახსოვრად ჰქონდესო"[277].

გადმოცემაში მოხსენიებული იაკობ ლეკაიძე პირიქითის თემის სოფ. დართლოს მკვიდრი იყო და XIX საუკუნის სახელოვან თუშ მეომართა პლეადას ეკუთვნოდა. ივი მონაწილეობას ღებულობდა არა მარტო 1857—1858 წლების ექსპედიციებში, არამედ იმ ექსპედიციაშიც, რომელიც 1859 წლის ივნის-ივლისში დიკლოდან დიდოეთზე გავლით გაემართა დაღესტნისაკენ. ნ. ვოლკონსკი იაკობ ლეკაიძეს მაღალ შეფასებას აძლევს და ახასიათებს არა როგორც რიგით მებრძოლს, არამედ როგორც წინამძღოლსა და თუშთა ასეულის ერთ-ერთ მეთაურს[278].

1859 წლის 25 აგვისტოს ბრძოლებით, შამილის დატყვევებითა და ღუნიბის აღებით დამთავრდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის დაპ-

---

[277] ეს გადმოცემა თუშეთში გავრცელდა ოჩონაიძის საშუალებით. იგი, როგორც აღვნიშნეთ, თუშების რაზმის წევრი ყოფილა და როგორც შემდგომ თვითონ იგონებდა, ორი წლის განმავლობაში შამილისათვის მიჰქონდა თუშეთში შეკრებილი ფულადი ბეგარა. ზეზვა ოჩონაიძე გარდაიცვალა თითქმის 120 წლის ასაკში — 1930-იან წლებში.

[278] Н. Волконский, Окончательное покорение Восточного Кавказа, стр. 306; მისივე, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, «Кавказский Вестник», т. II, 1877, Тиф., стр. 274, 368.

ყრობა და რუსეთისადმი მისი დაქვემდებარება. ამ დიდი საქმის განხორციელების შემდგომ მეფის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის შემოერთებას. ეს საქმეც რუსეთმა 1864 წლისათვის გადაწყვიტა და დამთავრდა კიდეც „ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული საუკუნოვანი ბრძოლა“[279].

იმიერკავკასიელ მთიელთა მოძრაობა დამარცხდა. თავისი ხასიათით ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ. მართალია, ცარიზმმა მოახერხა ამ მხარის დაპყრობა, წაართვა მთის ხალხს დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთის შემადგენლობაში კავკასიის ხალხების შესვლას მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. კერძოდ, ამან ხელი შეუწყო კავკასიის მრავალეროვან ხალხთა ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას, ასევე მათ კავშირს რუს ხალხთან, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის ყველა ჩაგრული ხალხის ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

რუსეთის შემადგენლობაში ჩრდილო-კავკასიის შესვლით ბოლო მოეღო იმიერკავკასიელ ფეოდალთა ამაოხრებელ შემოსევებს როგორც საქართველოს ბარზე, ისე მის მთიანეთზე, თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მათი მეზობელი მთიელების: ქისტების, ინგუშების, ჩეჩნებისა და დიდო-ლეკების ურთიერთმეზობლობაში ახალი ხანა დაიწყო. შეიქმნა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები; გაუმჯობესება დაეტყო ამ ხალხებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ თანაცხოვრებას. ისტორიის საკუთრებად იქცა ქართველ და მუსულმან მთიელებს შორის გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა, ტყვეთა მოტაცება და ურთიერთთავდასხმები.

შამილის დატყვევების შემდგომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია კარგად აქვს დახასიათებული კ. ბოროზდინს. იგი წერს: «С этого момента начинается новая эра... заклятые, вековые враги не щадившие ни жизни, ни достояния друг-друга, доходившие в борьбе своей до невероятных жестокостей и неистовств, лезгины и грузины помирились»[280].

საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობასა და ჩრდილო კავკა-

---

[279] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე... საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 445.

[280] К. Л. Бороздин, Алазанская долина (отрывок из закавказских воспоминаний), Тифлис, 1882, стр. 231.

ლიის ხალხებს შორის ადრინდელი საუკუნოვანი მეგობრობა, რომლის შესახებაც მრავალი საინტერესო ცნობა შემოუნახავს „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს, მხოლოდ მაშინ აღდგა, როცა კავკასიაში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და დამყარდა სრულიად ახალი საზოგადოებრივი წყობილება. „კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საუკუნოდ გაქრა შუღლი და მტრობა მოძმე კავკასიელ ხალხებს შორის“[281]. ქართველებსა და ჩრდილო კავკასიელებს შორის ახლად დამყარებული ვითარება შესანიშნავად გამოხატა ღუნიბელმა მეწისქვილემ — კოლმეურნე აბდულა ხიზარიევმა ქართველი და დაღესტნელი კოლმეურნე გლეხობის საზეიმო შეხვედრაზე ღუნიბში: „კავკასიის მთები საერთო დედაა, რომლის ერთი ძუძუთი ჩვენ ვიკვებებით, მეორეთი კი — ქართველები“[282].

§ 5. თუში სახალხო გმირი — შეთე გულუხაიძე

ე. წ. „ლეკიანობისა“ და საერთოდ, იმიერკავკასიიდან შემოსეული აბრაგების წინააღმდეგ თუშების მრავალწლიანმა ბრძოლებმა გამოაღლინა არაერთი სახელოვანი გმირი, რომელთა შესახებაც არსებობს ხალხური სიტყვიერების საინტერესო ნიმუშები.

XVIII საუკუნის თუში სახალხო გმირებიდან, რომელთაც სახელი მოიხვეჭეს მტრებთან ბრძოლაში, თუშ-ფშავ-ხევსურული პოეზია პრიორიტეტს აძლევს ლუის ლუხუმს, ლეკებისათვის ლეგენდად ქცეულ პიროვნებას, რომელსაც თვით ლეკებივე მიმართავენ; „შენ ხარა ლუის ლუხუმი, ლეკეთის ნიავღვარიო?“[283] და გორგი (გიორგი) თილისძეს (თილიძეს), რომელიც მის შესახებ შექმნილი ხალხური ლექსების უმრავლესობით „ლეკების სულთამხუთავად“ არის წარმოდგენილი[284].

XIX საუკუნემ კი სხვა გმირები წარმოშვა, ესენია: შეთე გულუ-

---

281 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1955, გვ. 198.

282 გაზ. „კომუნისტი“, 1954 წლის 16 დეკემბერი, წერილი დაღესტნიდან — „დაუვიწყარი შეხვედრები“, გვ. 3.

283 ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931, გვ. 420.

284 მ. ბ ა კ ურ ი ძ ე, ვინ იყო გიორგი თილისძე, გაზ. „ბახტრიონი“, 1973 წლის 11 სექტემბერი.

ხაიძე, ივანე ელიზბარიძე, ალექსანდრე ელიზბარიძე (ნათიევი), ღანიში ბორძიკიძე, იაკობ ლეკაიძე, ბაკური ჭვრიტიშვილი, დავით კვესიაიძე, დავით ნაკუდაშვილი, ზეზვა ოჩონაიძე, ჯაო ბერიკაიძე, თორღვა ქაზნიაური, ელანი ქაზნიაური, ლევან ეფიშვილი (ქადაგიძე), დავით შანქიშვილი, ბუთურა ტუგუსეშვილი, გეო (გიო) ქავთარიშვილი, გუბერნიის მდივანი ივანე ცისკარიშვილი, ზეზვა უთურგაიძე, დავით და ხუტა გულუხაიძეები (შეთეს ვაჟიშვილები), გიორგი ქადაგიძე, თევდორე და ლევან ლაგაზიშვილები, დანიელ გესლაიძე და სხვ.

აქ ჩამოთვლილი გმირებისა და კიდევ სხვა მრავალი მათი თანამებრძოლის საგმირო-სავაჟკაცო თავგადასავლის შესწავლით თვალწინ წარმოგვიდგება მეზობელი მთიელების თავდასხმების გამო თუშეთში შექმნილი მძიმე ვითარება XVIII—XIX საუკუნეებში. ამ დიდი საქმის შესრულება ცალკე კვლევა-ძიებას მოითხოვს. ამიტომ აქ შევეხებით მხოლოდ ერთ პიროვნებას — ლეგენდარულ შეთე გულუხაიძეს, რომელიც „ლეკიანობის“ დროს თუშთა წინამძღოლად და ყველაზე პოპულარულ გმირად ითვლებოდა. „შეთე გულუხაიძე, — წერს პროფ. ა. იოსელიანი, — იყო თუშთა ლეგენდარული გმირი, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი შამილის ურდოებთან გმირულ ბრძოლებში. მასზე ხალხმა შესანიშნავი ლექსები და თქმულებანი შექმნა“ [285].

რ. ერისთავი 1855 წელს პირადად შეხვედრია შეთე გულუხაიძეს ივანე ნათლისმცემლის რელიგიურ დღესასწაულზე (ახმეტის რაიონი, სოფლების — ზემო და ქვემო ალვნების მიჯნაზე). მანამდე ამ პიროვნების შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული საგმირო ეპიზოდები, როგორც ჩანს, პოეტსა და სახელოვან მკვლევარს ვულდასმით დაუზუსტებია და დარწმუნებულა, რომ ყველაფერი, რაც სმენია, სინამდვილე ყოფილა. მან წერილში «Мои заметки» ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახა შეთე გულუხაიძის შესახებ, იგი წერს: «Желательно, чтоб взялся кто-нибудь написать биографию Шете, жизнь которого протекала в борьбе с немирными горцами и интересна по многим, истинно-героическим подвигам» [286].

რ. ერისთავის გადმოცემით, შეთე მაშინ 50 წლისა ყოფილა და 70-ზე მეტი გადამთიელი ჰყოლია მოკლული: «По счету Шете в

---

[285] ა. იოსელიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1955, გვ. 175.

[286] Р. Эристов, Мои заметки, газ. «Кавказ», 1855, № 33.

маленьких набегах убито им собственноручно 42 человека, да в больших делах более 28 человек»[287].

ანალოგიურადვე მსჯელობს ნ. ვოლკონსკიც, იგი წერს: «У Шете хранились развешанными свыше семидесяти кистей правых лезгинских рук—доказательство лично убитых им врагов. Таков был обычай, составлявший славу война»[288].

ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, შეთეს მიერ მოკლული მტრის რაოდენობა სამასს აღწევს:

„ჩამოდიოდნენ თუშები ხელმუხლით ჩაშავებული,
სამჯერა ჰქონდა შეთესა აზარი გათავებული.
წელზეით ვერვინ შემახსნა ფრანგული გაფხავებული“ [289].

ამასთან დაკავშირებით თ. რაზიკაშვილი შემდეგ განმარტებას იძლევა: „ეს შეთე ცნობილი ისტორიული პირია (თუში), ლეკების სულთამხუთავი. ქართველთა დრუჟინის ისტორიაში სწერია, ამ შეთემ ერთ დღეს ყვარლის თავს ტყეში მიიმწყვდია 17 სათარეშოდ წამოსული ლეკი და 17-ვე მოკლაო. მთელ გუდას მოიტანდა თურმე ლეკის მარჯვენებით სავსეს. აზარი-ასის მოკვლას რომ შეათავებდა. ვინც ას მსხვილ ნადირს მოკლავდა, მერმე დრომდე უნდა თოფი მიწაში დაეფლა“ [290].

ხალხური სიტყვიერება გადმოგვცემს, რომ ლეგენდარული შეთეს გმირობა-ვაჟკაცობაზე გავრცელებული ათასგვარი ხმებით დაინტერესებულა კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი და სახალხო გმირი თავისთან დაუბარებია. ვორონცოვი ეკითხება: — შეთე, თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან ბევრი ლეკი ჰყავს მოკლულიო, ხომ არ გახსოვთ, რომ გვითხრათ, მაინც რამდენი იქნება? შეთეს გაკვირვებია ასეთი შეკითხვა და მეფისნაცვლისათვის უპასუხია: — როგორ მეკითხები, მეფევ, ამას. რა დათვლიდა, რამდენი ლეკი მყავს მოკლული. ამ პასუხით უფრო დაინტერესებულა მეფისნაცვალი და კვლავ დაჟინებით უთხოვია, რომ მის მიცემულ კითხვაზე ეპასუხა. მაშინ შეთეს უთქ-

---

287 ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი, № 156.

288 Н. Волконский, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, «Кавказский сборник», т. I, 1876, стр. 388.

289 ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 67.

290 იქვე.

ვამს: — სამასი ლეკი და ქისტი ხმალდახმალ მყავს მოკლული; ესენი ისეთი ვაჟკაცები იყვნენ, რომელნიც არ გამქცევიან, ზურგი არ უჩვენებიათ, ხმლით შემბმიან და თავისას ცდილან. ამიტომ დამახსომდა მათი რიცხვი და ზოგიერთის სახეებიც კი. ხოლო ხელჩართულ ბრძოლებში თუ მტაცებლებთან დადევნებისას გზადაგზა ხმლითა თუ თოფით რამდენი ლეკი და ქისტი მეყოლება მოკლული, არც დამითვლია და არც შეიძლებოდა მათი დახსომება — მიუგო გმირმა მეფისნაცვალს [291].

შეთე გულუხაიძის პიროვნების შესახებ ხალხში მრავალი საინტერესო გადმოცემაა გავრცელებული. თითოეული გადმოცემა გმირის ყოფა-ცხოვრებისა და საბრძოლო ისტორიის ამა თუ იმ ეპიზოდს ეხება. ამიტომ მათი ჩაწერა და მკითხველამდე მიტანა, ჩვენი აზრით, აუცილებელიცაა და სასარგებლოც.

„ერთხელ, — მოგვითხრობს გადმოცემა, — ლეკი აბრაგები თუშეთის რომელიღაც კუთხეს დასცემიან. მძარცველების შემოსევის ამბავი მთელ თუშეთში გავრცელებულა. ვისაც კი იარაღის ხმარების უნარი ჰქონია, ყველა სასწრაფოდ წამოსულა თანამემამულეთა დასახმარებლად. მდევარ-მოლაშქრეთა შორის ყოფილა შეთეც. როდესაც მეომარი თუშები მოსულან, მტერი ნაძარცვით დატვირთული თანდათან უკან იხევდა თურმე. დაღესტნისაკენ მიმავალ მტაცებლებს, ჯერ კიდევ თუშეთის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ აღმართზე წამოეწია თუშთა ლაშქარი. ბრძოლის დაწყებამდე შეთეს რამდენჯერმე დაუკივლია და თან ხმალამოწვდილი დასდევნებია მტაცებლებს. შეთეს მეტად ძლიერი ხმა ჰქონია თურმე და როცა იგი ბრძოლას იწყებდა, მტერს ჯერ გამგმირავი ხმით თავზარს სცემდა და მერე შეტევაზე გადადიოდა. აი, ახლაც შეთეს ხმის გაგონებაზე ერთ-ერთ ახალგაზრდა ლეკს მუხლი მოჰკვეთია და გზაზე დავარდნილა. წაქცეულ ლეკს შეთე დასცხრომია, თავი გადაუწევია, რომ ყელი გამოეჭრა. მაგრამ ლეკის უცნაურ საქციელს შეთე განუცვიფრებია და შეუჩერებია. დასაკლავად გამზადებულ ლეკს შეთესთვის რომ შეუხედია, შეშლილივით გადაუხარხარებია. განცვიფრებულ შეთეს უთქვამს: რა გაცინებს, შე რჯულ-

---

[291] აღნიშნული გადმოცემა 1970 წელს ჩამაწერინეს თელავის რაიონის სოფ. ლალისყურის მცხოვრებლებმა იორდანე გიოს ძე ალიაიძემ და აბრამ თევდორეს ძე ელანიძემ. მათთვის ეს გადმოცემა უამბია შეთეს თანამებრძოლსა და შამილის დატყვევების თანამონაწილე თუშ გმირს — ზეზვა ოჩონაიძეს.

ქაღლო, ვერ ხედავ რას გიპირებ, თავი უნდა მოგაჭრაო?! მაშინ ლეკს უთქვამს: მამაჩემის სიტყვა გამახსენდა და იმიტომ გამეცინაო; შეთე დაინტერესებულა და ლეკისათვის უკითხავს: რაო, რა გითხრა მამაშენმაო? აკანკალებული ხმით დაუწყია ლეკის ბიჭს: როდესაც ლაშქარი იკრიბებოდა დაღესტანში თუშეთის დასალაშქრავად, მეც აღმეძრა სურვილი და სამზადისს შევუდექი. მამაჩემი ბევრს მეხვეწა, მემუდარა, რომ არ წამოვსულიყავი, მაგრამ არ დავუჯერე. მაშინ განრისხებულმა მითხრა: შვილო, შენ თუში მეომრის ბალნიანი მკერდი არ გინახია, თორე თუშეთში არ წახვიდოდიო. მტრისადმი დადევნებული მეომარი მთიელები, ხშირ შემთხვევაში, მკერდზე შებნეულ ღილებს იხსნიდნენ ხოლმე, რაშიც ისინი გარკვეულ შვებას ხედავდნენ.

შეთეს დიდი სულგრძელობა გამოუჩენია: ლეკი ბიჭი ფეხზე წამოუყენებია, წიხლი ამოურტყამს და გაუგდია: წადი, მომწყდი თავიდან, შე წუნკალო, მამაშენის პატივსაცემად მიჩუქნია სიცოცხლეო“ [292].

შეთე გულუხაიძის პიროვნების შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება ნ. ვოლკონსკის შრომებში. იგი პირადად იცნობდა სახელოვან ვმირს და არაერთხელ ყოფილა მონაწილე მისი განსაცვიფრებელი ვმირობისა. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ შეთეს საბრძოლო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილო კავკასიისათვის რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებთან და მისი ბიოგრაფიის დეტალური შესწავლა იქნებოდა ამავე ბრძოლების ისტორიის ერთი შემადგენელი ნაწილის გამორკვევა, ამიტომ იგი წერდა: «Для истории Кавказской войны будет значительной проблемой отсутствие полной биографии Шете. Пока время не ушло—следовало — бы обратить на это внимание»[293].

ნ. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გულუხაიძე გვევლინება ქართული ქვეითი რაზმის გზამკვლევად, დაღესტნელი მთიელების რისხვად და შეუდრეკელი ნებისყოფის პიროვნებად. ნ. ვოლკონსკი შეთე გულუხაიძეს ძესაბებ წერს: „ბევრჯერ ასწავლა მათ (დაღესტნელებს. ვ. ე.) ჭკუა ამ დროის განმავლობაში ერთმა შიშის უცოდნელმა პირმა, რომელმაც დიდად განითქვა სახელი ლეკების მთა-სავანეებში და

---

[292] აღნიშნული გადმოცემა 1968 წელს ჩაგვაწერინა თელავის რაიონის სოფ. ლალისყურში მცხოვრებმა იორდანე გიოს ძე ალიაიძემ, დაბ. 1902 წელს და ამავე სოფლის მკვიდრმა ისიდორე მიხეილის ძე ბაკურიძემ, დაბ. 1904 წელს.

[293] Н. Волконский, დასახ. შრომა, გვ. 388 (სქოლიოში).

საყვარელი შეიქმნა ქართველებში, მარტო თავის სახელით შიშის თავზარს სცემდა მთებს და რომელმაც დაამტკიცა თავის თავზე, რომ „ომი შეიქმს და დაჰბადებს გმირებსაო“. ეს პირი იყო თუში შეთე გულუხაიძე. შეთე იყო მუდმივი თანამშრომელი ქართველებისა, მებრძოლი მათის სისხლისა და უფლებათათვის და ამასთანავე ერთად თავის მამულისა და სამშობლოს მშვიდობიანობისათვის. იგი არა ერთხელ ჩამდგარა I ქართველთ ქვეითის პოლკის რაზმებში, მათთან ერთად იგერიებდა მტერს, სცემდა და სდევნიდა. ისეთნაირად შეეთვისა და შეეთვისტომა ჯარის პოლკის მილიციონერებს, რომ მისი საგმირონი საქმენი ვერ განცალკევდებიან მათ გმირობათაგან, რისთვისაც შეთეს სახელიც არ უნდა განშორდეს იმ ღირსეულ სახელებს, რომლებითაც აღსავსეა ქართველი I ქვეითი პოლკი“ [294].

როგორც ნ. ვოლკონსკი გადმოგვცემს, შეთე გულუხაიძეს ევალებოდა დროდადრო დაეზვერა დაღესტანი და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ზუსტი ცნობები ჩამოეტანა — რას აკეთებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ემზადებოდნენ საქართველოს საზღვრების გადმოსალახავად თუ არა; იგი მძარცველების დამსჯელი რაზმების უბადლო ხელმძღვანელად იყო აღიარებული. ნ. ვოლკონსკი წერს: „პოლკოვნიკმა ბეზობრაზოვმა კარგად რომ გაიცნო იგი, ამოირჩია თავის უმთავრესის საგნის მისაღწევად — დრო გამოშვებით დაესაჯნა ხოლქე მტარვალნი მის შემწეობით და მათ საწინააღმდეგოდ ჰყოლოდა იგი ყოველ შემოსევის დროს. აგრეთვე მდევრად გამოკიდება და დათვალიერება ლეკებისა, ან კერძოდ მას ედო ვალად, ან პოლკის მილიციონერებთან ერთად და შეთე ყოველთვის იპოვიდა ხოლმე შემთხვევას თავი გამოეჩინათ ამ უკანასკნელებს და ახალი საგმირო საქმეებით სახელი განეთქვათ. ერთი ამგვარი საქმეთაგან, ცოტად თუ ბევრად, შესანიშნავი, მოხდა ივლისში 1839 წელს. ამ თვის 18-ს ტებელის საზოგადოების მტაცებელთ მოჰკლეს ოთხი ქართველი ალაზნის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ანაგის პირდაპირ, ხოლო ერთი ტყვედ წაიყვანეს. პოლკოვნიკმა ბეზობრაზოვმა ტებელების ჯავრის ამოსაყრელად შეთე გაუგზავნა. უკანასკნელი მტრის ქვეყანაში გაჩნდა, სოფ.

---

[294] ისტორია მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა 1831—1881 წ. შედგენილი რუსულ ენაზე ნ. ა. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიავსკის რედაქტორობით, თარგმნილი ქართულად, 1884, გვ. 69.

ტებელის ახლო, მოჰკლა 8 ლეკი, ჩამოიტანა მათი ხელები და შეატყობინა, რომ ლეკები იკრიბებიან და ბარად უნდა ჩამოცვივდნენო“ [295].

შეთე გულუხაიძის საბრძოლო საქმიანობა ნ. ვოლკონსკის ფართოდ აქვს წარმოდგენილი 1857 წელს დიდოეთში მოწყობილი ექსპედიციის მონაცემების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ 1857 წლისათვის შეთე საკმაოდ ასაკოვანი ყოფილა (70-ისა თუ უფრო მეტის), როგორც ნ. ვოლკონსკი შენიშნავს [296], თავის ვაჟებთან ერთად მონაწილეობს ხსენებულ ექსპედიციაში[297] და ახალგაზრდული შემართებით იბრძვის.

შეთე და მისი ვაჟები ყოველთვის პირველნი მიდიან მტერზე და თანამებრძოლებს გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითებს უჩვენებენ. შეთეს ვაჟს — ხუტეს (ხუტა) თავი უსახელებია პირველსავე იერიშში, როცა 11 ივლისს თავს დაესხნენ სოფ. ხუფრას. იგი წარუდგენიათ წმინდა გიორგის ჯვარზე. მაგრამ ეს სიხარული ახალგაზრდა გმირისათვის ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მეორე სოფლის — ხოტრახოს აღების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა ჟიდეც [298].

მომაკვდავი შვილის შემყურე შეთეს არ უნდოდა ბედს დამონებოდა და შვილს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: «Ничего, выздоровеешь. Будешь с честью носить тот крест, к которому ты уже представлен за славное наше дело под Хупро» [299].

აღნიშნულის თაობაზე ნ. ვოლკონსკი შენიშნავს: «В скором времени георгиевский крест за № 330 был действительно пожалован Хуте Гулухандзе за дело 11 июля, но герой им не воспользовался»[300].

ბრძოლის წყურვილით ანთებული ხუტე მამას და უფროს ძმას — დავითს ხელებში შემოაკვდათ. შვილმკვდარი მამა განრისხებული სა-

---

295 ნ. ვ ო ლ კ ო ნ ს კ ი, ისტორია ქართველთ ქვეითის დრუჟინისა, გვ. 69—70.

296 Н. В о л к о н с к и й, Лезгинская экспедиция..., т. I, стр. 387.

297 ი ქ ვ ე; «В экспедиции с ним было тогда три сына» — შენიშნავს ნ. ვოლკონსკი.

298 Н. В о л к о н с к и й, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, «Кавказский сборник», т. II, 1877, стр. 225—230.

299 ი ქ ვ ე, გვ. 227.

300 ი ქ ვ ე.

ხით იდგა ქანდაკებასავით და მისი თვალებიდან მხოლოდ შურისძიების დაუოკებელი ნაპერწკლები გამოსჭვიოდა.

«На глазах Шете не сверкнуло в эту минуту ни одной слезы. Должно быть, горе слишком сильно пронзило его сердце и не думал ли он тогда, что лучше бы ему самому поменяться участью с Хуте?»[301].

შურისძიების გრძნობით ანთებულებმა გაანადგურეს ხოტრახო, აგრეთვე სოფლები: ხალახო და წიწმახო.

თუშების ასეულმა შემდგომ იერიში მიიტანა სოფ. ჩილიახოზე. აქაც თუშებს წინ სახელოვანი შეთე მიუძღოდათ და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მათ.

ხსენებული სოთლის მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ექსპედიციის მონაწილეებს და აიძულა უკან დაეხიათ; მაშინ გამძვინვარებულმა შეთემ აღარ დააყოვნა და შემდეგი სახიფათო და სახელოვანი ნაბიჯი გადადგა: «Около десяти лезгинских лошадей остались без седоков. Старик Шете взвизгнул, как дикая кошка, выпрямился на стременах, выхватил свою короткую шашку, за нею сверкнула сотня других таких же шашек, потом раздался пронзительный крик, и герой вновь, без выстрела, понесся на неприятеля»[302]. აღნიშნული ბრძოლის შემყურე ნ. ვოლკონსკი ვეღარ მალავს აღტაცებას და წერს: «Это был славный бой, но он продолжался не более пяти минут»[303].

აღნიშნული სოფლების აღების შემდგომ ექსპედიციამ მცირე ხნით დაისაკენა სოფ. ხუფრის თავზე. ბარონმა ვრევსკიმ განსაკუთრებით გამოყო თუშთა ასეულის მიერ ჩატარებული ბრძოლები, რომელსაც სათავეში ედგა სახელოვანი პორუჩიკი ალექსანდრე ელიზბარის ძე ნათიევი. ბატალიონი თუშთა ასეულის ქება-დიდებას „ურას“ ძახილით ადასტურებდა. ამიტომ წერდა ნ. ვოლკონსკი, რომ: «Тушины единогласно утверждали, что эта встреча была для них лучшею наградою, которую они бы имели право ожидать за свой подвиги»[304].

ექსპედიციამ საბრძოლო საქმიანობა განაახლა. ისტორიკოს ნ. ვოლკონსკის ყურადღებას კვლავ თუშთა ასეულისა და შეთეს თავდა-

---

301 Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 220.

302 იქვე, გვ. 240.

303 იქვე, გვ. 243.

304 იქვე.

დიბული ბრძოლები იპყრობს. იგი განცვიფრებულია მოხუცი შეთეს ძალგულოვნებით, უშიშარობით, გონიერებითა და სახრალნობით. მკვლევარი ვერ მალავს სიმპათიებს სახელოვანი გმირისა და საერთოდ თუშების მიმართ და შენიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ ისტორიას. იგი წერს: «Мы упомянули об этом крутом повороте в жизни старика, не потому, что имели в виду осветить эту личность ореолом какого-то романтизма, а потому, что движения таких деятелей как Шете, влиявших на убеждения целого общества, руководивших этим обществом, подчинявших его безусловному своему распоряжению, не должны оставаться незамеченными; неисследованными, так как составляют один из главных основных камней истории данного общества. А такое общество, как тушины, заслуживает, чтобы обратить внимание на его историю»[305].

რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა აიღეს აულები: შაპიხო, ხოიტლო და ჯერი მიდგა აულ კემეშზე, რომელიც თავისი ბუნებრივი მდებარეობის წყალობით ერთ-ერთ გამაგრებულ ციხესიმაგრედ ითვლებოდა. აულ კემეშს ცეცხლი დაუშინა № 1 სამთო ბატარეამ, იერიშზე კი კვლავ თუშთა პირველი ასეული გადავიდა, მათ სხვებიც მიჰყვნენ. მაგრამ აული ვერ აიღეს, რადგან ერთი კოშკიდან არ წყდებოდა სროლა, საჭირო იყო ამ საცეცხლე წერტილის ჩაქრობა, მაშინ «Шете подозвал к себе сына и, разговаривая с ним вполголоса, рукою указал на эту башню. Башня была невысокая, по крайней мере ниже других. Молодой Гулухандзе, прищурившись и вглядевшись по направлению руки отца, кивнул ему головою и, отойдя в сторону, позвал к себе трех товарищей»[306].

შეთე გულუხაიძის ვაჟი — დავითი აღნიშნული ოპერაციის შესრულებას შეეწირა. ქოხიდან ნასროლი ორი ტყვიით იქნა განგმირული[307].

ნ. ვოლკონსკი არაფერს ამბობს გმირულად დაღუპული დავით გულუხაიძის ღვაწლის დაფასების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, მთავარსარდლობისაგან აღუნიშნავი არ დარჩებოდა; იგი ერთგან, შრომის

---

[305] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 250.

[306] იქვე, გვ. 257.

[307] იქვე, გვ. 259.

შესავალში, ამბობს, რომ შეთეს ერთ შვილს გიორგის ოქროს ჯვარი ჰქონდაო, მაგრამ რომელს ეკუთვნოდა ეს ჯილდო, არ ჩანს.

რადგან ხუტაზე გარკვევით წერს, რომ მას სოფ. ხუფრაზე შეტევის დროს გამოჩენილი გმირობისათვის მისცეს გიორგის ჯვარი და ოქრო იქ ნახსენები არ იყო, გამოდის, რომ გიორგის ოქროს ჯვრის კავალერი დავითი უნდა ყოფილიყო [308].

ექსპედიციამ აული კემეში აიღო და ბანაკში დაბრუნდა. მთავარსარდლობამ ექსპედიციის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა და გადაწყვიტა ახალი შევსებისა და დასვენების მიზნით დროებით შეეჩერებინა საომარი მოქმედება. თუშთა ასეული ჯმავე მოტივით სახლში გაუშვეს. განახლებული თუშთა ასეული 10 აგვისტოს ბანაკში გამოცხადდა სიმურის მთაზე. ასეულს კვლავ ახლდა შეთე გულუხაიძე, რომელიც ერთი წუთითაც არ იმჩნევდა საყვარელი ვაჟების სამუდამოდ დაკარგვას [309].

თუშთა ასეულის ბანაკში სასწრაფოდ გამოცხადებამ და მათმა დაუოკებელმა საბრძოლო სულისკვეთებამ კვლავ მიიქცია მთავარსარდლობის ყურადღება და დამსახურებული შეფასებაც მიიღო. აღნიშნულის თაობაზე ნ. ვოლკონსკი წერს: «Барон Вревский еще раз поблагодарил их за службу, возложил на достойнейших кресты при восторженных криках всей сотни, замахавшей в воздухе своими маленькими войлочными, на подобие блюдичек, шапочками, и выразил надежду видеть в них и далее тех же героев, которыми они были до сих пор» [310].

მთავარსარდლობას შეთე გულუხაიძის სახელოვანი ბრძოლები და დასახული მიზნისადმი დაუოკებელი ლტოლვა, მაღალი ჯილდოთი — ოქროს ჯვრით აღუნიშნავს, რომლის თაობაზეც ნ. ვოლკონსკი მოგვითხრობს: «Старик Шете принял с благоговением золотой крест и, поднеся его к губам, улыбнулся с тем грустным видом, который, с одной стороны, ясно выражал состояние его сердца, а с другой, давал понять что ему не нужно напоминать о новых заслугах и отличиях»[311].

ექსპედიციამ შესვენების შემდგომ პირველი იერიში მიიტანა აულ ელბაქოზე. ამ ოპერაციაშიც თუშებმა პირველობა არავის დაუთმეს,

---

[308] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 387.

[309] იქვე, გვ. 274.

[310] იქვე, გვ. 275.

[311] იქვე.

განსაკუთრებით კი შეთემ, რომელიც თავდაიწყებით იბრძოდა და დამხვდურთ შორის ზარს სცემდა. «Шете уверял нас, — შენიშნავს ნ. ვოლკონსკი,—что в этот день он чувствовал себя несколько лучше, чем в предыдущие: его анатомическая коллекция увеличилась еще двумя кистями неприятельских рук»[312].

ელბაკოსთვის წარმოებული ბრძოლებით განცვიფრებული ნ. ვოლკონსკი წერს: «Этот день, конечно, остался надолго в памяти дидойцев»[313].

20—21 აგვისტოს რუსთა და ქართველთა ასეულები დაეუფლნენ აულებს: ზეხიდოს, გუტოხოს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მთა ბაშოსათვის, სადაც გამაგრებული იყო მოწინააღმდეგეთა ძალები. ამ მთის დაუფლებისათვის ჩატარებულ ბრძოლებში თუშთაგან მთავარსარდლობა განაცვიფრა 17 წლის ლევან ეფიშვილის (ქადაგიძის) გამბედაობამ და თავდადებამ. რამაც გზა გაუხსნა რუსთა და ქართველთა შენაერთებს და ავაოდვილა ხსენებული პოზიციის დაკავება. სახელოვანი ლევან ეფიშვილი (ქადაგიძე) დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით და გზა დაულოცეს მომავალი წარმატებებისათვის[314].

ნ. ვოლკონსკი ვერ მალავს აღფრთოვანებას ლევან ეფიშვილის განსაცვიფრებელი გამბედაობის გამო და შენიშნავს: «Да приятно было бы и теперь, и после, и всегда встретить Леона Эпишвили и пожать ему ту славную и твердую руку, которая двадцать лет назад умела охватить, как железным кольцом, неприятельское знамя»[315].

ბეშოს მთის აღების შემდგომ ეერიში იქნა მიტანილი აულებზე: ხიბიასა და ვიციაზე. ამ აულების აღებაში თავი ისახელეს შეთე გულუხაიძემ და ბუთურა ტუგუსეშვილმა. ხსენებულ ბრძოლაში გმირულად დაეცა უშიშარი მეომარი ბუთურა ტუგუსეშვილი, რომლის ოჯახსაც მთავრობისაგან დახმარების სახით გამოეყო 50 მანეთი[316].

ისტორიკოსი ხსენებული შრომის გარკვეულ ნაწილს უთმობს ამავე ექსპედიციის მონაწილე თუში მეომარი ვაჟკაცების ჩამოთვლას. მკვლევარი იქვე შენიშნავს, თუ ვინ დაეცა ბრძოლის ველზე, რა ჯილ-

---

[312] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 281.
[313] იქვე.
[314] იქვე, გვ. 301.
[315] იქვე.
[316] იქვე, გვ. 316.

დო მიეცა თითოეულ მათგანს. ვინ დაიჭრა და მთავრობამ როგორ დააფასა მათი თავდადება და უმწიკვლო სამსახური[317]. ამ მხრივ ნ. ვოლკონსკის ღვაწლი ფასდაუდებელი და განუმეორებელია, რადგან მან შემოგვინახა იმ სახელოვანი თუში ვაჟკაცების ვინაობა, რომელთაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოუღალავნი,
სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა მლალავნი!
თქვენი ჰირიმე, თუშებო, ბიკობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზე ლესულა!“[318].

ექსპედიციამ საბრძოლო საქმიანობა 1857 წლის აგვისტოში დაამთავრა და უკან დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ვოლკონსკი კვლავ დაწვრილებით მოგვითხრობს როგორც 1857 წლის შემოდგომის, ისე 1858—1859 წლების მანძილზე გამართულ ბრძოლებში თუშთა მონაწილეობაზე, აღარსად ახსენებს შეთე გულუხაიძეს[319]. ამ სახელოვან პიროვნებას ველარ ვხედავთ თუშთა ასეულის შემადგენლობაში, მის თანამებრძოლთა გვერდით. შეთეს პიროვნების თაყვანისმცემლისა და ყველაზე დიდი დამფასებლის დუმილი გვაფიქრებინებს, რომ იგი ან დაღუპულია უკვე 1858—1859 წლებისათვის, ანდა დაავადებულია და აღარ ღებულობს ბრძოლებში მონაწილეობას. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჯერჯერობით არავითარი სარწმუნო ცნობა არ გაგვაჩნია.

ნ. ვოლკონსკის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფ. შენაქოდან ყოფილა[320]. ნ. ვოლკონსკის ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს.

შეთე გულუხაიძე იყო სოფ. ქუმელაურთიდან. 1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერის მიხედვით, შეთე გულუხაიძე სოფ. ქუმელაურთის მცხოვრებია. ამ დროს სოფ. ქუმელაურთაში უცხოვრია 16 კომლს, მათ შორის შეთე გულუხაიძეს. შეთე გულუხაიძეს ცოლს მერცხალა რქმევია; მაშინ შეთეს ერთი ვაჟი ჰყოლია მხოლოდ, სახელად დავითი. ამავე კამერალური აღწერით აღინიშნება, რომ სოფ.

---

[317] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 326—327.

[318] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1954, გვ. 54.

[319] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 327—386. მისივე, Окончательное покорение Восточного Кавказа, 1879, стр. 299—347.

[320] ნ. ვოლკონსკი, ისტორია ქართველთა ქვეითის დრუჟინისა, ი. მაჩაბლის რედაქციით, 1884, გვ. 70.

ქუმელაურთის ხევისბერი ყოფილა ვინმე ბ. გულუხაიძე[321]. შეთე გულუხაიძეს შთამომავლობაც, რომელნიც დღესაც სახელოვანი წინაპრის გვარს ატარებენ, სოფ. ქუმელაურთიდან არიან. იმავე კამერალური აღწერის მიხედვით სოფ. შენაქოში ცხოვრობს 41 კომლი, მაგრამ გულუხაიძის გვარისა იქ აღარავინ გვხვდება[322].

1843 წლის კამერალური აღწერითაც შეთე სოფ. ქუმელაურთის მკვიდრია. ამ დროს არის 40 წლისა და ჰყავს სამი ვაჟი: დავითი (13 წ.), ხუტა (9 წ.), ქავთარი (5 წ.)[323].

ლეგენდად ქცეული შეთეს შესახებ მისი თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლებისა და ისტორიკოს-ეთნოგრაფების ნაწერებში შემონახულია მრავალი საინტერესო ეპიზოდი, რომელთაც მკითხველი განცვიფრებაში მოყავს. ამ მხრივ საინტერესოა რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი ერთი ამბავი.

იგი წერს, რომ შეთე გულუხაიძე 1852 წელს დიდოების წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში წასულა თავისი ორი ვაჟით, როცა უმცროსი შვილი 16 წლისაზე მეტისა არ იქნებოდაო. ეს წლოვანება ემთხვევა საარქივო მონაცემებით ხუტას ასაკს, იგი 1852 წლისათვის ნამდვილად 16—17 წლისა იქნებოდა[324].

ცხარე და მძიმე ბრძოლების გამარჯვებით დამთავრების შემდგომ მამასთან მისულა უფროსი შვილი და მიულოცია გამარჯვება. მას, როგორც წესი, გამარჯვებისა და კაცობის ნიშნად თან ჰქონია მისგან მოკლულის მარჯვენა ხელის მტევანი, რამაც შეთე დიდად გაახარა თურმე. უფროსი შვილისაგან ნასიამოვნებ შეთეს უმცროსისათვის შეუხედია და მიუმართავს: — შენ რა ვააკეთე? „შვილს მამისათვის უპასუხია: «—Я был несчастлив в деле, отец мой». ამ სიტყვების მომსმენი მამა განრისხებული ხმით მიმართავს შვილს: «—Как?»... заревел громовым голосом Шете Пропади, чтоб я тебя не видел!.. Поди, умри, или приди съ честью»[325].

შვილი უსიტყვოდ დაემორჩილა მამის ბრძანებას და ხელში თოფით გაუჩინარდა იმ მიმართულებით, საითაც მოწინააღმდეგენი ეგე-

---

321 საქ. სსრ ცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, ფურც. 184, 187.

322 იქვე, ფურც. 204—205.

323 საქ. სსრ ცსსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 2042, ფურც. 208.

324 იქვე.

325 Р. Эристов, Мои заметки, газ. «Кавказ», № 33, 1855.

ლებოდა. იქ მყოფნი გაოცებულნი დარჩენილან და არავის ჰქონია იმედი, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა. შეთეს თანამებრძოლნი ჯერ კიდევ საგონებელში იყვნენ, რომ პატარა ვაჟკაცი ადგილზე გაჩნდა. აი, რას წერს აღნიშნულის შესახებ რ. ერისთავი: «...но он вернулся, и хотя не мог принести руки вражеской, зато у самого была рука на перевязи».

ბავშვის ასეთი მოქმედებით გახარებული შეთე ლოცავს თავის ვაჟკაცს. ეს ვითარება ასე აქვს წარმოდგენილი რ. ერისთავს: «—Вот теперь я вижу, что ты мой сын! проговорил Шете и, обняв мальчика, поцеловал его» [326].

შეთე გულუხაიძის გმირობისა და ვაჟკაცობის ერთი საინტერესო ეპიზოდი აღწერილი აქვს ცნობილ ფრანგ მწერალს ალ. დიუმასაც. იგი აღნიშნავს, რომ 1852 წელს შეთე გულუხაიძეს თავისი სამი ვაჟიშვილით მონაწილეობა მიუღია დიდო-ლეკების დასასჯელად გაგზავნილ ექსპედიციაში. ლეკებთან გამართულ ბრძოლებში შეთეს უფროსი ვაჟი დაუჭრეს. მამას ძლიერ უყვარდა უფროსი ვაჟი და გული ჰქონდა გაბზარული დარდისაგან, მაგრამ სისუსტის გამოჩენა თავის ღირსების დამცირებად ჩასთვალა. მამას შეთი ერქვა... შეთს დაანახეს სახლი, სადაც დაჭრილი ყმაწვილი იწვა. ის შვილთან მივიდა. მძიმე ტკივილებით შეწუხებული ყმაწვილი საშინლად კვნესოდა. შეთი შვილს მიუახლოვდა, თოფს დაეყრდნო და შუბლშეკრულმა ჰკითხა:

— ვაჟკაცი გამიჩენია ქვეყანაზე თუ დედაკაცი?

— ვაჟკაცი, მამაჩემო, — მიუგო შვილმა.

— თუ ვაჟკაცი ხარ, მაშ რა გაკვნესებს?

დაჭრილი დადუმდა და ისე განუტევა სული, რომ ხმა აღარ ამოუღია. მამამ ცხედარს ტანისამოსი გახადა და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ თავისი ხანჯლით კედელზე ოცდახუთმეტი ნაჭდევი გააკეთა, ხოლო ამის მერე შვილის გვამი სამოცდახუთმეტ ნაჭრად დააქუცმაცა. ესე იგი იმდენ ნაჭრად, რამდენი იარაღის მატარებელი ნათესავი და მეგობარიც ჰყავდა.

— რას სჩადიხარ? — ჰკითხა პოლკოვნიკმა, როცა ეს საზარელი საქმიანობა დაინახა.

— ჩემი შვილის სისხლის აღება მინდა, — წარმოთქვა მან, — ერთ თვეში იმდენ ხელს შევაგროვებ, რამდენი ნაჭერიც აქ არის.

---

[326] Р. Эристов, Мои заметки, газ. «Кавказ», 1855, № 33.

მართლაც, ერთი თვის დამლევს შეთმა თავისი ნათესავ-მეგობრებისაგან სამოცდათხუთმეტი ხელი მიიღო. თვითონაც თხუთმეტი დაუმატა და ამრიგად ლეკთა ოთხმოცდაათი ხელი შეაგროვა. ასწილ აიღო შეთმა თავისი შვილის სისხლი[327].

აქ ბევრი რამ გაზვიადებული ჩანს. მსგავსს არაფერს წერს ნ. ვოლკონსკი, რომელიც შეთეს უფროსი შვილის სიკვდილის თვითმხილველი იყო. იგი მიუთითებს, რომ დავითი 1857 წელს გარდაცვალა[328] და არა 1852 წელს.

შეთეს მიერ შვილის დაჭრის ამბავს ეხება გ. ღვინიევიც. იგი წერს: «Говорят, что Гарибальди почти также поступил с первою своею женою, убитою в походах его»[329].

შეთეს თანამედროვენი იმასაც აღნიშნავენ, რომ „...შეთი ლეკების ჯადოქარია, როცა დედებს ბავშვების დაოკება უნდათ, ეუბნებიან: დაჩუმდი, თორემ შეთეს დავუძახებო, შეშინებული ბავშვებიც ჩუმდებიან“[330].

შეთესთვის მიწერილი ეს თვისება, ვფიქრობთ არ არის გაზვიადებული და სინამდვილიდან მომდინარეობს, რადგან შეთე, როგორც თანამედროვენი წერენ, მხოლოდ ექსპედიციებში კი არ ღებულობდა მონაწილეობას, არამედ ხშირად მარტო, ანდა რამდენიმე ამხანაგის თანხლებით მოულოდნელად, ღამით დაეცემოდა რომელიმე ოჯახს და თან მოჰქონდა მოკლულისათვის მოჭრილი მარჯვენა ხელის მტევანი[331].

ადრინდელ თუშეთში ვაჟი ვერ დაქორწინდებოდა, თუ მას მტერი არ ეყოლებოდა მოკლული და მისი მარჯვენა ხელის მტევანი სოფელში არ ექნებოდა მიტანილი[332]. სახელოვანი შეთე ამ საქმეში მრავალ ახალგაზრდას დახმარებია და გასაჭირიდან უხსნია. გამოცდილი

---

[327] ალ. დიუმა, კავკასია, თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი წერილი, redakcia და შენიშვნები ა. გაწერელიასი, თბ., 1964, გვ. 261—263; ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 42—43.

[328] Н. Волконский, Лезгинская экспедиция... т. II, 1877, стр. 259.

[329] Г. Гвинисв, დასახ. შრომა, გვ. 36.

[330] ალ. დიუმა, დასახ. შრომა, გვ. 463; Эристов, დასახ. შრომა, Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 388; Г. О. Гвинисв, О происхождении качества в Закавказии, «Юридическое обозрение», № 163, 1884, стр. 36.

[331] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 388—389.

[332] იქვე, გვ. 388.

მეომარი ვაჟებს იარაღის ხმარებასა და მოპირდაპირის დამარცხების ხერხებს ასწავლიდა. მას ბევრჯერ წაუყვანია საომრად ახალგაზრდები, რომელთაც პირადი მაგალითით გამბედაობას და გმირობა-ვაჟკაცობისადმი დაუოკებელ ლტოლვას აღუძრავდა. ე. წ. ბელადების მიერ ბრძოლაში გაუჩვეველი ვაჟების წაყვანა სამეკობროდ თუშებში საპატიო საქმედ ითვლებოდა. ეს ვითარება კარგად აქვს აღწერილი რ. ერისთავს [333].

განსაკუთრებული საბრძოლო თვისებებით დაჯილდოებულ შეთე გულუხაიძეს განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა, ამიტომ მისი სახელი ვასცდა მშობლიური კუთხის—თუშეთის საზღვრებს და საყოველთაოდ ცნობილი გახდა, როგორც ლეგენდარული გმირი და თავისი დროისათვის შეუდარებელი მეომარი. შეთეს პიროვნების ზედმიწევნით მცოდნე და მისი ბრძოლების თვითმხილველი ნ. ვოლკონსკი წერდა: «Хотя о Шате встречались в свое время более или менее отрывочные заметки не только в кавказских литературных изданиях, но, сколько помнится, и в русских, даже однажды в «Иллюстрации» был помещен довольно схожий его портрет — тем не менее это поистине бессмертное имя среди кавказских героев вполне заслуживает того, чтобы каждый раз при воспоминании о нем несколько остановиться на личности тушинского баярда» [334].

შეთე გულუხაიძე იმდენად დიდი და საყოველთაოდ აღიარებული პიროვნება ყოფილა, რომ მისი სურათი სამუშაო კაბინეტში ჰქონია დაკიდებული მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს (1845—1854 წწ.). აღნიშნულის შესახებ გ. ღვინიევი წერს: «...портрет его украшал не только залу наместника Кавказского Воронцова, но и гостиницы Тифлиса» [335].

---

[333] Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, записки Кавказского отдела ИГ ГО, кн. III, Тиф, 1855, стр. 144.

[334] Н. Волконский, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 387.

[335] Г. О. Гвиниев, დასახ. შრომა, გვ. 36.

თავი VI

თურქი დამპყრობლებისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ომებში თუშთა მონაწილეობის ისტორიისათვის

XIX საუკუნის პირველი სამი მეოთხედი თუშეთის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგან იგი აღსავსეა გმირობისა და ვაჟკაცობის შეუდარებელი მაგალითებით. ეს არის პერიოდი, როცა დიდი საბრძოლო ტრადიციების მქონე თუშთა რაზმები რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართველ მილიციონერთა ასეულების გვერდით თავდადებით იბრძვიან და ახალ-ახალი წარმატებებით ამდიდრებენ წინაპართა სახელოვან ტრადიციებს.

თუშეთის დიდი საომარი შესაძლებლობა და მისი მოსახლეობის განსაცვიფრებელი საბრძოლო თვისებები ფართოდ გამომჟღავნდა მეფის რუსეთის მიერ დაღესტან-საჩეჩნოს დაუფლება-შემომტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და ექსპედიციებში. «Ни одно племя между Кавказскими горцами не славится столько своею храбростью, сколько Тушинское. В каком уголке Кавказа не рассказывают об удальстве Тушин»[1].

ამ საუკუნის თუში გმირებისა და თუშთა ასეულების თავდადებულ ბრძოლებზე საგულისხმო ცნობებს ვხვდებით ნ. ვოლკონსკის, ვ. პოტოს, ა. ზისერმანის, ა. ბერჟეს, ალ. დიუმას, ნ. დუბროვინის, ივ. ცისკარიშვილის, რ. ერისთავის, ივ. ბუქურაულისა და სხვათა ნაწერებში.

XIX საუკუნეში თუშთა მეომარი ძალების საქმიანობა მხოლოდ საჩეჩნო-დაღესტნის შემომტკიცებისათვის ცარიზმის მიერ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება. თუშებმა აღ-

---

[1] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 13, 1849.

ნიშნული ბრძოლების პარალელურად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თურქი დამპყრობლებისაგან საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნისათვის წარმოებულ ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობაშიც — 1853—1856 და 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების კავკასიის ფრონტებზე, სადაც თუშთა ასეულებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს და ჭეშმარიტად დაადასტურეს ვახუშტი ბაგრატიონის ბრძნული ნათქვამი, რომ თუშნი „არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი“ [2].

ხსენებულ ომებში თუშთა ასეულების თავდადებული ბრძოლების ამსახველ სპეციალურ ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება საინტერესო ცნობები და ეპიზოდები. არსებული მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ თუშებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დამპყრობელთაგან გამოხსნა-განთავისუფლებისათვის თავდადებით უომიათ. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე ჩვენს ქართულ ისტორიოგრაფიაში მოცემულ ომებში თუშთა ასეულების მონაწილეობას სპეციალურად არავინ შეხებია.

§ 1. ყირიმის ომში თუშების მონაწილეობის საკითხისათვის

ყირიმის ომი, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაშიც მიმდინარეობდა, რუსეთისაგან, როგორც ერთ-ერთი მთავარი მეომარი სახელმწიფოსაგან, მოითხოვდა სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიურ შესაძლებლობათა მაქსიმუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიზანს ვერ მიაღწევდა. რუსეთის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მას ამ ომში მხარში არ ამოუდგნენ მისი ძველი მოკავშირეები — ავსტრია და პრუსია. ნიკოლოზ პირველს კი იმედი ჰქონდა მათი დახმარებისა, რადგან მან დიდი სამსახური გაუწია მათ 1848—1849 წწ. რევოლუციასთან ბრძოლაში. არც ევროპის დემოკრატიული აზრი იყო კარგად განწყობილი მეფის რუსეთისადმი, რომელიც ყანდარმად და ყოველგვარი პროგრესის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად მიაჩნდა.

აღნიშნულ ომში რუსეთის მდგომარეობა ყველაზე სავალალო მაინც კავკასიის ფრონტზე იყო, რადგან რუსეთი მას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა და არც ფიქრობდა კავკასიაში დამხმარე

---

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

ჯარის ნაწილების გამოგზავნაზე. მტერმა კი ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ძლიერ საბრძოლო ნაწილებსა და სათანადო საომარ იარაღს მოუყარა თავი. იგი სრულყოფილად მოემზადა და ომის დაწყებიდანვე ისეთი სიძლიერით შემოუტია კავკასიის ფრონტის უმთავრეს მისადგომებს, რომ „როგორც მაშინდელი ამბების თანამედროვე, დიდი მარქსი წერდა, რუსეთი ამიერკავკასიის ფრონტზე საქართველოს დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა“ [3].

გარდა იმისა, რომ კავკასიის ფრონტი მეფის რუსეთის მიერ სათანადოდ ვერ იყო მომზადებული, რაც მტერს უადვილებდა თბილისი-საკენ გამოჭრასა და მის დაუფლებას, მდგომარეობას ისიც ართულებდა, „რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდანაც განუწყვეტელი საფრთხე ემუქრებოდა. აქედან ყოველთვის მოსალოდნელი იყო რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მიურიდების შამილისა და მაჰმად ემინის შემოჭრა და ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო კავკასიაში მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიურიდების წინააღმდეგ მოსალოდნელი ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა“ [4].

კავკასიის ფრონტზე შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამოსწორება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით რუსეთს უკვე აღარ შეეძლო. საჭირო იყო მთელი საქართველოს მოსახლეობა ფეხზე დამდგარიყო და ეზრუნა სამშობლოს დასაცავად. ქვეყნის ხსნა და მისი გადარჩენა დამოკიდებული იყო მხოლოდ სახალხო ლაშქრის მასობრიობა-ორგანიზებულობაზე და მის თავდადებულ ბრძოლებზე.

ქართული მილიციის ასეულებს რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების გვერდით ბრძოლების საკმაო გამოცდილება გააჩნდა. მათ თურქ დამპყრობლებს 1806—1812 და 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში მუსრი გაავლეს და ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს. ქართველი მილიციელების ბრძოლები ამ ომებში დიდი პათოსით ხასიათდებოდა, რადგან ისინი ებრძოდნენ თავის ისტორიულ

---

[3] ვ. დუმბაძე, ქართველი ხალხი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამთავროების საბოლოო გაუქმება, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 442.

[4] ე. ორჯონიკიძე, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 195.

მტერს და მისგან წართმეულ-მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალს იბრუნებდნენ, თურქი დამპყრობლებისაგან ათავისუფლებდნენ განაწამებ თანამემამულეებს. ანალოგიური მდგომარეობა იყო ყირიმის ომის დროსაც, ამიტომ ქართველი ხალხის მონოლითურობამ და მასობრივად ბრძოლის ველზე გამოსვლამ აქაც მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოს მთასა და ბარში სასწრაფოდ ჩამოყალიბდა მილიციელთა ასეულები, რომელნიც საკუთარი სურვილით მიდიოდნენ მტრის შესახვედრად, დედა-სამშობლოს საზღვრებში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების გასაჟლეტად.

ყირიმის ომის დაწყებისთანავე, 1853 წელს, კავკასიის მოსახლეობიდან შემდგარა 92 ასეული, რომელთაგან 52 ცხენოსანი, ხოლო 40 ქვეითი ყოფილა. 1855 წელს ბრძოლის ველზე მოქმედებდა უკვე 74 ცხენოსანი და 66 ქვეითი ასეული, სულ 140. „საერთოდ ომში მონაწილეობდა ადგილობრივი მილიციის 416 ცხენოსანი და ქვეითი ასეული. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ 1854 წლის შუა რიცხვებამდე დასავლეთ საქართველოს დაცვის მთელი სიმძიმე მილიციას აწვა“ [5].

რუსეთ-თურქეთის ომი ოფიციალურად გამოცხადდა 1853 წლის 4 ნოემბერს. ომის დაწყება და მტრის დიდი ძალებით შეტევაზე გადასვლა ახალციხის მიმართულებით ერთდროულად მოხდა. ახალციხის დაუფლებით თურქ დამპყრობლებს ბორჯომის ხეობისა და სურამის გავლით გზა ეხსნებოდათ თბილისისაკენ, რომლის ხელში ჩაგდება მათი მთავარი ამოცანა იყო. ახალციხეში მდგარ რუსეთის ჯარის ნაწილებს დიდად აღემატებოდა მტრის ძალები, რაც აშკარად კრიტიკულ სიტუაციას ქმნიდა. ოსმალების განდევნა და კარს მომდგარი საშიშროების ლიკვიდაცია დაევალა სახელგანთქმულ გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს. ცნობილი მხედართმთავრის თაოსნობით რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა განდევნეს დამპყრობლები; 1500-ზე მეტი მოკლეს, 2000 — დაჭრეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს [6].

ახალციხე-ბაშკადიკლართან დამარცხების შემდგომ თურქები რევანშისათვის ემზადებოდნენ და დიდძალ მეომარ ძალებს უყრიდნენ თავს დასავლეთ საქართველოში შემოსაჭრელად. ახლა უფრო აშკარა

---

[5] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974, გვ. 12.
[6] ე. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 229.

ხდებოდა მტრის წარმატებები და თბილისზე იერიშის მიტანის საშიშროება. საომარი მდგომარეობის კრიზისულ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით ახალციხე-გურრიის რაზმების უფროსად კვლავ გაგზავნილ იქნა ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი. გენერალმა მისთვის ჩვეული სამხედრო ნიჭისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დიდად შებოჭა საგანგებოდ დაკომპლექტებული თურქთა 34 ათასიანი კორპუსი, რომელსაც სათავეში სელიმ ფაშა ედგა.

სანამ სელიმ ფაშასა და ივანე ანდრონიკაშვილს შორის სერიოზული შეტაკება მოხდებოდა, გენერალმა, საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, მრავალი ღონისძიება გაატარა, რამაც მას მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების შესაძლებლობა მისცა. ერთ-ერთი მათგანი იყო ის, რომ გადაწყვიტა ქართველ მოხალისე მეომართაგან შეექმნა ასეულები, მოკლე ხანში მოემზადებინა და სასწრაფოდ ჩაება ბრძოლებში. ივანე ანდრონიკაშვილის წინადადებით, ქართველთა ცხენოსანი ლაშქრის უფროსად დაინიშნა 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში უმაგალითო გმირობითა და ვაჟკაცობით სახელმოხვეჭილი გიორგი ჯანდიერი, რომელსაც შემდგომ დაღესტნის საკორდონო ხაზზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ოქროს ხმალი გადასცეს.

ამავე საქმესთან დაკავშირებით ნიჟნიგოროდიდან გამოიძახეს დრაგუნის პოლკის პორუჩიკი თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი, რომელსაც გენერალმა ანდრონიკაშვილმა დაავალა, რომ ჩამოეყალიბებინა რაზმი დრაგუნთა წესისამებრ[7].

თავადი ამილახვარი მაშინვე წასულა დანიშნულ ადგილზე და შესდგომია დავალების შესრულებას.

როდესაც ივანე ამილახვარი დანიშნულ ადგილზე ჩასულა, მას ასეულები უკვე დაკომპლექტებული დახვედრია. სულ იყო ექვსი ასეული: პირველ ასეულს ლიახვის ხეობის მოხალისენი შეადგენდნენ, მათ წითელი ფაფახები ეხურათ და წითელი ნიშანი ეკეთათ, ასეულის მეთაური თავადი მაჩაბელი იყო; მეორე ასეული ზაქარია ანდრონიკაშვილის მეთაურობით სიღნაღის მაზრის მოსახლეობისაგან იყო დაკომპლექტებული, თეთრი ფაფახებითა და თეთრი ნიშნებით; მესამე ასეულს შეადგენდნენ თელავის მაზრის მოხალისენი თავად ნიკოლოზ

---

[7] Д. Чибров. Война и Грузины, С—Пб., 1915, стр. 52.

ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთაც ოქროსფერ-მოყვითალო ნიშანი ამშვენებდათ; მეოთხე ასეული გორისა და თბილისის მცხოვრებთაგან იყო დაკომპლექტებული, ხელთ ეპყრათ მოლურჯო ნიშანი და მას თავადი დავით ვახვახიშვილი ედგა სათავეში; მეხუთე თუშების ასეული იყო თავიანთი პატარა შავი თუშური ქუდებით, შავი ნიშნით, ასეულს სათავეში ედგა ივანე ელიზბარიძე. ბოლოს — მეექვსე ასეული, მწვანე ნიშნით, შედგენილი ძველქართულ თავადთა საგვარეულოებისაგან, რომელსაც გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობდა [8].

ივანე ამილახვარმა, რომელსაც ნიჭი და გამოცდილება ხელს უწყობდა, დიდი მონდომება გამოიჩინა აღნიშნული ასეულების საბრძოლო წვრთნისა და მორალური მომზადებისათვის. მისი ინიციატივით, რაზმეულისათვის დამზადდა სპეციალური დროშა. „დროშის შავ მაუდს ერთ მხარეზე წმინდა გიორგი ეხატა, ხოლო მეორე მხარეზე ქართულ და რუსულ ენებზე ეწერა: „ჩვენთანაა ღმერთი. გონს მოდით, ურჯულონო, თორემ ჩვენთან ღმერთია“ [9].

სანამ ასეულები გიორგი ჯანდიერისა და ივანე ამილახვრის ხელმძღვანელობით რიონის სანაპიროზე წვრთნას დაამთავრებდნენ, გენერალმა ანდრონიკაშვილმა თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მაგრამ იგი მშვიდად მაინც ვერ იყო, რადგან ოზურგეთთან საბრძოლო მზადყოფნაში იდგა თურქების მთავარი კორპუსი. ნიგოითთან თურქების დამარცხების შემდგომ ივანე ანდრონიკაშვილმა გეზი ოზურგეთისაკენ აიღო. ოზურგეთზე იერიში აღარ მიიტანეს, რადგან სელიმ-ფაშას იგი დაეტოვებინა, მდ. ჩოლოქი გადმოელახა და გურიის საზღვარზე გამაგრებულიყო. ივანე ანდრონიკაშვილი ოზურგეთში შევიდა, გენერლები შეკრიბა და თათბირი გამართა. მიუხედავად უმრავლესობის სურვილისა, რომ რამდენიმე დღით გადაედოთ შეტევაზე გადასვლა, სანამ მოწინააღმდეგის პოზიციებს კარგად შეისწავლიდნენ, სარდალმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ნიგოითთან თურქთა სასტიკი დამარცხებით შექმნილი სიტუაცია და ელვის სისწრაფით შეეტია სელიმ-ფაშასათვის. მთავარსარდლის წინადადება მოწონებულ იქნა და გურიის რაზმი შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას. ივანე ანდრონიკაშვილის მეომარ-

---

[8] Д. Чиабров, Война и Грузины... стр. 52.

[9] გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 103.

მა ძალებმა 1854 წლის 4 ივნისს, გათენებისას, დატოვეს ოზურგეთი და კურსი აიღეს გურიის საზღვრებისაკენ, სადაც მდ. ჩოლოქის გაღმა იდგა თურქი დამპყრობლების 34—35 ათასიანი კორპუსი სელიმ-ფაშას მეთაურობით. „1854 წლის 4 ივნისს ჯარებმა გენერალ ი. ანდრონიკაშვილის სარდლობით, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — გაანადგურეს მტრის 34 ათასიანი კაცისაგან შემდგარი არმია. მსხვერპლი დიდი იყო. ოსმალებმა ამ ბრძოლაში 4000-მდე კაცი დაკარგეს. ხოლო ქართველებმა და რუსებმა — 1700“ [10].

ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში მოხალისე ასეულებმა სხვა ქართველ და რუს მეომრებთან ერთად მამაცურად იომეს და მთავარსარდლობისა და თანამემამულეთა მადლობა დაიმსახურეს. აი, სწორედ აქ, მდ. ჩოლოქთან, გადახდილ უთანასწორო ბრძოლაში გამოვლინდა თუშთა ასეულის გმირობა, რაც შესანიშნავადაა აღწერილი სამხედრო ისტორიკოს ვ. პოტოსთან და იმავე წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებულ ერთ საინტერესო ლექსში. როგორც ვ. პოტოს მიხედვით, ისე ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსიდან კარგად ჩანს, რომ თუშებს დიდად უსახელებიათ თავი და არ შეურცხვენიათ სახელოვანი წინაპრების მდიდარი საბრძოლო ტრადიციები. „თუშეთის მოლაშქრეთა საბრძოლო სულისკვეთება, ჭეშმარიტი გულადობა და თავისი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნება, — წერს პროფ. ერ. ბურჭულაძე, — მკაფიოდ გამოვლინდა იმპროვიზებულ რაფსოდიაში, რომელიც ნიჭიერმა და მამაცმა ხალხმა შექმნა 1854 წელს ჩოლოქთან ბრძოლის დღეებში“ [11].

იმპროვიზებული რაფსოდია, რომელსაც ერ. ბურჭულაძე „გურიას ლექსად თქმულს“ უწოდებს და ჰგონია, რომ იგი ხალხმა შექმნა, ეკუთვნის ჩოლოქის ბრძოლების მონაწილეს, მეგრელთა ჯარის ექიმს გრიგოლ შაბურიშვილს. იგი თვითონ გვამცნობს თავის ვინაობას:

„ვარ მეგრელთ ჯარის ექიმი მათის სიმრთელის მცველია,
შაბურიშვილი გრიგოლი თქვენც უწყით სიღნაღელია“ [12].

გრიგოლ შაბურიშვილს ცნობილი ჩოლოქის ბრძოლის შემდგომ

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 443.

[11] ერ. ბურჭულაძე, დასახ. შრომა, გვ. 535.

[12] Газ. «Кавказ» № 77, 1854.

2 ოქტომბერს, გამოუქვეყნებია გაზეთ „კავკაზში“ ქართულად დაწერილი ორი საკმაოდ მოზრდილი ლექსი: „თუშთაგან გურიას მოსვლა და რჩევა ვითარ იომონ ოსმალთან“ და „სიმღერა ჩოლოყის სპასპეტსა ზედა“.

პირველი ლექსის შინაარსი ეხება თუშთა ასეულის ყოფნას გურიაში, თუშების ბრძოლებს თათრების წინააღმდეგ და მათ საბრძოლო სულისკვეთებას. მეორე ლექსი ეძღვნება სახელოვან სარდალს— ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს და აქვე მოცემულია ჩოლოქის ბრძოლებთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ცნობა.

თუშებისადმი მიძღვნილი ლექსიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი ახლოს იცნობს თუშთა ასეულს. იცის მათი საბრძოლო განწყობილება და დაუოკებელი მისწრაფება, რათა მალე ჩაებან ბრძოლაში და გული იჯერონ თათართა ხოცვა-ჟლეტით. ექიმი-პოეტი აღფრთოვანებულია თუშთა საბრძოლო აღტყინებით და თვითონაც მოწოდებით მიმართავს, რომ არ შეარცხვინონ წინაპრები და ვაჟკაცურად მოემზადონ მტერზე საიერიშოდ:

„ძმაო, შენ გახსოვს წითელი, გაქვს სიყმაწვილის ზნეობა,
აქ მოდით, შეიკრიბენით, გვმართებს საქმისა რჩეობა,
ბიჭად ყოველი მჯობიხართ, გიცდიათ ლეკთა მტერობა,
და სახელი დაგრჩეს გურიას თუშებთა ქმნასო მხნეობა.
ომის დრო არის, ვაჟკაცნო, ცხენთა დავაკრათ ნალია,
სადილი ეჭამოთ, ადექით, ყველამ დავჩარხოთ ხმალია,
ვინც უკან დარჩეს ამხანაგს იყოს ახმეტის ქალია,
და თუ მოკვდეს, ქვაზედ დავსწეროთ: სიცოცხლით იყო მფრთხალია“.

ლექსის მომდევნო სტროფში შესანიშნავადაა გადმოცემული თუში მეომარი ვაჟკაცის ამაყი ბუნება, ლტოლვა გმირობა-ვაჟკაცობისაკენ, რომლისთვისაც უცხოა ლაჩრობა, შიში და ბრძოლის ველიდან გამოპარვა:

„ვაჟო, რას ამბობ, მეწყინა დიაცთ წესია რიდება,
ქალის ლეჩაქიმც დავხურე, ვის ომი არა უნდება,
კაცი გაეგზავნოთ სარდალთან, ბიჭებს აქ ყოფნა სწყინდება,
და თუ არ ვეაჩხუბებ თათართა, თუშნი აქ რაღათ გინდება“.

თუშთა ასეულს მთავარსარდალთან კაცი გაუგზავნია და უცნობებია მეომართა განწყობილება და სურვილი. გენერლის დანაბარებით აღფრთოვანებული რაზმის სიხარული პოეტს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

„ვინცა გაეგზავნეთ, მოვიდა, სარდალმა გაიცინაო,
იბრძანა: ჩემო თუშებო, ხვალ ვნახოთ მტერთა ბინაო.
მეორეს დილით ივანე ჯართა გაუძღვა წინაო,
და ულვაშის გრეხით თამამად საკურველად მოილხინაო“.

საბრძოლველად გამზადებულ სარდალს თუშთა ლაშქარი ეველრება, რათა გაითვალისწინოს, რომ მათ სწრაფი ცხენები ჰყავთ და ელვის სისწრაფით შეუძლიათ მტერს რისხვა დაატეხონ თავს; პირველებმა მათ აგემონ მოძალადეს მტერზე მრავალგზის ნაცადი „გორდა ხმლის“ ძალა. მათ პირნათლად უნდათ შეასრულონ შორს, კავკასიონის მთაგრეხილებში ციხე-კოშკებად აღმართული მშობლიური კუთხის — თუშეთის დანაბარები:

„ბატონო, პირიმც მოგვამეთ, თუშთა ცხენები მალია,
მეწინავეთა გვიბრძანეთ, გავცურავთ საცა წყალია,
შორით მოვსულვართ, რიგია პირველ ვაცნობოთ ძალია,
და თუ ვარგა შენი თუშები, ან მათი გორდა ხმალია!
ვითხოვთ პირველად მივიდეთ, ეს არის ჩვენი თხოვანი,
შენი ვართ ალვანთ თუშები კაზმულ იარაღოვანი,
თუში თუ უკან მოკვდება, ვისგან ეღირსოს გლოვანი,
და მკვდარსაც დაგვრახავს მესამძღვრე ფშავნი, ხევსურნი, წოვანი“.

ლექსის ბოლო ორი სტროფიდან ნათლად ჩანს, რომ საუელოვან გენერალს თუშთა ლაშქრის სურვილი დაუკმაყოფილებია, რასაც სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებში დიდი სიხარული გამოუწვევია:

„მივიდეთ ანდრონიკოვთან, ყველამ დაუკრათ თავიო,
მეხათ დავეცეთ თათართა, დღე დავაყენოთ ავიო,
მყრალთა დიაცთა ოსმალთა, ბევრთა ჩავაცვათ შავიო,
და სხვათა მდინარეთ მათ სისხლი ვყოთ ერთად შენართავიო.
გამოსალმებით დავკოცნოთ დღე არის საომარია,
რაზმით მივმართოთ ერთიან, საცა რომ ურდო ჯარია,
ცეცხლად გავუჩნდეთ შუაში, ავტეხოთ სისხლის ღვარია,
და ვაქკაცად ვინცა მოკვდება, ღმერთო, აცხოვნე მკვდარია“.

გრიგოლ შაბურიშვილი მეორე ლექსშიც, რომელიც ახალციხისა და ჩოლოქის გმირი სარდლისადმია მიძღვნილი, ჩოლოქის ბრძოლების აღწერისას კვლავ აღნიშნავს თუშთა ვაჟკაცობას:

„ლომნი რუსეთის მხედრობა თავ განწირულად ომობდნენ,
იმერთან ჩვენი თუშებიც თამამად ხმალდა ხმალობდნენ,

მათ შორის კახთა თავადნიც ჩვეულებრივად ძალობდნენ,
და გარწმუნებსთ ამის დამწერი, ამ დღეს ოსმალნი ნანობდნენ“.

თუშთა ლაშქარს სხვა მხრივაც მიუქცევია მთავარსარდლობისა და თანამემამულეთა ყურადღება. გამარჯვების შემდგომ, როცა ჯარი ოზურგეთში ბრუნდებოდა, მთავარსარდლობას ცნობა მოსვლია, თუშთა ასეული ტყეში დარჩა და წამოსვლა არ სურსო. ასეულს დაკარგვია ერთი მეომარი და სანამ მას არ ვიპოვით, ჩვენი წასვლა არ ეგებისო. აღნიშნულის შესახებ სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტო მოგვითხრობს: „როცა (ჩოლოქთან გამარჯვების შემდეგ, ვ. ე.) ჯარი ოზურგეთში ბრუნდებოდა, მოვიდა ცნობა, რომ თუშთა ასეული ტყეში დარჩა და არ სურდა წამოსვლა, რადგან დაკარგულა ერთი თუში და მას ეძებდნენ. არავითარმა შეგონებამ არ გაჭრა. „წადით, — ამბობდნენ თუშები, — ჩვენ თვითონ ვიპოვით გზას“. „კი მაგრამ, ხომ შესაძლებელია, — ეუბნებოდნენ მათ, — რომ თქვენი ამხანაგი დაჭრილია და ტყვედ არის წაყვანილი“. „არა, — უპასუხებდნენ ისინი, — ჩვენებური არ შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, იგი უსათუოდ მოკლულია“. თუშებმა კიდით-კიდე დაათვალიერეს ტყე და ბოლოს მართლაც იპოვეს ამხანაგის გვამი. ასეული ზეიმობდა, რადგან დაკარგული გვამი მათთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა“ [13].

თუშთა ლაშქარს თანამემამულის გვამი მთავარსარდლობის ბანაკში მოუსვენებია და განუცხადებია, რომ იგი თან უნდა წავიღოთ, რადგან ტრადიციის თანახმად, მისი აქ დატოვების უფლება არა გვაქვს, უეჭველად მამაპაპათა მიწა-წყალზე უნდა მივაბაროთ. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მათი მიცვალებული დაეკრძალათ სოფ. შემოქმედის ეკლესიის ეზოში იმ ვაჟკაცთა გვერდით, რომლებიც ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

ვინც თუშთა ისტორიას არ იცნობს, რომელიც აღსავსეა გმირობისა და ვაჟკაცობის შეუდარებელი ეპიზოდებით, შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს ზემოთ ნაამბობი თუშთა ასეულის შესახებ. მაგრამ აქ გაზვიადებული არაფერია. იგი სინამდვილეს შეეფერება. მოვუსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს, თუ რას ამბობს თუშთა საბრძოლო ადათ-წესებზე: „ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა

[13] В. Потто, Памяти старых Кавказцев, Тиф., 1897, стр. 113—114; Д. Чнабров, Война и Грузины, С—Пб., 1915, стр. 57.

ბობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა“ [14]. ხოლო ივ. ბუქურაული, რომელიც თვითონ თუში იყო და შესანიშნავად იცნობდა წინაპართა ტრადიციებსა და ადათ-წესებს, წერს, რომ თუშეთში „შეომარი მამაკაცები მტერს ცოცხლად არ უვარდებოდნენ, ისინი უეჭველად მტერს უნდა შეჰკვდომოდნენ, ცოცხლად ჩაბარება და ტყვედ წაყვანა დიდი სირცხვილი იყო, თუმცა ლეკები ცდილობდნენ, რომ ცოცხლად ჩაეგდოთ, დაღესტანში წაეყვანათ, რომელთაც შემდეგში თუშები გამოისყიდიდნენ და დიდ სარგებელს ნახავდნენ“ [15].

იგივე ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჩვენს წინაპრებს ბრძოლიდან გაქცეული კაცი ეზიზღებოდათ, როგორც გველი, დედაკაცნი სირცხვილს აფუოთხებდნენ. ბალღები, როგორც ცოფიანს ძაღლს, ქვებს ესროდნენ. მას აღარ შეეძლო ვაჟკაცებში გარევა. ყოველგან, ყოველ სახლში კარებს უკეტავდნენ. მტრისაგან გაქცეულ კაცს არც კი ჰმარხავდნენ. იგი საფლავ-მოკლებული ეგდო უპატრონოდ მინდორში და ყოველი გამვლელ-გამომვლელი ზიზღით უყურებდა და სწყევლიდა იმის გაჩენის დღეს“ [16].

აკად. ნ. დუბროვინიც შენიშნავს: „Тушин решится лучше умереть, чем попасться в плен“[17].

სხვა მრავალი მსგავსი და უფრო საინტერესო მაგალითების მოტანა შეგვიძლია თუშთა საგმირო-სავაჟკაცო სამართლებრივი კანონმდებლობიდან. მაგრამ, ვფიქრობთ, დასაბელებული საკმარისია ჩოლოქის გმირი თუშების მიერ მთავარსარდლობისათვის გაბედულად გაცემული პასუხის ნათელსაყოფად: „არა, ჩვენებური არ შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, იგი უსათუოდ მოკლულია“.

კავკასიის ფრონტზე თურქი დამპყრობლების დამარცხებას მდ. ჩოლოქთან დიდი რეზონანსი მოჰყვა. საქართველოს მოსახლეობა ზეიმობდა მოპოვებულ გამარჯვებას და განსაკუთრებული პატივით ხკდებოდნენ „გურიის რაზმის“ ყველა შენაერთს. უკან დაბრუნებულ მე-

---

[14] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 554.

[15] ივ. ბუქურაული, ზურაბის კოშკი (პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდან), გაზ. „იერია“, 1897, № 113.

[16] იქვე.

[17] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1971, стр. 288.

ომრებს, რომელთაც საქვეყნოდ განთქმული სარდალი მოუძღოდა, თავდაპირველად გულთბილი შეხვედრა ქ. ქუთაისის საზოგადოებრიობამ მოუწყო. მოუთმენლად ელოდა თბილისი ივანე ანდრონიკაშვილის დაბრუნებას. ქუთაისიდან ჩამოსულთა მიღება მოეწყო იმავე მინდორზე, სადაც რამდენიმე თვით ადრე ახალციხიდან დაბრუნებულ სარდალსა და მის მხედრობას გაუმართეს დიდი სახალხო ზეიმი. „ქართულ ცხენოსან დრუჟინას სადილი დიდების მინდორზე გადაუხადეს. დრუჟინის მეთაურის კარავის წინ ფრიალებდა შავი ფერის დიდი დროშა, რომელზედაც მაცხოვარი იყო გამოსახული“ [18].

ყირიმის ომში თუშთა შემდგომი მონაწილეობის შესახებ ამ ომის ამსახველ ლიტერატურაში აღარსად არაფერია ნათქვამი. ეტყობა, უკან დაბრუნებულ თუშთა ასეულს ახლა დაღესტნის საკორდონო ხაზზე მისთვის ადრევე დაკისრებული რთული მოვალეობის შესრულება დაევალა. საარქივო და წერილობითი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ 1855—1859 წლებში, შამილის ღუნიბში დატყვევებამდე. თუშები ჯერ ივანე ელიზბარიძის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ შეთე გულუხაიძისა და ალექსანდრე ელიზბარის ძე ნათიევის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ უმძიმეს სამხედრო ექსპედიციებში. საძხედრო ისტორიკოსი ნ. ვოლკონსკი განცვიფრებულია თუშთა ასეულების გამბედაობით, მათი უშიშარი იერიშებით დიდოეთ-დაღესტნის აულებზე, რამაც იგი აიძულა როგორც ქართული დრუჟინის სქელტანიან ისტორიაში, ისე სხვა ნარკვევებში ხოტბა შეესხა თუშთა გმირობა-ვაჟკაცობისათვის.

ყირიმის ომში თუშთა ასეულის მონაწილეობის ამბავი თუშებში თაობათანობით მივიწყებას მისცემია და საბოლოოდ სრულიად გაქრალა. მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მესამედის განათლებულ თუშებს სკოლნიათ აღნიშნულ ომში მათი წინაპრების დიდი დამსახურება და ზოგიერთს წერილიც კი გამოუქვეყნებია, მაგრამ ეს იყო და ეს, მათ სათანადო ზემოქმედება ვერ მოუხდენიათ. ამიტომ აღნიშნულ ომში თუშთა მონაწილეობამ თაობათანობით დაკარგა პირვანდელი შინაარსი და სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგა, კერძოდ, XIX საუკუნის 60—70-იანი წლებისათვის მომხდარ სინამდვილედ. ამ ახალი გადმოცემის მცოდნე ზოგიერთმა თუშმა ერთი საინტერესო სურათი,

---

[18] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, საქართველო აღმოსავლეთის ომში... გვ. 33.

რომელზეც 80-მდე თუში მეომარია აღბეჭდილი, ხსენებულ პერიოდში ოზურგეთთან თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ თუშთა ასეულის პორტრეტად გამოაცხადა და მეორე გვერდზე სათანადო წარწერაც გაუკეთა. მათვე გაავრცელეს ამ სურათის რამდენიმე ეგზემპლარი. სურათში მოხუც თუშებს უცვნიათ თავისი წინაპრები — ივანე ელიზბარიძე, შეთე გულუხაიძე, გრიგოლ ქადაგიძე და სხვები, რომლებიც XIX ს-ის 60—70-იან წლებში უკვე აღარ იყვნენ ცოცხალნი და სურათზე გაკეთებული წარწერაც საეჭვოდ მიუჩნევიათ.

წლების მანძილზე ხსენებული გადმოცემით, სურათითა და მისი წარწერით არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან მიაქციეს მას ყურადღება. დღემდე გამოქვეყნებულია ოთხი წერილი: პირველი ორი წერილი ეკუთვნის ვ. სიდამონიძეს [19], მესამე — კ. ჭრელაშვილს [20], ხოლო მეოთხე — ამ შრომის ავტორს [21].

პირველ წერილში ბევრ უზუსტობას, ფაქტების დამახინჯებას ვხვდებით. ავტორს ისტორიული საბუთები არ გააჩნია და რაც მხოლოდ კონსტანტინე სიმონის ძე მიქელაძეს ჩაუწერინებია, იმას ეყრდნობა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გადმოცემას ვ. სიდამონიძე უკრიტიკოდ იყენებს, ყველაფერი სწორად მიაჩნია, რის გამოც ამ სურათთან დაკავშირებული ისტორიული სინამდვილე გაყალბებულად არის წარმოდგენილი.

გადმოცემაზე დაყრდნობით ვ. სიდამონიძე წერს, რომ თუშთა ასეულის ეს სურათი 1867 წელს არის გადაღებული, ოზურგეთთან ბრძოლის დროს. აღნიშნულ ბრძოლაში, როგორც ვ. სიდამონიძე შენიშნავს, 156 თუში მონაწილეობდა. შემდეგ ვკითხულობთ: „1870-იან წლებში კახეთში მოსულა ამბავი, გურიას შესევიან და შველას თხოულობენო. კახეთში შემდგარა რაზმი. დაახლოებით 100 კაცისაგან შემდგარ თუშების რაზმს ხელმძღვანელობდა სოფელ ქისტაურში მცხოვრები კიაზო ჩოლოყაშვილი“. მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება, რამდენი თუში იბრძოდა: 156 თუ 100, ან როდის არის ეს სურათი გადაღებული — 1867 წელს თუ 1870-იან წლებში?

---

[19] ვ. სიდამონიძე, თუშთა ლაშქრის საბრძოლო წარსულიდან, გაზ. „სამგორი“, № 3, 1966; მისივე, ძმა ძმისთვის, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, № 23.

[20] კ. ჭრელაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 4.

[21] ვ. ელანიძე, თუშთა ასეულის ერთი სურათის ისტორიისათვის, გაზ. „ახალი შირაქი“, 1974, № 148.

აღნიშნული გადმოცემის მიხედვით, რაც ვ. სიდამონიძესაც სწორად მიაჩნია, თუშთა ასეულის მეთაურად დასახელებულია ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში მცხოვრები კიაზო ჩოლოყაშვილი.

ჩოლოყაშვილებს სოფ. ქისტაურში არ უცხოვრიათ. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ერისთავები და მათ შორის კიაზო ერისთავიც, ამ უკანასკნელს კი ამ სურათთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მეორე წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი" — შინაარსის მიხედვით ძირითადად მისაღებია, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათის თაობაზე გამოთქმული მოსაზრება ამ წერილშიც არ უნდა იყოს სწორი, რაც, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს.

კ. ჭრელაშვილის მიხედვით, ამ სურათში აღბეჭდილი თუშთა ასეულის მეთაური არის გრ. ქადაგიძე და ეს „სურათი გადაღებული უნდა იყოს 1858 წლამდე, შესაძლებელია იმ წლის ზაფხულის ექსპედიციის დაწყების წინ" [22].

ამ სურათზე სხვა თუშ გმირებთან ერთად, როგორც თვით კ. ჭრელაშვილიც აღნიშნავს, გამოსახულია კაპიტანი ივანე ელიზბარიძე. ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით კი ცნობილია, რომ კაპიტანი და კავალერი ივანე ელიზბარიძე გარდაიცვალა 1856 წელს. ისტორიული საბუთი გადმოგვცემს, რომ 1856 წლის მაისში თუშების ასეული კაპიტან ელიზბარიძის მეთაურობით დასდევნებია პანკისიდან გაქცეულ ქისტებს, სადაც ბრძოლის დროს სასიკვდილო ჭრილობა მიუღია ელიზბარიძეს და ორ რიგით რაზმელს. ელიზბარიძე ჭრილობის მიღებიდან მეორე დღეს გარდაცვლილა [23].

საარქივო დოკუმენტის სინამდვილეს ადასტურებს ივანე ელიზბარიძის საფლავის ქვაზე შესრულებული წარწერაც: „კაპიტანი და კავალერი ივანე ელიზბარიძე გარდაიცვალა 1856 წელს 15 მაისს" (ივანე ელიზბარიძე დაკრძალულია ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, წმინდა სამების ეკლესიის ეზოში).

თუ ამ სურათზე ივანე ელიზბარიძე ნამდვილად არის, როგორც მისი შთამომავლები გვიმტკიცებენ [24], ხოლო უტყუარი საბუთებით

---

[22] კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", № 4, 1969, გვ. 51.

[23] საქ. სსცია, ფონდი 26, ანაწ. 6, საქ. 421, ფურც. 28—29.

[24] მათ საპატიო ადგილზე აქვთ მოთავსებული აღნიშნული სურათი და დაუეჭვებლად გვიჩვენებენ სახელოვანი წინაპრის სახეს. ივანე ელიზბარიძის საფლავიც გმირის შთამომავალმა შოთა მოზაიძემ დაგვათვალიერებინა.

დასტურდება. რომ იგი 1856 წლის 15 მაისს გარდაიცვალა, რა თქმა უნდა, ამ სურათს 1858 წელს ვერ გადაიღებდნენ. 1858 წლისათვის აღარც გრიგოლ ქადაგიძეა ცოცხალი, იგი 1857 წელს დიდოეთში მოწყობილ ექსპედიციის დროს მოკლეს რამდენიმე თუშთან ერთად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1857 წლის ექსპედიციაში მებრძოლი თუშების მეთაურია პორუჩიკი ნათიევი[25]. ყველგან ნათიევი ჩანს, როგორც საერთო ხელმძღვანელი, ხოლო ამ ექსპედიციის დროს დახოცილთა შორის გრიგოლ ქადაგიძე მოხსენიებულია, როგორც თუშ მოხალისეთა მეთაური[26]. გუბერნიის მდივანი ივანე ციხკარიშვილი თუშთა პირველი ასეულის მეთაურია. ეტყობა აღნიშნულ ექსპედიციაში თუშთა რამდენიმე ასეული მოქმედებდა, რომელთაგან პირველ ასეულს ივანე ციხკარიშვილი ედგა სათავეში, ერთ ასეულს — გრ. ქადაგიძე, ხოლო ნათიევი საერთო ხელმძღვანელი იყო.

ივანე ელიზბარიძის ვაჟიშვილის — იობის ქალიშვილის თინა ელიზბარიძე-მოზაიძის ოჯახში ვნახეთ ამ სურათის ასლი, რომელსაც უკანა მხარეზე შემდეგი შინაარსის წარწერა აქვს: „გადმოცემის მიხედვით, ეს თუშთა ლაშქარი 1867 წელს ყოფილა ოზურგეთში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც მტერი განუდევნიათ“. ეს სურათი ამ ოჯახის შვილისათვის — შოთა მოზაიძისათვის მიუცია სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებ ილიკო მიქელაძეს, რომელსაც იგი თბილისიდან, კონსტანტინე მიქელაძისაგან ჩამოუტანია.

ოსმალების წინააღმდეგ ოზურგეთთან 1867 წელს თუშების ბრძოლის შესახებ არსებული გადმოცემა, კონსტანტინე მიქელაძის მიხედვით, მიეწერება ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ივანე ბუქურაულს. მას კი, რა თქმა უნდა, აღნიშნული გადმოცემა წინაპრებისაგან ექნებოდა გაგონილი. აი, რას წერს ამის შესახებ ვ. სიდამონიძე: „თუშთა ბრძოლის ამბავი 1926 წელს მოხუც ივანე ბუქურაულისაგან ჩაუწერია მისსავე მოძმე თუშს კონსტანტინე სიმონის ძე მიქელაძეს, რომელსაც აგრეთვე მოუპოვებია საოჯახო არქივიდან ფოტო-სურათი, რაც ოზურგეთის ბრძოლაში მონაწილეებს გადაუღიათ 1867 წელს“. ოზურგეთ-

---

[25] Н. Волконский, Лезгинская экспедиция (В Дидойское общество) в 1857, журн. «Кавказский сборник», т. I, 1876, стр. 387—480, მისივე, т. II, 1878, стр. 225—286.

[26] Н. Волконский, Лезгинская экспедиция... Т. I, стр. 327.

თან ბრძოლის წელი გადმოცემაში დამახინჯებულად არის დასახელებული, 1867 წლის ნაცვლად უნდა იყოს 1854 წ.

1867 წელს ოზურგეთთან ბრძოლა არ ყოფილა თათრების წინააღმდეგ. წერილის ავტორს ეშლება ფაქტები: ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს წერილიდან.

აღნიშნული სურათის ირგვლივ წარმოქმნილ მთელ რიგ უზუსტობათა მიზეზი როგორც საქმიდან ჩანს, კონსტანტინე სიმონის ძე მიქელაძეა, რომელმაც ამ სურათს გაუკეთა მცდარი წარწერა და გავრცელა არასწორი გადმოცემა, რაც მიაწერა ივანე ბუქურაულს. კონსტანტინე მიქელაძე არ უნდა იყოს მართალი, როცა იგი ხსენებული გადმოცემის ავტორად ივანე ბუქურაულს ასახელებს, რადგან სხვა მასალებიდან ცნობილია, რომ ივანე ბუქურაულმა შესანიშნავად იცოდა თუ თუშებმა როდის მიიღეს მონაწილეობა ოზურგეთთან გამართულ ბრძოლაში და რა გმირობა-ვაჟკაცობა გამოიჩინეს მისმა წინაპრებმა. მკვლევარმა ამ ბრძოლაში თუშების გმირობა-ვაჟკაცობის შესახებ ხალხურ ლექსად გავრცელებული გრიგოლ შაბურიშვილის ლექსიც კი გამოაქვეყნა [27].

მკითხველისათვის უკვე ცნობილი ლექსის შინაარსის შესახებ ივ. ბუქურაულს მოკლე და ლაკონური განმარტება მიუცია, საიდანაც ვლინდება, რომ მას ზედმიწევნით სცოდნია, თუ როდის მოხდა ბრძოლა ოზურგეთთან და ვინ იყო იმ თუშთა ასეულის მეთაური. მოვუსმინოთ ივ. ბუქურაულს: „ეს ლექსი გამოთქმულია „ოზურგეთის ომის“ შესახებ, სადაც თუშები დიდ მონაწილეობას იღებდნენ. ეს ომი მოხდა 1854 წ. საქართველოს ყველა კუთხიდან შეიკრიბა აქ ჯარი და ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით საშინლად დაამარცხეს ოსმალები. ამ ლექსში მოხსენებული გმირი ივანე ალია ივანი ელიზბარიძე, თუშების რაზმის უფროსი. ამ უბრალო უსწავლელმა მეცხვარე თუშმა ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა შამილთან და სხვა ომებში, რომ კაპიტნის ჩინი და ვლადიმირის ჯვარი მიიღო. თუშების თქმით, თექვსმეტი ჭრილობა ჰქონია ელიზბარიძეს წელს ზემოთ. ელიზბარიძე იყო სოფ. ჯვარბოსლიდან“ [28].

---

[27] ძველი საქართველო, ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედ., ტიფ., 1913, განყოფ. V; ეთნოგრაფია, თუშური ლექსები, შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ, გვ. 56—57.

[28] იქვე, გვ. 57.

სხვა წერილობითი ძეგლებითაც დასტურდება, რომ ყირიმის ომში მონაწილე თუშთა ასეულს ხელძღვანელობდა ივანე ელიზბარიძე. ც. ციციშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ კახეთიდან დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ ექვს ასეულს შორის მეხუთე თუშთა ასეული იყო. თუშთა ასეულს სათავეში ედგა ივანე ელიზბარიძე, რომელსაც „...ხსეულზე იმაზე მეტი ჭრილობა ჰქონდა, რამდენი წლისაც თვითონ იყო“ [29].

ისტ. მეცნ. კანდ. ე. ორჯონიკიძე ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში თუშთა ასეულის მონაწილეობის შესახებ წერს: „მეხუთე ასეულში იყვნენ თუშები და ფშავლები შავი ნიშნით და შავი თუშური ქუდით, მათ მეთაურობდა ვაჟკაცობით განთქმული ელისაბერიძე (ელიზბარიძე, ვ. ე.), რომელსაც, როგორც ამბობდნენ, მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული [30].

ვ. სიდამონიძის მეორე წერილის თაობაზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ისიც სიტყვა-სიტყვით იმასვე გადმოგვცემს, რაზეც პირველ წერილში იყო საუბარი.

ვ. სიდამონიძის წერილმა თავის დროზე ჩვენც შეგვიყვანა შეცდომაში. იგი დავიმოწმეთ 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თუშთა მონაწილეობის თაობაზე. ეს საკითხი მაშინ სპეციალურად არ შეგვისწავლია, მხოლოდ გაკვრით შევეხეთ მას [31].

მაგრამ როცა ჩოლოქის ბრძოლაში თუშთა ასეულის მონაწილეობის 120 წლისთავთან დაკავშირებით გადავხედეთ სპეციალურ ლიტერატურას, დავრწმუნდით, რომ ორივე ამ წერილის შინაარსი სინამდვილეს არ შეეფერებოდა; აღნიშნულმა გარემოებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გვიკარნახა ზემოდასახელებული წერილის გამოქვეყნება.

გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ ვ. სიდამონიძის მეორე წერილს ა. შავხელიშვილი დოკუმენტის ძალას ანიჭებს და იგი სიტყვასიტყვით მოყავს თავისი შრომის ორ გვერდზე [32]. ა. შავხელიშვილთან მხოლოდ ის სიახლეა, რომ წერილის ავტორს არ ასახე-

---

[29] Д. Чиабров, Война и Грузины, 1915, стр. 52.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 265; შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, 1974, გვ. 23 და სხვ.

[31] ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბ., 1968, გვ. 217.

[32] ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI—XIX ს. I ნახევარში), თბ., 1977, გვ. 181—182.

ლებს და თანაც შეცდომით იმოწმებს მას ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში თუშთა მონაწილეობის ნათელსაყოფად. და ამას მკვლევარი აკეთებს მაშინ, როცა თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გარკვევით წერია, რომ თუშთა რიგით მეხუთე ასეულის მეთაური ჩოლოქის ბრძოლაში იყო კავალერიის კაპიტანი, საყოველთაოდ ცნობილი ივანე ელიზბარიძე და არა კიაზო ჩოლოყაშვილი. 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე თუშთა ასეულსაც მეთაურად თუში ალექსანდრე ელიზბარიძე ჰყავდა, რომელიც მთელს კავკასიაში ცნობილი ყოფილა, როგორც უშიშარი ვეკაცი[33].

§ 2. 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თუშების მონაწილეობის ისტორიიდან

XIX საუკუნის 70-იან წლებში მეფის რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული, რათა თავი დაეღწია 1856 წლის პარიზის ხელშეკრულების დამამცირებელი მუხლებისაგან და ე. წ. აღმოსავლეთის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ამისათვის კი საჭირო იყო, რუსეთს გავლენა განემტკიცებინა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეექმნა იქ ეკონომიკური და სამხედრო დასაყრდენი ბაზა, შემდგომში კი ებრძოლა შავი და ხმელთაშუა ზღვებისა და დარდანელ-ბოსფორის სრუტეების მიმართ ინგლის-თურქეთის პრიორიტეტის გასაუქმებლად. იგი ველარ ურიგდებოდა არსებულ ვითარებას და აშკარად აყენებდა საკითხს დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გაღების შესახებ.

1875 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ინტერესებს უპასუხებდა. ამიტომ მან თავიდანვე მხარი დაუჭირა ხსენებულ მოძრაობას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბალკანეთის სლავებს გადაეგდოთ თურქთა უღელი. ინგლისისაგან წაქეზებული თურქეთის სულთანი კი აჯანყებას სისხლში ახშობდა. მდგომარეობა თანდათან დაიძაბა, რუსეთსა და თურქეთს შორის ომი გარდუვალი ხდებოდა. რუსეთმა გერმანიის დახმარებით ავსტრია-უნგრეთთან სასწრაფოდ ზავი გააფორმა თურქეთთან მომავალ ომში ავსტრია-უნგრეთის მიერ ნეიტრალიტეტის

---

[33] Война 1877 и 1878 гг., т. II; Война в Азиатской Турции, под редакцией Зикова, С—Пб., 1882, стр. 81—82; В. Волконский, დასახელებული შრომა, გვ. 387 და სხვა.

დაცვის თაობაზე და 1877 წლის 14 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს.

როგორც ყირიმის ომის პერიოდში, ისე რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დროს საომარი მოქმედება ამ სახელმწიფოებს შორის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში მიმდინარეობდა. ომის მიზანი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთის საკითხი იყო.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ქართველმა ხალხმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. მას სურდა ძლიერი რუსეთის მეშვეობით გაეთავისუფლებინა თურქეთის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ფიზიკური მოსპობისაგან გადაერჩინა იქაური ქართველობა[34]. სწორედ ამ სანუკვარმა მიზანმა განაპირობა ის დიდი ენთუზიაზმი, რაც მაშინ საქართველოში სუფევდა. „ამდენად ქართველთა ბრძოლას ამ ომში განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა“ [35].

თურქი დამპყრობლებისადმი სიძულვილი საქართველოში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ქართველობას მტრის გაყლეტა-განადგურებაში მასობრივი მონაწილეობა მარტო კავკასიის ფრონტზე კი არ მიუღია, არამედ მას რამდენიმე მოხალისე ვაჟკაცი ბალკანეთის ფრონტზეც გაუგზავნია.

საქართველოს ფეოდალურ ლაშქარს რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად ბრძოლების დიდი გამოცდილება გააჩნდა. საქართველოს მრავალათასიანმა მილიციამ, მისმა ცხენოსანმა და ქვეითმა ასეულებმა 1806—1812, 1828—1829 და 1853—1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში ლეგენდარული ბრძოლები გადაიხადა და მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. აღნიშნული ომების შედეგად რუსეთს დიდად აუმაღლდა ავტორიტეტი კავკასიაში, გაიზარდა მისი გავლენის სფერო, ხოლო საქართველოს დაუბრუნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარკვეული კუთხეები[36]. მაგრამ მტრის

---

[34] გიორგი პაიჭაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა ბატონობისაგან აჯარის განთავისუფლების შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში („მაცნე“, № 3, 1978, გვ. 5—6).

[35] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956, გვ. 108.

[36] ნ. ქორთუა, საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964, გვ. 421; მ. დუმბაძე, ცარიზმის ბატონობის განმტკიცება, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება, საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ.

ხელში ჯერ კიდევ იმყოფებოდა ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებისათვის, როგორც საქმის ვითარებიდან ჩანს, უკვე ცნობილი იყო, რომ ომი ახლო მომავალში დაიწყებოდა. ამიტომ: „ომის წინ ქართველი პატრიოტები მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდნენ სამხრეთ საქართველოს ქართველებთან. სამხრეთ საქართველოში ომის წინ იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, გ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა“ [37].

ამავე მიმართულებით აწარმოებდა მუშაობას იმდროინდელი პრესაც. მაგალითად, გაზეთ „დროების“ რედაქტორი მოსახლეობას მიმართავდა თხოვნით, რომ გაზეთის რედაქციისათვის მიეწოდებინათ ცნობები სამხრეთ საქართველოს ქართველობაზე. იგი წერდა: „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს მცირედ ცნობას, რომელიც იმ ჩვენ ძმებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“ [38].

სახალხო ლაშქრის შედგენა და საბრძოლო წვრთნაც საქართველოში ადრე დაიწყო. მოსახლეობის სურვილი მილიციის ძალებში შესვლისა უაღრესად დიდი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მაზრას წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა, თუ რამდენი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა, დაწესებულ ნორმას არავინ უყურებდა და ბრძოლაში წასვლის სურვილს მრავალი მამაკაცი აცხადებდა. მაგალითად, „გურიაში სამი ათასი კაცი გამოცხადდა მოხალისედ (დაწყებული ახალგაზრდებიდან, დამთავრებული სამოცი წლის მოხუცებით) მაშინ, როცა მოთხოვნა 1000 იყო. ამ ამბების მოწმე ი. მაჯაევი (ი. მაყაშვილი) წერს, რომ მას შემთხვევა ჰქონდა ენახა, თუ ათი წლის ბავშვები როგორ ეევედრებოდნენ ოფიცრებს, მიეღოთ ისინი ლაშქარში“ [39].

874—877, 882—884; შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 186—197 და სხვ.

[37] ხ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116; აგრეთვე, ალ. ბ ე ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და საქართველო, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 440.

[38] გაზ. „დროება“, № 75, 1975.

[39] ს. ძ ე ბ ნ ე ლ ი ძ ე, აჯარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956, გვ. 52; И. Макаев, Историческая записка I грузинской пеш-дружины, Тиф., 1913, стр. 159.

ისტორიული მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთმა დაუოკებელმა სურვილმა განაპირობა, რომ სულ მალე ჩამოყალიბდა ქართველ მილიციონერთა შენაერთები, რომლებიც რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად საკმაოდ ძლიერ ძალას ქმნიდნენ კავკასიის ფრონტზე. დადგენილია, რომ ომის მსვლელობაში ქართველ მილიციონერთა საერთო რიცხვი 40-ათასს აღემატებოდა [40].

ხსენებული ომის ამსახველ ოფიციალურ ლიტერატურაში, რომელიც პირველწყაროს წარმოადგენს, ნათლად ჩანს, რომ თუშები ომის დაწყებისთანავე კავკასიის ფრონტზე მოქმედებდნენ. იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ისინი თვითონ შეკრებილან, და ალექსანდრე ელიზბარის ძე ნათიევის ხელმძღვანელობით მიდიან მტერთან საბრძოლველად [41].

აღნიშნულ წყაროში თუშები პირველად გვხვდებიან გენერალ დეველის განკარგულებაში მყოფ შენაერთებზე მსჯელობისას. დეველი სარდლობდა იმ არმიას, რომელიც ახალციხიდან არტაანისაკენ და შემდგომ ყარსისაკენ მიემართებოდა. იგი იყო კავკასიის არმიის მოქმედი კორპუსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. კორპუსი გაყოფილი იყო ოთხ ნაწილად და ყველას საკუთარი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული: ოზურგეთიდან ბათუმისაკენ მოქმედ რაზმს ხელმძღვანელობდა გენერალი ოკლობჟიო, ერევნიდან ბაიაზეთისაკენ — გენერალი ტერ-გუკასოვი, ალექსანდროპოლიდან ყარსისაკენ და ერევნიდან ბაიაზეთისაკენ — გენ. გეიმანი და გენ. ტერ-გუკასოვი, ახალციხიდან ყარსისაკენ, როგორც აღვნიშნეთ, გენ. დეველი. კავკასიის ფრონტზე მოქმედი კორპუსის საერთო სარდლად დაინიშნა გენერალი ლორის-მელიქოვი [42].

ისტორიკოსის აღწერით გამოდის, რომ გენერალ დეველის განკარგულებაში მყოფი ცხენოსანი რაზმებიდან თავისი საბრძოლო თვისებებით ყველასაგან გამოირჩეოდა თუშთა მოხალისე ასეული, რომელსაც სათავეში ედგა „კავკასიაში გმირობითა და ვაჟკაცობით ცნობილი მოხუცი ალექსანდრე ელიზბარის ძე ნოთიევი“ [43]. იქვე ვკითხუ-

---

[40] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, გვ. 59.

[41] Война 1877—1878 гг., т. III, Война в Азиатской Турции, под ред. Зикова, С—ПБ, 1882, стр. 81.

[42] ი ქ ვ ე, გვ. 9—10.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 81.

ლობთ, რომ თუშთა მოხალისე ცხენოსანთა ასეულის მეთაურს 31 წლის მანძილზე თავდადებით უმსახურია კავკასიაში მოქმედ სახალხო ლაშქარში, ყოფილა 15 დიდი სამხედრო ექსპედიციის წევრი და ჰქონია კაპიტნის ჩინი [44].

1877 წლისათვის, როცა რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება და კავკასიის ფრონტი ამოქმედდა, თუშთა სახელოვანი გმირი საძოცი წლისა ყოფილა. მაგრამ ასაკს მისთვის ხელი არ შეუშლია. მამაცი თუშებისაგან ცხენოსანთა ასეული შეუდგენია და თვითონ გასძღოლია სამხრეთ საქართველოსაკენ. ისტორიკოსი მოხიბლულია გმირის პიროვნებით და აკი არც იშურებს ეპითეტებს მისი სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად. იგი წერს: «Плотная, здоровая фигура, высокий рост, седые усы, побритые по-запорожски и круто загнутые книзу: такова была наружность этого опытного и закаленного в боях героя» [45].

სამხედრო ისტორიკოსი ნ. ვოლკონსკი პირადად იცნობდა ლეგენდარულ ნათიევს და მრავალი საინტერესო ეპიზოდი აქვს აღწერილი დამადასტურებელი მისი გმირობა-ვაჟკაცობისა [46].

ა. ნათიევის მთელი საბრძოლო საქმიანობა თუშთა ყოფა-ცხოვრებასთან, მათგან სხვადასხვა დროს შედგენილ მოხალისე ასეულთა ბრძოლებთანაა დაკავშირებული, ოფიციალურ ლიტერატურაშიც იგი ყველგან თუშადაა დასახელებული; ვოლკონსკიც, რომელიც მის ვინაობაში შესანიშნავად ერკვევა და მისი ბრძოლების კვალდაკვალ აღმწერია, ნათიევს იცნობს, როგორც თუშეთის ერთ-ერთ სახელოვან გმირად და სოგჯერ საქვეყნოდ ცხობილი შეთე გულუხაიძის გვერდითაც კი აყენებს.

1877 წლის 30 აპრილს ქ. ბაიაზეთის აღების შემდეგ რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა გენერლების — დეველისა და გეიმანის მეთაურობით იერიში მიიტანეს ქ. არტაანზე და ალყა შემოარტყეს მას. მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა საგანგებოდ გაამაგრეს ეს ციხე-ქალაქი და ძლიერი გარნიზონიც ჩააყენეს, ივი გა-

---

[44] Война 1877—1878 гг., стр. 81.

[45] იქვე, გვ. 82.

[46] Н. Волконский, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество), в 1857 году, журн. «Кавказский Сборник», т. I, 1876, Тиф., стр. 383—480; его же, Лезгинская экспедиция (в Дидойское общество) в 1857 году, журн. «Кавказский сборник», т. II, 1877, Тиф., стр. 225—386 и др.

აფთრებული ბრძოლის შედეგად აღებულ იქნა 1877 წლის 5 მაისს. „არტაანის აღება იყო რუსთა ჯარის პირველი დიდი გამარჯვება რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომში“ [47].

არტაანის აღებაში თუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და სრულიად დამსახურებულად დადგნენ მოწინავეთა პოზიციებზე.

არტაანის აღების შემდეგ მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ციხესიმაგრე ყარსის აღება და დაიწყო კიდეც ძლიერი იერიში მის დასაკავებლად. მეომრები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, თურქთა ძლიერ გარნიზონს ვერაფერი მოუხერხეს. მთავარსარდლობა იძულებული გახდა საომარი მოქმედება დროებით შეეჩერებინა და გადამწყვეტი შეტევისათვის მომზადებულიყო. ყარსზე შეტევით დამთავრდა კავკასიის ფრონტზე წარმოებული „კამპანიის პირველი ნახევარი“ [48] და აზიის ფრონტზე ერთგვარი გართულებული სიტუაცია შეიქმნა ივნისიდან ვიდრე ოქტომბრის დაწყებამდე [49].

მართალია, ამჯერად ყარსი აუღებელი დარჩა და რუსთა სარდლობამ იერიში შეწყვიტა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ის ყარსისათვის ბრძოლაზე საერთოდ ხელს იღებდა; ეს იყო მხოლოდ დროებითი წარუმატებლობა, გადამწყვეტი დარტყმისათვის აზიის ფრონტის სარდლობა საგანგებოდ ემზადებოდა.

ციხე-ქალაქ ყარსზე გადამწყვეტი ბრძოლების დაწყებამდე თუშთა ასეულს, რომელსაც ზოგჯერ თიანეთის ასეულიც ეწოდება [50], სხვადასხვა დავალების შესრულება უხდება; იგი ყოველთვის სახიფათო და რთულ პოზიციებზე მოჩანს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ომში მონაწილე თუშ მილიციელებს ხელმძღვანელობა იცნობდა, როგორც უშიშარ და შეუდრეკელ რაზმელებს [51].

თუშთა ასეულის ვაჟკაცური შემართება ნათლად გამომჟღავნდა 1877 წლის 16 ივლისს, როცა მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები იაგნინის სიმაღლისა და მისი მისად-

---

[47] ალ. ბ ე ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, ნარკვევები, ტ. V, გვ 443; Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 54—57.

[48] Война 1877 и 1878 гг... т. III, стр. 91.

[49] ი ქ ვ ე, გვ. 220—228.

[50] თუშთა ასეულს თიანეთის ასეული იმიტომ ეწოდება, რომ თუშეთი ადმინისტრაციულად შედიოდა თიანეთის მაზრაში.

[51] Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 230—232.

გომების დასაკავებლად, რასაც შემდგომი ბრძოლებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჯარისკაცები, უწყლობისა და სიცხისაგან შეწუხებულნი, დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, თანაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს უყურებდნენ თვალებში. აი, ასეთ რთულ ვითარებაში თუშთა ასეულმა კაპიტან ნათიევის ხელმძღვანელობით სასახელოდ შეასრულა დაკისრებული მისია. იმიტომაც, რომ ისტორიკოსი ამ ოპერაციის მონაწილე ყველა ჯარისკაცს აქებს. მაგრამ გაწსაკუთრებულ ადგილს მაინც თეშებს და მათ მეთაურს უთმობს. იგი წერს: Вообще, наши солдаты показали себя в этой рекогносцировке настоящими молодцами. Особенно отличились Северские драгуны, Дагестанцы и Тушинская сотня капитана Натиева. Этот храбрейший кавказский ветеран был при этом ранен, в числе других четырех офицеров. Получив ранение сначала в ногу, потом в голову, Натиев все-таки не слезал с лошади и не оставлял своей сотни, продолжая гарцевать впереди храбрецов-наездников, хотя кровь лила ручьем по его лицу и окрасила его седой казачий ус»[52].

სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ დაიწყო დაჭრილთა მოვლა-პატრონობა. სამედიცინო დახმარება დასჭირდა თუშთა ასეულის მეთაურსაც, მას ხომ ორი ჭრილობა ჰქონდა მიღებული და სისხლით იყო შეღებილი. საინტერესო დიალოგი გაიმართა ექიმსა და ნათიევს შორის, რაც სრულყოფილად ახასიათებს თუში მებრძოლის უშიშარ ბუნებას. აღნიშნულის თაობაზე წყაროში ვკითხულობთ: «Когда, по окончании стычки, доктор делал ему перевязку, его спросили: В который раз он ранен?»—«Сегодня в первый», отвечал добродушно Нотиев. — «Да ведь сегодня вы две раны получили!»—«Положим две, да ведь в одном деле, стало быть надо считать за одно поранение», — с покойной улыбкою отозвался Кавказский герой»[53].

როგორც ცნობილია, კავკასიის ფრონტზე თურქეთის დამარცხებისა და რუსეთის შემდგომი წარმატებებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყარსის ციხე-სიმაგრის რაც შეიძლება მალე აღებას. ქ. არტაანის აღებისთანავე დაიწყო კიდეც შეტევა ყარსზე, მაგრამ მოუმზადებლობის გამო მიზანი ვერ იქნა მიღწეული. რუსეთის მთავრობა კვლავ ფიქრობდა ყარსის დაუფლებაზე, მაგრამ

---

[52] Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 243.

[53] იქვე.

კავკასიის ფრონტზე იმხანად შექმნილი ვითარება ხელს არ უწყობდა და შესაფერის დროს უცდიდა. აზიის ფრონტის ერთგვარი კრიზისული სიტუაცია თანდათან გამოსწორდა და ოქტომბერში დაიწყო საგანგებო შერჩევა-დაკომპლექტება იმ მეომარი ძალებისა, რომელთაც ყარსის ციხე-სიმაგრეზე იერიში უნდა მიეტანათ. თუშთა ასეული ამ რჩეულ საბრძოლო დანაყოფთა შემადგენლობაშია და სხვებთან ერთად ემზადება დიდი შეტევისათვის[54].

ყარსზე საიერიშოდ შერჩეულ რუსთა და კავკასიელთა გაერთიანებულ ძალებს მთავარსარდლობამ საერთო ხელმძღვანელად დაუნიშნა გენერალი ლორის-მელიქოვი და გადაწყდა, შეტევა 1877 წლის 5 ნოემბერს დაწყებულიყო: «5-го ноября, вечером, все войска расположились на указанных местах, и в 8 1/2 часов колонны начали свое боевое движение»[55].

ყარსისათვის წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს ოფიციალური წყარო სხვებთან ერთად ასახელებს თუშთა ასეულსაც, რომელსაც სათავეში პოლკოვნიკ ერისთავს უყენებენ. ერისთავის მეთაურობით ჩატარებულმა ბრძოლებმა მტერი შეავიწროვა, უკან დაახევინა. ახალი და უკანასკნელი იერიში ყარსის ციხე-სიმაგრეზე განხორციელდა 6 ნოემბერს. ყარსის უძლიერესი ციხე-ქალაქი დაეცა და მისი გარნიზონი იძულებული გახდა, ქალაქის გასაღები გადაეცა ლორის-მელიქოვისათვის[56].

ყარსის აღებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა აზიის კამპანიისთვის[57]. ახლა კავკასიის კორპუსს უკვე ყველა მიმართულებით გზა ეხსნებოდა და შეეძლო გადამწყვეტი იერიში მიეტანა ერზერუმზე, ბათუმისაკენ გაჭრილიყო. «Для полного торжества русского оружия на малоазиатском театре войны оставалось только овладеть Эрзрумом и Батумом»[58].

კავკასიის ფრონტზე შემდგომი წარმატებებისათვის ახლა უკეთესი პირობები არსებობდა. თუ ადრე მეომარი ძალების უდიდესი რაოდენობა ყარსის ალყით იყო დაკავებული და სხვა მიმართულებით

---

[54] Томкиев, Материалы для описания русско-турецкой войны 1877—1878 гг., на Кавказском малоазиатском театре, т. III, Тиф., 1907, стр. 4; Война 1877 и 1878 гг., т. III, под. ред. Зикова, стр. 408.

[55] Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 408.

[56] იქვე, გვ. 416.

[57] იქვე.

[58] იქვე, გვ. 417.

ბრძოლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ყარსის აღებით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა და დაიწყო კიდეც დიდი მასშტაბის ბრძოლები.

2 დეკემბერს დაიწყო შეტევა ქ. არტანუჯზე. მიუხედავად ზამთრის სიმკაცრისა და მეტად ძნელი პირობებისა, რუსთა და კავკასიელთა ერთიანმა ძალებმა გენერალ-მაიორ კომაროვის სარდლობით გაათავისუფლა ქ. არტანუჯი და დამპყრობლები განდევნეს ამ მხარიდან [59]. „1878 წლის იანვრისათვის მთელი შავშეთი უკვე რუსეთის ჯარების ხელთ იყო“ [60].

თურქთა სრული დამარცხებისა და სამხრეთ საქართველოს დამპყრობელთაგან განთავისუფლებისათვის ქ. არტანუჯის დაკავების შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა ქ. ერზერუმის გამოხსნა ოსმალებისაგან. ამიტომ კავკასიის კორპუსის სარდლობა ამ ოპერაციისათვის საგანგებოდ მოემზადა.

დამპყრობელიც ციხე-ქალაქ ერზერუმსღა შეჰყურებდა, როგორც ერთადერთ იმედს კავკასიაში და ამიტომ ისიც საგანგებოდ ამაგრებდა მას. ერზერუმის ბლოკადა კავკასიის სარდლობამ დეკემბერში დაიწყო და მეტად მკაცრ და მძიმე პირობებში მოუხდა ბრძოლები ამ ქალაქის აღებისათვის. სიცივემ, შიმშილმა, ეპიდემიამ და სხვა მრავალმა ხელშემშლელმა პირობებმა ერზერუმის ბლოკადის მონაწილენი დიდად შეაწუხა. თითქმის ყოველდღე 10—30 მეომარი კვდებოდა ავადმყოფობის გამო; მძიმე პირობებმა გამოასალმა სიცოცხლეს გენერლები გეიჰმანი, შელკოვნიკოვი, სოლოვიოვი და ლორის-მელიქოვ მეორე. მიუხედავად აღნიშნულისა, რუსთა და კავკასიელთა გაუტეხელმა ნებისყოფამ და ოსმალო-დამპყრობელთაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების დაუოკებელმა სურვილმა სძლია ერზერუმის გარნიზონი, რაზეც უდავოდ დიდი გავლენა იქონია ბალკანეთის ფრონტის წარმატებებმაც დეკემბერ-იანვარში (1877 წლის 10 დეკემბერს რუსთა ჯარმა ბულგარეთში აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი პლევნა; 1878 წლის 20 იანვარს რუსთა ჯარმა უომრად აიღო ანდრიანოპოლი და კონსტანტინეპოლს დაემუქრა და სხვ). 1878 წლის 10 თებერვალს

---

[59] Война 1877 и 1878 гг., I, III, стр. 417.

[60] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., საქ. ისტ. ნარკვ., ტ. V, გვ. 447.

ციხე-ქალაქი მთელი გარნიზონითა და ქონებით კავკასიის სარდლობას ჩაბარდა[61].

ციხე-ქალაქ ერზერუმის წართმევა ოსმალო დამპყრობლებისაგან იყო რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომში უკანასკნელი დიდი სამხედრო ოპერაცია, რითაც ბრწყინვალე წარმატებებით დამთავრდა რუსეთის ჯარის ნაწილებისა და კავკასიელთა, განსაკუთრებით ქართველ მილიციონერთა ასეულების, ათთვიანი ბრძოლების ისტორია ქართველი ხალხის ისტორიული მტრის — თურქეთის წინააღმდეგ მცირე აზიაში[62].

დიდი ხნის ნანატრ გამარჯვებას მალე მოჰყვა დაბა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გაფორმებაც და ომი რუსეთ-თურქეთს შორის დამთავრებულად გამოცხადდა.

ამრიგად, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ორივე ფრონტზე რუსეთმა დიდ წარმატებას მიაღწია და სან-სტეფანოს წინასწარი საზავო პირობებით უაღრესად გაიზარდა კიდეც მისი ავტორიტეტი და გავლენის სფეროები. ცარიზმის ასეთი აღზევება მოსვენებას უკარგავდა ევროპის სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი ინგლისსა და ავსტრიას. ისინი მოითხოვდნენ მოეწვიათ კონგრესი, სადაც მოხდებოდა სან-სტეფანოში გაფორმებული ზავის გადასინჯვა და მისი შეკვეცა რუსეთის უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე. რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო და იძულებული გახდა დაჰყოლოდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს. 1878 წლის 13 ივლისს დაბა სან-სტეფანოს ზავის პირობები შეიცვალა ბერლინის ახალი ზავით, რამაც საკმაოდ შეზღუდა რუსეთის იმპერიის მიერ მოპოვებული მიღწევები. „მიუხედავად ამისა, ომის შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისათვის, ისე ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის“[63].

რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, თურქეთს მძიმე და დამღუპველი უღლისაგან განთავისუფლდა და რუსეთის იმპერიას გადაეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, სახელდობრ, აჭარა-ქობულეთი,

---

[61] Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 420.

[62] იქვე.

[63] ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 451.

შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი [64].

მიუხედავად ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებისა, რაც ყველასათვის სავალდებულო იყო, თურქეთის სულთანი აჭიანურებდა აჭარიდან ჯარების გაყვანას და ათასგვარი მაქინაციებით ცდილობდა კვლავ შეენარჩუნებინა ეს მხარე ბათუმითურთ. რუსეთის პრინციპული პოზიციისა და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის გამო თურქეთი იძულებული გახდა აჭარა დაეტოვებინა და სამუდამოდ წასულიყო: „1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა ნაწილები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა ასერთმა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედა სამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა“ [65].

ცარიზმს ამ ომში, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა [66]. მაგრამ ქართველმა ხალხმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და დიდი ენთუზიაზმი და შემართება გამოიჩინა აღნიშნულ ომში. საქართველომ ბრძოლის ველზე იმდენივე მოლაშქრე გამოიყვანა, რაც „თითქმის ტოლი იყო მოქმედი კორპუსის ჯარების რიცხვისა“ [67].

თურქი დამპყრობლების მძიმე უღლისაგან თანამემამულეთა განთავისუფლება ქართველი ხალხისათვის დიდი ზეიმი და სიხარული იყო. მაგრამ ქართველობამ კარგად იცოდა, რომ ოსმალთა მონობაში ხანგრძლივად მყოფი მოძმენი თითქმის ეროვნულ-ფიზიკური გადაშენების მიჯნამდე იყვნენ მისულნი. საჭირო იყო მათთვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა, მიყენებული წყლულების მოშუშება. უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო პერიოდის ქართველმა ინტელიგენციამ, ქართველმა ხალხმა თავიდანვე გულთბილი თანაგრძნობა გაუწია, საჭირო დახმარება აღმოუჩინა

---

64 ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 451; ხ. ახველედიანი, დასახ. ნაშრომი. გვ. 139, 163.

65 ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 452.

66 Война 1877 и 1878 гг., т. III, стр. 420.

67 შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, გვ. 59.

ახლად განთავისუფლებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მეტად საინტერესოა დიდი ილიას მოწოდება თანამემამულეთადმი: „აბა, ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებს, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“ [68]. ან კიდევ: „ქართველობავ... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და დღეს შენთანვე მოვიდნენ!“ [69]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში კავკასიონის მარადყინულოვანი მთებით გარემოცულმა საქართველოს პატარა კუთხემ — თუშეთმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო. თუშთა ასეულები ჩამოეშველნენ თათართა უღლით განაწამებ თანამოძმეთ და მანამ იომეს რუსთა, ქართველთა და კავკასიის სხვა ეროვნების მეომართა გვერდით, სანამ ისინი ოსმალო დამპყრობთა საუკუნოვანი უღლიდან სამუდამოდ არ განთავისუფლდნენ.

---

[68] „ივერია“, № 9, 1879.

[69] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, 1955, გვ. 31.

თავი VII

თუშეგის მიგრაცია კახეთის გარეშე

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არსებობისათვის ზრუნვა მკაცრი ბუნების პირობებში მცხოვრებ თუშებს უკარნახებდა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ.

ბარელი ქართველებისაგან დიდი მანძილით დაცილებული თუშები ქისტ-ჩეჩნებისა და დიდო-ლეკების გამუდმებული თავდასხმების შედეგად ხშირად აღმოჩენილან სრული მოსპობის საფრთხის წინაშე, განსაკუთრებით, XVII—XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ თანამემამულეთა დახმარებით მათ ბოლომდე გაუძლეს ამაოხრებელ თავდასხმებს და სამშობლო არავის დაუთმეს.

ქართლ-კახეთის მეფეები, თავის მხრივ, ითვალისწინებდნენ თუშეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, აფასებდნენ თუშეთის განსაკუთრებულ ერთგულებას, რაც მეღავნდებოდა თუშებისადმი სამეფო კარის დამოკიდებულებაში. ეს თავის დროზე კარგად შენიშნა დ. ალბანელმა. იგი წერდა: „მიზეზი და მიზანი იმისა, რომ მეფეები კარგად ეჭცეოდნენ თუშებს, იყო ორი: პოლიტიკური და ეკონომიური“ [1].

თუშები ჩრდილოეთიდან დარაჯობდნენ კახეთს, იცავდნენ მას მომთაბარე ტომთა თავდასხმებისაგან. თუშეთის პოლიტიკური მნიშვნელობა ქართლ-კახეთის სამეფოებისათვის XVI—XVII საუკუნეებიდან საგანგებოდ იზრდება. „თუშეთს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ იმ დროს შეადგენდა შესანიშნავ პუნქტს სტრატეგიის მხრივ: თუშეთი წინ ეღობებოდა აღმოსავლეთის მხარეს დიდო-ლეკებს და ჩრდილოეთით ჩაჩნებს კახეთში შემოსევის დროს. აქ თუშე-

---

[1] დ. ალბანელი, თუშების ორი გუჯარი (და როგორ უყურებდა ბარის ქართველობა თუშს მე-18 საუკუნის დამლევს), „კვალი“, 1897, № 52.

ბი ნამდვილი მეცხოვნენი იყვნენ და ამათზე უკეთეს დარაჯებს საქართველო ვერც იშოვიდა იმ დროს. ქრისტ-ლეკი იცნობდა თუშს და თუში იცნობდა ქრისტ-ლეკს"[2]. ი. ცისკარიშვილი წერდა: «Ни одно племя между Кавказскими горцами не славится столько своею храбростью, сколько Тушинское. В каком уголке Кавказа не рассказывают об удальстве Тушин?»[3] იმიერკავკასიელებს საქართველოზე თავდასასხმელად წამოსული მტრის წინააღმდეგ მრავალგზის ამხედრებული თუშების გმირობა და ვაჟკაცობა დიდმა ქართველმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა ლექსად გამოთქვა:

„ნაუჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოუღალავნი,
სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი, ცხვართა მლალავნი!
თქვენი ჯირიმე, თუშებო, ბიჯობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზედ ლესულა"![4]

გარდა პოლიტიკური ღირებულებისა, როგორც აღინიშნა, თუშეთს საქართველოსათვის ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართველი მეფეები ცდილობდნენ, რომ თუშეთისათვის ეკონომიკური წინსვლის საშუალება შეექმნათ. ქართლ-კახეთის მეფეები ოფიციალური სიგელ-გუჯრებით თუშებს საძოვრებად უმტკიცებენ კახეთის ველ-მინდვრებს, კერძოდ, ალონის დიდ მინდორს, პანკისის და ლოპოტის ხეობებს[5]. როგორც ჩანს, კახეთის მეფეები ასეთ ლონისძიებებს ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან ახორციელებდნენ[6].

მაღალმთიანი თუშეთის მკაცრი ჰავა, არსებობის უკეთესი პირობების ძიება იყო ის უმთავრესი მიზეზი, რაც თუშ მოსახლეობას დაბლობისაკენ ეწეოდა. თუშებმაც ალონის (ალვანის) ველზე ჩამოსახ-

---

[2] დ. ალბანელი, თუშების ორი გუჯარი (და როგორ უყურებდა ბარის ქართველობა თუშს მე-18 საუკუნის დამლევს), „კვალი", 1897, № 52.

[3] И. Цискаров, Записки о Тушетии, К., 1849, № 13; იხ. აგრ. Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, С—Пб., 1871, стр. 288.

[4] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1954, გვ. 54.

[5] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd, საბუთი № 10063.

[6] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 163; შდრ. М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Гианетского уезда, Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государ. крестьян Закавказского края, т. V, 1887, стр. 423.

ლება-დამკვიდრება დაიწყეს. თუშეთის მოსახლეობა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე კავკასიონის მთაგრეხილებს შორის სახლობდნენ, თანდათანობით იწყებდნენ გადმოსვლას ჯერ ზამთრის პერიოდში დროებით საცხოვრებლად, ხოლო შემდეგ მუდმივად სახლდებიან კახეთში, ალონის ველზე.

თუშეთის მოსახლეობის კახეთის ბარში ჩამოსახლების შესახებ ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი. მათი ჩამოსახლების დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ სავარაუდო შეხედულებანი მოგვეპოვება, მაგრამ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და მთლიან წარმოდგენას ვერ გვიქმნიან აღნიშნული საკითხის შესახებ.

მართალია, თუშები და წოვა-თუშები დიდი ხნის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ თუშეთში და ქართულ ნიადაგზე გაერთიანდნენ, მაგრამ მათ ერთდროულად არ დაუწყიათ ჩამოსახლება. წოვებმა თითქმის ერთი საუკუნით ადრე დატოვეს თუშეთი და სამოსახლოდ ისტორიული ალვანის ველი აირჩიეს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ბარის მოსახლეობისათვის შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა, თუშეთის მდგომარეობა რამდენადმე გართულდა, გამწვავდა მათი ურთიერთობა ქისტ-ჩეჩნებთან, რომლებიც ახლა ძველ თავდამსხმელებს — „ლეკებს“ მიემატნენ. ამ შემთხვევაში შედარებით უფრო უნდა გართულებულიყო წოვების მდგომარეობა, რადგან, როგორც ვიცით, ქისტ-ჩეჩნებს მათთან უფრო დიდი მტრობა ჰქონდათ, ვიდრე თუშებთან. ალბათ ამ გარემოებითაც აიხსნება, რომ წოვა-თუშებმა პირველებმა იწყეს გადმოსახლება კახეთის ბარში, ხოლო თუშებმა უფრო მოგვიანებით, XIX ს-ის 20—30-იანი წლებიდან, თანაც კანტი-კუნტად, შედარებით ნელი ტემპით. თუშების მასობრივი ჩამოსახლება კი კახეთის ბარში ჩვენი საუკუნის 10—20-იანი წლებიდან იწყება.

ი. ბუქურაული, რომელიც თუშეთიდან წოვების ალვანის ველზე ჩამოსახლების საკითხს ეხება, შენიშნავს: „როდის დაანებეს თავი წოვებმა წოვათას და გადმოსახლდნენ ალვანში, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, სიბნელით არის მოცული, მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისინი მეთვრამეტე საუკუნეზე ადრე უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი, რადგანაც მეფე თეიმურაზ II-ის დროს ალვანში

იხსენიებიან, როგორც ერთი გუჯარი ჰმოწმობს“ [7]. პროფ. სერგი მაკალათიას მიხედვით, წოვების კახეთში ჩამოსახლება XVIII საუკუნეს მიეწერება. „წოვა-თუშების ალვანში გადასახლება, — წერს ს. მაკალათია, — დაიწყო ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან, როდესაც მოსახლეობა ქრისტ-ლეკების გამანადგურებელ თავდასხმას ვერ უძლებდა“ [8]. პროფ. თ. უთურგაიძე კი აღნიშნავს, რომ „თუშებმა ბარად ჩამოსვლა იწყეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში“ [9]. ვ. ლაგაზიძის მიხედვით, თუშეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის — წოვა-თუშების დასახლება ალვანის ველზე იწყება XVIII ს-ის 80-იან წლებში [10].

გ. რადე შრომაში „Хевсурия и хевсуры“ ეხება კახეთის ბარში თუშების ჩამოსახლების საკითხს და შენიშნავს, რომ წოვების დასახლება ალვანის მინდვრის დასავლეთ კუთხეში 150 წლის წინ მომხდარა. გ. რადეს მიხედვით გამოდის, რომ თუშეთის ერთი საზოგადოების — წოვების ბარში საცხოვრებლად ჩამოსვლა დაწყებულა XVIII ს-ის 20-იან წლებში [11].

თეიმურაზ II-ის მეფობის დროინდელ სიგელ-გუჯრებიდან თუშებისათვის ალონის (ალვანის) საძოვრების სამემკვიდრეოდ გადაცემის შესახებ დღემდე შემორჩენილია მხოლოდ ერთი გუჯარი, რომელიც თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს გაუციათ 1757 წლის 7 თებერვალს. აღნიშნული სიგელიდან მტკიცდება, რომ ალონად წოდებული ადგილ-მამული ადრეც, ე. ი. თეიმურაზ II-ის მამა-პაპის დროსაც, თუშებს ჰქონდათ ნაწყალობევი და ქართლ-კახეთის მეფეებიც განმეორებით უმტკიცებდნენ თუშებს აღნიშნულ ტერიტორიას. „ესე ჟამთა და ხანთა გამოსადეგი წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს მამა-პაპათაგან ნამსახურთ დიდად ერთგულ ყმასა ჩვენთა სრულ ერთობილთ თუშთ—დიდთა, პატარათა, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალო-

---

[7] ი. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), ჟურნ. „მოამბე“, 1897 წ. № 9, გვ. 43.

[8] ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 128.

[9] თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 1.

[10] В. Лагазидзе, Историко-эконографическое прошлое Тушетии. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата ист. наук. Тб., 1967, стр. 20.

[11] Г. Радде, Хевсурия и хевсуры, Записки кавказского отдела императорского русского географического Общества, кн. XI, вып. 2, Тб., 1881, стр. 313—314.

ნი, ადგილი ჩვენი სახასო, საღალო სადგომათ და ბალახი საქმოდ; ისე რომ ჩვენს მამა-პაპათაგანაც წყალობად ჰქონდათ. და ჩვენც ამრიგად ისე გვიბოძებია... ამრიგად, ასე წყალობა გვიქნია: საცა ალონის ადგილში სოფელი არ ყოფილიყოს და დღეს არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან იქ სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ. თქვენთვის და შვილთა თქვენთვის ამრიგად გვიბოძებია ჩვენად ერთგულებისათვის და სამსახურისათვის სამკვიდროდ“ [12]. სიგელის მიხედვით, ვფიქრობთ, საეჭვოა, რომ ალონის მინდორი მაშინ საერთოდ დასახლებული ყოფილიყო (თუნდაც მისი გარკვეული ნაწილი). წოვები რომ 1757 წლისათვის ალონის მიწა-წყალზე ყოფილიყვნენ უკვე დასახლებულნი, მაშინ სიგელში აღნიშნული არ იქნებოდა — „გიბოძეთ ალონი... საღალო სადგომათ და ბალახი საქმოდ“. ან კიდევ: „ვინცაკენ მოსნეკდეს საღალოს მიწას, ღალა ჩვენ უნდა მოგვცემოდეს, და თქვენ, როგორც ძველთაგან, ან საბალახე და საფოთლე გრთმეოდესთ და საკომლო ისე გამოგერთმეოდესთ“.

1781 წელს ერეკლე მეფის მიერ თუშეთის მოურავ დურმიშხანისადმი გაცემულ გუჯარში ვკითხულობთ, რომ „მაგათი (თუშების) ცხვრის დასაყენებელი ადგილი ლოპოტის ხეობა ყოფილა, ალვანი და პანკისი; ახლაც ამ სამს ალაგას უნდა დააყენონ“ [13]. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ საძოვარი ადგილებით სარგებლობის შესახებ.

1797 წელს ერეკლე მეფეს საგანგებოდ გაუფრთხილებია თუშეთის მოურავი, თუშები, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ მაღრანელების, ლალისყურელებისა და ფშავლელებისათვის, რომელთაც ალვანის გარკვეული ადგილის სახნავად გამოყენება დაუწყიათ: „თუშთ მოურაო, ეს საქმე შენთვის გვიბრძანებია, — წერს მეფე ერეკლე, — ვინც უარს ამბობდეს, დაუშალე და მოახვნევინე“ [14]. როგორც ეტყობა, თუშეთის მოსახლეობას, ამ შემთხვევაში წოვებს, 1797 წლისათვის მეფისაგან არა აქვთ დამკვიდრებული ალვანის ე. წ. საღალე მიწები. 1757 წელს თუშების სახელზე გაცემული გუჯარი კი, როგორც ჩანს, გუ-

---

[12] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბუთი № 10063 „დ“.

[13] ი ქ ვ ე, საბ. № 10063 „გ“.

[14] ი ქ ვ ე, საბ. № 10063 „ა“.

ლისხმობდა, რომ ალვანის საღალე მიწები უქმად არ დარჩენილიყო და ხაზინას მისგან სათანადო ღალა მიეღო. სწორედ ასეთი უფლებით უსარგებლიათ სოფლების — მაღრანის, ლალისყურის და ფშავლის მცხოვრებლებს და ალვანის ნოყიერი ველების ერთი ნაწილის ხვნა-თესვას შესდგომიან. ჩვენი აზრით, ეს გარემოება, შესაძლებელია, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ თუშები და წოვა-თუშები ალვანში საცხოვრებლად ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსულნი. ალვანს ისინი საგანგებოდ იცავდნენ, როგორც საზამთრო საძოვრებისათვის საჭირო ადგილს.

ალვანის მინდვრების მოხვნა გამოიწვევდა საძოვრების შემცირებას. სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ თუშები ალვანის საღალე მიწების მოხვნის უფლებას არ აძლევენ მაღრანელებს, ლალისყურელებს და ფშავლელებს. თუშები რომ ალვანს ძირითადად საძოვრებად იყენებდნენ და მის ნოყიერ მინდვრებს არ ხნავდნენ XIX საუკუნეშიც კი, აღნიშნული აქვს ნ. დუბროვინს. იგი წერს: «Само Алванское поле, будучи одним из плодороднейших мест Западной Кахетии, совершенно не обработано и употребляется тушинами только для пастьбы скота и огромных отар»[15].

ვახუშტი ბატონიშვილი საინტერესო ცნობებს იძლევა ალონის (ალვანის) ველისა და კახეთთან თუშების დამოკიდებულების შესახებ. ვახუშტი წერს, რომ „ამ ციხესა (საუბარია ბახტრიონის ციხეზე, ვ. ე.) და ლალისყურის შუა არს ველი ალონად წოდებული და სანადირო კეთილ ფრიად“ [16]. თუშეთის მოსახლეობისა და მისი ყოფა-ცხოვრების აღწერისას იგი ამბობს, რომ „არამედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მკარსა შინა და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“ [17].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვითაც არ გვეძლევა არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ თუშებისა და წოვა-თუშების თუშეთიდან ჩამოსახლება მე-17 საუკუნიდან კი არა, მე-18 საუკუნიდანაც კი უეჭველად მივიჩნიოთ.

ვახუშტი ბატონიშვილთან გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს გა-

---

[15] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, кн. II, 1871, стр. 286.

[16] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 102.

[17] იქვე, გვ. 105.

მოთქმა — „არამედ კახეთის თუშნი“, რომელიც მართალია გვაფიქრებინებს, რომ ვახუშტის დროს თუშებს კახეთში უცხოვრიათ და მათ „კახეთის თუშები“ ეწოდებოდათ. ვახუშტის მიხედვით ჩანს, რომ საქმე გვაქვს თუშეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან, რომელიც საზამთროდ კახეთში ჩამოდის საცხოვრებლად.

ჩვენი აზრით, „კახეთის თუშებში“ ვახუშტი უნდა გულისხმობდეს თუშეთის სამ საზოგადოებას: ჩაღმას, გომეწარს და წოვას, რადგან „კახეთის თუშების“ დახასიათების შემდეგ აღწერს „ფარსმის საზოგადოების“ თუშებს: „ხოლო ფარსმანი უფროჲს მწირ არს (შედარებით კახეთის თუშეთთან, ე. ი ჩაღმა-გომეწარ-წოვათასთან, ვ. ე.), გარნა ამათ მიერ (ე. ი. კახეთის თუშებისაგან, ვ. ე.) იგინიცა გამოიზრდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ“ [18].

ვახუშტი, როდესაც ეხება კახეთის სამეფოსთან თუშეთის საზოგადოებების სოციალური დამოკიდებულების საკითხს, უკვე აშკარას ხდის, რომ ფარსმისა და ჩაღმა-გომეწარ-წოვათის მცხოვრებნი ამ მხრივაც განსხვავდებიან და წერს: „არამედ იგინი (ფარსმის საზოგადოების თუშები, ვ. ე.) არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი (კახეთის თუშები, ვ. ე.) მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან“.

ვახუშტის ამ გამოთქმულ მოსაზრებას ეხება აკად. ს. ჯანაშია და შენიშნავს „მაშასადამე, კახეთის თუშნი უშუალო ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ კახეთისაგან და ამით აიხსნება მათი ყმობაც კახეთის მეპატრონეთაგან; ხოლო ფარსმანის თუშნი დამოკიდებულნი იყვნენ პირველთა მეშვეობით და ამით აიხსნება, რომ ისინი კახეთის მეპატრონეთ არ ყმობდნენ“ [19].

ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილი „კახეთის თუშებში“ გულისხმობს თუშეთის სამი საზოგადოების: ჩაღმის, გომეწრისა და წოვათის მოსახლეობას, თუშეთის მეოთხე საზოგადოების — ფარსმის თუშების საპირისპიროდ; გამორიცხულია, რა თქმა უნდა, „კახეთის თუშებში“ იგულისხმებოდნენ კახეთში მცხოვრები თუშები.

ვახუშტის შემდეგ კახეთთან თუშეთის ურთიერთობისა და ალვანის ველის დასახლების შესახებ საყურადღებოა გიულდენშტედტის ცნობები.

---

[18] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 105.

[19] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 458.

გიულდენშტედტი საქართველოში 1771—1772 წლებში ყოფილა. მას თბილისიდან თელავამდე ერეკლე მეფე ჩამოჰყოლია, ხოლო თელავიდან მისთვის ერეკლეს სანდო თავადები გაუყოლებია და დაუვალებია, რომ ალაზნის ველზე დასახლებული სოფლები ეჩვენებინათ მისთვის. კახური სოფლების დათვალიერება მეცნიერს და მის თანმხლებთ სოფ. ყვარლიდან დაუწყიათ, ალაზნის საწინააღმდეგო მიმართულებით. გიულდენშტედტი გზადაგზა აღწერს თითოეულ სოფელს. 1772 წლის 18 მარტს იგი ღამის გასათევად სოფ. ლალისყურში შეჩერებულა. გიულდენშტედტი წერდა: „აქედან (ლალისყურიდან, ვ. ე.) დასავლეთით, 1/4 საათის სავალზე, არის სოფელი ტახტიციხე, ხოლო იქიდან, 1/4 საათის გზაზე დასავლეთით — მაღრაანის ციხე, მდ. ფშას დასავლეთ ნაპირზე. იქიდან კი, 1 1/2 საათის მოშორებით, დასავლეთით, არის სოფელი ბახტრიონი, რომელიც მდებარეობს მთის ძირში და მდ. ალაზანზე; ალაზანი აქ გამოდის მთისწინეთიდან. ეს არის ალაზნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე უკანასკნელი ადგილი“ [20].

აკად. გიულდენშტედტი, როგორც მისივე აღწერიდან ჩანს, ლალისყურიდან გაჰყოლია გზას ალვანის ველის მიმართულებით, მას ლალისყურისა და ალვანის ველს შორის გაშენებული სოფელი ტახტიციხე, შემდგომი აღწერების მიხედვით, ტახტის სოფლად წოდებული, მოხსენიებული აქვს, შემდგომ ეხება ალვანის ველის ჩრდილოეთით მდებარე მაღრანის ციხეს და ამთავრებს სოფ. ბახტრიონის აღწერით. ლალისყურიდან ბახტრიონამდე მოსული მეცნიერი, რომელსაც ალვანის მინდორი მთლიანად დაუთვალიერებია და მოუვლია, იქ მყოფი თუში მოსახლეობის შესახებ არაფერს ამბობს. იგი სხვა ადგილასაც ეხება ალვანის ველს და შენიშნავს: „ბახტრიონიდან 1/2 საათის სავალზე აღმოსავლეთით, 3-ოდე ვერსზე, ალაზნის იმავე ნაპირზე დაბლობზე არის ნაშთები და განსაკუთრებით ეკლესია ქალაქ ალვანისა, რომელიც ძველად მეფის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. კიდევ 3 ვერსზე აღმოსავლეთით არის ჯერ კიდევ დასახლებული მაღრანის ციხე“ [21].

გიულდენშტედტის მიერ ალვანის ველის აღწერა იმდენად სრუ-

---

[20] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, 1962, გვ. 35.

[21] იქვე, გვ. 47.

ლია, რომ იქ თუშთა მოსახლეობის არსებობა მას მხედველობიდან არ გამოეპარებოდა. გიულდენშტედტის ცნობები სარწმუნო ჩანს. ამას ადასტურებს, ჩვენი აზრით, ისიც, რომ თუშეთის სოფლების ჩამოთვლისას ის თავიდანვე წოვა-თუშებით დასახლებულ სოფლებს: წოვა (წარო, ვ. ე.), საგირთა, ეტელთა (ეთელთა, ვ. ე.) და ინდურთას ასახელებს, თანაც შენიშნავს, რომ „პირველ ოთხ სოფელში ლაპარაკობენ ქართულნარევ ქისტურად. მცხოვრებლები შესაძლებელია, უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ"[22]. აღნიშნული აღწერიდან უკვე აშკარაა, რომ გიულდენშტედტის მიერ ალონის ველის დახასიათების დროს წოვები თუშეთში არიან და ჯერ მათ ალონში სოფლები არა აქვთ გაშენებული.

გასათვალისწინებელია ალონის ველზე წოვების დასახლების თავისებურებაც, კერძოდ, წოვები თუშეთიდან კახეთში ჩამოსახლების შემდეგაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მარტო ზამთრობით ცხოვრობდნენ კახეთში, ზაფხულობით კი მთელი ჯალაბობით კვლავ მთას უბრუნდებოდნენ, ხოლო გიულდენშტედტი ალვანში იმყოფებოდა მარტში. ამ თვეში კი (იმ შემთხვევაში, თუ წოვები ზამთრობით მაინც იქნებოდნენ ბარში) გიულდენშტედტი მათ აუცილებლად ნახავდა და თავის აღწერაშიც შეიტანდა წოვურ სოფლებს. ცნობილია, რომ ალვანის ველზე ჩამოსახლებულმა წოვებმა იმთავითვე ოთხი სოფელი შექმნეს: ფხაკალ-ყურე, გურგალ-ჭალა, წოწორა (წიწალ-ყურე, წინა ყურე) და ალვანი.

XVIII საუკუნის კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრები, როგორც ცნობილია, დღეისათვის ჯერ კიდევ არაა მიკვლეული. აკადემიკოსი თაყაიშვილმა მიაგნო მხოლოდ აღწერის დავთრების სხვადასხვა ზომის ექვს ნაწყვეტს, რომელიც, მართალია, დიდად დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთ სოფელზე მაინც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას. ერთი მათგანი ალვანის ველსა და მის ტერიტორიაზე გაშენებულ სოფლებს ეხება. ესენია: ფიჩხოვანი, მაღრანი, ნაპანკისევი, წინუბანი, კუწახტი, ქორეთი, მარილისი, მატანი, ქორდი, ბახტრიონი, უტო, ხორხელი[23].

---

[22] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გვ. 263.

[23] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930, გვ. 16, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1607.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ აღნიშნული აღწერა დაახლოებით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა მომხდარიყო[24]. თუ ეს ასეა, ალვანის ტერიტორიაზე წოვებს რომ სოფლები ჰქონდათ იმ პერიოდში აშენებული, ისინი უეჭველად იქნებოდნენ აღნიშნული ბახტრიონ-ფიჩხოვან-მაღრანთან ერთად.

1801—1802 წლების კახეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის დროს რუს მოხელეებს ხელთ ჰქონდათ XVIII საუკუნის საქართველოს ყველა სოფლის აღწერის დავთარი[25], რომლითაც ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ აღნიშნული დავთარი ჯერჯერობით მიუკვლეველია[26].

1801—1802 წლების კახეთის ხალხის აღწერაშიც ალვანის ველზე არ არის აღნიშნული არც ერთი სოფელი, რომელიც წოვა-თუშებისა და თუშების ბარში ცხოვრებაზე მიუთითებდეს. ჩამოთვლილია სოფლები: „ბახტრიონი, ფიჩხოვანი, არგოხი, მაღრანი, ახადული, ლალისყური, ტახტისოფელი, იულთა...“[27] ალვანის ველზე სხვა სოფლების არსებობის შესახებ კომისიის წევრები არაფერს ამბობენ. აქვე შევნიშნავთ, რომ აღმწერლები კნორინგისაგან საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებული, რომ არაფერი გამორჩენოდათ. იგი ავალებდა კომისიის ხელმძღვანელსა და წევრებს, რომ მუშაობის დროს შეედგინათ სწორი გეგმები ქალაქებისა და სოფლებისა, რუკაზე გადაეღოთ სოფლები, ეკლესიები, ეკლესიები და სხვა, აღენიშნათ, „თუ ვინ ცხოვრობს იმ სოფლებში, ვის ეკუთვნის — ხაზინას, ეკლესიას, საქართველოს სამეფო გვარის წევრთ, თუ ბატონთ... თუ მამრობითი და მდედრობითი სქესის სულთა რიცხვის ცალ-ცალკე გაგება შეუძლებელია, უაღრესად ეცადეთ თვითეულ სოფელში მოსახლე კომლთა ანუ ოჯახთა რიცხვი მაინც შეიტყოთ: ცალკე ქართველთა, ცალკე სომეხთა, ცალკე თათართა, ცალკე ოსთა, ცალკე ებრაელთა და სხვა ეროვნებათა. უკეთუ სადმე საგნების ამოცნობაში რაიმე დაბრკოლება შეგვხვდებათ, შეგიძლიათ ამისათვის მიმართოთ გარეშე პირთ, რაშიაც დაგეხმარებიან...

---

[24] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 18 (ხელნაწერთა ინსტიტუტის აღნიშნულ ფონდს კი ასეთი განმარტება აქვს გაკეთებული — „კახეთის მოსახლეობის აღწერა 1780 წლის ახლოს“).

[25] Акты, т. I, стр. 487, № 1565.

[26] გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, საქართველოს არქივი, წიგნი III, 1927, გვ. 120.

[27] ი ბ ი ვ ე, გვ. 121.

მოურავნი და ბატონნი იმ ადგილთა და სოფელთა, მაგრამ ამათ ყველაზე ნაკლებ უნდა დაუჯეროთ, ვინაიდან ისინი თავიანთ გლეხთა რიცხვსა და სარგოს რაოდენობას ჩვეულებრივ ამცირებენ...“ [28] ამიტომ ვფიქრობთ, რომ წოვები XIX ს. დამდეგსაც არ იყვნენ დასახლებული ალონის ველზე, თორემ ისინი აღწერაში თავის ადგილს იპოვიდნენ.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთი ახლად შემოერთებული საქართველოს სოფლების, ქალაქებისა და მათი მცხოვრებლების კომლობრივი რაოდენობის დადგენით დიდად იყო დაინტერესებული და ხშირად მიმართავდა საქართველოს მოსახლეობის აღწერას.

1802 წლის მონაცემებშიც თელავის მაზრის სოფლებს შორის ჩამოთვლილია სოფლები: „ფშაველი, ლალისყური, ტახტის სოფელი, ახადელი, არგოხი, მაღრანი, ფიჩხოვანი, ოთხ-თვალი, ბახტრიონი...“ [29] მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სოფლებიდან არც ერთი არაა დასახელებული. ასეთივე ვითარებაა 1804 წ. აღწერის მიხედვითაც.

1806 წლის 19 ნოემბერს ლიტვინოვი ატყობინებდა მთავარმართებელ გრ. გუდოვიჩს, რომ გასული წლის ივნისის თვეში 300 თუში მამაკაცი გადმოვიდა მთებიდან და შეიკრიბნენ თელავის მაზრის სოფელ ბახტრიონშიო. თუშებმა დაარბიეს ადგილობრივი მოსახლეობა, დაუნგრიეს მათ საცხოვრებელი სახლები[30]. ლიტვინოვის წერილიდანვე ვიგებთ, რომ სოფ. ბახტრიონის მოსახლეობის დარბევის შემდეგ თუშები ისევ მთებში, ე. ი. საზამთრო საცხოვრებელ მხარეში— თუშეთში გადასულან [31].

აღნიშნული ფაქტიც ერთგვარად იმაზე მიუთითებს, რომ წოვების ჩამოსახლება ალვანში XIX საუკუნის დასაწყისისათვის შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ. ლიტვინოვის ხსენებული წერილიდან საინტერესოა შემდეგი ადგილი: «А как Тушинцы перешли в зимних жилище, то представляя обстоятельство сие в рассмотрение в.с., осмеливаюсь спрашивать, не угодно ли будет предписать употребить законом повелеваемую строгость или, уважая местное положение и способы, какие жители имеют как к

---

[28] გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, საქართველოს არქივი, წიგნი III, 1927, გვ. 120.

[29] Акты, т. I, стр. 472.

[30] Акты, т. III, стр. 212.

[31] იქვე, გვ. 212.

защите своей, так и к переселению, требовать только возврата похищенных вещей без дальнейших исследований, а претензии их на Бахтрионских жителей за отнятую у них землю, о чем производится в Телавском Уездном Суде дело, не угодно-ли будет предписать решить без замедления, дабы обе стороны могли получить удовлетворение».[32]

როგორც ვხედავთ, თუშები სჯიდნენ ბახტრიონელებს იმისათვის, რომ მათ თურმე თუშთა მიწა (საძოვარი ადგილი) მიუთვისებიათ და ეს საქმე თელავის სამაზრო სასამართლოს განხილვის საგნად ქცეულა. ცნობილია, რომ წოვა-თუშები თავდაპირველად (დაახლოებით სამი ათეული წლის მანძილზე) მარტო ზამთრობით ჩამოდიოდნენ კახეთში, ხოლო ზაფხულობით ისევ თუშეთში გადადიოდნენ. 1805 წლისათვის კი ალვანის ველზე წოვების მიერ გაშენებული სოფლები არ ყოფილა. ჩვენ შევისწავლეთ მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც წლების მანძილზე დაგროვილია თუშებსა და ბახტრიონელებს შორის მიწის თაობაზე გამართული დავის გამო. ოფიციალური დავა, რომელშიც მთავრობა ღებულობდა მონაწილეობას, ბახტრიონელებსა და თუშებს შორის 1806 წლიდან დაწყებულა[33]. დავა ეხებოდა ალვანის მინდვრის იმ ნაწილს, რომელსაც ბახტრიონელები სახნავად იყენებდნენ, ხოლო თუშები მასზე სამამულო უფლებას აცხადებდნენ. საქმე გაჭიანურებულა. ეს მასალა რამდენიმე საგულისხმო ცნობას შეიცავს კახეთის ბარში წოვა-თუშებისა და თუშების მოსახლეობის შესახებ[34]. აქ პირველადაა აღნიშნული წოვა-თუშებით დასახლებული სოფლები— ფხავალყურე და ალვანი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან ისინი უკვე ჩამოსახლებულან ალვანის ველზე.

ალვანში თუშეთის მოსახლეობის ჩამოსახლების ისტორიას გარკვეულ შუქს ჰფენს თუშებსა და ფშავლებს შორის მთის საძოვრებზე გამართული დავაც. ფშავლებსა და თუშებს შორის სადავო საძოვარი მიწებია: პანკისის ხეობა, ტბათანა, მასარა, მიწის-ხიდი და ქვაჩადალა. ეს დავაც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელებულა[35].

ფშავლები და თუშები ერთიმეორეს უმტკიცებენ ზემოდასახელებული ადგილების მფლობელობის უფლებებს და საინტერესო საბუ-

---

[32] Акты, т. III, стр. 212.
[33] საქ. ცსსა, ფ. 254, საქ. 856, ფურ. 5.
[34] საქ. ცსსა, ფ. 254, საქ. 856, 1087.
[35] საქ. ცსსა, ფ. 26, აღწ. 6, საქ. 1421.

თები მოაქვთ. თუშების მხრივ წარმოდგენილ ისტორიულ საბუთებში ვხვდებით რამდენიმე საგულისხმო თარიღსა და სარწმუნო ცნობას, ოოქელთაც, ჩვენი აზრით, გარკვეული შუქი შეაქვთ თუშეთის მკვიდრი მოსახლეობის კახეთის ბარისაკენ ლტოლვის ახსნის საქმეში.

გიორგი მეფეს 1798 წლის 22 დეკემბერს წოვათა საზოგადოების უფროსებისა და, საერთოდ, წოვებისათვის, უფლება მიუცია, რომ საცხოვრებლად ტბათანა აერჩიათ[36]. მასვე 1800 წლის 31 ივნისს დაუვალებია ბატონიშვილ ბაგრატისათვის, რომ ფშავლები და თუშები შეეკრიბა და მათ შორის აღძრული დავა პანკისისა და ტბათანის საზღვრების შესახებ მათივე თანდასწრებით გადაეწყვიტა, თანაც გაეთვალისწინებინა წოვების თხოვნა ტბათანის საცხოვრებლად მიცემის შესახებ. გიორგი ავალებს ბაგრატს, რომ ტბათანა და პანკისი წოვებისათვის გადაეცა[37]. მაგრამ გიორგი XII-ის გარდაცვალების გამო ეს დავალება ვერ შესრულებულა.

წოვებისათვის საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანის გადაცემა XIX საუკუნის 10-იანი წლებისთვისაც არ არის დამთავრებული. მაგალითად, 1819 წელს სახელმწიფო ექსპედიციის მრჩეველი ივანე ანდრონიკაშვილი აღნიშნავდა, რომ ეს დავა გრძელდება „და არცა უწყი მე სწორედ, რომ როდის შესრულდება გამოძიება ზემოხსენებულის საქმისა“[38].

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, წოვა-თუშებსა და ფშავლებს შორის დავა აღნიშნული მიწების შესახებ მედიატორების სასამართლოს გადაუწყვეტია 1819 წლის სექტემბერში. მედიატორების გადაწყვეტილებით, „პანკისი და ტბათანა თავისი საზღვრებით გადაეცა სამუდამო მფლობელობაში თუშებს, ხოლო მიწის ხიდი, ქოჩადალები და მასარა — თუშებს (უნდა იყოს ფშავლებს. ვ. ე.)“[39]. წოვები მედიატორების გადაწყვეტილებაზე არ დათანხმებულან და კვლავ აღუძრავთ საკითხი სადავო მიწების თანაბრად გაყოფის შესახებ.

ჩვენ მიერ მოპოვებული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ წოვებსა და ფშავლებს შორის ატეხილი დავა ხსენებული მიწების

---

[36] საქ. ცსსა, ფ. 26, აღწ. 6, საქ. 1421, ფურ. 162—163.
[37] საქ. ცსსა, ფ. 26, აღწ. 6, საქ. 1421, ფურ. 162—163.
[38] საქ. ცსსა, ფ. 26, აღწ. 6, საქ. 1421, ფურ. 14—19.
[39] იქვე, გვ. 37—38.

შესახებ 40-იან წლებშიც გრძელდება. მაგრამ ეს დავა, როგორც ეტყობა, შეეხებოდა მიწისხიდს, ქვაჩადალებს და მასარას. ტბათანას, როგორც სამოსახლო ადგილს, წოვები იყენებდნენ უკვე XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან. წოვების მიერ თუშეთის დატოვება და საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანის დაკავება XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის დამთავრებულ ფაქტად მიგვაჩნია.

ი. ბუქურაული თუშეთიდან წოვების წამოსვლისა და მათ მიერ საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანის არჩევის მიზეზს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „ამ საუკუნის დასაწყისში — საგირთაში მოვიდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც ისე წაახდინა სოფელი, რომ სახლი კი არა, ქვაც აღარ დაუნარჩუნებია ქვაზე. მცხოვრებლებმა თავი დაანებეს სოფელს; ამის შემდეგ რამდენსამე წელიწადს ისევ წოვათაში გადადიოდნენ, შემდეგ, რუსეთის მთავრობას სთხოვეს ზაფხულში საცხოვრებლად ტბათანის მთა. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. ეს მოხდა ამ საუკუნის ორმოცეულ წლებში. საგირთელებმა თავი დაანებეს წოვათას. მათ მიჰყვნენ სხვა სოფლის წოვებიც და მის შემდეგ წოვათას აღარ გადადიან და რჩებიან ტბათანაში“ [40].

თუ რა ცნობებს ეყრდნობა ი. ბუქურაული, ეს მისი შრომიდან არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ წოვებს მეფის მთავრობისათვის ტბათანის მთა თავდაპირველად XVIII საუკუნის ბოლოს უთხოვიათ და არა XIX საუკუნის დასაწყისიდან. ალბათ მართლაც წალეკა ნიაღვარმა წოვათის ერთ-ერთი დიდი სოფელი — საგირთა მთლიანად თუ ნაწილობრივ (აღნიშნული შემთხვევის აღწერას სხვა მკვლევრებთანაც ვხვდებით), მაგრამ ეს შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ წოვების მიერ წოვათის დატოვების შესახებ XVIII საუკუნის დასასრულს აღძრული საქმის ერთ-ერთ დამაჩქარებელ მიზეზად და არა საჩივრის დაწყების საფუძვლად.

მ. მაჩაბელიც წოვების მიერ წოვათის დატოვების მიზეზად წყალდიდობასა და ზვავებს ასახელებს [41]. ივ. ბუქურაულის მსგავსად, მ. მაჩაბელიც წოვათიდან წამოსულთა შორის პირველ რიგში საგირ-

---

[40] ი. ბ უ ქ ურ ა უ ლ ი, ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), ჟურ. „მოამბე“, 1897, № 9, განყ. II, გვ. 44.

[41] M. B. M a ч a б e л и, Экономический быт гос. крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян закавказского края, т. V, 1887, стр. 324.

თელებს ასახელებს და თანაც აღნიშნავს, რომ მათი წამოსვლა მომხდარა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანების თანახმად[42]. ბუქურაული საგირთელების გადმოსახლებას გულისხმობს გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, მ. მაჩაბელი კი — იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825—1855) მეფობის წლებში. ეტყობა, მ. მაჩაბელი იცნობდა კიდეც ნიკოლოზ I-ის ბრძანებას, მაგრამ მის შესახებ მკვლევარი არაფერს ამბობს.

მ. მაჩაბელი წოვების ოთხივე სოფლის — საგირთის, ეთელთის, ინდურთის და წაროს მცხოვრებთა მიერ თუშეთის საბოლოო დატოვების თარიღად XIX საუკუნის 30-იან წლებს თვლის. ამ შემთხვევაში ბუქურაულისა და მ. მაჩაბლის დასკვნები ერთმანეთს ემთხვევა. მ. მაჩაბელი წერს: «В действительности этих селений (Сагирта, Этельта, Индурта и Царо) более не существует, они снесены в 30-х годах наводнением и все население их — тушины Цовского общества, живут на Алванском поле, занимая участок Гурген-чала, где у него имеются прекрасные дома»[43].

წოვათში ნიაღვრის მოსვლისა და სოფ. საგირთის მოულოდნელად, ღამით წალეკვის ფაქტი აღნიშნული აქვთ ი. ცისკარიშვილსა[44] და რ. ერისთავს. რ. ერისთავი პირდაპირ მიუთითებს, თუ კერძოდ რომელ წელს მოვიდა ნიაღვარი წოვათაში. იგი წერს: «Раз только и именно 44 года тому назад, деревня Сагирта, Цовского общества в горной Тушетии, была снесена ночью водою, увеличивающей неимоверно от растаявших снегов, причем погибла большая часть жителей этой деревни».[45]

რ. ერისთავის შრომა დაწერილია 1854 წელს. გამოდის, რომ სოფ. საგირთა ნიაღვარს 1810 წელს წაუღია.

XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან წოვები თუშეთიდან უკვე წამოსულები არიან და საზაფხულო საცხოვრებლად ალაზნისთავ-ტბათანას იყენებენ. ეს სხვა მასალების მიხედვითაც დასტურდება.

---

[42] М. В. Мачабели, Экономический быт гос. крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян зак.-го края, т. V, 1887, стр. 333.

[43] იქვე, გვ. 324.

[44] И. Цискаров, Записки о Тушетии, К., 1849, № 7.

[45] Р. Эристов, Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе, К., 1854, № 45.

თუშეთიდან საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანაში წოვების გადმოსვლის თარიღის დადგენის თაობაზე საინტერესო ცნობა მოგვაწოდა ზემო ალვანში მცხოვრებმა ლაზარე მანჭარაულმა. ტბათანაში მწყემსად ყოფნის დროს (იგი ხშირად ზაფხულს იქ ატარებს) ლ. მანჭარაულს ე. წ. „ჯიხოიანთ გორაზე“ (ზემო ტბათანაში) უნახავს დიდი კლდე, რომელსაც შემდეგი შინაარსის წარწერები ჰქონია: „მე გიორგი ბუქურაულს ეს წიგნი დამიწერია ჩყლ წელსა პირველად ტბათანაში ჩასახლების დროსა“. ლ. მანჭარაულის მიერ მოწვდილი ცნობა სხვა ალვანელებმაც დაგვიმოწმეს. თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ წოვების მიერ ტბათანაში საზაფხულოდ დასახლებაც, ერთეული ოჯახების სახით, 1830 წლიდან დაწყებულა თუ უფრო ინტენსიური გამხდარა.

გიორგი ბუქურაულის მიერ გაკეთებული წარწერის ჭეშმარიტებას ისიც ადასტურებს, რომ მ. მაჩაბელიც და ივ. ბუქურაულიც, როგორც აღინიშნა, წოვათის ოთხი სოფლის მკვიდრთა მიერ თუშეთის სამუდამოდ დატოვებას XIX საუკუნის 30-იან წლებს უკავშირებს.

გიორგი ბუქურაულს იხსენიებს ცნობილი მკვლევარი ი. ბუქურაულიც. იგი წოვათაში ყოფნის დროს თავის მამა-პაპეულ სოფელ-ეთელთას სწვევია. ერთი თანამემამულე მლოცველის საშუალებით უპოვია წინაპართა სახლი და კარებში მოთავსებული წარწერიანი ქვა. ივ. ბუქურაული წერს: „ქვაზედ აღმოვიკითხე ქართული წარწერა: „ეს სახლი აღვაშენე მე თუშმან გიორგიმან ბუქურაულმან ჩყვ (კ) წელსა“. კარგად არ ირჩეოდა რომელი ასო იყო: „ვ“ თუ „კ“ [46].

ი. ბუქურაულის მიერ ხსენებული წარწერით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ 1806—1820 წლებში წოვა-თუშები ზაფხულობით კვლავ თუშეთში ცხოვრობენ და საცხოვრებელ ბინებსაც იშენებენ.

1837 წელს, 21 თებერვალს, დაღესტნელები თავს დასხმიან დიკლო-შენაქოს. ამასთან დაკავშირებით თუშებმა მთავარმართებელ როზენთან იჩივლეს. თუშები გულისწყრომას გამოთქვამენ თუშეთის მოურავ ჩოლოყაშვილისადმი. ამ საჩივარში დასახელებულია მხოლოდ სამი თემის — ჩაღმა-პირიქითის და გომეწრის საზოგადოება [47]. წო-

---

[46] ი. ბუქურაული, დასახელებული ნაშრომი, „მოამბე“, 1897, № 9, II განყ., გვ. 45.

[47] Шамиль—ставленник Султанской Турции и Английских колонизаторов, Тб., 1953, стр. 95.

ვების საზოგადოება საჩივარში მოხსენიებული არ არის. როგორც ჩანს, ისინი ამ დროს უკვე კახეთში ყოფილან გადასულები. „მავე წლის 27 თებერვალს თუშეთიდან ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი გენერალ-მაიორი სავარსამიძე ღებულობს წერილს კვლავ თუშთ მოურავ ჩოლოყაშვილის ცოდვათა შესახებ. წერილში ნათქვამია: „როდესაც ჩვენი მეორე კაცი მიუვიდა, მაშინ შეყარა წოვა-თუშნი ორასი მეტი და ეს თუშნი გზიდამ დაებრუნებინა“ [48].

როგორც ირკვევა, თუშეთიდან გადმოსულ წოვებს წოვათაში თავიანთი ძველი მიწების მფლობელობა შერჩათ, მაგრამ ისინი უკვე თავს არიდებდნენ სასაზღვრო-საყარაულო სამსახურს, სამხედრო ვალდებულებას. ამას მოჰყოლია რუსეთის მთავრობის მუქარა, რომ იმ შემთხვევაში, თუ წოვები ძველი მოვალეობის შესრულებაზე უარს იტყოდნენ, წოვათის მიწებს დაკარგავენ. «Если бы Цовцы не пожелали выслать караульных для охранения Тушетии как зимою, так и летом, то объявит, им, что они лишаются права пользоваться землями в Тушетии их обществу принадлежащими, кои населены будут выходцами. Для сего пригласить Кистинцев и отдать им земли Цовского общества с тем, чтобы они обязались защищать Тушетию тем числом людей, которое на них придется, во всем беспрекословно повиноваться приставу и платить подать одинаковую с Тушинами» [49].

1839 წლის 15 ივლისის ერთი საბუთიდანაც ჩანს, რომ თუშეთში იმ დროს წოვები უკვე აღარ ცხოვრობენ [50]. ამ საბუთში საუბარია თუშებისათვის ეკლესიების აშენების შესახებ: „თუშეთის დისტანციასა შინა გარდა მყოფთა წოვის საზოგადოებობასა შინა სამთა ეკლესიათა მათ შინა მღვდელთა, მიუცილებლად საჭირო არს კვალად დასაწყობელად მცხოვრებელთა მას დისტანციასა შინა თუშთა და აღშენებად ოთხისა ეკლესიისა: პირიქითის საზოგადოებასა შინა სოფელს დართლოს... გომეწრის საზოგადოების სოფელსა შინა ილიურთას... ჩაღმის საზოგადოების სოფელსა შინა ომალოს და ნაციხვარს“ [51].

ახმეტის რაიონის მმაჩის ბიუროში დაცული საეკლესიო-სამრევლო დავთრების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ალვანის ველზე დასახ-

---

[48] Шамиль-ставленник Султанской Турции... стр. 98.

[49] Акты, т. IX, стр. 141.

[50] საქ. სსრ მეც. აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტ. ფ. Hd, საბ. № 11166.

[51] იქვე.

ლებული წოვები სამ სამრევლოს შეადგენდნენ: სამების ეკლესიის, წმინდა გიორგის ეკლესიისა და ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლოს. სამების ეკლესია ძირითადად ემსახურებოდა სოფ. ალვანის მცხოვრებლებს, წმინდა გიორგისა — გურგალ ჭალის მოსახლეობას, ხოლო ღვთისმშობლის ეკლესია — ფხაკალ-ყურესა და წინა-ყურეს. ამრიგად, 1839 წლისათვის წოვები ალვანში ცხოვრობენ.

აღნიშნული საეკლესიო დავთრების შედგენა დაწყებულა 1831 წლიდან. 1831—1879 წლებით დათარიღებული სოფ. ალვანის წმინდა სამების ეკლესიის დავთრიდან („პირი მეტრიკისა, სამ ნაწილოანნი, თელავის უეზდის თუშთა შორის ალვანის წმიდის სამების ეკლესიის სამრევლოისა") ჩანს, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული სოფლები: ალვანი, გურგალ-ჭალა, ფხაკალ-ყურე და წინა-ყურე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წოვა-თუშები მაშინ თუშეთიდან სამუდამოდ (ე. ი. როგორც ზამთრობით, ისე ზაფხულობით) წამოსულები იყვნენ. სხვა მასალებით მტკიცდება, რომ 1831—1832 წლებში წოვა-თუშები ზაფხულობით ჯერ კიდევ თუშეთში მიდიოდნენ და ალვანის ველზე მხოლოდ ზამთრობით ბრუნდებოდნენ.

1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერების დროს წოვა-თუშების ოთხივე სოფელი თუშეთის სხვა სოფლებთან ერთადაა წარმოდგენილი და კახეთში მათი მოსახლეობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ წოვებს ამ დროისათვის ალვანის ტერიტორიაზე საზამთრო სოფლებიც ჰქონდათ გაშენებული. წოვა-თუშები რომ ზაფხულობით კვლავ წოვათაში ცხოვრობდნენ[52], ამას ადასტურებს დ. ზუბარევის მიერ დატოვებული თუშეთის აღწერა; იგი თუშეთში XIX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში ყოფილა. დ. ზუბარევი წერდა: «В третьем обществе четыре селения: Сагирта, Этельта, Индурта, Царо, Жителей: Тушин 273 дома. душ мужского пола 740, женского — 770, Кистин три дома: душ мужского пола 7, женского 4 и Хевсуров два дома, душ мужского пола 4, женского 6»[53].

---

[52] საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, ფურ. 105—159.

[53] Д. Г. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белаканскую область, «Русский вестник», т. II, № 6, 1841, стр. 521.

დ. ზუბარევის თუშეთში ყოფნის დროს ალბათ საზაფხულოდ წოვა-თუშები თუშეთში ცხოვრობდნენ და დ. ზუბარევმაც ისინი იმიტომ წარმოგვიდგინა თუშეთის მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად. ზუბარევისეული დახასიათება წოვებისა ემთხვევა 1831 წელს თუშეთის კამერალური აღწერის ცნობებს და, როგორც ჩანს, მას ემყარება.

1831 წლის თუშეთის კამერალური აღწერა მიუთითებს, რომ სოფ. ეთელთის მცხოვრები ორი კომლი — იასე ნაკვეთაური და ნ. ნაკვეთაური ამჟამად სოფ. ბახტრიონში ცხოვრობენო[54]. სხვაგან: «В село Бахтриони числится казенных крестьян по последнему камеральному описанию 25 дымов... тушинских казенных крестьян 2 дыма»[55], ხოლო სოფელ საგირთის მოსახლეობის აღწერისას შენიშნულია სოფელ ალვანში „მცხოვრები ქისტებიც"; ასახელებენ კიდეც მათ: ივანე ქისტინიშვილი, ამირან ნადირაშვილი და პეტრესაშვილი[56].

თელავის მაზრის უფროსის 1834 წლის 13 ნოემბრის რიცხვით დათარიღებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ალვანის ველზე ამჟამად ცხოვრობს თუშების 500-მდე ოჯახი; მათგან წოვები თითქოს მთლიანად ალვანში არიან ჩამოსახლებული: «Цовское общество здесь все, вообще на Алванском поле считается ныне до 500 домов»[57].

საქართველოს მეფეთა მიერ 1757 და 1781 წელს გაცემულ სიგელებში, რომლებიც თუშებს ალვანის, პანკისისა და ლოპოტის სამამულო მფლობელობას უმტკიცებენ, ძირითადი ყურადღება ექცევა თუშეთის მეცხვარეობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას. აღნიშნული ადგილები პირველ რიგში გათვალისწინებულია საძოვრებად და არა საცხოვრებლად. თვით თუშებიც, ვფიქრობთ, მეფეთა ასეთ პოლიტიკას დაუჭერდნენ მხარს, რადგან მათ კახეთის ბარი ჯერჯერობით მხოლოდ საძოვრებად სჭირდებოდათ და არა საცხოვრებლად. ქართლ-კახეთის სახელმწიფო მაშინ, უნდა ვიფიქროთ, მხარს არ დაუჭერდა თუშების მიერ ძველი სამოსახლო ადგილების დატო-

---

[54] საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 399, ფურ. 119.
[55] იქვე, საქ. 856, ფურ. 10.
[56] იქვე, ანაწ. 2, საქ. 399, ფურ. 120.
[57] იქვე, ანაწ. I, საქ. 1087, ფურ. 86.

ვებას, რადგან ისინი კახეთში გადმოსასვლელ სტრატეგიულ გზებს იცავდნენ, საგანგებოდ კეტავდნენ საქართველოსაკენ იმერკავკასიიდან გადმოსასვლელ ბილიკებს. გასათვალისწინებელია ის გარეულებული მდგომარეობაც, რომელიც საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობას ჰქონდა XVIII საუკუნეში მეზობელ მთიელთა გამუდმებული თავდასხმების გამო. ამ მხრივ ბარის მოსახლეობას უფრო უჭირდა, ვიდრე მთიელებს, რადგან მთას, თავისი გეოგრაფიული თავისებურების წყალობით, თავდაცვისათვის უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა. გარდა ამისა, იმიერკავკასიელი მთიელები უმეტესწილად მდიდარ ბარს ძარცვავდნენ.

საქართველოს მთავრობას საგანგებო ღონისძიება მიუღია პანკისის მოსახლეობის გასასახლებლად სხვა ადგილებში. თუშთ მოურავ ზურაბის სახელზე გაცემულ ბრძანებაში, რომელიც უთარიღოა, მაგრამ XVIII საუკუნისა უნდა იყოს, ვკითხულობთ: „ჩვენი ბრძანება არის, თუშთ მოურაო ზურაბ, პანკისი ხომ სახასო და შენი საკელოა; ახლა ესენი (საუბარია პანკისის მოსახლეობაზე, ვ. ე.) მიასხი და ბახტრიასს ციხეში მისხი, და ისიც ჩვენი სახასო არის, იქ დააყენე. ბეჯითი შეიქენ დაყენებაზე, კარგად გვემსახურენ იქიდან“ [58].

XIX საუკუნის 30—40-იან წლებშიც კი პანკისის ხეობა ლეკებისა და ქისტ-ჩეჩნების თავშესაფარ ბუდეს წარმოადგენდა. რომლის დასახლებაც დაწყებულა მხოლოდ „დაღისტნელთ დადონდგოლების შემდეგ და იქ ფეხი მოუკიდნიათ ფშაველებს, ქისტებს, თუშებს და ხევსურებს“ [59]. მთავრობამ განსაკუთრებული ღონისძიება გაატარა, რომ პანკისის ხეობა, გაუვალი ჯაგნარითა და ტყე-ბარდით დაფარული, როგორც ყაჩაღებისა და ავაზაკების ბუნაგი, დაენგრია და დასახლებული უბნებით შეეცვალა. ამით იყო გამოწვეული 1848 წლიდან პანკისის ხეობაში ქისტების დასახლება [60].

წოვების ჩამოსახლება, ჩვენი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ უნდა იყოს დაწყებული. 1806 წლიდან თუშებსა

---

58 საქ. სსრ მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 1006J, ბ.

59 შ ა ქ რ ო, პანკისის ხეობა... „ივერია“, 1887, № 21.

60 საქ. ცსსა, ფ. 254, ანაწ. I, საქ. 1087, ფურ. 255—305; იხ. აგრეთვე, ფ. 26, ანაწ. 6, საქ.648-ა, ფურ. 5—6.

და ბახტრიონელებს შორის მიწის თაობაზე დაწყებული ზემოხსენებული დავაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ წოვები სოფ. ბახტრიონის ახლოს სოფლების აშენებით პირდაპირ შეეხებოდნენ იმ მიწაწყალს, რომელსაც ბახტრიონის მოსახლეობა სახნავად იყენებდა. სოფ. ბახტრიონს ალვანის ველის არც ერთი მხარე არ ემიჯნება ისე, როგორც ე. წ. ფხაკალ-ყურესა და წიწალ-ყურეს უბანი. მათ ბახტრიონელები ხნავდნენ კიდეც და თუშების მხრივაც დიდი წინააღმდეგობა არ ჰქონიათ[61]. ხოლო 1805—1806 წლებიდან თუშები აღნიშნული ტერიტორიის გამოყენების უფლებას არ აძლევენ ბახტრიონის მოსახლეობას.

აკად. ნ. მარიც მიუთითებს, რომ კახეთში თუშების ჩამოსახლება XIX საუკუნეში დაწყებულა, თუმცა იგი ამის დასადასტურებლად რაიმე წყაროს არ ასახელებს[62]. საფიქრებელია, რომ მეცნიერი, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებში რამდენიმე დღით სოფ. ზემო ალვანშიც ჩასულა, ზეპირ გადმოცემას ემყარებოდა[63].

პროფ. ი. დეშერიევის მიხედვითაც, წოვების (ბაცბების) კახეთის ბარში ჩამოსახლება XIX საუკუნის 20-იან წლებში მომხდარა. ი. დეშერიევი 1945—1949 წლებში სწავლობდა ბაცბურ ენას, წოვა-თუშების ყოფა-ცხოვრებას და მათ წარსულს. 1953 და 1963 წლებში გამოვიდა მისი კაპიტალური შრომები: «Бацбийский язык» და «Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения исторического развития горских кавказских народов». ორივე შრომაში მეცნიერი ეხება წოვების წარსულსაც და წოვურ გადმოცემებზე დაყრდნობით შენიშნავს: «В 20-х годах прошлого столетия после разрушения села Сагирта горным потоком бацбийцы переселились в Кахетию из всех четырех сел в Горной Тушетии: Сагирта, Этелта, Мозарта, Индурта, расположенных в живописной Цовской котловине, называемой Цовета»[64]. ან კიდევ: «Примерно в 20-х годах XIX

---

[61] საქ. ცსსა, ფ. 254, საქ. 856, ფურცელი 15.

[62] Н. Марр, К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, Петербург, 1916, стр. 1396.

[63] ი ქ ვ ე, გვ. 1383—1384.

[64] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, 1953, стр. 6.

столетия после разрушения села Сагирты горным потоком бацбийцы переселились в Кахетию»[65].

პროფ. გრ. ზარდალიშვილიც წოვების ჩამოსახლებას კახეთის ბარში XIX საუკუნეში ვარაუდობს. იგი წერს: „წოვების ბარში გადმოსახლება XIX საუკუნეში ხდება, რაც უმთავრესად ისტორიულ-ეკონომიური პირობებით იყო გამოწვეული, სახელდობრ, მეზობელ ტომების ქისტ-ლეკების აღვირახსნილი თარეში, ძარცვა-გლეჯა და აგრეთვე მუდმივი ზვავები“ [66].

ცნობილია, რომ წოვებს ალვანის ველზე ოთხი სოფელი დაუსახლებიათ: ალვანი, გურგალ-ჭალა (მრგვალი ჭალა), ფხაკალ-ყურე (ფხაკალ-კურდღელს ნიშნავს წოვურად) და წოწურა[67]. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე წოვებს ხსენებულ სოფლებში უცხოვრიათ, ხოლო „1924 წლიდან დაიწყეს ძველი ადგილიდან ალვანის შუა ვაკეზე გადმოსახლება“ [68] და ერთ სოფლად დასახლება, რომელსაც შემდგომში ზემო ალვანი ეწოდა.

თუშების ჩამოსახლება ალვანის ველზე წოვა-თუშებიან შედარებით გვიან დაიწყო. მართალია, XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ალვანში თუშებიც იხსენიებიან, მაგრამ ამ დროისათვის თუშების დასახლება მცირე ყოფილა, ხუთვერსიან რუკაზე თუშთა უბანს „გომეწრელი“, ხოლო რ. ერისთავის აღწერით „გომეწარი“ ეწოდება[69]. თუშების ჩამოსახლებას ალვანის ველზე XIX საუკუნეში მასობრივი ხასიათი არ მიუღია. მაგალითად, პროფ. ალ. ხახანაშვილი 1888 წელს წერდა: „თითოოროლა თუში ამ თემებისა (გომეწრის, ჩაღმის და პირიქითისა, ვ. ე.) ჩამოდის ზაფხულობით ალვანში, რომელიც შეადგენს საზოგადო მამულს ოთხისავე თემისას“ [70].

---

[65] Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Чечено-Ингушское книжное издательство, 1963, стр. 63.

[66] გ. ზარდალიშვილი, მთათუშეთი (ეკონომ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის), სადისერტაციო შრომა, თბ., 1946, გვ. 69 (ხელნაწერი).

[67] ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 128.

[68] იქვე, გვ. 142.

[69] Пятиверстная карта Кавказского края, изд. Кавк. топогр. управ., Тифлис, 1913, стр. 33; Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, Записки Кавказского отдела ИРГО, КН. III, 1855, стр. 95.

[70] ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან, „ივერია“, 1888, № 173.

ალვანის ტერიტორიაზე თუშების შესამჩნევი ჩამოსახლება დაწყებული XX საუკუნის 10-იანი წლების დასასრულს. პირველად დაძრულან პირიქითელები, ჩეჩენ-ქისტეთის სასაზღვრო სოფლები — ჭონთიოს, ჰელოს, დაქიურთის, გირევის და ნაკუდურთის მცხოვრებლები. „სამოქალაქო ომების დროს, — წერს პროფ. ს. მაკალათია, — პირიქითის მოსახლეობა ვერ უმკლავდებოდა ქისტების ყაჩაღურ თავდასხმას, მათ ძარცვა-გლეჯას და ამ მიზეზით პირველად ჭონთოელები აიყარნენ აქედან, რომლებსაც მიჰყვნენ ჰელოსა, დაქიურთისა და ნაკუდურთის მცხოვრებნი და ესენი ალვანში დასახლდნენ“ [71].

XX საუკუნის 20—30-იანი წლებიდან იწყება თუშეთის სამივე საზოგადოების — პირიქითის, ჩაღმისა და გომეწრის მცხოვრებთა ერთდროული და უწყვეტი წამოსვლა ბარისაკენ, რის შედეგადაც ეს მხარე ისე დაიცალა, რომ ამჟამად თუშეთში მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი 60—70 კომლს არ აღემატება.

თუშეთის მოსახლეობას კახეთის ბარშიც თავისებური სახე მიუღია. პირიქითის თემის უდიდესი ნაწილი სოფ. ზემო ალვანში დამკვიდრებულა, სოფ. ლალისყურში დასახლებულან სამივე თემის წარმომადგენლები, თუშების დიდ უმრავლესობას კი გომეწრის სახელით ცნობილ სოფელში დაუდია ბინა, რომელსაც ამჟამად ქვემო ალვანი ეწოდება.

ამრიგად, თუშებისა და წოვების ემიგრაცია კახეთის ბარში თანდათანობით, გარკვეული ისტორიული ეპოქების შესაბამისად მოხდა.

თუშეთი (კახეთის მთიანეთი) ბარის კახეთზე ეკონომიურად დამოკიდებული იყო. იქ იძენდნენ თუშები პირველი მოთხოვნილების საგნებს. თუშთა მეურნეობის ძირითადი დარგის — მეცხოველეობის შემდგომი ზრდა-განვითარება შეუძლებელი იქნებოდა კახეთის საზამთრო საძოვრების გარეშე. საკუთრივ მაღალმთიან თუშეთს მხოლოდ საზაფხულო საძოვრები გააჩნდა. კახეთის ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თავისი სახასო სამფლობელოს — თუშეთის მიმართ, რომელიც ჩრდილოეთიდან კახეთისაკენ გადმომავალ გზებს კეტავდა. ამიტომ ბარის საზამთრო საძოვრები კა-

---

[71] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 130.

ხეთის მეფეთათვის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი იყო, რომლითაც ისინი თუშებთან ურთიერთობას არეგულირებდნენ. რა თქმა უნდა, კახეთის მეფეები ამ საძოვრებს უქმად არ არიგებდნენ და მათგან სათანადო მატერიალური სარგებლობაც ჰქონდათ.

დროთა ვითარებაში, XVII—XVIII საუკუნეებში, კახეთმა დიდი ზიანი განიცადა. შაჰ-აბაზიდან მოყოლებული, ქვეყანა გამუდმებული რბევის ობიექტი გახდა. დაცარიელდა კახეთის ბარის სოფლები, მოსახლეობის რაოდენობა მცირდებოდა. საქართველოს მეზობელი მთის ქვეყნების შიგნითაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების შედეგად დაღესტნელმა ფეოდალებმა გაახშირეს საქართველოს ბარზე თავდასხმები. ვეინახების და დაღესტნელების შემოსევებს მწვავედ განიცდიდნენ აგრეთვე თუშები და წოვა-თუშები, მაგრამ ისინი შედარებით უფრო წარმატებით იცავდნენ თავს. უფრო მეტად ბარი ზარალდებოდა. თავადური ქართლ-კახეთის ცენტრალური ხელისუფლება, მიუხედავად ერეკლე მეორის ენერგიული ღონისძიებებისა, ვერ ახერხებდა საგარეო სიმშვიდის მოპოვებას.

მიუხედავად ამისა, თუშეთის ეკონომიკური დამოკიდებულება კახეთის ბარისადმი სულ უფრო და უფრო იზიდავდა თუშებს ბარისაკენ. თავდაპირველად სეზონურად გადმოდიოდნენ — ზამთრობით მოჰყვებოდნენ ცხვრის ფარას. დროთა ვითარებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბარმა სძლია მთას.

1801 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერია გაბატონდა, მდგომარეობა შეიცვალა. ბარში (სადაც უკაცრიელი მიწების რაოდენობა ამ დროს დიდი იყო) მთიელთა სამუდამოდ ჩამოსახლების შემთხვევებმა იმატა. XIX ს. 20—30-იანი წლებიდან რუსეთის მთავრობამ მტკიცედ გაამაგრა იმიერკავკასიიდან გადმოსასვლელი გზები, რომელთაც ახლა არა მარტო ადგილობრივი სახალხო ლაშქარი, არამედ რუსთა რეგულარული რაზმებიც იცავდნენ. შედარებით უფრო მშვიდობიანი შრომის პირობები შეექმნა ბარის მოსახლეობას. ამ გარემოებამ თითქოს რამდენადმე გაამწვავა ურთიერთობა საკუთრივ მთის მოსახლეობის შიგნით; გახშირდა მათ შორის თავდასხმები. ამავე დროს იზრდებოდა მოთხოვნები მეცხო-

ველეობის პროდუქტებზე (ხორცი, ყველი. კარაქი, მატყლი). მესაქონლეებს თავიანთი პროდუქციის გასაღებისათვის მეტი შესაძლებლობა მიეცათ. ამ გარემოებამაც უდავოდ სერიოზული როლი შეასრულა მთიელთა ემიგრაციაში ბარისაკენ. წოვა-თუშების მასობრივი ჩამოსახლებაც ალვანში სწორედ ამ დროს—XIX ს. 20-იან წლებში ხდება, ხოლო სხვა თემები შედარებით მოგვიანებით ჩამოდიან—უკვე ბურჟუაზიული განვითარების ხანაში, როცა ეკონომიკური მიზიდულობის ფაქტორი უფრო თვალსაჩინო გახდა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი I. თუშეთის დასახლებისა და სატომო სახელ „თუშის“ ისტორიისათვის . 5

თ ა ვ ი II. თუშეთის გვაროვნულ-თემური მმართველობა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება 26

§ 1. თუშური თემის ევოლუცია 26

§ 2. თუშური თემის მმართველობაში მთის სალოცავებისა და ე. წ. „მთავარი ხატის“ დანიშნულება-მოვალეობის საკითხისათვის 36

§ 3. ხევისბერისა და დეკანოზის უფლება-მოვალეობა თუშური თემის მმართველობაში 59

§ 4. ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება თუშური თემის მმართველობისადმი 84

თ ა ვ ი III. 1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშეთის მონაწილეობის ისტორიიდან 115

§ 1. 1659 წლის კახეთის აჯანყებაში თუშების მონაწილეობის შესახებ ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმულ უზუსტობათა გარკვევისათვის . 115

§ 2. 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთი სახალხო გმირის ვინაობის გარკვევისათვის 126

თ ა ვ ი IV. თუშებისა და მეზობელი ხალხების ურთიერთდამაკავშირებელი გზების საკითხისათვის 149

ა) თუშეთის სამიმოსვლო გზები ბარის რაიონებთან 149

ბ) თუშეთიდან ფშავ-ხევსურეთსა და დიდოეთ-ჩეჩენ-ინგუშეთში გადასასვლელი გზები 164

გ) თუშეთზე გამავალი საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ერთი გზის საკითხისათვის 171

თ ა ვ ი V. თუშებისა და იმიერკავკასიელი მთიელების ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან . . 190

§ 1. თუშებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან 190

ა) ეკონომიკური ურთიერთობა 190

ბ) კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის 203

§ 2. თუშებისა და ვეინახ-დიდო-ლეკების ურთიერთთავდასხმების გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები XVII—XVIII საუკუნეებში . . 225

§ 3. თუშეთში ნუცალ-ხანის ლაშქრობის საკითხისათვის 249

§ 4. რუსეთის მიერ საჩეჩნო-დაღესტნის შემოერთებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თუშების მონაწილეობის ისტორია 258

§ 5. თუში სახალხო გმირი—შეთე გულუხაიძე 275

თ ა ვ ი VI. **თურქი დამპყრობლებისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ომებში თუშთა ასეულების მონაწილეობის ისტორიისათვის** 311
§ 1. ყირიმის ომში თუშების მონაწილეობის საკითხისათვის . . . 312
§ 2. 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თუშების თავდადებული ბრძოლების ისტორიიდან 328
თ ა ვ ი VII. **თუშების ემიგრაცია კახეთის ბარში** . . . 342

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლ ო ლ ა ძ ე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე
მხატვარი ო. ვ ა რ ვ ა რ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფ ი რ ცხ ე ლ ა ნ ი
კორექტორები ი. ვ ა ხ ტ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, მ. ვ ა რ ა მ ა შ ვ ი ლ ი

სტ 1504
გადაეცა წარმოებას 5. 08.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.03.88
უე 07834. საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 23. სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,66.

ტირაჟი 2500 შეკვეთის № 1080

ფასი 1 მან 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.